114
1954 B

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანალები

114/3
12

11

ნოემბერი

1954

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეთერთმეტე

6638

11

ნოემბერი

19 სახელგამი 54
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

შინაარსი

★

მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის წინ. მოწინავე წერილი 3

მხატვრული ლიტერატურა

სანდრო ეული — ოცდაჩვიდმეტი. ლექსი 11
ალიო მირცხულავა — ჰიმნი ბელადებს. ლექსი 12
აკაკი ბელიაშვილი — უღელტეხილი. რომანი. დასასრული 13
კონსტანტინე სიმონოვი — სტუმრად შოუსთან. ლექსი. თარგმანი გ. ხუხაშვილისა 55
ალექსანდრე მეჟიროვი — ლექსი ერთ ბიჭუნაზე. ლექსი. თარგმანი ალეკო შენგელიასი 59
გრიგოლ ბერძენიშვილი — ჩემს სოფელში. პიესა 60
კუბა — შორს ეფინება სხივი აისის. ლექსი. თარგმანი გერმანულიდან შოთა ამირანაშვილისა 83
ბერნჰარდ ზეგერი — მეგობრობის სახლში. ლექსი. თარგმანი გერმანულიდან მისივე . 83
ბ. მაკ-ჰენრი და ფრედერიკ ნ. მაიერსი — კავშირის დაბადება. ნაწყვეტები რომანიდან „მეზღვაური სამშობლოში". თარგმანი ინგლისურიდან ე. იორამაშვილისა 86
ნათელა ონაშვილი — ერთად. მოთხრობა 116

კრიტიკა და მეცნიერება

გესარიონ ულენტი — დადებითი გმირის პრობლემა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. წერილი 121
მამია დუდუჩავა — საბჭოთა ლირიკის საკითხები. წერილი 137
გრიგოლ კალანდარიშვილი — ასახვის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ზოგიერთი საკითხი. წერილი 149
კარლო ტაბატაძე — მოძმე ტაჯიკი ხალხის ლიტერატურა. წერილი 163
ა. ფევრალსკი — ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგია. წერილი 173

ბიბლიოგრაფია

გ. მებუკე — ახალი მასალები აკაკი წერეთლის შესახებ 182
ა. სანადირაძე — შალვა დადიანის წერილები 182
ვლადიმერ ჯიბუტი — წიგნი სოციალისტური რეალიზმის შესახებ 184
ანდრო ლომიძე — მიხეილ მრევლიშვილის მოთხრობები 187
ანა ღვინიაშვილი — ლატვიური ზღაპრები ქართულად 190
ი. გავაშელაშვილი — კრებული ზნეობრივი აღზრდის შესახებ 191
ახალი წიგნები . . . . . , ... გარეკანის მე-3 გვ.

რედაქტორი

ალიო მირცხულავა

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აგიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), დიმიტრი ბენაშვილი, ნიკო კეცხოველი, სანდრო შანშიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სერგი ჭილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-54 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. უე 17394.
შეკვეთის № 772. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფონი 3-23-42.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის წინ

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა არა მარტო მხატვრული ლიტერატურის დარგში, არამედ მთელს ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში.

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მწერალთა პირველი ყრილობა ჩატარდა. ყრილობამ თავისი ისტორიული გადაწყვეტილებებით უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახა საბჭოთა მწერლების წინაშე. მთავარი და უპირველესი ამ ამოცანათა შორის იყო: საბჭოთა მწერლობას შეექმნა ისეთი მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებშიც მთელი სისავსით, მაღალმხატვრული ოსტატობით იქნებოდა მოცემული ჩვენი ეპოქის სისხლსავსე ცხოვრება, მაღალმხატვრული ოსტატობით იქნებოდნენ დახატული ახალი ცხოვრების შემოქმედი ადამიანები, დამაჯერებლად იქნებოდა ასახული საბჭოთა ეპოქის მოწინავე ადამიანთა გმირული ბრძოლა კომუნიზმისათვის, ბრძოლა წინსვლის და განვითარების შემაფერხებელი მოვლენების წინააღმდეგ.

მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის შემდგომ პერიოდში ბევრი საყურადღებო ნაწარმოები შექმნეს საბჭოთა მწერლებმა, მათ შორის ქართველმა საბჭოთა მწერლებმაც. ისეთი ნაწარმოებების გვერდით, როგორიცაა მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ალ. ტოლსტოის „რუსული ხასიათი“, ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ლ. ლეონოვის „ტყე“, ვ. აჟაევის „მოსკოვიდან დაშორებით“, გ. ნიკოლაევას „მკა“, ნ. ტიხონოვის „კიროვი ჩვენთანაა“, ა. ტვარდოვსკის „ვასილ ტიორკინი“, პ. პავლენკოს „ბედნიერება“, უნდა დავასახელოთ ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებიც: ალექსანდრე აბაშელის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ხუტა ბერულავას, ალექსანდრე გომიაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, სანდრო ეულის, კარლო კალაძის, გიორგი ლეონიძის, რევაზ მარგიანის, ალიო მირცხულავას, იოსებ ნონეშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, სიმონ ჩიქოვანის და სხვათა ლექსები და პოემები; აკაკი ბელიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, რაჟდენ გვეტაძის, ელიზბარ ზედგინიძის, სერგო კლდიაშვილის, იაკინთე ლისაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, მიხეილ მრევლიშვილის, ლეო ქიაჩელის, ალექსანდრე ქუთათელის, გიორგი შატბერაშვილის, დემნა შენგელაიას, ბორის ჩხეიძის, ოთარ ჩხეიძის, ალექსანდრე ჭეიშვილის, რევაზ ჯაფარიძის და სხვათა მოთხრობები და რომანები; მარიამ ბარათაშვილის, ვიქტორ გაბესკირიას, შალვა დადიანის, ვანიონ დარასელის, იონა ვაკელის, პოლიკარპე კაკაბაძის, ილო მოსაშვილის, სანდრო შანშიაშვილის და სხვათა პიესები. მათი ნაწარმოებები ასახავენ საბჭოთა ხალხის გმირულ შრომასა და ცხოვრებას დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ ბრძოლას ომის დროს, მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ომის შემდეგ.

მაგრამ ყველაფერი ის, რაც გაკეთდა დღემდე მხატვრული ლიტერატურის დარგში, მხოლოდ ერთი ნაწილია შესასრულებლად გათვალისწინებული კოლოსალური სამუშაოსი. ამ მხრივ დიდი ვალი აძევთ საბჭოთა მწერლებს ჩვენი მოწინავე, განათლებული, სამართლიანად მკაცრი და მომთხოვნი მკითხველებისა.

მართალია, ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებებმა საბჭოთა მკითხველის დიდი და სავსებით დამსახურებული მოწონება დაიმსახურეს იმიტომ, რომ მათ შინაარსში მკითხველებმა ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მართალი სურათები დაინახეს, ხოლო მათ მთავარ გმირებში ჩვენი სინამდვილიდან აღებული ტიპები შეიცნეს, მაგრამ საბჭოთა მკითხველი, რომლის იდეური და კულტურული დონე განუზომლად ამაღლდა, მისი მსოფლმხედველობითი ჰორიზონტი გაფართოვდა, ხოლო გემოვნება იმავე მხატვრული ნაწარმოებების მეოხებით დიდად დაიხვეწა და გაიზარდა, აღარ კმაყოფილდება მიღწეულით. მას სურს, რომ საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა კი არ ჩამორჩებოდეს, არამედ წინ უსწრებდეს ჩვენს მღელვარე, დიადი მოვლენებით უაღრესად მდიდარ სინამდვილეს. საბჭოთა მკითხველს სურს, რომ მხატვრულ ნაწარმოებში მარტო აწმყო კი არ ჩანდეს, არამედ განჭვრეტილ იქნეს ხვალინდელი დღეც.

საბჭოთა ლიტერატურა მოვალეა დააკმაყოფილოს მკითხველის ეს სავსებით კანონიერი მოთხოვნილება.

თითოეული საბჭოთა შემოქმედის საბრძოლო ამოცანას უნდა წარმოადგენდეს კომუნისტური პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მწერალი ვალდებულია დადებითი გმირის სახით გვიჩვენოს ახალი ტიპის ადამიანი, მისი ადამიანური ღირსების მთელი მშვენიერება. ამ ამოცანის ღირსეულად განხორციელებით საბჭოთა მწერლის შემოქმედება ნამდვილად შეუწყობს ხელს ჩვენი დროის ადამიანებში ისეთი თვისებებისა და ჩვევების დანერგვას, რომელთაც არაფერი ექნებათ საერთო კაპიტალიზმის მიერ შექმნილ სულიერ სიმახინჯესა და მანკიერებასთან.

ცოცხალი, ნამდვილი მოწინავე საბჭოთა ადამიანი, რომელსაც არ ეშინია არავითარი სიძნელეებისა კომუნიზმის მშენებლობის რთულ გზაზე — აი ვინ უნდა იყოს საბჭოთა მწერლის ნაწარმოების მთავარი გმირი. ამ გმირის თითოეული სიტყვა, მისი ყოველი მოქმედება სულის სიღრმემდე უნდა წვდებოდეს მკითხველს, აღელვებდეს მას, ნერგავდეს მის გონებაში ახალ იდეებს, განამტკიცებდეს იმის შეგნებას, რომ კომუნიზმის ნათელი მიზნებისათვის ბრძოლა უპირველესი და წმიდათა წმიდა მოვალეობაა საბჭოთა ადამიანისა, რომელიც მოწოდებულია სათავეში ედგეს ჩვენი ეპოქის ყველა მოწინავე, ნოვატორულ მოძრაობას კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

რას მოითხოვს საბჭოთა შემოქმედისაგან სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების პრინციპი? საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე დამტკიცებულ მწერალთა კავშირის წესდებაში გარკვევით არის ნათქვამი:

„სოციალისტური რეალიზმი, წარმოადგენს რა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული კრიტიკის ძირითად მეთოდს, მოითხოვს მხატვრისაგან სინამდვილის მართალ, ისტორიულ-კონკრეტულ ასახვას მის რევოლუციურ განვითარებაში. ამასთან, სინამდვილის მხატვრული ასახვის სიმართლე და ისტორიული კონკრეტობა შერწყმული უნდა იქნეს სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეური გარდაქმნისა და აღზრდის ამოცანასთან“.

ამ დებულებიდან პირდაპირ გამომდინარეობს ის ამოცანები, რომელთა ღირსეულად გადაჭრისათვის უნდა იბრძოდეს ჩვენი მხატვრული ლიტერატურა. საბჭოთა მწერალმა, რომელიც ი. ბ. სტალინის განსაზღვრით „ადამიანის სულის ინჟინერია“, თავისი შემოქმედების უპირველეს და მთავარ მიზნად უნდა და-

ისახოს მოგვცეს საბჭოთა სინამდვილის კონკრეტულ-ისტორიული, მართალი სურათი. რა თქმა უნდა, ეს სინამდვილე მწერალმა უნდა დახატოს მისი რევოლუციურ განვითარებაში, ხვალინდელი დღის გათვალისწინებით.

საბჭოთა მწერალს მუდამ უნდა ახსოვდეს კომუნისტური პარტიის მითითება რეალისტური ხელოვნების ძალისა და მნიშვნელობის შესახებ. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ უნდა გამოავლინოს და დახატოს რიგითი საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, გვიჩვენოს მისი ხასიათის ტიპიური დადებითი ნიშნები, შექმნას დადებითი გმირის ისეთი სახე, რომელსაც უნდა მიბაძოს და რომელიც სანიმუშო უნდა იქნეს თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის.

როცა საქმე ეხება დადებითი გმირის პრობლემას, საჭიროა ნათლად გავითვალისწინოთ, ვინ არის ჩვენი, ახალი ცხოვრების შემოქმედი, ჩვენი დროის მთავარი, ნამდვილი გმირი. ეჭვს გარეშეა, რომ ისტორიის შემოქმედი, ცხოვრების ჩარხის მამოძრავებელი იყო და არის ხალხი. ხალხი ქმნიდა და ქმნის საზოგადოებრივ ღირებულებებს, მატერიალურ დოვლათს. ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა გამოჩენილი მოღვაწე ხალხის სულიერი საგანძურიდან კრებდა მასალას თავისი შემოქმედებისათვის — იქნებოდა ეს მელოდია თუ მხატვრული სახე, აფორისტული სიბრძნე თუ ხატოვანი თქმა. ამიტომ არის ხალხურობით გამსჭვალული ყველა დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოები. თვით შემოქმედი, თუ კი ის ნამდვილი შემოქმედია, ხალხის შვილია, ამ სიტყვის ღრმა გაგებით, ხალხის სულისკვეთების, აზრის და გრძნობების გამომხატველია.

მხოლოდ ნამდვილ შემოქმედს შეუძლია გახდეს ხალხის ღვიძლი შვილი და მისი გულის მესაიდუმლე. ამ უაღრესად დიდი და საპატიო მდგომარეობის მოპოვება შესაძლებელია შემოქმედებითი სიმართლის, ღრმა იდეურობის, მაღალმხატვრული ოსტატობის გზით. იქ კი, სადაც მხოლოდ მოჩვენებითი, გარეგნული ბრწყინვა, არაგულწრფელობა, საკუთარი ვიწრო ინტერესების ზღუდეთა შორის მომწყვდეული სულის ძახილი გაისმის, არასოდეს არ შეიძლება ადგილი ექნეს ხალხურობას და, მაშასადამე, ნამდვილ შემოქმედებასაც.

ხალხი მწერლისაგან მოითხოვს ერთგულებას სინამდვილისადმი, არა მარტო იმის ჩვენებას, რაც ცხოვრების ზედაპირზე ხდება, არამედ მოვლენათა სიღრმეში ჩაწვდომას, დღევანდელობასთან ერთად ხვალინდელი დღის განჭვრეტას, თავისი შემოქმედების მთავარ საგნად — ხალხის ინტერესებისადმი სამსახურს, ვინაიდან „ჩვენ ყველანი ხალხი ვართ და ყველაფერი საუკეთესო, რასაც კი ვაკეთებთ, სახალხო საქმეა“ (ა. პ. ჩეხოვი).

მხატვრულ შემოქმედებაში მთავარ მომენტს მწერლის იდეური თვალსაზრისი წარმოადგენს. გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას როდი ენიჭება, თუ რა ცალკეულ წარმატებას მიაღწია მწერალმა, ან რა ცალკეული წარუმატებლობა განიცადა მან, არამედ საკითხს წყვეტს ნაწარმოების საერთო იდეური მიზანდასახულობა, მისი ღრმა იდეურობა, სწორი თვალსაზრისი, სოციალური მოტივი, შეერთებული მაღალმხატვრულ ოსტატობასთან. ნაწარმოებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს ავტორის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, საკუთარი ხელწერა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხატვის მანერა, მთლიანი, ერთი მიზნისაკენ მიმართული, ცხოვრების სიმართლით შეპირობებული ჯანსაღი, მხნეობის დამამკვიდრებელი ინტონაცია.

წინასაყრილობო დისკუსიის პერიოდში მწვავედ დაისვა აგრეთვე საკითხი ლირიკის ადგილისა და უფლებამოსილების შესახებ საბჭოთა მხატვრულ

ლიტერატურაში. აღმოჩნდნენ ამხანაგები, რომელთაც გაილაშქრეს ლირიკის წინააღმდეგ. მათი მოსაზრებანი ამ საკითხზე, ვფიქრობთ, მცდარად უნდა ჩაითვალოს. გამოაცალო ლირიკა პოეზიას, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის სულის გამაკეთილშობილებელი, ამამაღლებელი ძლიერი საშუალება ჩაახშო და დატოვო მხოლოდ თხრობა, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით მწერლის სულისკვეთებას, განცდებს, თვალსაზრისს გადაუკეტო გზა, მხატვრული ნაწარმოები აქციო მარტოოდენ ამსახველ სარკედ და არა მაორგანიზებელ, აღმაგზნებელ მოვლენად, რომელსაც ექნება ძალა და მომხიბლაობა თან გაიყოლიოს მკითხველი, აამოქმედოს მისი გონება სასურველი მიმართულებით, დახვეწოს და გააფაქიზოს მისი გრძნობები.

რა იქნებოდა ლირიკის გარეშე მხატვრული ლიტერატურის დიდი კლასიკოსების — ბაირონის, შელის, ა. პუშკინის, ნ. ბარათაშვილის, მ. ლერმონტოვის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვლ. მაიაკოვსკის პოეზია? ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა მსოფლიო ლიტერატურის შედევრები ლირიკის გამოკლებით.

თავისთავად ცხადია, საბჭოთა შემოქმედებას, რომელიც სოციალისტური ესთეტიკის პრინციპებს ემყარება, არ შეუძლია დაუშვას ჯანსაღი, სოციალური ოპტიმიზმით აღსავსე ლირიკის არა თუ უარყოფა, არამედ მისი ოდნავი შეზღუდვაც კი. პირიქით, ჩვენი სინამდვილე ფართო ასპარეზს უქმნის მწერლის შინაგანი ბუნების, მისი პირადი განცდების გამოვლენას, განვითარების ახალ მასშტაბებს და პერსპექტივებს უსახავს ლირიკულ პოეზიას.

მხატვრული ლიტერატურა იდეოლოგიის ერთ-ერთი მტკიცე საფუძველი, მკაფიო გამოვლინება, ქმედითი საშუალება და ძლიერი იარაღია. საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა, როგორც ყველაზე მოწინავე ლიტერატურა მსოფლიოში, როგორც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა, უნდა გამოხატავდეს მხატვრულ სახეებში ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეოლოგიას. საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა თავდადებით უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების მოწინავე ძალების, კომუნიზმის მშენებელი ძალების ინტერესებს. ჩვენი მწერლობა, პირველ რიგში, ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას, მან ზუსტად, მთელი სიღრმით უნდა ასახოს კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებანი, აღნიშნულ მოთხოვნილებათა მიერ წამოჭრილი ამოცანები, სახავდეს სწორ გზებს ამ ამოცანების გადასაწყვეტად.

სწორედ ამაშია საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი ზეგავლენის ძალა, მისი უდიდესი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მნიშვნელობა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საბჭოთა ლიტერატურამ სავსებით კანონზომიერად მოიპოვა საერთაშორისო ავტორიტეტი. მსოფლიოში ყველა პროგრესულად მოაზროვნე შემოქმედი, ყველა მოწინავე მწერალი თავის ნაწარმოებს ქმნის საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშთა მაგალითის მიხედვით, იცავს სოციალისტური რეალიზმის, სოციალისტური ესთეტიკის ერთადერთ სწორ პრინციპს. ასეთები არიან ცნობილი მწერლები და პოეტები: გო მო ჟო, ჯაუ შუ ლი, ჰოვარდ ფასტი, პაბლო ნერუდა, ნაზიმ ჰიქმეთი, ჟორჟი ამადუ, ანდრე სტილი, ლუი არაგონი, იოჰანეს ბეხერი, იან დრდა, ლეონ კრუჩკოვსკი, ანა ზეგერსი და სხვა მრავალი.

მხატვრული ნაწარმოების კონფლიქტში თვალნათლივ უნდა ჩანდეს ორი ანტაგონისტური ძალის — წარმავლის, მომაკვდავისა და ახლის, პროგრესულის, განვითარების, აღმავლობის პროცესში მყოფის — სამკვდრო-სასიცოცხ-

ლო ბრძოლა. ეს კონფლიქტი როდი უნდა ახდენდეს ბუტაფორიის შთაბეჭდილებას. კონფლიქტი უნდა გამოხატავდეს ცხოვრების სინამდვილეს, იყოს იმ სიძნელეების და წინააღმდეგობათა სრული განსახიერება, რასაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესში.

დიადი მიზნები და ამოცანები, გიგანტური მასშტაბის ბრძოლა ამ ამოცანების გადასაწყვეტად, განსაზღვრავენ მათი განხორციელებისათვის მებრძოლ ადამიანთა ხასიათსაც. ეს ხასიათი უნდა იტევდეს თავის არსში საბჭოთა ადამიანის საუკეთესო გრძნობებს და თვისებებს, მაღალ მომთხოვნელობას როგორც საკუთარი თავისადმი, ისე მის გარშემო მყოფი ადამიანებისადმი, სიყვარულს და თავდავიწყებულ გატაცებას შემოქმედებითი შრომისადმი, მებრძოლ სულისკვეთებას, მომავლისადმი მტკიცე რწმენას.

საბჭოთა მწერლის მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის სული და გული, მისი განვითარების ტონის მიმცემი და მასულდგმულებელი უნდა იყოს ასეთი გმირული თვისებებით აღჭურვილი ადამიანი. იგი უნდა იყოს მთავარი ელემენტი და ორგანული ნაწილი ნაწარმოების სიუჟეტისა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ ხასიათის, ტიპის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, გარემოსთან, გამოხატავს ხასიათის, ტიპის ყალიბობისა და ზრდის, მისი მომწიფებისა და სრულყოფის პროცესებს, მის სიმპათიებს თუ ანტიპათიებს, წინააღმდეგობათა მთელ რკალს, მისი გრძნობებისა და ემოციების ბუნებას.

ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით უნდა დაისვას და განხილულ იქნეს დადებითი გმირის პრობლემა საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში. საბჭოთა სინამდვილის დადებით გმირს ძალა უნდა შესწევდეს ცხოვრების უბრალო, ყოველდღიურობაში საგმირო მოვლენები დაინახოს. სწორედ ამ საგმირო მოვლენების გამორჩევის უნარით უნდა იყოს იგი აღჭურვილი. მას უნდა შეეძლოს თვითეული მოვლენის სიღრმეში ჩაწვდომა, არაარსებითის, წარმავალის, შემთხვევითის, მესამეხარისხოვანის გარჩევა დიდმნიშვნელოვანი, პერსპექტივიანი, მთავარი, წამყვანი მოვლენისაგან. თავის მხრივ კი მწერალი, რომელიც შემოქმედების საგნად აიყვანს დადებით გმირს—შრომის პროცესებით ორგანიზებულ ადამიანს, მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის სინამდვილეს ღრმად უნდა წვდებოდეს; ვინაიდან შემოქმედება, როგორც მაქსიმ გორკი გვასწავლის, ეს არის მეხსიერების მუშაობის დაძაბვის ხარისხი, როცა ამ მეხსიერების მუშაობის სისწრაფეს ამოაქვს ცოდნათა და შთაბეჭდილებათა მარაგიდან ყველაზე უფრო თვალსაჩინო და დამახასიათებელი ფაქტები, სურათები, დეტალები და მოათავსებს მათ ყველაზე უფრო ზუსტ, მკაფიო, საყოველთაოდ გასაგებ სიტყვებში. ამასთან, დადებითი გმირისათვის ნათელი უნდა იყოს ხვალინდელი დღის პერსპექტივა.

რა თქმა უნდა, გმირის მხოლოდ სულიერი სილამაზე მოხიბლავს მკითხველს, გაიყოლიებს მას საკუთარი მაგალითის კვალზე, აღძრავს და განამტკიცებს მკითხველში სახალხო საქმისათვის თავდადებული ბრძოლის წყურვილს.

პარტიულობის ლენინური პრინციპი საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ვ. ი. ლენინმა 1905 წელს დაწერილ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ გენიალურად განსაზღვრა ურთიერთობა საერთო პროლეტარულ საქმესა და ბეჭდვითი სიტყვის, ლიტერატურის, ხელოვნების საქმეს შორის. ლენინი მოითხოვდა, რომ „ლიტერატურუ-

ლი საქმე აუცილებლად და ყოველ მიზეზგარეშე უნდა გახდეს სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის ნაწილი, განუყოფელად დაკავშირებული ამ მუშაობის დანარჩენ ნაწილებთან.“ ამ პრინციპში, თავისთავად ცხადია, იგულისხმება ლიტერატურის მჭიდრო კავშირი ხალხთან, მის სასიცოცხლო ინტერესებთან.

პარტიის მე-19 ყრილობაზე ამხ. გ. მ. მალენკოვმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „რეალისტური ხელოვნების ძალა და მნიშვნელობა ის არის, რომ მას შეუძლია და კიდევაც უნდა გამოავლინოს, გვიჩვენოს რიგითი ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები და მისი ხასიათის ტიპიური დადებითი ნიშნები, შექმნას მისი მკაფიო მხატვრული სახე, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იქნება ადამიანებისათვის“.

სოციალისტური რეალიზმის პრინციპი მოითხოვს შემოქმედისაგან, რათა მან ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი დიადი გარდაქმნები, უდიდესი ნოვატორული სიახლენი, ცხოვრებაში მომხდარი ან მოსალოდნელი საფუძვლიანი გარდატეხები მარტოოდენ კი არ მოგვითხროს, არამედ მხატვრული სახეებით, მაღალი შემოქმედებითი საშუალებებით დაგვიხატოს ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა ემოციური პროცესი, დაგვიხატოს საბჭოთა ეპოქის მამოძრავებელი ძალა, მოწინავე ადამიანი, მისი, როგორც პოეტური სახის სიღრმე, ფსიქოლოგიური აზრი და მთლიანი ბუნება, რომლისთვისაც უცხოა გაორება, წვრილბურჟუაზიული ორჭოფობა, დეკადენტური მისტიკა.

ერთ-ერთი მთავარი და ნიშანდობლივი თვისება სოციალისტური რეალიზმის მხატვრული ლიტერატურისა არის მისი მჭიდრო კავშირი სინამდვილესთან, აქტიური ჩარევა თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში; საბჭოთა მწერალი მუდმივ ურთიერთობაში უნდა იმყოფებოდეს ცხოვრების სინამდვილესთან, თავისი მხატვრული შემოქმედებით იგი უნდა აყენებდეს აქტუალურ პრობლემებს, და არა მარტო აყენებდეს, არამედ სახავდეს მათი გადაწყვეტის სწორ გზებსაც. საბჭოთა მწერლის დამოკიდებულება თემისადმი უნდა იყოს გზნებით აღსავსე, მღელვარე, ახალგაზრდული. მხოლოდ ასეთი მწერლის ნაწარმოები და ამ ნაწარმოების დადებითი გმირები ღრმად შეიჭრებიან მკითხველის ცნობიერებაში, გაიყოლიებენ მას, აღუძრავენ გმირობის ჩადენის სურვილს. მწერლის აუღელვებელი, გულგრილი დამოკიდებულება თემისადმი, განურჩეველი ურთიერთობა თავისივე ნაწარმოების გმირებთან იწვევს პრიმიტიულობას, უგემურობას, სქემატიზმს — ნამდვილი მხატვრული შემოქმედების უპირველეს და ყველაზე საშინელ მტერს. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი რაიმე ემოციური ზეგავლენის მოხდენაზე, ცხოვრების აქტუალური საკითხების გადაჭრაში მხატვრული ნაწარმოების და მისი გმირების აქტიურ ჩარევაზე.

მწერლის ეს მღელვარე პათოსი განსაკუთრებით მაშინ არის საჭირო, როცა ნაწარმოების დადებითი გმირი ებრძვის შემაფერხებელ მოვლენებს, სინამდვილის უარყოფითს, დასაგმობ მხარეებს, ვინაიდან „მავნე მოვლენის შესახებ „მრისხანების“ გარეშე წერა — ნიშნავს მოსაწყენად წერას“ (ვ. ი. ლენინი).

როცა საქმე ეხება დადებითი გმირის პრობლემას, შეუძლებელია მხედველობაში არ მივიღოთ ის გარემოება, რომ დადებით გმირს უკვე მოგერიებითი პოზიცია კი არ უჭირავს, როგორც ეს წარსულში ხდებოდა, არამედ იგი თვით არის გადასული შეტევაზე და გმირულად იბრძვის კომუნიზმის მშენებლობის გამარჯვებისათვის, გუშინდელი დღის გადმონაშთების წინააღმდეგ, იმ შემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერხებელ გარემოებათა წინააღმდეგ, რაც საბჭოთა ადამიანების წინსვლას უშლიან ხელს.

როცა ვლაპარაკობთ დადებითი გმირის პრობლემის შესახებ, მხედველობაში გვყავს საბჭოთა ლიტერატურის მთავარი გმირი, მთავარი და არა მეორეხარისხოვანი. საბჭოთა ლიტერატურის მთავარი გმირი კი უნდა იყოს დადებითი ტიპი, რომელიც არც თუ ისე მცირე რაოდენობით შექმნა ჩვენმა სინამდვილემ, თავისუფალმა შემოქმედებითმა შრომამ. ესენი არიან სოციალისტური წარმოების, საკოლმეურნეო სოფლის, გონებრივი შრომის — მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ნოვატორები, ჩვენი ცხოვრების მოწინავე ადამიანები, რომელთაც თავიანთი ტალანტის, შემოქმედებითი პათოსის პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებით წინ გაუსწრეს ცხოვრებას, არსებულ სინამდვილეს, გახდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხვალინდელი დღის ადამიანები.

რა თქმა უნდა, როცა მწერალი ასეთ გმირს ხატავს, გმირს — ჩვენი სინამდვილიდან აღებულს, ჩვენი ცხოვრების პირმშოს და მას აქცევს თავისი ნაწარმოების მთავარ, წამყვან გმირად, ეს გმირი აღჭურვილი უნდა იქნეს მისთვის დამახასიათებელი დადებითი თვისებებით, მის მოქმედებას უნდა წარმართავდეს ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეები, თვითეული მისი ნაბიჯი უნდა იქნეს მისაბაძი, სამაგალითო და სანიმუშო. მხოლოდ მაშინ ექნება მას პრეტენზია ატაროს საბჭოთა ლიტერატურის მთავარი გმირის, დადებითი გმირის უაღრესად საპატიო და საპასუხისმგებლო სახელი.

ეს გარემოება სრულიადაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ, როგორც ეს ცხოვრებაში ხდება და სინამდვილის პრინციპს ოდნავაც არ არღვევს, დადებითი გმირი ზოგჯერ შეცდეს, შეცდეს უნებლიედ, თავის მოქმედებაში ზოგჯერ სწრაფად ვერ გაერკვეს შექმნილ რთულ სიტუაციაში, მაგრამ მასვე უნდა აღმოაჩნდეს უნარი და მოქალაქეობრივი გამბედაობა საკუთარი შეცდომის შეგნებისა, მასშივე უნდა აღმოჩნდეს ძალა, ენერგია და პრინციპულობა, ყოველგვარი ვიწრო პირადული ქედმაღლობის გარეშე დაგმოს და გამოასწოროს შეცდომა. ამით დადებითი გმირი კიდევ მეტ ღირსებას შეძენს თავის ხასიათს, ამით იგი კიდევ უფრო მომხიბლავი და სრულფასოვანი გახდება, როგორც მხატვრული სახე. მწერალს არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს კარლ მარქსის ცნობილი პასუხი მისთვის მიცემულ შეკითხვაზე — თქვენი საყვარელი დევიზი:—„არავითარი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის". ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც საერთოდ მხატვრული შემოქმედების ყველა მომენტში, გადამწყვეტ როლს შეასრულებს მწერლის მხატვრული ალღო, მისი ესთეტიკური მრწამსი, მისი ტალანტი, ცხოვრების სინამდვილის ღრმა ცოდნაზე დამყარებული მოვლენებისა და ხასიათების დახატვის შესაძლებლობათა, საშუალებათა მრავალფეროვნება, მწერლის გემოვნება, ოსტატობა და შემოქმედების პათოსი.

ჰუმანიურობა, კაცთმოყვარეობა — ეს მთავარი დამახასიათებელი თვისება საბჭოთა მწერლისა, უფლებას არ მისცემს მას გვერდი აუაროს ჩვენს სინამდვილეში არსებულ მანკიერ მოვლენებს.

ვფიქრობთ, არავისთვის წარმოადგენს საჭიროებას იმის მტკიცება, რომ საბჭოთა მწერლის ჰუმანიურობა, მისი კაცთმოყვარეობა არ უნდა იყოს რაღაც განყენებული, აბსტრაქციული სქემა, არამედ ეს კეთილშობილური იდეა უნდა იქნეს მოცემული კონკრეტულ მხატვრულ სახეებში, კონკრეტულ გარემოსა და ვითარებაში. სატირული განზოგადების ხარისხში აყვანილი სოციალური მანკი-

ერება საბჭოთა მწერალმა უნდა გაანადგუროს თავისი მხატვრული ოსტატობის მთელი ძალით, მკაცრი, ჯანსაღი, ნათელი მიდგომით მოვლენებისადმი — ჩვენი ეპოქის მოწინავე იდეების პოზიციებიდან. საბჭოთა მწერალმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი ნაწარმოების დადებითი გმირი არის წამყვანი, ცენტრალური ფიგურა, რომელიც სავსებით კანონზომიერი წარმომადგენელი ძალაა თავისი სოციალისტური სამშობლოსი, იმ გმირი თაობისა, კომუნიზმს რომ აშენებს, კაცობრიობის ყველაზე მოწინავე, ახალი თაობის განმასახიერებელი ტიპი, ახალ სოციალურ და საწარმოო ურთიერთობათა მამოძრავებელი ძალა. ბუნებრივია, რომ ასეთი დიდი მისიის შემსრულებელი გმირი დაჯილდოებული უნდა იყოს, რასაც სწორედ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში აქვს ადგილი, დიდი შინაგანი ძლიერებით, მაღალი მორალით, მტკიცე იდეურ-პოლიტიკური პრინციპებით, მონოლითური, გაუორებელი და მთლიანი ხასიათით. მხოლოდ ამ თვისებებით აღჭურვილი ადამიანები წარმოადგენენ სოციალისტური სინამდვილის შემქმნელ, მამოძრავებელ ძალას. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მდიდარ მასალას იძლევა ასეთი დადებითი გმირის მებრძოლი ბუნების გამოსაკვეთად, მის მხატვრულ სახედ ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება საკმაო მასალას იძლევა აგრეთვე უარყოფითი ტიპებისა და დასაგმობი მოვლენების დასახატავად. საბჭოთა მწერალი ვალდებულია თავის შემოქმედებაში სათანადო ადგილი დაუთმოს უარყოფითი ტიპებისა და დასაგმობი მოვლენების მხატვრულ ასახვას. მას არა აქვს მორალური უფლება გვერდი აუაროს იმ დაუნდობელ ბრძოლას, რასაც ჩვენს ყოველდღიურ სინამდვილეში ადგილი აქვს ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და სიცოცხლის უნარმქონეს შორის. ამ გზით აისახება მრავალფეროვანი მოვლენებით ესოდენ მდიდარი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრება. ამ გზით შესძლებს საბჭოთა მწერლობა თავისი უპირველესი მოვალეობის შესრულებას — მარტოოდენ კი არ უმღეროდეს განახლებულ ცხოვრებას, არამედ თვითონ იდგეს ამ ცხოვრების მშენებელთა მოწინავე რიგებში.

მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობისათვის მზადების პერიოდში ბევრი აქტუალური და გადასაჭრელად მომწიფებული საკითხი იდგა მწერალთა რესპუბლიკურ ყრილობებზე და ჩვენი პრესის ფურცლებზე. რა თქმა უნდა, ყველა მოსაზრება, რაც ამ საკითხებზე პასუხის გაცემის პრეტენზიას აცხადებს, არ იყო სწორი და მართებული სოციალისტური ესთეტიკის, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის თვალსაზრისით. ბევრი კი ამ მოსაზრებათაგან უშუალოდ გამომდინარეობს ჩვენი ეპოქის ყველაზე მოწინავე, ყველაზე მეცნიერული იდეების — მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის უკვდავი იდეების საფუძვლებიდან.

საბჭოთა მწერლები, საბჭოთა მკითხველი, მთელი ჩვენი ხალხი დიდი მღელვარებით ემზადებიან მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობისათვის, რომელიც, ეჭვი არ არის, ყველა მტკივნეულ და დღემდე გაურკვეველ შემოქმედებითს პრობლემას ამომწურავ პასუხს გასცემს. ყრილობა დასახავს სწორ გზებს საბჭოთა ლიტერატურის — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის — შემდგომი წინსვლის, აღმავლობისა და განვითარებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲔᲣᲚᲘ

ᲝᲪᲓᲐᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ

★

ოცდაჩვიდმეტი წელიწადია,
გმირობის წელი ოცდაჩვიდმეტი,
ყველგან მზესავით ბრწყინავს, ანთია
ოქტომბრის დროშა — ჩვენი იმედი.

ოცდაჩვიდმეტი წლისა ვართ ყველა,
თუმცა ზოგიერთს გვიმძიმს ჭაღარა,
გვახსოვს ოქტომბრის ქუხილი, ელვა,
ქუჩებში სისხლი რომ იდგა ღვარად.

ოცდაჩვიდმეტი წელიწადია
და გუშინდელი დღე არის თითქოს, —
ვიგონებთ, — ცეცხლი ნაპერწკალიდან
როგორ გაღვივდა, როგორ აინთო.

ცხრაასჩვიდმეტი... ოცდაჩვიდმეტი, —
დაბადების და გაზრდის წლებია,
დღეს ჩვენთან ერთად ხარობს ჩინეთიც, —
მილიონები ჩვენი ძმებია...

ოცდაჩვიდმეტი წელიწადია, —
ოქტომბრის ჰიმნი რაც შემოვძახეთ,
წინ მიგვიძღვება ჩვენი პარტია, —
ლენინის სახე, სტალინის სახე.

ოცდაჩვიდმეტი წელიწადია,
გმირობის წელი ოცდაჩვიდმეტი,
ყველგან მზესავით ბრწყინავს, ანთია
ოქტომბრის დროშა — ჩვენი იმედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მირცხულავა

ჰიმნი გედადგეს

★

დიდება ლენინს! მან საუკუნის
სამმაგი რისხვა მტრებს მიუზღო და, —
რუსეთის მიწა დასძრა გუგუნით,
ოქტომბრის გრიგალს მხნედ მიუძღოდა.

დიდება სტალინს! მან დაარბია
შემოსეული ურდო უცხოთა,
მილიონების დასძრა არმია,
ჩვენს გამარჯვებას ის მიუძღოდა.

დიდება დიად გმირულ პარტიას! —
ხალხს იცავს, ხალხმაც მკვიდრი უწოდა,
ორი მზე დროშად აუმართია,
ქვეყნებს მნათობად რომ მიუძღოდა.

ჩვენც მათი ძალა გამოგვყოლია,
ხალხს ბრძოლისაკენ ვინც მოუწოდა,
მუდამ ვადიდებთ ორ დიდ გოლიათს,
ვინც ამ ცხოვრებას წინ მოუძღოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი

ნახატი პ. ვასილიევისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

უღელტეხილი*

☆

თავი ოცდამეოთხე

დარეკა თუ არა ტელეფონმა, ლილი მაშინვე მისკენ გაექანა. წასასვლელად გამზადებული მორთულ-მოკაზმული დედამისი კი კარებში შეჩერდა და ქალიშვილს უთხრა:

— ისაა ალბათ.

— დაიცა... ჰო,—ხელის აქნევით შეაჩერა ლილიმ დედა და მილში ჩასძახა: — რეზო ხარ?... რა ცუდად ისმის... ჰო, შინა ვარ. ჰო, სულ მარტო... სადა ხარ აქამდე... მოხვალ? კარგი დაგიცდი.

ოლიკომ ხელი ჩაიქნია, ქალიშვილის ლაპარაკის დამთავრებას არ დაუცადა და წავიდა. თეატრში მას სურდა ენახა ძველი თაყვანისმცემელი მსახიობი, რომელმაც წინასწარ გამოუგზავნა ბილეთი და სთხოვა აუცილებლად დასწრებოდა სპექტაკლს, თანაც უთვლიდა, რომ შინ თვითონ მიაცილებდა. ომის გამო წარმოდგენები ჩვეულებრივ დროზე ორი თუ სამი საათით ადრე იწყებოდა და ოლიკო ჩქარობდა, არ დაეგვიანებინა.

ლილი კი ისევ განაგრძობდა ტელეფონით ხაუბარს.

— კარგი რა, რეზო... რა უცნაური ხარ... საიდან ლაპარაკობ?. ავტომატით?.. გეუბნები, სულ მარტო ვარ... მოსამსახურეც არაა. ჰო, დღეს კვირაა... ნუ სულელობ... მოდი... შენ ხომ იცი, რომ... მოდი, მოდი და აქ გეტყვი ყველაფერს.

ლილიმ ტელეფონის მილი დასდო და სარკესთან მივარდა, თმები შეისწორა. ტანზე საშინაო იაპონური ხალათი ეცვა. დააპირა კაბა ჩაეცვა, მაგრამ გადაიფიქრა. თვეზე მეტი იყო, რაც რეზო არ ენახა. სახლში არ უხვდებოდა, რამდენჯერმე ღამის ორ საათზე ტელეფონით დაურეკა, უპასუხეს: არ მოსულა, ჩვენ თქვენსა გვეგონაო.

ზაფხულის განმავლობაში სტუდენტები კოლმეურნეობებში სამუშაოდ წაიყვანეს. ლილიმ თავი გაითავისუფლა. მას მართლაც არ შეეძლო მინდორზე მუშაობა. რეზოც არ წავიდა, მაგრამ თითქოს თბილისში არც ყოფილიყოს, მთელი ზაფხულის განმავლობაში თვალით არა ჩანდა.

ლილიმ რამდენჯერმე მოინახულა ეორა. არც მან იცოდა რაიმე რეზოს შესახებ. ეორა ახლა საკომისიო საქმეებით იყო გართული. ვისთვის კოსტიუმი უნდა გაეყიდა, ვისთვის ფაიფურის ჭურჭელი, ვისთვის საზღვარგარეთული ფეხსაცმელი და ათასი ამგვარი საქონელი.

ლილიმ იცოდა, რომ ეორას ბინაში ხშირად იმართებოდა ქეიფი. ასეთ ქეიფში თვითონაც მიეღო რამდენჯერმე მონაწილეობა რეზოსთან ერთად. ეორას მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ მის პატარა ოროთახიან ბინაში, სადაც პატეფონიც იდგა, რადიოც და, თუ პატარა პურმარილს წაიღებდნენ, ყოველთვის შეიძლებოდა მხიარულად დროს გატარება. ეორასთან ყველაზე ხშირად რეზო დადიოდა და ლილი, როგორც კი მას ვერც საკუთარ ბინაზე და ვერც სხვა ნაცნობებში აღმოაჩენდა, მაშინვე

* დასასრული. იხ. „მნათობი" № 10.

ჟორასთან გარბოდა. ერთხელ იმაზეც წაასწრო, როდესაც რეზო ვიღაც მეტისმეტად შეღებილ ქალს ჩახვეოდა. ამის გამო მაგრადაც წაიჩხუბნენ, მაგრამ ისევ ჟორამ შეარიგა ორივე.

კოსტიუმის „დაკარგვის“ შემდეგ რეზო მთელი კვირა აღარ გამოჩენილა. ლილიმ მაშინვე ჟორას მიაკითხა, მაგრამ იმანაც არა იცოდა რა. ლილიმ არ დაუჯერა, რადგან ჟორასთან ორი ქერათმიანი ქალი ნახა და იმწამსვე გაიფიქრა, ალბათ ამ ორში ერთი მათგანი რეზოს ელოდებაო. ჟორა ფიცით იჭეშმარიტებოდა, რეზო თვალით არ მინახავს და არც ვიცი, სად არისო.

— მაშ ამ ორში მეორის კავალერი ვინაა?—ჰკითხა ლილიმ ქართულად და თვალით ქალებზე ანიშნა.

— ჩემმა მზემ, გრიშა უნდა მოვიდეს, რეზო ამათ არც კი იცნობს, ლილიჯან.

— მაშ სად არის, არ იცი?

— არ ვიცი. თუ გინდა დაიცადე, გრიშა უნდა მოვიდეს, იქნებ იმან იცის.

— მალე მოვა?

— აქამდე უნდა მოსულიყო.

მალე გრიშაც მოვიდა ბოთლებითა და ქაღალდებში შეხვეული სურსათით დატვირთული. ლილიმ კარებშივე მიაძახა:

— გრიშა, რეზო არ გინახავს?

— რეზო?—თითქოს გაიკვირვა გრიშამ, კარებში შედგა და დაბნეულად მიმოიხედა. მერე მაგიდას მიუახლოვდა, ხელები დაიცალა და ლილის მოუბრუნდა. — როგორ არა. ჩემთან იყო, სწორედ ახლა დამშორდა და მგონია სახლში წავიდა.

— სად დაგშორდა?

— პროსპექტზე.

— სად იყავით?

— სად ვიქნებოდით? ამხანაგთან ვმეცადინეობდით. ხომ იცი, საგანს ვამზადებთ!

— რომელ ამხანაგთან?

— შენ არ იცნობ. ფხაკაძეა ერთი.

ლილი მაშინვე გაიქცა რეზოსთან, მაგრამ შინ არ დაუხვდა. იქედან თავის ბინაში დარეკა ტელეფონით, ჩვენთან ხომ არ მოსულა ან ხომ არ დაურეკიაო, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა. რეზოს მშობლებიც შეწუხებულნი იყვნენ იმით, რომ ამ ბოლო დროს მათი ვაჟი იშვიათად ათევდა ღამეს სახლში. მართალია, იგი დედ-მამის წინაშე თავს იმით იმართლებდა, საგანს ვამზადებ და ამხანაგთან მძინავსო, მაგრამ არც დანიელს და არც ტასოს ასეთი პასუხი არ აკმაყოფილებდათ. ორივენი ეხვეწებოდნენ, ვინ არის ის შენი ამხანაგი, მოიყვანე აქ, ერთი კი არა, თუნდაც ათი იყოს, დაჯექით და იმეცადინეთო, მაგრამ რეზო ყურსაც არ იბერტყავდა, პირიქით, კატეგორიულად მოითხოვდა, მის საქმეში არ ჩარეულიყვნენ.

ასე გავიდა თვეზე მეტი და ახლა მოულოდნელად, თითქოს ზეციდან ჩამოვარდნილიყოს, თვითონ დაურეკა ლილის — მოვდივარო.

ლილი მოუთმენლად ელოდა. ხან სარკეში ჩაიხედავდა, ხან აფორიაქებულ წიგნებს ალაგებდა, ისე ღელავდა, თითქოს თავის სატრფოს პირველად ხვდებოდა. ერთხანს მართლა ძალზე გაჯავრდა და ათიოდე დღის უშედეგო ძებნის შემდეგ გადაწყვიტა, საბოლოოდ განშორებოდა, რომ მოსულიყო, სახლიდან გაეგდო, ხმა არ გაეცა, სასწრაფოდ გათხოვილიყო, როგორც ერთხელ ჩაიდინა, კიდევაც სცადა, ვინმე ისეთი გაეცნო ან მოენახა, მაგრამ არავინ არ შეხვდა. დაიფიცა, ქალი არ ვიყო, თუ არ ვცემო და ისე არ გავაგდო სახლიდანო, მაგრამ, როგორც კი ტელეფონში მისი ხმა გაიგონა, მაშინვე მუხლებში სისუსტე იგრძნო და გული აუჩქროლდა. არც თვითონ იცოდა, რისთვის უყვარდა ასე თავდავიწყებით ეს ახალგაზრდა კაცი. ბევრჯერ შეჰკითხვია თავისთავს. ლამაზი ბიჭი იყო და, ცხადია, ამას უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა, სხვა გოგოებიც გიჟდებოდნენ მისთვის. მაგრამ ეს ხომ საკ-

მარისი არ იყო, არავითარი სხვა კარგი ღირსება რეზოს არა ჰქონია. არც ჭკუამახვილობა, არც მიმზიდველი მანერები, არც ნიჭი. არაფერი მას არ აინტერესებდა — არც მეცნიერება, არც ხელოვნება, არც პოლიტიკა, ფეხბურთის მატჩებზედაც კი გულგრილად დადიოდა. ლაპარაკობდა, როგორც ყველა, იცინოდა, როგორც ყველა, და რადგან გრძნობდა, რომ ლამაზი იყო, ამიტომ მთელ ქვეყანას ზემოდან დასცქეროდა.

ლილის კი უყვარდა იმიტომ, რომ რეზო ლამაზი იყო, ამასთანავე ყოველთვის მოხდენილად იყო ჩაცმული, და, რაც მთავარია, გოგოები გიჟდებოდნენ მისთვის. ყველგან — ოჯახში, კინოში თუ უნივერსიტეტში გოგოებისაგან ხშირად გაიგონებდით რეზოს სახელს: რეზო გავაშელი თუ ნახე, დღეს რეზო გავაშელი შემხვდა და ისე გადმომხედა, ეს ბიჭი ძალიან ჰგავს რეზო გავაშელს, რეზო გავაშელი თურმე ცოლს ირთავს, შეხედეთ, ესაა რეზოს სატრფო, ლამაზია არა?

ლილის თავბრუს ახვევდა ასეთი ამბების მოსმენა და, რაც დრო გადიოდა, უფროდაუფრო უღვივებდა სიამაყის გრძნობას. ის სრული დარწმუნებული იყო, რომ ყველაზე შესანიშნავი ახალგაზრდა უყვარდა.

კარებთან ზარმა დაიწკრიალა და ლილი გაექანა შესაგებებლად.

რეზო შევიდა დერეფანში და ლილის ნაძალადევი ღიმილით შეხედა. თვალები ამოლურჯებული ჰქონდა და სახეზე ეტყობოდა საოცარი მოქანცვა.

— მე შენ ხმას არ გცემ, — უთხრა ლილიმ, კარები ჩაკეტა და ოთახში შეუძღვა.

— რატომ? — ხმა თითქოს ჩახლეჩილი ჰქონდა რეზოს.

— სადა ხარ აქამდე?

რეზომ არ უპასუხა, ოთახი შეათვალიერა.

— მარტო ხარ?

— ჰო, — უპასუხა ნახევრად შებრუნებულმა ლილიმ და ქვემოდან ახედა რეზოს. — დაჯექი.

— რას აკეთებ მარტოკა.

— არაფერს. დაჯექი, რა ფეხზე დგახარ!

— წამოდი, წავიდეთ სადმე.

— სად წავიდეთ. შინ არავინ არ არის. დედა თეატრშია. ტანიას დღეს გამოსასვლელი დღე აქვს, დილამდე არ მოვა. დაჯექი, მიამბე, სად მემალებოდი. — დაჯდა ლილი ტახტზე და ხელის დაკვრით ანიშნა ადგილი თავის გვერდით.

რეზო დაჯდა, მაგრამ თითქოს რაღაც გაახსენდა, მაშინვე ნერვულად წამოიჭრა ფეხზე.

— არ წამოხვალ?

— რა მოგივიდა? — გაოცდა ლილი, — გამაგებინე მაინც, სად უნდა წამოვიდე.

— წამოდი, ჩვენც წავიდეთ თეატრში. ჰაერზე გავიდეთ. თვენახევარია, თავი არ ამიღია, სულ დახუთულ; პაპიროსის ბოლით გაჟღენთილ ოთახში ვზივარ. თავი მტკივა.

— საგანს ამზადებდი?

— ჰო... — რაღაც გაჭირვებით თქვა რეზომ და გაიღიმა.

— ამხანაგთან ამზადებდი?

— ჰო.

— ის ამხანაგი ქალია თუ ვაჟი?

— ეგ რა შენი საქმეა? ვაჟია.

— სტყუი. რატომ არ გინდა ჩემთან დარჩენა, გეშინია?

რეზომ გადაიხარხარა. ლილის უცბად გვერდით მოუჯდა, წელზე ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა. ლილიმ გულზე ხელები მიაბჯინა და თავის განთავისუფლება სცადა.

— მომცილდი. მიგიხვდი ხომ?

— სულელი ხარ. მთლად სულელი...

— შენ ვერ მომატყუებ.

— რომ დაგიმტკიცო, მერე, წამოხვალ? — რეზომ ლილი მუხლებზე გადაიწვინა და ცდილობდა ტუჩებში ეკოცნა. ის კი თავს არიდებდა, ტუჩებს ხან

მკერდზე უმალავდა, ხან ხელს იფარებდა.

— წამოხვალ?

ლილიმ არ უპასუხა, სახეში შეხედა, რეზომ დრო იხილთა და ტუჩებზე დაეკონა.

— წამოხვალ?

— კარგი, წავიდეთ.

ლილიმ გაიძრო ხალათი, პერანგი და ნახევრად შიშველმა რეზოს თვალწინ დაიწყო ჩაცმა. კარადა გამოაღო, მოქარგული პერანგი გამოიღო, სამხრე მოწყვეტილი აღმოაჩნდა. ნემსი მოძებნა, სავარძელის სახელურზე ჩამოჯდა და სასწრაფოდ დაიწყო მიკერება. რეზო პაპიროსს ეწეოდა.

— ამ დილით დაჭრილები გადმოყავდათ ავტობუსებით, — დაიწყო ლილიმ, ძაფი გადაკვნიტა, ნემსი ფარდაზე დაამაგრა და პერანგი ჩასაცმელად მოიმარჯვა—რამდენი დაჭრილები მოჰყავთ! რას გაჩუმებულხარ? შემომხედე, შენ რომ მოგწონს, ის კაბა ჩავიცვი. ყველაფერში მინდა გასიამოვნო, შენ კი არ მაფასებ. კალილა რომ გათხოვდა, გაიგე? ქმარი ფრონტზე ჰყავს. წერილი კი მიუწერია — გშორდებიო. იცი, ვის გაჰყვა? გაოცდები. თავისსავე უფროსს. იმას კიდევ ცოლ-შვილი მიუტოვებია კალილას გულისთვის. ახლა ერთ პატარა ოთახში ცხოვრობენ. აჰა, მზადა ვარ უკვე. შემომხედე, კარგი ვარ?

ლილი კეკლუცად შეტრიალდა და შექების მოლოდინში რეზოს შეაცქერდა, მაგრამ მისმა გაფითრებულმა სახემ შეაშინა. რეზო მძიმედ სუნთქავდა და ტუჩებს იკვნეტდა. ლილი დამფრთხალი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— რა მოგივიდა?

— არაფერი, დაჯექი. არსადაც არ მივდივართ.

— რატომ? მაშ რად ჩავიცვი?

— გადავიფიქრე. თეატრში უკვე გვიანაა. ქუჩებში ბნელა, კინოებში არაფერი არ მიდის. მერე-და, ახლა გამახსენდა, რომ ჯიბეში ერთი გროშიც არა მაქვს.

— სულელო, მაგის გამო ლელავდი? — გაიცინა ლილიმ და რეზოს კისერზე ორივე ხელი მოხვია, — მე მაქვს ფული. წამოხვალ?

— არა.

— კარგი. როგორც გინდა. — უხასიათოდ ჩაილაპარაკა ლილიმ. რეზოს მოშორდა, ბერეტი მოიხადა და სავარძელში ისროლა. მას ახლა თვითონ სურდა წასვლა, იზიდავდა თეატრში შეგროვილი ხალხი, ფოიეში თავის ტოლებთან ჩურჩული და უცნობი მამაკაცების მასზე შეჩერებული აღტაცებული მზერა.— შენ სულ აგრე იცი. ყოველ წუთში იცვლი განწყობილებას. მე სულაც არ მინდოდა წასვლა.

— გამებუტე?

— სულაც არ გებუტები, ისე ვთქვი.

— მოდი, დავსხდეთ. რომელი საათია? — შეხედა კედლის საათს რეზომ, — ათი სრულდება. დაჯექი.

— აი დავჯექი. მერე?

ორივენი ერთმანეთს უცქეროდნენ. რეზო ჩუმად იყო. მას სურდა ლილისთან საუბარი, მაგრამ არ იცოდა, რაზე ელაპარაკა. თავში არაფერი მოსდიოდა. მას ახლა ისეთი განცდები აწუხებდა, რომ მათ შესახებ არათუ ლილისთან, თავის თავთანაც კი არ შეეძლო საუბარი. ცდილობდა სხვა სალაპარაკო თემა გამოენახა, მაგრამ ვერ ახერხებდა. თავისდაუნებურად ისევ იმ ამაღელვებელმა ფიქრმა შეიპყრო, რომელმაც უარი ათქმევინა თეატრში წასვლაზე. ის მთელი ამ თვენახევრის განმავლობაში გატაცებული იყო გურგენასთან ზარის თამაშით. ორივენი ღამეებს ათენებდნენ, მათ რამდენიმე სხვა მოთამაშეც მიემატათ. გრიშა უკვე აღარ მონაწილეობდა ამ თამაშში. მის ანგარიშში სრულიადაც არ შედიოდა, რომ ამ წუმპეში ღრმად შეეტოპა და შიგ ჩამხრჩვალიყო. სოფლის სკოლაში გაზრდილ ახალგაზრდა კაცის ბუნებაში მაინც სჭარბობდა ცხოვრების

დიდ გზაზე გასვლის სურვილი და ამიტომ ის ცდუნებათა ხაფანგებს შორის ისე ფრთხილად და ანგარიშიანად დაადგებოდა, რომ ყოველთვის ცდილობდა მოსატყუებელი ლუკმაც დაეთრია და ხაფანგშიც არ გაბმულიყო, თუ ატყობდა, რომ საფრთხე საკმაოდ საშიში იყო და მახეს ვერ გაექცეოდა, რაგინდ მომხიბლავი და მადის აღმძვრელიც არ უნდა ყოფილიყო მისატყუებელი საკბილო, რაგინდ დამშეულიც არ უნდა ყოფილიყო იგი, ამ მახეს არ მიეკარებოდა.

როდესაც ეს ახალგაზრდა კაცი უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო და გადაბიჯა ინსტიტუტის ზღურბლს, მაშინვე დაიფიცა: როგორი გაჭირვებაც არ უნდა ენახა, მაინც კაცი გამოსულიყო. ამ მიზნით ის დაუახლოვდა და დაუმეგობრდა რეზო გავაშელს. მას ეგონა, თუ მიშველის, ეს მიშველის, კარგ ოჯახში გაზრდილი პროფესორის შვილი, და გზაზე გამომიყვანსო. ამიტომ რეზოს მუდამ მოჯამაგირე ბიჭივით ემსახურებოდა და ყოველ მის ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდა. ცდილობდა ყველაფერში მისთვის მიებაძა და მაშინ პირველად გაიგო გრიშამ, რომ ქუჩაში გაფურთხება და ცხვირში თითის გაყრა უზრდელობა იყო, რომ არ შეიძლებოდა სუფრაზე ჯდომის დროს ლანგარიდან რაიმეს ხელით დათრევა, ჩაის ან წვენის ხრუპუნ-ხრუპუნი, ლუკმის ღეჭვის დროს წლაპუნი. ყველაფერი ეს ყოვლად დაურიდებლად, მაგრამ საკმაოდ დიპლომატიურად რეზოს დედამ აუხსნა გრიშას. ამ ოჯახის აღმზრდელობითი ზეგავლენა გრიშას მიმართ მხოლოდ ამით ამოიწურა. ახლა, პირიქით, რეზომ გადაძალა და უფსკრულში გადათრევა მოუნდომა. გრიშამ ოჩანი ცხენივით ჯიუტად აიქნია თავი და თავის მეგობარს ჭკუის დარიგება დაუწყო. რეზომ ეს შეურაცხყოფად მიიღო და სილა გააწნა. მას შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ ელაპარაკებოდნენ. გრიშა გაფაციცებით მეცადინეობდა, რეზო კი

6638

თავდავიწყებით გადაეშვა მძაფრ განცდათა უძირო მორევში. გარიცხვის შიშით ის დღისით, მართალია, ლექციებს ესწრებოდა, მაგრამ ყოველ მოხერხებულ დროს, როგორც კი საიდანმე ფულს იშოვნიდა, კიდევ უფრო დიდი გულმოდგინეობით მირბოდა გურგენასთან ან საშა კოსოისთან სათამაშოდ. და აი, ერთ საღამოს, როდესაც გურგენამ რეზო მთლად გაატყავა და იგი მაინც აღარ ეშვებოდა, პირობა მოსთხოვა, „პრისტავკა" არ მინდა, საქმე მოაწყე, შენი შეყვარებულის ბინას „აბჩისტკა" ვუყოთ და ოცი ათასი მანეთის ანგარიშში, რამდენსაც გინდა, გეთამაშებიო. რეზოს მარტო დრო უნდა შეერჩია, გაეგო, ბინაში რომ არავინ იქნებოდა, და გურგენასთვის ეცნობებინა, თვითონ კი შეეძლო სულაც არ გამოჩენილიყო. დასთანახმდა, ოცი ათასი მანეთი წააგო და ახლა ამ ვალის ანგარიშში ვალდებული იყო საქმე გაეჩარხა. გურგენა და საშკა კოსოი გარეთ იცდიდნენ. რეზოს ლილი ერთი-ორი საათით სადმე უნდა გაეტყუებინა და ამასობაში გურგენას თავისუფლად შეეძლო მთელი ბინა გაეწმინდა. თავდაპირველად რეზო ძალიან თამამად მივიდა ლილისთან. გურგენას კი დაუბარა ქუჩის კუთხეში მოეცადა, მაგრამ რატომღაც ახალგაზრდა კაცი ახლა შიშმა შეიპყრო. უცბად წარმოიდგინა: საქმე რომ გამომჟღავნებულიყო, სად უნდა გადაკარგულიყო! ამიტომ გადაწყვიტა ისევ თავი ემართლებინა გურგენასთან და ეთქვა: რა ვქნა, გარეთ ვერ გამოვიყვანე ჩემი სატრფოო, თუმცა ისიც იცოდა, ასე ადვილად თავს ვერ დააღწევდა ამ მდგომარეობას და ადრე თუ გვიან, სულ ერთია, მაინც უნდა მოეწყო გურგენასათვის საქმე. მასთან ხუმრობა არ შეიძლებოდა.

რეზოს სურდა პირველ საათამდე დაეცადა ლილისთან, როდესაც უკვე ქუჩებში მოძრაობა შეწყდებოდა და ლამის პატრულების შიშით გურგენა იძულებ-

ბული იქნებოდა შინ ხელცარიელი წასულიყო, მაგრამ იფიქრა: ადრე წასვლა აჯობებს, რადგან გურგენა უფრო დაიჯერებს, რომ საქმე არ ეწყობაო. მაშინვე ქუდს წამოუსვა ხელი და ლილის უთხრა:

— წავედი.

— ვაიმე, რატომ? — გაოცდა ლილი.

— ახლა გამახსენდა, გადაუდებელი საქმე მაქვს.

— რა საქმე?

— მერე გეტყვი, — უკვე კარებიდან უპასუხა რეზომ.

— მოიცა, მეც მოვდივარ.

ლილი უცბად ეჭვმა შეიპყრო, მაშინვე ჩაუთქვა: თუ რეზომ იუარა ჩემი თანხლება, მაშინ სხვა ქალთან მიდისო. ბერეტს ხელი დაავლო, პალტოს მისწვდა და გზადაგზა ჩაცმა დაიწყო.

რეზო შედგა და ლილის უხეშად შეუტია:

— სად მოდიხარ. რას ამედევნე!

— აგრე ხომ? ვიცი, ვისთანაც მიდიხარ.

— არავისთანაც არ მივდივარ.

— არა, მიდიხარ.

— გეუბნები, არა-მეთქი.

— მიდიხარ, მიდიხარ, მიდიხარ! წაბრძანდი. სულელი ვარ, სულელი, შენი გულისათვის ღამეები არ მძინავს, შენ კი, შენ... წადი, თუ მიდიხარ, რაღას უდგეხარ! — ფეხები დაუბრახუნა გაკაპასებულმა ლილიმ, პალტო შეისწორა და სარკისაკენ შებრუნდა, რომ ბერეტი დაეხურა.

— შენ სადღა მიდიხარ? — წყნარი ხმით ჰკითხა რეზომ.

— შენი საქმე არაა.

— ჩემთან გინდა წამოხვიდე?

ლილიმ არ უპასუხა, სარკესთან ისევ განაგრძობდა ბერეტის სწორებას. მერე მობრუნდა და ოთახში რაღაცას დაუწყო ძებნა.

რეზო კარებთან იდგა და ლილის თვალს ადევნებდა.

ლილიმ მონახა თავისი რედიკული და წარბშეკრულმა მხოლოდ ახლა შეხედა რეზოს გაკვირვებული თვალებით.

— წადი, თუ მიდიხარ!

— შენ გელოდები.

— მე შენთან არ მოვდივარ. შეგიძლია მიბრძანდე.

— სულელი!

— სულელიც ხარ და ერთიც მეტი!

— მოდიხარ?

— გადი გარეთ, კარები უნდა დავკეტო.

რეზო გავიდა დერეფანში. ლილიმ სინათლე ჩააქრო, კარები დაკეტა და გასასვლელისაკენ გაემართა, ბნელაში რეზოს დაეჯახა. მკლავში ხელი გაუყარა და მასთან ერთად კიბეზე თამამად ჩაბიჯა.

— გამაბრაზე, მაგრამ დასამტვრევად მაინც არ მემეტები, — უთხრა ლილიმ რეზოს, — ახლა მაინც მითხარი, სად მიდიხარ?

— სადაც შენ ისურვებ.

— უჩემოდ სად აპირებდი?

— ჟორასთან მინდოდა წასვლა. პოკერის თამაშს ვაპირებდი.

— შე უსინდისო, პოკერში მცვლი, არა გრცხვენია? — უთხრა ლილიმ და შერიგების ნიშნად მკლავზე ხელი მაგრად მოუჭირა.

*
* *

ღამის პირველის ნახევარზე სამივენი — ლილი, დედამისი და რეზო შინ ბრუნდებოდნენ. რეზო მათ ბინამდე მიაცილებდა, თუმცა ოლიკომ რამდენჯერმე უთხრა:

— რეზო, წადი სახლში, თორემ პირველ საათზე პატრული აღარ გაგიშვებს და დაგიგვიანდება.

— არა, რას ბრძანებთ. გაგაცილებთ, გზაში არავინ გაგძარცვოთ.

— იჰ, შენ რას გვიშველი. წადი!

— არაფრის გულისათვის!

— დედა, რა გაუჭირე საქმე, — შეუტია ლილიმ, — ბოლოსდაბოლოს დარჩეს ამაღამ ჩვენთან. სულ ერთია, მამა მაინც არ არის შინ. რა მოხდება!

— ეგეც შეიძლება, — დაეთანხმა ოლიკო.

ორივენი, დედაც და ქალიშვილიც, კარგ გუნებაზე იყვნენ და წამდაუწუმ კისკისებდნენ. ლილის სულ დაავიწყდა რეზოსთან წაჩხუბება, თეატრში ერთი წუთითაც არ მოშორებია თავის საქმროს. მასთან ხელგაყრილი სეირნობდა ანტრაქტის დროს და მთელ საღამოს ენა არ გაუჩერებია. რეზოსაც თითქოს დაეტყო გამოცოცხლება და ლილისავე თქმით, ის არასოდეს არ ყოფილა ისეთი კარგი, როგორც ამ საღამოს. საოცრად თავაზიანად ეჭირა თავი, ენამახვილობდა და განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ლილისადმი.

გზაში სპექტაკლი აღარ ახსოვდათ, სამივენი გაერთნენ ჩვეულებრივი ჭორიკანობით და სიცილ-კისკისით.

ლილიც და ოლიკოც ისე კისკისებდნენ, რომ ვიღაცამ ბნელში დაიძახა:

— რა მხიარული საზოგადოებაა. ომი არ დასტყობიათ!

ამ შენიშვნამ დედა-შვილი შეაკრთო. ნაბიჯს აუჩქარეს. ლილი, სიცილისაგან ღონემიხდილი, რეზოს მკლავზე ჩამოეკიდა და ფეხები თრევით მიჰქონდა. სიცილის მიზეზი ანა ფარნაოზის ასული იყო. ეს საოცრად შავგვრემანი ქალი უკვე ხანში შესული, მაგრამ გაუთხოვარი იყო, ის ამაყობდა იმით, რომ ორმოც წლამდე თავი უმანკოდ შეენახა და მუდამ გესლიანად სისინებდა სულელ მამაკაცებზე. მათ თურმე სრულიად არა ჰქონიათ ჭკუა თავში, როდესაც პატიოსნებით აღსავსე ქალებს ზედაც არ უცქეროდნენ და ნამუსზე ხელაღებულ ქალებს ცოლად ირთავდნენ. ამიტომ ამ ქალს არათუ მამაკაცები, ყოველი კეკლუცი ქალი ეჯავრებოდა და, პირველ რიგში, ოლიკო თავისი ქალიშვილით.

— ოჰ! აუცილებლად გვეწყინება რამე ამ საღამოს, ამდენს რომ ვიცინით, — თქვა ოლიკომ, — მოდით ახლა რაშეზე ვილაპარაკოთ.

ისარივით მოხვდა ეს სიტყვები გულზე რეზოს და ჟრუანტელმა გველივით დაურბინა სხეულში. როგორი სიამოვნებით მიატოვებდა ახლა ორივეს და გაიქცეოდა! უცბად ჩაიძირებოდა სიბნელეში და დაემალებოდა ყველაფერს. არაფერზე არ იფიქრებდა. მარჯვნივ გაიხედავდა — სიბნელე იქნებოდა, მარცხნივ — იქაც სიბნელე, წინ — კიდევ ქუფრი კუნაპეტი ღამე, და ამ ღამეში იქნებოდა თავისთვის უდარდელად!

რეზოს სურდა ახლავე გამოსთხოვებოდა დედა-შვილს და წასულიყო, მაგრამ გამბედაობა არ ყოფნიდა. „ეჭვს აიღებენ“ — ფიქრობდა რეზო და, რაც უფრო ატყობდა თავს, რომ შიშის გრძნობას თავს ვერ ართმევდა, მით უფრო ბრაზდებოდა. სიმწრისაგან კბილს კბილზე აჭერდა.

„წასვლა არ ვარგა. ეჭვს აიღებენ. უმჯობესია მივყვე, მაგრამ რომ დავიბნე? როგორ უნდა დავიბნე? ვაქკაცი არა ვარ?“

მუხლები თანდათან ეკვეთებოდა. ახლა უკვე ძლივს მიაბიჯებდა. „იქნებ არაფერიც არ მომხდარა“ — სცადა თავი ენუგეშებინა, მაგრამ მაშინვე გაახსენდა, ლილისთან ერთად რომ გამოვიდა ქუჩაში, გურგენამ პირობის თანახმად პაპიროსის მოკიდება სთხოვა, რეზომ კი უპასუხა: „დაბნელებაა, ამხანაგო“, „ბოდიში, დამავიწყდა“. ეს იყო მათი პაროლი.

კიბეზე მოუხვიეს, მეორე სართულზე ავიდნენ. კიბის ტალანში ძალზე ბნელოდა.

ლილიმ გასაღები მოძებნა, კარებს ხელი მოუფათურა.

— ვაიმე, კარები ღიაა. მამა ჩამოვიდა? — წამოიძახა ლილიმ.

რეზოს ყურებში შხუილი დაეწყო, საოცარი შხუილი. დედა-შვილის ლაპა-

რაკი და შეკივლება ნაწყვეტნაწყვეტად ესმოდა.

სამივენი ბინაში შევიდნენ, სინათლე აანთეს და დედა-შვილმა თავში ხელი წაიშინა. მთელი ბინა არეული იყო, კარადები დახსნილი, სკივრები და ჩემოდნები თავახდილი, ნივთები მიმოფანტული.

ოლიკოს უცბად დაეკარგა ფერი და მოცელილივით წაიქცა იატაკზე. რეზო წყალს ეცა და სახეზე აპკურა. ლილი ლოყებს იხოკავდა, კარადებს ათვალიერებდა, თავახდილ ზანდუკებში იჭყიტებოდა, ოთახიდან ოთახში გარბოდა და მისი კივილი ცას სწვდებოდა.

რეზომ, როგორც იქნა, მოაბრუნა ოლიკო, სავარძელში ჩასვა და შეაცქერდა ლილის, რომელიც შეშლილივით იმეორებდა:

— ყველაფერი წაუღიათ, ყველაფერი წაუღიათ.

— მომკალით, — ამოიკვნესა ოლიკომ, — მომკალით რეზო, იარაღი არა გაქვს? მესროლე, გენაცვალე, ჩემთვის ერთი ტყვია გენანება?

— დამშვიდდით, ქალბატონო ოლიკო, ახლავე სისხლის სამართლის მილიციას დავურეკავ...

— ყველაფერი წაუღიათ, ყველაფერი, — იმეორებდა ლილი, — ჩემი იაპონური აბრეშუმის კაბაც, ვაიმე, დედა, ტუფლები, ჩემი ესტონური ტუფლები, ლაკის ტუფლებიც, შალის ახალი კოსტიუმიც, დედავ... დეეედა!..

ლილის ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები.

დედა-შვილის წივილ-კივილმა მთელი სახლი შეძრა. მოცვივდნენ მეზობლები. ზოგი დედა-შვილს ამშვიდებდა, ზოგი გატეხილ ინგლისურ ბოქლომს ათვალიერებდა. ატყდა ერთი ვაი-ვაში, მუხლებზე ხელების ცემა, სჯა-ბაასი, მკითხაობა — ვინ უნდა ყოფილიყო ქურდი, ან როგორ უნდა შემოსულიყვნენ ბინაში. ხან ვის აბრალებდნენ ქურდობას, ხან ვის.

რეზომ ტელეფონით დარეკა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში, მაგრამ მეზობლებმა ლაპარაკი არ აცალეს, ყველა ვალდებულად თვლიდა თავს, თვითონ დალაპარაკებოდა მორიგე თანამშრომელს, და რას არ მოითხოვდნენ, — მეძებარ ძაღლებსაც, დამნაშავეთა დაუყოვნებლივ დაპატიმრებასაც, და ერთმა სახანძრო რაზმის გამოძახებაც კი დაინახა საჭიროდ! მილიციიდან კი აცნობეს, რომ რაკი ქურდობა ჩადენილი იყო, ხოლო ბინა უცხო ხალხით ავსებული, აზრი აღარ ჰქონდა მეძებარი ძაღლების მოყვანას ან თანამშრომლის მოსვლას. დილისათვის დაჰპირდნენ თანამშრომლის გამოგზავნას და სათანადო ზომების მიღებას.

ასეთმა პასუხმა ყველა აღაშფოთა. ათასნაირად აგინებდნენ მილიციას და ყოველ უბედურებას მას აბრალებდნენ. ალიაქოთი და აურზაური ღამის სამ საათამდე არ შეწყვეტილა. შალწამოსხმული დიასახლისები წასვლასაც კი არ ფიქრობდნენ, მით უმეტეს, რომ ოლიკოს და ლილის რიგრიგობით უწუხდებოდათ გული და მზრუნველი დედაკაცები მათ მობრუნებას უნდებოდნენ.

ოღონდ, როცა ყველანი წავიდნენ და ოდნავ დამშვიდებულ დედა-შვილს მოაგონდა, რომ წივილ-კივილით ვერას გახდებოდნენ, ლილიმ უცბად წამოიკივლა:

— დედა, ჩემი პალანტინი რა იქნა, ის ახლა აქ იდო, პატარა მაგიდაზე.

— ეგ რაღა მოიგონე, — გაოცდა ოლიკო, — ალბათ სადმე დადევი.

— არსად არ დამიდვია, აქვე იყო.

რეზოს უნებური სიცილი აუტყდა, გაოცებულმა ლილიმ მას ნამტირალევი თვალები შეანათა.

— რა გაცინებს?

— გულშემატკივრებმა გააყოლეს ხელს.

— ტი პასმატრი, კაკიე სვოლოჩი! — იყვირა ლილიმ, — რა არამზადები არიან. იფიქრა, ალბათ, გაქურდულები არიან და რას მიხვდებიანო.

— ნახე, ალბათ, სხვაც ბევრი გააყოლეს ხელს, — თქვა ოლიკომ.—წადი, კარები დაკეტე ჯაჭვით და რეზოს ზალაში დაუგე. დავწვეთ. ნეტავი ფეხი მომტეხოდა და თეატრში არ წავსულიყავი.

— ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი, რათ არ მცემე, რეზო, როდესაც შენ დაგედევნე.

— ჩემი ბრალია... — თავდახრილად ჩაიდუდუნა რეზომ.

— შენი კი არა, ჩემი! თუმცა, შინ რომ დავრჩენილიყავი, შეიძლება კიდევაც მოვეკალით.

— ეს პალანტინი რაღას მივაყოლეთ, — მისუსტებული ხმით თქვა ოლიკომ და თავისი საწოლისაკენ გაემართა.

ლილიმ დაუგო რეზოს დარბაზში, რბილსა და განიერ ტახტზე, სინათლე ჩააქრო, გარდა ერთი ლამპისა, და როდესაც რეზო ლოგინში შეგორდა, იქვე ტახტის ყურზე ჩამოჯდა.

— შენ როგორ ფიქრობ, რეზო, ვინ იქნებოდა? — ჰკითხა ლილიმ.

რეზომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ძილს ვერ ერეოდა, და სუსტი ხმით წაიდუდუნა:

— არ ვიცი.

— გეძინება?

— ჰა? არა. — დაამთქნარა რეზომ.

— მე სულ არ მეძინება. რა დამაძინებს.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა კედლის საათის ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ.

— რეზო!

— ჰა?

— რას უზამდი, ქურდი რომ ხელში ჩაგგვარდნოდა, არ დაახრჩობდი?

— მოვკლავდი.

— რეზო, არ გეცოდები?

— მეცოდები.

— მე რომ შენი ცოლი გავხდები, მიყიდი ხომ ყველაფერს?

— გიყიდი. — უგუნებოდ უპასუხა რეზომ და რატომღაც გული მოუვიდა.

— ეჰ, შენ არაფერსაც არ მიყიდი! — წამოდგა ზეზე ლილი და საწოლ-ოთახისაკენ წაფრატუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზომ თვალები დახუჭა და ახლა მიხვდა, რომ არ ეძინებოდა. ციებისმაგვარმა კანკალმა აიტანა. „ეს რა ჩავიდინე, ეს“, — გაიფიქრა მან. „რა კარგია, რომ დამეძინებოდეს. ძილი! რა შესანიშნავია ძილი! გათავდა. ვალი აღარა მაქვს. ოჰ! ნუთუ არ უნდა შემიბრუნდეს ხელი. ერთი ათჯერ რომ ზედიზედ დუშაში დაჯდეს, ხომაა შესაძლებელი ასეთი მოვლენა. ათჯერ დუშაში და ისე გავატყავებ გურგენას, რომ მის დღეში არ დაავიწყდეს“.

მეორე ოთახიდან ისმოდა დედა-შვილის ლაპარაკი. ძილი იმათაც არ ეკარებოდათ. რეზომ თავზე საბანი წაიხურა, რომ მათი საუბარი არ მოესმინა. ისევ ფიქრებს მისცა თავი.

„ეგენი გათენებამდე ილაპარაკებენ. რაზე ვფიქრობდი? ჰო, ათჯერ რომ დაჯდებოდეს დუშაში. ან ასე მოყოლებით: ჯერ დუშაში, მერე შაშიბეში, მერე დუბეში, მერე დუსე და ისევ თავიდან დაიწყოს, დუშაში, შაშიბეში, დუბეში, დუსე, დუშაში, შაშიბეში, დუბეში, დუსე. რას მიჰქარავ, როცა ვაგებდი, მაშინ რატომ არ იძახოდი — სარი, ლაფსარი. დადექ, თორემ... დედას გიტირებ. ამას უყურე, რა დაჯდეს... დუშაში! ასეა. ახლა რას მიდიხარ. ოცდაათი ჩემი, სამოცი ფეშინა. სამოცი, ჰო, სამოცი ათასი. არა, ბიჭო... სამ აბაზს წამოვალ. კამათელი ჩემია. დადე, დადე, ხელები ნუ გიკანკალებს. რაო, სარი! არა, ბიჭო, ლაფსარი არ გინდა? ნუ გეშინია, ახლა ვაგებ და რა გადარდებს, შენია მაინც. მოდის სამოცი, ხომ. ექვსი პაჩკა ასმანეთიანები. აგრე, ცალკე დააწყე. აბა. კამათელო, ზარის თამაში როგორ უნდა, გაჩვენებ. ჰა, უყურე! რა გინდა, რომ დაჯდეს, დორჩარი? დაიჭი, არსად გაგექცეს. ჰაიტ! ხედავ, რა დაუჯდა? ვერ ხედავ? ვერც მე ვხედავ. კიდევ დაგვემართა ეს? თვალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვხუჭოთ, გავაღოთ, ბიჭოს, კიდევ ვერ ვხედავ, შენც ვერ ხედავ? პატარა ედიკას დავუძახოთ. იმან გვიხსნას გაჭირვებისაგან. ამბობენ, ამგვარად მხედველობის დაკარგვა ღელვის ბრალიაო. მე სულაც არ ვღელავ და ვერ ვხედავ კია! აბა, ედიკ, მოდი. რა ზის? დუბეში? აი, ყოჩაღ, ეს ათი ათასი შენ. სულ ერთია, მაინც სხვისი ფულია, მოკიდე ხელი. აბა, გურგენ, პრისტავკა მოდის? მოდის. რასტო თუ რიარია? რასტო? კარგი. რამდენს მოდიხარ? ასოცი. ასოცი პრისტავკაა, ხალხო შეხედეთ! მავრამ მოიცა? ყავლი? ათი დღის შემდეგ? რაო? გაგიჟდი? ხვალ საღამოს ექვს საათზე. ხელს არ გაძლევს? ამ ჩემს ფეხებს, თუ არ გაძლევს! მე რა მესაქმება. მოიტან! ცხადია, მოიტან. ხვალ საღამოს ექვს საათზე. თორმეტი ას მანეთიანების პაჩკა წინ უნდა მეწყოს. მოდის? აბა, მაშ ვსინჯოთ ბედი. ჰააატ! რა დაჯდა. დუსე. პირდაპირ ისე, როგორც ვინატრე. ჰაა, თამაში აღარ გინდა? მაშ რა გინდა? ზღაპარი?"

შემდეგ მილიონი მოუგო, ათი მილიონი, ასი მილიონი, მილიარდი, გამწარებული გურგენა მიდის და მიდის „პრისტავკას". გათენდა და ისევ დაღამდა, კიდევ გათენდა, ერთი თვე გავიდა, წელიწადი, რეზო კი სულ აჯენს და აჯენს დუშაშს, დუბეშს, დუსეს...

აღარც კი ახსოვდა, ეძინა თუ არა, ისე დაათენდა თავზე.

ლილი და ოლიკო დიდხანს მუსაიფობდნენ. ცდილობდნენ ვისმეზე ეჭვი მაინც მიეტანათ. ჯერ მოსამსახურე ეგონათ ამ საქმის ჩამდენი, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უარყვეს, უკვე რვა წელიწადია, რაც ეს შინამოსამსახურე ჰყავდათ და ნემსის მოპარვაც კი არ შეუმჩნევიათ. მერე მეზობლები მოჩხრიკეს, უეჭველი იყო, რომ ამ საქმეში შინაური ვინმე უნდა ყოფილიყო ჩარეული. აბა გარეშემ რა იცოდა, რომ შინ არავინ არ იყო. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ეს შინაური.

— იზა ხომ არ იქნებოდა, — თქვა ოლიკომ.

— არა, დედა.

— რა იცი?

— ასე მგონია.

— მივხვდი, ვინც იქნებოდა, — წამოიძახა ბოლოს ოლიკომ, — მივხვდი.

— ვინ?

— **რეზოს რომ ერთხელ ამხანაგი** მოჰყვა, იმან გვიქნა ეს საქმე.

— ვინ? ჟორამ? — გაოცდა ლილი.

— არა. ჟორა მაგას როგორ იკადრებს. მეორე რომ იყო, რა ერქვა?

— გრიშა? რას სულელობ, დედაჩემო. ყველაფერი შეიძლება თქვას კაცმა, მაგრამ გრიშაზე მაგის თქმა როგორ შეიძლება.

— ის ისე აცეცებდა თვალებს და ყველაფერს იმგვარად ათვალიერებდა, რომ მაშინვე გამკრა გულში, სასიკეთოს არაფერს გვიპირებდა. კი, ნამდვილად ის იყო.

— დედა, ნუ სულელობ, — გაბრაზდა ლილი, — შენ ისე ხარ არეული, რომ მგონია რეზოც არ დაზოგო და იმაზედაც მიიტანო ეჭვი. გრიშა, მართალია, ობოლი ბიჭია და ღარიბი ოჯახის შვილი, მაგრამ პატიოსანია.

— ვაი, ვინც ეს საქმე ჩვენ გვიქნა, იმას არ გაუთენდეს ხვალ დილა, იმისი მიწა მენახოს, ვინც ჩვენი კარები გატეხა, იმისი ხელები გახმეს და დამიწდეს, არ ღირსებოდეს თავის სიცოცხლეში არაფერი. ერთ მაღაზიას გაავსებს, რაც იმათ ჩემი სახლიდან გაიტანეს.

კარგახანს იწყევლებოდა ოლიკო, ხოლო ლილი სათითაოდ იგონებდა დაკარგულ ნივთებს და ხანგამოშვებით ტიროდა, სანამ ორივენი კარგად არ მოიქანცნენ და გათენებისას არ ჩაეძინათ.

დილას მოსამსახურე ტანიაც მოვიდა და ალექსანდრეც დაბრუნდა მივლინებიდან. მას უკვე გაეგო გაქურდვის ამბა-

ვი. პორტფელი მაგიდაზე დააგდო, ბინა შეათვალიერა და უცბად დამშვიდდა. ეგონა, სახლიდან ყველაფერი გაზიდული იყო, მაგრამ როდესაც ავეჯიც თავის ადგილზე დაინახა, ბროლის ვიტრინებიან კარადებში დაწყობილი ფაიფურის კოლექციაც და წიგნებით გაჭედილი თაროებიც, მიხვდა, რომ ქურდები მარტო ტანსაცმელს დაპატრონებოდნენ. ცხადია, ესეც დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ მას, როგორც მამაკაცს, ეს უფრო ნაკლებად აღელვებდა.

— რა ხდება ეს? — აღმოხდა ალექსანდრეს და რეზოს თვალებში შეხედა.

— ალექსაშა, ჩამოდი? — გაისმა მეორე ოთახიდან ოლიკოს ხმა, — მოდი აქ, კაცო, მოდი, ხედავ, რა დაგვემართა? ხედავ? დაგვღუპა ვიღაცამ, დაგვაქცია.

ალექსანდრე საწოლ ოთახში გავიდა და ატყდა ისევ ერთი ვაი-ვიში. ცოლი და ქალიშვილი სხაპასხუპით უამბობდნენ ოჯახის უფროსს გაქურდვის ამბავს, ტანია კი კარადებს და კამოდის უჯრებს ათვალიერებდა და ყოველ წუთში გაჰკიოდა:

— ლილი, შენი ბოტებიც აღარაა, ქურქიც წაუღიათ, ჩინური ხალათი, არც ზამშის ტუფლები ჩანს...

ტანიას ყოველი წამოძახილი შეცხადებასავით ისმოდა, ხოლო ოლიკოც და ლილიც წივილ-კივილით ეხმაურებოდნენ.

ალექსანდრე ისევ დაბრუნდა დარბაზში, პალტო გაიძრო, ზანტად ჩაეშვა სავარძელში, მარცხენა ხელით შუბლი მოისრისა.

— ალექსაშა, — გაისმა ისევ საწოლი ოთახიდან ოლიკოს ხმა, — შენ აგრე გინდა იჯდე, ზომები არ გინდა მიიღო?

— რა ზომები?

— წადი მილიციაში, პროკურორთან, რა ვიცი, სად. იძახი — იურიდიული მეცნიერების დოქტორი ვარ და კრიმინოლოგიის სპეციალისტიო...

— ეჰ, კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, — ჩაიქნია ხელი ალექსანდრემ, — ახლავე შევურიგდეთ ბედს, ისა სჯობს, რაც მოხდა, იმას ვეღარ ვუშველით, წაიღეს, წაიღეს. რა ვქნათ ახლა. სულ ერთია, ვერ აღმოვაჩენთ. ეს კი უეჭველია: ვიღაც ახლობელი მეზობელი უნდა მონაწილეობდეს ამ საქმეში, თორემ ისე ქურდმა რა იცოდა, რომ შინ არც ერთი არ იყავით. ცხადია, ის გვდარაჯობდა და, როგორც კი დრო მოიხელთა, მაშინვე აცნობა ქურდებს. რას იტყვი, რეზო, მართალს არ ვამბობ?

— დ...დიახ! მეც აგრე მგონია, — გაჭირვებით უპასუხა რეზომ და დაბნეულობა რომ დაეფარა, პაპიროსი ამოიღო. ასანთს რომ უკიდებდა, ხელი ოდნავ უკანკალებდა.

— მართლა, ახალი ამბავი თუ იცით, — დაიძახა ხმამაღლა ალექსანდრემ, ისე რომ ცოლისთვის და ქალიშვილისთვის მეორე ოთახში გაეგონებინა, — რადიო არ მოისმინეთ დღეს?

— რა, რა, რა მოხდა? — ერთსადაიმავე დროს იკითხეს დედამაც და ქალიშვილმაც. ოლიკო დარბაზში შემოვიდა, ხოლო ლილიმ კარებში თავი გამოჰყო.

— კიდევ დასტოვეს ალბათ ჩვენებმა რომელიმე ქალაქი, — თქვა ოლიკომ.

— საბრძოლო ამოცანის შესანიშნავად შესრულებისათვის შენს ყოფილ ქმარს — დავით ბექაიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, — უთხრა ალექსანდრემ ლილის.

ოლიკომ ერთი კი შეჰყარა წარბები. მისი აზრით, ქმარმა საოცარი უტაქტობა ჩაიდინა, რომ რეზოსთან თქვა ეს ამბავი. ერთი კი მიაძახა ალექსანდრეს:

— კაკოი ტი იდიოტ! — და მეორე ოთახში გავარდა გაბრაზებული.

ლილიმ ტუჩები აიბზუა და ამრეზით წამოიძახა:

— ფიჰ! მე მართლა რაღაც მეგონა. პადუმაეშ! გმირი, მე ეგ გმირი სახლიდან გავაგდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ოცდამესამე

შემოდგომის დასაწყისს კავკასიონის ფრონტის მთელ ხაზზე საბოლოოდ შეჩერებული იქნა მტრის წინსვლა და მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. მთიანი აფხაზეთის, სვანეთის, მთა რაჭის და სამხრეთ ოსეთის რაიონებში მტრის მიერ გადმოსხმული სადივერსანტო ჯგუფები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მთლიანად იქა განადგურებული და მტერმა აქაც სრული მარცხი განიცადა. განსაკუთრებით თავი ისახელეს სვანმა მონადირეებმა, რომელნიც გასაოცარი ალღოთი პოულობდნენ უღრან ტყეებში მოფანტულ დივერსანტებს და თავიანთი ძველებური ბერდანკებით ზურგზე ბოლს ადენდნენ.

უღელტეხილის დაჭერის შემდეგ ივანოვის ბატალიონმა საგრძნობლად წაიწია წინ და, მართალია, მტრის ჯარები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ ჩვენმა ალპურმა მებრძოლებმა თავისი სწრაფი დარტყმით და შემოვლითი მანევრებით მათ თავზარი დასცეს. დავითს რამდენჯერმე მოუხდა კიდევ გაძღოლოდა ალპურ რაზმებს და მიუვალი ქედების გადალახვით მტრისათვის გზა გადაეჭრა. მთელი ჩაშგუნის ხეობა მალე იქნა გაწმენდილი. საჭირო იყო სტანიცა რაისკაიას განთავისუფლება, იქ ყველაზე ხელსაყრელი იყო თავდაცვის ხაზის მოწყობა. თუ ჩვენი ჯარები ზამთრის პერიოდში საერთო შეტევაზე გადავიდოდნენ, ამ სტანიციდან ადვილად შეიძლებოდა მტრის ზურგში შეჭრა. სტანიცა რაისკაია მოთავსებული იყო მთებით შემოზღუდულ საკმაოდ მოზრდილ ტაფობზე და მას ჩრდილოეთის ვაკეებთან აერთებდა მხოლოდ ერთი ვიწრო გასასვლელი ხეობა, რომელსაც მომაჯადოებელ ბჭეს უწოდებდნენ („ვრატა ოჩაროვანია“).

ივანოვმა მისთვის ჩვეული სიზუსტით დაამუშავა ამ სტანიცის აღების გეგმა. მან ორი მხრიდან თავდასავლელად ქედებზე გაგზავნა რაზმები, რომელნიც „ვრატა ოჩაროვანიასთან“ უნდა შეერთებულიყვნენ, თვითონ კი ძირითადი ძალებით სტანიცას შეუტია. დავითი მიუძღოდა ერთ-ერთ იმ რაზმს, რომელსაც მტრისთვის თავი უნდა დაევლო და გზა მოეჭრა.

ორივე რაზმმა დავალება კარგად შეასრულა. ისინი თითქმის ერთსადაიმავე დროს დაეშვნენ დაბლობზე და ამ მართლა მომაჯადოებელ ბჭესთან მტერს გზა მოუჭრეს. აქ მათ სასწრაფოდ მოაწყვეს თავდაცვის ხაზი, დანაღმეს გზა, გათხარეს სანგრები და საბრძოლველად მოემზადნენ. სტანიცის მიდამოებიდან უკვე მოისმოდა ნაღმსატყორცნების ბათქაბუთქი და ტყვიამფრქვევთა რახრახი. აღმოჩნდა, რომ მტერი აქედან სულაც აპირებდა თავის ჯარების გაყვანას და მათი სამთო ბატალიონი უკვე გამზადებულიყო წასასვლელად; აქ მხოლოდ მცირე რაზმი უნდა დარჩენილიყო გზის ჩასაკეტად და სტანიცის სამეთვალყურეოდ, მაგრამ ახლა მოულოდნელად ამ ჯარებს ბრძოლაში ჩაბმა დასჭირდათ. მალე მტრისათვის აშკარა შეიქნა, რომ წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო და უკანდახევა გადაწყვიტა. საბჭოთა ჯარების გამოჩენით აღტაცებული მოსახლეობა თვითონ დაერია მტრის ჯარს. სტანიცა რაისკაია თითქმის მთლიანად ყუბანიდან გადმოსახლებული კაზაკებისაგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ აგრეთვე ჩრდილო კავკასიელი ოსები, თითქმის ყველა მათგანი გამოცდილი მეომარი, ბევრი მათგანი ძველ რუსულ არმიაში ნამსახური, გიორგის ჯვრებით რომ ჰქონდათ მკერდი დამშვენებული. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც თავის დროზე, რევოლუციის ბობოქარ ხანაში, სახელი

გაეთქვათ კიკვიძის ან ჟლობას ცხენოსან რაზმში სამსახურით. მათ გამონახეს თავიანთი გადამალული იარაღი, ზოგმა ძველებური ბერდანა, ზოგმა ორლულიანი სანადირო თოფი, ზოგმა დოლაბიანი ძველთაძველი რევოლვერი, ზოგმა ხმალი, ზოგმა უბრალო ცულს დაავლო ხელი და მალე სტანიცის გრძელსა და ერთადერთ ქუჩაზე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა.

ნაშუადღევისათვის უკვე ყოველივე გამორკვეული იყო. მტრის მიმოფანტულ ნაწილებს ადვილად მოუღეს ბოლო და ცოცხლად გადარჩენილი ჯარისკაცები ჯგუფად ნებდებოდნენ სამთო ბატალიონის მებრძოლებს და ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ქალები გამორბოდნენ და საბჭოთა მებრძოლებს ზოგი ხელებს უკოცნიდა და ზოგი მუხლებზე ეხვეოდა. ვის რძე მიჰქონდა ქილებით, ვის ფუნჩულა პურები, ვის კვასი ან ლუდი. ეს იყო ხალხის ნამდვილი სიხარული.

მოსახლეთაგან ბევრი ტყეში იყო გასული და მათ მალე დაიწყეს დაბრუნება. ზოგიერთს იარაღიც კი ჰქონდა და ფრთხილად მიაბიჯებდნენ.

დავითს ერთი სულ პირტიტველა ჭაბუკი მიუახლოვდა და უთხრა:

— ძია, აქ სულ ახლო გერმანელებს ტყვედ ჩავარდნილი ჩვენი ჯარისკაცების ბანაკი აქვთ. უბედურები, ცოცხალმკვდარნი ყრიან მიწურში.

— სად? შორს არის?

— არა, სულ ახლოა.

— წავიდეთ, — უთხრა დავითმა, რამდენიმე მებრძოლი გაიყოლა და ჭაბუკს გაჰყვა.

საკონცენტრაციო ბანაკი სოფლიდან კარგა მოშორებით, ტრიალ მინდორზე, სასაფლაოსთან იყო მოთავსებული. ეზოს შუაგულზე თხრილი გაეჭრათ, მიწით გადაეხურათ და ეს იყო ტყვეთა სადგომი. მიწურის პირთან რამდენიმე, საოცრად გაყვითლებული, ტყვე ამოღოღებულიყო და იღლიების ქექვით იქით-აქეთ იცქირებოდა. ბანაკის ყარაულები, ეტყობოდა, გაქცეულიყვნენ, მაგრამ ტყვეები ისე იყვნენ მისუსტებულნი, რომ თავი არა ჰქონდათ, ბანაკს გასცილებოდნენ და გაეგოთ, რა ხდებოდა მათ გარშემო.

— გამარჯობა თქვენი, — მიესალმა მათ დავითი, როდესაც მიუახლოვდა.

— თქვენი ჭირიმე, მოხვედით?

— გვიშველეთ, გვიხსენით აქედან.

აქ იყვნენ რუსებიც, ქართველებიც, სომხებიც და ყველანი ცდილობდნენ მოსულებში თავისიანებს გამოლაპარაკებოდნენ. დავითს ერთი მთლად ძვლებად ქცეული ახალგაზრდა მებრძოლი მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ქართველი ხარ?

— ქართველი ვარ. შენ რა გვარი ხარ?

— ავალიანი.

— სახელი?

— ბიჭიკო.

— შენს გარდა ქართველები არიან?

— კი. იქნება ერთი ცხრა კაცი. სამი მოგვიკვდა. დანარჩენები ყველანი სიკვდილის პირზე არიან მიმდგარი და მიწურში ყრიან. არც ერთს განძრევა არ შეუძლია. მარტო მე შევძელი ჰაერზე ამოვსულიყავი. ერთმა გაქცევა სცადა და ღობეზე მიაკლეს.

დავითმა სინანულის ნიშნად თავი გაიქნია.

— გაგიჭირდათ? — ამოოხვრით ჰკითხა დავითმა.

— ვერ ხედავ? — მიუთითა დანარჩენებზე ბიჭიკომ, — ცალკე შიმშილმა გაგვავლო მუსრი, ტილებმა მთლად მოგვითავა ხელი.

დავითმა რამდენიმე მებრძოლი სანიტარული რაზმის მოსაყვანად გაგზავნა, თვითონ კი მიწურში ჩავიდა. ცხვირში ისეთი სიმყრალისა და ნესტის სუნი დაეტაკა, რომ კინაღამ გული შეუწუხდა. მიწურის იატაკზე ჭერეხივით ეყარნენ დაჭრილი და შიმშილისაგან ღონემიხ-

დილი მებრძოლები. დავითს კვალდაკვალ მიჰყვებოდა ბიჭიკო.

— ხედავ, რა საშინელ დღეში ვიყავით? — ეუბნებოდა ბიჭიკო, — არც ერთს განძრევის თავი აღარ აქვს. ჭუჭყს ვინ ჩივის, შიმშილმა გაგვათავა.

— საჭმელს არ გაძლევდნენ?

— ვინ ფიქრობდა. ადგილობრივ მცხოვრებლებს მოჰქონდათ ჩვენთვის, მაგრამ სალაფავის მეტს ვინ მოგვაშავებდა. რაც კარგი იყო, მტრის ჯარისკაცები ყლაპავდნენ. სოფლის გოგოებს ვეხვეწებოდით, კარგს ნურაფერს მოიტანთ, თუ რამე ცუდი გეგულებოდეთ, თუნდაც ნარეცხი, ჩვენთვის ის წამოიღეთ, თორემ ეს ურჯულოები თვითონ თქვლეფენ ყველაფერს და ჩვენამდე ერთი ლუკმაც აღარ აღწევს-მეთქი...

ცოცხალმკვდარ ტყვეებს ოდნავი გამოცოცხლება დაეტყოთ. აქა-იქ გაისმა მისუსტებული ხმები:

— ნუთუ ჩვენებია?!

— გვიხსენით ამ ჯოჯოხეთიდან!

— ძმობილო, შემომხედე!..

ერთმა დაჭრილმა ფეხში სტაცა მისუსტებული ხელი და ძლივს გასაგონად, ჩამქრალი ხავილით რაღაც ასძახა. დავითმა სიტყვები ვერ გაარჩია და მასთან ჩაიმუხლა. ბიჭიკოც დაიხარა.

— რა გინდა, ვარდენ? — ჰკითხა ბიჭიკომ ზემოდან და თან დავითს განუმარტა, — ეგ უბედური კვდება. სულ უბრალო ჭრილობა ჰქონდა, მაგრამ ვინ იყო პატრონი, როგორც ეტყობა, სისხლის მოწამვლა დაეწყო.

— თქვენ გენაცვალეთ, თქვენ... — დაიწყო მიმქრალი ხმით ვარდენმა. დავითი უფრო დაიხარა მისკენ, თუმცა შემზარავი სუნი ახრჩობდა და თავბრუს ახვევდა — ...თქვენ გენაცვალეთ, თქვენ... მოხვედით, როგორც იქნა...

— ახლავე მედსანბატიდან მოვლენ და წაგიყვანენ. ნუ გეშინია, ამხანაგო ვარდენ, მალე ფეხზე დაგაყენებთ, — უთხრა დავითმა და წამოიწია, მაგრამ ვარდენმა შეაჩერა.

— შენ გენაცვალე, არ წახვიდე. სანამ სული ამომხდებოდეს, ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი შენთან. ვყარვარ ზეზეულად, ვლპები, მაგრამ პატარა ხანს გაუძელი. შენი სახელი?

— დათიკო.

— ჩემო დათიკო... — ვარდენმა შეისვენა, რამდენჯერმე მძიმედ ამოისუნთქა და შემდეგ განაგრძო: — ერთხელ მკვდარი ჩიტი ვნახე ტყეში. დასეოდნენ ჭიანჭველები, ბუმბული ქარს წაეღო და ეს ჩიტი ისე შეეჭამათ ამ ჭიანჭველებს, ქაღალდივით გაეთეთრებინათ ძვლები. ისე ვარ მეც.მატლები დამესია ჭრილობებზე, მაგრამ ადამიანი მართლა ძაღლი ყოფილა. როგორ გავუძელი ამდენხანს! რას გეხვეწები, იცი! ყველას ვეხვეწებოდი ამას და შენც გთხოვ, ვაჟკაცურად გთხოვ. ბავშვი მყავს პატარა, შინ დატოვებული, გოგო. ოთხი წლისაა. ჩვენ, ხომ იცი, სოფელში ვცხოვრობთ და ყოველთვის კი ვერ მისწვდები საშოვნელად ყველაფერს. სულ მეხვეწებოდა ჩემი პატარა გოგო: მამა, კუკა მიყიდეო. ვპირდებოდი: კი, შვილო, აგერ, ქალაქში წავალ და მოგიტან-მეთქი. ვერ ვუყიდე. ხან დამავიწყდა, ხან რა ვიცი. ფრონტზე რომ მოვდიოდი, დამაბარა, მამა, თვალხუჭია კუკას ხომ ჩამომიტანო. შევპირდი. ამას გეხვეწები, ჩემო დათიკო, მიქენი სიკეთე, თუ ვინიცობაა, მშვიდობით დაბრუნდე შინ, ჩადი ჩემს სოფელში, ერთი რიგიანი დედოფალა იყიდე, თვალებს რომ ხუჭავს, იმისთანა, მიუტანე ჩემს გოგოს. ნანული ჰქვია, იმას კი ვენაცვალე, მიუტანე და უთხარი — მამაშენმა გამოგიგზავნა-თქო. სამაგიერო პატივისცემას ვერ შეგპირდები, მაგრამ თუ შენ ამ საქმეს შემისრულებ... ისე ჩავთვლი, თითქოს ჩემთვის სიცოცხლე გეჩუქებინოს. ჯიბეში ფანქარი და ქაღალდი თუ გაქვს, ამოიღე და ჩაიწერე. ვარდენი მქვია სახელად, ღულუნიშვილი ვარ სოფელ დარკვეთიდან. ჩემს სოფელში რომ მიხვიდე და ჩემი სახელი ახსენო, მთელი

სოფელი ფეხზე დადგება. მაგრამ ეს იცოდე, აუცილებლად თვალხუჭია დედოფალა უნდა იყიდო. ჩემს ცოლს უთხარი, შენმა ქმარმა ჩემს თვალწინ ასე ამ დედოფალასავით დახუჭა თვალებიო. არ გაგეცინოს, ჩემო დათიკო, რა სისულელეებს ვლაპარაკობ. ახლა წადი, შეგაწუხე. ჩემს სუნს შენ კი არა, მე ვეღარ ვუძლებ.

*
* *

დივიზიის შტაბიდან ივანოვმა განკარგულება მიიღო — სტანიცა რაისკაიას ჩრდილოეთით „მომხიბლავი ბჭის“ გასწვრივ მოეწყო მტკიცე თავდაცვის ხაზი და არავითარ შემთხვევაში არ მიეცა საშუალება მოწინააღმდეგისათვის ხელახლა შემოჭრილიყო სტანიცაში.

— აქ, როგორც ეტყობა, დავიზამთრებთ, — უთხრა ივანოვმა დავითს, — შენი მისია დამთავრებულია და მეგიძლია დაბრუნდე მაღაროებში. მე ნაბრძანები მქონდა, როგორც კი ქედს გადავლახავდით და შენ ჩემთვის საჭირო აღარ. იქნებოდი, მაშინვე გამეთავისუფლებინე.

— მე თუ დაბრუნება არ მსურს, — ღიმილით უთხრა დავითმა, — მაინც უნდა წავიდე?

— ეე, ეგ არ შეიძლება. თქვენ იქიდან უკიდურესი საჭიროების გამო წამოგიყვანეთ, თორემ თქვენი მაღაროს მადნები ახლა ჩვენთვის, როგორც უებარი წამალი, ისეა საჭირო.

— მე კი ამ მოკლე ხანში ისე შევეჩვიე ამ საფრონტო ცხოვრებას, ამხანაგებს, რომ აღარსად არ მინდა სხვაგან ყოფნა. მაღაროებს უჩემოდაც მოუვლიან. ინჟინრები ბევრი გვყავს, ახლა უკვე დანიშნულიც იქნება ვინმე. იცით, რა, ამხანაგო მაიორო! მოდით, ჩამრიცხეთ თქვენს ნაწილში მუდმივად და ამით გავათაოთ საქმე.

ივანოვმა გულიანად გაიცინა.

— არა, ამხანაგო დავით. მე ბრძანებას ვერ შევცვლი. ხვალ ჩაგსვამ თვითმფრინავში და ჰაიდა!

— მაშ ამაღამ ნება მომეცით, ჩემს მებრძოლებთან დავრჩე მოწინავე ხაზზე, გამოვეთხოვო ბიჭებს. ხვალ დილით უკან დავბრუნდები.

— ეგ თქვენი უფლებაა და ჩემგან ნებართვას რად თხოულობთ.

დავითი მაშინვე გაემართა მოწინავე ხაზზე. გზად მან გადაწყვიტა გაევლო ადგილობრივ სკოლაში, სადაც ტყვეობიდან დახსნილი დაჭრილი საბჭოთა მეომრები იყვნენ მოთავსებულნი. უნდოდა ვარდენი ენახა და მისი ამბავი გაეგო.

არეული ამინდი იდგა. ხან გამოიდარებდა, ხან თითქოს საწვიმრად ემზადებოდა. ახლა კი თითქოს მზეს დასავლეთიდან აეწია ღრუბლების საბანი და თავისი ოქროსფერი სხივთა შუბები ამ საბნის ქვეშ შემოეყო.

სოფელში სიჩუმე სუფევდა. ეს სიჩუმე განსაკუთრებით საგრძნობი იყო წინადღის გამაყრუებელი სროლისა და გრიალის შემდეგ. შარაზე ბიჭუნები მოერეკებოდნენ თავის დროზე ტყეში გადამალულ საქონელს. ჭკვიანი ძროხები აჩქარებული ნაბიჯებით მიემართებოდნენ თავთავიანთი ეზოებისაკენ და, ღობეზე თავგადაყოფილნი, ზმუილით იხმობდნენ პატრონებს.

დავითმა შეირბინა სკოლაში და მორიგე ექთანს სთხოვა დაჭრილებთან შეეშვა. ექთანი თვითონ წაუძღვა მას.

საკლასო ოთახებიდან მერხები აივანზე გამოეტანათ და ერთმანეთზე შეეწყოთ. ოთახებში კი ლოგინები ჩაემწკრივებინათ და ზედ სუფთა თეთრეულით გაწყობილ საწოლზე დაეწვინათ ტყვეობიდან დახსნილი მებრძოლები. ეს ლოგინები წინადღით მოაგროვეს სოფელში. არ დარჩენილა მოსახლე, რომ ერთი ლოგინი მაინც თავისი ლეიბ-საბნით და თეთრეულით არ დაეთმო ამ იმპროვიზებული ქსენონისათვის. მედსანბატის თანამშრომლები მთელი დღე და თითქმის მთელი ღამე დაჭრილების დაბანვას, დასუფთავებას და პარსვა-კრე-

ჭას მოუნდნენ. გათენებისას არ დარჩენილა არც ერთი მათგანი, რომელიც გაწმენდილ-გასუფთავებული და ბულიონით მოსულიერებული ლოგინში არ წოლილიყო. ამიტომ, როდესაც დავითმა პალატებში შეიხედა, ყველა მოცოცხლებული დაუხვდა. მართალია, ბევრი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ჯერ განძრევაც არ შეეძლო, მაგრამ სიცოცხლის შუქი უკვე ჩასდგომოდა თვითეულ მათგანს თვალებში და მხიარულად აციმციმებინა.

ბიჭიკო შორიდან შეეგება დავითს, ფეხზე წამოიჭრა და საცვლებისამარა, ფეხშიშველი, მასთან მიტყაპუნდა.

— გამარჯობა, ბიჭო, შენი, — იცნო დავითმა ახალგაზრდა კაცი, — როგორა ხარ?

— მეხივით.

— წადი, დაწექი, აგრე არ გაცივდე.

— გავცივდე? — ბიჭიკომ გულიანად გაიცინა, — სველ მიწაზე მთელი თვე მეძინა და არ გავცივებულვარ და აქ გავცივდები?! ორ დღეში ავტომატს გადავიკიდებ გულზე და მაშინ მიყურე, რა დღე დავაყარო მტერს.

— ვარდენი მინდა ვნახო, როგორ არის?

— ვარდენი? იმას ველარ ნახავ. წუხელ ამოხდა სული საწყალს. ექიმებმა რომ შემოაჭრეს ტანსაცმელი და დახედეს, კინაღამ ჭკუა დაჰკარგეს, აქამდის როგორ იცოცხლაო.

დავითს ისე ეწყინა ეს ამბავი, თითქოს თავისი ახლობელი ვინმე დაეკარგოს. მას თვალწინ წარმოუდგა პატარა დალალებიანი გოგონა, ყოველ საღამოს დედ-მისი რომ აიმედებდა ალბათ — დაიძინე, შვილო, ხვალ მამა მოვა და დიდ დედოფალას მოგიტანსო.

— საწყალი, ძალზე შემეცოდა, — განაგრძობდა ბიჭიკო, — კარგი ვაჟკაცი იყო. სუყველას ეხვეწებოდა, მგონი თქვენც გთხოვათ, თუ მშვიდობით დაბრუნდეთ, ჩემს ბავშვს ერთი დედოფალა უყიდეთო. რაა კაცის გული!

ახალგაზრდა კაცს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ დავითმა მხარზე ხელი მოუთათუნა, წადი, დაწექიო, უბრძანა და ოთახიდან გავიდა. მთელი გზა ისე გაიარა, რომ თავიდან არ მოშორებია ფიქრი პატარა დალალებიან გოგონაზე და ფრონტზე დაღუპულ მამამისზე.

მოწინავე ხაზზე დავითი მოულოდნელად მოხვდა ისეთ ქარცეცხლში, რომ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა უკან დაბრუნებაზე. ის-იყო მოასწრო თხრილში ჩახტომა და თავისიანებში გარევა, რომ უეცრად გარშემო ნაღმებმა დაიწყო ცვენა და ისეთი ხათქახუთქი ატყდა, ყურთასმენა აღარ იყო. სათვალთვალო პუნქტიდან გამოჩნდა ხეობაში მტრის ტანკების მოძრავი კოლონა. შორიდან ისინი სათამაშოებს ჰგვანდნენ, საოცრად ნელა მოდიოდნენ, ხშირად ჩერდებოდნენ და მათი კოშკებიდან თითებივით გამოშვერილი ზარბაზნები ხანდახან ცეცხლის წვრილ ენებს ყოფდნენ. ტანკების გასწვრივ გაღმა-გამოღმა ფერდობებზე ხან წაწოლით, ხან წამოხტომით მორბოდნენ მტრის მეავტომატენი და გარშემო ტყვიას აწვიმებდნენ.

— ამას ჰქვიან ბრძოლით დაზვერვა, — უთხრა სტერეომილთან ჩაჩოქილმა ლეიტენანტმა დავითს, — მაგათ სურთ ჩვენი პოზიციების და ძალების გამოვლინება. არა უშავს-რა, ახლა ერთი მაგრად მივარტყამთ და მერე ნახონ.

მოწინავე ტანკმა ვერც კი მოასწრო დანაღმულ ზოლამდე მოეღწია, რომ უცბად ჩვენი მხრიდან ნასროლი ყუმბარა ბრაზიანი ძაღლივით დაეძგერა ფერდში, მაღლა შეახტუნა და თხრილში გადააყირავა. დანარჩენი ტანკები შედგნენ და შემდეგ იკადრეს უკან გაბრუნება. მათ კვალდაკვალ მიჰყვებოდა, გარშემო დაუხტოდა, ხან ახლო აუფეთქებდა მიწას, ხან წინ გადაუსწრებდა და იქ დააყენებდა ბუღს საბჭოთა არტილერისტების ყუმბარები.

ტანკები მოსახვევს მიეფარნენ, მაგრამ მეავტომატენი მაინც წინ მიიწევდნენ და, ამავე დროს, ჩვენს საარტილერიო წერტებს მოწინააღმდეგის ნაღმების ცეცხლი დაატყდა თავზე.

მოვიდა ბრძანება—უკუეგდოთ მტრის იერიში.

სანგრის გასწვრივ ჩასაფრებული და იარაღმომარჯვებული მეომრები ელოდნენ ლეიტენანტის ბრძანებას. წყალგაღმა მხარეს ჩვენი ნაწილები უკვე გადავიდნენ იერიშზე. ამის დანახვაზე ლეიტენანტი წამოიჭრა ფეხზე და ხმამაღლა გასძახა თავის მებრძოლებს:

—იერიშზე, სამშობლოსათვის!

გადაევლო თხრილს და, თითქოს მთელი რაზმი ძაფზე ასხმული და ტანზე მიბმული ჰყოლოდეს, ყველანი თან გაიყოლა. დავითმაც მოიმარჯვა თავისი ავტომატი და სხვებთან ერთად ისიც გაჰყვა თავის მეთაურს. მებრძოლები ფრთხილად მიიწევდნენ წინ. თავდახრილნი მირბოდნენ, ხან ბუჩქებს ეფარებოდნენ, ხან ქვებს, ხან პატარა ბორცვებს და ხშირად წაუწვებოდნენ ხოლმე. წინ გასული მებრძოლები ავტომატების გრძელი ჯერებით თოფავდნენ მიდამოს.

დავითიც გარბოდა თავდახრილი. ეკლიანი ბუჩქები სახეს და ხელებს უკაწრავდა, თვალებში ებლანდებოდა, ფეხებში ეხლართებოდა, მაგრამ ის მაინც მირბოდა და ცდილობდა არ ჩამორჩენილიყო. ვერავის ვერ ხედავდა წინ და უნებურად ეკითხებოდა თავის . თავს, სად მივრბივართო. ერთ ადგილას მის გვერდით საოცრად ახმაურდა ბუჩქი, ალაგ-ალაგ ტოტები ჩააწყდა და შეყვითლებული ფოთლები მიმოეფანტა. პირველად ვერც მიხვდა, რა მოხდა, და ცოტა მოგვიანებით მივიდა მის გონებამდე, რომ ბუჩქს ტყვიამფრქვევის წვიმამ გადაუარა. მაშინვე წამოიჭრა ზეზე და მხოლოდ ახლა მოჰკრა თვალი მტრის ჯარისკაცებს. ისინი უკან იხევდნენ. გადაირბენდნენ რამდენიმე მანძილს, უეცრად მობრუნდებოდნენ და, საფარს ამოფარებულნი, ისროდნენ. შემდეგ ისევ წამოცვივდებოდნენ და გარბოდნენ. დავითმა წამოიჩოქა და ავტომატი დაუმიზნა. გაისმა მწყობრი რახრახი. რამდენიმე კაცი წაიქცა. დავითს ეგონა, ყველანი დახოცილები იყვნენ, მაგრამ წაქცეულებმა იარაღი მოაბრუნეს, სროლას სროლით უპასუხეს და შემდეგ ისევ მოჰკურცხლეს. მარტო ერთი მათგანი დარჩა ადგილზე. ის ბუჩქზე გადამხობილიყო და ხელები უმწეოდ ეკიდა. დავითი კვლავ წამოიჭრა ზეზე და გაქცეულებს დაედევნა. ის ვერც კი გრძნობდა იმას, რომ ყველაზე წინ გარბოდა და საგრძნობლად გაუსწრო თავისიანებს. აი, აირბინა ერთი პატარა ბორცვი და პირდაპირ თავზე დაადგა მტრის ჯარისკაცებს, ისინი გასაქცევად წამოშლილიყვნენ. დავითმა ანგარიშმიუცემლად დააჭირა ავტომატს და ისე მოატარა, თითქოს ყველას მოცელვას უპირებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს თითქოს მისთვის მკერდზე შურდულით ნასროლი კენჭები მოერტყათ, რაღაც ამის მსგავსი იგრძნო. რამდენიმე წამს თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო, ვითომ დადევნებაც სცადა, მაგრამ მუხლი მოეკვეთა, ავტომატი ხელიდან გაუვარდა, დედამიწა გადაყირავდა, თვალებში საოცრად ლურჯი ცის ნაგლეჯმა გაუელვა...

თავი ოცდამეოთხე

ტანში შეაჟრჟოლა. გული ერეოდა. მთვრალივით მიაბიჯებდა პროსპექტზე, წიგნების მაღაზიის ვიტრინასთან შეჩერდა და წიგნებს დააკვირდა, თითქოს რომელიმე მათგანს ირჩევდა.

გული ისევ ერეოდა და აჟრჟოლებდა.

დიდხანს უცქეროდა ვიტრინაში წიგნებს. რა უცნაური იყო ეს წიგნები, ზოგი დიდი და ზოგი პატარა, ზოგი კარგი ყდით, ოქროს ვარაყით, ზოგი უბრალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უნდათ, ამდენ წიგნებს რომ წერენ. სახელი უნდათ გაითქვან, მეტი არაფერი.

ოცდახუთი...

უცბად ფიქრის შეეშინდა. ვიტრინას მოშორდა, მეორე ვიტრინას მიაშურა. აქ საკანცელარიო ნივთები იყო გამოლაგებული: სამელნეები, კალმისტრები, სახაზავი ხელსაწყო, თაბაშირის პატარა ქანდაკებები, ფერადი ღია ბარათები, მწერლების პორტრეტები.

აქ ბევრი რამ იყო საყურადღებო. აგერ პატარა კინოაპარატი. კარგია, რომ იყიდოს...

ისევ შეაშინა ფიქრმა. ფულის გახსენება არ შეეძლო, ვიტრინას მოსცილდა, მაგრამ ფიქრი ბრაზიანი ძაღლივით მაინც დაეტაკა.

დღეს საღამოს ოცდახუთი ათასი უნდა ჩააბაროს გურგენას.

და ისევ დაბარბაცდა. თავი შეიმაგრა. მიმოიხედა.

ხალხი უდარდელად მიაბიჯებდა. ვიღაც სამხედრო დიდი ამბით მიაცილებდა ლამაზად მორთულ ქალს. კიოსკთან გოგოები კისკისებდნენ. მუშას ზურგზე დიდი ყუთი მოედო და ტროტუარზე მიაბიჯებდა.

პაპიროსი მოუნდა. ჯიბეები მოიქექა. არ აღმოაჩნდა.

მიმოიხედა, ვერავინ დაინახა ნაცნობი.

— სად წავიდე?

სულ დაავიწყდა ნაცნობიც და ნათესავიც, ვისთანაც შეიძლებოდა წასვლა. თითქოს ცარიელი თავისქალა ედგა მხრებზე, არაფერი არ აგონდებოდა. ოპერის შენობას შეაცქერდა.

— მივალ სახლში. ვეტყვი მამაჩემს ვაჟკაცურად ყველაფერს. —ვითომ თავი გაიმაგრა, მაგრამ მუხლებში მოსხლტა, ბორდიურზე ჩამოჯდა, გამვლელებს უაზროდ აყოლებდა თვალს.

ჯერ სტვენა მოისმა და შემდეგ:

— ამხანაგო, აქ არ შეიძლება ჯდომა!

გაზონის გადაღმა ქუჩაზე მილიციელი იდგა და ხელით ანიშნებდა, ამდგარიყო.

რეზო მძიმედ ადგა და ქუჩას გაჰყვა.

ნეტავ ვინ თქვა, რომ, ვისაც თამაშში ბედი არ წყალობს, სამაგიეროდ, სიყვარულში მუდამ იმარჯვებსო. მართალი უთქვამს. სულ ლილის ბრალია ყველაფერი. ის რომ არა, ალბათ, ბედი გაუღიმებდა. რას აედევნა და მოსვენებას არ აძლევს. ძაღლივით ელაქუცება და სულ ფეხებში ეგება. რა უნდა უთხრას, რომ არ აუსრულოს... წინათ გულის მოსვლა იცოდა. ახლა ხმას აღარ იღებს. გუშინ სცემა. ის კი მუხლებში ჩაუვარდა და ევედრებოდა: რომ მომკლა, მაინც მეყვარებიო. და აი დღეს რა შედეგი გამოიღო. ოცდახუთი ათასი „პრისტავკა“ წააგო. რა გამოიგონოს ისეთი, რომ თავი შეაძულოს. დათარსა თავისი სულელური სიყვარულით.

რეზომ ბაღისაკენ გადაუხვია. მერხზე ჩამოჯდა. შადრევანთან ფოტოგრაფი თვლემდა.

ვიღაც ქალს ახალფეხადგმული ბავშვი გამოეყვანა და სიარულს ასწავლიდა. ორი პატარა ბიჭუნა გაზონში გადამძვრალიყო. ორივენი ცელქობდნენ და თან აქეთ-იქით დამფრთხალი ბეღურებივით იცქირებოდნენ. მებაღისა ეშინოდათ.

რეზომ თვალით დაუწყო ძებნა მებაღეს. მებაღე არ ჩანდა.

— რეზო, გამარჯობა...

აიხედა.

— აა... ბატონო სამსონ...

წამოდგა, ხელი ჩამოართვა. სამსონი სადღაც მიიჩქაროდა, მაგრამ ერთი წუთით მერხზე ჩამოჯდა. რეზოც დაჯდა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა სამსონმა.

— არაფერს. ისე...

— ისე! შე ეშმაკო, შენა. ალბათ ვინმე ქალს ელოდები.

— არა, ბატონო სამსონ.

— ქალებთან ფრთხილად უნდა იყო.— სამსონმა სპილოს ძვლის მოზრდილი სათუთუნე ამოიღო და პაპიროსის ხვე-

ვას შეუდგა, — ქალებმა ეშმაკობა იციან. პარიზში რომ ვიყავი... თუთუნს არ მოსწევ?

— გმადლობთ. — რეზომ სათუთუნე ჩამოართვა.

— პარიზში რომ ვიყავი, პირდაპირ მოსვენება არ მქონდა ქალებისაგან. ბევრსაც ვეშმაკობდი, ამას საიდუმლოდ გეუბნები. არსად გამამხილო.

— აქ, ბატონო სამსონ, განა ხელს აკლებთ? — ღიმილით ჰკითხა რეზომ, პაპიროსი გაახვია და სათუთუნე უკანვე დაუბრუნა.

— აქ... აქ ყოვლად შეუძლებელია, ჩემო რეზო. საზოგადო მოღვაწე, ხომ იცი, განწირულია. ქვეყანა გიცნობს. ჩემი რჩევაა, საზოგადოებრივი მოღვაწეობა არ აირჩიო სარბიელად, ველარ გაიხარებ. ყველა შენ გიცქერის და მერე ვერ წარმოიდგენ, რა ჭორიკანები არიან ეს ვითომდა დარბაისელი ადამიანები. ქალთან ხელიხელ გაყრილი რომ გაიარო, საყვარელიაო, იტყვიან. მართლა, მამაშენი უნდა მენახა, ახალი ამბავი მინდოდა მეთქვა. არჩევნები კიდევ გადაიდო. სხვა, შენი საქმე როგორაა?.. — სამსონი რატომღაც აფუსფუსდა და ადგა. წასასვლელად გაემზადა, — საგნებს ხომ აბარებ. თუ დახმარება გინდა, მე მითხარი.

რეზოს ხელი გაუწოდა და სწრაფი ნაბიჯებით წავიდა.

თვალი გააყოლა რეზომ. სამსონი კიღაცას დაედევნა.

თვითონაც დააპირა წასვლა. მიმოიხედა.

ქალიშვილი დაინახა. წიგნები მოხდენილად აეღლიავებინა და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ნაცნობად ეჩვენა.

— მაყვალა!

დაუძახა და მაშინვე ელვის სისწრაფით ჩაუთქვა: ამ საღამოსვე შევუტევ, თუ უარზე დადგა, თამაშის ბედი ჩემსკენ შემობრუნდებაო. თავს დავიხსნი. ოცდახუთი ათასს ვიშოვნი. მაყვალა წმინდაა. ქალწულია. ლილის მეგობარი. ალბათ გადაირევა. მე კი დიდი ხანია მომწონს, სულელი, აქამდე სად ვიყავი.

— მაყვალა, მაყვალა!

— უი, რეზო! — შედგა ქალიშვილი და მიახლოებულ რეზოს ხელი გაუწოდა, — გამარჯობა!

— გამარჯობა. სად გარბიხარ?

— ინსტიტუტში.

— აუცილებელი საქმე გაქვს?

— რა იყო?

— ეს დღე მე შემომწირე.

მაყვალამ თვალებში შეხედა რეზოს. გაუკვირდა, რას მეუბნებაო.

— დიდი სიამოვნებით, ძამია... — გაუბედავად წაიდუდუნა მან, მაგრამ რომ არ მცალია...

— კარგი ერთი, ჩემთვის არ შეგიძლია მოიცალო?

— შენთვის როგორ არა, მაგრამ...— მაყვალა შედგა. ის უკვე თანახმა იყო. ქალურმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, — ლილი სად არის?

ეს პატარა კვანტი იყო. რეზომ გაიცინა.

— არ ვიცი.

— როგორ არ იცი. არ გინახავს?

— დღეს არა.

— არც მე მინახავს. ინსტიტუტში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. წამოდი, ინსტიტუტში გამაცილე. ლილიც იქ იქნება.

— დაიცა. — რეზომ მკლავში მოჰკიდა ხელი მაყვალას და საწინააღმდეგო მხრისაკენ მოაბრუნა, — მე არ მინდა ლილისთან შეხვედრა. ჩემთან წამოდი.

თავში გაუელვა — სად წაეყვანა? მოაგონდა, ჟორასთან წავიდოდნენ.

— უი მე! პროფკავშირის კრება გვქონდა ამ საღამოს. — მოიხედა უკან მაყვალამ.

— კარგი ერთი. მე მეგონა, მართლა დიდი საქმე გქონდა. იცი, რა!

— რა? — ქვევიდან ახედა მაყვალამ.

— წამოდი, ერთი წუთით ჟორასთან შევიაროთ. საქმე მაქვს. თამბაქო უნდა

მოეტანა ჩემთვის. მერე ერთად წავიდეთ.

— სად წავიდეთ?

— გეტყვი. რა სულსწრაფი ყოფილხარ. ოჰ! რა სიამოვნებით დავითვრებოდი დღეს... მაყვალა, გულწრფელად მითხარი, ხომ საზიზღარი ვარ.

— რას ლაპარაკობ, რეზო! — შეშინებული ხმით წამოიძახა მაყვალამ.

— არა, მართალი მითხარი, ხომ გეზიზღები.

— ღმერთო მომკალი, რად უნდა მეზიზღებოდე.

— მაშ გიყვარვარ?

მაყვალა უცბად შედგა და ხელი გაითავისუფლა. მხარდამხარ გაჰყვა. ჩუმად მიაბიჯებდა. კითხვაზე არ უპასუხა. ისინი უკვე პროსპექტზე მიდიოდნენ.

— მე წავალ ახლა, — უცბად გადაწყვიტა მაყვალამ და შედგა, დააპირა გაბრუნება.

რეზოც შედგა და სრულიად წყნარი, მიმქრალი ხმით ჰკითხა:

— მაშ არც შენ გებრალები?... კარგი. წადი. — და მძიმედ ამოიოხრა, თამაში არ გამოდიოდა.

— ღმერთო, ეს რა დღეში ჩავვარდი. — შეწუხდა მაყვალა, მერე ხვეწნით უთხრა, — მართალი მითხარი, სად მიგყავარ, ან რა გინდა ჩემგან?

— არაფერი, — გაიცინა რეზომ, მერე წარბები შეიკრა და უთხრა, — წადი, მხოლოდ მერე არ ინანო, მარტო რად დავტოვეო...

„ალბათ საქეიფოდ მიდის და თან უნდა წამიყვანოს, — გაიფიქრა მაყვალამ, — წავყვები, რა! ლილიმ რომ გაიგოს, ხომ მომკლა. დედა, რა ეჭვიანია“.

— წამოდი, წამოდი. არ დაგტოვებ მარტო. ჟორასთან წავიდეთ?

— ჰო, ერთი წუთით...

ორივენი ჩქარი ნაბიჯით წავიდნენ, თითქოს საქმეზე ეშურებოდათ. მაყვალა გზადაგზა უამბობდა, როგორ გაატარა ზაფხული კოლმეურნეობაში, როგორ გამოიმუშავა სამოცი შრომადღე, როგორ მიიღო სამასი კილოგრამი სიძინდი, ოცდაათი კილო ლობიო, ორმოცი ლიტრა ღვინო...

— ღვინო? — გაოცდა რეზო, — მერე რა უყავი?

— მაქვს. გინდა დაგპატიჟო?

— მართლა?

— მართლა. რა გიკვირს?

— როდის, ახლა?

— თუნდაც ახლა.

— მაშ წავიდეთ.

— დაიცა, ჟორაც წავიყვანოთ.

— დაიკარგოს აქედან. ჟორას შენი შრომით მოწეული ღვინო დავალევინოთ?! ოჰ, რა კარგი ხარ, მაყვალა, რომ იცოდე. ისე მინდოდა ღვინო, ისე, ისე, რომ ვერც კი წარმოიდგენ. ჯიბეში კი ერთი გროშიც არა მაქვს.

— რას მეუბნები. მე სულ ვოცნებობდი, ვინმე დამეპატიჟა, და შენზე უკეთეს სტუმარს სად ვიშოვნი. წამოდი, შენ გენაცვალე.

ჟორასთან შეიარეს. რეზომ რაღაც უჩურჩულა ჟორას, მან კი უხმოდ გამოუტანა ერთი კოლოფი თამბაქო. მაყვალამ ჟორაც მიიწვია თავისთან, მაგრამ მან თავაზიანად უთხრა უარი, არა მცალიანო.

— წამოდი, რა, არ მკადრულობ? — ეხვეწებოდა მაყვალა.

— არა, ჩემმა მზემ, არა მცალია. ერთი კაცი უნდა მოვიდეს ჩემთან, საქმე მაქვს. შემდეგ იყოს.

— შემდეგ კი აღარ მექნება, — ღიმილით უთხრა მაყვალამ და რეზოს შეხედა, — უთხარი, რა, წამოვიდეს.

— წამო, წამო, — უთხრა რეზომ მაყვალას ჟორას ნაცვლად და მკლავში ხელი გამოსდო, — რა მაგის საქმეა ღვინო. მაგას ჩაი და მურაბა უყვარს.

ქუჩაში მაყვალამ უნებურად მიაქცია ყურადღება, რომ რეზო ერთიერთმანეთზე ეწეოდა პაპიროსს. ლაპარაკის დროსაც ხან ყურადღებით იყო, ხან კი

არაფერი. არ ესმოდა და მის კითხვებზე სრულიად უადგილოდ ამბობდა ხან ხოს, ხან არას.

როდესაც ოთახში შევიდნენ, ახალგაზრდა ქალმა მაშინვე გაშალა პატარა სუფრა. რეზომ ბოთლი კისრით ჩააყუდა ჩაის ჭიქაში, გაავსო და მაშინვე გადაჰკრა. ღვინო ოდნავ მჟავე იყო და ენას სწვავდა.

მაყვალამ ყველი დაჭრა, ჭადი ოთხად გატეხა და მერე კუნძის მაგვარ მოხარშულ ღორის ხორცს მისწვდა და თლა დაუწყო. რეზომ შეაჩერა.

— არ გინდა არაფერი. საჭმელი არ მინდა.

— უიმე, რას ამბობ. აბა მარტო ღვინო გაგონილა?

— შესანიშნავი ღვინოა, — თქვა რეზომ და ისევ ჭიქა აავსო, — ეს შენი სადღეგრძელო იყოს. იცი, რა, შენ ბედნიერი ხარ. — მაყვალას რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ რეზომ არ დააცალა, — იცი, რატომ ხარ ბედნიერი? შენ ცხოვრების მიზანი გაქვს. წამოსულხარ სოფლიდან, იტან ათას გაჭირვებას და უკეთესი ცხოვრებისათვის იბრძვი. სწავლობ, ხომ კარგად სწავლობ? ჰო, მართლა, შენ უკვე დისერტაცია დაიცავი, მეცნიერი მუშაკი ხარ, მამაჩემის ასისტენტი. იცოცხლე, მაყვალა, გისურვებ მიზნის მიღწევას.

მეორე ჭიქაც სულმოუთქმელად დაცალა და პაპიროსი მადიანად გააბოლა.

— რა ბედნიერი ვიქნები, შენსავით რომ ვიყო, აი ასე, — გულწრფელად თქვა რეზომ და ოთახს თვალი მოავლო, — ვიჯდე, ვსწავლობდე და მიხაროდეს, რომ საგანს ჩავაბარებ ფრიადზე, ხვალ მეორე საგანს, მერე დავამთავრებ, დიპლომს მივიღებ, ცხოვრებაში დამოუკიდებლად გავალ და...

— შენ თუ მე ბედნიერეს მეძახი, ჩემო რეზო, შენ რაღა უნდა იყო მაშინ...

— უბედნიერესი, არა? — გაიცინა რეზომ, — ჩემზე უბედური დღეს კაცი არ დადის თბილისში. ოჰ! ღმერთო, რისთვის არ წამიყვანეს ფრონტზე. აი, ამ წუთში ხელს რომ მტაცებდნენ — და პირდაპირ ომის ცეცხლში შისროდნენ, რა ბედნიერი ვიქნებოდი!

მაყვალა გაოცებული შესცქეროდა რეზოს, რომელმაც კიდევ აავსო ჭიქა და თვალით მეორე ჭიქას დაუწყო ძებნა.

— მეორე ჭიქა არა გაქვს? შენც დალიე ჩემთან ერთად.

— ახლავე მოვიტან ჭიქას, — თქვა მაყვალამ, კედელში დატანებული შპალიერგაკრული კარადის კარი გააღო და თაროდან ჭიქა ჩამოიღო. რეზომ ჭიქა აუვსო.

— ამ ჭიქით დაღუპული რეზო ადღეგრძელე.

— რატომ დაღუპული, რას ლაპარაკობ?

— მაშ ბედნიერი რეზო ადღეგრძელე.

— ბედნიერ რეზოს გაუმარჯოს, — ასწია მაღლა ჭიქა მაყვალამ და რეზოს ჭიქას მიუჯახუნა, — თუ საიდუმლოებას არ შეადგენს, არ შეგიძლია მითხრა, რამ გამოიწვია შენში ეს უცნაური განწყობილება?

რეზომ თუთუნი გაახვია, გააბოლა და ერთხანს მაგიდის კუთხეს შესცქეროდა. შემდეგ თავი მძიმედ აიღო და ქალიშვილს ჰკითხა:

— მაყვალა, შეგიძლია ახლა ჩემს თვალწინ გაშიშვლდე?

— როგორ?

— როგორ და ისე, გაიძრო კაბა, მერე პერანგი, ყველაფერი და ისე დადგე ჩემს თვალწინ?

— შემიძლია, — ღიმილით უთხრა, მაყვალამ. მიხვდა, რომ ლაპარაკი იყო ზნეობრივ ღირსებათა გაშიშვლებაზე.

— ვიცი, შეგიძლია, მე კი არ შემიძლია აღსარება გითხრა, რადგან ბინძურ ამბავთა საცვლებში ვარ გახვეული. იცი, რა, ქუჩაში რომ დაგინახე, გუნებაში გადავწყვიტე, სადმე შემეტყუე-

ბინე და შენზე იერიში მომეტანა იმ იმედით, რომ უარს მეტყოდი და სილას გამაწნავდი. ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ჩემთვის, მაშინ მე უაღრესად ბედნიერ ადამიანთა რიცხვს შევემატებოდი.

— არაფერი არ მესმის, — გაიქნია თავი მაყვალამ და სივრცეში მიშტერებული თვალებით იკითხა, — რატომ იქნებოდი ბედნიერი?

— რად გინდა გაიგო? დავლიოთ, გაგიმარჯოს!

— დავლიოთ, გაგიმარჯოს.

ჭიქები მიაჯახუნეს. დალიეს. რეზომ მთლად დასცალა ჭიქა, მაყვალამ ოდნავ მოსვა.

რეზო ჩუმად იჯდა. ნელ-ნელა იგრძნო ღვინის მოქმედება. ოდნავ თბილი ნეტარება უვლიდა სხეულში. თითქოს სინათლემაც იმატა და ახლა უფრო ცხადად ხედავდა პატარა მაგიდას, სუფთად გაწყობილ ლოგინს, ფანჯრის რაფაზე დაწყობილ წიგნებს, ლურსმანზე დაკიდებულ პირსახოცს, კედელზე მიკრულ ფოტოსურათებს, კარების კუთხეში მიყუდებულ გაცვეთილ ცოცხს.

კარგახანს იჯდა რეზო ასე ჩუმად, რადგან მაყვალა ფიქრებმა გაიტაცა და ისიც ხმაამოუღებლად შესცქეროდა ფანჯარას. მაყვალას სურდა გაეგო, რად იქნებოდა ბედნიერი რეზო, თუ გაუძალიანდებოდა და სილას გააწნავდა.

რეზო უცბად ადგა და კედელზე მიკრულ ახალგაზრდა მეთაურის სურათს დააკვირდა.

— ეს ვინაა? — იკითხა რეზომ.

მაყვალა ფიქრებიდან გამოერკვა და სურათს შეხედა.

— საქმროა ჩემი, — იცრუა მან.

— ფრონტზეა?

— ჰო.

— კარგი ბიჭი ყოფილა, — თქვა რეზომ და ისევ დაჯდა, ჭიქა აავსო, — გაუმარჯოს, — თვალით ანიშნა სურათზე.

მაყვალას გული დასწყდა, რომ რეზომ ასე ადვილად დაიჯერა მისი სიცრუე.

— არა, მართლა, ვიხუმრე. ბიძაშვილია ჩემი.

რეზომ თვალი თვალში გაუყარა მაყვალას და წარბები შეიკრა. უცბად გაახსენდა, რომ დანიშნული ვადისთვის ოცდახუთი ათასი მანეთი უნდა მიეტანა გურგენასათვის. ხსნა კი არსაიდან იყო, იღუპებოდა და ის პატარა ხავსი, რომელსაც ხელი მოსჭიდა, უკვე სწყდებოდა ნაპირს.

რეზო ქუჩაში გამოვიდა და არეული თვალებით მიმოიხედა.

საღამოვდებოდა. ქუჩა ცარიელი იყო.

„ახლა წავალ შინ. ახლა შემიძლია მამაჩემს პირდაპირ ვუთხრა, მომცეს ოცდახუთი ათასი მანეთი. თვითონ არ ექნება, მაგრამ დაურეკავს თავის მეგობრებს, პროფესორებს, დოცენტებს, დირექტორებს, ზოგს ხუთი ათასი ექნება, ზოგს სამი, ზოგს ერთი. შეაგროვებს!“

უნებურად ქვას ფეხი წამოჰკრა და, თითქოს გაღვიძებოდეს, ისე მიმოიხედა. სად მიდიოდა? შინ? რა უნდა შინ! მას ახლა ურჩევნია, ჯოჯოხეთის კარები შეაღოს და ალმოდებულ კუპრში ჩაეშვას თავით, ვიდრე საკუთარ სახლში მივიდეს და დედ-მამას დაენახვოს.

მაშ სად წავიდეს, ინსტიტუტში?

აი, ახლა ალბათ სხედან სტუდენტები ლაბორატორიაში და ვარჯიშობენ. მათი ხელმძღვანელი სათვალეებიანი ახალგაზრდა ასისტენტი ქალი სხაპასხუპით ხსნის ქიმიური რეაქციების ათასგვარ თავისებურ კანონებს და სტუდენტებს სათითაოდ უსახავს ამოცანებს. აგერ, ნანული მჭედლიძე თავდახრილი დასცქერის რეტორტას და რაღაც სიმჟავეს ხდის, იქით გრიშა ჯაგნიძე ზუსტ სასწორს აცოდვილებს, გვერდით გოგოლა კუპატაძე უზის, თავისი ბოხი ხმით იმეორებს ფორმულებს

და რვეულში იწერს. აგერ გულნაზი და ეველინა ფაიფურის როდინებში რაღაცას ნაყავენ და ლესავენ.

ამ დროს შეაღოს რეზომ კარები? შეაღოს და მაშინვე გაიგონოს ხელმძღვანელის სიტყვები:

— აი, რეზოც მოვიდა, აბა, მოდი და აგვიხსენი, რას ნიშნავს ტიტრაციის წესი და როგორ უნდა ჩავატაროთ ამ სახის ანალიზი.

და რეზოს თავისი ამხანაგების წინაშე, გაუთლელი გრიშა ჯაგნიძის, სოფლელი გოგოლა კუპატაძის, მისი თაყვანისმცემლების — გულნაზისა და ევალინას წინაშე, — ვინ მოსთვლის კიდევ, რამდენი სტუდენტი იქნება პრაქტიკაზე, — ყველას წინაშე თავი უნდა მოეჭრას? ამ მოხსელმა გოგოლამ დამცინავი ღიმილით უნდა გადახედოს რეზოს?

გულისრევა იგრძნო.

სად წავიდეს, ვის მიმართოს საშველად? ყოველგვარი საშუალება ამოწურული იყო. არავინ აღარ ჰყავდა არც მშველელი, არც მეგობარი. გრიშას სცემა. გოგოლა გალანძღა და მეტიჩარა უწოდა მის საქმეში ჩარევის გულისთვის. კომკავშირის ორგანიზაციის მდივანს ხეპრედ ურჩია თავის კომკავშირელებზე ეზრუნა და მისთვის თავი დაენებებინა. არავის არ ეკარებოდა, ყველა გადაიმტერა, ყველას წაეჩხუბა. მას ერთი მეგობარიც კი აღარ ჰყავს ტოლ-ამხანაგებში თავისი უკმეხი და თვითნება ხასიათის გამო. მისი ერთადერთი მეგობარი ახლა გურგენაა და საშკა კოსოი, რომელთაც ათი თუ თხუთმეტი წუთის შემდეგ ოცდახუთი ათასი მანეთი უნდა მიუტანოს, თორემ...

არ მიუტანოს? ეს ყოვლად შეუძლებელია. ერთი კვირის წინათ, როდესაც ასეთი პირობით გურგენას ოცი ათასი მოუგო, მან მეორე დღეს დანიშნულ ვადაზე მოუტანა და ხელში ჩაუთვალა. ახლა რეზომ წააგო და არ მიუტანოს?

ოდნავი ბარბაცით მიაბიჯებდა ქუჩაზე, ხალხი ტროტუარზე განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა. ჩამავალ მზეს ოქროსფრად შეეფერადებინა მახათას შიშველი მთა. ცაზე მიმოფანტულ ღრუბლებს ნაწიბურები შესწითლებოდათ.

*
* *

როდესაც ლილის აცნობეს რეზოს თვითმკვლელობის ამბავი, მან, მართალია, იკივლა და ამით სცადა დიდი მწუხარება გამოეხატა, მაგრამ უნებურად იგრძნო, რომ სულაც არ ეტირებოდა და, თავზარდაცემის ნაცვლად, თითქოს შვებაც იგრძნო. მას თურმე წარმოუდგენელ მძიმე ტვირთად აწვა, რეზოს ეს უკვე ჩამკვდარი და ხელოვნურად გაცოცხლებული, ნაძალადევი სიყვარული და ამას აქამდე ვერ ხედავდა. ეტყობოდა, რეზოს გულგრილმა დამოკიდებულებამ, მისმა მუდმივმა შიშმა, რომ ეს ახალგაზრდა კაცი უკვე ცოლად აღარ შეირთავდა და მას გაბახებულს, სახელგატეხილს გულგრილად ზურგს შეაქცევდა, ლილის მოთმინების ფიალა სრულიად აუვსო, მაგრამ ამ გზააბნეულ ქალს ნებისყოფა არ ჰყოფნიდა, პირდაპირ შეეხედა სინამდვილისათვის და გონების თვალი გადაევლო თავისი მომავლისათვის. ამიტომ იყო, რომ მისი სიყვარულის ამ მოულოდნელმა დასასრულმა, გლოვის ნაცვლად, თითქოს სიხარულიც კი განაცდევინა.

ძალიან უნდოდა ისე ეტირა, რომ ცრემლები ღაპაღუპით წამოსვლოდა, ისტერიკა დამართოდა, გული მართლა შეღონებოდა, მაგრამ, რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო სულ არ ეტირებოდა. ლილის არსებაში ახლა ცნობისმოყვარეობამ უფრო გაიღვიძა. და ცოტა რომ დამშვიდდა, წარმოიდგინა საზეიმოდ მორთული სამგლოვიარო დარბაზი, ყვავილებში ჩაფლული ახალ-

გაზრდა რეზო და იქვე შავებში მორთული თავისი თავი, აუარება ცნობისმოყვარე ქალებისა და მამაკაცების მისკენ მიმართული მზერა, ჩურჩული და მისი მომხიბვლელი სილამაზით გამოწვეული აღტაცება. ელვის სისწრაფით წარმოიდგინა ეს თავბრუდამხვევი სურათი და ისეთმა სანეტარო გრძნობამ შეიპყრო, რომ სრულიად გაუქრა ცრემლების გამომწვევი და გულისამაჩუყებელი გრძნობა. მას ახლა მხოლოდ ის აწუხებდა, რომ სჭირდებოდა, გაეთამაშებინა გლოვისაგან თავზარდაცემული სატრფოს როლი და მთელი ძალღონით აძალებდა თავისთავს სამგლოვიარო განწყობილებას. მაგრამ, რაც უფრო ცდილობდა, როგორმე ცრემლი გადმოეგდო, რაც უფრო ცდილობდა, გული ამოჯდომოდა და ზლუქუნით ეტირა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ყველაფერი ეს ხელოვნური იყო, და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ რეზო მას არასოდეს არ ჰყვარებია და ის მხოლოდ თამაშობდა სიყვარულს, ასევე თამაშობდა ახლა გლოვასაც.

მას წინასწარ ხიბლავდა მომავალ სამგლოვიარო პროცესიაზე თავის გამოჩენა, და იმის ფიქრმა, რომ სასწრაფოდ ახალი შავი კაბა უნდა შეეკერა, სრულიად დაავიწყა რეზოს ტრაგიკული დასასრული.

„დედას რომ შავი ხავერდი აქვს, იმას შევიკერავ კაბად, — ფიქრობდა ლილი, — შესანიშნავი კაბა გამოვა, გრძელი, კოჭებამდე დასული, მხრებზე პუფებით“.

— ვაიმე, დედა, მიშველეეთ...

„ვის შევაკერინო? ისაკ მარკოვიჩს თუ ელზა კარლოვნას? ელზა ნებრეჟნო შიოტ! ისევ ისაკ მარკოვიჩს ვეტყვი. ოცდაოთხ საათში მზად უნდა იყოს. ხვალ საღამოს პირველი პანაშვიდი იქნება“.

— დეეედა... რადა ვარ ცოცხალი!

— კარგი ახლა, დამშვიდდი, შვილო!

— დეეედა, მიშველეეე!...

„არა, მე განსაკუთრებით უნდა ვერჩეოდე. რაც უფრო მშვენიერი ვიქნები (მით უმეტეს, შავი ხავერდი გასაცრად მშვენის), მით უფრო შევეცოდები ხალხს. მერე ყველა იტყვის, საცოლე ყოფილა და როგორ გლოვობსო. ყველა იტყვის: მათ გაგიჟებით ჰყვარებიათ ერთმანეთიო. მე უნდა ვიდგე ტანწერწეტა და ვტიროდე. მაშინ აუცილებლად ვიტირებ. ცრემლებიც წამომივა. რატომ არ განვიცდი რეზოს სიკვდილს, რატომ არ განვიცდი? ნუთუ არ მიყვარდა და თავს ვატყუებდი. არა, რეზო, რასაკვირველია, მიყვარდა. თუმცა არა, არ მიყვარდა. რა სულელურად ვიმცირებდი თავს მის წინაშე. თუ არ მიყვარდა, რატომ ვიმცირებდი? ბოლოდროს სრულიად მომაბეზრა თავი. მე კი მეშინოდა, ჩემს შერთვაზე უარი არ ეთქვა... ის კი მათამაშებდა. მცემდა კიდევაც. ოჰ! მგონია კიდევაც კარგად მოიქცა, რომ თავი მოიკლა. გამათავისუფლა ამ წამებისაგან. როგორ ვიტყუებდი თურმე თავს, სამი დღის განმავლობაში რომ არ მენახა, დავრბოდი, დავეძებდი, ღამეები არ მეძინა. რას განვიცდიდი მე მაშინ? მართლა რას განვიცდიდი? არაფერს!“

ლილის მშობლები გულწრფელად შეაწუხა ამ თავზარდამცემმა ამბავმა. ალექსანდრემ მაშინვე წამოიძახა:

— რა ხდება ეს! — ხელები შუბლზე შემოიწყო და თავის კაბინეტში გავარდა.

ოლიკომ კი ლილის ხელი მოხვია, მისი თავი გულზე მიიკრა და ცრემლები ვეღარ შეიკავა.

ალექსანდრემ კაბინეტიდან გამოიხედა, უხილავ საზოგადოებას მიმართა, ხელები გაშალა და ისევ წამოიძახა:

— რა ხდება ეს, გამაგებინეთ!

ის, რასაკვირველია, ცდილობდა დაენახა ამ მოვლენის მიზეზი, რადგან, ალექსანდრეს აზრით, ყოველ ასეთ ჯერძო შმთხვევას საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. განა საოცარი არ

იყო რეზოს თვითმკვლელობა? მას ხომ არაფერი არ აკლდა. ჰქონდა კარგი ოჯახი, დედა და მამა თავს ევლებოდნენ. მის წინ თითქოს გაშლილი იყო ცხოვრების სარბიელი, ღია იყო უნივერსიტეტის კარები, მეცნიერების ყოველი დარგი, ხელოვნების ასპარეზი. მაგრამ... მან არჩია ზარის თამაში და უფსკრულში გადაეშვა. რატომ? სად იყო ამ უბედურების სათავე?!

— ამიხსენით, ღვთის გულისათვის, რა ხდება ეს, რა ხდება? — იძახდა ალექსანდრე და გამწარებული დარბოდა ოთახში.

დედა-შვილი კი ისევ განაგრძობდა მოთქმას. შემდეგ ყველანი დაწყნარდნენ და სათანადო თადარიგს შეუდგნენ.

ალექსანდრე გვირგვინის შესაკვეთად წავიდა, თანაც გადაწყვიტეს, რომ ლილი ცალკე დაამზადებდა გვირგვინს და თავისი სახელით შეამკობდა რეზოს, ალექსანდრე და ოლიკო კიდევ — ცალკე. ბევრი ითათბირეს, როგორი წარწერები გაეკეთებინათ გვირგვინების არშიებზე. ლილის უნდოდა რაიმე პოეტური ფრაზა წაეწერა და გული წყდებოდა, რომ არ შეეძლო ასეთი ფრაზის მოგონება.

ალექსანდრემ რამდენიმე ვარიანტი დაუწერა, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა. „რად გამხადე უბედური“, „დაუვიწყარ რეზოს — დიდი მომავლის მქონეს“, „მშობლების ჩამქრალ იმედს“. ლილიმ ყველა დაიწუნა. ბოლოს თვითონ გადაწყვიტა, უბრალოდ წაეწერა: „რეზოს ლილისაგან“, მხოლოდ მამას დაავალა, რაც შეიძლება დიდი ასოებით ყოფილიყო დაბეჭდილი, რომ ყველას თვალში სცემოდა.

თვითონ კი დედასთან ერთად წავიდა, რომ ორივეს მშობლებისათვის სამძიმარი გამოეცხადებინათ და ჭირისუფლობა გაეწიათ. გზაზე მკერავთან შეიარეს და ლილიმ შავი კაბა შეუკვეთა. დედა-შვილი დიდხანს თათბირობდა მკერავ ისაკ მარკოვიჩთან, ლოძელ ებრაელთან, კაბის ფასონისა და მორთულობის. შესახებ. ისაკ მარკოვიჩი პოლონური აქცენტით ლაპარაკობდა და ლილის ურჩევდა შეეკერა ჩვეულებრივი საბალო კაბა, რომელიც ამჟამად სამგლოვიარო კაბის როლს შეასრულებდა და შემდეგ, საჭიროების მიხედვით, ამ კაბით ყველგან შეეძლებოდა წასვლა — დღესასწაულებზედაც და, თუნდაც, ქორწილშიაც.

— ა კტო უ ვას უმერ?

— საქმრო, — უპასუხა ლილიმ.

— ოო, ეს ცუდია, — თქვა ისაკმა დამტვრეული რუსულით, — სად მოკვდა, ფრონტზე?

— დიახ ფრონტზე, — იცრუა ლილიმ.

— საბრალო. რამდენი იღუპება ფრონტზე. მერე როგორ ჩამოასვენეთ?

— ჩამოვასვენეთ.

— ალბათ ეს ძალიან ძნელი იყო. კაბას კი მშვენიერს გაგიკეთებთ. ის ალბათ გმირი იყო. — განაგრძობდა გამოკითხვას ისაკი და თან ხავერდის ნაჭერს შლიდა და ათვალიერებდა. — ბევრი ორდენი ჰქონდა?

რა ცნობისმოყვარე იყო ეს ისაკა.

— ჰქონდა, — უპასუხა ლილიმ, — სახელოებს როგორს გაუკეთებთ?

— ნუ სწუხხართ. კარგად გავაკეთებ, — დაამშვიდა ისაკმა. — რა ორდენები ჰქონდა? საბრძოლო ორდენები?..

— ჰო, საბრძოლო. — ლილის, უკვე მოთმინება ეკარგებოდა, — იცოდეთ, კაბა მოკლე არ შემიკეროთ!

— არა. მას ალბათ სამამულო ომის ორდენები ექნებოდა. ეჰ, გმირები ბევრი არიან, მაგრამ... ისეთებიც არიან. აი ახლა ერთ ახალგაზრდას მოუკლავს თავი, — მოჰყვა უდარდელად ისაკი, — იცით მერე, რისთვის? კამათელში წაუგია ოცდახუთი ათასი მანეთი. დანიშნულ ვადაზე უნდა მიეტანა, მაგრამ ვერ უშოვნია.

— რაო, რას ამბობთ?... — ხმის კანკალით იკითხა ლილიმ.

— ვინ გითხრათ, ნუთუ მართალია!— გაოცდა ოლიკო.

— მთელი ქალაქი ლაპარაკობს, — თქვა ისაკმა, — იცით, რა, მე არ მეგონა თუ საბჭოთა კავშირში ასეთი ამბები ხდებოდა. აი რას ნიშნავს ცუდი მშობლები. ყურადღება არ მიაქციეს და წავიდა ხელიდან. თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ, რომ საქმრო ფრონტზე დაგეღუპათ. მე თქვენ შესანიშნავ კაბას შეგიკერავთ, ოღონდ გასაწყოც იშოვეთ. ფასსაც ბევრს არ ავიღებ. თუ სხვა რამეს ვერ იშოვნით, მაშინ შავი ნატის ნაჭრები მომიტანეთ.

დედა და შვილი ყველაფერზე ეთანხმებოდნენ, მაგრამ როდესაც შეკერვის ფასზე მიდგა საქმე, მაშინ კი იტკიცეს და მთელი საათნახევარი ვაჭრობდნენ. იმდენი იჭაჭყანა ორივემ, სანამ ისაკა ნახევარ ფასზე არ დაითანხმეს.

*
* *

კვირას, დაკრძალვის დღეს, დანიელის სახლთან ხალხს მოეყარა თავი. ამ ხალხში, ცხადია, ბევრი იყო დანიელის პატივისცემით მოსული, მაგრამ უფრო მეტი ცნობისმოყვარეობას მოეყვანა, იმ სენსაციას, რომელიც ქალაქში რეზოს თვითმკვლელობამ გამოიწვია. ყველას სურდა საკუთარი თვალით დაენახა ეს ახალგაზრდა, რომლის შესახებ ათასნაირი ხმები დადიოდა, და ამიტომ ისინიც ისე მოისწრაფოდნენ აქეთ, თითქოს თეატრში ან სტადიონზე რაიმე განუმეორებელი სანახაობის სახილველად ეშურებოდნენ.

აქვე იყვნენ რეზოს ამხანაგები, რომელნიც წესრიგს ამყარებდნენ. ყოველ მათგანს მგლოვიარობის ნიშნად გულზე დაემაგრებინა საგანგებოდ დამზადებული შავი არშიამოვლებული რეზოს პატარა სურათი. ყველაზე მეტად გრიშა ფართიფურთობდა, განკარგულებას იძლეოდა და კიბეებზე დიდი საქმის კაცივით არბოდ-ჩარბოდა.

ლილიმ დილიდანვე ჩაიცვა თავისი ხავერდის ახალი კაბა და, როდესაც სარკეში ჩაიხედა, თავისი თავი ისე მოეწონა, რომ სიამოვნებისაგან სხეულში ჟრუანტელმა დაურბინა. შეეცადა, სარკეში მგლოვიარე სახე მიეღო. კარგად გამოუვიდა. მერე მაყვალასთან ერთად ადრიანად დაიჭირა საპატიო ადგილი ტასოს და გულიკოს გვერდით. ფეხზე იდგა და, კედელზე აკრული, ტანზე შემოსალტული შავი ხავერდის კაბით ისეთი წარმტაცი და მომხიბლავი იყო, რომ უნებურად იპყრობდა ყოველი მომსვლელის ყურადღებას. არ იყო ადამიანი, რომელსაც მისთვის განსაკუთრებული ყურადღებით არ შეეხედა, ლილი აშკარად ამჩნევდა ყოველივე ამას, ერთხელ კინაღამ გაიღიმა, როდესაც დარბაზში შოთა ვეშაგური შემოვიდა და აღტაცებულმა ახალგაზრდა ქალს თვალი ვეღარ მოაშორა.

ხანდახან ცხვირსახოცს მიიფარებდა ტუჩებზე და სურდა მიეღო დიდად მგლოვიარე სახე, თვალებს დაბლა ხრიდა და გუნებაში ფიქრობდა: „ასე უფრო ლამაზი თუ ვარ, მაყვალასავით რომ ვტიროდე, კიდევ უკეთესი იქნებოდა. ეს გამაგებინა, ამ მაყვალას რა ატირებს, ასე რომ ზლუქუნებს. აჰ, როგორ მოვწონვარ ხალხს, გოგოებიც კი მაშტერდებიან. შოთა პირდაპირ გაგიჟდა. ონისე ჯერ არ მოსულა. საინტერესოა ერთი, როგორ მოვხვდები იმ ყმაწვილს თვალში. გივის მუხლები მოეკვეთა. ვასილ პეტროვიჩი იყო, ახლა მეორედ მოდის და სულ მე მიცქერის. ნუთუ ჩემი გულისთვის. რა საცილოა.“

მეორე ოთახში ორკესტრი სამგლოვიარო მარშებს უკრავდა. სამსონმა ახალგაზრდებს წასჩურჩულა, კარგი იქნებოდა რომელიმე თქვენგანი სიტყვას იტყოდესო.

გულშემატკივარნი ამ აზრს ჩაეჭიდ-

ნენ და კარგახნის თათბირის მითქმა-მოთქმის და ჩურჩულის შემდეგ ისევ სამსონს მიმართეს თხოვნით სიტყვა წარმოეთქვა. იგი ჯერ უარზე იდგა. ახალგაზრდობის დროს, როდესაც ორატორობა დიდ მოდაში იყო, სამსონი ჯირკთან რომ მიგეყვანათ, იმასაც კი ეტყოდა სიტყვას, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა მანკაბერდელისათვის ასე მოუმზადებლად გამოსვლა საძნელო საქმე იყო. ამიტომ მან გადაჭრით განაცხადა უარი.

როდესაც დანიელმა გაიგო, რომ სიტყვის თქმას აპირებდნენ, სასტიკად იუარა. ეს ჩემი მასხრად აგდება იქნებაო. მართალია, ის ძალზე განიცდიდა რეზოს დაკარგვას და პირველად რომ გაიგო ეს ამბავი, კინაღამ დამბლა დაეცა, მაგრამ როდესაც ყველაფერი გამოაშკარავდა, ამან პირდაპირ გააცეცხლა. ერთხანს გახევებული ყვიროდა, არ მინდა ჩემი შვილი, თვალით ნუ დამანახვებთ, სახლში არ მოასვენოთ, სადაც გინდათ, იქ წაიღეთო, მაგრამ მერე მშობლიურმა გრძნობამ მაინც თავისი გაიტანა, თავში ხელი წაიშინა და სულ ერთსადაიმავეს იმეორებდა: ვაიმე, შვილო, მე დაგღუპე, როგორც წესია, თურმე ისე ვერ გაგზარდე და ღირსეულადაც დამსაჯეო.

ხალხი შეიძრა, ყველამ კისრები დაძაბა. აქა-იქ გაისმა ჩურჩული:

— მოასვენებენ... სიჩუმე... მოასვენებენ...

ლაპარაკი მიწყდა.

გამოჩნდა თავახდილი კუბო. ახალგაზრდები ცდილობდნენ, კუბო რაც შეიძლება აეყირავებინათ, რომ მიცვალებული ყველას დაენახა. ხალხი დაიძრა და ყველანი მთავარ ქუჩაზე გავიდნენ.

პროცესიამ სამხედრო ჰოსპიტალს ჩაუარა.

ეზოში თეთრხალათიანი დაჭრილები გამოსულიყვნენ, ისინი მზეზე ისხდნენ და მასლაათობდნენ. პროცესიამ უნებურად მიიპყრო დაჭრილების ყურადღება. მომვლელი ქალები და მედიცინის დები ერთი ფრთხიალით მოაწყდნენ ფანჯრებს, გამოცვივდნენ გარეთ და ყველანი ცდილობდნენ დაენახათ მიცვალებული. ყოველი მხრიდან ისმოდა:

— ის არის?

— დაინახე?

— რა ლამაზი ბიჭი ყოფილა!

ღობეზე მიმდგარი დაჭრილები ღიმილით გასცქეროდნენ პროცესიას და ლამაზ ქალიშვილებს უთვალთვალებდნენ. ხანდახან კიდევაც ეხუმრებოდნენ.

ქუჩის თავში, შორს, გამოჩნდა სანიტარული ავტობუსი. ის მოდიოდა საოცრად ნელა, ისევე ნელა, როგორც ეს შემხვედრი სამგლოვიარო პროცესია. ორივენი დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ავტობუსმა ჩაუარა გვირგვინებს, კუბოს და გემივით შეცურდა ხალხში. ნელა მიარღვევდა ის ზღვა ხალხს, ასევე ნელა მოუხვია ჰოსპიტალთან და ეზოში შევიდა. არავინ იცოდა მაშინ ამ ზღვა ხალხში, რომ ამ ავტობუსში მძიმედ დაჭრილთა შორის იყო ახალგაზრდა ინჟინერი დავით ბექაია.

თავი ოცდამეხუთე

მძიმე, მშიერ-მწყურვალი, გაჭირვებული ზამთრის შემდეგ დადგა ნანატრი გაზაფხული. ყველგან — მთებზე, მინდვრებზე, ეზოებში, ბაღებში, ქუჩებზე ამწვანდა და აყვავილდა ხეები, ბალახი, ყანები. ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა ბაღ-ბოსტნების გაშენებას შეუდგა. ყოველ მსურველს აძლევდნენ ქალაქის გარეუბანში სამასმეტრიან ნაკვეთს სადაც მშრომელი მოსახლეობა თითქმის ყოველ საღამოს, სამსახურის შემდეგ, მიეშურებოდა სამუშაოდ. ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ქუჩაში, ტრამვაიში, ტროლეიბუსში დაინახავდით თა-

ვიანთი ნაკვეთებისაკენ მიმავალ მამაკაცებს და ქალებსაც ხელში თოხით და ბარით.

ეს გაზაფხული კიდევ მით უფრო იყო გასახარელი, რომ საბჭოთა ჯარები მთელ ფრონტზე შეტევაზე გადავიდნენ და მტრებს დასავლეთისაკენ ერეკებოდნენ. სტალინგრადთან პაულიუსის არმიის განადგურების შემდეგ უკვე განთავისუფლებული იქნა ქალაქები — ხარკოვი, კურსკი, კრასნოდარი, ნოვოჩერკასკი, როსტოვი, გუატსკი, ვიაზმა და ახლა საბჭოთა მოქალაქენი ყოველ დილით, რადიოში მოსმენამდე, წინასწარ თვითონ ასახელებდნენ ხოლმე — დღეს ალბათ ეს და ეს ქალაქი იქნება ჩვენი ჯარების მიერ განთავისუფლებულიო.

ცხოვრება ნელ-ნელა ჩადგა კალაპოტში. მოწესრიგდა ნორმირებული მომარაგება. კერძო ბაზრებზე ფასებმა იწყო კლება. ქუჩები აღარ იყო ჩაბნელებული და მოსახლეობას თამამად შეეძლო სიარული.

მიჩუმდა ზარბაზნების ხმებიც. თუ ახლა უკვე ატყდებოდა ხოლმე საზენიტო ქვემეხების ბაგაბუგი, ეს მხოლოდ სალუტებისათვის. მოწინააღმდეგის მზვერავ თვითმფრინავებს ამ სიშორეზე მოფრენის თავი უკვე აღარა ჰქონდათ, სალუტებს კი ძალზე მოუხშირეს. ქვემეხების გასროლასთან ერთად ფუნიკულიორის ზემო სადგურიდან და ქალაქის რამდენიმე უბნიდან ისროდნენ შუშხუნებსაც. დაიქუხებდნენ ზარბაზნები და იმ წამსვე აფრინდებოდნენ ცაში ძნებად შეკრული წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერის კუდიანი ვარსკვლავები.

მართალია, ცხოვრების პირობები, ომის წინა წლებთან შედარებით, ჯერ კიდევ ძალზე მძიმე იყო, მაგრამ ნამდვილი, საბჭოთა ხალხისათვის დამახასიათებელი, ცხოვრების ხალისი ამ მოვარდნილ გაზაფხულივით გამოცოცხლდა და გაიფურჩქნა. სოფლად და ქალაქად, საკოლმეურნეო მინდვრებზე თუ ქარხნებში, სახარატო თუ საქსოვ დაზგებთან, ყველგან დაინახავდით ერთნაირი ხალისით და ბეჯითად მომუშავე ადამიანებს.

აპრილის მზიანი ხასხასა დღე იყო, როდესაც დავითი ჰოსპიტლიდან გაწერეს და წასასვლელად დაიწყო მზადება. მამიდაშვილები — ქეთო და მარო დილიდანვე მასთან ტრიალებდნენ. ტანისამოსი და საცვლები მოუტანეს, ჩააცვეს, დაახურეს, მერე აქეთ-იქით ამოუდგნენ, მკლავში მკლავი გამოსდეს და შინისკენ გაუდგნენ გზას.

ქუჩაში დავითმა გაბრწყინვებული სახით გახედა ნაცნობ მიდამოს, ხელები გაითავისუფლა და ქალიშვილებს უთხრა:

— რომ შემომებჯინეთ ყავარჯნებივით, დავარდნილი კი არა ვარ. გამიშვით ხელი!

— მოიცა, დავით, სუსტად ხარ, — უთხრა ქეთომ ღიმილით.

— სუსტად! — გააჯავრა დავითმა. — იქნება ვინმეს თავი მინდა მოვაწონო.

ისინი მხარდამხარ მიდიოდნენ, ნაცნობებს მხიარულად ესალმებოდნენ და ისე უციმციმებდათ სახე, უნებურად იპყრობდნენ გამვლელთა ყურადღებას. მით უმეტეს, რომ ამ ორ ქალს შუა მომავალ ახალგაზრდა კაცს მკერდზე ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა. ზოგიერთები კიდევაც ხუმრობდნენ და ხანგამოშვებით ისმოდა:

— ჰო, ჰო, ჰო, არ ჩაუგდიათ ხელში!

— შენ თქვი, ჩხუბი თუ არ მოუვიდათ.

— ბიჭიც კარგია, მაგრამ არც გოგოებია ურიგო.

— რა იცი, იქნება ნათესავებია.

შინ რომ მივიდნენ, მხოლოდ ახლა იგრძნო დავითმა, რომ ჯერ კიდევ მართლა სუსტად იყო. სანამ გოგოები ფუსფუსებდნენ და მოსალოცად მოსულ მეზობლებს წამდაუწუმ კარიბს უღებდნენ, დავითი ტახტზე წამოწვა

და სიყვარულით შეათვალიერა ეს პატარა ოთახი, სადაც გაატარა თავისი სტუდენტობის წლები. აქ ყველაფერი თითქმის უცვლელად იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ქალიშვილებს ყოველივე უფრო სუფთად და ლამაზად ჰქონდათ მილაგებული. წვიმისაგან ჭერზე დარჩენილი ლაქებიც კი ისევ ისე იყო, როგორც წინათ. ერთი ლაქა თავის მოხაზულობით ამ სახლის პატრონს, ქვრივ დედაკაცს, ჰგავდა და დავითი სულ მუდამ ხუმრობდა, ეს აშარი დედაკაცი ვერაფრით ვერ მოვიშორეო, მოკვდა, მაგისი სახლი უპატრონოდ დარჩა, მაგრამ მან მაინც ჭერში გამოჰყო თავი, სახლის ქირას მედავება, რატომ ტარიფით იხდი და თვეში ოც თუმანს არ მაძლევო. მართალია, რამდენიმე წლის შემდეგ დავითმა ოთახი შეაკეთა, ჭერი შეათეთრა, მაგრამ იმ უცნაურმა ლაქამ რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც გამოჰყო თავი, მხოლოდ ოდნავი განსხვავებით: სახლის პატრონს კისერზე ახლა ჩიყვი ეკიდა.

— გოგოებო, ერთი საქმე უნდა დაგავალოთ, — უთხრა დავითმა ქალიშვილებს, წამოიწია და ტახტზე ჩამოჯდა.

— რა საქმე, ერთი კი არა, ათი იყოს, — უთხრა ქეთომ.

— რადაც უნდა დაგიჯდეთ, გადაატრიალეთ მთელი ქალაქი და თვალხუჭია დედოფალა მიშოვეთ.

— დედოფალა? — გაოცებით იკითხა მარომ.

— გვეხუმრები, თუ მართლა გვეუბნები? — ქეთოს გაკვირვებასაც არ ჰქონდა საზღვარი.

— კი არ გეხუმრებით, მართლა გეუბნებით.

— თვალხუჭია დედოფალას სად იშოვნი. — ქეთო დაფიქრდა და ისე მიმოიხედა, თითქო ოთახში უნდოდა მიეგნო. — მაღაზიაში ტყუილია, სათამაშოები, წამლად რომ გინდოდეს, აღარ იშოვება. ისევ ოჯახებში თუ ექნება ვინმეს, ან საბურთალოს ბაზარზე.

— სადაც გინდათ, იქ შემიძებნეთ და, რასაც გინდათ, მივცემ. ასი, ორასი, სამასი თუმანიც რომ დამიჯდეს, მაინც უნდა ვიყიდო.

გოგოები დატრიალდნენ, ხან საბურთალოს ბაზარზე ირბინეს, ხან ნაცნობი ოჯახები ჩამოიარეს, მაგრამ ვერსად თვალხუჭია დედოფალა ვერ იშოვნეს. დავითი კი გაჭირვეულდა, სანამ თვითონ თავის საქმეებს არკვევდა, მთელი კვირის განმავლობაში დაარბენინებდა მამიდაშვილებს და მოსვენებას არ აძლევდა, მიშოვეთ და მიშოვეთო.

სამთო სამმართველოში დავითს სრულიად უცხო ხალხი დახვდა. მიუხედავად ამისა, ახალმა მმართველმა ის ძალიან გულთბილად მიიღო და დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველივე. აღმოჩნდა, რომ დავითის ნაცვლად ქვაბნარას მაღაროებში უკვე დაენიშნათ ინჟინერი. ამიტომ სამმართველოს უფროსმა რამდენიმე ადგილი დაუსახელა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, სადაც თავისუფალი იყო მთავარი ინჟინრის ადგილი, შესთავაზა თვით სამმართველოში განყოფილების გამგის თანამდებობა, მაგრამ დავითმა გადაჭრით მოითხოვა თავის ძველ თანამდებობაზე აღდგენა.

— კარგი, მოვიფიქრებთ, — ცოტა უკმაყოფილოდ უთხრა უფროსმა, — ზევით შევეკითხები, ჩვენ ხომ უშუალოდ მოსკოვს ვემორჩილებით. მით უმეტეს, თქვენ ალბათ ერთი ან ორი თვით აგარაკზე დაისვენებთ ასეთი მძიმე ჭრილობის შემდეგ...

— აგარაკი? განა იმაზე უკეთესი აგარაკი სადმე არსებობს? — უთხრა დავითმა. — იქ ისეთი წყალია, მკვდარს გააცოცხლებს. ჰაერი ხომ უკეთესი არ შეიძლება. მერე, რაც მთავარია, ჩემი დაწყებული საქმე მევე მინდა

დავამთავრო, გვირაბები მოვამზადო, საძიებო სამუშაოები მოვათავო, გავმართო ყველაფერი, მობრძანდით, ჩაიბარეთ და მერე ვინც გენებოთ, ის დანიშნეთ.

— შემოიარეთ სამი დღის შემდეგ,— უთხრა უფროსმა.

დავითი გამოეთხოვა სამმართველოს უფროსს იმ იმედით, რომ სამ დღეში მართლა გადაწყდებოდა საკითხი, მაგრამ იმ სამ დღეს კიდევ სამი მოჰყვა და იმ სამს კიდევ სამი. დავითი ერთხანს მოთმინებით ელოდა საკითხის გადაჭრას, ერთობოდა ნაცნობ-მეგობრების ნახვით, სოფლიდან ბიძა-ბიცოლები და მამიდები ეწვივნენ ხორაგით, სავსე ტიკჭორებით და რამდენიმე დღე მის პატარა ოთახში სულ ღვინის ბუღი ტრიალებდა. ბიძები ემუდარებოდნენ, სოფელში წავიდეთ, ერთი ორი თვე დაისვენე, თანაც ერთ კარგ ქალს შეგრთავთო (იმათ არ სჯეროდათ, დავითი რომ ეუბნებოდა, ცოლი უკვე შევირთე და მაღაროში დავტოვეო) და ვინ იცის, კიდევ რანაირ გეგმებს არ აწყობდნენ.

მეცხრე თუ მეათე დღეს სამმართველოს უფროსმა კვლავ სხვა ადგილზე წასვლა შესთავაზა, ხოლო ძველ თანამდებობაზე დანიშვნაზე კი უარზე იყო. მაშინ გულმოსულმა დავითმა ხმაამოუღებლივ დატოვა უფროსის კაბინეტი და პირდაპირ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაშურა. იქ ერთ საათში გაარკვიეს ყოველივე და მეორე დღეს სამთო სამმართველოს უფროსმა სახლში გამოუგზავნა ბრძანების ამონაწერი ძველ თანამდებობაზე მისი გაგზავნის შესახებ.

დავითი მაშინვე შეუდგა გასამგზავრებლად სამზადისს. ის შაბათ საღამოს აპირებდა გამგზავრებას, რადგან კვირას უნდოდა გაევლო იმ სოფელში, სადაც მას დედოფალას მონატრული პატარა ობოლი გოგონა ეგულებოდა.

მაგრამ თვალხუჭია დედოფალა არსად იყო. რამდენი არ ეძებეს ქალიშვილებმა, ვერსად ვერ მიაკვლიეს. მოძებნეს ხელოსანიც, რომელიც თურმე ომამდე სათამაშოების ქარხანაში ასეთ დედოფალებს აკეთებდა, მაგრამ მან უარი უთხრა, ყალიბები არა მაქვს და არც სათანადო მასალა, რომ გავაკეთოო.

და უცბად მოაგონდა დავითს: ასეთი დედოფალა ლილის ჰქონდა. ბავშვობის დროს ეყიდნათ მისთვის და ისე უყვარდა და უვლიდა თურმე, რომ დედამისს გადაენახა. ახლაც კარადაში ედო ალბათ კოლოფში ჩადებული და თავდახურული. მაშინ, დაქორწინების მეორე თუ მესამე დღეს, გამოიღო კარადიდან ლილიმ ეს დედოფალა და დავითს ეუბნებოდა: აი შეხედე, მე პატარა შვილი უკვე მყავსო.

ვინ მიუგზავნოს, რომ ლილიმ ეს დედოფალა დაუთმოს? ქეთო ან მარო? უარით გამოისტუმრებენ. ვინმე სხვა საპატიო პირი?

დავითმა ბევრი ეძება მეხსიერებაში ისეთი საერთო ნაცნობი, რომელიც შესაძლებელი იყო მიეგზავნა ლილისთან, მაგრამ ვერავინ ვერ მოიგონა.

მივიდეს თვითონ? მერე, თავმოყვარეობა? დაიმციროს თავი, აფიქრებინოს, რომ ის კვლავ სიყვარულითაა ლილისადმი აღსავსე? კიდევ უფრო რომ დაამცირონ, მისთვის ძველი დედოფალაც არ გაიმეტონ და უარი უთხრან, მაინც წავიდეს?

დიდხანს ფიქრობდა წარბებშეჭმუხვნილი დავითი, მაგრამ, როდესაც მოაგონდა უღელტეხილგადაღმა ბნელ მიწურში მომაკვდავი ჯარისკაცი და მისი დავალება, შუბლი ნელ-ნელა გახსნა, გადაჭრით, მტკიცედ ჩაიქნია ხელი და თქვა:

— ამისთანა სიძნელეებს ცხოვრებაში უფრო უბრალოდ უნდა შევხედოთ ხოლმე.

*
* *

ლილი იანვრის სესიებზე ორ საგანში ჩაიჭრა, გულმოსულმა გადაწყვიტა, რომ იმისგან უმაღლესი ცოდნის პატრონი ადამიანი არ გამოვიდოდა, სწავლას თავი მიანება და ჟორას რჩევით კერძო მასწავლებელთან საესტრადო სიმღერების შესწავლას შეუდგა. მას იმედი ჰონდა ექვსი-შვიდი თვის ვარჯიშობის შემდეგ ისე მომზადებულიყო, რომ საესტრადო ბრიგადაში მოეხერხებინა ჩარიცხულიყო და, ამგვარად, მიეღოთ ფილარმონიის მომღერლად. ამიტომ თითქმის ყოველ საღამოს მათ ბინაში მოისმოდა როიალის ხმებზე აყოლებული გაბმული კივილ-ღრიალი და ბოშური მოტივების გულამოსკვნილი სიტყვები: „კა-ლა-კოლ-ჩიკი...ი... ბუბენ... ჩიკი ზვენიატ...“ ხმა ოდნავ გაბზარული ჰქონდა და მისი სიმღერები, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, შეზარხოშებულ მოქეიფეებს თუ მოეწონებოდათ, მაგრამ ლილი იხტიბარს არ იტეხდა და გულმოდგინედ განაგრძობდა ვარჯიშს.

ამ საღამოსაც ის-იყო მისი მასწავლებელი მიუჯდა როიალს, ლილიმაც ნოტები გადაშალა, ხოლო ალექსანდრე მოემზადა, ქუჩაში გაესეირნებია და თავისი ქალიშვილის სანეტარო სიმღერების მოსმენისაგან თავი დაეხსნა, რომ ამ დროს გაისმა ზარის ხმა. მამამ და შვილმა ერთმანეთს გადახედეს, ხოლო ოლიკო მეორე ოთახიდან გაეშურა დერეფნისაკენ კარის გასაღებად.

— აა, დათიკო! — განგებ ხმამაღლა დაიძახა ოლიკომ, რათა შინაურებს გაეგონათ, და კარები ჯერ ისევ მიხურა, რომ ჯაჭვი ამოეღო და მერე ფართოდ გაეღო მოულოდნელ სტუმარს, — მობრძანდით, შვილო... კი, სახლშია!

ლილიმ გაიგონა თუ არა დავითის სახელი, ელვის სისწრაფით თავის საწოლ ოთახში გავარდა და კარები მოხურა. ალექსანდრე კი ხელგაშლილი შეეგება თავის ყოფილ სიძეს და ოთახში მოიპატიჟა.

— იცნობდეთ, ეს... ლილის მუსიკის მასწავლებელია, — წარუდგინა მან ახალგაზრდა კაცს შავი და უცნაურად დამჭკნარი დედაკაცი, რომელიც თავის ნაოჭებიანი კაბით მოკეცილ ძველ ქოლგას უფრო წააგავდა, ვიდრე ქალს. თუმცა, ისიც უნდა დავძინოთ, რომ ამ არსებას განუხრელად სწამდა ერთი დევიზი: „ქალი ყოველ ასაკში უნდა აწონებდეს თავს მამაკაცს“.

— როგორ გიკითხო, ჩემო დათიკო, — ჰკითხა ალექსანდრემ.

— გმადლობთ, — ოდნავი ღიმილით უთხრა დავითმა და სკამზე დაჯდა.

ოლიკო კი მეორე ოთახში გავარდა, სტუმარს რომ არა გაეგონა რა, დედაშვილი გველივით ასისინდა.

— შე სულელო... ჩაიცვი ჩქარა, შესარიგებლადაა მგონია მოსული, — სისინებდა ოლიკო და ქალიშვილს მუჯლუგუნებს სთავაზობდა.

— დედა, რად უთხარი სახლშიაო, გაგიჟდი? არაფრის გულისათვის არ გამოვალ. მი უჟე რაზაშლის ი კონჩენო, — ასავე სისინით უპასუხებდა ლილი, მაგრამ გული სიხარულით მაინც ცას სწვდებოდა და იმეორებდა: „მაინც მოვიდა, მაინც მოვიდა...“ — და კარადაში საგარეო კაბას დაეძებდა. ხელში ის საზეიმო შავი კაბა მოხვდა, რითაც თვალს უბრმავებდა ხალხს, მაგრამ ოლიკომ ისე უკივლა, ხელიდან გააგდებინა.

— ტი ესესუმა საშლა! მეორე ჩაიცვი, კრეპმაროკენ! სულელო, ტრაურში ვარო, გინდა ისევ გადარიო!

— სწორი ხარ, — დაეთანხმა ლილი, — მაგრამ არც საგანგებოდ მორთვა ვარგა. შეამჩნევს. ასე გამოვალ, როგორც მაცვია, შენ წადი, მე ცოტა ხნის შემდეგ გამოვალ!

ოლიკომ დააპირა გასვლა, მაგრამ ლილიმ მოულოდნელად შეაჩერა:

— დედა, ა ვდრუგ, შესარიგებლად

კი არა, თავის კოსტიუმისათვისაა მოსული?!

ოლიკოსთვის თითქოს ცივი წყალი გადაესხათ.

— კოსტიუმისთვის?

— ჰო. მაგის კოსტიუმი ხომ ჩვენთან იყო. მე კი ის რეზოს მივეცი.

— მერე ვთხოვოთ დანიელს. დააბრუნოს!

— რანაირად დააბრუნებს. რეზო ხომ იმ კოსტიუმით დამარხეს?!

— რას მეუბნები, — იტკიცა ლოყაზე ხელი ოლიკომ და საწოლზე ჩამოჯდა, — გიჟი არა ხარ ახლა შენ? მართლა რომ გვითხრას, დამიბრუნეო, რა ვუთხრათ იმ კაცს. ამ სხვის ტანსაცმელს რომ ატანდი იმ ჯიბგირს.

— დედა! ნუ ლანძღავ მიცვალებულს.

— თორემ არ იყო?! გადი ახლა და შენ გაეცი პასუხი.

— ვეტყვი, რომ გაგვქურდეს და წაიღეს-მეთქი. — ნახა უცბად გამოსავალი ლილიმ, — ძაფი აღარ შეგვარჩინეს, აღარ გახსოვს?

— უუჰ, კი არ მოვრჩი! — თავისუფლად ამოისუნთქა ოლიკომ, — ჩემი გაქურდვა თუ ასე გამახარებდა, ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი. დროზე გამოდი, გავიგოთ ბარემ, რაშია საქმე.

ოლიკო დარბაზში გავიდა. ალექსანდრე და დავითი საუბრით იყვნენ გართულნი. ახალგაზრდა კაცი თავის თავგადასავალს უამბობდა ყოფილ სიმამრს. პირველად, სახლს რომ უახლოვდებოდა, საოცრად ღელავდა და ,ინაღამ გზიდან დაბრუნდა, მაგრამ ახლა აშკარად დაინახა, რომ მისი ცხოვრების მძიმე უღელტეხილი გადავლილი იყო, ამიტომ მთელი ეს აღელვება სრულიად გაუქრა და ის ერთი ხელის დაკვრით თითქოს განიკურნა იმ სულიერი ტკივილებისაგან, ამ სახლიდან წასვლის შემდეგ რომ განიცდიდა. დავითმა აღმოაჩინა, რომ მის არსებაში ახალი, რკინის ნებისყოფის და მაღალი ბუნების ადამიანი გაზრდილიყო, ადამიანი, რომელსაც შეეძლო ობიექტური სიმშვიდით აეწონ-დაეწონა როგორც საკუთარი ვნებანი, აგრეთვე ამ ვნებათა გამომწვევ ადამიანთა სულიერი ტკივილები. ამიტომ ასევე მშვიდად განაგრძო საუბარი ოლიკოს შემოსვლის შემდეგ და ასევე მშვიდად შეეგება ლილის, რომელიც ნაცემ კატასავით გამოიბუზა და მას საცოდავი წაკნავლებით მიესალმა.

— როგორ ხარ, ლილი? — მშვიდად და გაუღიმებლად ჰკითხა დავითმა. — მე გავიგე, რომ თურმე ბედმა გიმუხთლა. სამწუხაროა, მით უმეტეს, რომ მეც ძალიან ძვირად დამიჯდა ეს ამბავი. მაგრამ — ეს არაფერია. შენც არ იდარდო. ახალგაზრდა ქალი ხარ და მომავალი წინა გაქვს.

— შენ როგორ ხარ, დათიკო. — ლილი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს, — ჩვენ გავიგეთ, რომ საბჭოთა კავშირის გმირი გამხდარხარ და ყველას საოცრად გაგვეხარდა. დაჭრილიც ყოფილხარ. მძიმედ იყავი დაჭრილი?

დავითი ერთხანს ჩუმად იყო და პასუხს აყოვნებდა. არის ხოლმე ისეთი მომენტები, როდესაც ჩვენ უსიტყვოდ ვკითხულობთ ერთმანეთის ნააზრევს. სახის გამომეტყველებაზე შეატყო ლილიმ, რაც გაიფიქრა დავითმა, ეს შეეხებოდა იმ უდიდეს ჭრილობას, რომელიც მის გულს მიაყენა ახალგაზრდა ქალმა ამ ორი წლის წინათ და არც კი უფიქრია, მაშინ ეკითხა, გტკივა ეგ ჭრილობა თუ არაო.

— დიახ, ძალიან მძიმედ ვიყავი დაჭრილი. თითქმის გადაჭრილი, აი ასე, — განდაგან ხელით გადაიხაზა დავითმა, — იღბლად იმ დღეს სტანიცა რაისკაიაში დაფრინდა ჩვენი სანიტარული თვითმფრინავი და, მაიორ ივანოვის განკარგულებით, ის ახლა გენერალმაიორია, მე პირდაპირ თბილისში გადმომაფრინეს და იმ დღესვე საოპერაციო მაგიდაზე დამაწვინეს. თითქმის

ორი თვე უგრძნობელ მდგომარეობაში ვიყავი და ახლაც კი მიკვირს, როგორ გადავრჩი, მაგრამ პროფესორმა ჯანელიძემ თურმე პირდაპირ ხელახლა შემკერა და აი, როგორც ხედავთ, ისევ ცოცხალი ვარ.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. თითქოს სალაპარაკო მეტი აღარაფერი ჰქონოდეთ, ვერც ერთი ხმას ვერ იღებდა. დავითმა იგრძნო, რომ საჭირო იყო დროზე გადასულიყო საქმეზე.

— ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, ლილი, და იმედია არ გამაწბილებ.

სამივემ გაოცებით შეხედეს ახალგაზრდა კაცს, ხოლო მუსიკის მასწავლებელმა ვითომ უხერხულად ჩათვალა მათი პირადი საუბრის მოსმენა და როიალის თავზე დახვავებულ ნოტებს უაზროდ დაუწყო ქექვა, თითქოს რაღაც საჭირო რამეს დაეძებდა.

ლილიმ გაიფიქრა, ახლა მეტყვის კოსტიუმი დამიბრუნეო, და უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

— მე მახსოვს, რომ შენ გქონდა ბავშვობის დროიდან შემონახული თვალხუჭია დედოფალა, — უთხრა დავითმა ლილის და თვალებში შეხედა.

— როგორ არა. ახლაც მაქვს, — ღიმილით უპასუხა ცნობისმოყვარეობით აღვსილმა ლილიმ.

— დამითმე ის დედოფალა. სანამ შენ მომავალში შვილი შეგეძინება და მას დედოფალათი თამაში შეეძლება, პირობას გაძლევ, თუნდაც ათს გიყიდი და შენს ბავშვს მოვუტან. ახლა კი მთელი თბილისი გადმოვაბრუნე, სად არ ვიყავი და ვერსად ვერ ვიშოვნე.

— უი, ღმერთო ჩემო, რად გინდა? — გაიღიმა ლილიმ და გულზე სიამე მოეფინა, რომ დავითს თავისი ნივთები არ გახსენებია, — ახლავე გამოგიტან, აღარ ვიცი, ვარგა კიდევ თუ არა.

ფეხზე წამოიჭრა, მეორე ოთახში გავარდა და რამდენიმე წუთის შემდეგ მუყაოს კოლოფი გამოარბენინა, შიგ დედოფალა იდო. თავი ახადა და ხელში გადააქან-გადმოაქანა.

— არა უშავს-რა, ხუჭავს თვალებს.

დავითი გახარებული წამოიჭრა ფეხზე, ლილისთან მივიდა და დედოფალას დახედა.

— არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა, — უთხრა დავითმა. — რაც გინდა სამაგიერო, ის დამავალე. თუნდაც ცეცხლში მიბრძანე გადავარდნა, ყველაფერს შეგისრულებ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე გჭირდება, — ცოტა ეჭვიანად და გულდაწყვეტით ჰკითხა ლილიმ, — თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მითხარი. რად გინდა?

— არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ფრონტზე, გერმანელები რომ გავრეკეთ სტანიცა რაისკაიადან, იქ, საკონცენტრაციო ბანაკში, მიწურში ვნახე მომაკვდავი ჩვენი ჯარისკაცი, ვინმე ღუღუნიშვილი, ზემოიმერეთიდან. სიკვდილის წინ შემევედრა: თუ ცოცხალი დაბრუნდე ამ ომიდან, სოფელში ოთხი წლის გოგონა დამრჩა, სულ მევედრებოდა, მამა, დედოფალა მიყიდე, თვალებს რომ ხუჭავს იმისთანაო, ვერ ვუყიდე, ვაქკაცურად გთხოვ, პატივი მეცი, უყიდე და მიუტანეო. შევპირდი, მაგრამ მთელი თბილისი გადავაბრუნე და ვერ ვიშოვნე. ძველი რაც ყოფილა, გაყიდულა, ახალს არავინ აკეთებდა და ვერც საკომისიო მაღაზიაში წავაწყდი. მერე გამახსენდა, რომ შენ გქონდა. მართალი გითხრა, ძალიან გამიჭირდა აქ მოსვლა... — დავითმა ოდნავ გააჭიანურა თქმა, — მეშინოდა, რომ... მაგრამ თურმე კარგად მომშუშებია ჭრილობები. დრო კარგი მკურნალი ყოფილა!

მერე, უხერხულობა რომ გაეფანტა, კოლოფს თავი დაახურა და წასასვლელად გაემზადა.

— უიმე, მიდიხარ? — წამოიჭრა ზეზე ოლიკო, — ასე როგორ გაგიშვებთ.

შე კაცო, სხვა რომ არა იყოს-რა, სიძე იყავი ჩვენი!

— აჰ, არავითარ შემთხვევაში, — მიეშველა ცოლს ალექსანდრე, — ერთი ჭიქა ღვინო...

— არა, დიდი მადლობა. — დავითმა სათითაოდ ჩამოართვა ხელი ყველას— ჯერ ოლიკოს, შემდეგ ალექსანდრეს, მერე სიმღერის მასწავლებელს და ბოლოს ლილის,—შემდეგისათვის გადავდოთ. მე ძალზე მეჩქარება, ამაღამ მივემგზავრები.

— უკვე? სად? — ჰკითხა ლილიმ.

— ჩემთან, მთაში, სადაც წინათ ვმუშაობდი.

— უი, იქ? შეიძლება გეწვიოთ? — ჰკითხა ლილიმ, — მე ძალიან მაინტერესებს მთების ნახვა.

— მობრძანდით, სიამოვნებით მიგიღებთ. ახლა იქ ადვილია მოსვლა, უკვე საავტომობილო გზაა. წინათ კი ძნელი იყო.

სამივემ კარებამდე მიაცილეს სტუმარი. გავიდა თუ არა დავითი სახლიდან, ოლიკომ კარები მიხურა და ლილის გულმოსული ბატივით შესისინა.

— ამას გავშორდებოდი, შენ რომ ჭკუა გქონებოდა? ამისთანა ქმარს ვინ გაღირსებს აწი?!

— დამანებე თავი, — ბრაზიანად ესროლა ლილიმ და ოთახისაკენ წავიდა.

— მაგას შერიგება უნდა. — დაასკვნა დავითის შესახებ ოლიკომ და ქმარს შეხედა, — კისერს მოვიჭრი, თუ ეს ასე არ იქნება და შენ იქნები... — ახლა ქალიშვილს მოუბრუნდა და უკან დაედევნა, — შენ იქნები სულელი, რომ არ შეურიგდე.

— ატსტან! — ისევ წაუღრინა დედამისს ლილიმ და როიალთან მივიდა. ის კარგად ხედავდა, რომ უკვე ყველაფერი სამუდამოდ დაკარგული იყო. — იცით, რა, — უთხრა მან მასწავლებელს, — დღეს ვერ შევძლებ მეცადინეობას. გადავდოთ ხვალისთვის.

— პანიმაიუ, პანიმაიუ, დუშეჩკა, — ფუსფუსით უთხრა მასწავლებელმა, — ხვალისთვის გადავდოთ.

*
* *

ვიწროლიანდაგიანი მატარებელი პატარა სადგურზე გაჩერდა. დავითმა თავისი საჩუქრები აიღლიავა და ბაქანზე ჩამოვიდა. ლურჯად შეღებილ, რუსულ სტილზე ნაგებ სადგურის ხის შენობას საღებავი გახუნებოდა. გვერდით მოჩანდა მუქ ყვითლად შეღებილი სახანძრო ხელსაწყოებისათვის განკუთვნილი თალარი, რომელსაც წინაკედლის ნაცვლად რკინის ბადე ჰქონდა გაჭიმული, საბარგო საწყობი და იქვე დაგორებული ურიკა, თლილი ქვით მოპირკეთებული ჭა, ხელით სატრიალო ჯალამბარით და ზედ დაკიდული საოცრად დაჭყლეტილი ვედროთი. იქვე მოჩანდა გადაღრეცილი საქათმე, საღორეები. სადგურის უკან კი ამართულიყო მაღალი კლდე, რომელზედაც ალაგ-ალაგ ამწვანებულიყო მაყვლის, კვრინჩხისა და იასამნის ბუჩქები. საერთოდ მთელი ხეობა წარმოადგენდა კირქვიანი სისტემის ვიწრო დერეფანს და მდინარის გაღმაც ასეთივე მაღალი კედელი ამართულიყო.

მატარებელი წარახრახდა. დავითს კარგა ნასუქი ბურვაკი მიუახლოვდა და ფეხებში შეღრუჩუნა. მერე ლიანდაგებში ჩახტა, ვაგონის ფანჯრიდან გადმოგდებულ გაზეთში გახვეულ ნასუფრალს წააწყდა და გააფთრებით დაუწყო წეწვა.

დავითი ვიღაც უცნობ მამაკაცს მიუახლოვდა და ჰკითხა, სოფელში როგორ ავიდეო. მან ცოცხალი გულისყურით შეათვალიერა ეს უცხო კაცი და ზემოიმერული სიმკვირცხლით უთხრა:

— სოფელში მიბრძანდებით? რომელ სოფელში, ჩემო ბატონო. დარკვეთში?

— ჰო.

— ვისთან მიბრძანდები, ბატონო, შენე? — პასუხს არ დაუცადა და განაგრძო, — ასე გაბრძანდები, ბატონო, ხიდზე, მერე მარჯვნივ გაუყვები გზას, დიდი გზა მიდის, დიდი შარაგზა, და ის აგიყვანს ზევით და იქაა დარკვეთი. რომელთან მიდიხარ?

— ღუღუნიშვილია ერთი.

— ჰოო, მაშინ სწორედ ასე უნდა წაბრძანდე, რავარც გასწავლე. არაა შორს, ზედ კდისთავზე სახლობენ ღუღუნიშვილები. თქვენ აქაური არ უნდა იყოთ, ისე გატყობთ.

— სწორია. მე ქვემოური ვარ.

— ისე შეგატყვე მეც. კი, ბატონო, ასე წაბრძანდი.

— გმადლობთ, ნახვამდის.

— არაფერს, შენი ჭირიმე. სამადლობელი რა არი, ნეტავი სხვაფრად შემეძლოს პატივი გცე, თვარა ეს რაა.

დავითი გავიდა ხიდზე, გადახედა ლურჯად მოკამკამე ყვირილას, უნებურად მიაქცია ყურადღება, რომ ჭიათურას ქვემოთ ეს მდინარე, მარგანეცის სარეცხი ქარხნებით გაჭუჭყიანებული, ტალახივით შავი მიედინებოდა.

გზა ჯერ მდინარის ნაპირს მიუყვებოდა, მერე აღმა აუხვია და მალე მაღალ ზეგანზე გავიდა. დავითის თვალწინ გადაიშალა იმერეთის თვალწარმტაცი არემარე. შორს ამართულიყო შწვანე ხალიჩებით მოქარგული, მთაგორებით გარშემორტყმული მოდინახის ციხე. გზა ახლა სიმინდის ყანებზე მიუყვებოდა, შემდეგ ორღობეში შეიდა. გამოჩნდა ზემოიმერული შუშაბანდიანი ოდები, მაღალ სვეტებზე შედგმული სასიმინდეები, დაწნული კედლები რომ ძველ გრავიურას მიუგავდათ, ღობეებზე ცნობისმოყვარეებივით გადმოწოლილი თმაქოჩორა ტყემლები და ძველი მოქეიფე აზნაურივით ამაყად ამართული, მკლავებგაშლილი კაკლის ხეები. გრილი ნიავი საამოდ აშრიალებდა ფოთლებს და სადღაც ხეზე შაშვი გალობდა. ცაზე კი გარინდულიყვნენ საოცრად ფუნჩულა და ქათქათა ღრუბლის ქულები.

ორღობეში ფოსტლებში ფეხწაგმული თავსაფრიანი ქალი წნელით მოერეკებოდა ბატებს. გულმოსული ფრინველები გაჯავრებული ეყიყინებოდნენ ერთმანეთს, ხოლო მამალი ღერღეტი ხანდახან მოუბრუნდებოდა, კისერს წაიწვდიდა და ქალს სისინით შეუტევდა ხოლმე.

— დიდი ვაჟკაცი ბატი ყოფილა, — სიცილით თქვა დავითმა, ქალს თავაზიანად მიესალმა, ქართული სოფლის წესის თანახმად, და შემდეგ ჰკითხა:

— ვარდენ ღუღუნიშვილის სახლი სად არის?

— ასე წაბრძანდებით, ზევით, ჩემო ბატონო, და მერე მარცხნივ გზა უხვევს, ისე ჩაუყვებით. იქ იკითხეთ და მიგასწავლიან.

— თუ იცით, მის ოჯახში ხომ იციან, რომ ის ფრონტზე დაიღუპა?

— რავა არა, შემოდგომაზე მოუვიდათ ქაღალდი. მამამისი წასვლას აპირებს, მისი საფლავი უნდა ვნახოო, რას მიაგნებს ის უბედური, სიარული მაინც შეეძლოს. — ქალს ეტყობოდა, კიდევ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ბატებმა დრო უშოვეს და ფრთების ტკაცან-ტკაცანით გაქცევა დააპირეს, ამიტომ ქალიც იძულებული იყო ერთი წყევლა-კრულვით დასდევნებოდა ამ ბრიყვ ფრინველებს.

გზადაგზა დავითს კიდევ დასჭირდა რამდენჯერმე ეკითხა და ბოლოს მიადგა საკმაოდ მოზრდილ ორსართულიან ოდას, შუშაბანდით და თლილი ქვის კიბით. ეზოს ზედ ეკრა პატარა, მაგრამ კარგად მოვლილი ვენახი. ძელქვის ძირას სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი თეთრწვერა მოხუცი წალდით უწვეტავდა სარებს ბოლოებს. ძაღლმა ყეფა ატეხა, ჭიშკარზე გადაევლო და უცხო კაცს შეუტია, მაგრამ მოხუცმა საქმეს თავი ანება და მისი ერთი შეტევა — „წარბა, მოდი აქ“ საკმარისი

იყო, რომ ძაღლს მაშინვე შეეცვალა სიავე ლაქუცზე. იმ წამსვე დაიწყო კუდის ქიცინი, წინა ფეხებზე ჩაწოლა და კუნტრუში.

— მობრძანდით, ბატონო, — დაიძახა მოხუცმა, როგორც კი დაინახა, რომ უცხო კაცი მათ ჭიშკარს მიადგა. მაშინვე წამოიჭრა ფეხზე, იქვე გრძელ ყავარჯენს მისწვდა და ერთი ვაი-ვაგლახით სტუმარს მიეგება.

— გამარჯობა შენი, ბიძია, — მიესალმა დავითი.

— ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, შვილო. მობრძანდი, ნუ გეშინია, ჭკვიანი ძაღლია, კაცს არ ერჩის.

— ვარდენ ღუღუნიშვილის სახლი ეს არის?

— ვაი ჩემს მოსწრებას, — მოხუცმა მკერდზე მჯიღი იკრა და ცრემლები თქრიალით წამოსცვივდა, — იმისია, შვილო, ის აღარ მყავს, მე უბედურს, ეს სახლი დამრჩა და ის წამართვა ბედმა. ეს დამწვოდა და ის ცოცხალი მყოლოდა, არ მერჩია? მობრძანდი, შენი ჭირიმე, — უცბად შეცვალა ხმა მოხუცმა, ცრემლები მოიწმინდა და ჭიშკარი გააღო, — მობრძანდი, შენ გენაცვალე.

— თქვენ მამა ბრძანდებით მისი?

— კი, შვილო, მამა ვარ, მე უბედური, მამა. თქვენ ვინ ბრძანდებით, ჩემო ბატონო?

— მე უცხო კაცი ვარ, ჩემო ბიძია, მაგრამ ფრონტზე შევხვდი თქვენს შვილს სიკვდილის წინ, რაღაც პატარა დავალება მომცა და იმისთვის გეახელით.

— შენ კი გენაცვალე, — აკანკალებული ხელები გაშალა მოხუცმა, დავითს მიუახლოვდა და მხარზე აკოცა, — ჩემს ვარდენს ელაპარაკე?.. ეს ვინ მესტუმრა სახლში. ეი, ვინ ხართ მანდ, ნატალია, გულქანა, ირინე გამოდით გარეთ, რა სტუმარი მოგვივიდა, სად ხართ, თქვენი გამჩენი კი გაწყდეს, თქვენი!..

სახლში ერთი ალიაქოთი ატყდა. არათუ შინაურებმა, ეზოსაკენ კი გაიგეს მოხუცის ყვირილ-ძახილი და ყველანი მისი ეზოსაკენ გამოეშურნენ. მოხუცმა სტუმარი სახლში მიიპატიჟა, ზედა სართულში აიყვანა და დარბაზში დასვა.

დავითმა თვალი მოავლო დარბაზს. ეს იყო საკმაოდ დიდი პალატი, სუფთად გარანდული ფიცრის კედლებით, და ასევე გამალაშინებული ლამფის ჭერით. კუთხეში განდაგან იდგა ცალკარიანი ტანსაცმლის კარადა, გვერდზე ჩაყოლებული სათეთრეულო უჯრებით. ყრუ კედელთან მიდგმულ ნოხგადაფარებულ ძველებურ ქართულ ტახტზე თავსა და ბოლოს ირიბად დაეწყოთ მუთაქები და ზედ მიეხვავებინათ მოქარგული ყურთბალიშები. ერთ კუთხეში პატარა მრგვალ მაგიდაზე იდგა პატეფონი, ხოლო მეორე კუთხეში წიგნების მრავალსართულიანი თარო. ამ თაროზე, წიგნების გარდა, ეწყო პატეფონის ფირფიტები და ფოტოსურათების ძველებური სქელი ალბომები თითბრის ყუნწიანი საკეტებით. კედელზე ტახტთან ეკიდა ბანტიანი გიტარა, მოშვებულ სიმებზე ეტყობოდა, რომ დიდი ხანია მას ხელს აღარავინ აკარებდა. დარბაზის შუაგულში იდგა გასაშლელი მაგიდა ტილოს საფარით. ამ საფარზე კი ირიბად ეფინა ლამაზად მოქარგული ფიანდაზი, ზედ იდგა ბროლის გრაფინი და ჭიქა. გრაფინსაც და ჭიქასაც თავზე ეხურა მოქარგული ტილოს უცნაური ხუფი. კედელზე უხვად მიეკრათ ფოტოსურათები, უმთავრესად ღია ბარათის ზომისა, ბაღებში გადაღებული. ზოგზე გამოსახული იყო მთელი ოჯახის შემადგენლობა, მოხუცებული წყვილი და მათ გარშემო დაჯგიმული, ცხვრის რქებივით აგრეხილულვაშებიანი ვაჟკაცები, გარშემოხვეული აჭალბუჭულებით, ზოგზე ცხენზე მჯდარი ჩაუქი, თავისი ბედაური ყალყზე რომ დაეყენებინა და თვითონ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლვერს აჭექებდა. მხოლოდ ეს იყო უცნაური, რომ მხედარს თავი ნამდვილი ჰქონდა და არ შეესაბამებოდა საოცრად პატარა, ხელით დახატულ მხედრის ტანსა და ბედაურს. დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში, იქ, სადაც ძველად ხატებს ჰკიდებდნენ, ახლა შავი მამალივით გადმომჯდარიყო რეპროდუქტორი.

ქალები მორიდებულად ფუსფუსებდნენ, ზოგი სკამს სთავაზობდა სტუმარს, ზოგი შეხვეულ ნივთებს ართმევდა, რომ ხელები გაეთავისუფლებინათ მისთვის და ყველანი ჩუმჩუმად ერთმანეთს თვალებით ეკითხებოდნენ, ვინაა ეს უცხო სტუმარი და ჩვენთან რად მოსულაო.

— მობრძანდი, შენი ჭირიმე, მობრძანდი, — ბუტბუტებდა აცრემლებული მოხუცი და, როდესაც სტუმარი დაჯდა, თვითონაც მიიჩოჩა სკამი და ქალებს მიუბრუნდა, — ჩვენი ვარდენი უნახავს სიკვდილის წინ!

ქალებმა ლოყებზე იტკიცეს ხელი და ცრემლები წასკდათ. ერთმა თავსაფარი შეიხსნა და მისი ყურით დაიწყო თვალების წმენდა, მეორე წყნარად იჯდა და ხელისგულით იწმენდდა ლოყებზე დაცურებულ ცრემლებს, მესამე კარადას მივარდა, იქედან სუფთა ცხვირსახოცი გამოიღო და თვალებზე მიიფარა. სამივენი, ეტყობოდა ცდილობდნენ თავი შეეკავებინათ და წესიერების ფარგლებს არ გასცდენოდნენ.

დარბაზის კარი წამდაუწუმ იღებოდა. მოდიოდნენ ნათესავები და მეზობლები, მოხუცები და ახალგაზრდები. ყველანი სათითაოდ ხელს ართმევდნენ სტუმარს, მერე მოხუცს ჩურჩულით ეკითხებოდნენ, რა მოხდა, რა ამბავიაო, ის კი ხმამაღლა იმეორებდა:

— ჩემი ვარდენი უნახავს, ჩემი ვარდენი.

— ი, კარგი ერთი, — უკვირდათ მოსულებს.

— რაფრად, კაცო?

— მართლა უნახავს? — რას მეუბნები?

— უნახავსო? შენ გენაცვალე!

— სად მარხია, ნეტავი, უბედური?

ყველანი მორიდებულად სხდებოდნენ, ზოგი სკამზე, ზოგი ტახტზე, ზოგი ფეხზე იდგა კედელთან ატუზული. დავითი მიხვდა, რომ ახლა არ იყო საჭირო ეამბნა მოხუცებისათვის, თუ როგორ ჩაეგდო მტერს მისი შვილი დაჭრილი ტყვედ და როგორ წამებით აღმოხდა მას სული. ეს უფრო დატანჯავდა ისედაც გამწარებულ შინაურებს, ამიტომ მან გუჯას ამბავი გაიხსენა, როდესაც ის იერიშზე ვაჟკაცურად მიმავალი მტრის ავტომატით მოცელილი დაეცა ბრძოლის ველზე, და ეს უამბო, თითქოს ვარდენს გადახდენოდა.

— ვაიმე, შვილო, — ამოიგმინა მოხუცმა და ცრემლები მოიწმინდა, მაგრამ ეს ამოკვნესა არ იყო დაბეჩავებული ადამიანის გოდება, მასში გამოსჭვივოდა სიამაყე იმ მამისა, რომელსაც შეუძლია თამამად თქვას, შვილი მე გამიზრდიაო. — ვაიმე, შვილო, რატომ მამაშენი ვერ ჩამოგეფარა წინ, რომ მტრის ტყვიები საკუთარი მკერდით აეცდინა შენთვის.

ამ დროს ოთახში შემოტყაპუნდა პატარა თვალებცქრიალა ექვსი თუ შვიდი წლის გოგონა, გაოცებით შეათვალიერა შეგროვილი ხალხი, მერე ბაბუასთან მივარდა, მუხლებში შეუძვრა, მოტრიალდა და უცხო სტუმარს თვალიერება დაუწყო.

— მოდი, ბაბუა, მოდი, შენ შემოგევლოს ჩემი თავი. — უთხრა მოხუცმა გოგონას და თავზე სიყვარულით გადაუსვა კოჟრიანი ხელი, — ეტყობოდა, განსაკუთრებით უყვარდა შვილიშვილი და ისე ჰყავდა განებივრებული, რომ ეს ბავშვი არავის არ სცნობდა თავის მფარველად, ბაბუას გარდა. — შენ

დამრჩი, შვილო, შენს მეტი ვინღა მყავს, მე უბედურს.

ქალები მორიდებულად ზუზუნებდნენ კუთხეში.

— თქვენი შვილიშვილია? — ჰკითხა მოხუცს დავითმა და პატარა გოგონაზე ანიშნა.

— ვარდენის ბავშვია. ამით მიდგია, მე უბედურს, სული. ეს რომ არ მყავდეს, რა მაცოცხლებდა. ესენი არიან და, — გაიშვირა ხელი ქალებისაკენ, — ჩემი რძალიც და ქალიშვილებიც დილიდან საღამომდე ყანაში არიან გასული. მე დავვარდი, მუშაობა აღარ შემიძლია, კაცი აღარავინ დაგვრჩა და ყველაფერს ეგენი აკეთებენ, გათოხნაა, გასხვლაა, შეწამლვა, სავენახე მიწის გადაბრუნება, მოსავლის აღება, სულ ეს ქალები მუშაობენ. სახლში მე და ეს ჩემი პატარა გოგო ვბუჯარობთ, ქათმების მოვლა ქე ისწავლა, ამის ჭირიმე, და ოთახების დაგვასაც ახერხებს ხანდახან.

— ვარდენი მეუბნებოდა სიკვდილის წინადღით, ერთი გოგონა მყავსო, შენა ხარ, ბიძიკო? მოდი ჩემთან, — უთხრა დავითმა და ხელი გაუწოდა.

— მიდი, შვილო, ჩამოართვი ხელი, — ფრთხილად უბიძგა ბაბუამ.

გოგონამ უხერხულად წადგა ორიოდე ნაბიჯი, სტუმარს წარბებქვეშიდან გახედა და ხელი გაუწოდა.

— რა გქვია, ბიძიკო?

— ნანული.

— ნანული, მამაშენმა მითხრა ჩემი გოგო სულ მეხვეწებოდა, თვალხუჭია დედოფალა მიყიდეო. მართალია?

— ვაი, ბატონო, ნუღარ გაგვახსენებ მაგას, — თქვა ნანულის დედამ, — ჩვენი მეზობლის ბავშვები ჩამოვიდნენ, ომი რომ დაიწყო, იმ ზაფხულს, თბილისიდან, იმ ბავშვებთან ენახა თვალხუჭია დედოფალა და შეგვიკლა ხელში, ცეცხლზე დაგვდვა, იმისთანა მიყიდეთ და მიყიდეთო. ჭიათურაში ვერ ვიშოვნეთ, თბილისში მაგის გულისთვის ვერ წავედით, არადა, მაგის უსაქციელობას საზღვარი არ ჰქონდა.

— ვარდენმა ანდერძად დამიბარა, თუ ომში დავიღუპო, ვაჟკაცურად გთხოვ ეს შემისრულე, ჩემს გოგონას თვალხუჭია დედოფალა უყიდეო, — თქვა დავითმა.

დარბაზში ისე ერთბაშად იფეთქა ტირილმა, თითქოს მათთვის ლოტბარს ენიშნებინოს. მარტო პატარა გოგონა იდგა და გაოცებული უცქეროდა ხან ამ უცხო კაცს, რომელიც მომხიბლავად უღიმოდა, ხან თავისიანებს და არ იცოდა, თვითონაც ატირებულიყო თუ არა.

— ხომ არ ჩამოუტანია ნეტავი? — მოუთმენლად წამოიძახა ვიღაცამ.

დავითი წავიდა კუთხის მაგიდისაკენ, სადაც მისი ნივთები დაეწყოთ, აიღო ერთი კოლოფი, თავის ადგილზე დაბრუნდა და აუჩქარებლად დაუწყო გახსნა. დარბაზში ნელ-ნელა მიჩუმდნენ და ყოველმა მათგანმა დაძაბული ყურადღებით დაუწყო ცქერა სტუმარს. მან კი, ახადა კოლოფს თავი და, როდესაც იქიდან ოქროსთმიანი, ლამაზ კაბაში მორთული დედოფალა ამოიღო, თითქოს ეს დედოფალა კი არა, ნამდვილი ლამპარი ყოფილიყოს, ისე გაანათა ოთახში და ყოველ იქ მყოფს სახეზე სიხარულის სინათლე მოჰფინა.

პატარა ნანულის კი აღტაცებისაგან მთლად აუფორაჯდა ლოყები, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ბედავდა, ხელი გაეწოდებინა და სტუმრისათვის საჩუქარი ჩამოერთმია.

— კარგია? — ჰკითხა დავითმა.

— ი! ეგ, მგონია, მე უფრო გამიხარდა, — თქვა მოხუცმა და ცრემლი მოიწმინდა.

— აი, შეხედე, — უჩვენა დავითმა ნანულის, — ამას დააწვენ — თვალებს დახუჭავს, დააყენებ ფეხზე, — თვალებს გაახელს. ჰა, წაიღე, მხოლოდ არ გაგივარდეს, თორემ მოკვდება, ხომ იცი!

ნანულიმ ფრთხილად ჩამოართვა დე-

დოფალა, გულზე მიიხუტა და აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს ისევ ბაბუამ იხსნა და ქალებს შეუტია:

— მიხედეთ ახლა ამ ბავშვს. — მერე მოულოდნელად მკაცრი გამომეტყველება მიიღო და საოცრად გაწვრილებული ხმით წამოიძახა: — რას შვებით ახლა თქვენ? ეს კაცი შიმშილით გინდათ მომიკლათ? დატრიალდით ჩქარა. ამისთანა სტუმარი მეორე მომივა კიდევ, თუ რა!

*
* *

წვიმისაგან გარეცხილი ქვიშა ფეხებქვეშ სასიამოვნოდ ხრაშუნებდა, წვიმა ახალგადაღებული იყო. ბარაკებამდე სულ სამასიოდე მეტრიც არ იქნებოდა დარჩენილი. საბარგო მანქანას წინა საბურავი გაუსკდა და, სანამ შოფერი ბორბალს გამოუცვლიდა, დავითმა გადაწყვიტა, ფეხით მისულიყო ახალშენამდე. მან მოსახვევთან დაინახა ნაცნობი მორევი, სადაც ერთხელ პირველად ნახა ნადია. მოგონებებმა საამოდ აუტოკა გული. ახლა ამ მორევში ლურჯი ანკარა წყალი ტრიალებდა. ხეებს სველი ფოთლებიდან სცვივოდა წვეთები, თითქოს მათაც ამ მორევში დაებანათ ტანი. ნესტიან ჰაერს ტყის საამო სურნელება მოჰქონდა.

გამოჩნდნენ ბარაკები. ბევრი არაფერი შეცვლილა დავითის წასვლის შემდეგ. ეგაა, რომ ახალი ქვიტკირის სახლის შენება დაუწყიათ მინდორზე და ბარაკებთან კი დიდი ყუთები დაუხვავებიათ. შორიდან მოისმოდა ყრუ დაგადუგი. „კომპრესორები მუშაობენ“, — გაიფიქრა დავითმა და ფეხს აუჩქარა. ყველაზე გრძლად მოეჩვენა ახლა ეს მანძილი. ნაბიჯებს ოცნებამ გაუსწრო. მას თვალწინ წარმოუდგა მაღაროში სანგრევთან მომუშავე ნადია, რომელსაც ვითომ მოულოდნელად აცნობეს დავითის მისვლა. იმ წამსვე გამოუთიშავად დააგდო ხელიდან ავტომატური ჩაქუჩი, რომელიც თავისთავად განაგრძობდა მიწაზე რახრახს, ხოლო თვითონ თავდახრილი მორბოდა გამოსასვლელისაკენ. აი, გამოვარდა ის მაღაროდან, თავგამეტებით დაეშვა ქვემოთ და სწორედ ბარაკებთან ზედ გულზე შეეხეთქა დავითს, სალტესავით შემოაჭდო მკლავები კისერზე და ისე დაეწაფა ტუჩებზე, თითქოს დახრჩობას უპირებდა.

— უსინდისო, — ეუბნება ის დავითს, — ნუთუ არ შეგეძლო წერილი მოგეწერა?

— მე სასიკვდილოდ ვიყავი დაჭრილი, ორი თვე უგრძნობლად ვეგდე, — უპასუხებს დავითი, — არ შემეძლო მოწერა.

— მერე, როდესაც უკეთ შეიქენი, მერე რად არ მომწერე?

— მერე განგებ აღარ გწერდი. მინდოდა გამომეცადე, გეხსომებოდი თუ არა.

— მე არ მეხსომებოდი? — ნადია ისევ მოეხვია კისერზე და სახე მის მკერდზე დამალა.

დავითმა აუჩქარა ნაბიჯს. აი ის უკვე ხედავს სავაჭრო ფარდულთან ვიღაცას. დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო. სამზარეულოსთანაც დაინახა მამაკაცი. აღმართი აიარა და ბარაკების წინ შედგა. თვალი მოავლო მიდამოს. თავის ოთახის კარებზე ბოქლომი დაინახა. სამზარეულოსთან უცნობ ახალგაზრდას მიესალმა:

— გამარჯობა.

— გაგიმარჯოს, — უხალისოდ უპასუხა უცნობმა.

— შენ აქ მუშაობ?

მოულოდნელად სამზარეულოდან თომამ გამოიხედა. ახალმოსულს დააკვირდა და დაჭრილივით დაიღრიალა:

— დათიკო, შენ ხარ ეს?

— გამარჯობა, თომა!

— შენ ხარ ეს, ბიჭო? ცოცხალი ხარ? მიშველეთ, ხალხო, ამას ვის ვხედავ. — აქვითინდა უცბად თომა, მივა-

რდა დავითს, მოეხვია, ხან მხარზე აკოცა, ხან შუბლზე, ვერ გაიგებდი, ტიროდა თუ ხითხითებდა, — ბიჭო, შე უსინდისო, ცხრაჯერ გამოგიტირეთ. შოთა რუსთაველი ამბობს: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსაო“, სწორედ ასე ყოფილა. შენ კი გენაცვალე. აბა ცოცხალი ხარ, ცოცხალი? დამანახე ერთი, შემოგხედო.

— ეს ვინაა, დათიკოა? — მოისმა დაფეთებული მელიტონის ხმა, ის ისე მოულოდნელად გაჩნდა, თითქოს მიწიდან ამომძვრალიყოს, — მითხარით ერთი, სიზმარში ვარ თუ ცხადში. ე, კაცო, თომა, მიქენი სიკეთე, დამარტყი ხელი, მართლა სიზმარში ხომ არ ვარ. შენ გენაცვალე, ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა.

— სხვა, როგორ ხარ, ჩემო მელიტონ? — უთხრა დავითმა და ბარაკის წინ მერხზე ჩამოჯდა.

— ჩვენ რა გვიჭირს. შენ როგორ ბრძანდები: ჰო, ჰო, ჰო, არ გადირევიან ბიჭები, შენ რომ დაგინახავენ? სადაცაა ცვლა დამთავრდება.

— როგორაა საქმე, მუშაობთ?

— ვმუშაობთ. — მელიტონმა მიმოიხედა და ახალგაზრდას ფუსფუსით უთხრა, — წადი ბარაკში, იქ აბესალომი და ვანოა. უთხარი, დავითი მობრძანდა-თქო. ისინი მეორე ცვლაში მუშაობენ ჯერ არ იქნებიან წასული. ჩვენ ახლა სამცვლიანი მუშაობა გვაქვს.

— ოჰო, ეს კარგია, — თქვა დავითმა, — მერე მუშახელი?

— მოიყვანეს. ახლა ორას კაცზე ბეტი გვყავს. ზევით, მეშვიდე ნომერ გვირაბთან, ბარაკი დავდგით. აქამდის სიარული იშორეს მუშებმა.

— ჩამოსულები როგორ მუშაობენ?

— ჩამოსულები? — გაიკვირვა მელიტონმა, მერე მიხვდა, — ჰოო, შენ იმათზე კითხულობ, შარშან რომ მოვიდნენ, ქალები? ისინი წავიდნენ ყველანი.

— წავიდნენ? — დავითს უსიამოდ შეეკუმშა გული, — ყველანი?

— ყველა. ერთი არ დარჩენილა. როგორც კი გაათავისუფლეს ჩვენმა ჯარებმა მათი მაღაროები, მაშინვე გაემგზავრნენ. აქ მერე მუშები ზოგი ქართლიდანაც მოვიდნენ, კახეთიდანაც, იმერეთიდანაც, მაგრამ მამაკაცი ნახევარი არაა მათში. რუსეთიდან ჩამოსულმა ქალებმა დაგვაბედეს და ამდენი ქალი სამთო სამუშაოზე, ახლა ჩვენ რომ გვყავს, არ მომსწრებია. ის კი არა და, შენს მაგივრადაც ქალი გამოგვიგზავნეს უფროსად.

— როგორ?

— ჩვენი ინჟინერი ქალია. ისე, უნდა მოგახსენოთ, მშვენიერი ადამიანია!

ქოშინით მოვარდნენ აბესალომი და ვანო. ეტყობოდა, ეს იცოდე ნაბიჯი ისე გაერბინათ, სულს ძლივს ითქვამდნენ.

— დათიკო, მართლა... მართლა... — ველარ დაამთავრა აბესალომმა, მოეხვია, აკოცა და მერე ჩაილაპარაკა, — მართლა შენ ყოფილხარ? შენ კი გენაცვალე. ცოცხალი ხარ? ჩვენ გვითხრეს, მოკლეს ომშიო!

— ვაჰ, მარტო შენ გინდა მიესალმო? — ძლივს მოაცილა ვანომ აბესალომი დავითს, — ჩვენ ხალხი არა ვართ? დავითს გაუმარჯოს!

მაგრად ჩამოართვა ხელი, მერე ვაჟკაცურად მოეხვია და გადაკოცნა.

მალე დავითის გარშემო თითქმის მთელმა ახალშენმა მოიყარა თავი. ნაცნობებიც და უცნობებიც ერთნაირი ხალისით ესალმებოდნენ მას და ძველმა მუშებმა ერთი ათჯერ მაინც აამბობინეს თავის თავგადასავალი. მოვიდა სამუშაოთა უფროსიც. ეს იყო სუსტი აგებულების სრულიად ახალგაზრდა ქალი, ოდნავ ჭორფლიანი სახით და წითური თმებით. იგი დიდი ამბით წარუდგინეს დავითს და მათ შორის მაშინვე გაიბა საქმიანი საუბარი. ახალგაზრდა ქალს საოცრად გაეხარდა,

როდესაც გაიგო, რომ დავითი კვლავ ამ მაღაროების უფროსად დაენიშნათ, ხოლო მას კი ტექნიკურ ხელმძღვანელობას აკისრებდნენ.

— იცით, რა, მე ძალიან გამიჭირდა აქ მუშაობა, — შეჩივლა მან დავითს, — არ მიჯერებენ მუშები.

— როგორ თუ არ გიჯერებენ, — გაოცდა დავითი, — ვინ არ გიჯერებთ? ალბათ იმიტომ, რომ ძალზე ახალგაზრდა ხართ!

— ახალგაზრდა როგორ ვიქნები, ორი შვილის დედა ვარ. იცით, რა, მამაკაცები მიჯერებენ, ისინი ისეთი ბეჯითი და თავაზიანი ხალხია, ვერ წარმოიდგენთ. ქალებმა დამტანჯეს.

დავითმა გულიანად გადაიხარხარა.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა მან ქალს.

— ირინე.

— ირინე, წავიდეთ კანტორაში, იქ დაწვრილებით მოვილაპარაკოთ. მელიტონ, შენც წამოდი.

სამივენი კანტორისაკენ წავიდნენ. მუშები მხიარულად ალაპარაკდნენ.

ირინემ წინ გაუსწრო ორივეს, ხოლო მელიტონმა ოდნავ შეანელა ნაბიჯი და დავითს უთხრა:

— შენი დაღუპვის ამბავი რომ მოვიდა, რაც იმ გოგომ იტირა, ნადიამ, გული დამეწვა. რომ მიდიოდა, ვუთხარი, დარჩი, იქნება დათიკო ცოცხალი აღმოჩნდეს-მეთქი. რა მითხრა იცი? მე იმისთანა უბედური ვარ, ის კიდევაც რომ დაბრუნდეს ცოცხალი, თუ კვლავ გავივლე გულში იმის სიყვარული, აუცილებლად რამე შეემთხვევა, ამიტომ, თუ ვინიცობაა, მართლა ცოცხალი აღმოჩნდეს, ასე უთხარით, ნადია ქმარს დაუბრუნდა და დაივიწყეთ-თქო.

დავითი შედგა.

— აგრე გითხრა?

— შვილებს გეფიცები. მერე, რომ იცოდე, როგორ დამწყდა გული, ისინი რომ წავიდნენ, ვერ წარმოიდგენ. იმისთანა მარჯვე ხალხი ტყუილია. — მელიტონს ხველა აუვარდა, როგორც იქნა, სული მოითქვა და განაგრძო, — იმას ალბათ ქე ჩამოიყვანს, ამის ჩამოყვანას რა უნდა, რომ მისწერო, მერცხალივით ჩამოფრინდება.

— აგრე გგონია?

— კაი, შე კაცო. შენ იქნება ახლა უარზედაც ხარ, რა ვიცი, რას გაიგებ კაცის გულს, მაგრამ ეს კი უნდა გითხრა, იმისთანა ჯან-ღონის მქონე ქალის მნახველი არა ვარ. ახლა შენ იმას მაღაროებში კი აღარ ამუშავებ, მაგრამ მაინც გამეხარდება, აქ რომ ჩამოვიდეს.

ორივენი აივანზე ავიდნენ. კარებთან მელიტონმა ცოტახანს კიდევ შეაჩერა დავითი და ჰკითხა:

— მართალი მითხარი, სხვა ხომ არავინ მოგინახავს, დათიკო? შენ, მგონია კიდევაც გაგეხარდა, აქ რომ აღარ დაგიხვდა ის ქალი. აქ ახლა იმისთანა გოგოები ტრიალებენ, მგონია, აღარც კი დაგანებონ იმის ჩამოყვანა. მე რომ შენს ადგილას ვიყო, ალბათ, სულ ვერ შევირთავდი ვერავის. იმდენს ვირჩევდი, რომ ბოლოს სიბერე წამომეპარებოდა, ზოგიერთებს რომ მოსდით, ისე...

დავითმა გაიცინა და კითხვაზე არ უპასუხა. ორივენი შევიდნენ კანტორაში, სადაც ირინე თავის საწერ მაგიდასთან ფუსფუსებდა.

წარბშეკრული დავითი კარგახანს იყო ჩუმად და ორჯერ თუ სამჯერ კითხვებზე არც ერთს არ უპასუხა. ბოლოს, როდესაც ირინემ ზედიზედ გაუმეორა კითხვა, როგორც იქნა, გამოერკვა.

— დიახ, — გასცა პასუხი დავითმა და ეს „დიახ“ გულისხმობდა გისმენთო.

— თქვენ, როგორც გეტყობათ, ძალზე დაღლილი ხართ, — უთხრა ირინემ, — იცით, რა, დაისვენეთ. საქმეზე მერე ვილაპარაკოთ.

— როგორ? დაღლილი? არა, რასა ბრძანებთ. საქმე საქმეა. დაღლა რას მიქვიან. — დავითმა სკამი მიიჩოჩა და

მოწყვეტით დაჯდა, — აი რა უნდა გითხრათ, ამხანაგებო! წელს დიდი სამუშაოები გვაქვს ჩასატარებელი, მარტო კაპიტალურ მშენებლობაზე უნდა ავითვისოთ ოც მილიონ მანეთზე მეტი. სასტიკი ვადა დაგვიწესეს ექსპლოატაციის დასაწყებად — ექვსი თვე. საფლოტაციო დანადგარები უკვე მზადაა, დღეს თუ ხვალ გამოგზავნიან და დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მონტაჟს. ჩვენთან კიდევ ერთ ინჟინერს გამოგზავნიან, მექანიზაციის ხელმძღვანელს. აქ ერთი სახლი დაგიწყიათ. გეგმით კი, სანამ თოვლი მოვიდოდეს, ათი ორსართულიანი სახლი უნდა ავაგოთ. მე ამ საღამოსვე ისევ ქვაბნარაში უნდა დავბრუნდე, რადგან, აქ. რომ მოვდიოდი, რაიკომის მდივანი იქ არ დამიხვდა, სადღაც იყო წასული. თუ მთელი ეს სამუშაოები მუშახელით არ უზრუნველვყავით, ჩვენ შეიძლება დანიშნული ვადისათვის ვერაფერი მოვასწროთ. ეს კი ყოვლად წარმოუდგენელია. ჩვენ ახლა მშვიდობიანი დრო კი კი არა გვაქვს, ჩვენ ვომობთ და მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვართ შებმული. ჩვენი საუკეთესო შვილები იქ სისხლს ღვრიან და სიცოცხლეს სწირავენ გამარჯვებისათვის, ჩვენგან კი აქ არავინ არ მოითხოვს სიცოცხლის შეწირვას, ჩვენ მხოლოდ პატიოსან და თავდადებულ შრომას გვთხოვენ.

დავითი ოდნავ ხმაწეული ლაპარაკობდა. მის არსებაში დუღდა და მღელვარებდა სიხარულის გრძნობათა ბობოქარი ზღვა.

(დასასრული)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტუმრად შოუსთან

☆

ვგონებ, დავღალეთ ჩვენ მასპინძელი...
რეკავს საათი, წასვლის დროა,
დგება საღამო.
დროა წამოვდგეთ, დავესალმოთ,
განვვლოთ სივრცენი
ინგლისურ ვაკის —
უსასრულო, დაუსაბამო.
თავდაპირველად
ათასნაირს გვიგებდნენ ხრიკებს,
რომ არ მივეღეთ უცხო სტუმარნი.
„დღეს მისტერ შოუ ლოგინად წევს,
არავის იღებს“, —
ასეთი იყო მათი უარი.
მერე უეცრად
ფოსტით მოგვდის ბარათი მისი,
სახელდახელოდ, გზის გასაკვლევ სქემადართული.
წვევის ბარათი — დაწერილი გულდასმით ისე,
როგორაც წერენ მოხუცები სახელგანთქმულნი,
რომელთ იციან კარგად ფასი თვისი დიდების,
სხვებს არა ჰგვანან,
წერენ კრძალვით და მორიდებით.
სამ საათს უკან
აკვამლებულ ლონდონს ვტოვებდით,
და, აჰა, უკვე მოვატანეთ ჩვენ იმ სახლამდი,
სად თაროებზე მოყვითალო ძველი ტომები
შემოჯარულან,
ვით გარდაცვლილ ძმათა ღაღადი.
სად მეცხრამეტე საუკუნე
მიმოდის თრთოლვით
რბილ ხალიჩებზე, დავრდომილი,
დაბერებული,
და დგას ბუხართან;
შემოსილი ჭაღარის თოვლით,
ჟამთა სვლისაგან
კაცი სულმთლად გათეთრებული.
იგი თვითონაც საუკუნეს
მოჰგავს მხცოვანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა შეჰყურებ ბრგეს და ტანმაღალს,
ლოყებღაჟღაჟა,
თვალცეცხლოვანი,
სახედამჭკნარი გიღიმის და
გიმზერს ამაყად.
ხშირ ულვაშებში ეღიმება,
მოდის რონინით,
მის თვალებს,
შიგ რომ სიხარულის შუქი
იცინის, —
უკუუყრიათ დღეს ისრები
მკაცრ ირონიის,
სამშობლოს ჩვენსას შეჰყურებდნენ
ერთ დროს ისინი.
და იმ თვალებში
სითბო არის, ახლა ასწილად
რომ ანთებულან უჩვეულო ცეცხლის ალებით,
ამ სამყაროში,
მან რომ ასე მწარედ დასცინა,
ასეთი ხშირად
როდი ახსოვთ
მისი თვალები!
ის საბჭოეთში გამგზავრების ამბავს იხსენებს,
რეპორტიორებს
რომ წკეპლავდა მკაცრი პასუხით:
რომ ის ქვეყანა — კარგად მცოდნე მისი ღირსების
სამოცდათხუთმეტი წლის თარიღს
უკეთ გადუხდის.
და თუ ას წლამდე მან სიცოცხლე
დაათარიღა,
(ღიმილით ამბობს და ეტყობა ნაბზარი ხმაში),
კვლავ საბჭოეთში წასასვლელად
ბილეთს აიღებს,
როგორც სამოცდათხუთმეტი წლის
ჭაბუკმა მაშინ.
და ისევ წავა
ჯიქურ, კარის მოჯახუნებით,
სად ნაკლებია მწარე სიტყვა —
ნათელ მხარეში.
რადგან სწადია ჩვენი ქვეყნის
მონახულება,
რომელიც სწამს და
უფრო უყვარს ეჭვის გარეშე.
ის საბჭოეთზე ლაპარაკობს
სახემღიმარი,
რაღაც საოცრად გამოცვლილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი იერით.
დღეს გესლიანად დამცინავი
სულაც არ არი
ბრძენი მოხუცი, —
დაცინვაში მუდამ ძლიერი.
ამ სახლში,
სადაც არ ყოფილან წლობით სტუმრები,
როდი მოვედით
ჩვენ მწერლებად და პოეტებად,
ის არ გვიცნობდა
არც წიგნებით, არც საუბრებით,
იქნებ ამისთვის დროსაც ძვირად
გაიმეტებდა.
ის ჩვენ გვეძახდა,
სიკვდილის წინ სურდა, რადგანაც
ბნელ სამყაროში —
მოგების და
ფულის მეფობის, —
მიწის მეორე ნახევრიდან წარმომადგენელს,
რომ შეხვედროდა,
სულ ერთია, ვინც ვიქნებოდით.
და გვეპატიოს,
თუ ვერ ვკადრეთ მაშინ უარი,
მოხუცი კაცი, ჭიშკრისკენ რომ მიგვაცილებდა,
თითქოს-და
მთელი ხალხი იყოს მისი სტუმარი,
ხალხს ეთხოვება —
ქვეყნად შობილს მისდა იმედად.
ხვეწნა-ვედრებამ ვერ იქნა და ვეღარ გვიშველა,
ჩვენი ყოველი საყვედური
არის ამაო,
მოდის წვიმაში,
მოაბიჯებს ის თავშიშველა,
მოდის ჯიუტად,
გამართულად, როდი ქანაობს.
ბუტბუტებს, რომ ეს წესი არის ირლანდიური,
რომ ამინდები ცუდი იცის;
და არც უყურებს,
ფეხსაცმელებით მხნედ და ჯიქურად,
ისე მოტოპავს დამდგარ გუბურებს.
მხოლოდ ჭიშკართან შეწყვეტს დავას,
და სუსტი ხელით
გვერდზე გამოგვწევს,
დაბლა იხრება.
მიყუდებულ ქვას ფეხით დასძრავს...
საკეტი ძველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭრიალდება და ჭიშკარი მძიმედ იღება.
რომ ვიამაყოთ, არც მოგვდის ფიქრად,
სხვა გრძნობა გვიპყრობს,
როცა ვხედავთ მას ჩვენს წინაშე:
ვჩქარობთ წამოსვლას, —
როგორმე იგი
რომ არ გაცივდეს
გარეთ წვიმაში.
მაგრამ ის,
თითქოს
იდუმალი ფიქრებით სავსე,
არ ეპუება წვიმასა და
მარტის ქარს აშარს.
ჩვენთან კვალდაკვალ გამოდის გზაზე,
თითქოს ამქვეყნად მარტოკა დარჩა.
თითქოს სახეზე
მჭმუნვარება შემოხვევია,
თითქოს უთქმელი დარჩა რაღაც, —
გულის მგესლავი.
მე არასოდეს დავივიწყებ
იმ ჩუმ ხეივანს,
სიცოცხლესავით გრძელს და ეულს
სიბერესავით.
არ დავივიწყებ; ასე გვახსოვს
გასულებს გზისკენ:
იქ, მოსახვევში, მოწყენილი,
ფიქრში გართული,
ჭიშკართან მარტო როგორ დგას ისევ
გამოთხოვების ნიშნად
მაღლა
ხელაღმართული.

თარგმანი **გ. ხუხაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მეჭიროვი

ლექსი ერთ ბიჭუნაზე

☆

ქალაქ კოლპინოს განაპირას ცხოვრობდა იგი
და უცნაური ოცნებები გულს უნათებდა,
რამდენს ნაღვლიანს და მხიარულს ეტყოდა წიგნი,
იმდენს არნახულს თვითონ თხზავდა და უმატებდა.

ნახავდა სიზმრად:
გზა მტვრიანი გრგვინავს, მქუხარებს,
გაქროლილ ცხენებს ცეცხლმა მინდვრად წინ დაუარა...
ჰყვებოდა ამას, დასწამებდნენ მაინც: ცრუ ხარო,
და მეოცნებეს უწოდებდნენ მას — მატყუარას.

სძულდა ბიჭუნას ომობანას სათამაშონი,
მაგრამ ოცნებამ ისე მძლავრად დაჰრია ხელი, —
თხრილებს დასცქერდა, სანგარს ჭვრეტდა ბავშვი მათ შორის
და მეტსახელად შერჩა ხალხში ტყუილისმთქმელი.

ჭაბუკდებოდა მეოცნებე, შფოთიან დროში...
მე ვნახე იგი.
იყო ომის პირველი წელი,
ოფიცრის ჩანთა ძლივს ავგლიჯე ყინვით გათოშილს,
ხელი შევავლე მოკლულის წერილს.

აქ, უკანასკნელ, სასიკვდილო ნაპირის გასწვრივ,
ხრამზე, ღრუბელნი ფრენდნენ ცივნი და თეთრფრთიანნი,
იმედდამსხვრეულს, მეოცნებეს ეძინა ყმაწვილს,
რუხ მაზარაზე ედო თავი ხუჭუჭთმიანი.

და წერილში კი ბავშვურ ტყუილს ნახავდით იმდენს,
გაუღიმებლად ძნელი იყო წაკითხვა მისი,
მაგრამ ქაღალდის, მჭიდროდ ნაწერ ქაღალდის კიდეს
აჩნდა მოკლულის სისხლი.

შორს ჰორიზონტი ჩანდა მრუდე და ნაღვლიანი,
კოლპინო ცეცხლში ელვარებდა წითლად ნაფერი,
ის აქ ცხოვრობდა, მეოცნებე ადამიანი,
და მე ვერწმუნე, დავუჯერე მას ყველაფერი.

თარგმანი **ალეკო შენგელიასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრიგოლ ბერძენიშვილი

ჩემს სოფელში

დრამა 4 მოქმედებად, 8 სურათად

☆

მოქმედი პირნი:

მაგდანე — ქვრივი დედაკაცი. კოლმეურნე. ბრიგადირი.
გაიოზი — მაგდანეს ვაჟი, ახალგაზრდა კოლმეურნე.
ყარამანი — მაგდანეს მამამთილი.
ბარნაბ — კოლმეურნეობის თავმჯდომარე.
მარინე — ბარნაბის ქალიშვილი.
ალექსი — კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი.
თომა
ხალამპრე | კოლმეურნენი.
ჭუმულა — კოლმეურნე ქალიშვილი.
პარმენი — ახალგაზრდა აგრონომი.
ექიმი — საევაკუაციო ჰოსპიტალის უფროსი.
რაისა — ექიმის თანაშემწე.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ფერდობი. ფერდობს მაღლა საჩრდილობელი ხე. ხეზე დიდი ზარი ჰკიდია. ფერდობის გასწვრივ დაწნული ღობე. ალაგესთან ღობე გარღვეულია. მოჩანს ტყით დაბურული მთები. ღრუბლიანი შუადღეა. გამოდის გაიოზი.

გ ა ი ო ზ ი — (ცარიელი გოდრით ქვევიდან ამოდის. ვიღაცას ელაპარაკება) ა! თექვსმეტი ფუთი რაა! ცალი ხელით ავწევ! (გარედან სიცილი) რას იცინით? არ გჯერათ? მოდით, შემეჯიბრეთ. (ისევ სიცილი. ვიღაც შეამჩნია). ა, ეს ვინ არის? აქაური არ უნდა იყოს! შეხედე შენ! არც კი შემომხედა! ნეტავი ვინ არის?!

(წასვლა უნდა).

ა ლ ე ქ ს ი — (შემოდის) გაიოზ!
გ ა ი ო ზ ი — ა! ამხანაგო ალექსი.
ა ლ ე ქ ს ი — სად მიგეჩქარება?
გ ა ი ო ზ ი — ის ქალიშვილი ვინ არის?
ა ლ ე ქ ს ი — ვერ იცანი? ბარნაბის ქალიშვილი მარინე.
გ ა ი ო ზ ი — ჩემი მარინე?!
ა ლ ე ქ ს ი — შენი? არა მგონია, რომ მარინე შენი იყოს.
გ ა ი ო ზ ი — შენ რა იცი?!
ა ლ ე ქ ს ი — წუხელ კომკავშირის კრებაზე რად არ მოხვედი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ო ზ ი — შეუძლოდ ვიყავი... და...

ა ლ ე ქ ს ი — გაიოზ, ყური დამიგდე. ასე არ ვარგა...

გ ა ი ო ზ ი — არ ვიცი, ჩემგან რას მოითხოვთ! საშუალო ხომ დავამთავრე!

ა ლ ე ქ ს ი — ეგ არ კმარა.

გ ა ი ო ზ ი — ბაბუაჩემს ჩემდენიც არ უსწავლია და აგერ ოთხმოცი წლისაა, მე რა, ბაბუაჩემზე უკეთესი ვარ თუ?! ყველა პროფესორი ხომ არ იქნება! მე მეტი არ მჭირდება.

ა ლ ე ქ ს ი — კარგი ვაჟკაცი ხარ და ამიტომ გეუბნები, მარტო გარეგნობით და ფიზიკური ძალ-ღონით შორს ვერ წახვალ. ცოდნაა საჭირო.

გ ა ი ო ზ ი — ეგ მესმის, ბევრჯერ გითქვამს. შენ ეს მითხარი, მაშ ის მარინეა? შეხედე შენ!

(გარბის).

ა ლ ე ქ ს ი — გაიოზ! არა ასე არ ივარგებს.

(ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა. გადის).

ყ ა რ ა მ ა ნ ი — (შემოდის. ალაგეს მოადგება, მოაქვს, სარები და წკნელი ღობის შესაკეთებლად. ქამარში წალდი გაურჭვია. ტვირთი ღობესთან დაჰყარა).

ვილაც ბავშვს აძინებს. მღერის:

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო,
ვაჟის მამა შინ არ არის,
მზევ, შინ შემოდიო.

ნუ გეშინია, ბაბუ, ნუ გეშინია... მზეც ამოვა და ვაჟის მამაც დაბრუნდება: ყველანი დაბრუნდებიან, ყველანი, გაიმარჯვებენ და დაბრუნდებიან. (წალდით სარს წვერს უმახვავს. გამოდის თომა).

თ ო მ ა — (სიმინდით სავსე გოდორი მოაქვს. ფერდობზე შეჩერდება.) უჰ! (ჩაჯდება). ქე არ გამასავათა კაცი! რაზე ვიკლავ თავს! მაგდანეს მოსვლამდე წავიმუხლებ ცოტას. (გოდორი მოიხსნა). მე რომ დავისვენო, ამით ქვეყანა არ დაიქცევა... და რომ მოვკვდე... (ყარამანი შეამჩნია). ყარამანი ხარ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ვერ მხედავ?

თ ო მ ა — მუშაობ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — თომა, საქმე არ გაქვს?

თ ო მ ა — უსაქმოდ მაგდანე გაგაჩერებს? შენი რძალია და გამუშავებს, მე რა ხეირს დამაყრის.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — არავინაც არ მამუშავებს, ცოცხალი ვარ და ვმუშაობ.

თ ო მ ა — თუ არ დაისვენე, ვერც იმუშავებ!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — თუ არ იმუშავე, ვერც დაისვენებ.

თ ო მ ა — ენა კარგი გაქვს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — შენი ხნის რომ ვიყავი, საქმეც კარგი ვიცოდი.

თ ო მ ა — წლოვანებით ჩემზე შორს მაინც არა ხარ, ოც წელიწადს რომ მომიცდიდე, დაგეწევი კიდეც. უცნაური მოხუცი ხარ, ყარამან... მტერმა... საზღვრები გაგვირღვია და შენ ღობე გინდა გაამაგრო?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ნუ გეშინია!

თ ო მ ა — ნუგეში რომ გვიშველიდეს... ვეფხვებივით ბიჭებს ომში არ გავაგზავნიდით... გაიოზასაც უწევს მგონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ჰო.

თ ო მ ა — მაგდანე ვითომ გაიოზის მოშორებას აიტანს?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — თომა...

თ ო მ ა — კაი შვილიშვილი გყავს! კაი ვაჟკაცი ბიჭია, კაია სწორედ, კაი... გოგოებს რომ დაინახავს, თვალები ცეცხლით აენთება. და თუ მუშაობს, ასი კაცის საქმეს გააკეთებს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ტყუილად აქებ, გაიოზას რისი გაკეთებაც შეუძლია, იმდენს მაინც არ აკეთებს, ცუღლუტობს.

თ ო მ ა — მაგ ხნის ალბათ შენც ისეთი იყავი, ოცი წლის ვაჟკაცია, მერე, რომ იცოდე, ვინ ჰყავს მიზანში ამოღებული.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ვინა?

თ ო მ ა — კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ბარნაბის, ქალიშვილი — მარინე.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მარინე! პირი არ დაწვას.

თ ო მ ა — გაიოზას? ვითომ რატომ?!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მარინე უმაღლესში სწავლობს, დღეს თუ ხვალ ექიმი გამოვა. გაიოზამ საშუალო ძლივს დაამთავრა.

თ ო მ ა — მერე, ეგ სიყვარულს რას უშლის?!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ერთიმეორეს ვერ გაუგებენ

თ ო მ ა — ვითომ?

გამოდის ჰუჰულა.

ჰ უ ჰ უ ლ ა — (ქაქანით მორბის). დიდუ! რა გვეშველება!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — რა ამბავია, ჰუჰულა!

ჰ უ ჰ უ ლ ა — გული არ გაგიტყდეთ, რა ვუყოთ მერე, აიღეს, მაგრამ ხომ ვერ წაიღებენ. ცხვირით ვაფარცხვინებთ მიწას... მარა... მაინც... დიდუ!!

თ ო მ ა — ე გოგო, თქვი! გული ნუ გამიხეთქე!

ჰ უ ჰ უ ლ ა — იმ უხსენებლებს ალაგირი აუღიათ, რადიომ გადმოსცა ახლა, დიდუ!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ნუ ჰყვირი!

თ ო მ ა — ალაგირი! ო... ეს ძალიან ახლოა.

ჰ უ ჰ უ ლ ა — გაიოზი... სად არის?! მაგდანე სად იქნება?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — რად გინდა?

ჰ უ ჰ უ ლ ა — არ უნდა უთხრა! არ უნდა იცოდნენ!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — რადიოს მარტო შენთვის ხომ არ უთქვამს!

ა ლ ე ქ ს ი — (შემოდის) მოხუცებს სალამი!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — გაგიმარჯოს.

თ ო მ ა — იცოცხლე.

ჰ უ ჰ უ ლ ა — ჩემი თუ არ გჯერათ, ალექსის ჰკითხეთ.

თ ო მ ა — ალაგირი აუღიათო!

ა ლ ე ქ ს ი — მართალია.

ჰ უ ჰ უ ლ ა — დავიღუპეთ!

ა ლ ე ქ ს ი — სტალინგრადთანაც გადამწყვეტი ბრძოლებია.

თ ო მ ა — რაღა ვქნათ, ა?!

ა ლ ე ქ ს ი — უნდა ვიშრომოთ.

თ ო მ ა — კი, ბატონო, ჩემი ნაშრომი თუ მტერს შეაჩერებს...

(გოდორს ხელი წამოავლო).

ა ლ ე ქ ს ი — ჭუჭულა, ნაკლები ილაპარაკე.

(გადის. მას ჭუჭულა მისდევს).

თ ო მ ა — ალექსი არ ამბობს, თვარა ვიღუპებით, აშკარად ვიღუპებით... ასეა, ასე. ის უხსენებელი მოდის თურმე და ქვის ურბილესს არაფერს ტოვებს, ეშმაკი და ღონიერია ის წყეული.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ღონიერი კი არა, გიჟია, გიჟი.

თ ო მ ა — რა ვიცი! რა ვთქვა!

(თუთუნს ანთებს. გამოდის მაგდა).

მ ა გ დ ა — (ფერდობზე ამოვიდა). აქ ვინ დამჯდარა?!

თ ო მ ა — (გოდორს ხელი წამოავლო) ვაიმე!

მ ა გ დ ა — ვაი შენ და წელკავი. ხალხი ტომრებით ეზიდება სიმინდს და შენ გოდორს მიცდენ?!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ჩემო რძალო!

მ ა გ დ ა — თომა, ხომ იცი...

თ ო მ ა — ვიცი! კიცი. წელი ამტკივდა და...

მ ა გ დ ა — წელი თუ აგტკივდა, ექიმთან მიდი.

თ ო მ ა — ექიმთან მისვლის დრო სადა მაქვს!

მ ა გ დ ა — დროს მე გიშოვი, მოიტა გოდორი (გოდორს წაეტანება), მოიტა, თორემ, რომ მოკვდე, უფრო მეტ დროს წაგვართმევ.

თ ო მ ა — კაი ახლა, ნუ მარცხვენ.

მ ა გ დ ა — ეს რა გიქნია! მართლა მოგიწყვეტია წელი და ეს არის. მოიცა, ცოტას მაინც ამოვაკლებ. (გოდრიდან სიმინდს კალთაში ჩაიყრის). წადი. ბარნაბს ვეტყვი, ექიმი გამოგიგზავნოს.

თ ო მ ა — გეცოდები?

მ ა გ დ ა — ცოდვა მწეროს, თუ მეცოდებოდე... ნელა იარე.

(თომა გადის).

შრომას შეუჩვეველი კაცია... მაგას შესაფერი სამუშაო უნდა გამოვუნახოთ, თორემ... (ყარამანს) ისადილე?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მარტო რა მაჭმევს!

მ ა გ დ ა — გაიოზი სადღაა?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მე მეკითხები?

მ ა გ დ ა — ვილაც შეამჩნია და გაეკიდა.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ჩიტს დაინახავდა.

მ ა გ დ ა — ჩიტებზე დევნის დროა ახლა?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მისთვის, ჩემო რძალო, ჩიტები ახლა ფრინავენ, თორემ, აბა ჩემი ხნის კაცს ჩიტი კი არა, იხვი არ აუფართქალდება.

მ ა გ დ ა — ჩიტების დრო არაა ახლა. თუ შეგიძლია, ცეცხლზე ღომის ქვაბი შედგი, მალე შესვენება გვექნება და...

ყ ა რ ა მ ა ნ ი — კარგი, ოღონდ არ დაიგვიანო.

მ ა გ დ ა — ახლავე დავბრუნდები.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ჩემო რძალო, რაღაც ხასიათზე ვერა ხარ!

მ ა გ დ ა — არაფერია...

ყ ა რ ა მ ა ნ ი — რამე ცუდი გაიგე?

მ ა გ დ ა — ისეთი არაფერი...

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მაინც?

მ ა გ დ ა — რას ჩამაცივდი!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — თქვი, რძალო, თქვი, თორემ გაუმხელელი დარდი სულს დაგიჟანგავს, გულს გამოგიხრავს, დარდთან ჯიუტობა არ ვარგა.

მ ა გ დ ა — აყვირებული დარდი სხვასაც დაადარდიანებს, სჯობს მარტო მე ვეჭიდავო ჩემს დარდებს, ან მოვერევი, ან მომერევა, სხვას კი არ მოვაცდენ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — გაიოზი გაფიქრებს ალბათ!

მ ა გ დ ა — ალბათო?!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ნუ გეშინია, მარტო ჩვენთვის ხომ არ გაწყრება ღმერთი! იქნებ სხვა რამე იცი და...

მ ა გ დ ა — წეღან რომ ჩიტი ახსენე...

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ვითომ უყვარს?

მ ა გ დ ა — ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ ეს ასეა. დიდი ხანია ერთზე თვალი უჭირავს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — როგორ, დრო არაა თუ?

მ ა გ დ ა — იმ ჩიტის მონადირება გაიოზს გაუჭირდება.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ისეთი ვინაა, ჩემს გაიოზს რომ უარი უთხრას?

მ ა გ დ ა — ნუ მკითხავ... შენ თუ გეზარება... ღომის წყალს მე შევადგამ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — უარი როდის გითხარი!

(მიდის).

მ ა გ დ ა — ახლავე მოვალ.

(ფერდობზე დაეშვა).

ხ მ ა — გაიოზ... გაიოზ...

(მაგდა შედგა).

გ ა ი ო ზ ი ს ხ მ ა — აქა ვარ.

მ ა გ დ ა — შენს ხმას ვენაცვალე, შვილო, შენს სახელს შემოვევლე. უშენოდ ნურც ვიცოცხლებ. (ფერდობზე ადის. დაინახა) ნეტავი ვის უცქერის? ვინ დაგატყვევა, შვილო. (მარინე კისკისით ფერდობს გადაირბენს) აი, ვინ ყოფილა! მარინე შენი საქმე არ არის, ბიჭო, ის ცაში ფრენს, შენ კი მიწის კაცი ხარ. რომ გესწავლა, გაშლილი ფრთებს, მაგრამ არ ისურვე და ახლა... მარტო ვაჟკაცობა არ კმარა, შვილო!

(გამოდის გაიოზი).

გ ა ი ო ზ ი — (ფერდობზე ჩამორბის. დედა შეამჩნია. შედგა) დედა!

მ ა გ დ ა — საით გარბიხარ?

გ ა ი ო ზ ი — აგერ... საქმე მაქვს.

მ ა გ დ ა — საქმე ახლა აქეთ კი არა, იქეთაა! ყველა მუშაობს და საჯირითოდ მარტო შენ მოიცალე?

გ ა ი ო ზ ი — ჩემს საქმეს უკვე მოვრჩი.

მ ა გ დ ა — შენი საქმე რას ჰქვია? სხვას მიეხმარე, წელი არ გეტკინება.

გ ა ი ო ზ ი — დედა, გამიშვი.

მ ა გ დ ა — დაბრუნდი უკან.

გ ა ი ო ზ ი — გამიშვი, თვარა...

მ ა გ დ ა — რა თვარა! ხალხი გინდა ამილაპარაკო? მაგდა ჩვენ გვამუშავებს, მისი დევივით ბიჭი კი... უკანვე დაბრუნდი და, სანამ საერთო შესვენება არ იქნება, იმუშავე...

ეროვნული

გ ა ი ო ზ ი — სხვის მაგივრად?

ძ ა გ დ ა — მატრონეს მიეხმარე, მისი ქმარი ომშია წასული. ომში წასულებს მაგივრად უნდა იმუშაო.

გ ა ი ო ზ ი — მე რომ წავალ, მაშინ შენ მოგეხმარებიან, არა?

მ ა გ დ ა — ჰო, შვილო, ჰო.

გ ა ი ო ზ ი — კარგი, დედა, კარგი. (უკანვე გარბის).

მ ა გ დ ა — (მკერდზე ხელი მოიჭირა). რად არ გაგიშვი! სად გარბოდი! რად დამემორჩილე! თუმცა... ასე სჯობს, ასე...

(სასწრაფოდ გადის. გამოდიან ჭუჭულა და მარინე).

ჭ უ ჭ უ ლ ა — (მარინეს მოსდევს). შეჩერდი, მარინე!

მ ა რ ი ნ ე — რა გინდა?

ჭ უ ჭ უ ლ ა — ქალი ხარ, თუ ქარი?! ქარმაც კი იცის შესვენება.

მ ა რ ი ნ ე — მეჩქარება.

ჭ უ ჭ უ ლ ა — გეჩქარება, თუ ჩემთან ჯდომას უკადრისობ?

მ ა რ ი ნ ე — არ გრცხვენია! სამი დღით ჩამოვედი, მეც რომ წავიმუშავო...

ჭ უ ჭ უ ლ ა — დაისვენე, შრომა და სწავლა თბილისშიც გეყოფა. (ხელს მოხვევს). ჩამოვსხდეთ.

მ ა რ ი ნ ე — ა, ბატონო. (დაჯდება).

ჭ უ ჭ უ ლ ა — ვითომ ჩვენს სოფელზე უკეთესია ის შენი თბილისი?

მ ა რ ი ნ ე — არ ყოფილხარ?

ჭ უ ჭ უ ლ ა — როგორ არა, მარა ვერ გავძელი და გამოვიქეცი. მანქანების ჭყვირილმა წაიღო ყურები. (მარინე იცინის) რა გაცინებს! ოქროს სასახლე რომ ამიშენონ, იქ მაინც არ დავრჩები.

მ ა რ ი ნ ე — იქ დარჩენას არც მე ვაპირებ, მაგრამ...

ჭ უ ჭ უ ლ ა — აბა, სად წახვალ. მოსკოვში ხომ არა?

მ ა რ ი ნ ე — თავის დროზე მოსკოვშიც წავალ, საბოლოოდ კი აქ, ჩემს სოფელში.

ჭ უ ჭ უ ლ ა — დიდუ! მასულელებ? ამდენ ხანს მისთვის სწავლობ, რომ ბოლოს მაინც აქ ჩამოხვიდე?

მ ა რ ი ნ ე — მე აქ უფრო საჭირო ვიქნები.

ჭ უ ჭ უ ლ ა — საჭირო კი არა, საკეთილო იქნები, შენი ჭირიმე, მარა... მოიცა, იქნება ვინმე აქაური შეგიყვარდა?

მ ა რ ი ნ ე — დიახ!

ჭ უ ჭ უ ლ ა — ვინ არის ის ბედნიერი?

მ ა რ ი ნ ე — ჩემი კუთხე, ჩემი ხალხი!

ჭ უ ჭ უ ლ ა — და ამ ხალხში, ერთი, რას მიმალავ?

მ ა რ ი ნ ე — დასამალი რა მაქვს!

ჭ უ ჭ უ ლ ა — გიყვარს?!

მ ა რ ი ნ ე — მიყვარს, მაგრამ...

ჭ უ ჭ უ ლ ა — შენი შესაფერი არ არის ალბათ!

მ ა რ ი ნ ე — რატომაც არა, მაგრამ...

ჭ უ ჭ უ ლ ა — ე, გოგო, მითხარი!

მ ა რ ი ნ ე — შენთვის სულ ერთი არ არის?

ჭ უ ჭ უ ლ ა — სულ ერთი როგორაა? იქნებ ჩემი მეტოქე ხარ? (იცინის).

მ ა რ ი ნ ე — არა მგონია.

ჭ უ ჭ უ ლ ა — აბა რას მიმალავ! გამიწყდეს ყველაფერი, თუ ვინმეს ვუთხრა.
მ ა რ ი ნ ე — ფიცი რად გინდა! ისედაც ვიცი, ცხადში თუ არა, სიზმარში მაინც წამოგცდება.
ჭ უ ჭ უ ლ ა — ასე მიცნობ?
მ ა რ ი ნ ე — გეხუმრები, ჭუჭულა...
ჭ უ ჭ უ ლ ა — მესმის, ყველა ასე მეხუმრება, მარა რა ვქნა! სოფელს პირს ვერ ავუკრავ. ენა გამიხმეს, ჩემი ენის გეშინია და მიტომ არ მეუბნები, ხომ?
მ ა რ ი ნ ე — არც არავის ვეტყვი. გვეყოფა დასვენება. ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ, ჩემო ჭუჭულა...
ჭ უ ჭ უ ლ ა — აბა როდის? ჩემი ხნის რომ გახდები?
მ ა რ ი ნ ე — ვითომ რა ხნისა ხარ?
ჭ უ ჭ უ ლ ა — შენ რომ დაიბადე, მოსალოცად ბანტიანი კაბით მოვედი, ასე, თორმეტი წლის ვიქნებოდი. ა, რატომ არ გავაქვავებ ენას. ჩემს საიდუმლოებას რომ ვერ ვინახავ, სხვისას დავფარავ?..
მ ა რ ი ნ ე — (იცინის) ნუ გეშინია, მე არ გაგამხელ. წამოდი, ამბულატორიაში მიმეჩქარება.
ჭ უ ჭ უ ლ ა — ამდენი დრო სადა მაქვს? მაგდამ რომ დამინახოს! (ფერდობის გადაღმა ისმის სიმღერა: „გახსოვს, ტურფავ") შესვენებაა.
მ ა რ ი ნ ე — რა კარგად მღერიან.
(ფერდობზე ადის).
ჭ უ ჭ უ ლ ა — გაიოზი იწყებს.
მ ა რ ი ნ ე — გაიოზი?
ჭ უ ჭ უ ლ ა — მისი სიმღერა არ მოგისმენია თუ?
მ ა რ ი ნ ე — როგორ არა.
ჭ უ ჭ უ ლ ა — რამ შეგაკრთო!
მ ა რ ი ნ ე — ამბულატორიაში მეჩქარება.
(გარბის).
ჭ უ ჭ უ ლ ა — ვითომ ასეა?! რატომ აქამდე არ შევამჩნიე? აი თურმე სოფელში დაბრუნებას რისთვის აპირებს. მაშ მე ცოცხალი აღარ ვყოფილვარ. თავს მოვიკლავ, გაიოზს კი არავის არ დავუთმობ! ა! თავი თუ მოვიკალი, იგივე დათმობა არაა? არაფერს დავზოგავ. ვითომ მარინე მაჯობებს? ვნახოთ!
(გამოდის მაგდა).
მ ა გ დ ა — (ფერდობზე ამოდის) რამ ჩაგაფიქრა?
ჭ უ ჭ უ ლ ა — ქვეყანამ!
მ ა გ დ ა — შენს თავს მოუარე და ქვეყანაც მოვლილი იქნება.
ჭ უ ჭ უ ლ ა — ვის რა გავუფუჭე!
მ ა გ დ ა — ვერც გაკეთებას დაამადლი!
ჭ უ ჭ უ ლ ა — შარშან კოლმეურნეობაში ვერავინ მჯობნიდა.
მ ა გ დ ა — წელს რა ღმერთი გაგიწყრა?
ჭ უ ჭ უ ლ ა — ჩემი გულის ამბავი არ იცი?
მ ა გ დ ა — ქვეყნის სატირალს სტირი, ხომ?
ჭ უ ჭ უ ლ ა — იქნებ ჩემი ცრემლებით მაინც მოვალბო ზოგიერთის გული.
მ ა გ დ ა — გაწყენინეს?
ჭ უ ჭ უ ლ ა — შენ კი არ უნდა გითხრა, მაგრამ...
მ ა გ დ ა — ჩემზე თუ რაიმე თქვეს, გულს ნუ გაიხეთქ...

ჭუჭულა — შენზე ვინ რას გაბედავს?
მაგდა — ისე გაბედავენ, როგორც მე ვბედავ.
ყარამანი — (ღობეს მოადგება). ჩემო რძალო, ადუღდა ღომის წყალი.
მაგდა — მოვდივარ. წამოდი, ჭუჭულა, ერთად ვისადილოთ.
ჭუჭულა — დიდი მადლობა. ისე ვარ გულზე გასივებული, რომ... შეიძლება ეს ღამე ვერც გავათენო. არა, ქალაქელები თავს რითი იწონებენ, რომ არ ვიცი?!
მაგდა — რითი და ქალაქით.
ჭუჭულა — ნაკლებად ვცხოვრობთ, გვაცვია თუ გვახურავს?! არ გითხრა, გულზე გავსკდები, გითხრა და — არ მინდა შენ გაწყენინო!
მაგდა — რაო?
ჭუჭულა — გაიოზის შესახებ მითხრეს.
მაგდა — ჩემი გაიოზის?
ჭუჭულა — ჰო, ჩვენი გაიოზის შესახებ.
მაგდა — ვის რა აწყენინა?
ჭუჭულა — ერთ ქალიშვილთან სიყვარულის თაობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და...
მაგდა — ვიცი, ვიცი!
ჭუჭულა — გაიგონე თუ?
მაგდა — საქმე იშოვე, ჭუჭულა, საქმე...
ჭუჭულა — მომისმინე!
ყარამანი — ჩემო რძალო, ღომის წყალი ჩაშრება.
მაგდა — მოვდივარ. ჭუჭულა, თუ გცალია, გაიოზი მომიძებნე. უთხარი, დედა გელოდება-თქო.
ჭუჭულა — ახლავე.
ყარამანი — რა კარგი გოგოა, ზედმეტი ტლიკინი რომ არ უყვარდეს...
მაგდა — აბა რა ქნას მაგ უბედურმა, გათხოვება დაუგვიანდა, ახლა ლაპარაკით იოხებს გულს.
ყარამანი — მაგის მოსაწონი არავინ იყო და...
მაგდა — ალბათ შესაფერი ვერ იპოვა.

(მიდიან. გამოდის მარინე).

მარინე — (მოიჩქარის) მაგდანე ბიცოლა!
მაგდა — (შესდგება) მოდი, შვილო.
მარინე — მამამ — რომ მოიცალოთ, საბჭოში ამოდითო!
მაგდა — მერმე მაგისთვის შენ შეგაწუხა? ბავშვს გამოგზავნიდა.
მარინე — არ მეზარება, მერე-და მამამ იცის, თქვენთან მოსვლა ყოველთვის მიხარია.
მაგდა — გაიხარე, ეზოში ჩამოდი!
მარინე — მერმე შემოვივლი. ერთ ყვავილს მოვწყვეტ.
მაგდა — მოდი, წაიღე!
მარინე — ჯანზე როგორა ხარ, ბაბუა ყარამან?
ყარამანი — ეჰ, ბაბუ, რაღა დროს ჩემი ჯანია! თუმცა ერთი ათი წელიწადი კიდევ მინდა ვუცქირო ამ ქვეყანას.
მარინე — ცოტა დამაცადე და მე გიმკურნალებ ისე, რომ... ძველებურად სანადიროდ დაიწყებ სიარულს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — იცოცხლე, ბაბუ! თქვენ იცოცხლეთ და ყველაფერი კარგი დაინახეთ, ჩემზე კი ნუ ფიქრობთ, მე ჩემი დრო მოვჭამე. ეზოში ჩამოდი!

მ ა რ ი ნ ე — (ალაგეზე გადადის) მხოლოდ ერთ ყვავილს...

(მიიმალებიან).

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ნეტავი იმ ოჯახს, სადაც შენ შეხვალ.

(მიდის. გამოდიან ჰუჰულა და გაიოზი).

ჰ უ ჰ უ ლ ა — აქვე გავქვავდე, თუ გატყუებდე!

გ ა ი ო ზ ი — გაიოზმა თავის ტოლი მოძებნოსო?

ჰ უ ჰ უ ლ ა — ჩემ ნათქვამად არ უთხრა და...

გ ა ი ო ზ ი — ვითომ ქალაქში ჩემზე უკეთესი ბიჭები დაიარებიან?!

ჰ უ ჰ უ ლ ა — შეხედე იმ უსირცხვილოს! წელან შენზე რა არ ილაპარაკა და ახლა ვითომ არაფერიო, ხედავ?! ყვავილებს ჰკრეფს. მე რომ შენი ვიყო...

გ ა ი ო ზ ი — გაჩუმდი, ჰუჰულა, გაჩუმდი!

მ ა რ ი ნ ე ს ხ მ ა — დიდი მადლობა.

მ ა გ დ ა — ნუ დაგვივიწყებ.

ჰ უ ჰ უ ლ ა — აქეთ მოდის, მართალი გითხრა, ახლა მე მას ვერ შევხვდები.

(ჰუჰულა გადის).

გ ა ი ო ზ ი — ან დღეს, ან არასოდეს.

(ხეს ამოეფარება).

მ ა რ ი ნ ე — (ალაგეზე გადმოვიდა. ყვავილებს დასცქერის) მისი დარგულია!

(დაყნოსავს).

გ ა ი ო ზ ი — ჩემს ყვავილებს ეალერსება.

მ ა რ ი ნ ე — მეგონა, სახლში იქნებოდა.

(ფერდობზე დაეშვა).

გ ა ი ო ზ ი — (წინ გადაუდგა). მარინე!

მ ა რ ი ნ ე — როგორ შემაშინე!

გ ა ი ო ზ ი — რად გამირბიხარ, მარინე?

მ ა რ ი ნ ე — არც მიფიქრია.

გ ა ი ო ზ ი — გამიგონე!

მ ა რ ი ნ ე — ხომ არ გეწყინა, შენი ყვავილები რომ დავკრიფე?

გ ა ი ო ზ ი — მეხუმრები?

მ ა რ ი ნ ე — თვალები ისეთი გაქვს, რომ...

გ ა ი ო ზ ი — ერთი რამ უნდა გითხრა.

მ ა რ ი ნ ე — თქვი.

გ ა ი ო ზ ი — მიყვარხარ, მარინე!

მ ა რ ი ნ ე — (იცინის) ასე გახელებით?

გ ა ი ო ზ ი — დამცინი? მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ.

მ ა რ ი ნ ე — როგორ ცახცახებ, გონს მოდი! ამ შარაგზაზე რომ გამაჩერე, რას იტყვის სოფელი!

გ ა ი ო ზ ი — გონი დავკარგე, მე შენს იქით ვერავის ვხედავ.

(ხელი მოხვია).

მ ა რ ი ნ ე — რას მიბედავ!

(გაიბრძოლა).

გ ა ი ო ზ ი — ჩემი ხარ!

(სურს აკოცოს).

მ ა რ ი ნ ე — იქით!

(სილა გააწნა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ო ზ ი — ვაიმე!
(გაქვავდა).
მ ა რ ი ნ ე — ძალით ვერაფერს გახდები.
(გარბის. გამოდის ბარნაბი).
ბ ა რ ნ ა ბ ი — (ბარნაბმა ყველაფერი დაინახა) მარინე!
მ ა რ ი ნ ე — მამა!
ბ ა რ ნ ა ბ ი — სად გარბიხარ? რამ აგაღელვა?
მ ა რ ი ნ ე — არაფერი! არაფერი!.. მაგდამ მოვალო.
(გარბის)
ბ ა რ ნ ა ბ ი — (გაიოზისკენ მიდის). გაიოზ!
გ ა ი ო ზ ი — ა! ბიძია ბარნაბ!
ბ ა რ ნ ა ბ ი — რა მოგივიდა! უკვე გითხრეს?
გ ა ი ო ზ ი — მითხრეს და ისე მწარედ, რომ...
(ლოყაზე ხელი მოისვა).
ბ ა რ ნ ა ბ ი — გეშინია?
გ ა ი ო ზ ი — შიში რას მიქვია! მრცხვენია.
ბ ა რ ნ ა ბ ი — ჯარში წასვლის? (უწყებას გადასცემს). დღეს 5 საათზე გამოცხადდები საბჭოში.
გ ა ი ო ზ ი — ჯარში? (უწყებას გამოართმევს) სიამოვნებით.
მ ა გ დ ა — (ლობეს მოადგება) ეზოში ჩამოდი, ბარნაბ! შვილო, მოიწვიე!
გ ა ი ო ზ ი — ჰო, დედაჩემო. მიიწვიე, პატივი ეცი! მე კი ახლავე მოვალ.
(მოწყვეტით გაიქცა ეზოში).
მ ა გ დ ა — შვილო! რა მოუვიდა?
ბ ა რ ნ ა ბ ი — არ ვიცი! უწყება გადავეცი! ჯარში იწვევენ.
მ ა გ დ ა — მერე, ამიტომ გახელდა?
ბ ა რ ნ ა ბ ი — ფიცხია!
მ ა გ დ ა — (მშვიდად. ძირს დაგდებულ ყვავილს აიღებს) ალბათ აწყენინეს და პასუხი ვერ გასცა. ეზოში ჩამობრძანდით!
ბ ა რ ნ ა ბ ი — რა ეწყინა?
მ ა გ დ ა — გული ატკინა ვიღაცამ.
ბ ა რ ნ ა ბ ი — თავს არაფერი აუტეხოს!
მ ა გ დ ა — ნუ გეშინია! გულში უკბინა ვიღაცამ... (ყვავილი მიწაზე დაანარცხა) ეზოში ჩამობრძანდით, ბარნაბ!

ფ ა რ დ ა

სურათი მეორე

იგივე ადგილი. მთვარიანი ღამეა. შორს ლაშქრული ისმის.

მ ა გ დ ა — (ლობეს მოჰყვება. ყოველ სარს, ახალ ნერგს ხელს ჰკიდებს, ეალერსება). შვილო... ხვალიდან შენი ნაშრომი იქნება ჩემი ნუგეში. შენს ნარგავებს ვეალერსები...
ჭ უ ჭ უ ლ ა — (გამორბის. მაგდა შეამჩნია) მაგდა ხარ?!
მ ა გ დ ა — საით გარბიხარ?
ჭ უ ჭ უ ლ ა — გაიოზი ხომ არ წასულა?
მ ა გ დ ა — ემზადება. ჩამოდი!

ჭუჭულა — გაიოზს საბჭოში ვნახავ. გაიგე, გიორგაძეებს რა უბედურება დაატყდა თავს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდა — არა.

ჭუჭულა — ფრონტიდან შვილი ჩამოუვიდა.

მაგდა — მერე ეგ არის უბედურება?

ჭუჭულა — ცალი ფეხი არა აქვსო საწყალს.

მაგდა — ეგ რა მითხარი!

ჭუჭულა — გამიხმეს ენა! შენთვის არ უნდა მეთქვა. ვინ იცის, რა არ იფიქრე.

მაგდა — არაფერიც არ მიფიქრია. მეწყინა! ახალგაზრდა კაცი... არა... არაფერი არ მიფიქრია.

ჭუჭულა — არც იფიქრო! უმალ მე დამევსოს თვალები.

მაგდა — ენა გააქვავე, ჭუჭულა.

ჭუჭულა — სრულიად გადამავიწყდა, რომ გაიოზი ჯარში მიდის.

გაიოზი — (ლობეს მოადგა, სამგზავროდ გამზადებული) მე მზადა ვარ, დედა.

ჭუჭულა — გამარჯობა, გაიოზ.

გაიოზი — ჭუჭულა ხარ? მოიცა, ერთად წავიდეთ.

ჭუჭულა — შესაკრებ პუნქტზე გნახავ. მაგდა, მე რაც გითხარი, გაიოზს არ უთხრა.

(გარბის).

გაიოზი — რა გითხრა?!

მაგდა — რას იტყოდა! არაფერი. კარგად მორთულხარ, ჩემო ვაჟკაცო! ყველაფერი ჩაალაგე?

გაიოზი — ყველაფერი.

მაგდა — ბაბუაშენი სად არის?

გაიოზი — არ გაგაცილებო... სახლში დაგელოდებიო...ბაბუს მოუარე, დედა.

მაგდა — ნუ გედარდება.

გაიოზი — ჭუჭულამ რა გითხრა? მითხარი, გამეცინება.

მაგდა — რა უნდა ეთქვა!

გაიოზი — გოგოების შესახებ იტყოდა.

მაგდა — აი, შე ეშმაკო. ალბათ შენ გინდა, რომ გოგოების შესახებ ილაპარაკონ.

(იცინის).

გაიოზი — რა კარგი ხარ, დედა... როგორ მიყვარს შენი სიცილი... შენ ალბათ მხოლოდ ჩემთვის იცინი ასე!

მაგდა — მხოლოდ შენთვის და მხოლოდ შენ მაცინებ ასე.

გაიოზი — მშვიდობით, დედა. (მოეხვევა).

მაგდა — მშვიდობით დამიბრუნდი, შვილო.

გაიოზი — თუ დავბრუნდი.

მაგდა — დაბრუნდები... უსათუოდ დაბრუნდები. მე ჭიშკართან დაგელოდები.

გაიოზი — ჰო... ჰო... მე მოვალ... და ძველებურად ჩემს ეზოს ჭიშკარს ავაჭრიალებ. ერთ რამეს გთხოვ, დედა: მარინეს ცუდი არაფერი უთხრა. კარგი გოგოა. მარინესთანა გოგო მეორე არაა ამ ქვეყანაზე.

მაგდა — კარგი, შვილო, კარგი. წერილები არ დამიგვიანო.

გაიოზი — შენც ხშირად მომწერე. აბა, კარგად დამხვდი, დედაჩემო. (მოეხვევა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა გ დ ა — კარგად დამიბრუნდი. (მკერდში ჩაიკრავს. დუმილი. ფერდობზე მარინე გამოჩნდა. ხეს მოეფარა) ერთ რამესა გთხოვ, შვილო!

გ ა ი ო ზ ი — ჰო.

მ ა გ დ ა — ხედავ, ცაზე რამდენი ვარსკვლავებია?

გ ა ი ო ზ ი — ვხედავ, დედა.

მ ა გ დ ა — აი იმ დიდ ვარსკვლავს ხედავ?

გ ა ი ო ზ ი — ყველაზე უფრო რომ ანათებს?

მ ა გ დ ა — იმ ვარსკვლავს ბავშვობიდან ვუკვირდები. სადაც არ წავალ, დაბადებიდან თან დამყვება. ვის არ მივუტოვებივარ, დროებით ან სამუდამოდ, ეგ ვარსკვლავი კი არასოდეს არ მტოვებს. ჰოდა, ახლაც ეგ ვარსკვლავი დაგვცქერის ჩვენ. ეგ შენი და ჩემი ბედის ვარსკვლავია, შვილო. სადაც არ უნდა წახვიდე, არ მიგვატოვებს. მე მიყვარს ეგ ვარსკვლავი. შენ?

გ ა ი ო ზ ი — ყველა და ყველაფერი ამ ვარსკვლავის ქვეშ.

მ ა გ დ ა — ახლა ღამის ათი საათია. ხვალ ამ დროს შენ ჩემთან აღარ იქნები. მე კი ყოველ დღე მინდა შენს თვალებს ვხედავდე.

გ ა ი ო ზ ი — მეც, დედა.

მ ა გ დ ა — ჰოდა, გთხოვ ყოველ ღამის 10 საათზე დაუგვიანებლად, სადაც არ უნდა იყო, შეხედო ამ ვარსკვლავს და იცოდე, რომ იმ წამს მეც ამ ვარსკვლავს ვუცქერი.

გ ა ი ო ზ ი — სადაც არ უნდა ვიყო, ზუსტად ათ საათზე იმ ვარსკვლავს მივაცქერდები.

მ ა გ დ ა — ეს იქნება ჩემი ბედის ვარსკვლავი.

გ ა ი ო ზ ი — აგრეთვე ჩემიც.

ხ მ ა — გაიოზ, გაიოზ, აუ!

გ ა ი ო ზ ი — მეძახიან.

მ ა გ დ ა — წავიდეთ, შვილო.

(გადიან).

მ ა რ ი ნ ე — (ხეს მოშორდება). წავიდა. რად გავუშვი ასე! რისთვის? რა ჩავიდინე? დავედევნები. პატიებას ვთხოვ... რომ არ მიმიღოს... არ მინდოდა... ასე არ მინდოდა...

(აქვითინდება. იქვე დაეშვება. ვიღაც ბავშვს აძინებს. მღერის).

მზე შინა და მზე გარეთა
მზევ შინ შემოდიო.
უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო.

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

სურათი მესამე

საევაკუაციო ჰოსპიტალის უფროსი ექიმის კაბინეტი. ღამეა. ფანჯრიდან მოჩანს ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ექიმი საწერ მაგიდას უზის. წერს. ტელეფონის ზარი.

ე ქ ი მ ი — (ყურმილს აიღებს). უფროსი ექიმი. გისმენთ, მიხაილ გავრილოვიჩ. დიახ, გადაბარება წარმატებით მიმდინარეობს, არავითარი დაბრკოლება, ბოდიში, არის ერთი... აი მეექვსე ოთახი, სადაც ცალკე პალატა იყო, ჯერჯერობით დაკავებულია, გვყავს ერთი ავადმყოფი, რომელიც უარს

აცხადებს თბილისის ჰოსპიტალში წასვლაზე. დიახ, სწორედ ის. ოპერაცია გავუკეთეთ. თვალები ოც დღეს უნდა ჰქონდეს ახვეული. დიახ, მეც თან გავყვები, კარგი ვაჟკაცია. დიახ, დიახ. აუცილებლად. გმადლობთ.

(ყურმილს დადებს. ღილს ხელს დააჭერს. წერას განაგრძობს. გამოდის რაისა).

რ ა ი ს ა — (შემოდის) გეცხადებით, ამხანაგო უფროსო ექიმო.

ე ქ ი მ ი — როგორ არის ავადმყოფი, ისევ ნერვიულობს?

რ ა ი ს ა — დიახ! არ სჯერა, რომ სინათლე დაუბრუნდება.

ე ქ ი მ ი — იმედი დაჰკარგა?

რ ა ი ს ა — არა, უიმედო კაცს არა ჰგავს. წიგნებს მაკითხებს, საგულისხმო ადგილებს იზეპირებს. ხანდახან შემაჩერებს და ზოგიერთი ადგილის განმარტებას მთხოვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებისაკენ მიილტვის. ყველაზე უფრო ანერვიულებს, როდესაც მას იბრალებენ.

ე ქ ი მ ი — ამაყი ახალგაზრდაა.

რ ა ი ს ა — წეღან, მისივე თხოვნით, მოხუცი კოლმეურნე — ნიკიტა პავლოვიჩი მოვიდა, აი, უხვი მოსავლის ოსტატი რომ არის. ნიკიტას თავისი მეუღლე მოჰყვა. ისაუბრეს. ავადმყოფი სულგანაბული ისმენდა, თუ ნიკიტამ როგორ მიაღწია უხვ მოსავალს. გზადაგზა შეაჩერებდა და მთხოვდა, ნაამბობიდან ზოგი რამ ჩამეწერა. აი, მორჩა საუბარს, ნიკიტა დაემშვიდობა ავადმყოფს. ავადმყოფმაც მადლობა გადაუხადა ნიკიტას. ამ დროს ნიკიტას მეუღლეს ცრემლები წასკდა. რა გატირებსო, შეეკითხა ავადმყოფი. გული მეწვის, შენისთანა ახალგაზრდა რომ ამ დღეში ხარ, მებრალებიო. წავიდნენ თუ არა სტუმრები, ავადმყოფს, თითქოს ქვა დაჰკრესო, აეშალა ნერვები და ძლივს დავამშვიდე. საბრალო არა ვარო, გაიძახის.

ე ქ ი მ ი — წასვლაზე ელაპარაკე?

რ ა ი ს ა — მოსმენაც არა სურს.

ე ქ ი მ ი — მაშ სად აპირებს?

რ ა ი ს ა — ყველგან თანახმაა, ოღონდ თბილისში კი არაო.

ე ქ ი მ ი — მოიყვანეთ. ერთხელ კიდევ მოველაპარაკები.

რ ა ი ს ა — მესმის.

(გადის).

ე ქ ი მ ი — ეგ ახალგაზრდა უსინათლოდაც რომ დარჩეს, მის სულს ჟანგი არ მოედება, ომში ნაწრთობი ფოლადია, გაუტეხელი.

(გამოდიან რაისა და გაიოზი).

რ ა ი ს ა — (თვალებახვეული გაიოზი მოჰყავს) ბრძანება შესრულებულია.

ე ქ ი მ ი — მოდი, გაიოზ, დაჯექი.

გ ა ი ო ზ ი — გისმენთ.

ე ქ ი მ ი — გაგაბრაზეს?

გ ა ი ო ზ ი — დიახ, მაბრაზებენ, და მათ შორის ყველაზე უფრო — თქვენ!

ე ქ ი მ ი — დამშვიდდი.

გ ა ი ო ზ ი — რა დამამშვიდებს? ხომ გთხოვეთ, ჩემს სანახავად არავინ მოსულიყო. თქვენ კი ეგ თხოვნა არ შემისრულეთ. მოდიან მოწუწუნე დედაკაცები, გულჩვილი მოხუცები და დასტირიან ჩემს თვალებს. ყველას ვეცოდები, თითქოს ქუჩაში დაგდებული კატის კნუტი ვიყო. გამიგონეთ, მე საცოდავი არა ვარ!

ე ქ ი მ ი — დიახ, დიახ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ო ზ ი — ომი გათავდა! ახლა სხვა ბრძოლა იწყება. მიწისათვის ვიბრძოდით, ახლა მიწას უნდა ვებრძოლოთ.

ე ქ ი მ ი — დიახ, დიახ, ბრძოლა მშობლიური მიწის აყვავებისათვის!

გ ა ი ო ზ ი — ჰოდა, მეც ვიბრძოლებ, რაც მსურს, იმას გავაკეთებ. თუ გავბრაზდი, ჩემს უსინათლო თვალებს ვაიძულებ, რომ ყველაფერი დაინახოს.

ე ქ ი მ ი — ოცი დღის შემდეგ დაგიბრუნდებათ თვალის სინათლე.

გ ა ი ო ზ ი — ბავშვი კი არა ვარ. გთხოვთ, ნუ მატყუებთ. რა ვუყოთ მერე, ჩემი თვალები ჩემს თვალის ჩინს — სამშობლოს — შევწირე. უსინათლოებიც ხომ შრომობენ. შესაფერ სამუშაოს მეც გამოვნახავ. თბილისში კი ჯერჯერობით არ წავალ. თუ სინათლე არ დამიბრუნდა, მაშინ არასოდეს არ წავალ.

ე ქ ი მ ი — რაა მიზეზი?

გ ა ი ო ზ ი — მიზეზს ნუ მკითხავთ.

ე ქ ი მ ი — მაშ როგორ მოვიქცე?

გ ა ი ო ზ ი — სხვა ჰოსპიტალში გამაგზავნეთ.

ე ქ ი მ ი — სხვაგან უფლება არა მაქვს. თბილისში საბოლოოდ განიკურნებით, იქედან კი — სადაცა გსურთ, თქვენი ნებაა. თბილისამდე მე გაგყვებით, მევე განვაგრძობ ჰოსპიტალში თქვენს მკურნალობას.

გ ა ი ო ზ ი — თბილისში? არა! ჯერ არა! ყველგან წავალ, სადაც მე თვალხილულს არ მიცნობდნენ. თბილისში არა, ჩემს სოფელში... არა, არ შემიძლია... ვერ ავიტან... არ მინდა, არა... ალბათ ისიც... არა, არა!

ე ქ ი მ ი — ვინ ის?

გ ა ი ო ზ ი — არა, ასეთნაირად არ მივალ!

ე ქ ი მ ი — არც გაგიშვებთ. გამიგონეთ: თვალის სინათლე დაგიბრუნდებათ.

გ ა ი ო ზ ი — ისევ ნუგეში! ოთხი ოპერაცია გამიკეთეს... მაგრამ...

ე ქ ი მ ი — მეოთხე უკვე საბოლოო იყო. ოცი დღის შემდეგ თვით დარწმუნდებით.

გ ა ი ო ზ ი — ძალით ვერ წამიყვანთ. ჩემი ნებით კი თბილისში არ წავალ!

რ ა ი ს ა — დაჯექი, გაიოზ.

(სკამს მიაწვდის. გაიოზი დაჯდება).

გ ა ი ო ზ ი — ამ ომში რამდენი ვაჟკაცი დაეცა, სახელი და დიდება დაიმსახურეს. მე კი ცოცხალი ვარ და...

(დადუმდება).

ე ქ ი მ ი — არ ვიცი, უნდობლობა რითი დავიმსახურეთ.

გ ა ი ო ზ ი — მე თქვენ გენდობით, მაგრამ ჩემი თავისაც მჯერა. რაისა, წყალი. (რაისა წყალს დაუსხამს და მიაწვდის) გმადლობთ.

(დალევს)

ე ქ ი მ ი — შენი სოფლის წყალი ხომ უფრო გემრიელია!

გ ა ი ო ზ ი — ჩემს სოფელში ყოფილხართ?

ე ქ ი მ ი — ვყოფილვარ გურიაში.

გ ა ი ო ზ ი — ჭიქა მომეცი, რაისა!

რ ა ი ს ა — კიდევ დალევ?

(ჭიქას აწვდის)

გ ა ი ო ზ ი — წაიღე ჭიქა.

რ ა ი ს ა — დალიე!

გ ა ი ო ზ ი — ვანგარიშობ, რამდენჯერ მომიწევს სხვისი შეწუხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე ქ ი მ ი — მომისმინე.

გ ა ი ო ზ ი — გისმენთ.

ე ქ ი მ ი — დედა გელოდება, გაიოზ.

გ ა ი ო ზ ი — ჩემი დედა! არა, ექიმო, სჯობს თვალხილულს მელოდეს, ვინემ უსინათლო დავუბრუნდე. დედას ნუგეშად ჩემი გაშენებული ბაღი ექნება. ხშირად შემიმჩნევია, როგორ ეალერსებოდა ჩემს ნახელავს. აი ახლაც ალბათ იგი ჩემს ბაღში დადის და ყოველ ხის ნერგს, როგორც შვილს, ისე ეფერება. დაე მელოდოს, იმედიანი ლოდინი ათასჯერ უკეთესია, ვინემ უიმედო სინამდვილე. თქვენ დედაჩემს არ იცნობთ. ერთი შეხედვით, გულქვა და უკმეხ ქალად მოგეჩვენებათ, თავის დარდს არ გაგიმხელთ, არ უყვარს წუწუნი, მაგრამ ჩუმად იცის ტირილი. დედაჩემი ტიროდა, დავრდომილს ან ხეიბარს როცა ნახავდა და, წარმოიდგინეთ, ჩემზე რას იზამს. შემომიძახებს, გულს გამიმაგრებს, მაგრამ ჩუმად... ო, არა, არა! ჯერ არა!

ე ქ ი მ ი — არავინ არ გიყვარს?

გ ა ი ო ზ ი — ყველა მიყვარს.

ე ქ ი მ ი — საცოლე არა გყავს?

გ ა ი ო ზ ი — გთხოვთ ნუ მკითხავთ. ვინც მე მიყვარდა, მან ჯანმრთელი დამიწუნა და ასეთს მიმიღებს? ვფიქრობდი, სახელოვანი დავბრუნდებოდი, რომ მისი კერპი გული მომელბო. ახლა ეს იმედიც დაიკარგა.

ე ქ ი მ ი — ვაჟკაცის სახე ნახმლევი სჯობსო, ამბობს ხალხი.

გ ა ი ო ზ ი — ახლა რომ მიმიღოს კიდევაც, ეს სიბრალული უფრო იქნება, ვინემ სიყვარული.

ე ქ ი მ ი — ამხანაგები გელოდებიან.

გ ა ი ო ზ ი — გაძლებენ უჩემოდ.

ე ქ ი მ ი — თქვენმა რაიკომის მდივანმა ოთხი დეპეშა გამოგზავნა, თქვენი ჯანმრთელობით არის დაინტერესებული.

გ ა ი ო ზ ი — რაიკომის მდივანმა იცის, რომ მე თვალები მტკივა?

ე ქ ი მ ი — იცის.

გ ა ი ო ზ ი — რად მისწერეთ?

ე ქ ი მ ი — ჩვენ პარტიას არაფერს ვუმალავთ.

გ ა ი ო ზ ი — იქნებ დედაჩემსაც შეატყობინეთ?

ე ქ ი მ ი — არა. ისე კი, მართალი გითხრა, მსურდა შემეტყობინებინა, რადგან შენ ახლა მკურნალობაზე უფრო მშობლიური სითბო გჭირდება.

გ ა ი ო ზ ი — არა, დედას ვერ შევაწუხებ. თუმცა ერთხელ მაინც, რომ... არა! არა... დედა... არა.

ე ქ ი მ ი — როგორც გენებოთ. კიდევ იფიქრეთ.

გ ა ი ო ზ ი — რა უნდა ვიფიქრო. ეჰ, ჩემი სურვილი სხვა იყო.

ე ქ ი მ ი — ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ.

გ ა ი ო ზ ი — თქვენგან მე ზრუნვა არ მაკლია, მადლობელი ვარ. წავიდეთ, რაისა.

ე ქ ი მ ი — მერწმუნე, რომ სინათლე დაგიბრუნდება, და მერე — სადაც გსურდეს!

გ ა ი ო ზ ი — სადაც მსურდესო? თუ თვალები ამეხილა, ჩემს სოფელზე უკეთესს რას ვნახავ. მანამდე კი დედას ნურაფერს მისწერთ.

ე ქ ი მ ი — რომ ვერ მოითმინოს და ჩამოვიდეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ო ზ ი — არა, ჯერ არა. რა ვიცი? ერთ წუთს მომითმინეთ. ფანჯარასთან მიმიყვანე, რაისა. ახლა ზუსტად ათი საათია.

ე ქ ი მ ი — დიახ.

გ ა ი ო ზ ი — შეხედე, რაისა, ცაზე დიდი ვარსკვლავი ისევ ანათებს?

რ ა ი ს ა — და მერე როგორ!

გ ა ი ო ზ ი — ასე ანათებდა მაშინაც.

ე ქ ი მ ი — არ გვეტყვი?

გ ა ი ო ზ ი — ზუსტად ათ საათზე, აი ახლა, იმ ვარსკვლავს დედაჩემი შესცქერის. ორი წელიწადნახევრის განმავლობაში ზუსტად ათ საათზე მეც შევცქეროდი იმ ვარსკვლავს და ვხედავდი დედაჩემის თვალებს. ისე შევეჩვიე, რომ საათი აღარ მჭირდებოდა. და ერთ დღეს, როცა ჩვენი ასეული შტეტინს უტევდა, ზუსტად ათ საათზე ავიხედე მაღლა და თითქოს ჩემს ვარსკვლავს ესროლეს! ყუმბარის კვამლმა დაჰფარა ყველაფერი. აი სწორედ ეგ ვარსკვლავია დედაჩემის ნუგეში. ამ ვარსკვლავში ხედავს ის ჩემს თვალებს. და თქვენ გსურთ, მოვტაცო ეს ბედნიერება? არ შემიძლია. დაე დედამ იმ ვარსკვლავში დამინახოს, მელოდოს. მე კი, სადაც არ უნდა ვიყო, დედის სახე თვალწინ მექნება. მას ახლაც ვხედავ. ის ტუჩებმოკუმული შესცქერის ვარსკვლავს. მე ვხედავ დედას ისე ახლოს, რომ შემიძლია ხელით შევეხო, მკერდში ჩავიკრა. ძვირფასო დედა! წამიყვანე, რაისა წამიყვანე!

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

სურათი მეოთხე

იგივე ადგილი, რაც პირველ სურათში. შებინდებულია. ყარამანი ქვევიდან ამოდის. შეჩერდება. ზეცას გასცქერის.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ისევ მოიღრუბლა! ნეტავი მაგდანე სად დაიკარგა?

თ ო მ ა — (ყარამანს მოსდევს) გაწვიმდება ვითომ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — კი. შეიძლება ქარიც ამოვარდეს.

თ ო მ ა — რაზე ატყობ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ცის დასალიერს ამოაწითლა.

თ ო მ ა — კარგი მხედველობა გქონია.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მარინეს წყალობაა! დალოცვილი მარჯვენა აქვს იმ გოგოს, ერთი თვე არაა, რაც მკურნალობა დამიწყო და...

თ ო მ ა — ეი, კი! სუყველა აქებს. თუმცა, ჩვენს შორის დარჩეს და, მართალი გითხრა, მიკვირს, მარინემ ჩვენს სოფელში რა უნდა გააკეთოს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — რას ამბობ?

თ ო მ ა — ექიმი სოფელში!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ცუდია?

თ ო მ ა — არა, ცუდი კი არაა, მარა ჩვენს სოფელში მარტო შენ და ჯაჯიკა მალაზონი თუ გახდებით ავად. ამისათვის ექიმის მოცდენა რა საჭიროა, არა? ცუდად არ გამიგო, შენთვის ერთი კი არა, ცხრა ექიმიც რომ მოცდეს, ღირსი ხარ, არ მენანება, მაგრამ, რომ მორჩები, მერე რა უნდა გააკეთოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყ ა რ ა მ ა ნ ი — თომა, ნეტავი თუა ისეთი კაცი ჩვენს სოფელში, რომ შენ მისი კმაყოფილი იყო?

თ ო მ ა — ერთი შენა ხარ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — შენ კი შეგირცხვა ცხვირი!

თ ო მ ა — შენ არ მომიკვდე! შენით უკმაყოფილო რად უნდა ვიყო?! კაი სიტყვისა და პურმარილის მეტი არაფერი მახსოვს... მგონი მართლა გაწვიმდება, ხომ იცი.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მერე რამ შეგაშინა, ჩვენი სახლის სახურავი მთელია.

თ ო მ ა — კალოზე ჭირნახული არ დამისველდეს-მეთქი.

(იცინის).

ყ ა რ ა მ ა ნ ი — რა გაცინებს?

თ ო მ ა — კოლექტივს ვენაცვალე, თვარა წლევანდელი მოსავალით ორი კაცი ვერ ირჩენდა თავს. ქაჩალის ქოჩორსა ჰგავს ყანა ზეგანზე. ვერ გავიგე, ჩვენი მიწა გამოიფიტა თუ ბარნაბი!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ბარნაბს რაღას ერჩი!

თ ო მ ა — მე რას უნდა ვერჩოდე. ჩემგან ჯვარი სწერია. ბარნაბი რომ არ იყოს, კოლექტივიდან ცხრაჯერ გამომაბუნძულებდნენ, მაგრამ... მაინც უნდა ვთქვა, ამ ბოლო დროს საქმეს ისე ვერ უძღვება, როგორც საჭიროა. ყველა გვჯობნის, მოსავალმა იკლო, ჩვენი შრომა ფუჭად იკარგება. აგერ, ზეგანზე, სიმინდი ძლივს სუნთქავს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მერე ბარნაბს რას უკვეთავ?

თ ო მ ა — თავმჯდომარე ტყუილადაა? რამე უნდა მოიფიქროს.

(გამოდის ბარნაბი).

ბ ა რ ნ ა ბ ი — (თავს წამოადგება) მე მამუშავებთ?

თ ო მ ა — როგორ გეკადრება, აგერ, მოსავალზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

ბ ა რ ნ ა ბ ი — მე და მოსავალი რამ გაგვყო?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მწირი მიწაა, საყვედურობს თომა.

ბ ა რ ნ ა ბ ი — მართალი უთქვამს. მაგრამ არაფერია, გული არ გაგიტყდეთ, ტყე რომ გაიკაფა, იმის ბრალია. სასუქი ფეხს ვერ იკიდებს. გაისად ყველაფერი რიგზე იქნება. ზეგანს ჯებირს გავუკეთებთ. ხვალ კრებაზე მოდით, ვილაპარაკოთ.

თ ო მ ა — შენთან ლაპარაკს რა სჯობს.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ყარამან, გაიოზის არაფერი ისმის?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — კარგი ხანია წერილი არ მიგვიღია.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ალბათ გზაშია. გაიოზის იმედი მაქვს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — იმედი ნუ მოგეშალოს.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ომში დავაქაცდებოდა, ჩემი მარჯვენა იქნება სწორედ.

თ ო მ ა — კაი ტოლო ბიჭი წავიდა სოფლიდან. მკერდი სულ ორდენებითა და მედლებითა აქვს თურმე ჩარიჩხინებული.

ბ ა რ ნ ა ბ ი — თურმე რად გინდა! ლეგიონის უფროსი ყოველ მის წარმატებაზე მწერდა.

თ ო მ ა — კაი ბიჭია, კაი! და მე მგონი აქეთ აღარც ჩამოვიდეს.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ვითომ-და რატომ?

თ ო მ ა — კაი ბიჭს კაი ქალი შეხვდება სადმე და... ა! (იცინის) ყარამან, იქნებ რძლით მოგადგეს კარზე.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ეს მისი ნებაა.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ჩემი გაიოზი ისეთი არ არის.

ბ ა რ ნ ა ბ ი — რატომ? იქაც ხომ შეიძლება ვინმე მოეწონოს, შესაფერი იპოვოს?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — არა, ისეთი არაა, რომ...

თ ო მ ა — კარგი ერთი, თუ კაცი ხარ, გაიოზის ხასიათს მე მასწავლი? გოგოებს რომ დაინახავდა... შენი შვილიშვილი არაა? შეიძლება ბადიშიც მოგიყვანოს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — გაჩუმდი!

(გაიელვა. ისმის ქუხილი).

ბ ა რ ნ ა ბ ი — ისევ გაწვიმდება.

თ ო მ ა — კაი ღვინო კარგია ახლა.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — სახლში შევიდეთ.

ბ ა რ ნ ა ბ ი — მერე გნახავთ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ჩემი რძალი ხომ არ შეგხვედრია?

ბ ა რ ნ ა ბ ი — წისქვილში იყო.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — აუ! სრულებით გადამავიწყდა, საფქვავი წაიღო წელან.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ჰო! მგონი დაფქვილს ელოდებოდა. კარგად მენახეთ.

თ ო მ ა — ყარამანის ღვინო არ გავსინჯოთ?

ბ ა რ ნ ა ბ ი — მოვესწრებით, გაიოზი კარგად დაბრუნდეს და ადესით კი არა, კახურით ვიქეიფებთ.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ვიქეიფებთ.

ბ ა რ ნ ა ბ ი — თომა, მერე, ერთი, ჩემსას ამოდი.

თ ო მ ა — კი, შენი ჭირიმე.

(ბარნაბი გადის).

ყ ა რ ა მ ა ნ ი — თომა, ვისაც ბარნაბის საწინააღმდეგოდ ენა მოუბრუნდება...

თ ო მ ა — რას ამბობ! მე ბარნაბის საწინააღმდეგო ჩემს სიცოცხლეში არაფერი მითქვამს. გაიგონე გაიოზი როგორ ჰყვარებია? კარგი გულის კაცია ბარნაბი.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ბარნაბს შენ არ იცნობ.

თ ო მ ა — როგორ, ცუდი კაცია თუ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მასეთი მშრომელი კიდევ ორი რომ გვყავდეს, ჩვენს სოფელს აღარაფერი გაუჭირდება.

თ ო მ ა — კი, კი! მარჯვე ყაძახია. ქალიშვილიც კარგი ჰყავს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ეზოში ჩავიდეთ.

თ ო მ ა — მაგდანეს არ შევეგებოთ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ეწყინება. ჯერ არ დავვარდნილვარო, გვეტყვის.

თ ო მ ა — ძალიან დადარდიანებული კია. რაც მარინე ჩამოვიდა, მერე მაგის ღიმილი არ მინახავს.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მარინე რა შუაშია! ქმარი რომ მოუკვდა, ჩემი მირიანის მერე მაგდანე გაიოზს თუ გაუცინებდა ხანდახან. ახლა გაიოზის წერილმა დაიგვიანა და... წამოდი, სანთელი ავანთოთ.

თ ო მ ა — წავიდეთ. (მიდიან) შენ მართალი ხარ, მარინე გაიოზის შესახებ...

(მიიმალნენ. გამოდის მაგდა).

მ ა გ დ ა — (ფერდობზე გამოჩნდება. ტომარას დადებს. შუბლს იმშრალებს. დაჯდება) ეზოში ჩასვლა მეზარება! სადა ხარ, რად იგვიანებ! წუხელ ჭიშკრის ჭრიალმა გამომაღვიძა. შენ მეგონე. გამოვედი, არავინ

იყო. ასეა, შვილო, რაც ომი გათავდა, გელოდები, რა გაწყენინე, მოგიკვდეს დედა! იქნებ მისი გრცხვენია? იქნებ მას გაურბიხარ! მე რა დაგიშავე, ვიცოდე მაინც, სადა ხარ, ამოვიდოდი, შეგხედავდი, მოგეფერებოდი... ახლა... ჰო, ჰო, ალბათ მისი გრცხვენია... რა ვუყოთ მერე, თუ გიყვარს, უნდა აიტანო. რა ვუყოთ მერე. მარინე ცუდი გულის ქალი არ არის, ალბათ შენ აწყენინე. რას ვამბობ? ჰო, ჰო... მაინც შენი ბრალია! მარინემ გაგასწრო, შვილო. ერთმანეთს ვერ გაუგებთ. ომს რომ არ მოესწრო, შენც წახვიდოდი, ისწავლიდი, ახლა... (ვიღაც შეამჩნია. წამოდგა. სურს ტომარა აიღოს).

(ტომარა აიღო და სასწრაფოდ ეზოში ჩავიდა. გამოდის მარინე).

მ ა რ ი ნ ე — (გამოდის. ერთ ადგილს შეჩერდა. თითქოს ხრამის წინ შედგა და გადახტომას აპირებს) მაპატიე, გაიოზ. მე ასე არ მინდოდა! თვითონაც არ ვიცი, რა მინდოდა! ეს ადგილი ხრამად იქცა! მრცხვენია! ისე რად მოგექეცი! რა ვიცოდი, წახვიდოდი, ველარ გნახავდი! მიყვარდი, მიყვარხარ! მაშ ხელს რა მიშლის?! არა, ასე არ მინდოდა! სხვა ფიქრი მქონდა. რა ვიცი, ახლა ჩემზე რას ფიქრობ! თუმცა, რაც არ უნდა იფიქრო, მართალი ხარ. მაშინ მეც ვფიქრობდი, რომ შენ კარგი ხარ, მაგრამ... ეს ოხერი მაგრამ... ახლა რომ შემეძლოს დანაშაულის გამოსყიდვა... თუმცა რა დავაშავე? შენ სწავლა არ ისურვე, მე კი... აი რამ გაგვთიშა! ხომ შეიძლებოდა, მე რომ მეთქვა, შენ...

(გამოდის ჭუჭულა).

ჭ უ ჭ უ ლ ა — (მარინე შეამჩნია) ნეტავი ვის ელოდება?

მ ა რ ი ნ ე — (ელვა) ჰო, ჰო! ახლა გვიანია! (ლობისკენ მიდის. შედგება) აქ რამ მომიყვანა? განა მაგდანას ჩემი დანახვა სიამოვნებს? მან ხომ იცის, არ ამხელს, მაგრამ იცის, დანაშაული ჩავიდინე.

ჭ უ ჭ უ ლ ა — მარინეს ვენაცვალე.

მ ა რ ი ნ ე — ვინა ხარ?

ჭ უ ჭ უ ლ ა — რაზე შეკრთი? ჭუჭულა ვარ.

მ ა რ ი ნ ე — ჭუჭულა, ძლივს გიცანი!

ჭ უ ჭ უ ლ ა — ლობესთან რომ დამდგარხარ, ეზოში ჩასვლა ვინ დაგიშალა?

მ ა რ ი ნ ე — ვფიქრობ, ჩავიდე თუ არა?

ჭ უ ჭ უ ლ ა — მაგას რა ფიქრი უნდა! სასიამოვნო სტუმარი იქნები.

მ ა რ ი ნ ე — სტუმარი? (ელვა და ჭექა-ქუხილი) ხედავ, წვიმდება! ახლა სტუმრობის დრო არ არის.

ჭ უ ჭ უ ლ ა — ქოლგა მაინც წამომეღო! (მარინე უკანვე გაბრუნდა. გარბის) სად გარბიხარ? დასველდები. მაგდანესთან შევაფაროთ თავი. მარინე, მარინე! ნუთუ ისევ უყვარს? მარინე! მარინე!

(დაედევნება. ძლიერი წვიმა და ჭექა-ქუხილი. გამოდის მაგდა).

მ ა გ დ ა — (გოდორმოკიდებული, თოხით ხელში) უბედოს ბედი წარღვნაო, სწორედ ესაა. ზეგანს წალეკავს ეს დაწყევლილი.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — (მოსდევს). მაგდა, მაგდანე!

მ ა გ დ ა — რას მომდევ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — სად მიდიხარ?

მ ა გ დ ა — ხომ ხედავ, ცა ინგრევა და ქვესკნელში გვიპირებს ჩატანას. ხედავ, რა ღვარი მოდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ო მ ა — შალი მაინც მოიხვიე, შე ქალო!

მ ა გ დ ა — თომა, მომყევი!

თ ო მ ა — ხომ არ გაგიჟებულხარ? სიმინდს დათესენ და გაისად კიდევ ამოვა, მე კი, რომ მოვკვდე, ვინ ამომიყვანს?

მ ა გ დ ა — ერთხელ რომ ამოხვედი, რა გააკეთე? შენს მაგივრად ამ სოფელში ანწლი ამოსულიყო, არ სჯობდა? წამოდი!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ჩემო რძალო!

(გამოდის ჭუჭულა).

ჭ უ ჭ უ ლ ა. — (თოხით ხელში) დიდუ, დავიღუპეთ.

მ ა გ დ ა — ნუ ყვირი!

ჭ უ ჭ უ ლ ა — ზეგანზე ყანა ნიაღვარს მიაქვს. დიდუ, დიდუ!

მ ა გ დ ა — მერე კივილით გინდა შეაჩერო? ეხ, სად არის ახლა, ჩემი ბიჭი?

ჭ უ ჭ უ ლ ა — გაიოზი ამ ნიაღვარს მკერდით შეაჩერებდა.

მ ა გ დ ა — მომყევი, ჭუჭულა! (გარბის).

ჭ უ ჭ უ ლ ა — (წიოკით მისდევს) მომიცადე! მომიცადე.

(გარბის)

თ ო მ ა — ქალი კი არა, ქარ-ცეცხლია.

ყ ა რ ა მ ა ნ ი — თომა, ამ ნიაღვარს შენთვის სინდისი ხომ არ ჩამოურეცხავს? აქ რას უცდი? წამოდი, წისქვილს მაინც ვუშველოთ.

თ ო მ ა — ათასჯერ მითქვამს, იმ ზეგანზე სიმინდის თესვა ფუჭი შრომაა-მეთქი. ახლა რაღას უშველით! აუ, ხედავ? ღვარმა მუხა მოთხარა!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მომყევი.

(გარბის).

თ ო მ ა — ეს ბერი-კაცი რაღამ გადარია! კაცო, მე კოლექტივი ჩემდა საამებლად მინდოდა. ვფიქრობდი, თავს გავიტან-მეთქი, და ეს რა ჭირად გამიხდა?! ყველა რომ სამუშაოდ გარბის, მე რაღა მომასვენებს! (გარბის) ყარამან, მომიცადე!

(ყარამანი მიიმალება. ჭექა-ქუხილი და წვიმა მატულობს. გამოდის ბარნაბი).

ბ ა რ ნ ა ბ ი — (ფერდობს ამოირბენს. უქუდოა) ე, ჰეი, ხალხო, მეზობლებო! (ელვა-ქუხილი) თოხით! ბარით! ნაჯახებით! ზეგანისაკენ! ე, ჰეი! (ჭექა-ქუხილი) ჩამოიქეცი ბარემ! ისეც ჩამოვრჩი და ახლა ღვარი მაკლდა სწორედ. (ქუხილი. ზარს მისწვდება. ძლიერად რეკავს) გამოდით, ხალხო, გამოდით!

(გარედან ისმის გადაძახილები).

— გოგიავ! აუ!

ბ ა რ ნ ა ბ ი — ვუშველოთ... ყანას ვუშველოთ.

(რეკავს. გამოდის მარინე).

— სიმონა, აქეთ... თოხი წამოიღე... თოხი...

მამია... მამია... (ძაღლების ყეფა).

მ ა რ ი ნ ე — (ნაბადი და ყაბალახი მოაქვს) მამა!

ბ ა რ ნ ა ბ ი — რამ მოგიყვანა?

მ ა რ ი ნ ე — მოიხურე!

(ნაბადს აწვდის).

ბ ა რ ნ ა ბ ი — ღვარი მინდოდა ახლა მე!

მ ა რ ი ნ ე — შენი რა ბრალია?

ბ ა რ ნ ა ბ ი — მაშ ვისი ბრალია. მეთაური მე ვარ და პასუხი მე უნდა ვაგო. მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამ უარი მითხრა, ზეცამ ნიღვარი გამომიგზავნა. თავმჯდომარე მე ვარ. ნეტავ მაგდანეს რა მოუვიდა?

მ ა რ ი ნ ე — არ გამოსულა?

ბ ა რ ნ ა ბ ი — არ დამინახავს. მიდი, მიხედე, ავად არ იყოს! მერე სახლში წადი!

მ ა რ ი ნ ე — სახლში რა გამაჩერებს?

ბ ა რ ნ ა ბ ი — ტალახის ზელვა შენი საქმე არ არის. მაგდას მიხედე.

(გარბის).

მ ა რ ი ნ ე — (ღობეს მიადგება) მაგდანე! მაგდა! ბაბუა ყარამან! (ეზოში არბის წვიმა ძლიერდება. მარინე ისევ გადმოდის) წასულან! ასეთ ხალხს ნიღვარი რას დააკლებს? (მიდის. ნაცნობ ადგილას შედგება, სადღაც მეხი დაეცა) მამა!

(გარბის. გამოდიან მაგდა და ალექსი).

მ ა გ დ ა — (დასველებული ფერდობზე გამოჩნდება. გოდორი სველი სიმინდით აუვსია. ხელში სველი ჩალა უჭირავს) წაიღო! ღვარმა წაიღო!

ა ლ ე ქ ს ი — გული არ გაიტეხო, მაგდანე.

მ ა გ დ ა — ეჰ!

ა ლ ე ქ ს ი — ხვალ ყველაფერს აღვრიცხავთ, მთავრობა დაგვეხმარება.

მ ა გ დ ა — სანამდე უნდა ვიყოთ სამოწყალო და დასახმარებელი.

ა ლ ე ქ ს ი — რას იზამ, სტიქიური უბედურებაა.

მ ა გ დ ა — თავით რომ გვემუშავა, უბედურებასაც ავიცდენდით.

ა ლ ე ქ ს ი — ეგ მართალია!

მ ა გ დ ა — ვაი ასეთ სიმართლეს, ჩვენ კი შევრცხვით და... ყველამ გვაჯობა, გაღმელებმაც გვაჯობეს. იმათაც ფერდობებზე აქვთ ყანები, თავით იმუშავეს და გვაჯობეს, დროზე მოიფიქრეს ყველაფერი. ჩვენ მიწას დავეხარბეთ, ზეგანს ტყე შემოვაცალეთ და...

(გამოდიან ბარნაბი და მარინე).

ბ ა რ ნ ა ბ ი — ნურაფერს მეტყვი, შვილო, ნურაფერს მეტყვი!

მ ა რ ი ნ ე — დარდი საქმეს არ უშველის.

მ ა გ დ ა — ბედნიერი ხარ, ბარნაბ, შვილი ჭკუას გასწავლის.

მ ა რ ი ნ ე — პატივცემულო მაგდანე!

მ ა გ დ ა — მართალი ხარ, შვილო, დარდი საქმეს ვერ უშველის, მაგრამ რას იზამ, უდარდელადაც რომ არაფერი გამოდის?

ბ ა რ ნ ა ბ ი — ახლა მაგის განხილვის დრო არაა! ალექსი, გამგეობისაკენ ხომ არ წამოხვალ?

ა ლ ე ქ ს ი — არა, საბჭოში მაქვს საქმე, შენ დღეს დაისვენე და ხვალ მოვითათბიროთ.

მ ა რ ი ნ ე — პატივცემულო მაგდანე... თქვენ მთლად სველი ხართ. გამოიცვალეთ, თორემ გაცივდებით.

მ ა გ დ ა — მადლობელი ვარ.

ბ ა რ ნ ა ბ ი — სულ გადამავიწყდა, საწყობი არ დამიკეტავს.

ა ლ ე ქ ს ი — მეც იქით მოვდივარ.

(ბარნაბი და ალექსი გადიან).

მ ა გ დ ა — ბარნაბ, ეს სიმინდი სად დავყარო?

ბ ა რ ნ ა ბ ი — (მობრუნდება) მომეცი, საწყობში წავიღებ.

მ ა გ დ ა — კარგს იზამ. (ბარნაბს გოდორი მიაქვს).

ბ ა რ ნ ა ბ ი — შვილო, მაგდანესთან მომიცადე, მე ახლავე გამოვივლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა რ ი ნ ე — კარგი. (ბარნაბი გადის) პატივცემულო მაგდანე.

მ ა გ დ ა — როდის გამხადე ასეთი პატივცემული?

მ ა რ ი ნ ე — მე თქვენ ყოველთვის პატივისცემით გეპყრობოდით?

მ ა გ დ ა ნ ე — გეცემე და ჩემთან თქვენობით ლაპარაკი არ დაგეწყო, მერჩია...

მ ა რ ი ნ ე — რა ვქნა...

მ ა გ დ ა — თუ გვიკადრებთ, შინ გვეწვიეთ, მამათქვენი გამოგივლით და.

მ ა რ ი ნ ე — არა, მე სახლში წავალ.

მ ა გ დ ა — როგორც გენებოთ.

მ ა რ ი ნ ე — რა გაწყენინეთ?!

მ ა გ დ ა — არაფერი! ყვავილებს ხომ არ ინებებთ? მახსოვს, გიყვარდათ ჩვენი ეზოს ყვავილები.

მ ა რ ი ნ ე — თქვენობით ნუ მელაპარაკებით, ნუ!

(გარბის).

მ ა გ დ ა — გეწყინა?! აბა როგორ გეგონა, ჩემი შვილის წახდენას გაპატიებდი? თუმცა უკეთესი იქნებოდა, ამ საქმეში მე არ ჩავრეულიყავი და პასუხი ისევ ჩემს შვილს გაეცა. მაგრამ იქნებ მარინეს გამო შეიძულა გაიოზმა ჩვენი სოფელი? ეჰ რა, ვიფიქრო?! (ლობისაკენ მიდის. შედგება. ზეცას მიაჩერდება) ახლა ღამის ათი საათია! ჰო, ასეა, არ ვტყუვდები. სად არის, შვილო, შენი ვარსკვლავი? ვაიმე, ღრუბელს დაუფარავს! შავო ღრუბელო, გადაიყარე! ჩემი შვილის თვალები მინდა დავინახო. შვილო გაიოზ! სადა ხარ, ბიჭო?

(გაიოზი ფერდობზე გამოჩნდა).

გ ა ი ო ზ ი — აქა ვარ, დედა.

მ ა გ დ ა — შვილო გაიოზ! (მკერდში ჩაიკრავს) შემოგევლე!

გ ა ი ო ზ ი — გაგიჭირდა? დედა!

მ ა გ დ ა — აღარაფერი მიჭირს, აღარაფერი! მიდი, ჭიშკარი ააჭრიალე!

(გამოდის ბარნაბი).

ბ ა რ ნ ა ბ ი — (მორბის). მართლა შენა ხარ, ბიჭო? მოგდევდი, ველარ გიცანი!

გ ა ი ო ზ ი — ბიძია ბარნაბ! (მოეხვევა).

მ ა გ დ ა — ბარნაბ, დაგვიბრუნდა ჩემი გაიოზი.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ!

გ ა ი ო ზ ი — ხომ ყველანი კარგადა ხართ? ხომ არავინ გვაკლია?

ბ ა რ ნ ა ბ ი — ყველანი კარგადა ვართ! არავინ არ გვაკლია. მარინეც აქ არის. აქ იყო!

მ ა გ დ ა — წავიდა. ეზოში ჩამოდით! (გასძახის) ყარამან, ყარამან, გაიოზი ჩამოვიდა. მეზობლებო, ჩემთან ამოდით!

გ ა ი ო ზ ი — დედა, ასეთი რა მოხდა? ხალხს რას აწუხებ?

მ ა გ დ ა — არავინ არ შეწუხდება, შვილო! ერთის მეტს ყველას გაეხარდება.

გ ა ი ო ზ ი — ის ერთი ვინ არის?

ბ ა რ ნ ა ბ ი — ვისაც გაიოზის ჩამოსვლა შეაწუხებს, ნურც გაიხაროს!

გ ა ი ო ზ ი — არა, რატომ, მანაც გაიხაროს.

მ ა გ დ ა — ჰო, შვილო, ჰო! რამდენი ხანია, ჩემი ეზოს ჭიშკარი არ გაღებულა.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ყოველთვის ასეა, ავდარს დარი მოსდევს. წავალ, მარინეს შევატყობინებ.

გ ა ი ო ზ ი — ნუ შეაწუხებთ. ხვალაც შევხვდებით.

ბ ა რ ნ ა ბ ი — ვითომ მარინე შეწუხდება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ი ო ზ ი — რა ვიცი? დედა, გაგვიძეხი!

მ ა გ დ ა — არა, შვილო, აწი დროა, რომ შენ გაგვიძღვე.

გ ა ი ო ზ ი — მობრძანდით, ბარნაბ ბიძია.

ბ ა რ ნ ა ბ ი — გაგვიძეხი, გაგვახარე.

(ყველანი გადიან. გამოდიან ყარამანი, თომა, ჭუჭულა).

ყ ა რ ა მ ა ნ ი — მთლად მამამისის ხასიათისაა, ასე იცოდა ჩემმა მირიანმაც. არაფერს შეგატყობინებდა, ისე ჩამოვიდოდა.

თ ო მ ა — დაილოცოს მისი ჩამოსვლა, ამ საღამოს ღვინო სად დამელია, არ ვიცოდი.

ჭ უ ჭ უ ლ ა — (მორბის) ჩამოსულაო!

თ ო მ ა — შევარდენი ჩამოფრინდა, ჭუჭულებო, ფრთხილად, ფრთხილად.

ჭ უ ჭ უ ლ ა — რანაირი ხართ, თომა ბიძია, რანაირი.

თ ო მ ა — რას მერჩი?

(ეზოში ჩარბის).

ყ ა რ ა მ ა ნ ი — რა დროს ლაპარაკია. წამოდი, თომა, წამოდი!

(გადიან. გამოდის მარინე).

მ ა რ ი ნ ე — (მორბის) ჩამოვიდა! მერე... (ნაცნობ ადგილზე შედგა) ჩამოვიდა... არა! არა! არა!

(უკანვე გაბრუნდება, სასწრაფოდ გადის).

ფ ა რ დ ა

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუბა

შორს ეფინება სხივი აისის

☆

რასაც შეხედავ,
მზის სხივებით გაბრწყინებულა;
აღმოსავლეთით
გულსა სწვდება მუსიკის ჟღერა.
ისმის თექვსმეტი რესპუბლიკის
მძლავრი სიმღერა!

საბჭოეთიდან
სიმღერის ქროლვამ
შესწყვიტა დედათ ცრემლების დენა,
დავრდომილები წამოდგნენ ფეხზე,
და ყრუ-მუნჯებმა აიდგეს ენა.

ვაი მას, ვინც ვერ აუღებს ალღოს
ჰანგებს მჩქეფარეს, სიცოცხლით
სავსეს,
ამ ჰანგზე ბრუნავს თვით დედამიწა,
საათმაც უნდა იბრუნოს ასე.

აი, კომპასის ისარიც ტოკავს,
იცის, რომ წყვდიადს ბოლო ეღება,
სადაც ბუდობდა ღამე უკუნი,
აისის სხივმა წითლად შეღება.

და გერმანული ისმის სიმღერა, —
ნეტარ დღეების განცდათა ჰანგი;
ვუთხრათ მადლობა
ღიად საბჭოეთს,
ვინც აგვიმღერა ხმატკბილი ჩანგი.

თარგმანი გერმანულიდან **შოთა ამირანაშვილისა**

ბერნჰარდ ზეგერი

მეგობროგის სახლში

☆

სახლია ფართო კარებით,
მაღალი, კოხტა, მზიანი,
კერა, რომელსაც შეჰხარის
მართალი ადამიანი.

აი, აქ — სამკითხველოა,
იქით — მუსიკის ხმებია,
აქ დარბაზები სუყველას
გულღიად ეგებებიან.

წინათ, როდესაც ეს სახლი
მხოლოდ ბარონებს ეკავათ,
მიმსვლელი ვესტიბიულში
ფეხს დგამდა გაუბედავად.

შესვლისას კარის სახელურს
ახლა მეც ფრთხილად ვეხები,
რადგან ბუხართან მიმსხდარნი
ლენინს სწავლობენ გლეხები.

თარგმანი გერმანულიდან **შოთა ამირანაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაბრაგ შინკუბა

ჩემი თანამემამულენი

★

თავი მეოთხე *

1.

მთელ დღეს შრომობდა ამზარა,
ყანებში ოფლსა ღვრიდა,
მაგრამ ჰა, მთვარემ ნამგალამ
გადმოიხედა ციდან;
სძინავს მუხლმოღლილ ამზარას,
ჩქამიც არ ისმის სოფლად,
მხოლოდღა ერთი ფანჯარა
ბნელში ანთია ობლად.
ჯერ არ ჩამქრალა ფანჯარა,
ბნელში ანთია მარტოდ,
სძინავს მუხლმოღლილ ამზარას,
ჩქამიც არ ისმის სოფლად,
მხოლოდღა ერთი ფანჯარა
ბნელში ანთია ობლად.
ჯერ არ ჩამქრალა ფანჯარა
ბნელში ანთია მარტოდ,
სძინავს მუხლმოღლილ ამზარას,
არ ეძინება პარტორგს.
მარცხივ წიგნები უწყვია,
მარჯვნივ უნთია ლამპა.
ჩაფიქრებულა პარტორგი,
გვალვაზე ფიქრობს ალბათ.
ჩაფიქრებულა პარტორგი,
წარბი შეუკრავს მკაცრად.
ის ფიქრობს თვისი ლაშქარი
გვალვაზე როგორ დასძრას,
როგორ უშველოს თანიაქოს,
როგორ უშველოს ჩაის...
მას გაეღიმა ძიკურზე:
„თუმც გამოცდილი არის,
აფსუს! დაჰკარგა კავშირი
სოფელთან, თავის ხალხთან!
საქმე მე შემომატოვა,
გულარხეინი გახდა.
გვალვა კი... ბარემ გათენდეს,
ბარემ შევუდგე საქმეს!“
ფეხზე წამოდგა პარტორგი,
ადგა, გახედა სარკმელს.
გახედა უკვე დაძენძილ
და შემკრთალ მწუხრის ზეწარს;
შორს წითლად შეფერადება
უკვე დაეწყო ზეცას.
დინჯად გატენა ჩიბუხი,
ოცნების ბილიკს გაჰყვა.
მას გაახსენდა ყანაში
გუშინ დამეის ნახვა.
საკინძეგადალეღილი,
ომგადახდილი ვაჟი,
ბავშვივით ატაცებული,
იდგა სიმინდის ზღვაში.
შემდეგ თამბაქოს გასცქერდნენ
ის და დამეი ერთად...
„ცეცხლია, გრიგალს გადურჩა
და დაგვიბრუნდა ბედად!“
და მერე თითქმის ხმამაღლა
თქვა: „გვასახელოს ბიჭმა!
საქმის სული და გულია,
საკუნს როდი ჰგავს — ჩიჩბას!“

2

ინათა. მთელი ამზარა
ფეხზე დადგება ახლა.
წყაროს ცივი წყლით გაიკრთო
უძილობა და დაღლა.
ყანებისაკენ მიჰყვება
სიმონ თოდუა შარას.
გზისპირას ევკალიპტები
ცად აღმართულან ჯარად,
ევკალიპტების ფოთლებში

* გაგრძელება. იხ. „ნათობი“ № 10.

ფრთოსნების ჯარი გალობს.
ყანებს გაჰყურებს პარტორგი,
ყანებისაკენ ჩქარობს,
მაგრამ საკუნის ეზოსთან
უცებ, ნაჯახის ხმაზე
შემკრთალი, გაოცებული,
ის შეჩერდება გზაზე...

— სალამი! — ამბობს საკუნი,
პირზე ღიმილი შვენის.
ხე მოჩეხილი მიაგდო,
ნაჯახს შეუშვა ხელი.
თვალი დაადგა პარტორგმა
ულვთოდ აჩეხილ წნორებს;
პირი დაეღო გარღვეულს,
ფართოდ განგრეულ ყორეს.
ის მიხვდა, ხოლო საკუნმა
თქვა: „ოფლი ვღვარე ბლომად,
მაგრამ არ ვნაღვლობ, არ ვნანობ
ღამის ტეხას და შრომას.
გვნახულობს რაიონიდან
ხელმძღვანელობა ხშირად....
დახვედრა უნდა თავკაცებს,
მიპატიჟება შინა,
ჩემს სახლს კი ავტომანქანა
ვერ უდგებოდა კარგად,
რადგან ეს ყორე, რომ ვანგრევ,
მთელს უბანს არტყავს ალყად,
ზედ აივანთან მომიყვანს
აწ მე შოფერი წვეულს...
ეგეც არ იყოს, მანქანა
დროა, ვიყიდო წლეულს.

წარბი შეჰყარა პარტორგმა,
იგი ჩაფიქრდა წუთით.
— ზედ აივანთან მიყვანა, —
უთხრა, — არ არის ცუდი,
მაგრამ გზა კარგა ხანია,
რაც შეკეთებას ელის...
შენსას რომ ცდილობ, საერთოს
რად არ მოჰკიდე ხელი?
— გზის შეკეთების შესახებ
სიტყვაც არ უთქვამთ ერთი...
— არც ახლის გაჭრა არ უთქვამთ,
მაგრამ მზადა ხარ, შენთვის
ხელები დაიკაპიწო,
გაძვრე საკუთარ ტყავში... —
საყვედური და აუგი
ქუხდა პარტორგის ხმაში,
და საკუნ ჩიჩბამ, შემცბარმა,
კვლავ ბარს მოჰკიდა ხელი:
— რა ვქნა, არ გიყვარს საკუნი,
ჩემზე აზრი გაქვს ძველი...
რას იზამ! წინ არ ვეჩრები,
მე ხომ დამეი არ ვარ! —
აქ კი აენთო პარტორგი,
დაჰბერა რისხვის ქარმა,
და უთხრა გაფითრებულმა
მრისხანედ: — რაებს ბედავ?!
აფსუს! იოტის ოდენად
დამეის ჰგავდე ნეტავ!
იგი შებრუნდა საჩქაროდ,
გასწია თავის გზაზე...
და დიდხანს გაშტერებული
იდგა საკუნი ასე.

3.

ცხვრის ფარასავით მისდევენ
ცას ბამბისფერი ღრუბლები.
გრგვინავს შრომადღე, თამბაქოს
ფურცელსა სტეხენ ველად.
კალათებს სცლიან ზედიზედ,
მიჭრიალებენ ურმები,
და ფარდულისკენ სახედრებს
გოდრები მიაქვთ ნელა.
იქ კი — ფარდულში — ქალებმა
თავისი საქმე იციან;
ნემსი და ძაფი უჭირავთ
ბრიგადის ქალებს ხელში.
თამბაქოს ფურცელს ლამბავენ,
მერე ჩარჩოში აბამენ
და ზეცის ცისფერ გუმბათქვეშ
გააქვთ ამზარის მზეში.

მზემ, ველ-მინდორმა, მდინარემ,
ყვავილებმა და ნიავმა
უნდა სურნელი უბოძონ
თამბაქოს გირლიანდებს.
გრგვინავს პარტორგის ბრიგადა:
— აბა, ჰე, მაღლა თოკები!
— თვალი გეჭიროთ, ფურცელი
რომ არ დაყვითლდეს ადრე!
ეჭვით სინჯავენ თამბაქოს

ულვაშიანი კაცები,
ტომრის გახსნაში შველიან,
შეისწორებენ ბაშლიყს;
ჯერ ფურცელ-ფურცელ სინჯავენ,
და თუმც ბრინჯაოს ფერია,
ჩიბუხებს მაინც სტენიან,
მაინც იღებენ ჭაშნიკს.
აჰა, საწყობის კარებთან,
მომდგარან ამზარელებიც.
იცინის საწყობის გამგე
სხვისთვის მკაცრი და დინჯი;
პირდაპირ ეპატიჟებათ:
— აბა, სასწორზე ტომრები!
სიმონ თოდუას მოყვანილს
არ სჭირდებაო სინჯი!

4.

— ნაშუალამევს კვლავ წერდი,
ამდგარხარ განთიადისას...
არ გარგებს ძილის დაკლება,
დაგძალავს, შვილო, არსან...
შენ დასვენება გჭირდება,
შენ კუაბჩარა გჭირდება —
ისეთი მზე და ჰაერი
არ მეგულება არსად!—

უძინარი და ფერმკრთალი
არსანი მამას შეჰყურებს.
ახედ-დახედა მზრუნველად
გვაკამ და შემდეგ ჰკითხა:
— შენი ცდები და შრომები
როგორღა მიდის, ჭაბუკო,
სთქვი, ძიკვა გაუხედნელი
თუ იბოგინებს დიდხანს?!
ძიკვა პატარა წყალია,
მაგრამ ჩქამია, მწყრალია,
ერთი პატარა შეცდომა
მთელ საქმეს ჩაშლის იმ წამს...
მიუგებს მამას არსანი:
— მეცნიერება ფარია,
და შეცდომისაგან ჩვენ მისი
დიდი სიზუსტე გვიცავს.

ძიკვა რას ჰქვია! დიადმა
ხალხმა და მეცნიერებამ
გახედნა შმაგი რიონი,
ვოლგას უცვალა სახე;
მოთოკა ბუმბერაზები
დონზე, დნეპრზე და ვოლგაზე,
შენც იცი, ბევრი ააგო
და კიდევ მრავალს აგებს.

5.

ზეცა ცვარში ჩახატულა,
ველად ცისკრის ღაღანია,
ზის არსანი, თავის ნახაზს
ჩაჰკირკიტებს რახანია.
განთიადი წითლად ღუის,
კორტოხებზე სიო დაჰქრის,
სადღაც ხევში ძიკვა შხუის,
ზის არსანი ხელში ფანქრით.
სარკმელს იქით ბღავის ძიკვა,
და გარს ურბენს ღრენით ლოდებს.
ბღავის ძიკვა, მაგრამ დიდხანს
უსარგებლოდ ვერ იშფოთებს.
ჩასცქერს პროექტს დამთავრებულს,
ნეტარებით გული ღელავს;
ჩასცქერს პროექტს დამთავრებულს
და სიზუსტე მისი სჯერა.
ტყვილა როდი აღჭურვილა
მოსკოვ-ქალაქს იგი ცოდნით!
იცის ძიკვას ხასიათი,
მისი გვრგვინვა, მისი შფოთი...
მას უნახავს მთის მდინარის
ფოცხვერივით კლდე-კლდე ხტომა,
მას უყვადრა ბალღობაში
საქანელა ხიდზე დგომა...
მას უყვარდა უთენია
ძიკვას პირად ჩამორბენა,
ნაპირ-ნაპირ თხილის კრეფა,
წეროების წამოფრენა...
შორს კვნესოდა სალამური,
ის იჭერდა ფაცრით კალმახს...
ო, მას შემდეგ ჩაიარა
ბევრმა დრომ და ბევრმა წყალმა.

6.

— ახლოს დამიჯექ, დამეი,
მკერდს ორდენები გიმშვენებს.
გხედავ სამშობლოს წინაშე
ვალმოხდილსა და გულადს.
შენ დასვენების უფლება
ალალად დაიმსახურე...
მსურს გესაუბრო, ჯიგიტო,
მეგობრულად და ძმურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი და ხიფათიანი,
მე ვიცი, იყო შენი გზა.
რაო, რას მორცხვობ, რას სდუმხარ?
მთხოვე, გაჩუქო ცხენი!
რომ დაისვენო კაცურად,
გაეთამაშო ქალწულებს,
რომ სოფელ-სოფელ მეგობრებს
ჩამოუარო ფრენით.
— მე დღეს საქმეზე გეწვიე, —
მიუგო ძიკურს დამეიმ, —
სცდები! ასეთი სიტყვები
რისთვის დაგჭირდა, ნეტავ!
არც სასეირნოდ დავბრუნდი,
არც საქეიფოდ დავბრუნდი,
შენ შენს წინაშე, გახსოვდეს,
მათხოვარს როდი ხედავ...
ბერლინისაკენ ვჩქარობდით
დიდი სტალინის მხედრები,
ჩვენ, როგორც ომში, შრომაშიც
არა გვჩვევია დაღლა;
მე ვხედავ, იწვის გვალვისგან
ფუჭდება ჩაის ფურცელი,
მე ვხედავ, ჩემი ძალ-ღონე
სოფელს სჭირდება ახლა.
— შენ მართალი ხარ... — ჩაფიქრდა
წუთით შემცბარი ძიკური;
ოფლს იწმენდს ჭრელი მანდილით, —
შენ მართალი ხარ, მაგრამ...
კანს ჩავაბარე ბრიგადა,
თავისუფალი ადგილი
მეტი აღარ მაქვს... ბრძანებას
ხომ ვეღარ შევცვლი, რა ვქნა!
ფეხზე წამოდგა დამეი,
ფიცხია, პირდაპირია;
სიმართლე უყვარს, ადგილის
და დროის განურჩევლად:
— თანამდებობას არ ვეძებ,
აროდეს არ მიძებნია!
შევთანხმდით: კანთან ჩამწერე,
მივდივარ რიგით წევრად.

7.

დამეიმ თავის ბრიგადირ
კანს შეუარა დილას:
— ჰეი, კან, შინ ხარ, თუ არა?
ნუთუ აქამდე გძინავს!
გაიჩხრიალა ურდულმა,
ნაგაზმა შექმნა ყეფა,
თავი გამოჰყო ბებერმა,
დამეის შეეგება:

— ჩუ, ჩუმად! — უთხრა საჩქაროდ,
ტუჩზე მიიდო თითი.
რა გაყვირებსო, ანიშნა,
და ტახტს გახედა რიდით.

გაშხვართულიყო ხის ტახტზე
ერთი ვეება ტანი,
იწვა, სძინავდა, ხვრინავდა,
ულვაშიანი კანი.

ხმაურზე შეკრთა ანაზდად,
ზე წამოიჭრა მყისვე:
„ფუჰ! შევრცხვი! — წყენით შესძახა, —
მზე დამდგომია ისევ!“

— ადექი, დროზე ადექი! —
უთხრა დამეიმ მკაცრად. —
რახანი არის ბრიგადამ
დაგასწრო მინდვრად გასვლა! —
ქუდსა და ქამარს აწოდებს
ბრიგადირს, ძილით დაღლილს,
აქ ქისა ვერსად იპოვნა,
გადააქოთა სახლი.

გზაზე გავიდნენ, დაადგნენ
ყანებისაკენ შარას.
კანმა, საქციელწამხდარმა,
ქვას ფეხი წაჰკრა ძალად.

და თქვა: — ღმერთები არა ვართ
მე და შენ, ჩემო ძმაო.
ცას ვერ ვუბრძანებთ გვალვაში:
„მალე გაწვიმდი, ცაო!“

— ეგ ვიცით! — მოსჭრა დამეიმ, —
კაცი არ გახლავს ღმერთი,
მაგრამ გამარგვლას რა გვიშლის?
ეს მიპასუხე ერთი,

თავს რომ ევლება ზოგ-ზოგი
საკარმიდამო ნაკვეთს,
იქნება ამის მიზეზიც
სწორედ გვალვაში ნახეთ!

ან იქნებ აღფრთოვანებდეს
ბრიგადას, ამდგარს დილით,
ტკბილი ძილი და სიზმრები
თავისი ბრიგადირის?! —

თავი მეხუთე

1

ომგადახდილი დამეი
მხარში შეუდგა მეგობრებს,
შეიქმნა კანის ბრიგადის
იმედი, შნო და ძალა.
ჯერ არსადაა ცისკარი,
ის კი სერისერ იჩქარის
იქ, სადაც ჩაის ბუჩქები
აშლილან მწვანე ჭალად.

კანს არ მოსწონდა დამეის
ცეცხლი და თავგამოდება;
იგი ჯერ ეჭვიანობდა,
შორით ზვერავდა ცერად;
ბრიგადირობა არ სურდა
დამეის — კანი დარწმუნდა,
და მიხვდა: ცით მოეკლინა
ძმად, მეგობრად და მხსნელად.

*
* *

ცა მტრედისფერად ანთია,
ველებზე განთიადია,
ჰყვავდება ზეცა, ხვავდება
ჩაის ფურცელი მწვანე...
ჰკრეფენ და ჰკრეფენ ქალები,
მაგრამ მზე წამოხურდება
და ჰა, კაცივით სწყურდება
პლანტაციებს და ყანებს.

ბგერ მუხუთე კვირაა,
თონეს ჰგავს მთელი ამზარა:
ფოთოლზე ცვარი გამშრალა,
სიოც არსაით იძვრის.
დაყვითლებულა სიმინდი, —
დაღონებული, წახრილი.
ჩეროში ჰყრია ნახირი.
ცა და ქვეყანა იწვის.

გზას მიჰყვებოდნენ სერისერ
და ასე დუმდნენ დიდხანს,
და თუმც წარბშეკრულ ბრიგადირს
არ დასცდენია სიტყვა.

ჰეი, შენ ცვარო, ციურო,
ჰე, წვიმავ, ველებს ეპკურე,
მთელი ამზარა შეგყურებს,
როგორც მხსნელსა და იმედს!
ფუჭდება ჩაის ფურცელი,
ფუჭდება გვალვით ყურძენი,
და ველი, მწვანილოვანი,
სუნთქავს ჩქარა და მძიმედ.

ველად გასულა ამზარა,
მთელ დღეს ყიჟინა გრიალებს,
და მერეც, როცა დაისით
ზეცა შვინდისფრად ელავს,
არ ცხრება ხალხის მარჯვენა,
ბოსავლის გადასარჩენად
ძიკვადან ყანებისაკენ
წყალს ეზიდება ყველა.

2.

ირიჟრაჟა, ცამ ინათა,
ვით კალმახის ელავს მკერდი.
დგას არსანი ტბის ნაპირას
და პარტორგი უდგას გვერდით.

— შეხე, — ამბობს ინჟინერი, —
აქ ავაგებთ მაღალ ჯებირს;
კლდეს გავბურღავთ და ტბის გაელით
წყალს მივუშვებთ ახალ გზებით.
და მშფოთვარე ძიკვას წყალი
ახლა ხევ-ხევ ლაღად თუ რბის,
მაშინ უფრო იმქუხარებს,
არ მოაწყენს, ალბათ, ტურბინს.

— გეტყვი, თუმცა ჰიდროსაქმის,
ჩემო ძმაო, მესმის ცოტა,
აქ ელექტროსადგურისთვის
ადგილია მართლაც კოხტა.

ვუხმოთ სოფელს, არა მჯერა,
ვინმემ უკან დაიხიოს...
მაშ პროექტი, მეგობარო,
ხვალ საღამოს განვიხილოთ.

*
* *

გაჭედილა სოფლის კლუბი,
შეკრებილა უკვე ყველა,
იხილავენ ჰესის პროექტს
და ინჟინრის გული ღელავს.

არ იშურებს თავკაცობა
თავის რჩევას, თავის სიტყვას,
სჯიან, ბჭობენ, კამათობენ,
და გრძელდება კრება დიდხანს.

ბოლავს ასი ყალიონი
და კამათი არა ცხრება,
ურჩევენ და უსწორებენ,
ულოცავენ გამარჯვებას.
წერს ასტანდა ოქმში სწრაფად,
პარტორგი კი ლაპარაკობს:
— ამ საქმეში მეზობლებიც
უნდა შევიამხანაგოთ.

დე სოფლები — მეზობლები
ამოგვიდგნენ მხარში ჩქარა
და მორჩილი გვეყოლება
ძიკვა მარად!

3.

ჩაფიქრებულა, ნიავისათვის
მიუშვერია მკერდი;
მქუხარე ძიკვას ატეხილ ჭალებს
გასცქერის ჩუმი სევდით.
რამ ჩააფიქრა? სად მიაფრენენ
არსანს ოცნების ფრთები?
დღეს უთენია მეზობლის ჭაბუკს
მან დაულოცა გზები...
დატოვა ვაჟმა მაღალი მთები
და მშობლიური მხარე.
მან მიაშურა უნივერსიტეტს,
დიდი მოსკოვის კარებს.
მან მიაშურა თავისუფლების,
დიდი მშვიდობის აკვანს...
ის გადაკოცნა არსანმა ძმურად,
იგი ბილიკებს გაჰყვა...
ჩაფიქრებულა, ნიავისათვის
მიუშვერია მკერდი,
მქუხარე ძიკვას, ატეხილ ჭალებს
გასცქერის ჩუმი სევდით.
ეს ტკბილი სევდა განშორებისა
თან სდევს მოსკოვის მხილველს...
იგი იგონებს დიდებულ ქალაქს,
როგორც სიყვარულს პირველს.

*
* *

მოსკოვო, მახსოვს ის გაზაფხული,
როცა არსანმა გნახა;
ირგვლივ აპრილი იდგა ზღაპრული,
ფიქრი ფრთას შლიდა ლაღად.
ჭრილობისა და ჰოსპიტლის შემდეგ,
იმ ბედნიერი დილით,
კრემლის წინ იდგა შენი მებრძოლი
და შენი ღვიძლი შვილი.
და მერე დიდხანს მისდევდა ქუჩებს,
ბედნიერებით მთვრალი.
წიგნის ფარდულებს, მოედნებს, ბაღებს
უალერსებდა თვალი...
ბოლოს მოიხსნა მხედრის ზურგჩანთა,
ნაცნობ ჭიშკართან შედგა,
და ინსტიტუტის საყვარელ სარკმლებს
ასე შესცქერდა ერთხანს.
ვერვინ აღწეროს ბედნიერება
და იმ გრძნობების ძალა!
ის მიჰყვებოდა ნაცნობ დერეფანს,
ნაცნობ კიბეს და ტალანს.
ის ბედნიერი იყო ასწილად
და ქვეყნის ტრფობით სავსე.
მხედრის მაზარა ეცვა ასპირანტს.
— „არსან!“ — შებრუნდა ხმაზე...
გადაეხვია მოხუც პროფესორს, —
თვალგაბრწყინებულს ცრემლით...
სარკმლიდან ჩანდა დედამოსკოვი,
ენთო, ბრწყინავდა კრემლი.

*
* *

ჯერ დედა ენა თუ იცის მარტო,
ანბანს თუ სწავლობს აფხაზი ბიჭი,
რომ სტუდენტობას მოსკოვში ნატრობს,
და უკვე კრემლზე ოცნებით იწვის.

მოსკოვო, დედავ, ეს შენ გვასწავლი,
დიდი სინათლის შენა ხარ ძირი!
შენთან სწავლობდა ჩემი არსანიც —
ჩემი პოემის ჭაბუკი გმირი.
მანდ აირჩია მასწავლებლები
და ცოდნის ტევრში მტკიცედ გასწია.

იგი შრომობდა და ძალზე მალე
დაამთავრებდა დისერტაციას,

მაგრამ უმუხთლა ძველმა ჭრილობამ,
დაუწყლულდა და გაეხსნა ბოლოს...
მას შემდეგ აგერ, მთელი წელია,
იგი მშობლიურ სოფელში ცხოვრობს.

4.

სჯერა თითების შავ და თეთრ კლავიშს,
ნახევარმთვარე ჰკიდია ცაში...
ეღერს პოლონეზი, ბრწყინავს
ვარსკვლავი...
წუთიც და უცებ — იცვლება ვალსით.
გაღებულია ბაღში ფანჯარა,
უახლოვდება დამეი სარკმელს:

— მოაჯადოვე მთელი ამზარა,
მუსიკოსი ხარ! — ღიმილით ეუბნა.
— სცდები! — მიუგებს არსანი
ძმობილს,
წარბს შეჰყრის ვითომც უკმაყოფილოდ.
მათ გაიცინეს ხმამაღლა უცებ
და გაუწოდეს ერთურთს მარჯვენა...
— ვარ მოხარული შენი სტუმრობის!
დაჯექ! — არსანმა სკამზე აჩვენა.

— დაჯექ, ძმობილო, გაგანდო ფიქრი,
ისევდაისევ ოცნებით იქ ვარ...
უნდა ამზარის საკეთილდღეოდ
დაატრიალოს ბორბლები ძიკვამ,
და მერე თვისი ღონით და ძალით
მიართვას ყანებს თვისივე წყალი...

თავი მეექვსე

1.

ღამეა. განათებულა
სოფლად სარკმელი ყველა.
მზის, ხვატის შემდეგ, სიგრილე
გამეფებულა ველად.
„ცა, ღრუბლით შემოჯარული,
მონატრებია ჭალებს,
მეც მიჯობს წვიმის თქარუნი
ვარსკვლავებსა და მთვარეს!“ —
ფიქრობდა ასე დამეი,
ძიკურის ბაღ[illegible]ნ მდგარი,
ფრთხილად შეაღო ვაჟკაცმა
მეგობრის სახლის კარი.
მოცლა ვისა აქვს, მკითხველო,
ნეტავ ჩვენს დროში მდურვის!
მისი ძიკურთან სტუმრობა
ნუ გააოცებს ნურვის!
[illegible]ამამდე, როცა მზიური
წლები მიჰქროდნენ ლხინში,
ყოველდღიური სტუმარი
იყო დამეი მისი.
და ახლაც თანატოლები
ისევე, როგორც ძველად,
იქნებ ასწევენ სასმისებს,
კვლავ მიახლიან ცერად,
იქნებ უამბობს ძმობილი
ძმობილს ჯირითის ამბავს,
იქნება მიუსხდებიან
ისევ ჭადრაკის დაფას...
მაგრამ იქნება სულ სხვაა
და ვმარჩიელობ მიზეზს!
იქნებ არცაა მიზეზი, —
ძმობილს ესტუმრა ისე...
აჰა, ასტანდას სარკმელი,
ჰა, აივანიც მისი...
იქნებ თვალგაშტერებული
ზის იზაბელას ჩრდილში?
ო, იცის, იცის ასტანდამ,
ვით ნაპირისკენ ზვირთი,
დამეი მისკენ იჩქარის,
დამეი მისკენ ილტვის.

*

* *

ვახშმობა წამოეპარათ
ბინდისას დამსხდართ მხოლოდ;
ტკბილ საუბარში კამათიც
შემოეპარათ ბოლოს.
ჩიბუხსა ფერთხავს ძიკური,
წარბშეჭმუხვნილი არი:
— დამეი, ნუ ხარ, თუ ძმა ხარ,
პიონერივით ჩქარი!
არსანი ინჟინერია,
ვიცი, არ არის ბავშვი,
მაგრამ ეგ თქვენი იდეა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შეგფრენიათ თავში, —
დასწყევლოს! ზღაპარს მაგონებს...
რამ დაგაგიყათ ნეტა!
ელსადგურსა და წყალსაქაჩ
ტუმბოს მთავაზობთ ერთად.
ვთქვათ, ელსადგური — საქმეა
და ავაშენებთ, ალბათ,
მაგრამ ეგ ტუმბო მაგონებს
ოცნებასა და ზღაპარს.
— ყური დამიგდე, ვფიცავარ...
ძიკურ, დამიგდე ყური..
ჩვენთან იქნება სოფელი
მთელი სულით და გულით...
ეგ მართალია, ძიკვასკენ
ყანებს აღმართი ჩასდევს,
მაგრამ არსანი არ ცდება,
იგი პირობას გვაძლევს,
რომ არ გახდება ზეგანზე
ძიკვას აყვანა ძნელი;
მოირწყვებიან ყანები,
გვალვას ეცვლება ფერი... —
შემდეგ გაჩუმდა: „ასტანდა!“ —
ფეხის ხმას მოჰკრა ყური.
„ნუთუ ვერ ვნახავ?“ და უცებ
ამოუბრუნდა გული.

ხოლო ძიკურმა ჩიბუხი
ისევ დატენა მაგრად;
ღმერთს მადლობაო, წყენით თქვა,
გეგმას ვასრულებთ კარგად.
ერთიც ვნახოთ და ვერ შევძლოთ!
სათუო საქმე არ მსურს...
მაშინ თქვენ განზე დადგებით,
მე მომკითხავენ პასუხს.
რაკი გსურთ, დაე განსაჯონ —
ხვალ რაიკომში მივალ...
— კეთილი, მაგრამ რას იტყვი,
რას უპასუხებ მდივანს,
თუ ჩვენს მხარეზე აღმოჩნდა,
თუ მოგვიწონა აზრი? —
აქ შემოვიდა ასტანდა,
შეწყდა კამათი მკაცრი;
სიტყვა გაუწყდა დამეის,
შეკრთა, გაუშრა ყელი...
— მობრძანდით, გეყოთ ბაასი,
უკვე ვახშამი გელით!

3.

ის თბილისში ცხოვრობს ახლა,
ძნელაძეა მისი გვარი,
მივწერ წერილს, წაიკითხავს
ჩემი ძველი მეგობარი.
პასუხს ის არ დააყოვნებს,
ბარათს ის არ დამზარდება;
თმაჭაღარა მეცნიერი
უმალ წერად დაბრძანდება....
ჩვენ მოსკოვში დავმეგობრდით,
ჩვენ მოსკოვში გავეცანით;
კრემლი იყო ჩვენი მზე და
ჩვენი დედა საფიცარი.
შევხაროდი, როგორც ბავშვი,
კრემლის ვარსკვლავს ბედნიერი;
მე სტუდენტი ვიყავ მაშინ,
ის — ჭაბუკი მეცნიერი.
ფრთა გაშალა უფრო მაღლა,
ძნელაძეა მისი გვარი,
პროფესორი გახლავს ახლა
ჩემი ძველი მეგობარი.
აი, მისი ბარათები...
ესეც მისი შრომებია...
ის დღეს დიდი მეცნიერი
და ტექნიკის კორიფეა.
ვფიცავ, ახლა დრო რომ მომცა,
ჩავყვებოდი ზღვისკენ ბილიკს
და ხვალ დილით მატარებლით
ვეწვეოდი უკვე თბილისს.
ჩავივლიდი ვაკის მხარეს,
სადაც ბევრჯერ ჩამივლია,
ვიპოვნიდი ნაცნობ ქუჩას
და სახლს, ცისფერ აივნიანს.
ასტეხავდა ზარი წკრიალს,
შევიცდიდი კართან წუთით,
შემხვდებოდა პროფესორი,
საყვარელი ნაბდის ქუდით.
კარს ღიმილით გამიღებდა,
სიხარულით დამხვდებოდა,
ის ყველაფერს გამიგებდა,
ის ყველაფერს ჩახვდებოდა;
გავუშლიდი უმალ პროექტს,
დავსხდებოდით სასაუბროდ:
შველას, რჩევას, დახმარებას
მოვკითხავდი ძმას და უფროსს...
საღამოს კი, როცა უკვე

ცა ვარსკვლავთა ხომლით ჰყვავის,
იქნებ „რუსთველს“ ვეწვეოდით,
მოვისმენდით იქნებ „დაისს“...
შევხვდებოდით შუალამეს
მეგობართა წრეშიც იქნებ...
გაჰყოლოდა ინჟინერი
თბილისისკენ თავის ფიქრებს.
შორს დაჰქროდა მისი ფიქრი,
თბილის-ქალაქ თავს დაჰფენდა...
მერე იჯდა და მეგობარს
ლამპის შუქზე ბარათს სწერდა.

*
* *

მზე მიეფარა მაღალ მწვერვალებს,
ლურჯად ვრცელდება ბინდი,
ცაზე ვარსკვლავთა გუნდი ელვარებს,
ირგვლივ ღამეა მშვიდი.
ქალწულმა მორწყა ბაღში ვარდები,
კოკა უდგია გვერდით,
ჩაფიქრებულა, გარინდებულა,
ზეცას გაჰყურებს სევდით....
არ ელოდება ასტანდა ტოლებს,
სევდით გაჰყურებს მთვარეს,
ხელთ არ უპყრია თვისი ჩონგური,
არ აწკრიალებს ლარებს....
უნდა გიამბოთ მისი ნაღველი,
ალბათ მიხვდება ყველა,
კარგა ხანია არ შეხვედრია
ის დამეის და ღელავს.
მაგრამ ჰა, ტოტმა შეაშრიალა
ბაღში, ყვავილნარს იქით,
და მთვარის შუქზე უნაზეს მზერით
დამეის შეხვდა იგი.
— ასტანდა, — მკლავზე მოჰკიდა ხელი,
ვაჟკაცს უხურდა მკერდი,
— ჩაფიქრებულხარ... უთუოდ მე ვარ
მიზეზი შენი სევდის...
იქნებ უხეშად მოვექეცი შენს ძმას?
პირში ვუთხარი ჯიქურ...
— არა, ძვირფასო, შენ მართალი ხარ,
იცი, ვამტკუნებ ძიკურს;
მაგრამ, ნუ მიწყენ, თქვენი მდურვისგან
გული მტკივა და ვღელავ...
და მთვარის შუქზე ისევდაისევ
შეხვდა ქალ-ვაჟის მზერა...
დრო, დრო მიფრინავს! ვარსკვლავთა
გუნდიც
მიჰქრის ამზარას თავზე,
და მიჯნურთათვის ერთი წამია
საღამო, ნექტრით სავსე.
ჰა, ორი ჩრდილი შეერთდა ბაღში
და შეშრიალდნენ ხენი...
შეყვარებულნო, ბედნიერება
მისურვებია თქვენი!

2.

რაიკომიდან უხმობდნენ ძიკურს,
არვინ იცოდა — რატომ.
როგორც წესია, მან საქმეები
გადააბარა პარტორგს.
შეკაზმა თვისი ქურანი ცხენი,
გრძელი გზა ედო მხედარს.
ფიქრობდა გზაში: „რისთვის მიხმობენ,
ასე საჩქაროდ ნეტავ?
არსანისა და დამეის საქმე
მდივანს მივწერე გუშინ;
იქნება უკვე გაეცნენ სიგნალს...“
ასე ფიქრობდა გულში.
ცხელი ჰაერი ბრუნავდა ველად,
და გრილ ძეწნათა ჩრდილში
გზას მიჰყვებოდა მხედარი ნელა
ჩუმი ეჭვით და შიშით...
იქ კი, სოფელში, ჩაისა ჰკრეფდნენ
და ჩურჩულებდნენ ფრთხილად...
რომ თავმჯდომარეს ალოობისაკ
არვინ იბარებს ტყვილა.

თავი მეშვიდე

1

თუმც იღვიძებდა ამზარა,
ჯერ მზე არ ჩანდა ცაში;
დაიგრიალა მანქანამ,
შეჩერდა სოფლის თავში.
გაიღო კარი პრიალა
და წვრილფეხობის თვალწინ
გარეთ ძლივს გამოეტია
მაღალმაღალი კაცი.
შვენოდა შუბლი მაღალი,
მზერა არწივის დარი.

ყანებისაკენ მიმავალ
ასტანდას მოჰკრა თვალი.
— ჩანს, სოფლად ადრე დგებიან...
— დიახ, — მიუგო ქალმა, —
ფიცხელი ალო კარს გვადგას,
უნდა ვაჯობოთ გვალვას...
— ვერ მიმასწავლი, გოგონი,
ხიმბტა არსანის ოდას?
— რად არა! — უთხრა ასტანდამ
და წინ წაუძღვა კოხტად.
გადუსრიალეს მერცხლებმა
ქალწულს და სტუმარს თავზე...
— ბოდიში, — უთხრა ასტანდამ, —
რომ გეკითხებით ასე,
მაგრამ კარგი რამ მენიშნა...
ვინა ბრძანდებით, ძია?
სტუმარმა თვალი მოავლო
მთა-ბარს მწვანეს და მზიანს,
და თქვა: — ძვირფასო მეგზურო,
მე ძნელაძე ვარ გვარად,
ჩემთვის არსანის ოჯახის
კარი ღიაა მარად.

*
* *

კაკლის ხის ჩრდილში დამსხდარან
სამნი, და როდი დუმან...
პროფესორს მოსწონს ამზარა,
როგორც შეფერის სტუმარს.
— კარგია თქვენი სოფელი, —
უღიმის სტუმარს სახე.
— მიხარის, — ამბობს არსანი, —
რომ ამზარაში გნახე.
— რასა იქს ძველი ჭრილობა
და ჯანმრთელობა შენი?
— გმადლობთ, ვაჯობე... სიმშვიდე,
ტყე და ჰაერი მშველის...
— მიხარის, ძმაო, მიხარის,
სენს და ჭრილობას სძლიე...
შაბათს მივიღე წერილი
და გამახარა ძლიერ.
აქ შვებულებამ მიწია,
გიპასუხებდი რაღად!
ვთქვი ჩემი ჩასვლა აჯობებს
ჩემგან მიწერილ ქაღალდს.
კარგია აქაურობა... —
იგი გაჩუმდა წუთით.
და თქვა: — გახედეთ იმ მწვერვალს,
ნისლის რომ ჰხურავს ქუდი,
რა ჰქვია? მგონი ლომკაცი?
— არა, მიუგო გვაკამ, —
ერცახუ ჰქვია მაგ მწვერვალს
და ტურფაცაა, მაგრამ
მაგის ყურება არ გვარგებს,
წახდენა იცის იშტის...
რახანი არის, გვანიშნეს,
უკვე სადილი გვიცდის.
ფეხზე წამოდგა მოხუცი,
არსანიც ადგა უმალ
და აივანზე, სუფრისკენ,
წარუძღვნენ ძვირფას სტუმარს.

საღამოჟამს კი, როდესაც
დაისი წითლად ბრწყინავს,
არსანთან ერთად ძნელაძე
შეჩერდა ძიკვას პირას.
იდგა ძნელაძე წყლისპირას,
ცაში დაჰქროდა ფიქრით,
მაგრამ ბუნების მშვენებით
როდი სტკბებოდა იგი.
საკუთარ თვალით იხილა
გრიალი ძიკვას ზვირთის,
ხოლო იმავე საღამოს
ხმები დაირხა სოფლად,
არ დარჩა შეუნიშნავი
სტუმრის ძიკვაზე ყოფნა —
და ვახშმად ცოლ-შვილს უამბო
უკვე ყოველმა გლეხმა,
რომ მოიწონა დოქტორმა
ტუმბოს აგების გეგმა.

2.

დილით წყალსაქაჩ ტუმბოს ნაწილებს
ეზიდებოდნენ უკვე.
ზეიმი ჰქონდათ სოფლად ყმაწვილებს,
ახმიანებდნენ შუკებს.
მძიმედ დატვირთულ ავტომანქანებს
მისდევდა ხალხის ტაში.
— ვაშა! — ჰყვიროდნენ გზაზე
ბავშვები,
ქუდებს ისროდნენ ცაში.
გრგვინავდა ძიკვა, ბდღვინავდა ძიკვა
ნაღარითა და დაფით.

არ სცილდებოდა განთიადიდან
არსანი ძიკვას ნაპირს.
ირგვლივ გრიალი იდგა წერაქვის
და წკრიალებდა ბარი;
იქ ტრიალებდა ჩვენი დამეიც
კოლმეურნეთა ჯარით...
უცებ გაისმა ხალხის ყიჟინა,
წუთით შებრუნდა ყველა,
წყლისპირს მივარდა უცხო მხედარი,
ცხენი მოთოკა ხელად,
„თავმჯდომარეო! — შესძახა რიხით,
შემახვედრეთო ჩქარა!“
მზისგან გარუჯულს ახედეს ჯიგიტს,
გარს შემოერტყნენ ჯარად.
შვენოდა ჭაბუკს ხაკის ხალათი,
ბეჭი — ბრტყელი და ფართო.
იცნეს და უმალ, ძიკურის ნაცვლად,
ის წარუდგინეს პარტორგს.
და მზიურელთა წარმოგზავნილი
მართლაც მალემსრბოლს ჰგავდა;
მან მოახსენა ამზარის პარტორგს,
როგორც მებრძოლმა სარდალს:
— ვართ მეგობრები, ვართ მეზობლები
და, ვით მეზობელს შვენის,
უკვე დავძარით მოსაშველებლად
ორი ბრიგადა ჩვენი.
გადაეფინა ღიმილი პარტორგს
და ფრთა აშალა ცამდე:
— მადლობა! ვალში არც ჩვენ
დავრჩებით,
თუკი დაგჭირდით, გწამდეს.
მყის შეაბრუნა ჭაბუკმა ცხენი,
თაფლა ასკუპა ჩქარი,
და მოწონების შეძახილების
თან გაიყოლა ქარი.
მხოლოდ საკუნმა მოჭუტა თვალი,
ხელად დასწამა ცილი:
— გაიძვერები! გვეტმასნებიან,
უნდათ დაიდონ წილი...

3.

მოშუადღევდა, მომაღლდა
მზე და დააცხრა კორდებს.
მარჯვნივ მზე,
მარცხნივ — ჩრდილია,
მხედარი შარას მოსდევს.
ვერცხლისფრად ელავს მიმინო
ცაში ძიკურის თავზე,
სატელეგრაფო ბოძები
ჩამწკრივებულან გზაზე.
ჩამწკრივებულან ბოძები,
აზუზუნებენ მავთულს;
ზედ ჩამომჯდარა ქედანი,
ტკბილი ღუღუნით გართულს
შიში არა აქვს მანქანის,
არც მხედრისა და ცხენის.
აუჩქარებლად მოჰყვება
შარას ძიკური ჩვენი.
ცას შესდგომიან ქედები,
ჭალა გაშლილა დაბლა,
არცა მათრახით აჩქარებს,
არც დეზით თავის თაფლას;
რაიკომიდან ბრუნდება
მშობელ სოფელში იგი.
გარს ფუტკარივით ეხვევა
ასი ათასი ფიქრი.
ჩაფიქრებულა ძიკური,
დაცურავს ფიქრის ზღვაში.
მეგობრებსა და მეზობლებს
როგორ შეხედოს თვალში!
გადაუხვია შარაგზას,
სოფლისკენ ბილიკს მიჰყვა;
სერზე გადმოდგა ამზარა,
წინ გადეშალა ძიკვა.
— ვაშა! — იხუვლა ხალხის ზღვამ;
ვაშა, მოდისო წყალი!
ქუდებს ზეცაში შესროლილს,
ძიკურმა მოჰკრა თვალი.
გვაკამ გაიძრო ორლულა,
ზეცას სალუტი სტყორცნა.
— ვაშა! — გრგვინავდა ხალხის ზღვა,
იყო ხვევნა და კოცნა...
ჯოხს დაყრდნობოდა ძნელაძე,
გაბრწყინებოდა თვალი,
და ყიჟინებდა სოფელი —
ბედნიერებით მთვრალი.

4.

დღე მიიწურა, იისფერ მთებში
უკვე დაისი ბრწყინავს;
მაინც არ ცხრება შრომის ყიჟინა,
მაინც სიმღერა გრგვინავს.

არა სცილდება სოფელი ძიკვას
და ახალმორწყულ ყანებს;
ჩხრიალებს წყალი, დაყვითლებული
სიმინდი ახელს თვალებს.
ჩხრიალებს წყალი, შრიალებს ქარი,
დამარცხებულა გვალვა.
— შეხედე, — უცებ მიმართა ძიკურს
ჩაფიქრებულმა კანმა, —
შეხედე სიმინდს, შეხედე ნარინჯს,
შეხედე ჩაის ბუჩქებს...
თითქოს იზარდეს დაზაფრულებმა,
თითქოს გაცოცხლდნენ უცებ...
რა შესძლებია ხალხის მარჯვენას,
რას არ მიაღწევს კაცი!
ჰე, თავმჯდომარევ, უნდა იმარჯვო
და წინ გაგვიძღვე აწი!
მაგრამ ძიკურმა წარბი შეჰყარა
და კანს მიუგო ასე:
— სხვა გიწინამძღვრებთ ამიერიდან,
სხვა წაგიძღვებათ გზაზე...
სიტყვა გაუწყდა ვაჟკაცს ბოლმისგან,
იგი შებრუნდა ჩქარა
და შინისაკენ მძიმე ნაბიჯით
ბინდში დაადგა შარას...
— აქეთ მოუშვი! აქეთკენ წყალი! —
ისმის ძახილი ველად.
ლურჯდება ბინდი, მწვერვალებს იქით
მთვარე ამოდის ნელა...
იქნება უკვირს ამზარის მთვარეს
და არ უჯერის თვალებს,
როდესაც ხედავს დატოტვილ ჩქერებს
და გაცოცხლებულ ყანებს.
შრიალებს ქარი, ჩხრიალებს წყალი
და სველ სიმინდებს არხევს.
მიცურავს მთვარე და არხის წყალში
ჩასცქერის თავის სახეს.
ჰა, ევკალიპტის ძირში დაეცა
მოლზე ქალ-ვაჟის ჩრდილი.
მიცურავს მთვარე და ბედნიერი
ხისქვეშ ჩურჩულებს წყვილი:
— დამეი, როცა ომი გრგვინავდა,
ვაჟკაცს გსახავდი გმირად:
მე აქა ვმდგარვარ, — ჩვენს
სიყვარულზე
მიოცნებია ხშირად...
ველოდებოდი შენს დაბრუნებას
ჩუმი ეჭვით და შიშით.
მე ვოცნებობდი სახლის აგებას
თუთის ხეების ჩრდილში...
და ჰა, ასრულდა, ასრულდა უკვე,
რაც კი ოდესმე მსურდა...
— ასტანდავ, კარგო, ბედნიერება
ჩვენთან იქნება მუდამ.
ჩვენია ზეცა, ჩვენია მიწა,
დედა სამშობლო ვრცელი;
ჩვენია სახლი, ცადაღმართული
მშობელი ხალხის ხელით;
ჩვენთვის ხმიანებს, ჩვენთვის
წკრიალებს
და ჩვენს სალხენად ჩქარობს
ჩაუქრობელი, დაუშრობელი
ბედნიერების წყარო.

თარგმანი **მურმან ლებანიძისა**

(დაიბეჭდა შემოკლებით)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. მაკ-ჰენრი და ფრედერიკ ნ. მაიერსი

კავშირის დაბადება

ნაწყვეტები რომანიდან „მეზღვაური სამშობლოში“

★

1932 წლის დეკემბერს პატარა სავაჭრო გემი — „ფილდინგი“ სან-ფრანცისკოს ნავსადგურში შევიდა. გემმა აღმოსავლეთიდან ჩამოიტანა ჩვეულებრივი ტვირთი — ფეხსაცმელები, მანქანების ნაწილები, ფოლადის კოჭები, ავტომანქანების ფერსოები, შუშეულობა და ამერიკისთვის საჭირო მრავალი სხვა საქონელი.

ბილი ფერელი, რომელიც გემბანზე მოსართავებს ალაგებდა, ერთი წუთით შეჩერდა და მის წინ გადაშლილ სურათს გადახედა. ამ ყურეში ლურჯი ტალღები ჩამავალი მზის სხივებში ოქროსფრად ლივლივებდნენ, თოლიები კი გემბანებზე გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ.

ბილიმ თვალი გააყოლა იმ ოქროს კარს, რომელიც სულ ახლახან გამოიარა „ფილდინგმა“, გადახედა სან-ფრანცისკოს მშვენიერ გორაკებს, პატარა კუნძულებს, ძვირფასი თვლებივით რომ ბრწყინავდნენ ყურეში, და მძიმედ ამოოხრა.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ სან-ფრანცისკოს ტყუილად არ უწოდებდნენ მეზღვაურების „სამოთხეს“. ეს იყო საუცხოო „ქალაქი“, სტუმართმოყვარე თვით იმ მეზღვაურებისათვისაც კი, რომლებსაც თხელი ქისა ჰქონდათ, აქ ბევრი რამ იყო სანახავი და ჭამაც კარგად შეიძლებოდა, ხალხიც გულთბილი და მხიარული იყო.

მაგრამ ეს კარგი დროება წარსულს ჩაბარდა.

ბილი უკანასკნელად ექვსი თვის წინათ გაზაფხულზე მოხვდა სან-ფრანცისკოში და მაშინ ნახა, რომ ეს ოქროს დასავლეთის შუაგული ისევე პირქუშად და დაცემულად გამოიყურებოდა, როგორც ამერიკის ყველა სხვა ქალაქი.

ქუჩებში უმუშევრები ისხდნენ. ოკლენდსა და სან-ფრანცისკოს საბრეთ ნაწილში ფაბრიკა-ქარხნები დაეხურათ. სხვადასხვა სპეციალობის მუშებმა დოკებს მიაშურეს, რომ გემების დატვირთვის დროს ორიოდე გროში მაინც ეშოვნათ.

„ფილდინგმა“ ღუზა ჩაუშვა და დადგა. ბილიმ დაინახა, თუ როგორ ამოვიდა გემბანზე საზღვაო სააგენტოს მოხელე, რომელიც ისე გამოიცქირებოდა, თითქოს ბრიტანეთის ელჩი ყოფილიყოს. ის აქ მეზღვაურებისათვის ხელფასის დასარიგებლად მოვიდა. ბილი ჩადგა გრძელ რიგში, რომელიც კაპიტნის კაიუტამდე აღწევდა.

როცა მისი ჯერი მოვიდა, ბილიმ შეამჩნია, რომ კაპიტანმა მოხელეს რაღაც წასჩურჩულა. „ფილდინგის“ კაპიტანი სასტიკი კაცი იყო, სძულდა ადამიანები და განსაკუთრებით კი მეზღვაურები. ზღვაში ყოფნის დროს ბილიმ კაპიტნის მრისხანება დაიმსახურა და მან იცოდა, რომ ეს უბრალოდ არ ჩაუვლიდა.

ბილი წინ წამოდგა და თავისი გვარი უთხრა: „ფარელი“. მოხელემ ჯერ ხელფასის უწყისში ჩაიხედა, მერე კაპიტანს შეხედა.

— ვახტის გაცდენისათვის ორი დღის ხელფასი დაუკავეთ! — ბუზღუნით უთხრა კაპიტანმა.

მოხელემ მეზღვაურს ახედ-დახედა, თითქოს ეჭვობდა, ღირდა თუ არა საერთოდ მისთვის ხელფასის მიცემა?

ბილის აღშფოთებისაგან სისხლი ყელში მოაწვა, მაგრამ ის მაინც ჩუმად იდგა და რომისაგან შეწითლებულ კაპიტნის სახეს შესცქეროდა. ხელები ექავებოდა, მაგრამ ამ არამზადისათვის რომ გაერტყა, ეს თვითმკვლელობაზე უარესი იქნებოდა. საკმარისი იყო ამ მოხელის თანდასწრებით ეთქვა ის, რასაც ფიქრობდა, რომ ბილი აღარც ერთ გემზე აღარ მიეღოთ.

ბილი უძრავად იდგა, სანამ მოხელე უთვლიდა მას ცხრამეტ დოლარსა და თხუთმეტ ცენტს, იმ ოცდაცამეტის ნაცვლად, რომელიც ერგებოდა. ბილის ვახტი სულაც არ გაუცდენია. ერთხელ, ღამით, კაპიტანი საჭესთან ისეთი გალეშილი მთვრალი მივიდა, რომ გემი ნაპირთან კინაღამ მეჩეჩზე დასვა. ბილი აღელდა და თქვა, მისი საქმე გემის მართვა კი არ არის, არამედ ქაღალდის ნავებით თამაშიო. ბილიმ ფული მიიღო და უწყისზე ხელი მოაწერა.

კაპიტანმა თქვა:

— შემდეგ რეისში ჩვენ უშენოდ გავემგზავრებით!

ბილი ამჯერადაც გაჩუმდა. დოლარების თხელი შეკვრა ჯიბეში ჩაიდო და საერთო კაიუტისაკენ გაეშურა, რომ თავისი ბარგი-ბარხანა შეეკრა.

კაიუტაში თავისი ძველი ამხანაგი, ნორვეგიელი პეტერსონი ნახა. ის საწოლს ასწორებდა. პეტერსონი წყნარი ადამიანი იყო, მაგრამ ერთხელ, ღამით, როცა ბილი და ის ვახტზე იდგნენ, პეტერსონი რაღაც ბოღმამ აალაპარაკა. ბილი განცვიფრებით უსმენდა მის მგზნებარე სიტყვას. მის აზრებში ისმოდა ის აღშფოთება, რომელიც ძველ მეღვაურს ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში გულში ბლომად უგროვდებოდა. ის გმობდა იმ აღმაშფოთებელ წესებს, რომელთა მიხედვითაც საქმიანი და გამოცდილი მეზღვაურები ბრიგადებს ღებულობდნენ და საერთო აყრილებულ კაიუტაში ერთიმეორეზე დაყრილებს ეძინათ, მაშინ, როდესაც კაპიტნის ბოგირზე უპასუხისმგებლო იდიოტები დგანან. პეტერსონი გატაცებით ლაპარაკობდა სოციალისტური წყობილების დამყარების აუცილებლობასა და გარდუვალობაზე.

ფარელს, რომელიც არასოდეს არ იყო ნამყოფი სკანდინავიის ნავსადგურებში, გაგონილი ჰქონდა, რომ ჩრდილოეთის იმ პატარა ქვეყნებში ხალხი კარგად ცხოვრობსო.

მან პეტერსონს ჰკითხა:

—რა მდგომარეობაა შენს სამშობლოში? ამბობენ, თითქოს იქ სოციალიზმის მსგავსი რამ არსებობსო.

პეტერსონმა ბრაზისაგან ამოიხვნეშა ვარსკვლავებს ახედა, თითქოს მათთვის უნდოდა ეთქვა, გესმით თუ არა, ეს ახალგაზრდა რა სისულელეს ამბობსო.

— სოციალიზმი! არა, ყმაწვილო, იქ ისეთივე წყეული იმპერიალიზმია გამეფებული, როგორსაც ყველგან ვხედავთ! ნორვეგიის, დანიისა და შვედეთის სიმდიდრენი იმავე ბოროტმოქმედთა ხელშია. თოთხმეტი წლის ბიჭები ზღვაზე მიდიან, აი, როგორც მე, იმიტომ, რომ მათთვის სამშობლოში ყველა გზა დახშულია. რას ამბობ, რის სოციალიზმი! მხოლოდ ბუტაფორიაა, მეტი არაფერი!

ბილის უყვარდა პოლიტიკაზე საუბრის მოსმენა. ორი წლის წინათ სიეტლში ყოფნის დროს შეხვდა „მემარცხენეთა“ ორგანიზაციის წევრებს, რომელთა შორის კომუნისტებიც იყვნენ. ბილი ფიქრობდა, რომ ისინი ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ რუსეთზე და ძალიან ცოტას იმაზე, თუ რა ხდებოდა ამერიკაში. როდესაც ბილიმ ეს ერთ მათგანს შენიშნა, მან უპასუხა:

— რუსეთში უკვე დამყარდა სოციალიზმი. რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა მთელ მსოფლიოში, რომელიც ასე შორს წავიდა. ჩვენი ვალია, თვალყური ვადევნოთ იმას, რაც იქ ხდება!

*
* *

გადმოვიდა თუ არა ბილი ნაპირზე, მაშინვე სახელმწიფო შრომის ბირჟისაკენ — „ფინკ-ჰოლისაკენ" გაეშურა. ნავსადგური სასაფლაოსავით დადუმებული იყო.

შრომის ბირჟის დიდ დარბაზში ასობით ტანსაცმელჩამოხეული და აშკარად მშიერი მეზღვაური ირეოდა. ისეთი ბედნიერები, რომლებიც შრომის ბირჟის საშუალებით უცებ ღებულობდნენ გემზე სამუშაოს, ცოტანი იყვნენ. ბერტონი, რომელიც აქ სამუშაოს ანაწილებდა, როგორც წესი, სამუშაოზე იმათ გზავნიდა, ვინც სააღრიცხვო ბარათს ათდოლარიან ქაღალდს დაამატებდა.

ბილი რიგში ჩადგა. ის სულაც არ აპირებდა ათი დოლარის მიცემას იმ ცხრამეტი დოლარიდან, რომელიც მან ერთი თვის განმავლობაში ზღვაზე ცურვაში მიიღო. ათდოლარიანებითაც რომ ჰქონოდა გატენილი ჯიბეები, ქრთამით ნაშოვნ ადგილზე მაინც არ წავიდოდა.

სან-ფრანცისკოს უკვე საღამოს ნისლი საბანივით გადაჰფარვოდა, როდესაც ბილი ფარელი წყნარი ოკეანის რკინიგზის გამანაწილებელ სადგურისაკენ გაეშურა, რომ სამხრეთისაკენ მიმავალ რომელიმე მატარებელში ჩამჯდარიყო. სადგურზე ბლომად იყო საბარგო ვაგონების მასავით უბილეთო მგზავრი. ისინი ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და თითქმის ხმას არ იღებდნენ. აქ იყვნენ სხვადასხვა გარეგნობის, წლოვანებისა და ეროვნების ადამიანები, რომლებიც უცდიდნენ დაღამებას, რათა ზღვის ნაპირზე მიმავალ მატარებელთა საბარგო ვაგონებში და ბაქნებზე შეუმჩნევლად შემძვრალიყვნენ.

შებინდდა თუ არა, ბილი ცარიელ ვაგონში შეძვრა და ორთქლმავლის მიბმას დაელოდა. სულ მალე ღია ვაგონის კედელზე ისეთივე მგზავრი ამოცოცდა და ბილის წინ მოიკალათა. მან პაპიროსის შეხვევა დაიწყო.

— ასანთი ხომ არა გაქვთ, ამხანაგო? — შეეკითხა ის ბილის. ბილი ბიჭისაკენ დაიხარა, რომ მისი პაპიროსისათვის ცეცხლი მოეკიდებინა. სინათლემ ერთი წამით გაანათა ბიჭის ნორჩი პირისახე და ტანის მოყვანილობა. მას ბამბაზიის შარვალი და სამუშაო ხალათი ეცვა.

— კანზასელი ხარ?—შეეკითხა ბილი.

— არა, — უპასუხა ბიჭმა, — ნებრასკელი ვარ. მოსავლის აღებაზე ვმუშაობდი. ახლა კი მთელ შტატში არავითარი სამუშაო არ არის და, ყოველ შემთხვევაში, გაზაფხულამდეც არ იქნება. ფერმა წაგვართვეს მხოლოდ იმიტომ, რომ გადასახადის პროცენტები ვერ შევიტანეთ. ჩემმა დამ მოხუცი მშობლები თავისთან წაიყვანა, მე კი სამხრეთში მივდივარ, სამუშაო რომ ვიშოვო, სანამ დიდი სიცივე არ დამდგარა. თქვენ საით?

— სან-პედროში.

ორთქლმავალმა დასძრა ვაგონებისა და ბაქნების გრძელი შემადგენლობა. ვაგონები საშინელი რახარუხით დაქანდა. გარედან ხმაური მოისმა და ბილიმ ბიჭს ურჩია, ვაგონის სიღრმეში შესულიყო.

— პაპიროსი ჩააქრე, შვილო. შეიძლება პოლიციელები არიან!

მაგრამ ისინი არავის შეუწუხებია. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი ყურეს ნაპირით სამხრეთისაკენ გაემართა.

ბილის ჩაეძინა, ბიჭი კი მის პირდაპირ ჩაცუცქდა და ნიკაპით მუხლებს დაეყრდნო.

ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი მო-

ულოდნელად შეჩერდა, — ლიანდაკის განთავისუფლებას ელოდა. ვაგონების დაჯახებისაგან ბილი გვერდზე გადაგორდა და გამოეღვიძა. ბორბლების სრიალში ბიჭის ტირილი მოესმა.

— აბა, აბა, გაჩუმდი, პატარავ, — გასძახა ბილიმ, — ხომ იცი, რომ ტირილი ვერ გიშველის?

ბიჭმა ხალათის სახელოებით ცხვირი მოიწმინდა და ცდილობდა თავი შეეკავებინა.

— მისტერ, თქვენ ალბათ დიდი ხანია მთელს ქვეყანაზე ასე დადიხართ, ჩემთვის კი ეს პირველი შემთხვევაა. მესამე დღეა, რაც პირში ლუკმა არ ჩამიდვია. მაწანწალა არ მინდა გავხდე. სახლი მენატრება. თქვენი აზრით, მე უნდა ვიცინოდე?

— რასაკვირველია, ჩემო კარგო, — მიუგო ბილიმ, — თუ შეგიძლია, იცინე, სხვანაირად ასეთ ცხოვრებას ვერ აიტან. დაიხსომე ჩემი სიტყვა, შეიძლება შენ პირველად შიმშილობ, მაგრამ, როგორც ვხედავ, უკანასკნელი არ იქნება. ასე რომ, ეცადე, რაც შეიძლება, მალე შეეჩვიო ამას.

მიუხედავად ასეთი დარიგებისა, ბავშვის ცრემლებმა ბილიზე მაინც იმოქმედა.

— როგორც კი სან-ხოზეში მივალთ, — უთხრა ბილიმ, — უჩემოდ ფეხი არ გადადგა. საჭმელსაც გიშოვნი, მაგრამ, სანამ ზამთარი დადგებოდეს, ჯერ კიდევ ბევრი რამის სწავლა მოგიხდება.

*
* *

ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ბილიმ სან-პედროს მიაღწია. შრომის ბირჟაში მივიდა, რომ აღრიცხვაზე აეყვანათ. ამასთან ერთად, უნდოდა გაეგო, ნავსადგურში ვინმე ნაცნობი ხომ არ იყო. მართლაც, ბირჟაზე რამდენიმე ნაცნობ მეზღვაურს შეხვდა. ერთი მათგანი ჰერბი მასტერსი იყო. მასთან ერთად ბევრი უცურავია ზღვაზე.

ბილის მასტერსის დანახვა ძალიან გაეხარდა. მას ახსოვდა, როგორ ჰკიცხავდა მასტერსი მეზღვაურებს იმისათვის, რომ გემების პატრონებს არ ებრძოდნენ. მასტერსი ცდილობდა, თავისი მეზღვაური ამხანაგები პროფესიონალურ კავშირში ჩაება, სწორედ ამის გამო დაითხოვეს გემიდან. იგი გამოცდილი მეზღვაური და სანდო ამხანაგი იყო. არაფრის არ ეშინოდა, უმაღლესი მოხელეებისაც კი. მას ისინიც კი სცემდნენ პატივს, ვინც კავშირში არ შედიოდა.

ბილიმ მასტერსს ხელი ჩამოართვა და ღიმილით ჰკითხა:

— აბა, როგორა ხართ, წითლებო? ისევ თქვენ ბატონობთ ამ ნავსადგურში?

ბილი ფარელი ამ კავშირის წევრი არ იყო, მაგრამ ამ კავშირის მცირეოდენი წევრები, რომლებსაც ის იცნობდა, ბილის ღრმა პატივისცემას იმსახურებდნენ. ბილის გაგონილი ჰქონდა, რომ ამ კავშირის ლიდერები და წევრთა უმრავლესობა კომუნისტები იყვნენ. სან-პედრო მათ მთავარ შტაბად ითვლებოდა.

ჯერ კიდევ შარშან ბილი ფიქრობდა, რომ ეს „წითელი“ კავშირი წარმოადგენდა „მემარცხენე“ მეზღვაურთა უმნიშვნელო ჯგუფს, რომელსაც არ შესწევს ძალა, ებრძოლოს სახომალდო კამპანიებს და რომელიც მეტისმეტად არის დაინტერესებული იმით, თუ რა ხდება ამერიკის გარეთ, ნაცვლად იმისა, რომ იზრუნონ ამერიკელ მეზღვაურთა ხელფასის გაზრდასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

მასტერსმა უთხრა ბილის, რომ ის მთელ ზაფხულს ბალტიმორაში დაყიალობდა იმ იმედით, რომ რომელიმე გემზე მოეწყობოდა.

— ღმერთო, რა მშიერი ქალაქია?! — თქვა მან სახის ღმეჭით. — სასაკლაოდან ნარჩენებიც კი აღარ გამოაქვთ, თავისით ქრება.

— მიჩვენე ისეთი ქალაქი, სადაც ხალხი არ შიმშილობდეს, — გამოეპასუხა ბილი, — მე თვითონ ვეძებ ასეთ ადგილს.

მასტერსმა ბილის უცნაურად გადახედა.

— ნუთუ მართლა ისეთი სულელი ხარ და გჯერა, რომ ბოლოსდაბოლოს ნახავ ასეთ ქალაქს? — უთხრა მან ბუზღუნით. რატომ არ იბრძვი ისეთი წესების დამყარებისათვის, როდესაც ჩვენ მაძღრები ვიქნებით?

ბილიმ მხრები აიჩეჩა. ისეთი დაღლილი იყო, რომ კამათის თავი არა ჰქონდა.

— წამოდი, — უთხრა მასტერსმა, — ღამესაც გაგათევინებ და გაჭმევ კიდეც, ვიდრე ჯიბეში ჯერ კიდევ ცოტა რამე მომეპოვება.

*
* *

ბილიმ ნოემბერი და დეკემბერი სან-პედროში გაატარა. ყველაფერი ძველებურად გაყინულ წერტილზე იყო. შრომის ბირჟიდან სამუშაოზე გაგზავნა ისე იშვიათად ხდებოდა, რომ უმუშევართა არმია ნავსადგურში ოდნავადაც არ მცირდებოდა.

ბილი არ შიმშილობდა: უმუშევარი მეზღვაურისათვის სან-პედროში უფრო ადვილი იყო საჭმლის შოვნა, ვიდრე სან-ფრანცისკოში. თითქმის ყოველთვის შეიძლებოდა იმედი ჰქონოდა, რომ რეისიდან დაბრუნებული რომელიმე ამხანაგი, ასე ვთქვათ, გადასარჩენ წრეს" გადმოგიგდებდა.

ბილი არასოდეს არ თაკილობდა დახმარების მიღებას მეზღვაურებისაგან, რომლებიც გემებიდან ნაპირზე სავსე ქისით გადმოდიოდნენ. ეს მეზღვაურთა ადათი იყო.

ხანდახან, როდესაც თბილი საღამოები იდგა, ბილი მეგობრებთან ერთად ლონგ-ბიჩში მიდიოდა, რომ ქუჩის ორატორებისთვის მოესმინა.

ბილი უფროდაუფრო მეტ ყურადღებას აქცევდა კომუნისტების გამოსვლას. ისინი სახავდნენ კრიზისისაგან თავის დაღწევის გზებს.

— აიძულეთ მთავრობა, გახსნან ყველა ქარხანა და მუშებს სამუშაო მისცენ, — ამბობდნენ კომუნისტი ორატორები, — აიძულეთ, გააღონ საწყობები და მისცენ უმუშევრებს საჭმელი და ტანისამოსი. გამოდით დემონსტრაციებზე და მოითხოვეთ უმუშევართა დაზღვევა, საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაცია. აჯანყდით სიღატაკის წინააღმდეგ!

„სრული სიმართლეა", — ფიქრობდა ბილი და სხვებთან ერთად ისიც უკრავდა ტაშს.

უკანასკნელ თვეებში ბილი სან-პედროში უფროდაუფრო მეტ კომუნისტ მეზღვაურებს ხვდებოდა. თვალყურს ადევნებდა მათ მუშაობას და მათდამი მეტი სიმპათიით იმსჭვალებოდა. მათ არ იცოდნენ დაღლა. ოპტიმიზმი და სულიერი ენერგია ასხვავებდა მათ ყველა იმათგან, ვისაც იცნობდა.

ბილის ჩვეულებად გადაექცა, ყოველ საღამოს შეეარა მეზღვაურთა პროფკავშირის შენობაში, სადაც კრებები ეწყობოდა. მის გონებაში თანდათან ჩამოყალიბდა „წითლების" მოღვაწეობის სრული სურათი.

დეკემბრის ბოლოს ბილიმ სანაპიროდან წასვლა დააპირა. კავშირში შეიარა და ბერნსმა მიუთითა, თუ ვისთვის უნდა მიემართა პოუსტანში და ახალ ორლეანში, თუკი მას დახმარება დასჭირდებოდა. ბილიმ მადლობა გადაუხადა და მასტერსს მიუბრუნდა, რომ გამოსთხოვებოდა. უცებ ბილი გაწითლდა და ბრაზიანად უთხრა:

— თქვენ, ბიჭებო, რატომ არ მაძლევთ წინადადებას, რომ თქვენს კავშირში შემოვიდე?

ჩარლ ბერნსმა გადახედა მასტერსს და ჩაიცინა.

— ჩვენ ვიცოდით, რომ ისეთი ადა-

მიანი, როგორიც შენ ხარ, ყველაფერში თვითონვე გაერკვეოდა და მოვიდოდა ჩვენთან. გადავწყვიტეთ მოგვეცადა.

მასტერსმა მაგიდის უჯრიდან კავშირის წიგნაკი ამოიღო, ბილი ფარელის სახელზე შეავსო და ღიმილით გაუწოდა.

* * *

განუწყვეტელი უკმაყოფილების საგანი — „რიტას“ მეზღვაურთა შორის ზედმეტი საათების აუნაზღაურებელი თანხა იყო.

ბილი ფარელს საერთო კაიუტაში თვით იმ მეზღვაურთაგანაც კი, რომლებსაც „რიტაზე“ სამი-ოთხი რეისი გაუკეთებიათ, არაერთხელ მოუსმენია, რომ კომპანია, რომელსაც სამხრეთ ამერიკის ხაზზე მიმავალი გემები ეკუთვნის, მეზღვაურებს დღე-ღამეში თორმეტ-ცამეტ საათს ამუშავებს, გასამრჯელოდ კი იმავე 50 დოლარს აძლევს.

მეზღვაურები გაფიცვაზე ალაპარაკდნენ. საზარელი ოთახი, სადაც ისინი იძინებდნენ, და ცუდი კვება მათ უკმაყოფილებას აძლიერებდა. გარდა ამისა, მთელ რაზმს ეჯავრებოდა კაპიტნის უფროსი თანაშემწე, რუსი თეთრგვარდიელი ემიგრანტი, რუსეთის საიმპერატორო ფლოტის ყოფილი ოფიცერი.

პირველ რეისში გასვლისთანავე დაინახა ბილიმ, თუ რა ადამიანი იყო ის. ბილი მივიდა მასთან, როგორც უმცროსი ბოცმანი, ღამის სამუშაოების შესახებ განკარგულებების მისაღებად. კაპიტნის თანაშემწემ, ჭაღარა და თავმომწონე კაცმა, ისეთი დავალება მისცა, რომლის შესრულებაც მათ პატარა ცვლას არასგზით არ შეეძლო, და ბილიმ პროტესტი განაცხადა.

ოფიცერმა ბილის მკაცრად ახედ-დახედა.

— შეიძლება დავიჯერო, რომ თქვენ ზოგიერთი სხვა მეზღვაურივით ამ არევ-დარევას არ გამოიწვევთ! — უთხრა მან ცივად.

ბილი სიბრაზისაგან გაწითლდა.

— ეს ჩემზე კი არ არის დამოკიდებული, თქვენს განრიგზეა! ჩვენი ცვლა მის შესრულებას ვერ შეძლებს!

თანაშემწეს სახე მოეღუშა.

— ხომ გაიგეთ ჩემი განკარგულება, — გაუმეორა მან ბილის, — წადით, და შეასრულეთ!

ეს ბილიმ გემბანზე მყოფ კანადელ ფრანგს ჯო-ბერიერს უამბო. ჯო-ბერიერს, რომელიც მეზღვაურთა პროფკავშირის წევრი იყო და „რიტაზე“ ორი რეისი ჰქონდა გაკეთებული, ჩაეცინა.

— მაგ ძაღლიშვილს, თავისი თავი ისევ მეფის საზღვაო ფლოტის ოფიცერი ჰგონია, — თქვა მან, — ეს არაფერია, ვნახავთ, როგორ გაუსწორდება მას ჩვენი რაზმი ამ რეისის დამთავრებამდე!

* * *

ვალპარაისომდე „რიტა“ უკანასკნელად გაჩერდა ანტოფაგასტაში, საიდანაც ყველა გემს ამერიკაში სპილენძი მიჰქონდა. საერთოდ გემები ამ ტვირთს ვალ-პარორიდან დაბრუნების დროს იღებენ უკან, მაგრამ კაპიტანმა ბრძანა, გემი ახლა დაეტვირთათ, რომ დროის ეკონომია გაეწია.

გვიან საღამოთი „რიტამ“ ღუზა ჩაუშვა. მას სპილენძის ფურცლებით დატვირთული კარჭაპი მოადგა. შიმშილისგან ღონემიხდილი ჩილელი მტვირთავები ტრიუმში ჩავიდნენ და აწყობდნენ სპილენძის ფურცლებს, რომლებსაც ამწეებით ყრიდნენ.

ჩილელი მტვირთავები მთელი ღამე მუშაობდნენ. ბილი ფარელი ღამის ცვლის მეზღვაურებთან ერთად გადმოტვირთვას თვალყურს ადევნებდა.

— ეს საცოდავები დღეში მხოლოდ ერთ პეზოს იღებენ, — წაიჩურჩულა

ჯო-ბერიერსმა, — მათი სიცოცხლე კი ყოველ წუთს ბეწვზე ჰკიდია!

ღამის სამი საათი იყო. გემზე დიდი ხანია სუფევდა სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ დატვირთვისაგან გამოწვეული ხმაური არღვევდა. უცებ მეზღვაურებს გაბმული კვნესა მოესმათ, რასაც გემზე მიბმული კარჭაპიდან საშინელი ყვირილი მოჰყვა.

ბილი და ბერიერსი დატვირთვის ადგილას მიიჭრნენ. ამწე ჯერ კიდევ ტრიუმში იყო ჩაშვებული და ჩასასვლელს კეტავდა. მეზღვაურები გადაახტნენ მის ნაპირს და ძირს ჩაეშვნენ.

ტრიუმში ერთი მტვირთავთაგანი სპილენძის ფურცლებზე ეგდო. როცა ტრიუმში ამ სპილენძის ფურცლებს ჰყრიდნენ, გემი გადაქანდა, ეს უბედური მტვირთავი სპილენძის ორ გროვას შუა მოჰყვა და წვეტიანმა ბოლომ ორივე ფეხი მოსწყვიტა.

გემბანზე კაპიტნის უფროსი თანაშემწე მოვიდა და ძირს ჩასძახა:

— რა მოხდა მანდ?

ბილიმ უბედური შემთხვევის ამბავი მოახსენა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. უფროსი თანაშემწე ჩაფიქრდა და მერე გულგრილად დაიძახა:

— რას იზამ. ზევით ამოიტანეთ და კარჭაპზე გადაიტანეთ.

ჯომ და ბილიმ ბრეზენტის ნაჭერი მონახეს, მიცვალებული შეახვიეს, მოწყვეტილი ფეხები გვერდით დაუწყვეს და გემბანზე ამოვიდნენ.

ფარელმა მიცვალებული გემბანზე კაპიტნის-უფროსი თანაშემწის წინ დაასვენა.

— თქვენ ამაზე პასუხი უნდა აგოთ, — უთხრა ფარელმა და თან მიცვალებულზე მიუთითა, — ხალხს ამუშავებთ და მათი უშიშროებისათვის არავითარ ზომებს არ იღებთ!

— ხმა ჩაიკმიდე, — მიაძახა კაპიტნის უფროსმა თანაშემწემ ცივად და გაშმაგებით, — მე შენ სულ მალე ბორკილებში გაგასეირნებ! თვითონ ფრთხილად არა ყოფილა, მოუფრთხილებელ ადამიანებს თავიანთი სისულელის გამო ასე ემართებათ.

ღამის ცვლის მეზღვაურები გემბანზე იდგნენ და მთელ ამ საუბარს ისმენდნენ.

კაპიტნის უფროსი თანაშემწე გაბრაზებული შეტრიალდა და თავისი კაიუტისაკენ წავიდა. მეზღვაურები ბილის შემოეხვივნენ.

— ყოჩაღ, ბილი! — უთხრა ერთმა მათგანმა, — მართლაც რომ კარგად შეახურე შენ ეგ ბატონი!

შემდეგ ცხედარს მიუბრუნდნენ. გულჩათხრობილებმა ცხედარი კარჭაპზე გადაასვენეს. კარჭაპის მტვირთავებმაც ასევე ნაღვლიანად მიიღეს.

დილით ბილი მეზღვაურთა საერთო კაიუტაში აღელვებული ჩავიდა. მან მეზღვაურებს უამბო ამ უბედური შემთხვევის შესახებ. ყველა მზად იყო, ბილისთვის მხარი დაეჭირა. მათ ეჯავრებოდათ ეს ხეპრე ადამიანი, რომელიც არხეინად გზავნიდა საიქიოს თავის ხელქვეითებს.

როცა გემი ვალპარაისოს ნავსადგურში შევიდა, რაზმის მღელვარებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მეზღვაურთა კაიუტაში და სასადილოში მხოლოდ ბრაზმორეული და ხმამაღალი შეძახილები ისმოდა.

დილით ბილი და ჯო ხმელეთზე გადავიდნენ. ორი საათის შემდეგ „რიტა“ ზღვაში უნდა გასულიყო. როცა ბილი და ჯო ქალაქიდან დაბრუნდნენ და ჯებირს მიუახლოვდნენ, საყვირების ხმა გაისმა.

ბილიმ კი გემზე უცნაური სურათი დაინახა. როგორც წესი, გემის ზღვაში გასვლის წინ მთელი რაზმი გემბანის ცხვირზე და კიჩოზე უნდა მდგარიყო. ჯებირიდან რომ თოკები აეშვათ. ამ დროისათვის ყველა ტრიუმი დახურული უნდა ყოფილიყო.

დღეს მეზღვაურები თოკებთან კი არ

იდგნენ, არამედ მოღუშულნი და დაძაბულნი აქა-იქ დაჯგუფებულიყვნენ. ყველა ტრიუმი ღია იყო. კაპიტნის უფროსი თანაშემწე ბოცმანს უყვიროდა. ბოცმანი კი შეშინებული იდგა, მაგრამ მეზღვაურებს არაფერს ეუბნებოდა.

მეზღვაურთა შორის გემბანზე დიუგანიც იყო. როცა მან ფარელი დაინახა, ხმამაღლა გადაიხარხარა და დაიძახა:

— ესეც ხომ ასრულდა, ბილი, ჩვენმა ბიჭებმა გაფიცვა გამოაცხადეს!

ამ სიტყვების გაგონებაზე კაპიტნის უფროსი თანაშემწე შეტრიალდა და ბილი დაინახა. მან ხელების ქნევით დაიყვირა:

— აჰა, აი ის ბოლშევიკი, რომელმაც აქაურობა აამტუტა. დამაცადე, მივიდეთ ნიუ-იორკში, ამ ბუნტისათვის ციხეში ჩაგსვამ! შენ ბორკილები არ აგცდება!

ბილიმ მის ლაპარაკს ყურადღება არ მიაქცია, ის მივიდა მეზღვაურებთან, რომლებსაც გემის კიჩოზე მოეყარათ თავი.

გემბანზე კაპიტანი გამოვიდა. რეისის დროს რაზმი კაპიტანს იშვიათად ხვდებოდა. ის გემის მართვას მთლიანად თავის უფროს თანაშემწეს ანდობდა.

კაპიტნის სახე, რომელიც ჩვეულებრივ ყოყოჩობისა და ქედმაღლობის გამომხატველი იყო, ახლა საშინელებასა და დაბნეულობას დაეფარა. გემზე გაფიცვა უცნაურ ამბავს წარმოადგენდა.

გემის რაზმმა კაპიტანთან მოსალაპარაკებლად აირჩია ბერსიერი, ფარელი და კიდევ ერთი მეზღვაური — ტომი სომსი. ისინი მოითხოვდნენ, რომ კაპიტნის უფროს თანაშემწეს მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიეღო. კაპიტანს ჩამოუთვალეს მეზღვაურთა ყველა საჩივარი. მიუთითეს უფროსი თანაშემწის არაწესიერ საქციელზე. უფროსი თანაშემწე შორიახლო იდგა და მოლაპარაკებას უსმენდა.

კაპიტანი დიდხანს დუმდა და ნიკაპზე ხელს ისვამდა, ბოლოს მან მეზღვაურებს უთხრა, რომ ჯერ თოკები ახსნით ჯებირიდან და შემდეგ თქვენთან ერთად საჩივრებს გავარჩევ.

— თუ თქვენ ახლავე შეუდგებით საქმეს, მაშინ სათითაოდ მოვისმენ თქვენს საჩივრებს და შეეცდები, ნიუ-იორკში შესვლამდე დაგაკმაყოფილოთო. დელეგატებმა ეს რაზმს გადასცეს და მეზღვაურებმა თავიანთი თანხმობა შეძახილებით გამოხატეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც კაპიტანი იქამდე მივიდა, რომ არათუ მოისმინა მეზღვაურთა საჩივრები, არამედ შეჰპირდა კიდევაც, რომ რაღაცას გააკეთებდა. დაიმედებული მეზღვაურები ერთგულად შეუდგნენ მუშაობას.

*
* *

ნიუ-იორკის ნავსადგურში მოწყენილობა იყო გამეფებული. ყველგან უმუშევარ მეზღვაურთა ჯგუფებს წააწყდებოდით. ზოგნი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ცხარედ კამათობდნენ, ზოგნი კი იმედდაკარგულებივით დადუმებულიყვნენ. უმუშევრები დღეში ორჯერ „მეზღვაურთა სახლს“ აწყდებოდნენ (იგი მეზღვაურთა შორის „ძაღლის სახლის“ სახელით იყო ცნობილი), უფასო საუზმისა და სადილისათვის ანდა ღარიბებისათვის განკუთვნილ სასადილოებთან სუფისათვის რიგში დგებოდნენ.

იგი მეზღვაურთა პროფკავშირის კლუბში წავიდა. მან მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ ბილი კავშირის განუშორებელ ნაწილს წარმოადგენდა. ოლ ფერისს, იტალიელ კომუნისტ მეზღვაურს, რომელიც პირველად სან-პედროში გაიცნო, ბილის ნახვა ძალიან გაეხარდა. ერთმანეთის ხელი დიდხანს ეჭირათ. ოლი ეკითხებოდა სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობაზე.

როცა ბილი მოუყვა იქ მომხდარი აჯანყების შესახებ და უთხრა, რომ ყველა მუშა დაითხოვეს და „შავ სიაში“ შეიტანეს, ოლმა წამოიძახა: — მერე, დანარჩენები სად არიან? რატომ ისინიც

არ მოიყვანე ჩვენთან? როგორ გგონია, რისთვის არსებობს ჩვენი კავშირი? ისეთ ხალხს შეხვდი, რომლებმაც ვაჟკაცობა გამოიჩინეს და შრომის უკეთესი პირობები მოითხოვეს, შენ კი ისინი ისე გაფანტე, როგორც ქარში ფოთლები. ჩვენ ხომ სწორედ ასეთი ხალხი გვჭირდება, რომ ბოლოსდაბოლოს აამოქმედონ მეზღვაურები და რამე წარმატებას მივაღწიოთ!

ოლმა ფარელს მხარზე ხელი დაადო.

— მაგრამ არაუშავს-რა. მომავლისთვის გეცოდინება. წავიდეთ, სადმე პური ვჭამოთ. ერთ საქმეზე უნდა მოგელაპარაკო.

სადილობის დროს ოლი მოულოდნელად შეეკითხა ბილის:

— რატომ არ შემოდიხარ ჩვენს პარტიაში?

ბილი რამდენიმე წუთს ჩუმად იჯდა და რეზინასავით მაგარ ხორცს ღეჭავდა. ბილის აზრიანი პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ მიხვდა, რომ არაფრის თქმა არ შეეძლო.

იყო დრო, როდესაც ბილის არ მოსწონდა ამერიკელი კომუნისტების, ასე ვთქვათ, გადამეტებული ინტერესი იმისადმი, რაც ამერიკის გარეშე ხდებოდა. ბილის ეგონა, რომ მათი საქმე არ იყო სხვის საქმეში ჩარევა, ახლა ის სულ სხვას ფიქრობდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურა და ნახა, თუ როგორ გმინავდნენ მსოფლიოს ხალხები ამერიკის პოლიტიკის გამო, ახლა კარგად ესმოდა, რომ იმ ხალხთა მძიმე მდგომარეობა ამერიკის მუშათა ინტერესებსაც საფრთხეს უქმნიდა.

მეორე მიზეზი, ბილის რომ აშფოთებდა პარტიაში შესვლაზე ფიქრის დროს, პარტიის მკაცრი დისციპლინა იყო. ის მაშინ ებრაუჭებოდა თავის თავისუფლებას, რომელსაც მასტერსი „ღობის ძირში სიკვდილის თავისუფლებას“ უწოდებდა. ახლა კარგად შეიგნო, რომ დისციპლინა სწორი და აუცილებელი იყო. ისიც მზად იყო დამორჩილებოდა პარტიის დისციპლინას.

— აბა, ერთი მითხარი, რა გაქვს საწინააღმდეგო? — ჰკითხა ოლმა.

— ახლა სწორედ იმას ვფიქრობდი, რომ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. როგორ უნდა მოვიქცე, რომ კომუნისტური პარტიის წევრი გავხდე?

ოლმა თეფში გვერდზე გადადო და კმაყოფილებით გაიცინა.

— ყოჩაღ, ბილი, ასეც ვიცოდი, რომ შენ ჩვენთან მოხვიდოდი. ჯერ კიდევ სან-პედროში მყავდი მხედველობაში!

*

* *

მეზღვაურთა ერთ-ერთმა დემონსტრაციამ, რომელიც მეზღვაურთა პროფესიონალურმა კავშირმა ამ გაზაფხულზე „ძაღლის სახლის“ წინ ლორენ-სკვერზე მოაწყო და რომელშიც ბილიმ მონაწილეობა მიიღო, მას საშუალება მისცა ნიუ-იორკის ციხეს გასცნობოდა და საკუთარი თვალით ენახა პოლიციის მხეცური მოქმედება.

„დამცირების რიგში“ მდგარი მეზღვაურები (ასე უწოდებდნენ „ძაღლის სახლის“ წინ სადილისათვის გამართულ რიგს) ძალიან აღელვებული იყვნენ. მათ იცოდნენ, რომ „ქრისტიანული საზოგადოება“, რომელიც იქაურობას განაგებდა, დიდ თანხებს აგროვებდა, თითქოს-და გაჭირვებული მეზღვაურების დასახმარებლად, მაგრამ სინამდვილეში მოგროვილი თანხის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იხარჯებოდა მეზღვაურებზე.

და აი სწორედ ამიტომაც მეზღვაურთა პროფკავშირმა ლორენ-სკვერზე „ძაღლის სახლის“ წინ დემონსტრაცია გამართა ულუფის სიმცირისა და პროდუქციის დაბალი ხარისხის წინააღმდეგ. ხუთი კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელშიც ბილი და ოთხი სხვა მეზღვაური შედიოდნენ, სასადილოს ადმინისტრაციისაგან სამოწყალო ულუ-

ფის გადიდება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება უნდა მოეთხოვა.

დელეგაცია ძველი, გამოცდილი კავშირის მომუშავის — შორტ რობერტსის მეთაურობით დირექტორის კაბინეტისაკენ გაემართა.

როგორც ჩანს, დირექტორს წინასწარ აცნობეს, რომ ასეთი დელეგაცია ესტუმრებოდა.

როდესაც დელეგატები კიბეზე ადიოდნენ, დირექტორი აივანზე იდგა და ზიზღით დასცქეროდა მათ.

რობერტსს მის გადმოხედვაზე წარბიც არ შეუხრია. ამხანაგებს მიუბრუნდა და უთხრა:

— მომყევით, ბიჭებო, — ხუთივემ დირექტორს გვერდით ჩაუარა და მის კაბინეტში შევიდა.

შელტონს სიბრაზისაგან სახე აუწითლდა, უკან მიჰყვა და კაბინეტში შესვლისთანავე კარი მიიხურა.

— რა ამბავია, რაშია საქმე? — შეეკითხა იგი მკაცრად.

რობერტსი და დანარჩენი დელეგატები დირექტორის წინაშე ჩამწკრივდნენ.

— ჩვენ მოვედით, მოვითხოვოთ, რომ დღეში სამჯერ გვკვებონ, თანაც ისეთი რამე გვაჭამონ, რისი ჭამაც შეიძლება და არა ის ნაყარ-ნუყარი, რომელსაც ახლა გვაჭმევენ! — მიმართა რობერტსმა.

დირექტორი აღშფოთდა.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს ამ საღილების საფასურს თქვენ იხდიდეთ, — წარმოთქვა მან ზიზღით, — ნება მიბოძეთ, მოგაგონოთ, რომ ჩვენი საზოგადოების დიდსულოვნობის, ხელგაშლილობისა და ენერგიული დახმარების გარეშე შიმშილით დაიხოცებოდით. თქვენი აზრით, სად უნდა ვიშოვოთ იმდენი თანხა, რომ ხუთი ათას კაცს დღეში სამჯერ ვაჭამოთ?

რობერტსმა ირონიულად ჩაიცინა და დირექტორს თვალებში შეაჩერდა.

— ფულის უქონლობით ჩვენი თვალების ახვევას ნუ ეცდებით, — განაცხადა მან. — ძალიან კარგად ვიცით, რა თანხებს ვღებულობთ, და ისიც ცნობილია ჩვენთვის, რომ ბევრად მეტს ღებულობთ, ვიდრე ჩვენზე ხარჯავთ. იქნება გსურთ, რომ თქვენს გულუხვ დამხმარებლებს შევატყობინოთ, რას გვაჭმევენ აქ. მაშინ ნახავთ, როგორ იმოქმედებს ეს თქვენს ჯიბეზე.

შელტონი იბღვირებოდა და საათის ძეწკვს სრესდა. მერე შემარიგებლურად ხელი ასწია.

— ერთი წუთი მომიცადეთ, ბიჭებო, — თქვა მან, — მზარეულს გამოვიძახებ და ერთად მოვითათბიროთ, იქნება რამე გამოვიდეს.

დირექტორი კაბინეტიდან გავიდა. ბილიმ და რობერტსმა ერთმანეთს გადახედეს.

— რაღაც საეჭვო ამბავია, ის ალბათ პოლიციის დასაძახებლად წავიდა, — თქვა ბილიმ.

— როგორ მოვიქცეთ, ბიჭებო, გავიქცეთ? — თქვა შიშით ერთმა დელეგატმა.

შორტიმ უკმაყოფილოდ ასწია წარბი.

— რამდენიმე ფარაონის[1] გამო? — თქვა მან, — თუნდაც მთელი თავისი წყეული ხროვა მოიყვანოს, რაც უფრო მეტი აურზაური ატყდება ამ საკითხის გამო, გამარჯვების მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება!

მართლაც, თხუთმეტი წუთის შემდეგ დირექტორი დაბრუნდა. უკან ოთხი ზორბა შეიარაღებული პოლიციელი მოსდევდა.

— აი, ესენი არიან! — უჩვენა დირექტორმა ისეთი სიამაყით, თითქოს მას სხვების დაუხმარებლად კაცის მკვლელთა ბანდა დაეჭიროს.

პოლიციელები კაბინეტში შევარდნენ. ერთმა მათგანმა ბილის მხარში ხელი ჩაავლო და თავში ისე მაგრად დაარტყა

[1] პოლიციელებს „ფარაონებს“ ეძახიან.

ჯოხი, რომ ბილი წაბარბაცდა... ხელჩართული ბრძოლა დაიწყო. ბილის მხოლოდ რობერტსის ბრაზმორეული სიტყვები ჩაესმა, რობერტსისა, რომელიც კონსტიტუციის დარღვევაზე გაჰყვიროდა. პოლიციელები ჯოხებს შეუნელებლად ატრიალებდნენ.

როდესაც ბილი სამ ამხანაგთან ერთად „ოლდ სლიპის“ რაიონის პოლიციის განყოფილებაში მოიყვანეს, ხელის ანაბეჭდები გადაუღეს და ჭუჭყიან საკანში შეაგდეს, ხოლო რობერტსი გუშაგების თანხლებით საავადმყოფოში წაიყვანეს.

ბილის ისეთი თავის ტკივილები აწუხებდა, თითქოს ჩაქუჩებს ურტყამენო. პოლიციისადმი სიძულვილმა და ბრაზმა ბილი მალე გონს მოიყვანა, ახლა მზად იყო შიშველი ხელებით საკნის ურდულები გაემტვრია.

„ჩვენ პურისთვის მოვედით, — აღიდგენდა ის მეხსიერებაში, — მაგ გათახსირებულებმა რობერტსს ტყვია ესროლეს და ჩვენ კი აი სად ჩაგვყარეს“.

ცემისაგან დალურჯებული ბილი ტახტზე ძლივს ბრუნდებოდა. გაკვირვებული ეკითხებოდა თავისთავს, ამდენ ხანს რატომ მერყეობდა, შესულიყო თუ არა კომუნისტურ პარტიაში.

— განა არ კმარა, რომ სამუშაოს არ გვაძლევენ? — წარმოთქვა ბილიმ ხმამაღლა, — ხედავთ, რა დღეს გვაყრიან, როდესაც საჭმელს მოვითხოვთ?!.

სიდ მურმა, გამხდარმა, ტანმაღალმა მეზღვაურმა ბილის გადახედა.

— ისინი ამას დემოკრატიას უწოდებენ, ძმაო, — წარმოთქვა მან დაცინვით.

საღამოხანს დაპატიმრებულ მეზღვაურებთან საერთაშორისო შრომის დაცვის კომიტეტიდან ადვოკატი მოვიდა. ის მშვიდი და ღარიბულად ჩაცმული კაცი იყო. პოლიციელმა საკნის კარი გაუღო და შიგ შეუშვა.

ადვოკატმა მათ აუხსნა, რომ ოლ ფერისმა დარეკა შრომის დაცვის კომიტეტში და ითხოვა დაპატიმრებული მეზღვაურების დაცვა.

— ისინი თქვენ მრავალ ბრალდებას წამოგიყენებენ, — თქვა მან ღიმილით, — ყველაფერში ბრალს დაგდებენ, მაგრამ მე მგონია, მალე გაგათავისუფლებენ. როცა გაიგებენ, თუ რა აურზაური ატეხეს თქვენი გულისათვის მეზღვაურებმა ლორენ-სკვერზე. ნუ აღელდებით, საქმე სასამართლომდე არ მივა, და თუ მივიდა, ჩვენ დაგიცავთ! ადვოკატი მართალი გამოდგა, იმავე საღამოს ოთხივე მეზღვაური გაათავისუფლეს.

ერთ დღეს ერთმა მეზღვაურმა, რომელიც გემ „ანიას“ შემოსვლას ელოდა, შეატყობინა ბილის, რომ გემ „ექსკოლზე“ ხალხი სჭირდებოდათ. იქ მას ბედმა გაუღიმა და გემ „ექსკოლზე“, რომელიც ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის რეისში უნდა გასულიყო, სამუშაოდ მიიღეს.

* * *

გემ „ექსკოლის“ თვითეულ კაიუტაში ექვს მეზღვაურს ეძინა. როგორც ოლ ფერისი წინასწარმეტყველებდა, მათ შორის მეზღვაურთა პროფკავშირის წევრებიც იყვნენ და ერთი მათგანი, მიდი ბრაუნი, კომუნისტიც იყო.

ბილის მოსწონდა მეზღვაურთა კაიუტაში გაცხოველებული კამათი, რომელიც ხშირად იმართებოდა. ეს მას ამხნევებდა და ბევრს ახალ რამეს ასწავლიდა. ის დაუმეგობრდა მიდ ბრაუნს, გოლიათ ტეხასელს, რომელიც ბავშვობიდანვე ნაოსნობას იყო მიჩვეული. ისინი ხშირად საუბრობდნენ ღამღამობით.

— ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცოდი და ნაკლები გამეგებოდა, როცა კომუნისტების მხარეზე გადავედი, — ამბობდა ბრაუნი. — მე მაშინ ძალიან გაჯავრებული ვიყავი ნავთობის კომპანიის მეპატრონეებზე, რომლებიც მეზღვაურებს გვაშინებდნენ. ეგონათ, რომ ამ საშუალებით რასაც მოისურვებდნენ, იმას გვიზამდნენ. ახლა ბევრ რამეში

გავერკვიე და ცხოვრება ისე აღარ მიმ-ძიმს, როგორც წინათ. როდესაც გაერკ-ვევი იმაში, თუ რა ხდება ქვეყნად, მა-შინ ცხოვრების წვრილმანები არ შეგა-შინებს და უძლურობა მუხლებში ვერ მოგკეცავს. მე მგონია, იმას პერსპექ-ტივა ეწოდება, როდესაც ადამიანი ნათ-ლად ხედავს, რა როგორ არის, და ისიც იცის, რა რისთვის ხდება.

„ექსკოლზე", როგორც ყველა გემებ-ზე, რაზმის შემადგენლობა ჭრელი იყო. აქ იყვნენ: პორტორიკოელები, იტალი-ელები, ირლანდიელები, შვედები და ნორვეგიელები, სამზარეულოში კი ორი ზანგი მუშაობდა.

ყველაზე მეტ გასაჭირში მოხუცებუ-ლი ზანგი ფილიპ ფორბსი იყო—კაიუტ-კამპანიის ოფიციანტი, რომელიც „ექს-კოლზე" მეხუთე რეისს აკეთებდა. „ექს-კოლზე" მოწყობამდე ის კაპიტნის თანა-შემწედ მუშაობდა და გემს მართავდა.

ბილიმ ფილიპ ფორბსის ამბავი გაი-გო მიდ ბრაუნისაგან, რომელიც გემის რაზმს ხუთი თითივით იცნობდა.

ზანგმა მეზღვაურმა, კაპიტნის თანა-შემწედ ყოფნის დროს, 1921 წელს გა-ფიცვაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. გემის მთელი ეკიპაჟი გემიდან ჩაიყვანა, რის გამოც მისი საზღვაო დიპლომი გა-მოუსადეგარი გახდა. როცა გაფიცვა ჩააქრეს, გაფიცვის ყველა მონაწილე „შავ სიაში" შეიტანეს და სამუშაოზე აღარ ღებულობდნენ. ზანგებს სამზა-რეულოში თუ მიიღებდნენ, და აი, ერთადერთი სამუშაო, რომლის მიღება მან ამ წლებში მოახერხა, — მიუხედა-ვად მისი დიდი ცოდნისა და გამოცდი-ლებისა, — ოფიციანტობა იყო.

კვების საქმე „ექსკოლზე" ისევე არა-სახარბიელო იყო, როგორც სხვა დანარ-ჩენ გემზე, რომლებზედაც აქამდე ბი-ლის უცურავია. მეზღვაურები სასადი-ლოში დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამ-დნენ. თვით კაპიტნის თანაშემწეებიც ბუზღუნებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საუკეთესო პროდუქტებს ღებუ-ლობდნენ. მეზღვაურები უკმაყოფი-ლებას გამოთქვამდნენ, უფროსები კი სრულიად უდანაშაულო ოფიციანტზე იყრიდნენ ჯავრს.

ფორბსი მომთმენი ადამიანი იყო, მაგრამ მოთმინება ხანდახან იმასაც ღა-ლატობდა.

— მე ნუ მიყვირით, — თქვა მან ერთხელ კაიუტ-კამპანიაში, — უკეთე-სია ამის შესახებ გემთმფლობელებს მოელაპარაკოთ რეისში გასვლის წინ ხელშეკრულების დადების დროს.

კაპიტნის უფროს თანაშემწეს, სამხ-რეთ ვირგინიელს, ის აშფოთებდა, რომ ფორბსი მის წინაშე ქედს არ იხრიდა და ღირსეულად ეჭირა თავი. ერთხელ კაიუტ-კამპანიაში დიდი უმსგავსობა მოხდა.

ფორბსი, რომელსაც სამზარეულოში ჭურჭელი მიჰქონდა, მობრუნდა და მა-გიდაზე დააწყო.

— მეც ისეთივე დიპლომი მაქვს, რო-გორიც თქვენ, — წარმოთქვა მან მშვი-დად. — ცოდნა და გამოცდილება მე უფრო მეტი მაქვს, ვიდრე უმრავლესო-ბას თქვენგანს.

თანაშემწე მუქარით წამოხტა და ზანგისკენ გაიწია.

— უტვინო ზანგებს გემის მართვის უნარი არ შესწევთ, — დაიღრიალა მან, — დიპლომიც ამიტომ წაგართვეს!

ფორბსი მშვიდად იდგა და კაპიტნის თანაშემწეს ზიზღით შესცქეროდა.

— ჩემთვის დიპლომი არავის წაურ-თმევია, — უთხრა მან, — სანამ ჩვენ გაფიცულნი ვიყავით, შტრეიკბრეხე-რებმა წაგვართვეს ადგილები.

თანაშემწემ თავის სკამს ფეხი ჰკრა და ფორბსს მივარდა. ზანგის ცემაში მას ორი მექანიკოსიც შეეშველა. ფორბსი შეებრძოლა მათ, მაგრამ ისინი სამნი იყვნენ და ახალგაზრდებიც, ფორბსი კი მოხუცი.

ყვირილი მოესმათ მეზღვაურთა სა-სადილოში. მოცვივდნენ მეზღვაურები და ცეცხლფარეშები და დაინახეს, რომ

ფორბსი, იატაკზე გაშხლართული, ორ მექანიკოსს ეჭირა და კაპიტნის თანაშემწე კი წიხლებს ურტყამდა.

ბრაუნმა ხმამაღლა შეიგინა და კაიუტ-კამპანიაში შევარდა. მას ბილი და სხვა მეზღვაურებიც შეყვნენ. ბრაუნმა კაპიტნის თანაშემწეს ხელი ჰკრა და ზანგს მოაშორა. კაპიტნის თანაშემწემ უკან დაიხია.

— შენ ნუ ეჩრები, ბრაუნ! — იყვირა მან. ბრაუნმა ზანგი წამოაყენა... ფორბსი კაიუტ-კამპანიიდან გავიდა, გასასვლელში მოგროვილი მეზღვაურთა ჯგუფი აქეთ-იქით გასწია და სამზარეულოში შევიდა.

ბრაუნი კაპიტნის თანაშემწეს დაჟინებით ჩააცქერდა თვალებში.

— მომისმინეთ, მისტერ, — უთხრა მან, — მე თვითონ სამხრეთელი ვარ და მეც უცბად გამოვდივარ მოთმინებიდან. ასე რომ, ასეთ საქციელს თავი დაანებეთ, თორემ... გასაგებია?! ამ ზანგს თქვენთვის სადილები სულაც არ უნდა მოჰქონდეს, მას იმდენი ხანი უტარებია გემები, რომ თქვენ მასთან შედარებით ლეკვი ხართ!..

ბრაუნი მოტრიალდა და მეზღვაურთა სასადილოში დაბრუნდა.

მეორე დღეს ფორბსი სამზარეულოდან გადაიყვანეს. მეზღვაურთა უმეტესობა ამ ამბავს აღფრთოვანებული შეხვდა, მხოლოდ ჯორჯი ეგლსი, ერთი მემანქანეთაგანი, საერთო სიხარულს არ იზიარებდა.

— ვერ გამიგია, რისთვის იღებენ საერთოდ ზანგებს გემზე, — უთხრა მან ბილის, — მხოლოდ უსიამოვნების მიზეზნი არიან. განა ცოტა არიან თეთრკანიანი მეზღვაურები, რომლებიც სამზარეულოში იმუშავებდნენ?!

ბილი გაბრაზდა.

— ეგლს, ასეთ ლაპარაკს თავი დაანებე, — უთხრა მან, — ეს ჩვენს გემოვნებას არ ეგუება!..

ეგლსმა წაიბურტყუნა.

— ვის, თქვენ, — თქვა მან სიძულვილით, — ორიოდე კომუნისტს? — შემდეგ მაგიდის ირგვლივ მსხდომ მეზღვაურებს თვალი გადაავლო, ვისმეს სახეზე თანაგრძნობის ამოკითხვას ეძებდა, მაგრამ ყოველი მათგანის თვალები ზიზღით შესცქეროდნენ მას. ეგლსმა ხმაამოუღებლად დაამთავრა თავისი სადილი და სასადილოდან გავიდა.

„ექსკოლის“ რეისი ექვს თვეს გაგრძელდა. ნოემბრის შუა რიცხვებში ის ნიუ-ჯერსის ნავსადგურში შევიდა.

*
* *

ერთ საღამოს, როდესაც ბილი სამუშაოდან ბრუნდებოდა, მოულოდნელად მერი ოკონელს შეხვდა. ბილი მას მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

რამდენიმე ხანს ორივენი დუმდნენ. ისინი ტროტუარის შუაგულზე იდგნენ და ერთიმეორეს თვალებში შესცქეროდნენ. ხალხის მოძრაობა არა წყდებოდა. მერის ცრემლები მოერია. ბილი გულში ფიქრობდა: „აი, ერთადერთი ადამიანი, რომელიც მე მსურს! აი, ჩემი მერი!“.

— ნუთუ არ შეიძლება, რომ თითო ჭიქა რაიმე სასმელი ერთად შევსვათ?— შეეკითხა ბილი.

მერის გაეღიმა და ხელი გაუყარა.

— რასაკვირველია, შეიძლება, ბილი!

მათ ისეთი ბარი მონახეს, სადაც ბილის სამუშაო ტანსაცმელში შესვლა შეეძლო და ორივენი მაგიდას მოუსხდნენ. ვერც ერთ მათგანს სალაპარაკო სიტყვები ვერ მოენახა. ყველაფერი ის, რაზეც ოცნებობდა ბილი, მთელი თავისი გულისწყრომა, გრძნობის ამშლელი ფიქრები, რომლებიც ბილის მერისათვის უნდოდა ეთქვა, გონებიდან გაეფანტა.

— მერი, შენ ისევ, „რიტაზე“ ცურავ? — შეეკითხა ბილი.

მერიმ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— დაგითხოვეს თუ არა სამუშაოდან, მეც მაშინვე ჩამოვეწერე გემიდან. უფროსი მზარეული გვაიძულებდა, რომ ამ-

ბავი მიგვეტანა ყველა იმათზე, ვინც კავშირის შესახებ რამეს ილაპარაკებდა, — მერიმ ნაღვლიანად გაიღიმა, — ხომ იცი, კავშირის წევრი არა ვარ, მაგრამ იცოდე, რომ მაბეზღარაც არა ვარ. სწორედ ამიტომაც დაგვითხოვეს ორი გოგო. ახლა „საბინაზე“ ვცურავ, ზეგ ზღვაში გავდივართ. ახლა ის მითხარი, ბილი, შენ როგორ ცხოვრობ და რას აკეთებ? რატომ ხარ ასე ამოთხუპნული?

— დროებით სახურავებს ვღებავ! — მერის ისევ გაეღიმა და ბილის ჰკითხა.

— კი, მაგრამ, რატომ, ბილი?

— იცით რა, მერი, — შეიძლება ეს თქვენ არც მოგეწონოთ. წლინახევრის განმავლობაში თუ არ გამოცვლილხართ, მაგრამ უნდა გითხრათ, მე აქ მხოლოდ კავშირის გულისათვის დავრჩი. კვირაში ორ დღეს სახურავებს ვღებავ, ჭამა ხომ მინდა, დანარჩენ დროს დოკებში მეზღვაურებთან აგიტაციას ვეწევი.

ბილიმ მერის თვალებში ჩახედა.

— როდესაც უკანასკნელად გნახე, ხომ გახსოვს, მერი, მე მაშინ, ასე ვთქვათ, ღიავარდისფრად გამოვიყურებოდი, ახლა კი უფრო წითელი ვარ, ვიდრე შენი ბაგის საცხები. აი როგორია საქმის ვითარება, ჩემო ძვირფასო. შეგიძლია ამ მდგომარეობას შეურიგდე?

მერიმ ჭიქიდან სასმელი მოსვა და მიუგო:

— მე ისეთი სულელი არა ვარ, რომ შენს გარდაქმნაზე ვიფიქრო. არც მსურს ეს, მიუხედავად იმისა, რომ მე ყველაფერში გარკვეული არა ვარ. ერთი რამ მაინც კარგად ვიცი: თქვენ პატიოსანი ადამიანი ხართ. ის უფროსი მზარეული კი — გათახსირებული. ჩვენ შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს, ბილი.

ყავახანის კართან ერთმანეთს დასცილდნენ, ბილი ტანისამოსის გამოსაცვლელად სახლში წავიდა, მერიმ უთხრა, სახლში მოგიცდიო.

აღფრთოვანებული ბილი ცეკვით მიდიოდა. სიმღერისა და სულელურ ჟუნებაზე იყო.

— მე ის მაინც მოვნახე, ის ჩემია, — ამბობდა გულში, მაგრამ მაინც ეჭვობდა.

ბილიმ და მერიმ პატარა ფრანგულ რესტორანში ისადილეს, მოგვიანებით კინოში წავიდნენ. შემდეგ, მიუხედავად საგრძნობი სიგრილისა, მერის სახლამდე ხელიხელ ჩაკიდებულები ფეხით გაემართნენ. სულ უფრო მეტსა და მეტს ლაპარაკობდნენ, ცდილობდნენ, რაც წლინახევრის განმავლობაში არ ეთქვათ, ახლა გადაეშალათ ერთმანეთისთვის.

— ბილი, იცი, აქამდე რატომ არ გავთხოვდი?

ბილი ჩაფიქრებული უსმენდა და გულში გაკვირვებული ფიქრობდა:

„ნუთუ ეს მართალია? ნუთუ მერი ჩემს გვერდით არის და მეუბნება, რომ მე მისთვის ძვირფასი ვარ?“

— შენი გულისათვის, ბილი, — წარმოთქვა მერიმ თავისი ჩვეულებრივი უბრალოებით, — მე შენ სულ გიცდიდი და ვკიცხავდი ჩემს თავს...

სახლის კართან გამომშვიდობების წინ ბილიმ მერი გადაკოცნა და უთხრა:

— ჩვენ ამის შესახებ კიდევ მოვილაპარაკებით!

ბილის იმ ღამეს თითქმის არ სძინებია, სულ იმას ფიქრობდა, უფლება ჰქონდა თუ არა მერი ცოლად შეერთო? მერი კომუნისტი არ იყო. იქნებ ის იმაზე ოცნებობს, რომ გათხოვების შემდეგ სამუშაო დატოვოს? თუ მე ზღვაზე წავალ, ჩემი ხელფასი ხომ ორივეს ვერ დაგვაკმაყოფილებს? როგორ შევურიგდე იმას, რომ ცოლი ერთ გემზე ცურავდეს და მე — მეორეზე. არა, ეს შეუძლებელია. რა აუტანელი ცხოვრება იქნება!

ბილისათვის ყველაზე ძვირფასი, თვით მერის ცოლად შერთვაზეც კი, მეზღვაურებს შორის ორგანიზაციული მუშაობა იყო.

— როგორ მოვიქცე? — ეკითხებოდა

იგი თავისთავს და საწოლში მოუსვენრად ტრიალებდა.

მეორე დღეს დილით ადრე ბილი მერისთან წავიდა, რომ საუზმეზე წაეყვანა. მერი ახლა უფრო მომხიბვლელად გამოიყურებოდა, ვიდრე ოდესმე.

— მერი, მე მთელი ღამე არ მძინებია, სულ იმას ვფიქრობდი, რა მოვიმოქმედო იმისათვის, რომ ჩვენ დავქორწინდეთ. მე ხომ არ შემიძლია ისეთი ქალიშვილი, როგორიც შენ ხარ, ჩემს ღარიბულ ფარდულში წავიყვანო? არც იმის უფლება მაქვს, გალოდინო. ეჰ, სიყვარული ჩვენნაირი ხალხისთვის — მეზღვაურებისთვის — უბედურებაა!

მერი ჩუმად იჯდა და ბილის სიტყვის დამთავრებას უცდიდა.

— მთხოვ თუ არა, დაგელოდო, ეს შენი საქმეა, — უთხრა მან ბოლოს, — მაგრამ მე მაინც გადაწყვეტილი მაქვს მოგიცადო.

საუზმის შემდეგ პარკში ისეირნეს. გრილი და მოწმენდილი დილა იყო. ბილის ეგონა, რომ მის ირგვლივ ყველაფერი მღეროდა. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მერი მხიარულად იცინოდა და გვაიაკილეში თავიანთ პირველ შეხვედრას იგონებდა.

— უცნაურად იქცეოდი, ბილი, — უთხრა მერიმ, — მაშინვე ვიგრძენი, რომ შენ სწორედ ის ადამიანი იყავი, ვისაც ვეძებდი.

ღია ცის ქვეშ, იქვე სკამზე დამსხდარი ხალხის თვალწინ ბილი სიხარულისაგან მერის მოეხვია და გულში ჩაიკრა. ხალხი მათ თანაგრძნობით უღიმოდა.

— მე ნამდვილად ის ადამიანი ვარ, ვისაც ეძებ, მერი, — არწმუნებდა ბილი.

ბილის მოაგონდა, რომ ახლა ის ნავსადგურში უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც კი წავიდა. მას რატომღაც სურდა, რომ ეს ეს ბედნიერი გასეირნება დიდხანს გაგრძელებულიყო.

— წავიდეთ ჩემთან, სახლში, ბილი, — მოულოდნელად სთხოვა მერიმ. და ისინი მერის ბინაში წავიდნენ.

მერიმ ყავა დადგა. იგი მარდად ირჯებოდა და ბილი მისი მზერით ტკბებოდა. სანამ ყავა ადუღდებოდა, ბილიმ მერის წელზე ხელები მოხვია და თავის გვერდით ვიწრო საწოლზე დასვა.

— მე შენი გამგონი ვიქნები, მერი, — წაიჩურჩულა მან, — მაგრამ... ნუთუ მოცდა აუცილებელია?

მერი ყელზე მოეხვია მას და გულში ჩაეკონა.

— მე არ მითქვამს, რომ ჩვენ ცდა გვჭირდება, ბილი, — უპასუხა მერიმ წყნარად.

მოგვიანებით, როცა ისინი ძალზე გადადუღებულ ყავას შეექცეოდნენ, ბილიმ უთხრა:

— ხომ შეგიძლია, სიტი-ჰოლში ერთად წავიდეთ და ჯვარი დავიწეროთ, ხომ გულნატკენი არა ხარ იმის გამო, რაც მოხდა?

— ვინ გითხრა, რომ გულნატკენი ვარ? — შეეკითხა მერი, — შემდეგი რეისიდან რომ დავბრუნდები, დავქორწინდეთ. თუ გსურს, დღეიდან ჩემს ქაბარს დაგიძახებ, — და მერიმ სიცილით წარმოთქვა: — მერი ფარელი, რა ლამაზად ჟღერს, ხომ სწორია, ბილი?

ბილიმ თავი სკამის ზურგს მიაყრდნო, თვალები დახუჭა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— მერი, მერი, ნუთუ ყველაფერი ეს ნამდვილი ამბავია... შენ და მე ერთად ვართ?

მერი დაიხარა და ბილის აკოცა.

— ეს უკვე სრული ჭეშმარიტებაა, ბილი!

*

* *

1936 წლის ივნისი იყო, როდესაც ბილი ფარელი „სიუზენ კარტერზე" რეისიდან დაბრუნდა. ნიუ-იორკის ნავსადგურში ყველანი კავშირის შესახებ ლაპარაკობდნენ.

გაზეთები ამტკიცებდნენ კრიზისის ხანამ განვლოო, მაგრამ ნიუ-იორკის ნავსადგურს ეს არ ეტყობოდა. დოკე-

ბი ძველებურად უმუშევარი მეზღვაურებით იყო გაჭედილი. კრიზისის ერთმა პერიოდმა, რა თქმა უნდა, განვლო. ის იყო პასიურობისა და აპათიურობის პერიოდი. ახლა მუშები უკვე თავიანთი უფლებებისათვის იბრძოდნენ.

ბილის გემზე ანგარიში გაუსწორეს და ოლ ფერისის სანახავად წავიდა. როცა ბილი „საუს სტრიტზე“ მივიდა, ნავსადგურში მდგომარეობა გაიგო და საქმეები მოათავა, მერის ტელეფონით დაურეკა.

ყურმილი დიასახლისმა აიღო. სანამ დიასახლისი მერის ტელეფონთან დაუძახებდა, ბილი ფიქრობდა: რატომ მერის ამხანაგებთან წასვლამდე არ დაურეკა. ეს მას აზრად არ მოუვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ექვსი თვე არ ენახა და ნაღვლობდა კიდეც მასზე.

„რას იზამ, პირველ რიგში ბრძოლა, შემდეგ კი პირადი ცხოვრება! — გაიფიქრა მან. — ნეტავი ესმის თუ არა მერის, რომ მას ჩემს ცხოვრებაში მეორე ადგილი უჭირავს. ალბათ ბოლომდის ასეც იქნება! რაც არ უნდა ძალიან გიყვარდეს ქალი, დღევანდელ ღღეს ეს მაინც მთავარი არ არის!“

ბილიმ ტელეფონის მილში მერის ხმა გაიგონა და მისი სახე თვალწინ წარმოუდგა.

— მე გელოდი, ბილი, — უთხრა მერიმ. — სანაოსნო კანტორაში დავრეკე და შევიტყვე, რომ თქვენი გემი დღეს უნდა მოსულიყო.

— როდის შეიძლება შენთან მოსვლა? — იკითხა მოუთმენლად ბილიმ.

მერი გაოცდა და სიცილით უპასუხა, — რა შეკითხვაა ეს, ბილი, როგორ თუ როდის შეიძლება მოსვლა? აიღე ჩემოდანი და ახლავე მოდი! ამას რა კითხვა უნდა? ეს ხომ იგივე შენი ბინაა, სანამ უკეთეს ოთახს ვიშოვიდეთ!

ბილიმ შვებით ამოისუნთქა და გახარებულმა გაიცინა.

— მერისთან, სახლში! — გაიფიქრა მან, — რა ბედნიერებაა. მერი არ უცდის იმ მომენტს, სანამ მე შესაძლებლობა მექნება „ქვინზე“ ოთახი დავიქირაო და არავითარ მიუწვდომელს არა მთხოვს.

მერი ბილის კართან შეხვდა.

— მერი, იცი თუ არა, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვედი შინ? — ეუბნებოდა ჩუმად ბილი და თან მერის ეხვეოდა. მერის სიახლოვე მას თითქოს უდიდესი ბედნიერების გრძნობით ავსებდა. — ექვსი თვე, — წაიჩურჩულა ბილიმ, — ღმერთო ჩემო! ეს თვეებად კი არა, წლებად მეჩვენებოდა!

ისინი გვიან ღამემდე საუბრობდნენ. მერი უამბობდა „საბინაზე“ მომუშავე ქალებს როგორ ტანჯავდნენ და როდესაც მათ სცადეს თავიანთი წარმომადგენელი კაპიტანთან გაეგზავნათ, უფროსმა ოფიციანტმა განაცხადა, მე აქ ერთადერთი წარმომადგენელი ვარ და, ვისაც გემზე მუშაობა არ სურს, შეუძლია აქაურობა დატოვოსო.

მერის ძილის რული ერეოდა. უცებ მოაგონდა, რომ ბილისათვის კიდევ რაღაცა ჰქონდა სათქმელი, და მთვლემარემ წარმოთქვა:

— ჰო, კავშირის შესახებ მინდა გითხრა, ბილი, იცი თუ არა, რომ მე უკვე კავშირის წევრი ვარ?

ბილიმ სიბნელეში ხმამაღლა გადაიხარხარა.

— მართლა? ეს კარგი საქმეა, — და ჰკითხა: — ეს ჩემი გულისთვის გააკეთე, არა, ძვირფასო მერი?

— შენი გულისთვის კი არა, ჩემი გულისთვის!

ბილიმ უფრო გრძნობით ჩაიკრა მერი გულში.

— ყოჩაღ, მერი! — უთხრა ხმადაბლა.

დილით ადრე კაფეში ისაუზმეს. მერი დღის თორმეტი საათისათვის გემზე უნდა ყოფილიყო.

— ხვალ ადრიანად გავდივართ ზღვაში, — უთხრა მერიმ, — იცი რა, ბილი, „საბინადან“ წასვლას ვაპირებდი, მაგ-

რამ გადავიფიქრე. მე რომ წამოვიდე, უფროსი ოფიციანტი იფიქრებს, ჩემი შეეშინდაო. ჩემი წამოსვლა დანარჩენ ქალიშვილებზეც ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს.

ბილი ჯერ მოღუშული გამოიყურებოდა, ხოლო შემდეგ სახე გაუბრწყინდა.

— უკვე ცხრა საათია, — წამოაძახა მოულოდნელად ბილიმ,—როგორ ფიქრობ, მერი, უკეთესი არ იქნება, რომ „სიტი-ჰოლში“ წავიდეთ და ჯვარი დავიწეროთ, სანამ ჯერ კიდევ ჯიბეში ორიოდე დოლარი დამრჩენია?“

მეთორმეტე საათი იყო, როცა ბილი და მერი მუნიციპალიტეტის შენობიდან გამოვიდნენ და „სიტი-ჰოლის“ პარკში შევიდნენ.

— მერი, დღევანდელი დღის აღსანიშნავად თითო ჭიქა რამე სასმელი არ დავლიოთ? — შეეკითხა ბილი.

მერიმ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— გემზე წასვლის დროა უკვე!

— როდესაც კავშირის საქმეები მოგვარდება და ყველა მეზღვაურს შესაძლებლობა ექნება სამუშაოზე იქ მოეწყოს, სადაც მას სურს, — უთხრა მან გამოთხოვებისას, — მაშინ ისეთ გემზე მოვეწყობი, რომელიც ამ ყურეში ივლის, შენ კიდევ ქალაქში მოეწყობი სამუშაოდ. მაშინ ერთმანეთს ხშირად ვნახავთ!

მერი ბილის უყურებდა და ჩაფიქრებული იღიმებოდა.

— როდესაც კავშირის საქმეებს მოგვარებ, მერე სხვა საქმეების მოწესრიგებას შეუდგები, ბილი, — უთხრა დაფიქრებულმა მერიმ,—მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ კარგად არ ვიცი, რას აკეთებ, წარმოიდგინე, რომ ნაწილობრივ მაინც გიცნობ!

— კი მაგრამ, ასეთი ქმარი მოგწონს თუა არა?

მერიმ თავი დაუქნია და მის ხელს ხელი მოუჭირა.

— მომწონს, ბილი, პატიოსან სიტყვას გაძლევ! ვეცდები, არ დავამძიმო შენი ცხოვრება!

* * *

გაფიცვა ორ თვეს გრძელდებოდა. პოლიცია ისე მძვინვარებდა, როგორც არასდროს. პოლიციელები ცხენებით და მოტოციკლეტებით საგუშაგო პიკეტებს თავს ესხმოდნენ და ხალხს ასახიჩრებდნენ. ბევრი გაფიცული მოკლეს, ხალხის დატყვევება ყოველდღიურ მოვლენად იქცა.

კომუნისტური პარტია შეუნელებლად ეხმარებოდა გაფიცვებს. მისი წევრები ფულსა და პროდუქტებს აგროვებდნენ, მთელ ქალაქში მიტინგებზე გამოდიოდნენ. უხსნიდნენ მოსახლეობას მეზღვაურთა გაფიცვის მიზეზებს.

აპრილის შუა რიცხვებში საგუშაგო პიკეტების რიცხვი შემცირდა. გაფიცვის მონაწილეებს გულგატეხილობა ეტყობოდათ და ისევ გემებზე ბრუნდებოდნენ სამუშაოდ. აშკარა იყო, გაფიცვა მალე უნდა შეწყვეტილიყო.

გემი, რომელზედაც მერი მუშაობდა, აპრილის ბოლოს ნიუ-იორკის ნავსადგურში შევიდა. ბილი ცოლის შესახვედრად ნავსადგურში გაიქცა. მერი საგუშაგო პიკეტების მწყობრთან ერთად თავმომწონედ და ამაყად პლაკატით ხელში მოდიოდა. პლაკატზე ეწერა: „ჩემი ხელფასი ორმოცი დოლარია თვეში, როგორ ფიქრობთ, ეს საკმარისია?“

როდესაც მერიმ ბილი დაინახა, პლაკატი უფრო მაღლა ასწია და ხელით ანიშნა.

ბილიმ მერი მწყობრიდან გამოიყვანა და გადაკოცნა.

— ჩემო პატარავ, იმედი გადამიწყდა, მეგონა, აღარასდროს არ დაბრუნდებოდი! — უთხრა ბილიმ.

— ეი! ფარელ! — შეჰყვირა ერთმა მეზღვაურმა. — მწყობრს ნუ არღვევ, გამოუშვი ქალიშვილი!

მერი პიკეტებში ღამემდე დარჩა, შემდეგ ბილისთან, გაფიცულთა მთავარ შტაბში წავიდა. დარბაზი სავსე იყო ხალხით, აუტანელი ხმაური იდგა, მაგრამ მერი თავს ისე გრძნობდა, როგორც თავის სახლში.

ბილიმ მერი ოლ ფერისს გააცნო. ოლმა ხელი გაუწოდა და სიცილით უთხრა:

— თქვენზე ლაპარაკით ყურები გამომიჭედა. თქვენი სახელის გაგონება აღარ შემიძლია. სულ მერი და მერი! — ოლი ბილის მოუბრუნდა და შეეკითხა: — პირი რატომ არ გაგიპარსავს? შეგიძლია წახვიდე, ექვსსაათიანი მიტინგი რომ გააცდინო, ეს არაფერია. დილით მოდი.

ფერისმა ბილის კარის მიმართულებით ოდნავ ხელი ჰკრა და დაუმატა:

— ბოლოსდაბოლოს, წვერი გაიპარსე, სანამ მერის შენთვის თავი არ დაუნებებია!

* * *

სექტემბრის ბოლოს სანაოსნო კამპანიებმა მთელ დასავლეთ სანაპიროზე, ვანკუვერიდან სან-დიეგომდე, ლოკაუტი გამოაცხადეს. მეზღვაურებისა და მტვირთავი მუშების მოთხოვნებზე — ხელფასის გადიდებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ — უარი განაცხადეს.

ამერიკის ფედერაციის შრომის აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც ფლორიდაში განცხრომით ატარებდა კრებებს, გაფიცვა „არაკანონიერად“ გამოაცხადა.

პოლიციის ტერორმა მხეცური სახე მიიღო. ყოველ ღამეს პიკეტში მონაწილეებს იტაცებდნენ და ხოცავდნენ. სამხრეთის ორ ნავსადგურში, ახალ ორლეანში და პორტ-არტურში, სადაც მეზღვაურებს მონებივით ექსპლოატაციას უწევდნენ, პოლიცია საპიკეტო რაზმებს აპატიმრებდა და გაფიცვის დამთავრებამდე ციხეში ჰყავდა.

მარტო ციხეები როდი იყო სავსე გაფიცულებით; იმ წელს ნიუ-იორკში სუსხიანი ზამთარი მძვინვარებდა და ბევრი გაფიცული საავადმყოფოებში ფილტვების ანთებით კვდებოდა.

ბილი, ოლ ფერისი და გაფიცულთა სხვა ორგანიზატორები მთელი ზამთარი ტანგაუხდელები იყვნენ და, სადაც მოუხდებოდათ, იქ იძინებდნენ. ცოლებს ისინი მხოლოდ მაშინ ხედავდნენ, როცა საპიკეტო რაზმებში ან გაფიცულთა კომიტეტის შტაბში მიდიოდნენ. ისინი, როგორც ბურუსში, ისე ცხოვრობდნენ. ყოველი დღე მათ წინაშე ახალსა და სერიოზულ ამოცანას აყენებდა.

როგორც გაზაფხულზე მომხდარი გაფიცვის დროს, ისე ახლა, კომუნისტური პარტია ყოველმხრივ ეხმარებოდა მეზღვაურებს ბრძოლაში, და გაფიცულები, რომლებსაც ბურჟუაზიული პრესა „წითლებს“ უწოდებდა, ნამდვილად „წითლებისაგან“ ღებულობდნენ დახმარებას. მათ ერთიმეორის ღრმა გაგების გრძნობა აკავშირებდათ.

ბილი ფარელმა გაფიცვის ორგანიზატორთა შორის ერთი საუკეთესო მოღვაწის სახელი დაიმსახურა. ის უძილობისგან ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ ხალხისადმი მეგობრობის გრძნობა უფრო ძლიერი იყო მასში, ვიდრე დაღლა, რომელიც უფრო მეტად ამხნევებდა, ვიდრე დასვენება. რაც უფრო მეტი სიძნელეები ეღობებოდათ ბილის და სხვა ორგანიზატორებს, მით უფრო მეტი მონდომებით სძლევდნენ სიძნელეებს და თავიანთ გამარჯვებაში რწმუნდებოდნენ.

მიუხედავად დიდი პროვოკაციისა და დიდი შებოჭილობისა, მეზღვაურები მაინც მხნედ იყვნენ.

* * *

გაფიცვის დამთავრების შემდეგ ბილის კრებაზე გული წაუვიდა. ის შინ წაიყვანეს. მთელი კვირა უგრძნობლად იწვა და ბოდავდა. პოლიციის ცხენებსა

და მეზღვაურთა ინტერნაციონალური კავშირის ლიდერებს ხედავდა.

ნორს-რივერიდან საშინელი ქარი უბერავდა, ის კი, ბილი, წინ მიუძღოდა და მტრის დარტყმებს იგერიებდა. მას ხიშტებით ჩხვლეტდნენ, სახანძრო ონკანიდან წყალს ასხამდნენ, პოლიციელთა ცხენები ზედ გადადიოდნენ და ამ საშინელ ხმაურში დროგამოშვებით შორიდან მერის ხმა ესმოდა.

ასეთი შფოთის შემდეგ მოულოდნელად, სიჩუმე ჩამოვარდა, ბილის ჩაეძინა. როცა გაიღვიძა, მის ახლოს მერი იჯდა და იღიმებოდა.

— გამარჯობა, წამებულო, როგორა ხარ? — მიმართა მერიმ, — აბა, ერთი ეს დალიე, — და სავსე ჭიქა ტუჩებთან მიუტანა.

ბულიონი ცხელი და გემრიელი იყო. ბილის უნდოდა დაელია, მაგრამ იმდენად დასუსტებული იყო, რომ ბაგეები არ ემორჩილებოდა და, როცა მერიმ მის თავს ხელი შეუშვა, ბილი ბალიშზე დაეშვა.

— ექიმმა მითხრა, რომ შენ ვერ მორჩებოდი, მაგრამ არ დავუჯერე, — უთხრა მერიმ. ის ისევ იღიმებოდა, მაგრამ თვალებზე მომდგარი ცრემლები მაინც უბრწყინავდა. — არა, ბილი, შენ ხომ ისეთ უმსგავსოებას არ ჩაიდენდი, რომ ამ ქვეყანაზე მარტო დაგეტოვებინე, ხომ სწორია?

ბილიმ თავს ძალა დაატანა და თავისი დასუსტებული ხელი მერის ხელს დაადო. პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ სიტყვების წარმოთქმა არ შეეძლო.

სანამ ბილი გამოჯანმრთელდებოდა, მერი მას, როგორც პატარა ბავშვს, ისე უვლიდა. როდესაც ბილი ცოტა მოღონიერდა და დაინტერესდა, რა ხდებოდა ქვეყნად, გაზეთები მოიკითხა, მაგრამ გაზეთების მიცემაზე ცოლმა უარი უთხრა.

როცა ბილიმ იკითხა, ნავსადგურში რა მდგომარეობაა, მერიმ თავი გააქნია.

— ყველაფერი რიგზეა. ახლა ამის დრო არ არის, ნუ შემეკითხები.

როდესაც ბილი ისე მოღონიერდა, რომ სახლიდან გასვლა შეიძლო, მერი და ბილი ცენტრალურ პარკში გაზაფხულის მზეზე საათობით დადიოდნენ. ისინი საუზმობდნენ ტერასზე, საიდანაც ზოოლოგიური პარკი მოჩანდა.

ბილი ნაკლებ სიამოვნებას არ გრძნობდა მხეცების ყურებით, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც სიხარულისაგან აღფრთოვანებაში მოდიოდნენ, როცა მხეცები წყალში ჭყუმპალაობდნენ.

— გახსოვს, სან-ფრანცისკოს მხეცების კლდე? — შეეკითხა ბილი მერის, — მაშინ მე შევნატროდი მათ, რა სჯობს იწვე შენთვის მზეზე და არავითარი დარდი არ გაწუხებდეს!

მერიმ ღრმად ამოიოხრა.

— იცი, რა შორს და მიუწვდომელად მეჩვენება სან-ფრანცისკო, ბილი? როგორ ფიქრობ, ჩვენ ოდესმე კიდევ მოვხვდებით იქ?

ბილის გაეღიმა.

— მერი, ხომ იცი, რომ ჩვენ ჯერ კიდევ თაფლის თვე არ გაგვიტარებია, — შეეკითხა ბილი, — რატომ არ შეიძლება, რომ ორივე ერთად რომელიმე გემზე მოვეწყოთ და სრულიად ახალ პირობებში გავცუროთ ზღვაში?

მერიმ თავი დახარა.

— ეს სასიხარულო საქმე იქნებოდა, — მიუგო მერიმ ღიმილით. — მაგრამ უკვე წინასწარ ვიცი, რა შედეგიც მოჰყვება ამას. ზღვაში გასვლის წინ შენ ისევ გადაიფიქრებ წასვლას, ვინაიდან ნავსადგურში არ შეიძლება რაიმე არეულობა არ მოხდეს და თაფლის თვის გატარება მარტო მომიხდება.

ბილი გახარებული იყო; თავის ცხოვრებაში ის მერისთან ერთად პირველად ატარებდა დღეებს და მომავალი ცხოვრების გეგმებს აწყობდა.

მერი რესტორანში მუშაობდა, მაგრამ როცა ბილი ლოგინად ჩავარდა, მაშინ სამუშაო მიატოვა.

— მერი, გამაგებინე, რა სახსრებით ვცხოვრობთ, — შეეკითხა ბილი ერთ დღეს.

— ჩემი დანაზოგი ფულით! — უპასუხა მერიმ, — შენ როგორ ფიქრობდი, ბილი?

ბილიმ წარბი შეიკრა.

— მე ეს არ მომწონს, შენს კმაყოფაზე არ მინდა ვიყო.

მერიმ ბილის პირზე ხელი დააფარა.

— ეხ! ბილი, როდის იქნება, რომ მამაკაცებს თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენა არ ექნებათ? მე მეგონა, სხვებზე გონიერი იყავი, შენ კი აქამდე უბრალო ამბავი ვერ შეგიგნია: როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, რაც მათ გააჩნიათ, ყველაფერი საერთოა.

*
* *

ერთი კვირის შემდეგ ბილიმ, როგორც მეზღვაურთა დაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა, რაიონულ კომიტეტში თავისი თანამდებობა ისევ დაიკავა. კავშირის მოღვაწეობამ ახლა უფრო მრავალფეროვანი და რთული ხასიათი მიიღო, ვიდრე გაფიცვის დროს.

მეზღვაურთა ინტერნაციონალური კავშირის წარმომადგენლები წინააღმდეგი იყვნენ მასების წარმომადგენლებთან კავშირის დამყარებისა. მეზღვაურთა მასები მოითხოვდნენ ერთი მთლიანი პროფესიონალური კავშირის ცენტრის ჩამოყალიბებას. აი სწორედ ამ არჩევნებზე მეზღვაურთა ინტერნაციონალური კავშირის წინააღმდეგ გამოვიდა ახლა ერთიანი „მეზღვაურთა ნაციონალური კავშირი“.

აღმოსავლეთ სანაპიროს მეზღვაურთა ცხოვრებაში მეორე დიდი გარდატეხა ამ ახალი კავშირის პირველი ყრილობა იყო.

„მეზღვაურთა ნაციონალური კავშირის“ პირველ ყრილობას, რომელიც 1934 წელს ივლისში ნიუ-იორკში იქნა მოწვეული, სანაოსნო კომპანიების გემთა რაზმებიდან 219 დელეგატი ესწრებოდა, მათ შორის ბილი ფარელიც იყო.

ყველა მზად იყო თავგამოდებით დაეცვა მასების ინტერესები, დიდი ყურადღებით უსმენდნენ, კამათში გამოდიოდნენ, თავიანთი შესწორებები შეჰქონდათ. ბოლოს ყრილობამ გამოიმუშავა ამერიკის მუშათა მოძრაობის ისტორიაში დაუვიწყარი წესდება.

1937 წლის 30 ივლისს ყრილობა დაახურა. დაღლილები, მაგრამ მაინც ენერგიით სავსე დელეგატები, დაიშალნენ; თავიანთ გემებზე და ნავსადგურებში დაბრუნდნენ.

ბილიმ ხალხში ოლ ფერისი მონახა და დარბაზიდან მზისგან გახურებულ ქუჩაში გამოვიდნენ. იქ გახურებული და აღფრთოვანებული მეზღვაურები ყრილობის შესახებ მსჯელობდნენ. ხალხი ერთიმეორეს ეხლებოდა.

ოლ ფერისი ბილის გვერდში მუჯლუგუნს ურტყამდა და ეკიდხებოდა:

— ჰა, როგორა ხარ, ყმაწვილო? ოდესმე აზრად თუ მოგივიდოდა, რომ ამ დღეს მოვესწრებოდით?

კუთხეში ერთიმეორეს დასცილდნენ. თვითეულ მათგანს უნდოდა ოჯახში წასულიყო და ერთი დღე მაინც დაესვენა. რადგან წინ იყო ახალი, მომავალი ბრძოლის ეტაპი: საჭირო იყო ახალი კავშირის განმტკიცება, როგორც ავანგარდისა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა საზღვაო ტრანსპორტის ყველა მუშას.

ოლმა გამომშვიდობებისას ბილის მეგობრული რჩევა მისცა:

— მხნედ იყავი, მეგობარო, შენს ძალ-ღონეს გაუფრთხილდი. ჩვენ ის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაგვჭირდება. ის სიძნელეები, რაც აქამდე გადავიტანეთ, ზღვაში წვეთია შედარებით იმასთან, რაც მოგველის. ბრძოლა არ დასრულებულა, ნამდვილი ბრძოლა აწი იწყება!

თარგმანი ინგლისურიდან
Ე. ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა ონაშვილი

ერთად!

მოთხრობა

★

კოხტა შარვალში გამოწყობილი დათუნაანთ ლურჯს რომ მოახტება და გააფრენს, მოდი და იფიქრე, რომ ეს ნაზი ქალია. თბილისში, ინსტიტუტში სწავლის დროს, რამდენჯერ ყოფილა დოღის მონაწილე, ქალთა შორის რამდენჯერ აუღია პირველობა. ყოველდღე რომ ფერმიდან არ ამოაჭენოს ცხენი და ცხვარს არ დახედოს, რა მოასვენებს?.. იმ დღესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უარი უთხრა „პობედით“ წამოსვლაზე, — ჩემი ლურჯა მირჩევნიაო, და სანამ მანქანა დიდი გზით ფარეხში ამოისრიალებდა, მან, მოკლე გზით წამოსულმა, მოხუც მეცხვარეებს გაზეთიც წაუკითხა.

მერე რა მადლიანი ხელი აქვს! რაც ეგ გამოგზავნეს ვეტექიმად, ერთი ბატკანიც არ დაჰკლებია ფარას. სახეც როგორი მარილიანი აქვს! ღიმილით რომ შემოგხედავს, ჟრუანტელი დაგივლის ტანში. არა, საკვირველი ის არის, ამოდენა ვაჟკაცი სიტყვას რომ ვეღარ პოულობს ხოლმე, როცა მასთან საუბრობს. იმ დღეს ხელი რომ ჩამოართვა და თვალებში პირდაპირ შეხედა, მიხას სულ ცეცხლი წაეკიდა, ძლივს გაითავისუფლა ხელი მისი პატარა, თეთრი ხელისაგან და თავისუფლად ამოისუნთქა. არა, მაინც რატომ ვერ იშორებს მის სახეს თვალიდან, ჰა?

— შვილოსა, ქალი ვის არ ჰყვარებია, მაგრამ ერთ მეტრზე ცხვირი არ ჩამოუშვია — მოესმა ჩაფიქრებულ მიხას და ფერდში ერთი ლაზათიანი მუჯლუგუნი მოხვდა.

გამოერკვა. ნელი ნაბიჯით მიმავალს თანშეზრდილი სანდრო მისდევდა და ჩვეული გულწრფელობით იღიმებოდა.

მზე კარგახნის ჩასული იყო და ცივი გომბორის შორეული მთები უზარმაზარი დევებივით მოჩანდნენ. ჩამუქებული ცა ციცინათელებით მორთულ შავ ნაბადს დამსგავსებოდა. საერთო მყუდროებას მხოლოდ ქოფაკების კანტიკუნტი ყეფა და ვიღაცის ტკბილი ღიღინი არღვევდა. ეს შავთვალა, წარბებგადაბმული გიგო მღეროდა, ცხვარს რომ მოსდევდა მაღალი კომბლით და, ღიღინში გართული, ყურადღებას არც კი აქცევდა ორ მეგობარს.

— მითხარი, რამ ჩაგაფიქრა, გიყვარს, არა? — არ ეშვებოდა სანდრო მიხას.

— რას ამბობ, ბიჭო, ვინ მიყვარს, ხომ არ გაგიჟდი.

— გაგიჟებისა რა მეტყობა? ვიცი, ვიცი, ყველაფერი ვიცი!..

— რა იცი მაინც?

— ის, რომ გიყვარს!

— ვინ მიყვარს?

— ვინ და ისა, ნანა, ჩვენი ვეტექიმი.

მიხა წამოწითლდა და მეგობარს აღარაფერი უპასუხა.

— რად გაჩუმდი?

— დამანებე თავი, თუ ძმა ხარ; გირჩევნია ფეხს აუჩქარო. ბალახმა შორს

გამოგვიტყუა და ვინ იცის, ბინებამდე როდის ჩავრეკავთ ცხვარს.

— არა, ძალიან გოგო კია, კაცმა რომ თქვას, — არ ცხრებოდა სანდრო, — შენც როდი ხარ ურიგო ბიჭი; უარზე რატომ იქნება? მე შენ გეტყვი, ვაქკაცობა გაკლია, თუ სახელი. ჰო და, ძმაო, საქმე გაჩარხულია, შემოდგომაზე შენს ქორწილში ცხრილით წყალს მოვიტან! სანდროს უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ ძაღლების გაბმულმა ყეფამ აიძულა შეეწყვიტა საუბარი.

— თხა დაიჭით, ბიჭებო, ცხვარი არ დაიფანტოს! — დაიძახა უცებ მიხამ და ფრთაშესხმულივით შეერია დამფრთხალ ფარას.

მყუდრო ღამეში ორლულიანი თოფის ზათქი გაისმა, რომელიც გაბმულად გაიმეორა შორეულმა ხევებმა.

სანდრო ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს ბინდში, რომელიც ხელისგულივით გაშლილ მინდორს დასწოლოდა, თეთრი ცხვრების მეტი არაფერი ჩანდა.

სანდრო უცებ ვერ მიხვდა, რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ მალე გამოერკვა და იქით გაიქცა, საითაც თოფი გაისროლეს.

წინმავალი თხისათვის გოგის რქებში ღონიერი ხელები ჩაევლო და ფარა გაეჩერებინა. მიხა მიწაზე გაშხლართულ ცხვართან დაჩოქილიყო, ფარაჯა გაეხსნა და თავის ქათქათა პერანგს ოთხი თითის სიგანე ნაჭერს ახევდა. ცოტა მოშორებით მოზრდილ მგელს გაეჭიმა ფეხები.

— რა მოგვიდა, ბიჭო? — შეშფოთებით იკითხა სანდრომ და მეგობრისაკენ დაიხარა, — ხომ არ დაიჭერი, მგელმა ხომ არ გაგაწრა.

— არა, მე არაფერი მიჭირს... საიდან წამოგვეპარა ის სატიალე, მაკე ცხვარი დაუგლეჯია, — მიხამ როგორც იქნა, ჩაახია პერანგს ნაჭერი და ცხვარს მაგრა შეუკრა ფეხი, საიდანაც თქრიალით გადმოსდიოდა თბილი სისხლი.—რა ვუშველო ახლა ამას? ბინებამდე მაინც ჩაგვეყვანა როგორმე, — წარმოსთქვა ნაღვლიანად და წამოდგა.

— სანამ ფარეხში ჩავალთ, ეგ საცოდავი სისხლისაგან დაიცლება. მოდი და ყელი გამოსჭერი, უსულადი მაინც არ მოკვდეს!

— რას ამბობ, ბიჭო! ამდენი ხნის მეცხვარე ვარ, ბეწვი მატყლი არ დამკარგვია და მაკე ცხვარს ყელი გამოვჭრა? — მიხა ისევ დაიხარა ცხვრისაკენ, — იცით რა ბიჭებო? ცხვრის ფეხზე სიარული ხეირს არ დაგვაყრის; მოდი, მე დავწინაურდები და ცხვარს თქვენ გამოჰყევით. იქნებ დიდ გზაზე მანქანა ვნახო და მალე ჩავიდე. თქვენ არაფერი გაგიჭირდებათ, ორნი ხართ.

— ჩვენ რა უნდა გაგვიჭირდეს, მაგრამ შენ როგორ ჩაიყვან ამ სიმძიმე ცხვარს ზურგით, მანქანა რომ არ შეგხვდეს?

მიხამ აღარაფერი უპასუხა, ფარაჯა შეიკრა, სამკუთხა ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა და ცხვარი მხრებზე მოიგდო.

აბა, თქვენ იცით და თქვენმა ვაქკაცობამ, ცხვარს გაუფრთხილდით!—გასძახა უკვე შორს წასულმა მეგობრებს და სირბილით დაეშვა ურმის თვლებით დახაზულ გზაზე, რომელიც კარგა მოშორებით ორად იყოფოდა: ერთი განივრად მიდიოდა ოდნავ თავქვე და შორს უვლიდა გაშლილ მინდვრებს, მეორე კი ვიწრო ბილიკად მიიშოლტებოდა ძეძვებს შუა და კარგა ღრმა ხევის ნაპირს მიჰყვებოდა.

მიხამ ჯერ დიდი გზით წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა— ვაი თუ მანქანა არ შემხვდეს და გზა

გავიგრძელოო, — თვალის დახამხამებაზე გადაირბინა მინდორი და ვიწრო ბილიკით მიმავალი მაღალ ფიჩხნარში შთაინთქა.

მკვიდრი ქოხის დაბალ, სამკუთხედის ფორმის ჭერს საკვამურებიდან ასული კვამლი შავი საღებავით ხატავდა. გაჭვარტლულ კედლებზე აქა-იქ სიმინდის ქეჩეჩები და ბრტყელფოთლიანი ბალახები გამოშვერილიყო. ცეცხლის ირგვლივ მსხდომთ სახეები წითლად აელვარებოდათ. ნაკვერცხლებზე სადუღრით დადგმული ლობიო გულიანად თუხთუხებდა. ცეცხლის აქეთ-იქით ორი მოზრდილი ქვა იდო, რომლებზეც ხის შამფურები გაედოთ; მწვადი ერთი ამბით შიშხინებდა... იქვე, კუთხეში, უშველებელი ქვაბით ახლადმოწველილი რძე იდგა, რომლისთვისაც გაქათქათებული ტილო გადაეფარებინათ, რომ ბოლი, ან მტვერი არ ჩასულიყო.

— ბიჭები რად იგვიანებენ? ცხვარი ყველამ მორეკა მათ გარდა? — იკითხა ხანშესულმა მეცხვარემ და მოუთმენლად გაიხედა გარეთ.

— ბალახმა თუ გაიტყუა შორს. რა გაფიქრებს? ლომებივით ბიჭები არიან ცხვარს არაფერს დაუშავებენ და... უპასუხა მოხუცმა დათუნამ და მის გვერდით მჯდომ თბილ შარვალ-ხალათში გამოწყობილ ახალგაზრდა ქალს მიუბრუნდა, რომელიც ლობიოს დუღილით აცეკვებულ სადუღრის ხის სახურავს დასჩერებოდა.

— აბა, სტუმარო, ჩვენთან დარჩენა რომ მოისურვე, თივის ლოგინში უნდა მოგასვენოთ. რას იზამ, შვილოსა, ლოგინს თან ვერ ვატარებთ და... ეგეც არ იყოს, დაილოცოს ჩვენი თბილი ტყავები და თივა.

მოხუცი კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, რომ ქოხის დაბალ კარში მოხრილი შემოვიდა ახოვანი ვაჟკაცი, ზურგზე რომ ცხვარი მოეგდო.

— მიხა, შენა? რა მოგივიდათ, ბიჭო? — წამოიძახა ბერებაბამ, ახალგაზრდული სიმარდით წამოეჭრა და ჭაბუკს ცხვრის ჩამოღება უშველა.

— ი, სატიალე, მგელი წამოგვეპარა და...

— ფარა სადღაა?

— ბიჭები მიერეკებიან. მე გამოვასწარი; ეს მაკე ცხვარი სასიკვდილოდ არ მემეტება, — წარმოსთქვა მიხამ და ცეცხლისკენ შემობრუნდა. ნანას დანახვაზე შეცბა და უხერხულად გაჩერდა კართან. აღარ იცოდა ხელები როგორ დაეჭირა: სწორედ ჩამოეშვა, უკან წაეღო, თუ...

ნანა ცხვართან მივიდა, დაიხარა და ტკივილისაგან გასავათებულ პირუტყვს თვალებში ჩახედა. მერე მიხას მიუბრუნდა და სთხოვა ეშველა, ცხვარი ახლოს მიეყვანათ ცეცხლთან.

ქოხში საკმაო სინათლე იყო და ნანამ შეამჩნია, როგორ მოედო ჭაბუკს სახეზე ალმური. თვითონაც წამოწითლდა, გაიღიმა და ცხვარს ფეხი გაუსინჯა.

— არც ისე ღრმადა აქვს კბილები გაყრილი, — წარმოსთქვა მან და პატარა ჩემოდანი გახსნა.

— მაშ მორჩება? — ისე გულწრფელად იკითხა მიხამ, რომ ქალმა აღტაცება ვერ დაფარა.

— კარგია, ასე რომ გიყვარს შენი საქმე, — უთხრა მან ვაჟს და გაუღიმა.

მიხამ თვალები დახარა და გაუბედავად უპასუხა:

— ეგ რომ მოკვდეს, ერთ ბატკანსაც დავკარგავთ. ასე ცალობით თუ არ გავუფრთხილდით, რა გამოვა? განა ცოტაა ერთი დედა ცხვარი და ერთი ბატკანი? — ხმაში თანდათან გამბედაობა დაეტყო, უფრო გათამამდა; ახლა ხელებსაც მოუნახა ადგილი, ერთხელ

კიდეც გადახედა ქალს, მაგრამ თვალის გასწორება კი მაინც ვერ გაბედა. — მერე, წელს პირველად იგებს ეს ცხვარი და ვინ იცის, როგორი გამოდგება. მაშ მორჩება, ჰა?—იკითხა კიდევ, როცა ქალის სახეზე იმედიანი ღიმილი შეამჩნია.

— უსათუოდ... სულ რამდენიმე დღეში განიკურნება.

— ამ დალოცვილის ხელში საქონელი დაიღუპება? სწორედ ბედზე შეესწრო ამ ცხვარსაც ალ, — წარმოთქვა იქვე მდგარმა ახალგაზრდა მეცხვარემ და სხვებს გადახედა, თითქო მათგან დასტურს ელოდა.

შექებამ ნანას ლოყები შეუფაკლა.

*

* *

ორი კვირა გავიდა და ფერმაში ჩამოსულმა მოხუცმა მეცხვარე დათუნამ შეატყობინა ნანას, რომ დოლი იწყებოდა.

ჰო, და აბა მას ფერმაში რაღა გააჩერებდა? მით უმეტეს, რომ ამხანად აქ საქმე აღარაფერი ჰქონდა; დოლში კი მეცხვარეებს კარგად წააშველებდა ხელს.

გარიჟრაჟი იყო, ცხენს რომ მოახტა და დათუნასთან ერთად ფარეხისაკენ გააჭენა.

მიწურული თებერვალი ისევ ძლიერად სუსხავდა სახეს. ზამთრისაგან უწყალოდ გაძარცულ ხეებს თითქოს მაღლა, დანისლული ცისაკენ აღეპყროთ დაჩონჩხილი ტოტები. ბინდბუნდში თვალებდაჭყეტილი ცისკრის ვარსკვლავი ციალებდა. აღმოსავლეთით ცას მტრედისფერი ემატებოდა. ცივი, მაგრამ ხალასი ჰაერი სიცოცხლის ხალისად იჭრებოდა მგზავრებში.

ფარეხს რომ მიაღწიეს, უკვე საკმაოდ ინათა. ბინდი შორეულ მთებში ჩაინთქა და მზის მოლოდინში აღმოსავლეთით შეწითლებულმა ცამ გაშლილ მინდორზე დაფენილი რთვილი აქათქათა.

ფარეხში საერთო სიცოცხლე და ხალისი მეფობდა, ყველა საქმეში იყო გართული.

— მშვიდობა თქვენს საქმეს, ძიაკაცო! — მიესალმა ნანა ხანშესულ მეცხვარეს და ცხენიდან ჩამოხტა.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოს, შვილო! სწორედ რომ გაჭირვების ტალკვესი ხარ, შე დალოცვილო; ძალიან გვჭირდება ახლა შენი მარჯვენა.

— დოლს როგორი პირი უჩანს, ძია?

— მტერს რომ თვალს დაუბრმავებს, ისეთი! აბა, შვილო, ქოხში შემოდი, ხელები მოითბე და მერე გავიდეთ ცხვართან.

— არა, არ მცივა, ახლავე წასვლა აჯობებს. ცხვარი შორს არის?

— არა, სულ ეს ნაბიჯზე თუ იქნება.

— წავიდეთ! — ნანამ დართვილული მხრები და შარვალი ჩამოიბერტყა და ჩქარი ნაბიჯით მიმავალ მწყემსს გაჰყვა.

ოცი ნაბიჯიც არ გაევლოთ, რომ მათკენ სირბილით მიმავალი მიხა შენიშნეს, რომელსაც აქეთ-იქით ორი ახალდაბადებული ბატკანი ეჭირა და ხან ერთს დახედავდა, ხან მეორეს.

— რა მოგარბენინებს, ბიჭო? — ჰკითხა მწყემსმა, როცა მიხა მათ წინ შეჩერდა.

— დათუნამ მითხრა ექიმი ჩამოვიდაო და მასთან მოვრბოდი.

— ექიმის ნახვას მერე ვეღარ მოასწრებდი?

— მოვასწრებდი, მაგრამ აი, ესენი მინდოდა მეჩვენებინა.

— რა, ბატკნები ჯერ არ უნახავს?

— ესენი ამის მიერ განკურნებულმა ცხვარმა მოიგო.

— ორივე? — ერთხმად ჰკითხეს მწყემსმა და ექიმმა.

— ჰო, ორივე, ტყუპი მოიგო... — მიხამ ორივე ბატკანი ხელში მიაჩეჩა ნანას.

ნანამ გულში ჩაიკრა ისინი, მოეფერა და ისევ მიხას დაუბრუნა.

— მაშ ეს ცხვარი ტყუპს იგებს, არა? კარგი შენაძენია იგი კოლმეურნეობისა. ყოჩაღ, მიხა, ეს ორი ბატკანი და ეს შესანიშნავი ჯიშის ცხვარი შენი დამსახურებაა.

— მე რა? ცხვარი თქვენ გადაარჩინეთ და...

— შენ რომ დროზე არ მოგეყვანა, მე ველარაფერს ვუშველიდი.

— მაშ ჩვენ ორივემ ერთად გადავარჩინეთ! — გულწრფელად წარმოთქვა მიხამ და პირველად ახლა გაბედა ქალისათვის თვალებში შეეხედა.

მიხამ ორივე ბატკანი მარცხენა ხელში დაიჭირა და ქალის პატარა ხელი საკუთარ ხელში მოიმწყვდია.

— ერთად? — წარმოთქვა აღფრთოვანებულმა და თვალებში ისევ შეხედა.

ნანამ თავი დახარა.

დიდხანს იდგნენ ჩუმად. ღიმებოდნენ და არც ერთს არ უცდია ხელის განთავისუფლება.

ბესარიონ ქლენგი

დადებითი გმირის პროგლემა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში

★

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში შეიკრიბება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება, როგორც ჩვენი სოციალისტური ლიტერატურის განვითარებაში, ისე კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მთელს იდეურ ცხოვრებაში.

ყრილობამ უნდა შეისწავლოს, გაიაზროს და განაზოგადოს ის უაღრესად მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება, რომელიც დააგროვა ჩვენმა ლიტერატურამ — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეურმა ლიტერატურამ, — სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის შემდეგ განვლილი ოცი წლის მანძილზე.

ეს ორი ათეული წელიწადი, როგორც ჩვენი სამშობლოს ისტორიაში, ისე მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებით აღინიშნა. სამამულო ომის წინა წლებში, დიდი სტალინური ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად დაამთავრა სოციალისტური საზოგადოების აშენება ჩვენს ქვეყანაში. სამამულო ომის მრისხანე წლებში ჩვენმა ქვეყანამ გამანადგურებელი დარტყმით უპასუხა საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული ძალის, ფაშიზმის აგრესიას, და თავისი დევგმირული მკერდით არა მარტო დაიცვა ჩვენი სამშობლოს სიცოცხლე და თავისუფლება, არამედ ფაშისტური ბარბაროსობისაგან იხსნა მთელი საკაცობრიო კულტურა და ცივილიზაცია. ომისშემდეგი მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში ჩვენმა სამშობლომ სწორუპოვარი სისწრაფით მოიშუშა ომით მოყენებული წყლულები. საბჭოთა ხალხის გმირულმა შრომამ არა მარტო აღადგინა ომით დაზარალებული ჩვენი სახალხო მეურნეობა და კულტურა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება და უფართოესი გასაქანი მისცა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას. საბჭოთა ხალხი სათავეში ჩაუდგა პროგრესული კაცობრიობის ბრძოლას მთელ მსოფლიოში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის და ამ ბრძოლაში თავის გარშემო შემოიკრიბა მსოფლიოს ყოველი კუთხის პატიოსან ადამიანთა მილიონები. ყოველდღიურად იზრდება და ძლიერდება სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციები, სოციალიზმისა და დემოკრატიის საერთაშორისო ბანაკი.

თანამედროვეობის ამ უდიდესმა ისტორიულმა მოვლენებმა განსაზღვრეს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების შინაარსი და ხასიათი საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის შემდეგ განვლილი ორი ათეული წლის მანძილზე. კომუნისტური პარტიის წარმმართველი და შთამაგონებელი ხელმძღვანელობის მეოხებით, სინამდვილესთან, ჩვენი ხალხის ბრძოლისა და შემოქმედების პრაქტიკასთან განუყოფელი კავშირის ნიადაგზე, ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხის ლიტერატურამ ამ ხნის განმავლობაში შექმნა მრა-

ვალი დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომლებშიც დიდი სიღრმით არის გამოხატული ჩვენი დროის მოვლენათა სოციალური აზრი და მნიშვნელობა. ეს ნაწარმოებნი არა მარტო დიდის წარმატებით ემსახურებიან საბჭოთა ხალხის იდეური აღზრდისა და სულიერი შეიარაღების საქმეს, არამედ უდიდეს როლს ასრულებენ მთელი პროგრესული კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საბჭოთა მწერლობა წარმოადგენს დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის იდეურ ძალას, რომელიც გზას უნათებს მსოფლიოს უბრალო ადამიანთა მილიონებს, მათს კეთილშობილურ ბრძოლაში კაპიტალისტური მონობისა და ტირანიის წინააღმდეგ.

ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური ლიტერატურის მიერ ასეთ შემოქმედებით წარმატებათა მიღწევაში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა მწერლების პირველმა საკავშირო ყრილობამ, რომელსაც უშუალოდ მეთაურობდა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის გენიალური ფუძემდებელი მაქსიმ გორკი. ჩვენს პირველ ყრილობას წინ უსწრებდა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილება „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“, რომელმაც გააუქმა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, სხვა ყველა განცალკევებული სამწერლო ორგანიზაციები და დასახა ნათელი პროგრამა ჩვენი ლიტერატურის სასიცოცხლო ძალების გაერთიანებისათვის კომუნისტური პარტიის პოზიციებისა და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების გარშემო. საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი ძალების ასეთი გაერთიანების იდეა შეადგენდა ჩვენი პირველი ყრილობის ძირითად პათოსს, მისი მუშაობის სულსა და გულს. იმ ყრილობის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს კი წარმოადგენდა დიდი სტალინის მიერ ჩამოყალიბებული გენიალური ფორმულა სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის შესახებ, რომლის შინაარსიც მთელი სიღრმით და სიზუსტით განმარტა ამხანაგმა ა. ჟდანოვმა თავის სიტყვაში საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე.

ახლა საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის მუშაობას საფუძვლად დაედება ის დიდი ამოცანები, რომლებიც დასახულია ამის შემდგომ წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებებში იდეოლოგიის საკითხებზე და კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობის დოკუმენტებში. პარტიის მე-19 ყრილობამ საბჭოთა მწერლობას ძირითად ამოცანად დაუსახა საბჭოთა ხალხის მაღალ სულიერ თვისებათა, მისი ხასიათის დადებითი ტიპიური ნიშნების გამოხატვა ისეთ დიდსა და მკაფიო სახეებში, რომლებიც მაგალითის მიმცემ, მისაბაძ ნიმუშებად უნდა გამოადგეს ხალხს. ამასთანავე, ყრილობამ მოითხოვა საბჭოთა მწერლებისაგან ჩვენი სინამდვილის უარყოფითი მოვლენების, კაპიტალისტური წარსულის, ბნელი გადანაშთების დაუნდობელი მხილება, გოგოლისა და შჩედრინის სატირული ტრადიციების აღორძინება და განვითარება, სატირის ცეცხლით ამოწვა ყოველივე იმისა, რაც აფერხებს ჩვენი ხალხის წინსვლას კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე. პარტიის მე-19 ყრილობამ მოგვცა სოციალისტური ესთეტიკის ძირითადი პრობლემის — ტიპიურობის ღრმად მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური გაშუქება, რითაც ფასდაუდებელი დახმარება გაუწია სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შემდეგომი დამუშავების საქმეს. უეჭველია, რომ ამ შემოქმედებით პრობლემათა დამუშავება, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქაში მწერლობის წინაშე წამოყენებული ახალი ამოცანების გააზრება და მათი წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი გზების დასახვა განსაზღვრავს საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის შინაარსს. ყრილობის მუშაობაში საბჭოთა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებიც. ეს გარემოება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ლიტერატურის წამყვან როლს თანამედროვე კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში და გააძლიერებს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის პოზიციებს ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, თავისუფლებისმოყვარე ხალხების კულტურულ შემოქმედებაში. მრავალ-

ეროვანი საბჭოთა მწერლობა და მასთან ერთად მთელი ჩვენი ხალხი კანონიერად მოელიან, რომ საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს ჩვენი სოციალისტური ლიტერატურის განვითარებას. საბჭოთა მწერლობის ყოველი ეანრის შემოქმედებით პრობლემებთან ერთად ყრილობა შეისწავლის და განიხილავს აგრეთვე სამწერლო ორგანიზაციების მუშაობის, მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობისა და სალიტერატურო პრესის საკითხებსაც, რათა ჩვენი დიდი ლიტერატურული მეურნეობის ყოველი სფერო გარდაიქმნას და გაუმჯობესდეს იმ ახალი დიდი ამოცანების შესაბამისად, რომლებსაც ლიტერატურის წინაშე აყენებს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი.

*
* *

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისათვის სამზადისის პერიოდში ჩვენს სალიტერატურო პრესაში ფართოდ გაიშალა ცხოველი შემოქმედებითი დისკუსია, რომლის ცენტრშიც სავსებით ბუნებრივად აღმოჩნდა ჩვენი ლიტერატურის დადებითი გმირის პრობლემა. კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ამხ. გ. მალენკოვი აღნიშნავდა, რომ ჩვენი მწერლები და მხატვრები „დადებითი მხატვრული სახეებით უნდა გვიჩვენებდნენ ახალი ტიპის ადამიანებს, მათი ადამიანური ღირსებების მთელ მშვენიერებას და ამით ხელს უწყობდნენ ჩვენი საზოგადოების ადამიანებში ისეთი ხასიათის, ზნე-ჩვეულებების დანერგვას, რომლებიც თავისუფალია კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი წყლულებისა და მანკიერებისაგან“. აქედან ცხადია, რომ დადებითი გმირის საკითხი ამჟამად ჩვენი ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. ამ საკითხთან უშუალოდ დაკავშირებულია სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ისეთი ძირითადი პრობლემა, როგორიცაა ტიპიურობის პრობლემა — ეს ყოველთვის პოლიტიკური პრობლემა, — პარტიულობისა და იდეურობის გამოვლინების ძირითადი სფერო რეალისტურ ხელოვნებაში. ასევე მჭიდროდაა დაკავშირებული ამ საკითხთან ცხოვრებისეული კონფლიქტების გამოხატვის პრობლემაც, რადგან ჩვენი დროის გმირის სრულფასოვანი მხატვრული სახის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ სინამდვილის სწორი და მრავალმხრივი ასახვის პირობებში, სინამდვილის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა და კონფლიქტების სრული გათვალისწინებით. დადებითი გმირის პრობლემის გაშუქება შეუძლებელია ლიტერატურის პარტიულობის ლენინური მოძღვრების გაუთვალისწინებლად, ჩვენი ლიტერატურის მაღალი ოსტატობის, მისი ხალხურობის, მისი თემატიკური მრავალფეროვნებისა და აქტუალობის საკითხების გაუთვალისწინებლად. ამრიგად, დადებითი გმირის პრობლემა მოიცავს საბჭოთა მწერლობის მსოფლმხედველობის, მისი შემოქმედებითი მეთოდის, მისი შინაარსისა და მხატვრული ფორმის ყველა ძირითად საკითხს, ამიტომაც იმსახურებს ეს პრობლემა არა მარტო მწერლების, არამედ საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართო წრეების ინტერესსა და ყურადღებას.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის თავისებურებას განსაზღვრავს როგორც მისი მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი მეთოდი, ისე გამოხატულების ძირითადი საგანიც, მისი ახალი შინაარსიც და ასევე ახალი და თავისებური მთავარი გმირიც. ჩვენი მწერლობის გამოხატულების ძირითად საგანს ჩვენი ხალხის ცხოვრება, მისი ბრძოლა და შრომა შეადგენს, ხოლო მის მთავარ გმირს — კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი თავისი მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროთი, თავისი მაღალი იდეალებით, ნათელი მორალური თვისებებით.

სულ სხვაგვარი გმირი ჰყავს თანამედროვე რეაქციული სამყაროს მწერლობას, რადგან სულ სხვაგვარია მისი შინაარსი, მისი მიზანი და ამოცანები. რეაქციული, ბურჟუაზიული მწერლობის მთავარ გმირს წარმოადგენს სასიკვდილო აგონიით შეპყრობილი სამყაროს ტიპიურად განმასახიერებელი, სულიერად და ხორციელად გახრწნილი და დაცემული ადამიანი. ამერიკისა და ევროპის ბურჟუაზიული მწერლობის თანამედროვე ქურუმები ძალღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ გამოხატონ ყოველგვარი დაცემულობა, უხამსობა

და სიმახინჯე, შარავანდედით შემოსონ ბნელი პესიმიზმის გესლით გულგამოჭმული, ზნეობრივად და გონებრივად გამოფიტული და დაძაბუნებული ადამიანი. ქურდებსა და ჰომოსექსუალისტებს, მკვლელებსა და ეროტომანებს დასტრიალებს თავს რეაქციული სამყაროს თანამედროვე მწერლობა. ამ ლიტერატურის ერთადერთი დანიშნულება ისაა, რომ სულიერად განაიარაღოს, გონებრივად გამოფიტოს და მორალურად გახრწნას ადამიანი, დააჩლუნგოს ხალხის გონება და დასცეს მისი ზნეობა, რადგან რეაქციულმა ბურჟუაზიამ კარგად იცის, რომ, ვიდრე კაცობრიობას ნათელი გონება და მაღალი ზნეობა შერჩენია, შეუძლებელი იქნება ახალი სისხლისმღვრელი ომის გაჩაღება ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ, სოციალიზმისა და დემოკრატიის საერთაშორისო ბანაკის წინააღმდეგ.

ამიტომ აცხადებს ასეთი ცინიკური გულახდილობით ფრანგული ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ქურუმი ჟან ჟონე—ჩემი ახალი რომანების გმირები მხოლოდ ქურდები და ჰომოსექსუალისტები იქნებიანო. ამიტომ არა ჰფარავს ამერიკელი რეაქციონერი მწერალი ჰენრი მილერი თავის ავადმყოფურ გატაცებას უხამსობის გამოხატვით, რადგან მისი აზრით, უხამსობა ისევე აუცილებელია მოზრდილთათვის, როგორც ბავშვებისათვის ზღაპრები ფერიების შესახებო. ყოველივე ეს ბუნებრივი და კანონზომიერია მომაკვდავი სამყაროს ლიტერატურისათვის და ბუნებრივია ისიც, რომ მწერლობის მთავარი გმირის საკითხი ერთ-ერთი მთავარი საბრძოლო პუნქტია ჩვენს ლიტერატურასა და კაპიტალისტური რეაქციის მწერლობას შორის.

ჩვენი მწერლობა თავის უმთავრეს დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ სულიერად აამაღლოს ადამიანი, იდეურად და გონებრივად შეაიარაღოს და გაამდიდროს იგი, სრულყოს მისი ზნეობრივი სახე, რადგან მხოლოდ ასეთ ადამიანს, — ნათელი გონების, მტკიცე რწმენის, სპეტაკი და მშვენიერი იდეალების ადამიანს შეუძლია განახორციელოს ჩვენი დიადი საბოლოო მიზანი — კომუნიზმი. ეს დანიშნულება განსაზღვრავს ჩვენი მწერლობის შემოქმედებით მეთოდსაც და მის შინაარსსაც, მაშასადამე მისი მთავარი გმირის ხასიათსაც. ასეთი სულისკვეთებით ხალხისა და კერძოდ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა შესაძლებელია უპირატესად ისეთი დადებითი ადამიანების მაგალითზე, რომლებიც ღირსეულად განასახიერებენ საბჭოთა ხალხს, მის მაღალ პატრიოტულ შეგნებას, მის ინტერნაციონალიზმს, მის მებრძოლ და შემოქმედ სულს, ყველაფერს იმას, რაც საუკეთესო და უმაღლესი გაჩენია საბჭოთა ადამიანს. აქედან გამომდინარეობს ის დებულება, რომ ჩვენი მწერლობის მთავარ გმირს, ჩვენი დროის მოწინავე ადამიანი, დადებითი გმირი უნდა წარმოადგენდეს. ხალხისა და პარტიის ეს მოთხოვნა არაერთხელ გამოხატულა სახელმძღვანელო პარტიულ დოკუმენტებში. კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობამ კიდევ ერთხელ ახალი ძალით და სიღრმით აღნიშნა, რომ „რეალისტური ხელოვნების ძალა და მნიშვნელობა ის არის, რომ მას შეუძლია და კიდევაც უნდა გამოავლინოს და გვიჩვენოს რიგითი ადამიანის მაღალი სულიერი თვისებები და მისი ხასიათის ტიპიური დადებითი ნიშნები, შექმნას მისი მკაფიო მხატვრული სახე, რომელიც სამაგალითო და მისაბაძი იქნება ადამიანებისათვის“.

ხალხისა და პარტიის ეს სავსებით გარკვეული მოთხოვნა სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ლიტერატურა მარტო სინამდვილის დადებითი მოვლენებისა და დადებითი ადამიანების გამოხატვით განისაზღვროს. საბჭოთა მწერალს უფლება არა აქვს თვალი დახუჭოს სინამდვილის უარყოფით მოვლენათა წინაშე, მამხილებელი ძალით არ გამოხატოს მანკიერი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან საბჭოთა საზოგადოებაში. მხოლოდ ვულგარიზატორებმა და გამაუბრალოებლებმა წარმოიდგინეს, რომ რაკი ჩვენი ლიტერატურა ცხოვრების განმამტკიცებელი ლიტერატურაა, რაკი მის მთავარ გმირს დადებითი ადამიანი შეადგენს, ამიტომ მან უარი უნდა თქვას თავის კრიტიკულსა და მამხილებელ დანიშნულებაზე და მხოლოდ სახოტბო და მადიდებელი მოტივებით განისაზღვროს. ეს ვულგარიზატორული თვალსაზრისი, რომელიც წარმოადგენდა „უკონფლიქტობის თეორიის“ მასაზრდოებელ საფუძველს, ისე შორსაა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის

ბუნებისაგან, როგორც ცა — დედამიწისაგან.

სოციალისტური რეალიზმის მწერლობა იმიტომ არის ყველაზე მართალი, ყველაზე ნამდვილად რეალისტური მწერლობა საკაცობრიო კულტურის მთელს ისტორიაში, რომ იგი არ ითმენს არავითარ ცალმხრივობასა და შეზღუდულობას სინამდვილის გამოხატვაში. იგი სინამდვილეს განიხილავს მთელს თავის მრავალფეროვნებაში, თავისი ყველა წინააღმდეგობისა და სირთულის გათვალისწინებით, მისი განვითარების კანონზომიერებაში ჩაწვდომით, პერსპექტივის ხილვით და წინათგრძნობით. ჩვენს საბჭოთა სინამდვილესაც, ისე როგორც სხვა ყოველგვარ საზოგადოებრივ სინამდვილეს, თავისი წინააღმდეგობანი და კონფლიქტები გააჩნია, თუმცა არსებითად განსხვავებული წინა საზოგადოებრივი ფორმაციების ანტაგონისტური კონფლიქტებისაგან. ამიტომაც ჩვენი დროის დადებითი გმირის გამოხატვა შესაძლებელია მხოლოდ იმ კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა ვითარებაში, ძველისა და ახლის, პროგრესულისა და რეაქციულის იმ ურთიერთშეჯახების ვითარებაში, რაც ახასიათებს ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებას. შეუძლებელია სრულყოფილად გამოიხატოს დადებითი გმირის ძალა და მშვენიერება, თუ იგი არ ვუჩვენეთ მოქმედებაში და ბრძოლაში. გმირული ხასიათი მხოლოდ წინააღმდეგობათა გადალახვაში იწრთობა და ყალიბდება და ამიტომაც ჩვენი ლიტერატურის დადებითი გმირი თავის ძალას და სულიერ სიმდიდრეს მხოლოდ მაშინ გამოავლენს, როცა იგი ძლევამოსილად ებრძვის და გადალახავს წარსულის ბნელ გადანაშთებს, მანკიერ ადამიანთა წინააღმდეგობას, მტრული ბურჟუაზიული მორალისა და იდეოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას. თავისი წინმსვლელობის ნათელ გზაზე საბჭოთა ხალხს მრავალი სერიოზული სიძნელე და წინააღმდეგობა ეღობება და საბჭოთა ლიტერატურა ვალდებულია ეხმარებოდეს ჩვენს ქვეყანას ამ წინააღმდეგობათა ნათლად გააზრებაში, მათი დაძლევისა და გადალახვის საქმეში. ლენინგრადის ჟურნალების შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილებების განსამარტავად გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. ა. ჟდანოვი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა მწერლებს არა მარტო აქვთ უფლება, არამედ ევალებათ კიდევაც შეამჩნიონ და გამოავლინონ ჩვენი ცხოვრების ყველა ჩრდილოვანი მხარე და ამით გაუადვილონ ხალხს მათი აღმოფხვრა და გაცამტვერება.

ამრიგად, ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა მართალი გამოხატვა აუცილებელი პირობაა ჩვენი დროის დადებითი გმირის სრულფასოვანი მხატვრული სახის შესაქმნელად. მაგრამ საბჭოთა ლიტერატურამ ცხოვრების ჩრდილოვანი მოვლენები და მანკიერი ადამიანები იმგვარად უნდა გამოხატოს, რომ ნათლად გვიჩვენოს მათი სასიკვდილო განწირულება, მათზე ჩვენი სინამდვილის წამყვან ტენდენციათა გამარჯვების აუცილებელი პერსპექტივა. ამაში მდგომარეობს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება კრიტიკულ რეალიზმისაგან, რომლის მთავარი პათოსიც ნეგაციაში, არსებულის მხილებასა და უარყოფაში მდგომარეობდა.

ლიტერატურის მთავარი გმირის საკითხში ჩვენი სოციალისტური ლიტერატურა თავისი აღმოცენებისთანავე მკაცრად დაუპირისპირდა მომაკვდავი რეაქციული სამყაროს მწერლობას. დასავლეთის დეკადენტური ლიტერატურის მთავარ გმირს — ავადმყოფური ინდივიდუალიზმით და ეგოიზმით შეპყრობილ ადამიანს ახალგაზრდა მ. გორკიმ დაუპირისპირა დანკოს წარმტაცი სახე, რომელიც მაღალი სოციალური იდეალისათვის უანგარო სამსახურის, ხალხისათვის თავგანწირულების იდეას განასახიერებს. ევროპის დეკადენტურ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული ბნელი პესიმიზმის გესლს გორკიმ დაუპირისპირა სიყვარულის მაღალი გრძნობით შთაგონებული ქალიშვილის სახე, რომელიც, ამარცხებს რა სიკვდილს, გამოხატავს ადამიანის სიდიადეს და უძლეველობას. ამ რომანტიულ-ალეგორიული ხასიათის სახეთა გალერიას სოციალისტური რეალიზმის აღმოცენების პირველსავე პერიოდში მოჰყვა ვორკის გენიალური კალმით დახატული მუშა-მემანქანის ნილის, პავლე ვლასოვის, პელაგია ნილოვნას და პიესა „მტრებში“ გამოყვანილ მუშა-რე-

ოლუციონერთა დიდი რეალისტური სახეები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა ლიტერატურის დიად შემოქმედებით ტრადიციას დადებითი გმირის გამოხატვის სფეროში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამ ტრადიციამ გაღრმავება და განვითარება ჰპოვა საბჭოთა ლიტერატურის მრავალ კლასიკურ ნაწარმოებში. სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში საბჭოთა ხალხის მიერ გამოჩენილი უკვდავი გმირობის ეპოპეა საბჭოთა მწერლობამ განასახიერა ისეთ მონუმენტურ დადებით სახეებში, როგორიც არიან ჩაპაევი, კოჟუხი, ლევინსონი, კორჩაგინი და სხვები. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის პერიოდის მოწინავე საბჭოთა ადამიანის ხორცშესხმული განსახიერება მოგვცა ფ. გლადკოვმა თავისი „ცემენტის“ მთავარი გმირის გლებ ჩუმალოვის სახით. მრავალმილიონიანი საბჭოთა გლეხობის გადასვლა სოციალისტური მეურნეობის ლიანდაგზე და ამ დიადი გარდატეხის დაუვიწყარი ჰეროიკა მ. შოლოხოვმა, პირველყოვლისა, მუშა-კომუნისტის დავიდოვის მომხიბლავ სახეში განასახიერა. სამამულო ომის ფრონტისა თუ ზურგის მებრძოლთა — თავდადებულ საბჭოთა ადამიანების მკაფიო განმაზოგადოებელი სახეები დახატეს ა. ფადეევმა, ა. ტვარდოვსკიმ, ბ. გორბატოვმა და მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურის მთელმა რიგმა სხვა საუკეთესო ოსტატებმა. ომისშემდეგი წლების საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნიც, პირველყოვლისა, იმით ხასიათდებიან, რომ მათ ცენტრში ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებული და შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმული საბჭოთა ადამიანის სახეა დაყენებული. ასეთია პ. პავლენკოს ვოროპაევი, ა. აჟაევის, ს. ბაბაევსკის, გ. ნიკოლაევას და სხვათა ნაწარმოებების მთავარი გმირები.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა ლიტერატურა ჩვენი სამშობლოს ისტორიული განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე ქმნიდა დადებითი გმირის სახეებს, რომლებშიც ტიპიზირებულად გამოხატავდა და გამოხატავს საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების მაღალ თვისებებს, გამოვლენილს სინამდვილის მიერ წამოყენებულ ახალ და ახალ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ჩვენი ლიტერატურის ეს გმირები ცარიელ სივრცეში როდი მოქმედებდნენ. მათი ხასიათის მთელი ძალა და მომხიბლაობა სწორედ სიძნელეთა და წინააღმდეგობათა გადალახვაში, ცხოვრების ჩრდილოვან მოვლენათა დაძლევისათვის ბრძოლაში იჩენს თავს. ამიტომაც ჩვენი ლიტერატურის ყველა საუკეთესო ნაწარმოები ჩვენი სინამდვილის განმამტკიცებელ დანიშნულებასთან ორგანულად ათავსებს ცხოვრების მანკიერ მოვლენათა მხილებისა და კრიტიკულად გამოხატვის ფუნქციასაც. ასეთია საბჭოთა ლიტერატურის ტრადიცია, განმტკიცებული მისი არსებობის მთელი ისტორიული გამოცდილებით.

მაგრამ ჩვენი სოციალისტური მწერლობის ეს ტრადიცია მთელ რიგ წინააღმდეგობას ხვდებოდა. საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მანძილზე ამ ტრადიციაზე არაერთხელ მიუტანიათ იერიში სხვადასხვა ჯურის გამყალბებლებსა და ვულგარიზატორებს. ჯერ კიდევ „რაპპის“ ავერბახელმა „თეორეტიკოსებმა“ ამ ტრადიციას „ცოცხალი ადამიანის“ ფორმულა დაუპირისპირეს. ამ „თეორიის“ მიხედვით მწერლობას ხელი უნდა აეღო დადებითი და უარყოფითი გმირების გამოხატვაზე და მათ ნაცვლად ლიტერატურის ცენტრში „ცოცხალი ადამიანი“ — ესე იგი დადებით და უარყოფით თვისებათა კონგლომერატი უნდა დაეყენებინა. ცხოვრებაში არ არსებობს—ამტკიცებდნენ ეს ვაითეორეტიკოსები — სავსებით დადებითი, ან სავსებით უარყოფითი ადამიანები, ყოველ დადებით ადამიანს გააჩნია თავისი უარყოფითი თვისებები, როგორც ყოველ უარყოფით ადამიანს გააჩნია რაღაც დადებითი თვისებები. პარტიამ და საბჭოთა საზოგადოებრივობამ სამართლიანად გაკიცხეს და უკუაგდეს ეს ყალბი „თეორია“, რადგან იგი არსებითად უარყოფდა ჩვენი ლიტერატურის როგორც განმამტკიცებელ, ისე მამხილებელ დანიშნულებას და მწერლობას ნატურალისტური მჭვრეტელობის და უიდეო. ოპორტუნიზმის ჭაობისაკენ მიაქანებდა. უკანასკნელ ხანებში ჩვენი სინამდვილის სიმართლით გამოხატვისა და მაშასადამე

დადებითი გმირის სრულფასოვან სახეთა შექმნის ტრადიციას კვლავ წინ გადაეღობა „უკონფლიქტობის თეორია“ და პრაქტიკა, რამაც, როგორც ცნობილია, დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ლიტერატურას. მას შემდეგ, რაც პარტიულმა პრესამ ამხილა „უკონფლიქტობის თეორიის“ ყალბი და მავნებლური ხასიათი, რაც პარტიის მე-19 ყრილობამ მწერლობას ამოცანად დაუსახა გოგოლისა და შჩედრინის სატირული ტრადიციების აღდგენა და გამოყენება, ჩვენს ლიტერატურაში თავი იჩინა ახალმა უკიდურესობამ — ცხოვრების ჩრდილოვან მოვლენათა იზოლირებულად და ჰიპერტროფირებულად გამოხატვის ტენდენციამ.

ყოველივე ამან, ცხადია, შეასუსტა ჩვენს ლიტერატურაში ცხოვრების კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა სიმართლით ასახვის ძალა და, მაშასადამე, ჩვენი დროის გმირის დიდი მხატვრული სახეების შექმნის საქმეც. ამასთანავე, ჩვენი უკლასო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ახლებური კონფლიქტების დანახვა და მათი გამოხატვისათვის საჭირო ახლებურ საშუალებათა მიგნება ძნელი აღმოჩნდა ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი ოსტატისათვის. ყოველივე ამის შედეგად უკანასკნელ წლებში საბჭოთა ლიტერატურაში უკვე იშვიათად ვხვდებით ისეთი დიდი იდეურ-ესთეტიური ჟღერის მხატვრულ სახეებს დადებითი გმირისა, როგორც მოუცია ჩვენს მწერლობას თავის საუკეთესო კლასიკურ ქმნილებებში. სწორედ ამიტომ დადებითი გმირის პრობლემა ასეთ აქტუალურ და სადისკუსიო საკითხად იქცა საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობისათვის მზადების პერიოდში.

* * *

დადებითი გმირის საკითხის გარშემო ჩვენს ლიტერატურულ პრესაში გაშლილ დისკუსიაში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისი ჩამოყალიბდა, რომელთა შორის არც ერთი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას სავსებით სწორად და მართებულად.

პედაგოგმა ა. პროტოპოპოვამ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ფურცლებზე, სამართლიანად გამოხატა რა ჩვენი ხალხისა და, კერძოდ, ახალგაზრდობის მისწრაფება — იხილონ საბჭოთა მწერლების წიგნებში ჩვენი დროის გმირის წარმტაცი და შთამაგონებელი სახეები — მცდარად უწოდა ამ გმირს „იდეალური გმირი“. სწორედ ამ ცნებამ, ამ უვარგისმა ფორმულირებამ დააფრთხო, ჩემის აზრით, დისკუსიის მონაწილეთა უმრავლესობა და განაწყო ისინი პროტოპოპოვას წინააღმდეგ. მართლაც „იდეალური გმირის“ ცნება უეჭველად გულისხმობს რაღაც ისეთს, რაც სასურველია, მაგრამ ჯერ სინამდვილეში არ არსებობს. და რაკი სინამდვილეში იგი ჯერ არ მოიპოვება, ამიტომ მისი მხატვრული სახე მწერლის გამოგონების ნაყოფია და, მაშასადამე, მოკლებულია ცოცხალი მხატვრული ხასიათისათვის აუცილებელ სიმართლეს და დამაჯერებლობას. ამ შემთხვევაში მართლაც ეძლევა ერთგვარი გასაქანი სხვადასხვაგვარ ხელოვნურ „რეცეპტებს“ და რეალურად იბადება სქემატიურობის საფრთხე.

საბჭოთა ლიტერატურის დადებით გმირს „იდეალური“ კი არა, რეალურად არსებული ადამიანი წარმოადგენს. სწორედ ასეთი ადამიანები შეადგენენ საბჭოთა საზოგადოების მშვენებასა და ძალას. მათი საგმირო საქმეების, მათი რთული და მდიდარი სულიერი სამყაროს ღრმად შესწავლა, მათი სიმართლით გამოხატვა, თუნდაც გამძაფრებულ და გადაჭარბებულ ფერებში — ასეთია საბჭოთა მწერლის შემოქმედებითი ამოცანა დადებითი გმირის შექმნის სფეროში.

მართლაც, საბჭოთა მწერლობის მიერ შექმნილ საუკეთესო დადებით სახეთა გალერეას რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ მათი უმრავლესობა რეალური პროტოტიპების ნიადაგზეა აღმოცენებული. რეალური, კონკრეტულად არსებული ადამიანების მხატვრულ განზოგადოებას წარმოადგენენ მ. გორკის პავლე ვლასოვიც და პელაგია ნილოვნაც, ფურმანოვის ჩაპაევიც, ა. ოსტროვსკის კორჩაგინიც, ა. ფადეევის კრასნოდონელი კომკავშირელებიც და ბ. პოლევოის მერესიევიც. მაშ, რად გვჭირდება ჩვენ „იდეალური გმირის“ ბუნდოვანი ცნების შემოტანა ამ სავსებით ნათელი და რეალური შემოქმედებითი პრობლემის სფეროში?

„იდეალური გმირის“ ცნებასთან დაკავშირებული საშიშროება სწორად გაითვალისწინეს პროტოპოპოვას მოწი-

ნააღმდეგეებმა, და მათ შორის მწერალმა ა. ბელიაშვილმა. მაგრამ, სამწუხაროდ, ა. ბელიაშვილი და ზოგიერთი მისი თანამოაზრე მეორე, კიდევ უფრო სახიფათო უკიდურესობაში აღმოჩნდნენ.

წამოაყენა რა დებულება, რომ დადებითი გმირი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შინაგან წინააღმდეგობებსა და კოლიზიებს, რომ მისი საქციელი აუცილებლად უნდა იწვევდეს დავას, ამით ა. ბელიაშვილმა არსებითად უარყო დადებითი გმირის შექმნის შესაძლებლობა და საჭიროება საბჭოთა ლიტერატურაში, თუმცა დეკლარატიულად იგი არ აკეთებს ისეთ კატეგორიულ დასკვნას. ა. ბელიაშვილის თვალსაზრისი ამ საკითხში მით უფრო მცდარი და მიუღებელია, რომ მას შესაძლებლად მიაჩნია დადებით გმირს ახასიათებდეს უაღრესად უარყოფითი, მახინჯი და ამორალური თვისებანი, რომლებიც ყოვლად შეუთავსებელნი არიან ჩვენი ხალხის მორალურ თვისებებთან. ა. ბელიაშვილი კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ ზომიერებას დადებითი გმირის ხასიათში უარყოფითი თვისებების ჩვენებისას და, ამასთანავე, უგულვებელყოფს მწერლის გარკვეულ პოზიციას ლიტერატურული გმირის საქციელისადმი. ცხადია, ასეთ თვალსაზრისს არაფერი აქვს საერთო სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის მოთხოვნებთან და საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებთან დადებითი გმირის საკითხში.

ამ პრობლემის გარშემო წარმოებულ დისკუსიაში მოკამათეები დავობენ ზოგჯერ ისეთი საკითხების გარშემოც, რომლებიც სრულიად არაფერს შეიცავენ გაურკვეველსა და სადისკუსიოს. რა აზრი აქვს, მაგალითად, დავას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოჩნდეს დადებითი გმირი მხატვრულ ნაწარმოებში — იგი უკვე ჩამოყალიბებულ დადებით სახედ უნდა გვიჩვენოს მწერალმა, თუ მკითხველის თვალწინ უნდა გაიაროს მისი დადებით ხასიათად ფორმირების პროცესმა?.. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყვიტოს მწერლის კონკრეტულმა განზრახვამ. მწერალს თანაბარი უფლება აქვს, რომ ნაწარმოებში უკვე ჩამოყალიბებული დადებითი ადამიანი შემოიყვანოს და იგი შეაჯახოს მანკიერ ადამიანებს, თუ მოვლენებს და იმისაც, რომ თვით ნაწარმოების მანძილზე გამოხატოს გმირის ჩამოყალიბების პროცესი. ამ საკითხში წინასწარ რაიმე სავალდებულო ნორმების დადგენა იქნებოდა სწორედ ის დოგმატიზმი, რომელსაც ასე უხვად სწამებენ ერთმანეთს დისკუსიის მონაწილენი. აგრეთვე უაზროა კამათი იმის შესახებ, თუ მხატვრულ ნაწარმოებში რიცხვობრივად დადებითი გმირები უნდა სჭარბობდნენ, თუ უარყოფითი, ან სავალდებულოა თუ არა, რომ ნაწარმოების ცენტრში აუცილებლად დადებითი გმირი იდგეს.

ზემოთ დასახელებული იყო მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა საბჭოთა ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებთა მთავარ გმირებს სწორედ დადებითი პერსონაჟები წარმოადგენდნენ, მაგრამ სრულიადაც გამორიცხული არ არის სხვაგვარი შესაძლებლობაც. აკი ჩვენი ლიტერატურის ისეთ დიდ კლასიკურ ქმნილებებში, როგორიცაა მ. გორკის „კლიმ სამგინის ცხოვრება“ და „სომოვი და სხვები“ ან მ. შოლოხოვის „წყნარი დონის“ მთავარ მოქმედ პირებად უარყოფითი გმირებია გამოყვანილი. მაგრამ ყოველ ასეთ შემთხვევაში საბჭოთა ლიტერატურის ნაწარმოები აუცილებლად უნდა ასაბუთებდეს ცხოვრების უარყოფითი მოვლენებისა და მათი განმასახიერებელი ადამიანების აუცილებელ სასიკვდილო განწირულებას და, მაშასადამე, სინამდვილის დადებით ტენდენციათა სიმართლესა და ძლევამოსილებას.

თავისთავად ცხადია, რომ დადებითი გმირის სრულფასოვანი გამოხატვა ლიტერატურაში სავსებით დამოკიდებულია მწერლის მსოფლმხედველობისაგან, მისი პარტიული დამოკიდებულებისაგან ცხოვრების დადებითსა თუ უარყოფით მოვლენებისადმი. ამ საკითხთან უშუალო კავშირი აქვს აგრეთვე მხატვრული ოსტატობის ხარისხსაც, რადგან ჩვენი დროის გმირის მართალი და შთამაგონებელი ჩვენება მხოლოდ მაღალმხატვრული რეალისტური საშუალებებით არის შესაძლებელი. მდარე ხარისხის უსიცოცხლო და უფერულ სახეებში ნაჩვენები „დადებითი“ გმირი მხოლოდ კარიკატურაა თანამედროვეობის მოწინავე ადამიანისა და მას არაფერი აქვს საერთო სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებასთან.

*
* *

ქართულ ლიტერატურას დადებითი გმირის სფეროშიც უმდიდრესი შემოქმედებითი ტრადიციები აქვს. რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი ნაციონალური მწერლობის უფრო შორეულ ტრადიციებზე, საკმარისია გავიხსენოთ რუსთაველის გენიის მიერ შექმნილი დიდი მხატვრული სახეები, რომლებიც მისი თანამედროვეობის მოწინავე ადამიანთა მორალურ იდეალებს და უმაღლეს მისწრაფებებს განასახიერებენ. მეცხრამეტე საუკუნეშიც ქართული კრიტიკული რეალიზმის მწერლობამ დიდი მამხილებელი ძალის უარყოფითი პერსონაჟების გვერდით შექმნა მათდამი დაპირისპირებული შესანიშნავი დადებითი გმირების მდიდარი გალერეა. საკმარისია გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი, კაკო ყაჩაღი, ზაქრო და გაბრო, აკაკი წერეთლის ნათელა და ცოტნე დადიანი, ალ. ყაზბეგისა და ვაჟა ფშაველას მიერ დახატული გმირული სახეების მრავალფეროვანი გალერეა, ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოებთა მთავარი პერსონაჟები.

რეაქციის წლებში ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებულმა ბურჟუაზიულ-დეკადენტურმა მიმდინარეობებმა მოინდომეს ამ ძვირფასი ტრადიციის შეწყვეტა, მაგრამ მისი ჩახშობა შეუძლებელი აღმოჩნდა. სწორედ რევოლუციის წინა წლებში, ლიტერატურული დეკადანსისა და დაცემულობის ხანაში შექმნა ლეო ქიაჩელმა ქართველი რევოლუციური გლეხობის ტიპიური წარმტაცი სახე — ტარიელ გოლუა, რომელიც სრული უფლებით შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ ქართული კლასიკური რეალისტური ლიტერატურის მიერ მოცემულ საუკეთესო დადებით გმირებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფორმირების პირველ პერიოდში—ოციან წლებში, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გამოხატვას დადებითი გმირის სრულფასოვან სახეებში დიდი სიძნელეები ეღობებოდა. მწერალთა რევოლუციამდელი თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა იდეური გადაიარაღების პროცესი ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო იმდენად დამთავრებული, რომ მათ შესძლებოდათ საბჭოთა ხალხის საბრძოლო იდეებისა და მორალური თვისებების განსახიერება მძლავრ და მკვეთრ დადებით სახეებში. ხოლო მწერლობაში ახლად შემოსული თაობა ჯერ კიდევ არ იყო იმდენად დახელოვნებული და დაოსტატებული, რომ ჩვენი ლიტერატურა გაემდიდრებინათ ეპიკური ჟანრის ისეთი მხატვრული სახეებით, რომლებიც გაუძლებდნენ დროის გამოცდას და ღრმად აღიბეჭდებოდნენ ხალხის მეხსიერებაში.

მხოლოდ ოცდაათიანი წლების დამდეგიდან, როცა სოციალიზმის მშენებლობის დიად წარმატებათა ზეგავლენით და კომუნისტური პარტიის ბრძნული სალიტერატურო პოლიტიკის მეოხებით ჩვენმა ლიტერატურამ დიდი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობა განიცადა, მის საუკეთესო ნაწარმოებებში გამოჩნდა ჩვენი დროის დადებით გმირთა მკაფიო სახეები. პირველ ყოვლისა, აქ უნდა დავასახელოთ კ. ლორთქიფანიძის რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა", რომლის უკანასკნელ რედაქციას მკითხველი იცნობს „კოლხეთის ცისკარის" სახელწოდებით. ამ ნაწარმოებში მწერალმა გამოხატა ისეთი გმირიც, რომელიც, ძველი ცხოვრებისაგან დაძაბუნებული და წელში გატეხილი, აღადგინა და ცხოვრების მოწინავე ძალად აქცია საბჭოთა სინამდვილემ (მექი), და ისეთიც, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულ დადებით სახედ გვევლინება ნაწარმოებში გამოჩენისთანავე და ტიპიურად განასახიერებს საბჭოთა გლეხობის მოწინავე ფენას (ტარასი ხაზარაძე). ამრიგად, ეს კონკრეტული ფაქტი გვიჩვენებს, რომ დადებითი გმირის გამოხატვა ლიტერატურაში შესაძლებელია უკვე ჩამოყალიბებული სახითაც და მისი ფორმირების პროცესშიც.

ცხოვრების წამყვანი ტენდენციებისა და დადებითი გმირის გამოხატვის მეტად თავისებური გადაწყვეტა მოგვცა ლეო ქიაჩელმა თავის რომანში „გვადი ბიგვა". ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ბიოგრაფიის მაგალითზე თვალნათლივ დასტურდება ის დებულება, რომ დადებითი გმირის პრობლემა განუყოფელად არის დაკავშირებული მწერლის მსოფლმხედველობასთან და შემოქმედებით მეთოდთან. მხოლოდ მაშინ, როდესაც ლეო ქიაჩელი საბოლოოდ განმტკიცდა საბჭოთა ხალხის მსოფლმხედველობის პოზიციებზე და დაეუფ-

ლა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, მან შესძლო მაღალიდეურ და სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებში აესახა ჩვენი სოციალისტური სინამდვილის უმნიშვნელოვანესი პროცესები. ამ ნაწარმოების გმირთა ურთიერთობაში, ცხოვრების განვითარების პერსპექტივათა ფხიზელი გააზრებით მწერალმა ღრმა ისტორიული სიმართლით გამოხატა სინამდვილის უმძაფრესი კონფლიქტები და გვიჩვენა ახალი ცხოვრების ძლევამოსილი გამარჯვება წარსულის გადმონაშთებზე. დამახასიათებელია, რომ ნაწარმოების ცენტრში მწერალმა დააყენა კაპიტალისტური წარსულისაგან ნამემკვიდრევი მანკიერი თვისებებით დამძიმებული გვადი ბიგვას სახე და მისი გარდაქმნისა და განახლების პროცესი. სწორედ ამ პროცესის მეშვეობით გამოიხატა ამ ნაწარმოებში ძალა და ღირსება ახალი სოფლის მშენებელი მოწინავე ადამიანებისა (გერა, მარიამი, ნაია და სხვები), რომლებიც სიუჟეტური კომპოზიციის მეორე პლანზე არიან მოთავსებულნი. მწერლის ასეთი მხატვრული ხერხიც იმას გვიდასტურებს, რომ დადებითი გმირის გამოხატვისათვის არ არსებობს რაიმე სტანდარტული ნორმები და კანონები.

უკვე სხვაგვარი მხატვრული საშუალებებით გადმოგვცა საბჭოთა სოფელში ახალი ადამიანის ზრდის და ჩამოყალიბების პროცესი ალ. ჭეიშვილმა თავის რომანში „ლელო". აქ უკვე მთავარ პერსონაჟებად გამოყვანილია ჩვენი დროის მოწინავე ახალგაზრდა ადამიანები ციცინო და ქიშვარდი, რომლებიც თავიანთი შრომითი გმირობით და კეთილშობილური ადამიანური თვისებებით იმარჯვებენ მათდამი დაპირისპირებულ ქილიფთარების სამყაროზე.

ასე მრავალფეროვნად და მრავალსახოვანად შემოვიდა ჩვენი დროის დადებითი ადამიანი ოცდაათიანი წლების ქართულ მხატვრულ პროზაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია დადებითი გმირის ხვედრითი წონის თანმიმდევრული ზრდა ამ პერიოდის ქართულ დრამატურგიაშიც. თუ ოციან წლებში ქართული პიესების უმრავლესობა ცხოვრების ნეგაციურ მოვლენათა მხილების ამოცანით განისაზღვრებოდა, ოცდაათიან წლებში ჩვენს დრამატურგიაში ძირითად ფიგურად დადებითი გმირი იქცა. ისტორიულ-რევოლუციურ დრამაში „ნაპერწკლიდან..." შალვა დადიანმა დიად ისტორიულ პიროვნებათა სახეების გვერდით დახატა ჩვეულებრივ მშრომელ ადამიანთა ხასიათის ტიპიური დადებითი ნიშნების განმახორციელებელი სახეები (ცაბუ, ელიშუქი და სხვები) და ამით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ისტორიას ქმნიან და ამოძრავებენ არა მხოლოდ რჩეული ერთეულები, არამედ მატერიალურ სიმდიდრეთა შემქმნელი მასები.

ამ წლებში დაწერა ს. შანშიაშვილმა თავისი საუკეთესო ისტორიული დრამა „არსენა", რომელშიც ღრმა განზოგადოების ძალით ასახა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად ამხედრებული ქართველი მშრომელი ხალხის ბუნება, მისი თავისუფლებისმოყვარეობა, ჰუმანიურობა, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალური შეგნება. ყოველივე ეს დრამატურგმა მკაფიოდ გამოხატა არსენას მონუმენტურ სახეში.

ამ პერიოდის ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაში განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება", რომელიც დღემდე არ ჩამოდის სცენიდან და ინარჩუნებს ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესს. და ეს აიხსნება სწორედ იმ გარემოებით, რომ მწერალმა შესძლო კომედიური ჟანრის ნაწარმოების მთავარ გმირად გამოეყვანა საბჭოთა სოფლის მოწინავე ახალგაზრდობის ტიპიური წარმომადგენელი გვირისტინე. დრამატურგს არ დასჭირებია ხელოვნურად შეელამაზებინა ეს სახე. იგი მკაცრი რეალისტური საღებავებით არის დახატული და სწორედ ამიტომ იგი გზას იკაფავს ხალხის გულისაკენ და მკვიდრდება მაყურებლის მეხსიერებაში.

ის დიდი შემოქმედებითი შრომა, რომელსაც ეწეოდა მოწინავე საბჭოთა ინტელიგენცია ოცდაათიან წლებში სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე მკაფიოდ განასახიერეს დრამატურგებმა სერგო კლდიაშვილმა, იონა ვაკელმა და ვიქტორ გაბესკირიამ თავიანთ პიესებში. მათ მიერ დახატული სახეები: დიმიტრი გეგელია, ჯემალ ვარშანიძე, შალვა და სხვები გამძაფრებული კონფლიქტების ვითარებაში გვიჩვენებენ, თუ როგორი სულიერი მხნეობით და ნებისყოფით ანადგურებდა

ჩვენი ხალხი რეაქციის ნარჩენთა გაცოფებულ წინააღმდეგობას და განუხრელად მიდიოდა წინ თავის დიდსა და ნათელ გზაზე.

ოცდაათიანი წლების ქართულ ლიტერატურაში დადებითი გმირის სახეთა შექმნის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე რაჟდენ გვეტაძის ნაწარმოებნი: „ჭიაკოკონა“, „თეო“ და „ლაშაურის საღამოები“. ამ წიგნების დადებით გმირთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა „თეოს“ მთავარი გმირის მირზას სახე, რომლის ცხოვრების ისტორია ტიპიურად გამოხატავს ხალხის წიაღიდან გამოსული ახალგაზრდა რევოლუციონერის გზას მოჯამაგირის მდგომარეობიდან — საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი მოწინავე მშენებლისა და ხელმძღვანელის თანამდებობამდე.

როგორც ვხედავთ, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის ბრძოლის პერიოდში ქართულმა პროზამ და დრამატურგიამ ჩვენი დროის მოწინავე ადამიანთა ტიპიური სახეების მდიდარი და მრავალფეროვანი გალერეა მოგვცა. ამაში გამოიხატა, პირველ ყოვლისა, ის დიდი იდეური და შემოქმედებითი წარმატებანი, რაც ამ პერიოდში ქართულმა, ისე როგორც მთელმა მრავალეროვანმა საბჭოთა მწერლობამ, მოიპოვა.

მაგრამ ამ პერიოდშიაც ჩვენი ლიტერატურის მრავალი თვალსაჩინო ნაწარმოები გვერდს უხვევდა განვითარების ამ ძირითად ხაზს. ავიღოთ, მაგალითად, ისეთი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობისა და პოტენციის ბელეტრისტი, როგორიცაა კ. გამსახურდია. როგორც ცნობილია, ოციან წლებში დაწერილ თავის მოთხრობებში იგი უპირატესად სოციალისტური რევოლუციის მიერ დამარცხებულ საზოგადოებრივ ფენათა გადმონაშთებს გამოხატავდა და სავსებით უგულებელყოფდა ახალი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ასახვის ამოცანას. ამ მიმართულებით მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე მკაფიო ნიმუშს წარმოადგენდა რომანი „დიონისეს ღიმილი“, რომლის მთავარი ფიგურა იყო ბურჟუაზიულ-დეკადენტური კულტურის გესლით გაჟღენთილი ადამიანი კონსტანტინე სავარსამიძე. ოცდაათიანი წლების დამდეგს დაწერილი მისი ტრილოგია „მთვარის მოტაცება“ მწერლის საგრძნობ ნაბიჯს წარმოადგენდა თანამედროვე თემატიკასთან დაკავშირების თვალსაზრისით. ამ რომანში მწერალმა დახატა მძლავრი შთაბეჭდილების მომხდენი სურათი რეაქციული სამყაროსა და, კერძოდ, თავად-აზნაურული წოდების უკანასკნელ ნაშიერთა სასიკვდილო განწირულებისა ჩვენს რევოლუციურ ეპოქაში. ამ პროცესის მძლავრი და დამაჯერებელი ასახვა შეადგენს ნაწარმოების მთავარ ღირსებას. ეს ამოცანა ბუნებრივად მოითხოვდა რომანში საბჭოთა სინამდვილის დამახასიათებელ მოვლენათა და ჩვენი დროის დადებით ადამიანთა გამოხატვის აუცილებლობას. და მართლაც, მწერალი ხატავს საკოლმეურნეო მშენებლობისათვის ბრძოლის ეპიზოდებს, ქალაქად და სოფლად ახალი ცხოვრების აღმავლობის მომასწავებელ ცალკეულ სურათებს. მაგრამ რომანის მოქმედ პირთა ურთიერთ შეფარდებაში დადებითი პერსონაჟები თხრობის მეორე პლანზე არიან დაყენებული და ისინი ძველი სამყაროს წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი პერსონაჟების ჩრდილში იმყოფებიან. თარამ ემხვარისადმი დაპირისპირებული არზაყან ზვამბაია, რომელიც მწერალს, მოფიქრებული ჰყავს საბჭოთა ახალგაზრდობის, კომკავშირული თაობის ტიპიურ წარმომადგენლად, თავისი აზრებითა და მოქმედებით სრულიადაც ვერ ახორციელებს ამგვარ დანიშნულებას, ვერ ამართლებს დაკისრებულ ფუნქციას. იგი მეტისმეტად არის ჩაფლული დრომოჭმულ ადათ-ჩვეულებისა და რიტუალების ჭაობში, მეტისმეტად თავაშვებულია მორალურ ურთიერთობათა სფეროში და, ამასთანავე, ფრიად მცირეა და უმნიშვნელო მისი საზოგადოებრივი საქმიანობა. ყოველივე ეს აზიანებს არზაყან ზვამბაიას სახეს და უკარგავს მას ჩვენი დროის დადებითი გმირის ღირსებას.

ამრიგად, თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის ისეთ გამოჩენილ ოსტატს, როგორიც კ. გამსახურდიაა, დღემდე არ შეუქმნია არც ერთი მკაფიო და მძლავრი მხატვრული სახე ისეთი ადამიანისა, რომელიც მთელი თავისი არსებით სანიმუშო და მისაბაძი იყოს ჩვენი ხალხისათვის. როგორც ჩანს, ლიტერატურული ნიჭიერება, შე-

მოქმედებითი ძალა და პროფესიული ოსტატობა სრულიადაც არ იძლევა გარანტიას დადებითი გმირის შექმნის სფეროში მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის. ამ მხრივ საკითხს, უპირველეს ყოვლისა, მწერლის მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი მეთოდი სწყვეტს, რასაკვირველია, მხატვრული შემოქმედებისათვის აუცილებელ სხვა თვისებებთან ერთად.

კ. გამსახურდია ამჟამად მუშაობს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველ ახალ რომანზე „ვაზის ყვავილობა". ამ ნაწარმოებმა უნდა გვიჩვენოს, თუ რამდენად შესძლებს ავტორი თავისი ნიჭიერებისა და პოტენციის შესაფერის დონეზე გამოხატოს ჩვენი სინამდვილის წამყვანი ტენდენციები და მათი განმასახიერებელი ადამიანები.

საყურადღებოა, რომ დადებითი გმირის გამოხატვის თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ მიუღწევია მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის სულ სხვაგვარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ისეთ გამოჩენილ პროზაიკოსს, როგორიცაა დემნა შენგელაია. მის საუკეთესო ნაწარმოებში „ბათა ქექია" ხალხის უმაღლეს მისწრაფებათა და იდეათა განმასახიერებელი პერსონაჟები ეპიზოდურად ჩანან, ან უფრო ხშირად ნაგულისხმევი, ან მასაში გათქვეფილი არიან. ხოლო მის „ცისკარში" და „შთაგონებაში" მოცემული სხვადასხვა წრისა და ბიოგრაფიის დადებითი სახეები მოკლებული არიან ისეთ მხატვრულ სრულყოფას, რაც აუცილებელია ლიტერატურული გმირის გადასვლისათვის ხალხის ცნობიერებაში. თავის ახალ ნაწარმოებში კი, „წითელ ყაყაჩოში", სადაც უპირატესად მაღალი სულიერი თვისებების ადამიანები არიან გამოყვანილნი, მწერალმა თხრობა განავითარა ჰოსპიტალის სარბიელზე, რითაც მან არსებითად დაუხშო მოქმედების არე თავის გმირებს. მოქმედების გარეშე ნაჩვენები პერსონაჟები კი, რაგინდ მაღალ და კეთილშობილურ აზრებს თუ განცდებს არ უნდა გამოთქვამდნენ ისინი, ვერ იხვეჭენ მკითხველის სიყვარულსა და ცხოველ თანაგრძნობას. ამიტომაც დ. შენგელაიასთვისაც საბჭოთა ხალხის ხასიათის მაღალ თვისებათა გამომხატველი მკაფიო სახეების შექმნა მისი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრების ამოცანად რჩება. იგივე ითქმის მეორე ჩვენი მოწინავე ბელეტრისტის ს. კლდიაშვილის შესახებ, რომელმაც თავისი უმთავრესი პროზაული ნაწარმოებნი რევოლუციამდელი სინამდვილის ასახვას, თუ საბჭოთა ეპოქაში დასაღუპავად განწირული წარსულის გადმონაშთების გამოხატვას მიუძღვნა.

მენშევიკური წყობილების წინააღმდეგ ამხედრებული მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხობის ტიპიურ წარმომადგენელთა მთელი წყება გვიჩვენა ალ. ქუთათელმა თავის ოთხტომიან რომანში „პირისპირ". ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში არაერთხელ აღნიშნულა ამ ნაწარმოების შემეცნებითი და მხატვრული ღირსებანი, მაგრამ რამდენად დიდი იქნებოდა ამ ნაწარმოების ზემოქმედებითი ძალა, რომ ის მთავარ გმირს სწორედ რევოლუციური ხალხის განმასახიერებელი მკვეთრი დადებითი ადამიანი წარმოადგენდეს და არა აზნაურული წრიდან გამოსული წვრილბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ახალგაზრდა ინტელიგენტი კორნელი მხეიძე. ასეთი ტიპისადმი საბჭოთა მწერალს მართებდა უფრო კრიტიკული დამოკიდებულება გამოეჩინა.

დადებითი გმირის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას ქართული საბჭოთა ისტორიული რომანის დარგში. როგორც ცნობილია, ჩვენი თანამედროვე ისტორიული რომანების ავტორები უპირატესად მაღალი საერო და სასულიერო არისტოკრატიის ცხოვრებას გამოხატავენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ხალხს, რომელიც ქმნიდა და ამოძრავებდა ისტორიას. ამ მხრივ საბედნიერო გამონაკლისს წარმოადგენს ჩვენი დროის დიდი პროზაიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი". თავისი ერთადერთი ისტორიული რომანის თემად მწერალმა ქართველი მშრომელი გლეხკაცობის რევოლუციური ბრძოლის ამაღელვებელი ეპიზოდი აირჩია და ამ ფონზე შექმნა თავისუფლებისმოყვარე ჩვენი ხალხის მებრძოლი სულის ამსახველი დიდი განზოგადებითი ძალის მხატვრული სახე.

რაც შეეხება დანარჩენ თანამედროვე ქართულ ისტორიულ რომანებს, მათში ხალხის ცხოვრების და ბრძოლის უგულებელყოფა შეუძლებელს ხდის დადებით გმირთა სრულფასოვანი

სახეების შექმნას. თავის რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ კ. გამსახურდიამ ერთ-ერთ მთავარ გმირად გამოიყვანა მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული შთაგონებული ხელოვანი კონსტანტინე არსაკიძე. მაგრამ ეს გმირი, სამწუხაროდ, არსებითად მოწყვეტილია ხალხისაგან და სრულიადაც ვერ გამოხატავს ხალხის სოციალურ იდეალებს, მის საუკეთესო სურვილებსა და ზრახვებს. კონსტანტინე არსაკიძეს არ გააჩნია არავითარი პროტესტი ფეოდალურ-მონარქიული წყობილების წინააღმდეგ, არავითარი პროგრესული ორიენტაცია თავისი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების საკითხებში. ამიტომაც იგი ვერ გამოდგება ხალხის ტიპიურ წარმომადგენლად. ეს გარემოება საგრძნობლად აზიანებს ამ მრავალმხრივად საყურადღებო, დიდი შთაგონებით და მაღალი ოსტატობით დაწერილ ისტორიულ რომანს.

ჩვენმა სალიტერატურო კრიტიკამ და საზოგადოებრიობამ სამართლიანად დააფასა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღირსებანი ა. ბელიაშვილის ისტორიული რომანისა „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სერიოზული შემოქმედებითი მარცხი, რომელიც განიცადა მწერალმა ამ რომანის მთავარ გმირად განზრახული ბესიკ გაბაშვილის მხატვრული სახის გამოკვეთისას. თავისი ნაწარმოებისათვის მეტი მიმზიდველობის მისაცემად მწერალმა მცდარად მიაწერა მეთვრამეტე საუკუნის გამოჩენილ ქართველ პოეტს ისეთი პოლიტიკური და ზნეობრივი მანკიერებანი, რომლებიც ჩრდილს აყენებენ მის მხატვრულ სახეს და არსებითად უკარგავენ მას დადებითი ლიტერატურული გმირის ღირსებას. ეს მით უფრო გაუმართლებელია, რომ ისტორიული მასალა არავითარ საფუძველს არ აძლევდა ავტორს ბესიკის ხასიათის ამგვარად დამახინჯებისათვის.

*
* *

დადებითი გმირის სრულფასოვანი მხატვრული სახის შექმნის თვალსაზრისით დიდი სიძნელეები იჩენს თავს ომისშემდგომი პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი ხალხის ახლანდელი გმირული შემოქმედებითი შრომის თემატიკა ჯერ კიდევ არ არის გადატანილი ფართო პლანის, მაღალმხატვრულ ტილოებზე. ის რამდენიმე მკაფიო დადებითი ხასიათი, რომლებიც უკანასკნელი წლების ქართულ მხატვრულ პროზაში შეიქმნა (მ. მრევლიშვილის ნატო ხარატელი, თ. დონეაშვილის რუსიკო ლომიძე და სხვა) ისევ სამამულო ომის პერიოდის მოვლენათა ფონზეა ნაჩვენები. რაც შეეხება ომისშემდგომი საბჭოთა სოფლის ცხოვრების ამსახველ ისეთ მრავალმხრივად საინტერესო ნაწარმოებს, როგორიცაა რ. ჯაფარიძის „ხევის პატარძალი“, მასში ძველი ფორმაციის ადამიანის სარდიონის სახე უფრო მკაფიო ფერებითაა დახატული, ვიდრე საკოლმეურნეო გლეხობის მოწინავე ადამიანებისა. ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენს ბელეტრისტებს დიდად უძნელდებათ ჩვენი დღევანდელი ადამიანის ხორცშესხმულად დახატვისათვის საჭირო მხატვრულ საშუალებათა გამონახვა.

სოციალისტური შრომის მოწინავე ადამიანთა მხატვრული სახეების შექმნის თვალსაზრისით საყურადღებო მონაცემებს ვხვდებით ალ. ჭეიშვილის „დიდი ტალღის“, ა. ბელიაშვილის „რუსთავის“, რ. ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივის“ და ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტის“ გამოქვეყნებულ ნაწილებში. მაგრამ რამდენადაც არც ერთი ეს ნაწარმოები ჯერჯერობით არ არის დამთავრებული, შეუძლებელია გარკვეული მსჯელობა ვიქონიოთ მათში დადებითი გმირის განსახიერების ხარისხზე.

ჩვენი დღევანდელობის მრავალი აქტუალური პრობლემა დააყენა ოთ. ჩხეიძემ თავის ახალ რომანში „ჯებირი“. მწერალმა ამ ნაწარმოებში საკოლმეურნეო სოფლის სინამდვილის ღრმა ცოდნა, საკითხების გაბედულად აღძვრის უნარი, საყოფაცხოვრებო მასალის კოლორიტულად გამოხატვის ნიჭიერება გამოიჩინა. მაგრამ ამ ნაწარმოების მთავარი ნაკლი სწორედ ის არის, რომ მასში ვერ ვხედავთ თანმიმდევრულად განვითარებულს და ღრმად გახსნილ ვერც ერთ დადებით ადამიანურ ხასიათს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლადო სავანელი ვერც თავის პირად — ოჯახურ ცხოვრებაში და ვერც საზოგადოებრივ საქმიანობაში ვერაფერს აკეთებს ისეთს, რაც მას საბჭოთა სოფ-

ლის მოწინავე ადამიანთა ტიპიურ წარმომადგენლად გვისახავდეს. რაიკომის მდივანი შუბითიძე კი, რომელიც სანიმუშო პარტიული ხელმძღვანელის ტიპად არის მოფიქრებული ავტორის მიერ, ნაწარმოებში ვერ არის ნაჩვენები სრულყოფილად თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთელს მრავალფეროვნებაში.

თავის ნაყოფიერ შემოქმედებითს მოღვაწეობაში პ. ლორიამ ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულისა თუ თანამედროვე ცხოვრების მოწინავე გმირთა მრავალი სახე მოგვცა, ისინი სამწუხაროდ, ჩვენი სალიტერატურო კრიტიკის მიერ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და შეფასებული.

ნაწარმოების ცენტრში დადებითი ადამიანის დაყენების მოსაწონ მისწრაფებას იჩენს ს. თავაძე თავის ყოველ რომანში, მაგრამ, სამწუხაროდ, მრავალ შემთხვევაში იგი ვერ ახერხებს სისხლხორცით სავსე, ცოცხალი ადამიანური ხასიათის დახატვას, ხოლო ზოგჯერ მხატვრულ სახეებს იგი სცვლის უსიცოცხლო სქემებით. მეტისმეტად ხელოვნურ და გამოგონილ სიტუაციებში მოაქცია თავისი ახალი ნაწარმოების „ერთგულების“ გმირები ი. ლისაშვილმა. ამ რომანის მთავარი პერსონაჟის სახე თავისი მხატვრული ღირებულებით ოდნავადაც ვერ შეედრება ამავე მწერლის მიერ დახატულ ლადო კეცხოველის სახეს, რომელმაც მკითხველის მოწონება და აღიარება დაიმსახურა.

ამ წერილში განვითარებული კრიტიკული მსჯელობის საგნად მხატვრული პროზის შედარებით ფართო ტილოები, რომანებია შერჩეული. ამიტომაც ჩვენ არაფერი გვითქვამს ა. ბელიაშვილის, ბ. ჩხეიძის მ. მრევლიშვილის, გ. შატბერაშვილის, ე. ზედგენიძის ა. ლომიძის, დ. სულიაშვილის, გ. ჩიქოვანის და სხვათა მოთხრობებზე, რომლებშიც ზოგჯერ მკაფიოდ არის ნაჩვენები რიგითი საბჭოთა ადამიანის ხასიათის ესა თუ ის დადებითი თვისება.

ომისშემდგომი პერიოდის ქართულ დრამატურგიაში დადებითი პერსონაჟების ჩვენების მხრივ გამოირჩევა ი. მოსაშვილის შემოქმედება. მის პიესებში დრამატული მოქმედების მამოძრავებელ ძალად ყოველთვის გამოყვანილია ხალხის საუკეთესო თვისებათა და მისწრაფებათა ამსახველი გმირები, რომლებიც მკაცრად არიან დაპირისპირებულნი უარყოფით პერსონაჟებთან.

ს. კლდიაშვილმა თავის პიესაში „დაბრუნება“, მიუხედავად მეტად რიგი არაბუნებრივი და გაუმართლებელი სიტუაციებისა, შესძლო მოეცა საბჭოთა ქალის მიმზიდველი სახე. მართლაც რომ მისაბაძი და სანიმუშოა ის კეთილშობილური თავდაჭერილობა და გონიერება, რომლითაც ამ ქალმა გადაიტანა მის ოჯახურ ცხოვრებაში დატრიალებული მწვავე დრამა და დიდი მორალური გამარჯვებით მიაღწია პიესაში მოთხრობილი ისტორიის ფინალს.

სამაგალითო საბჭოთა ქალიშვილის სახეა მოცემული გ. ქელბაქიანის პიესაში—„ახალგაზრდა მასწავლებელი“. სწორედ ამ სახის ცოცხლად და დამაჯერებლად დახატვის გამო მაყურებელი ივიწყებს პიესის ცალკეულ პროფესიულ ნაკლოვანებებს და ცხოველი ინტერესით ეხმაურება პიესაში განვითარებულ მოქმედებას.

დადებითი გმირის საკითხში არასწორი თვალსაზრისი საგრძნობ უარყოფით გავლენას ახდენს ნიჭიერი დრამატურგის ვ. გაბესკირიას შემოქმედებაზე. თავის „გაზაფხულის დილაში“ მან ვერ მონახა ცოცხალი საღებავები მოწინავე ინჟინრის შალვას დასახატავად, რადგან თავისი ყურადღება და ინტერესი უმთავრესად ისეთ ადამიანებზე გადაიტანა, რომლებიც პიესაში არაფერს აკეთებენ მნიშვნელოვანსა და საყურადღებოს (დავითი, სანდალა და სხვა). თავის მეორე პიესაში „უფსკრულთან“ კი მან ვერ შესძლო მანკიერ ადამიანთა ხროვისათვის დაეპირისპირებინა საბჭოთა სინამდვილის პოზიტიური ძალა. დადებითი საბჭოთა ადამიანები ამ პიესაში პასიურ და უმოქმედო ფიგურებად გამოიყურებიან, ისინი მხოლოდ სიბრალულს იმსახურებენ. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დრამატულ კოლიზიაში თანამედროვეობის გმირისათვის ამგვარი დამამცირებელი ფუნქციის მიკუთვნება მცდარია და გაუმართლებელი.

ჩვენი დრამატურგიის დადებით სახეთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. დარასელის მიერ დიდი გულწრფელობით და უშუალობით შესრულებული სახე სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძისა. მრავალმხრივად გახსნილ და მომხიბ-

ვლელ სულიერ თვისებათა შემცველი ეს სახე საბჭოთა მაყურებლის შეუნელებელ ინტერესსა და აღტაცებას იწვევს. ვასილ კიკვიძის სახე მტკიცედ არის შესული თანამედროვე ქართული დრამატურგიის საუკეთესო ტიპების ფონდში.

*
* *

დადებითი გმირის პრობლემა ჩვენ განვიხილეთ ქართული პროზისა და დრამატურგიის კონკრეტული მასალის საფუძველზე. ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ეს პრობლემა ნაკლებად შეეხებოდეს პოეზიის ჟანრს. სალირიკო პოეზიას განსაკუთრებით მდიდარი საშუალებანი მოეპოვება ხალხის სულიერი ცხოვრების გამოსახატავად, ეპოქის მოწინავე ადამიანის მაღალ და კეთილშობილურ მისწრაფებათა გამოსათქმელად. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ ლიტერატურაში არც ერთ პროზაულ და დრამატულ ნაწარმოებს ისეთი ძალითა და სიღრმით არ გამოუხატავს ეპოქის მოწინავე ადამიანის სულიერი სამყარო, როგორც იგი გამოხატულია ნ. ბარათაშვილის უკვდავ ლირიკულ-ფილოსოფიურ შედევრში „მერანი". გასული საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდის მოწინავე ადამიანის მაღალი პატრიოტული იდეალი ყველაზე მკაფიოდ და სრულყოფილად გამოიხატა აკაკი წერეთლის „განთიადში". საბჭოთა ხალხის სოციალისტური სულისკვეთების მთელი სიმდიდრე და ძლიერება შეუდარებელი სისრულით და სიმკვეთრით განსახიერდა ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში. ეს მაგალითებიც საკმარისია იმ აზრის დასადასტურებლად, რომ სალირიკო პოეზიას სხვა ლიტერატურულ ჟანრებზე არანაკლები შეუძლია და მოეთხოვება ჩვენი დროის წამყვანი გმირის ტიპიური სახის შექმნის დარგში. სრულ გაუგებრობად უნდა იქნას მიჩნეული ზოგიერთი რუსი საბჭოთა ლიტერატორის მიერ უკანასკნელ ხანებში „ლირიკული გმირის" ცნებაზე მიტანილი იერიში. ეს ცნება სწორედ იმას გამოხატავს, რომ სოციალისტური რეალიზმის ლირიკის საუკეთესო ნაწარმოებებში საბჭოთა პოეტები არა მარტო თავის პირად გრძნობებსა და განწყობილებებს გამოთქვამენ, არამედ ამავე დროს განზოგადებულად და ტიპიზირებულად ასახავენ ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების მთელს სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას. ამ მხრივ ქართულ საბჭოთა პოეზიას განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებანი მოეპოვება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მას უეჭველად ეკუთვნის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი მრავალეროვან საბჭოთა პოეტურ კულტურაში. თანამედროვე ქართული სალირიკო პოეზიის შემოქმედებითი მიღწევები საყოველთაოდ არის ცნობილი და მათს აღნუსხვასა და დახასიათებას ამჟამად არ შევუდგებით. სამწუხაროდ, ასეთივე მდგომარეობა როდი გვაქვს პოეტური ეპოსის დარგში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქართულმა საბჭოთა პოეზიამ დღემდე ვერ შესძლო კლასიკური ქართული პოეტური ეპოსის ძვირფასი ტრადიციების აღორძინება და განვითარება. თანამედროვე ქართული პოემების უპირველესი ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათში ვერ ვხედავთ ღრმად გახსნილ და ცხოვლად გამოხატულ ტიპიურ ადამიანურ ხასიათებს. გრ. აბაშიძემაც კი, რომელიც განსაკუთრებულის ნაყოფიერებით და წარმატებით მუშაობს პოეტური ეპოსის დარგში, თავის მრავალმხრივად საყურადღებო პოემებში ვერ მოგვცა თანამედროვეობის მოწინავე გმირის სრულფასოვანი მეტყველი მხატვრული სახეები.

რიგითი საბჭოთა ადამიანის მხატვრული სახის ცოცხლად გამოხატვის მხრივ ჩვენს თანამედროვე ეპიკურ პოეზიაში უეჭველად გამოირჩევა ალიო მირცხულავას პოემა „ენგური". სატირული სიმძაფრით გამოხატულ მანკიერ ადამიანებთან მძაფრად დაპირისპირებული გმირი ბურდუ შელია ნაწარმოებში ნაჩვენებია თავისი ბიოგრაფიისა და სულიერი ევოლუციის მთელს მრავალფეროვნებასა და მრავალმხრივობაში. მკითხველი ხედავს ამ გმირის ცხოვრების ისტორიასაც, მის საზოგადოებრივ საქმიანობასაც, პირად, ინტიმური ურთიერთობის ამბავსაც, მისი გონებრივი და ზნეობრივი მისწრაფებების სამყაროსაც. ყოველივე ეს ნაჩვენებია სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის ტიპიური სურათის ფონ-

ზე. სწორედ ამ გზით უნდა გაღრმავდეს და განვითარდეს თანამედროვეობის გმირის გამოხატვა ეპიკური პოეზიის ჟანრში. ჩვენ ამ შემთხვევაში საკითხის მხოლოდ ამ მხარეს ვაქცევთ ყურადღებას და არ ვკისრულობთ პოემის ყოველმხრივ ანალიზსა და შეფასებას. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ასე სწორად გააზრებული სახე ბურდუ შელიასი ავტორმა ნაწილობრივ დააზიანა, როდესაც იგი სასოწარკვეთილებისა და სულიერი დეპრესიის უკიდურეს საზღვრამდე მიიყვანა.

ჩვენი მიმოხილვიდან გამომდინარე ძირითადი დასკვნა ის არის, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა ამჟამად თვალსაჩინო სიძნელეების წინაშე დგას თანამედროვეობის წამყვანი გმირის შთამაგონებელი მხატვრული სახის შექმნის თვალსაზრისით. სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაიშალოს დაძაბული შემოქმედებითი შრომა ჩვენი ლიტერატურის ყოველ ჟანრში. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება მხატვრული სიტყვის ოსტატთა მსოფლმხედველობრივი შეიარაღებისაგან, მათ მიერ ჩვენი სინამდვილის უფრო ღრმად შესწავლისაგან, რეალისტური მხატვრული ოსტატობის ხარისხის ამაღლებისაგან არის დამოკიდებული. ხალხი კანონიერად მოელის და მოითხოვს ქართული საბჭოთა მწერლობისაგან მისი დიდი შემოქმედებითი პოტენციის შესაფერის ახალ წარმატებებს ამ უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პრობლემის გადასაჭრელად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამია ღუღუჩავა

საბჭოთა ლირიკის საკითხები

☆

ლირიკას ეპიკური და დრამატული ჟანრებისაგან არსებითი ხასიათის მხატვრულ-შემეცნებითი თავისებურება ასხვავებს. ამ საერთოდ ცნობილი თავისებურების საფუძველი ისაა, რომ ლირიკოსები არ ქმნიან „თხრობითს სურათებს". ისინი სინამდვილის მხატვრულ ასახვას სინამდვილისადმი დამოკიდებულების, სუბიექტური გრძნობებისა და განცდების, საერთოდ მთელი სულიერი სამყაროს პოეტური წარმოსახვის მეშვეობით ახორციელებენ. ამიტომაა, რომ თუ ეპიკურ და დრამატულ ნაწარმოებებში სინამდვილე დახატულია უშუალოდ, ხოლო მწერლის იდეები, განცდები და ინდივიდუალობა სინამდვილის ამგვარ სურათებშია ჩაქსოვილი, ლირიკულ ჟანრებში, პირიქით, უშუალოდ განსახიერებულია პოეტის დამოკიდებულება სინამდვილისადმი, სინამდვილით აღძრული გრძნობები და განცდები, ხოლო მათ მხატვრულ სახეებში უკუფენილია სინამდვილე, ამასთან არა მარტო გარკვეული სოციალური წრის ან კლასის სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრება, არამედ მთელი ეპოქის არსიც.

საბჭოთა ლირიკაში ეს სახეები ვლინდებიან, როგორც მთელი საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრების, მისწრაფებების, იდეალების, განცდების, სიხარულისა და აღფრთოვანების, კეთილშობილებისა და სიამაყის გრძნობის, აღშფოთებისა და სიძულვილის ტიპიური ნიშნების განზოგადებული განსახიერება, როგორც „სინამდვილისა და მისი რევოლუციური განვითარების მართალი, ისტორიულად კონკრეტული ასახვა", ახალი ადამიანების ღირსების მთელი სიმშვენიერის, რიგითი ადამიანების მაღალი სულიერი თვისებების მხატვრული წარმოსახვა. ლირიკული პოეზია არასოდეს არ ყოფილა ისეთი საყოველთაო, ნამდვილად ხალხური და ღრმად იდეური, როგორიც არის ჩვენი ეპოქის ლირიკა, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის პრინციპებზე დამყარებული ლირიკა. იგი მთელი საბჭოთა ხალხის ღირსეული მესიტყვე, მისი ფიქრების, განცდებისა და მისწრაფებათა მესაიდუმლეა. მასში არსებითად ერთი და იმავე მოვლენის სახითაა მოცემული ხალხურობა, სიმართლე, პარტიულობა: რაც უფრო ჭეშმარიტია და ხალხური საბჭოთა ლირიკული ნაწარმოები, მით უფრო პარტიულია იგი და, პირიქით, რაც უფრო პარტიულია, მით უფრო ხალხურია და მართალი.

აღნიშნულის გამო საბჭოთა პოეზიის ლირიკული გმირი, ე. ი. თვით პოეტი-ლირიკოსი, არ შეიძლება ასახიერებდეს მხოლოდ მისთვის ნიმანდობლივ განცდებს, კერძოსა და შემთხვევითს მოვლენებს, ინდივიდუალურ სულიერ ცხოვრებას. იგი დადებითი გმირია ამ ცნების უაღრესად ფართო მნიშვნელობით და გამოხატავს იმას, რაც, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საერთო და აუცილებელია, რაც აძლევს კოლორიტსა და აზრს" მთელს ჩვენს ეპოქას. მისი დასაყრდენია პოეტური სიმართლე, ტიპიურის ინდივიდუალური პოეტური წარმოსახვა. ამიტომაა, რომ საბჭოთა პოეზია, ისე როგორც საბჭოთა

ხელოვნების ყველა დარგი, ცხოვრების ორგანულ ნაწილს შეადგენს. მისი ძალა, დანიშნულება და თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის ხალხის სულიერ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამოკითხულ სიმართლეს მხატვრულ-ემოციური გარდასახვის გზით ავლენს, ანდა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლირიკულ ნაწარმოებში სინამდვილე მაღლდება, ახალ სიცოცხლეს, ახალ ძალასა და მძაფრი ზემოქმედების უნარს იძენს. სწორედ ეს ქმნის ყოველი ნაწარმოების დიდ შემეცნებით, აღმზრდელობით და მხატვრულ მნიშვნელობას, დიდ საზოგადოებრივ-ესთეტიკურ ღირსებას. ამიტომ არის საბჭოთა პოეტი-ლირიკოსი საბჭოთა ადამიანების არა მარტო ტრიბუნი, მეტად სათუთი და მგრძნობიარე მესიტყვე, მესაიდუმლე, არამედ მათი სულიერი ცხოვრების ინჟინერიც და თანამებრძოლიც ახალი ცხოვრების შენებაში. იგი ერთსა და იმავე დროს ხალხის მოწაფეც არის და მასწავლებელიც; მაშასადამე, იგი არა მარტო გამოხატავს, არამედ კიდეც ქმნის, ჩვენი ცხოვრების აქტიურ მონაწილედ გვევლინება.

ყველაფერი ეს ნათელს ხდის, ერთი მხრივ, საბჭოთა ლირიკის საკითხების განსაკუთრებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ესთეტიკურ მნიშვნელობას, ხოლო, მეორე მხრივ, სრულ სიყალბეს და უსაფუძვლობას პომერანცევის მიერ ჟურნალ „ნოვი მირის“ ფურცლებზე განვითარებული „თეორიისა“, რომლის მიხედვითაც მხატვრული ნაწარმოების ძირითად საფუძველსა და შეფასების პირველ საზომს თითქოს გულწრფელობა წარმოადგენდეს. ეს „თეორია“, რომელიც ერთსულოვნად დაგმო ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ, გამორიცხავს მხატვრული ლიტერატურისათვის ბრძოლის პრინციპებს. უდავოა, რომ ყოველი თემა, ყოველი იდეა, ყოველი განცდა, რომელსაც პოეტი ასახიერებს თავის ნაწარმოებში, უპირველეს ყოვლისა, მან ღრმად, მთელი თავისი არსებით უნდა განიცადოს, თავისი სულიერი სამყაროს უშუალო ნაწილად უნდა აქციოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შექმნის ნამდვილ ლირიკულ ნაწარმოებს. ლექსს უნდა ქმნიდეს პოეტის ანთებული ფიქრი და გული, და ეს ფიქრიც და გულიც თან უნდა ახლდეს ამ ქმნილებას. თუ ამ ჭეშმარიტებას ყალბად გავიგებთ და გულწრფელობას მხატვრული ნაწარმოებისა და ტალანტის პირველ საზომად მივიღებთ, საერთოდ მაშინ იძულებული ვიქნებით ხელი ავიღოთ ღრმა იდეურობის პრინციპზე და ყველაფერი, რაც გულწრფელი იქნება (მათ შორის ჩვენთვის აშკარად უმწეო ნაცოდვილარიც), დიდ მხატვრულ ქმნილებად ვაღიაროთ. ამასთან, განა ყველაფერი, რაც გულწრფელია, მაღალმხატვრულიცაა? ცხადია, არა. ასეთ პრიმიტიულ წარმოდგენას მხატვრულობის შესახებ არსებითად ლიტერატურის მთელი ისტორიის გაყალბება უდევს საფუძვლად.

* * *

ცნობილია, რომ ქართულ საბჭოთა ლირიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბჭოთა ლირიკის საერთო განვითარებაში. ა. აბაშელმა, გ. აბაშიძემ, ი. აბაშიძემ, ი. გრიშაშვილმა, ა. კალანდაძემ, კ. კალაძემ, გ. ლეონიძემ, ა. მირცხულავამ, ი. ნონეშვილმა, გ. ტაბიძემ, ს. ჩიქოვანმა და სხვა ქართველმა საბჭოთა პოეტებმა შექმნეს არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებიც გამოხატავენ ჩვენი ხალხის ცხოვრებას, განცდებს, მისწრაფებებს, სამშობლოსადმი თავდადებასა და გმირულ სულს, სიხარულსა და კეთილშობილ გრძნობებს, მაღალ იდეალებსა და ინტიმურ სამყაროს. ეს ნაწარმოებები სწრაფად იქცა ხალხის საკუთრებად. ისინი ხალხთან ერთად ცხოვრობენ და იბრძვიან ჩვენი დიადი მომავლისათვის. მაგრამ

ყველა ამ ლირიკულ ქმნილებათა აბსოლუტური უმრავლესობა შეიქმნა უკანასკნელ პერიოდამდე, შედარებით უფრო მეტი რაოდენობით — დიდი სამამულო ომის პერიოდში. შემდეგ კი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ასეთი ლექსები იშვიათად, მეტად იშვიათად ქვეყნდება, რის გამო ლირიკულმა ჟანრებმა ქართულ ლიტერატურაში გარკვევით დაკარგა წამყვანი ჟანრების მდგომარეობა. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზია ქართული საბჭოთა ლირიკული ნაწარმოებების დიდი ნაწილის მხატვრული სისუსტე. ჩვენს ლირიკას ახასიათებს თემატიკური შეზღუდულობაც და ცალკეულ შემთხვევაში იდეური ხასიათის ჩრდილოვანი მხარეებიც, მაგრამ რადგან ამ საკითხებს ხშირად ეხება კრიტიკა, ამიტომ ჩვენ ამ წერილში ძირითადად სპეციფიკურ-მხატვრული საკითხების მიმართ გავამახვილებთ ყურადღებას.

საერთოდ აღიარებულია, რომ ჭეშმარიტი ლირიკული ნაწარმოები არ შეიძლება შეიქმნეს პოეტური ხედვის წარმოსახვის გარეშე. პოეტისა და ხალხის განცდები და სულიერი ცხოვრება ვერასოდეს ვერ გარდაისახება ნამდვილ პოეტურ ქმნილებად, თუ ამ დიდი შემოქმედებითი ფაქტორის ცეცხლით არ აელვარდება. იდეის სიდიადეც და ლექსის ფორმის მაღალი ოსტატობაც (ცხადია, ვიწრო გაგებით) უძლურია იხსნას ლირიკული ქმნილება გარდაუვალი მარცხისაგან პოეტური წარმოსახვის არარსებობის ან შეზღუდული სახის გამოვლენის შემთხვევაში. ამიტომაა, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და ლექსების საკმაოდ მრავალრიცხოვან კრებულებში შეხვდებით არაერთ ისეთ ლირიკულ ნაწარმოებს, რომლებიც დიდ იდეას ეხება და ლექსთაწყობის მხრივაც გამართულია, მაგრამ, ამისდამიუხედავად, მაინც მშრალია, უემოციო, არაპოეტური, უგულო და მუნჯი.

ჯერ კიდევ არისტოტელე შენიშნავდა, რომ ლექსით მეტყველება არ შეადგენს პოეზიის ძირითად და გადამწყვეტ ნიშანდობლივ თვისებას. „ისტორიკოსი და პოეტი, — წერდა იგი „პოეტიკაში“, — ურთიერთისაგან არ განსხვავდებიან იმით, ლაპარაკობენ ისინი ლექსით თუ პროზით. ჰეროდოტეს ნაწარმოები შეიძლება გალექსილიყო და ის მაინც ლექსად გამოთქმული ისტორიული ნაწარმოები იქნებოდა. არანაკლები ღირებულებისა, ვიდრე პროზით დაწერილი“. არისტოტელემ სწორად შენიშნა ისიც, რომ პოეზიის თავისებურების ძირითად მხარეს სინამდვილის თავისებური ასახვა, შემეცნება წარმოადგენს, თუმცა თვით ამ მოვლენის არსი მან სწორად ვერ განსაზღვრა. სახელდობრ, მან ვერ მიუთითა იმ არსებით გარემოებაზე, რომ პოეზიის შემეცნებითს ფაქტორს შეადგენს პოეტური წარმოსახვა, პოეტური განზოგადება და აზროვნება, რაც არსებითად მხატვრული ნაწარმოების (პოეტური ფანტაზიის) სახით ვლინდება და საბოლოო ანგარიშში კერძოდ ლექსთაწყობის სიძლიერის საფუძველსაც შეადგენს.

აღნიშნული კანონზომიერების გამო, ლირიკული ნაწარმოები მხოლოდ მაშინ გვევლინება საბჭოთა პოეზიის ჭეშმარიტ ქმნილებად, როდესაც მასში ღრმა იდეური შინაარსი და ლექსის მაღალი ოსტატობა, ხალხის სულიერი სამყაროს, განცდებისა და განწყობილებების, არსი, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე დამყარებული პოეტური წარმოსახვის (პოეტური აზროვნების, შეთხზვის, განზოგადების) საფუძველზე პოულობს განსახიერებას.

უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ ქართულ ლირიკულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილის მხატვრული სისუსტის ძირითად მიზეზს სწორედ ამ საფუძვლის უქონლობა შეადგენს.

დავიმოწმოთ რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი.

ჩვენს პერიოდულ პრესაში ლირიკული ლექსები დიდი რაოდენობით ქვეყნდება, მაგრამ მათ შორის იშვიათად შეხვდებით კარგ, ყოველმხრივ გამართულ და ნათელ ლირიკულ ნაწარმოებს. სამწუხაროდ, ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მაშინაც კი, როდესაც პოეტი ერთ ან ორ ლექსს კი არ ბეჭდავს, არამედ ლექსების მთელ ციკლს აქვეყნებს. დამახასიათებელია ამ მხრივ ნიჭიერი და ხანგრძლივი შემოქმედებითი პრაქტიკის მქონე პოეტის ა. შენგელიას ლექსები, რომლებიც „ქართული სიმღერის“ სახელწოდებით დაიბეჭდა „მნათობის“ № 7-ში. ეს ციკლი მეტად დიდ თემას ეხება. ეს არის რუსეთთან საქართველოს შეერთების, ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის დიადი თემა, რაც დაკავშირებულია ტიმონინოელ და ორთაჭალელ კოლმეურნეთა მეგობრობის მაგალითთან. ცალკეულ სტრიქონებში ა. შენგელია ახერხებს ამ თემის სათანადო პოეტური გააზრებით და წარმოსახვით ამეტყველებას, მაგრამ თუ ამ ლექსებს საერთოდ ავიღებთ, ისინი არ შეიძლება პოეტს ჩაეთვალოს მორიგ წარმატებად.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ა. შენგელიას ამ ლექსებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რუსეთთან საქართველოს შეერთება გამოწვეული იყოს ერეკლე მეორის პირადი სურვილით. ნამდვილი მიზეზი, ღრმა ისტორიული მიზეზი, რომელმაც ერეკლე, საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეს დიდი გმირი, ამ დასკვნამდე მიიყვანა, ამ ლექსებში არსებითად არ იგრძნობა. მართალია, ლირიკული ლექსი არ შეიძლება ვაქციოთ ისტორიულ ნარკვევად, მას არც ისეთი ასახვითი შესაძლებლობა აქვს, როგორც ეპიკური ან დრამატული ჟანრის ნაწარმოებს, მაგრამ რეალისტური პოეტური წარმოსახვა მოვლენების არსის ძირითად კონტურს მაინც უნდა გადმოგვცემდეს. ამის გარეშე იგი ცალმხრივია და ზედაპირული. სამწუხაროდ, ასეთი ელფერი გარკვევით ახასიათებს ა. შენგელიას ლექსების ერთ ნაწილს აღნიშნული ზერელობის სახით. „ქართული სიმღერის“ საერთო ნაკლს კი შეადგენს პოეტური წარმოსახვის, საერთოდ ფორმის, სიფერმკრთალე. ამიტომაა, რომ შენგელიას ლექსებში მთელი სისრულით არ იგრძნობა იმ იდეების ძალა, სიდიადე და ჭეშმარიტი არსი, რომელთა გადმოცემას პოეტი გულწრფელად ცდილობს. საილუსტრაციოდ ავიღოთ „ქართლის სიმღერის“ პირველი ლექსი — „გაზაფხული მოვიდა“. იგი უმთავრესად ასეთი სტროფებისაგან შედგება:

> გაგვიშუქდა ქართლის ბაღი,
> მზე დაადგა თბილის-ქალაქს
> და ყვავილებს გულზე ახლის
> მოზეიმე ორთაჭალა!
>
> ორთაჭალას განა მარტო
> გაზაფხულის ზეიმი აქვს,—
> აქ სიმღერა დანავარდობს,
> ქარს კრწანისში ლხენით მიაქვს.
>
> მანქანების ცეცხლის კრთომა,
> ტრაქტორების გრგვინვა მინდვრად,
> თავისუფალს უმღერს შრომას,
> დიდებად რომ დაგვიმკვიდრდა.

როგორც ვხედავთ, ეს სტრიქონები არ ელვარებენ არც პოეტური წარმოსახვით, არც ლექსის ოსტატობით. გარდა ამისა, პირველ სტროფში ძნელია გაიგოს მკითხველმა, თუ ვის ახლის ყვავილებს გულზე „მოზეიმე ორთაჭალა“. არსებითად აქ ნაწილობრივ საქმე გვაქვს პოეტური აზროვნების ბუნდოვანებასთან. აგრეთვე ეს ლექსი არ ავლენს პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობას რომელიმე ერთ დეტალსაც კი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უკანასკნელი სტროფის ტრაფარეტული ხასიათიც.

არსებითად, ასეთივე ხასიათისაა ა. შენგელიას ამ ციკლის სხვა ლექსებიც. მაგალითად, ლექსებში — „ერეკლეს

სახე“ და „პატარა კახი“ პოეტი ცდილობს დახატოს ერეკლე მეორის ლირიკული სახე. პირველში პოეტი აღწერს, თუ როგორ ეწვია იგი რუს სტუმრებთან ერთად ერეკლეს სახელობის მოედანს და როგორ შემოხვდა მათ თვით ერეკლე მომღიმარი სახით. პოეტი ამბობს:

მე მისი ღიმილიც ნამდვილად ვნახე, —
სტუმრებში ნაცნობი იხილა იქნებ.
იქნებ წარსულისკენ მოხედა დრო-ქამს, —
და საქართველოში ქართველთა ბედად,
ვინც ძმურად აღმართა რუსული დროშა,
იმ პირველ მედროშის შვილიშვილს
ხედავს!

პოეზიის თვალსაზრისით ეს სტრიქონები სუსტია. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მივუთითოთ მხოლოდ ერთ სტრიქონზეც კი: „და საქართველოში ქართველთა ბედად“. ასეთივეა მეორე ლექსის უმეტესი ნაწილი. აქ პოეტი საქართველოს მიმართავს, რომ შენთვის ომში „დაცემულთა ყველა გული“ ერთ დიდ გულად აგიძგერდაო და დასძენს:

მათი ნატვრა, მათი ფიქრი,
შენი სარდლის ფიქრი გახდა,
დაცემულთა ყველა ხმალი,
მის თვალებში ელვად გაკრთა!
ის უკვდავი გული იყო,
მტერზე მკერდით შემართული,
პატარა კახს უწოდებდი,
პატარაა რადგან გული!..

. . . . . .

თავი რომ დავანებოთ ამ სტრიქონების სხვა მხარეს, განა ჭეშმარიტ პოეტურ გააზრებად შეიძლება მივიჩნიოთ იმის აქ წარმოდგენილი ახსნა, თუ რატომ უწოდებდნენ ერეკლეს პატარა კახს? ასეთი წარმოსახვით ყოვლად შეუძლებელია ერეკლეს ნამდვილი ლირიკული პორტრეტის შექმნა.

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს. ლექსში — „მეგობრობის ზეიმი თბილისში“ ერეკლესა და ხმელნიცკის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ:

ამდგარა ხალხი დროშასთან ახლოს
ხმელნიცკიც მოჩანს, ერეკლეც მოჩანს,
რადგან დღეს გულში სიმღერა სახლობს.
რადგან დღეს ყველა ტკივილი მორჩა.

აქაც მეტად შეუსაბამო პოეტურ გააზრებასთან გვაქვს საქმე. განა არ შეიძლებოდა ერეკლე ან ხმელნიცკი მაშინაც გამოჩენილიყვნენ დროშასთან, როცა ხალხის გულში სიმღერა არ იყო დასადგურებული და ყველა ტკივილი მორჩენილი? არც ისაა სწორი, რომ ის სიმღერა და „ყველა ტკივილთა მორჩენა“, რაც უკრაინელი ან ქართველი საბჭოთა ადამიანების გულებს ახარებს, მთლიანად ასე ხელაღებით ერეკლესა და ხმელნიცკის სახელებს დავუკავშიროთ. ამასთან, ქართველი და რუსი ხალხების დღევანდელ და ერეკლეს დროინდელ ან საერთოდ რევოლუციამდელ მეგობრობაშიც უნდა დავინახოთ განსხვავება.

როგორც აღვნიშნეთ, „ქართულ სიმღერაში“ გვხვდება ცალკეული კარგი სტრიქონები. ისინი გარკვევით მოწმობენ, რომ ა. შენგელიას შეეძლო მთლიანი ხასიათის კარგი ლირიკული ლექსი შეექმნა მეგობრობის თემაზე, თუ პოეტი მეტი სიმკაცრით მოეკიდებოდა თავის ნაწარმოებებს და მეტს იშრომებდა მათი პოეტური სრულყოფისათვის.

ამგვარი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება ჩვენს პერიოდულ პრესაში („მნათობი“, „ლიტერატურული გაზეთი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“). ამავე დროს, ასეთი ხასიათის ნაწარმოებებს ხელს აწერენ არა მარტო რიგითი ან დამწყები პოეტები, არამედ მთელს საბჭოთა კავშირში უკვე სახელგანთქმული მგოსნებიც. საილუსტრაციოდ მივუთითებთ ცნობილი საბჭოთა პოეტის ს. ჩიქოვანის ახალი ლექსების კრებულზე. ამ ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე „მნათობსა“ და „ლიტე-

რატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა, ხოლო გასულ წელს მთლიანი სახით გამოიცა „ახალი დღიურების“ სახელწოდებით. ს. ჩიქოვანის ამ ნაწარმოებთა იდეური აქტუალობა, მრავალფეროვნება და მნიშვნელობა სათანადოდ იქნა აღნიშნული ჩვენს პრესაში („კომუნისტი“, „ლიტერატურული გაზეთი“). ამიტომ ამ საკითხებს აქ არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჭეშმარიტი იდეური შინაარსი საბჭოთა ლირიკის აუცილებელი თვისება, დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი და ნიშანდობლივი მხარეა. ამ საფუძვლის გარეშე არ შეიძლება შეიქმნეს ნამდვილი საბჭოთა ლირიკული ნაწარმოები. თვით ეს იდეები კი ნათლად არის მოცემული ჩვენს ცხოვრებაში. ისინი ყოველი ნამდვილი საბჭოთა ადამიანის რწმენაშია ასახული. საბჭოთა პოეტს მათი ძიება ან შექმნა არ სჭირდება. იგი ამ მხრივაც უფრო ფართო შემოქმედებითს ასპარეზთან არის დაკავშირებული, ვიდრე კლასიკური რეალისტური ლირიკის ოსტატები იყვნენ. ამიტომ საბჭოთა ლირიკოსის ტალანტის ძალა და შემოქმედებითი უნარი, პროფესიული ოსტატობა და კულტურა იმაში მჟღავნდება, თუ თავის ნაწარმოებებში რამდენად უფრო ღრმად სწვდება იგი ჩვენი დროის ამოცანებს, მოწინავე იდეებს და ორგანულად განიცდის მათ, რამდენად უფრო დიდი ძალის საკუთარი პოეტური ხმით უმღერის იგი ჩვენს ცხოვრებას და ხელს უწყობს მის წინსვლას, განვითარებას.

როგორც ცნობილია, ს. ჩიქოვანი ავტორია ისეთი ლირიკული ქმნილებებისა, რომლებიც თამამად დგანან საბჭოთა ლირიკის მოწოდების სიმაღლეზე. ისინი ფართოდაა ცნობილი მთელ საბჭოთა კავშირში. „ახალ დღიურებშიც“ გვხვდება ასეთი ნაწარმოებები. ასეთებია, მაგალითად, „გამოთხოვება“, „გორის სახლი პარონინოში“, „საბჭოთა დედა ბერლინში“, „გოეთეს საფლავთან“, „ხალხური ცეკვა“, აგრეთვე „მეზღვაურები და მფრინავები“ და სხვ. მაგრამ კრებულში მოთავსებული ლექსების ერთი ნაწილი, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი ნაწილი, მოკლებულია ნამდვილ და ღრმა პოეტურ წარმოსახვას, ამაღლებულ ლირიკულ-ემოციურ სურათოვნებასა და სიღრმეს. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში ცალკეულ კარგ სტრიქონებსაც მოიცავენ, ხელოვნურია, ვერ გიზიდავთ, ვერ გიტაცებთ, ვერ გაგრძნობინებთ პოეზიის ნამდვილ ცეცხლს. ამიტომ, ბუნებრივია, იდეებიც, რომლებიც ამ ნაწარმოებებშია მოცემული, რამდენადმე გაუბრალოებულია.

საილუსტრაციოდ მოვიტანთ რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითს. პირველად გავეცნოთ ლექსს — „პურის მკა“. ეს ლექსი ასეთ სტროფებს შეიცავს:

მკაში შრომობს მთელი მხარე,
ხორბალს ცლიან ბუნკერიდან დები.
მარცვალს სინჯავს თავმჯდომარე
მჭრელი თვალით და ხორკლიან ნებით.

. . . . . .

მკა და ლეწვა არ დაყოვნდეს,
ბრიგადირმა ძრავს მიაპყროს ყური.
თავმჯდომარეე, არ დაღონდე,
დაღამდება, დახვავდება პური.

დღე გრძელია, ჩემო კარგო,
შენ კალოსთან აღარ გირქენს ხარი.
იქეთ მიდექ, ამხანაგო,
კომბაინმა არ მოგტეხოს მხარი.

აქ ნამდვილ პოეტურ წარმოსახვას ცვლის „დიდაქტიკა“ იმის შესახებ, რომ კოლექტივის თავმჯდომარეს, რომელსაც თურმე „ხორკლიანი ნები“ ჰქონია, მართალია, ახლა ხარი არ ურქენს კალოსთან, მაგრამ თუ განზე არ მიდგა, შეიძლება კომბაინმა მოსტეხოს მხარი. სხვა ამგვარ „მოტივებს“ რომ არ მივაქციოთ ყურადღება, მხოლოდ ეს დეტალიც ნათელს ხდის პოეტის წარმოსახვის სიღარიბეს ამ ლექსში. ასეთ ლირიკას, ცხადია, არ შეუძლია დააკმა-

ყოფილოს საბჭოთა ადამიანების ესთეტიკური გემოვნება ან მოგვცეს პურის მკის ღრმა ლირიკული სურათი. არსებითად ასეთივეა ლექსიც „ფერმაში". მოვიტანთ ერთ სტროფს:

ბოსელი ფერმის ერთი მხარეა,
ფურს ეფერება თლილი თითები.
ნაზანი მართლა თავმჯდომარეა,
და ხბოს მოვლაზე ვეთათბირები.

ამ ლექსს ასეთ მეტად განსაზღვრულ პოეტურ ხასიათთან ერთად აქვს სხვა არსებითი ნაკლიც, რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

ცნობილი გმირის კუნავინის თავდადება ლირიკისათვის ამაღლებული თემაა. ს. ჩიქოვანიც მოუხიბლავს მას. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ლექსი „ურალელი გრიგოლ კუნავინი პოლონეთში", ცალკეული კარგი სტრიქონებისა და სტროფების მიუხედავად, ვერ ხიბლავს მკითხველს. იგი შემდეგი სტროფით იწყება:

პოლონეთში სოფელია ერთი,
ეწოდება სოფელს გერასიმოვიჩი,
კუნავინმა აქ გაშალა მკერდი
და ვერაგ მტერს შეაჯახა მხედრის ნიჯი.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს სტრიქონები არაპოეტურია.

ანალოგიურია ლექსიც „საბჭოთა მევენახე პოლონეთში". მასში გვხვდება ასეთი ხასიათის სტროფები:

უსმენდა სტუმარს თორმეტი გლეხი,
თხელი ღიმილი დაჰკროდა ბაგეს,
არ მოუცვლია ადგილზე ფეხი
შემანქანეს და საწყობის გამგეს.

აი კიდევ ერთი ნიმუში ლექსიდან „თბილისის ზღვასთან":

დღეს სამგორზე იორია,
გვირაბებში ივრის ხმაურია,
ზღვას დანათის ისტორია,
რადგან ტბასთან სარდალს გაუვლია.

კომენტარიებს ზედმეტად ვთვლით. სხვა დამახასიათებელ მაგალითებსაც არ მოვიტანთ ამ კრებულიდან. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ეს და მათი მსგავსი ნაწარმოებები — არა მარტო პოეტური წარმოსახვის მხრივ არიან მეტად ღარიბი, პრიმიტული და მხატვრულ-ემოციურ სიღრმეს მოკლებული, არამედ ლექსთა წყობის მხრივაც. ამას ნათლად ადასტურებს ასეთი შერითმვაც: გლეხი — ფეხი, ბაგეს — გამგეს, გერასიმოვიჩი — მხედრის ნიჯი და სხვ. დამახასიათებელია, რომ ამ და ლექსის ფორმის სხვა ნაკლოვანებების შესახებ სამართლიანად მიუთითებდა ბ. ჟღენტი „ლიტერატურულ გაზეთში" დაბეჭდილ წერილში „ახალი დღიურების" შესახებ. (იხ. მიმდინარე წლის 18 ივნისის ნომერი).

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ამ ლექსებში პოეტური ფორმის ისეთი რთული, მეტად სათუთი და უკიდურესად პოეტური კომპონენტის მხრივ, როგორიცაა მელოდია.

*
* *

სუსტ ნაწარმოებს ვხვდებით ნიჭიერი და პოპულარული პოეტის ი. ნონეშვილის ლექსების კრებულშიც — „სიმღერა მეგობრობისა", რომელიც მიმდინარე წელს გამოსცა საბჭოთა მწერალმა" (ნაწილი უფრო ადრე პერიოდულ პრესაშიც გამოქვეყნდა). ამ კრებულში არაერთი ჭეშმარიტად კარგი, ხალხში უკვე გავრცელებული ლექსებია მოთავსებული. ასეთებია: „მამავ, ძვირფასო" (თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეორე სტროფს, რომელიც შედარებით სუსტ შთაბეჭდილებას ტოვებს) და მთელი რიგი სხვა, უმთავრესად, სატრფიალო-ინტიმური ხასიათის ლექსებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეს კრებული თავისი თემატიკისა და იდეური შინაარსის მხრივაც. მაგრამ, ამავე დროს, კრებულში

გვხვდება აშკარად სუსტი ლექსებიც. მაგალითად, ღარიბი პოეტური წარმოსახვით და ლექსთაწყობით ხასიათდება „საიათნოვას გახსენება“. ამ ლექსში კარგად მიგნებული თემა მეგობრობის იდეის გადმოსაცემად ვერ არის სათანადოდ გახსნილი და ამაღლებული. ამ ლექსისათვის ასეთი სტროფებია დამახასიათებელი:

ამბობენ, როცა დაბნელდა ზეცა,
თბილისმა დაცვა რომ მოითხოვა,
თუმც ბევრი შავი სამოსი გეცვა,
ხმალიც აიღე, საიათნოვა.

ან კიდევ:

ხალხს არ უნდოდა მტრობა და ომი,
ომი უნდოდა მმართველთა ხროვას,
ხიდის გადება სამ ძმასა შორის
ოცნებად გქონდა, საიათნოვა.

ეს ხომ უბრალო გალექსილი პროზაა და არა ლირიკული პოეზია.

ასეთივე ხასიათისაა ლექსიც „მოსაზღვრე“. აქაც ქართველი და სომეხი ხალხების ძმობისა და მეგობრობის დიდი თემაა ამეტყველებული, მაგრამ თვით ლექსი ვერ დგას ამ თემის მოწოდების სიმაღლეზე. იგი ასეთი სტროფებით ხასიათდება:

შორს, ძლიერ შორს, სომხეთის
მთებს რომ შეერთებიან,
თეთრად ჩამობარდნილი
საქართველოს მთებია.

იქ ყოფილა სომხეთთან
საქართველოს საზღვარი,
მაგრად ჰკეტდნენ მეფენი,
მიწით გაუმაძღარნი.

მაგრად ჰკეტდნენ მეფენი,
თავადები, მთავრები,
ჩიტიც ვერ გადიფრენდა,
ვერც ნიავი თავნები.

ნამდვილ პოეზიას ვერ იგრძნობთ ვერც შემდეგს სტრიქონებში ლექსიდან: „ასე ნატრობდით“:

სომხური ზეცა გედგათ თვალებში,
ნატრობდით სომხური მიწის ოხშივარს,
ასეა თურმე... უცხო მხარეში
მშობელი მიწის სუნიც მოგშივა.

ანალოგიური ლექსები სხვაც არის ამ კრებულში. აგრეთვე აქ გვხვდება ისეთი ლექსებიც, რომლებშიც პოეტური წარმოსახვაც იგრძნობა და ლექსთაწყობაც გამართულია, ერთი სიტყვით, ყველაფერი თითქოს თავის რიგზეა, მაგრამ ისინი მაინც მოკლებულია სიღრმეს, ნამდვილ ლირიკულ ეღერადობას, მკვეთრ ინდივიდუალურ ხასიათს, შინაგან ემოციურ ძალას. სწორედ ამის გამო ეს ლექსები უფერულ შთაბეჭდილებას ახდენს, არაფერს არ მატებს მკითხველის განცდებს, წარმოსახვასა და გონებას. სამწუხაროდ, ასეთი უსახო და უფერული ლირიკული ნაწარმოებები მეტად ხშირად გვხვდება უკანასკნელ დროს. ჩვენი ღრმა რწმენით, ამ თითქოს უწყინარი ლექსების გამრავლება განსაკუთრებით ვნებს ჩვენი პოეზიის განვითარებას.

* * *

ლირიკული ნაწარმოების, საერთოდ პოეზიის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ მასში განსახიერებული შინაარსი, განცდა, სურათი, ლექსის ფორმის ხასიათსა და საერთო მხატვრულ ეღერადობაში განსაკუთრებული სიცხადით ისახება: რიტმი, რითმა, მეტრი, ალიტერაცია, ასონანსი, მელოდიკა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი არაპირდაპირი რითმაა (ე. ი. არა გარკვეული ბგერითი კომპლექსების კანონზომიერი გამეორება, არამედ სხვადასხვა ბგერების ურთიერთშეწყობა), ტროპები, საერთოდ ლექსის მთლიანი პოეტური ქსოვილი უშუალოდ გამოხატავს შინაარსს, და რაც მთავარია, გამოხატავს მეტად მკვეთრად და ემოციურად. მართალია, ეს თავისებური სახით დამახასიათებელია ლიტერატურული ნაწარმოების ყველა გვარის ფორმისათვისაც, მაგრამ ლირიკაში იგი შედარებით უფრო აქტიური სახით, უფრო რელიეფურად ვლინდება. ამიტომაა, რომ პოეტურ ნაწარ-

მოებში დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვის არამარტო შინაარსს, არამედ ფორმასაც, განსაკუთრებით ბგერითი შედგენილობის ხასიათს.

ქართულ საბჭოთა ლირიკაში არც ისე იშვიათად გვხვდება ისეთი ნაწარმოებები, რომელთა პოეტური ფორმა მხოლოდ ლექსთაწყობის შექმნას ემსახურება და, მაშასადამე, არსებითად ლექსის მხოლოდ გარეგან სამკაულს წარმოადგენს, შინარსს არ გამოხატავს, შინაარსის მოძრაობიდან არ გამომდინარეობს. უკანასკნელს, საერთოდ მთელს ლირიკულ სახეს ასეთ ნაწარმოებებში არსებითად მხოლოდ სიტყვებისა და ფრაზებს სემანტიკური მხარე გადმოგვცემს და არა ლექსის პოეტური სპეციფიკური ქსოვილის მთლიანი ხასიათიც. ამრიგად, ფორმისა და შინაარსის ზემოთ აღნიშნული შინაგანი მთლიანობა ამ ნაწარმოებებში დარღვეულია, არ არსებობს. ამ გარემოებას სავსებით ნათელს ხდის ზემოთ ციტირებული სტროფები, რის გამო სხვა დამახასიათებელ მაგალითს აღარ მოვიტანთ.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ ლექსებში, თითქოს ფორმის მითითებული გამოსახვითი ხასიათის შექმნის მიზნით, გარკვეული ფორმალისტური ხასიათის ექსპერიმენტებიც გვხვდება. ასეთ შემთხვევაში, პოეტური წარმოსახვის ფერმკრთალ ხასიათთან ერთად, საქმე გვაქვს ლექსის „კეთებასთან“ და არა ნამდვილ შემოქმედებითს წვასთან. მაგალითად, „ახალ დღიურებში“ მოთავსებულ ლექსში — „ეგ საუბარი შეწყვიტეთ წუთით“, რომელშიც ს. ჩიქოვანი ცდილობს დახატოს წვიმის ლირიკული სურათი, ასეთი სტროფები გვხვდება:

> წვიმა აწივლებს უთვალავ წიწილს,
> წვიმა კრწანისში ეფრქვევა ბოსტანს,
> ჯერ სამგორს ნამავს წვეთები წვიმის,
> მერმე ეწვევა რუსთავში ოსტატს.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ პოეტი აქ წიწილების წივილს მხოლოდ ალიტერაციისა და რითმების შესაქმნელად იშველიებს. მაგრამ ამ ლექსის ეს მართლაც წივილა ხასიათის ბგერითი შეწყობა ნაწილობრივადაც ვერ გამოხატავს წვიმით აღძრულ განცდას. ცხადია, რომ აქ პოეტს თავისთავადი მნიშვნელობის ფორმალური მომენტი უფრო იტაცებს, ვიდრე შინაარსისა და ფორმის შინაგანი მთლიანობის ძიება. წინაღმდეგ შემთხვევაში, განა ამაზე მახვილი, ამაზე ნიშანდობლივი, ემოციური და ლირიკული არაფერი შეეძლო ეთქვა პოეტს წვიმის, ამ თავისთავად უაღრესად ლირიკული მოვლენის შესახებ? ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ მხატვრულ წარმოსახვას სათანადო სიღრმე და ემოციურობა მაშინ ახასიათებს, როდესაც იგი თანდათან ძლიერდება, ამასთან გარკვეულ შინაგან ლოგიკურ კავშირს ემყარება. ციტირებულ სტროფში არც ეს გარემოებაა გათვალისწინებული. მაგალითად, მეოთხე სტრიქონი არამარტო არ ამძაფრებს და არაფერს ახალს მატებს მეორე და მესამე სტრიქონებში თქმულს, არამედ სრულიად მოულოდნელიც არის. უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტს სურდა რუსთავის ოსტატის მოშველიებით იდეურად „გაემდიდრებინა“ თავისი ლექსი. სინამდვილეში კი ასეთი შეუსაბამობა და ძალით შექმნილი „იდეური ჩარჩო“ ვნებს ლექსის როგორც იდეურ შინაარსს, ისე წმინდა პოეტურ ღირსებასაც. ამიტომაა, რომ საერთოდ ეს ლექსი ფერმკრთალ შთაბეჭდილებას სტოვებს.

აღნიშნულთან ერთად, ყურადღებას იქცევს ჩვენს პოეზიაში გამოვლენილი დისონანსისა და მხატვრულ-ემოციური ულოგიკობის შემთხვევები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ხალხური შაირებისათვის დამახასიათებელი ე. წ. პარალელიზმების ისეთი ცალმხრივი, ძალზე გაზვიადებული და თვითმიზნური (ფორმალისტური) „პოეტური თამა-

ში“, რომელიც ხასიათდება ბუნდოვანობით, გარკვევით ამცირებს ნაწარმოების მხატვრულ-ემოციურ ძალას და დეკადენტური პოეზიის (განსაკუთრებით ფუტურიზმის) აშკარა გადმონაშთს წარმოადგენს. მაგალითად, ს. ჩიქოვანი პოლონელ მთიელებისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელსაც „გურალები“ ეწოდება, შემდეგს წერს:

მთაში მთქმელი და მელექსე მრავალია,
მთებია თუ თეთრხალათა მკურნალები.
ბუნებასთან მთაში ბრძოლა მთავარია, —
და ხევსურებს მაგონებენ გურალები.

როგორც ვხედავთ, აქ ყოველი სტრიქონი სავსებით დამოუკიდებელი შინაარსის მატარებელია და ხელოვნურად არის დაკავშირებული სხვა სტრიქონებთან. ალბათ განსაკუთრებული ზრუნვა დასჭირდა პოეტს, რომ ასე დაეფანტა თავისი აზრი და განცდა. მთელ რიგ სხვა სტროფებთან ერთად, რომლებიც აქ არ მოგვყავს, ანალოგიური ხასიათისაა ზემოთ ციტირებული სტროფიც ლექსიდან — „ფერმაში“. უდავოა, რომ ასეთი „პოეზია“ ყოვლად შეუძლებელია შეუთავსდეს სოციალისტური რეალიზმის ლირიკას. მის მსგავსს ჩვენ ვერაფერს ვნახავთ კლასიკურ ლირიკაშიც.

აშკარა დეკადენტურ-ფორმალისტური ხასიათისაა აგრეთვე ს. ჩიქოვანის ცალკეული შედარებები, ეპითეტები და გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვები (ტროპები). მაგალითად, ზემოთ დასახელებული ლექსი „ფერმაში“ ასეთ სტროფსაც მოიცავს:

ღვივის ნაზანის შავი თვალები,
დაწითლებია მზეზე ლოყები.
თითქოს სწვევია ბოსელს ჭალები,
და ჭალის ბალახს ძოვენ ძროხები.

საერთოდ ეს სტროფი ბუნდოვანია, ძნელი გასაგებია — რა ეჩვენება პოეტს ჭალებად, რომელთა ბალახს ძროხები სძოვენ? ან რად დასჭირდა მას თვით ამ ძროხების მოშველიება? როგორც ჩანს, აქ ჭალები ლოყებს, ხოლო ძროხები თვალებს ედარება. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთი „წარმოსახვა“ არც ემოციურია და არც მხატვრული. იგი საერთოდ პოეზიის გარეშე დგას.

ასეთივე ხასიათისაა შემდეგი სტრიქონიც:

და სახლი ჰგავს შენი ხელის ალერსს.

ამ სტრიქონში (ციტირებულია ლექსიდან „ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად“) პოეტის ხედვა თუმცა შედარებით უფრო ნაზია, მაგრამ მაინც შეუსაბამოა და არარეალისტური. სახლსა და ხელის ალერსს შორის შეუძლებელია გამოინახოს რაიმე ისეთი მსგავსება, რომელიც დაგვეხმარება პირველის უფრო მეტი სიცხადით წარმოსახვაში.

უდავოა, რომ ამ შემთხვევაშიც ფუტურიზმის აშკარა გადმონაშთთან, რეციდივთან გვაქვს საქმე. ასეთი მოვლენები კი გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენენ ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებაზე. აი ფაქტიც: „ახალგაზრდა კომუნისტის“ მიმდინარე წლის 12 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა კ. კობერიძის ლექსი „ნეტავ“, რომელიც შემდეგი სტრიქონებით იწყება:

ზეცამ ღამე ჩამოხია ვარსკვლავების
საჭრეტლითა,
თავქვე გაიმინდვრიანა მკერდზე ღრუბლის
ნაჭერითა,
ჰერემხევი ჩამოლია (შეცქეროდა მარეხიანს);
შემოვარდა გარიჟრაჟი, დედასავით ჩამეხვია,
დედასავით ჩავეხვიე,
დედასავით სანეტაროს,
ნეტავ —
დედა-ბოძად დავეტანო.

როგორც ვხედავთ, ზემოთქმულის დადასტურება ფუტურიზმის გარკვეული ელემენტის სახით აშკარადაა მოცემული ამ სტრიქონებში. ანალოგიურ მოვლენას აქა-იქ (იშვიათად) სხვა შემთხვევაშიც შეხვდებით „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე.

*
* *

დასასრულ რამდენიმე შენიშვნა ენის შესახებაც. ცნობილია, რომ დიდ რეალისტ ლირიკოსებს ენის სიწმინდე, პოეტური ფრაზის უბრალოება და ნათელი გააზრება ფორმის სამსხვერპლოზე კი არ მიჰქონდათ, არამედ, პირიქით, თავიანთ ქმნილებებში ახალი ძალით, მეტი სიცხადით და ბრწყინვალებით მოსავდნენ მათ. სამწუხაროდ, ცალკეულ შემთხვევაში საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე თანამედროვე ქართულ ლირიკაში. დამახასიათებელია, რომ ეს შემთხვევები არ იფარგლება მხოლოდ რითმებისათვის სიტყვების დამახინჯებით და პოეტური ფრაზების ბუნდოვანებით. ასეთ მოვლენებს თან ერთვის ენის თანამედროვე ნორმების „გაარქაულებაც". მაგალითად, „ახალ დღიურებში" ვკითხულობთ: „სადგურს ვუმზერ მატარებლით" (გვ. 81), „მე შეზრდილი ვარ ბიჭვინთის ბზაზე" (გვ. 158) და სხვა. ცხადია პოეტურ ენას აქვს თავისებური სინტაქსი, თავისი სპეციფიკა. მაგრამ აქ მოტანილ და მის მსგავს დაუდევრობას არაფერი აქვს საერთო მხატვრული ენის ამ მხარესთან. ანალოგიურია შემდეგი სტრიქონებიც:

> გმირულ მკლავებში
> დევკაცური ძალა რომ ერჩით,
> ჯილაგი მოსდგამთ
> სულისა და აზრის ღონეშიც.

ეს სტროფი, რომელიც შ. ამისულაშვილს ეკუთვნის, (იხ. „ახალგაზრდა კომუნისტის" მიმდინარე წლის 17 ივნისის ნომერი), პოეტურადაც მეტად ფერმკრთალია. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგან ცნობილია, რომ იქ, სადაც ენა დამახინჯებულია, პოეზიაც ჩრდილოვანია, ფერმკრთალი და უსუსური.

*
* *

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ წერილში მითითებული ნაკლოვანებები არ არის დამახასიათებელი მხოლოდ მოხსენებული ავტორებისათვის. ეს ფაქტები ჩვენ დავასახელეთ, როგორც საილუსტრაციო ნიმუშები უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული ლირიკული ლექსების დიდი ნაწილის დასახასიათებლად.

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ლირიკოსების შემოქმედებაში გვხვდება ე. წ. „შიშველი იდეების" შემცველი და „რიტორიკული" ლექსებიც. ეს ნაწარმოებები არსებითად გალექსილი პუბლიცისტური წერილებია.

ნამდვილი საბჭოთა ლირიკული ნაწარმოები არ შეიძლება მოიცავდეს ასეთ სქემებს. პირიქით, იგი სახეებით უხდა მეტყველებდეს; იგი უნდა ასახიერებდეს ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის ცხოვრებას, განცდასა და გრძნობებს, მისწრაფებებსა და იდეალებს მაღალი პოეტური წარმოსახვით და ფორმის დიდი ოსტატობით. იგი პოეტური სილამაზით უნდა იყოს სავსე და ჭეშმარიტად რეალისტური ლირიკული სურათებით უმღეროდეს ადამიანთა დიად მომავალს, ჩვენი ხალხის ბედნიერ ცხოვრებას, მის იდეალებს და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულს; მისი სტრიქონები ამაღლებულად, ემოციურად, დამაჯერებლად უნდა ხატავდეს ლირიკული ფერებით ხალხის კეთილშობილ გრძნობებს, სულისკვეთებას და კიდევ უფრო უნდა გვაყვარებდეს იმას, რაც გვიყვარს და სიყვარულის ღირსია, ხოლო კიდევ უფრო უნდა გვაძულებდეს იმას, რაც გვძულს და სიძულვილს იმსახურებს.

ასეთი ლირიკა არ შეიძლება დარჩეს წიგნებში, არ გადავიდეს ხალხში, არ გახდეს ადამიანთა სულის მშენებელი და არ იქცეს საერთო-სახალხო სიმღერად. და ეს იმიტომ, რომ, თუ

მგოსანი უმღერის სიმართლეს, მღერია ნამდვილი, დიდი პოეტური ხმით, მაღალი პოეტური წარმოსახვით და სრულქმნილი ოსტატობით, მაშინ მისი სიტყვა მთელი ხალხის სულსა და გულს სწვდება, ხალხის საკუთრებად და შთაგონებად იქცევა. ასეთი ლირიკული ქმნილება ჭეშმარიტად სახალხო, დიდი ესთეტიკური და საზოგადოებრივი მოვლენაა. იგი უკვდავია და დიდ როლს ასრულებს ადამიანთა სულიერი ცხოვრების განვითარებასა და ახალი ყოფის ფორმირებაში. როგორც ცნობილია, ქართულ საბჭოთა ლირიკას ასეთი ქმნილებები ამშვენებს. მაგრამ ჩვენ უფრო მეტი უნდა გვქონდეს ჭეშმარიტად ძლიერი ლირიკული ნაწარმოებები, რადგან გვყავს არაერთი მაღალნიჭიერი და სახელმოხვეჭილი პოეტი, ლირიკის ცნობილი ოსტატი. სწორედ ამ მგოსნების შემოქმედებითი შესაძლებლობის, პოტენციის მხოლოდ ნაწილობრივი გამოვლენით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ თანამედროვე ქართული ლირიკა სუსტი ნაწარმოებების აშკარა წყალდიდობით ხასიათდება.

ცხადია, კარგ პოეტებსაც ყოველთვის არ შეიძლება გამოუვიდეს კარგი ნაწარმოები. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უფლება აქვთ სუსტი ნაწარმოებები გამოაქვეყნონ და არ იფიქრონ თავიანთი ქმნილების ყოველ სტრიქონის ღირსებაზე? ცხადია, არა. ცხადია ისიც, რომ, თუ კრიტიკა იქნება ობიექტური, პრინციპული და მწერალს არ აპატიებს მდარე და უხერხემლო ნაწარმოებების გამოქვეყნებას, მაშინ პოეზია უფრო ამაღლდება, უფრო მეტი გვექნება ნამდვილი ლირიკული ქმნილებები, ხოლო გაცილებით უფრო ნაკლები — ე. წ. ძალად ლირიკა, ძალად პოეზია.

მეტი პრინციპულობა უნდა დაინერგოს ჩვენი რედაქციებისა და გამომცემლობების მუშაობაშიც. ისინი ყოველთვის საჭირო სიმკაცრესა და ობიექტურობას არ იჩენენ დასაბეჭდ ნაწარმოებთა შერჩევისას, რაც დიდ ზიანს აყენებს ხალხის მხატვრული გემოვნების ამაღლებასა და ჩვენი პოეზიის განვითარებას, ამასთან თვით ჟურნალ-გაზეთებისა და გამომცემლობების ლიტერატურულ ავტორიტეტსაც.

ქართული საბჭოთა პოეზია უნდა გამდიდრდეს ახალი ღირსშესანიშნავი ქმნილებებით. იგი ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე უნდა გახდეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ კალანდარიშვილი

ასახვის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ზოგიერთი საკითხი

★

როგორც ცნობილია, ფილოსოფიის ძირითადი საკითხია არსისა და აზრის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მატერიალიზმის თანახმად, პირველადია არსი, მატერია, ბუნება და მეორეული — აზრი. იდეალიზმის მიხედვით კი პირველადია აზრი და მეორეული არსი, მატერია, ბუნება. მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ საბოლოოდ გადაჭრა ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა და დაამტკიცა, რომ არსი, მატერია, ბუნება და მისი განვითარება პირველადია, აზრი კი მეორეული, ე. ი. წარმოადგენს არსის, მატერიის ხანგრძლივი განვითარების შედეგს. ამით საბოლოოდ დაძლეული იქნა სუბიექტური და ობიექტური იდეალიზმის რეაქციული „მოძღვრება" და უარყოფილ იქნა ძველი, მარქსამდელი მეტაფიზიკური მატერიალიზმის ნაკლოვანებანი.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარე, როგორც გვასწავლის ფ. ენგელსი თავის „ლუდვიგ ფეიერბახში" (თავი II) არის საკითხი სწორედ არსის შემეცნების შესახებ.

როგორ შეიმეცნება არსი, შეიმეცნება თუ არა იგი, — აი ძირითადი საკითხები, რომელთა გარკვევა შემეცნების თეორიის საგანია. შემეცნების თეორია არის ერთგვარი „რეფლექსია" შემეცნების ფაქტის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ შემეცნება გარკვეული ფაქტია და აი, შემეცნების თეორიას მიზნად აქვს დასახული გაარკვიოს თვით ფაქტი შემეცნებისა, ე. ი. შემეცნების ფაქტიური მიმდინარეობა. საქმის ამ მხარის გაშუქებით შემეცნების თეორია სწორედ ზემოთ აღნიშნულ საკითხებს არკვევს და იძლევა მის ასეთს თუ ისეთ გადაჭრას.

მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორიამ, ანუ ასახვის თეორიამ, საბოლოოდ გაარკვია და გადაჭრა საკითხები იმის შესახებ, რომ არსი პრინციპულად შეცნობადია და გვიჩვენა ის გზები და პირობები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება არსის კანონზომიერების, მისი შინაგანის სტრუქტურის, მისი არსების შემეცნება. ამით გასაგები გახდა აგნოსტიციზმის უსუსურობა, მისი მცდარობა.

ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გვასწავლის, რომ მატერიას აქვს უნარი ასახვისა და რომ, კერძოდ, შემეცნებაც არის ასახვა. ამჯერად ჩვენი მიზანია გავარკვიოთ საკითხი: რა არის შემეცნება როგორც ასახვა. შემეცნების თეორია, როგორც აღვნიშნეთ, არკვევს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზებით ახერხებს სუბიექტი ობიექტური სამყაროს შემეცნებას. მაგრამ სანამ ამ საკითხს გავარკვევდეთ, საჭიროა წინასწარ გავარკვიოთ, რას ნიშნავს საზოგადოდ თვითონ შემეცნება, როგორც ასახვა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს აღნიშნული საკითხის ღრმა გაგება აქვთ მოცემული. ფ. ენგელსი წერდა: „თუ ჩვენ ცალცალკე ერთმანეთს შევადარებთ ამგვარ ორ უკიდურესად განსხვავებულ საგანს, — მაგალითად, რომელიმე მეტეორიტსა და რომელიმე ადამიანს, მაშინ ჩვენ მათ შორის ძალიან ცოტა რამეს აღმოვაჩენთ საერთოს, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ იმას, რომ ორივეს აქვს სიმძიმე და სხვა საერთო ფიზიკური თვისებები. მაგრამ ამ ორ საგანს შორის არსებობს ბუნების საგანთა და პროცესთა უსასრულო რიგი, რომლებიც ნებას გვაძლევენ შევავსოთ რიგი მეტეორიტიდან ადამიანამდე და რიგის თვითეულ წევრს

თავისი ადგილი მივუჩინოთ ბუნების კავშირსა და სისტემაში და ამრიგად **შევიმეცნოთ** ისინი“ („ბუნების დიალექტიკა“. 1950 წ. ქართ. გამოცემა, გვ. 239).

აქედან ცხადია, რომ, თანახმად მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა, ჭეშმარიტი შემეცნება არის მხოლოდდამხოლოდ ის, რომ ჩვენ გარკვეულ საგანს მივუჩენთ თავის ადგილს მოვლენათა კავშირში და სისტემაში, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ჩვენ მივიღებთ შეცდომას.

მარქსისტულ-ლენინური ასახვის ასეთი გაგების თვალსაჩინო ილუსტრაციას იძლევა ი. სტალინი თავის ერთ ადრინდელ შრომაში. იგი წერდა: „ერთი ძველი თქმულება მაგონდება. იყო ერთი „ბრძენი ანატომი“. მას „ყველაფერი“ ჰქონდა, რაც კი ესაჭიროებოდა „ნამდვილ“ ანატომს: დიპლომი, სახლი, იარაღები, ახირებული პრეტენზია; არ ჰქონდა მხოლოდ მცირე რამ — ანატომიის ცოდნა. ერთხელ მას მიმართეს და სთხოვეს აეხსნა, თუ რა კავშირი არსებობს ჩონჩხის ნაწილთა შორის, რომლებიც მას ანატომიურ მაგიდაზე ჰქონდა გაფანტული. ამნაირად, ჩვენს „დიდებულ ბრძენს“ მიეცა შემთხვევა თავი გამოეჩინა. „ბრძენმა“ დიდი ამბითა და ზეიმით მიჰყო ხელი „საქმეს“! მაგრამ დახეთ უბედურებას! — „ბრძენს“ ინჩი არ ესმოდა ანატომიისა, მან არ იცოდა, რომელი ნაწილი რომლისთვის მიეყენებია, რომ ბოლოს მთელი ჩონჩხი გამოსულიყო! ბევრი იცოდვილა საწყალმა, ბევრი ოფლი დაღვარა, მაგრამ ამაოდ! ბოლოს, როცა გზა-კვალი აერია და ვეღარა გაიგო-რა, აიღო რამდენიმე ნაწილი ჩონჩხისა, შორს გადატყორცნა და თანაც ფილოსოფიურად შეაგინა „ბოროტგამზრახველებს“, რომლებმაც ვითომდა „ყალბი ნაწილები“ დაუწყვეს მას მაგიდაზე. მაყურებლებმა, რა თქმა უნდა, სიცილი მიაყარეს „ბრძენ ანატომს“ (თხზულებანი, ტ. I, 1947, გვ. 46-47).

აქედან ცხადია, რომ ჭეშმარიტი შემეცნების დროს ჩვენ მივუჩენთ თავის ადგილს რაიმე მოვლენას საგანთა კავშირსა და სისტემაში, ხოლო მცდარი შემეცნებასწორედ იმიტომაა მცდარი, რომ ჩვენ ვერ მოგვინახავს რაიმე მოვლენისათვის მისი ადგილი საგანთა კავშირსა და სისტემაში და მას ისეთ ადგილს მივუჩენთ, სადაც ნამდვილად მისი ადგილი არ არის.

მაშასადამე, ობიექტურ სამყაროში არის საგანთა გარკვეული კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელშიც ყოველ მოვლენას თავისი გარკვეული ადგილი უჭირავს. შემეცნების მიზანია ასახოს ყოველი მოვლენის ეს გარკვეული ადგილი საგანთა კავშირებში, ე. ი. მიუჩინოს ყოველ მოვლენას ის ადგილი, რომელიც ფაქტიურად მას უჭირავს ობიექტურ სამყაროში არსებულ საგანთა კავშირსა და სისტემაში.

ჩვენ შეგვეძლო აქ დაგვესვა წერტილი და ამჯერად ჩვენთვის საინტერესო საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის შემეცნება, როგორც ასახვა, გარკვეულად და გაშუქებულად ჩაგვეთვალა. მაგრამ ეს არ იქნებოდა მართებული. საქმე ისაა, რომ მარქსამდელი ფილოსოფია, როგორც იდეალისტური, ისე მატერიალისტური, არ ამბობს უარს იმის შესახებ, რომ შემეცნება არის მოვლენისათვის მისი გარკვეული ადგილის მიჩენა საგანთა კავშირებსა და სისტემაში.

ასე, მაგალითად, თანახმად პლატონის ობიექტურ-იდეალისტური მოძღვრებისა, ჩვენი გრძნობადი ქვეყანა სხვა არაფერია, თუ არ „მკრთალი“ ანარეკლი იდეალური ქვეყნისა, რომელიც, პლატონის აზრით, თურმე „გონივრულ ადგილას“ იმყოფება. ამ იდეალურ სამყაროში ყოველ იდეას თავისი გარკვეული ადგილი უჭირავს. ასევე, ჰეგელიც იმ დებულებას იცავდა, რომ ყოველი ცალკეული კატეგორია (არსის, ქმნადობის და ა. შ.) არის ღმერთის, ე. ი. აბსოლუტური სულის „მეტაფიზიკური განსაზღვრულობანი“ და რომ თითეულ მათგანს თავისი გარკვეული ადგილი უკავია აბსოლუტური სულის სუბსტანციონალურ მთლიანობაში. მაგრამ ეს ცოტაა. პლატონი, ჰეგელი და სხვა მათი მიმდევარი იდეალისტები იმ აზრსაც იცავდნენ, რომ „იდეებისათვის“, „კატეგორიებისათვის“ თავიანთი ადგილის მიჩენა გარკვეულ სისტემაში შემეცნების ძირითადი ბუნების გამომხატველია.

ამ მხრივ არც სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენლები წარმოადგენდნენ გამონაკლისს. კანტის დუალისტური ფილოსოფიის იმ ასპექტში, სადაც იგი სუბიექტური იდეალიზმის

პოზიციებზე დგას, აღნიშნული გაგება შემეცნების ბუნებისა სრულებით არ არის გამორიცხული. ვ. ლენინი გვასწავლის, რომ კანტი მატერიალისტია მაშინ, როდესაც იგი იმ აზრს იცავს, რომ საგანი თავისთავად არსებობს ობიექტურად და ზემოქმედებს ჩვენზე, ხოლო იგი, ე. ი. კანტი, სუბიექტური იდეალისტია მაშინ, როდესაც აღიარებს დროის, სივრცისა და კატეგორიების აპრიორობას. და აი სწორედ ამ უკანასკნელ ასპექტში კანტს საქმე შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: ცნობილია, რომ კანტისათვის აპრიორულ კატეგორიათა რიცხვი თორმეტს არ აღემატება. ამასთანავე, კანტის აზრით, ყოველი მესამე კატეგორია არის სინთეზი პირველი ორი კატეგორიისა. მაგალითად, ურთიერთმოქმედების კატეგორია არის სინთეზი სუბსტანციისა და მიზეზობრიობის კატეგორიებისა და ა. შ. ამ აზრით კანტისათვის თვითეულ კატეგორიას თავისი გარკვეული ადგილი უკავია მათ „სინთეზურ" მთლიანობაში. მაგრამ, კანტის აზრით, საგნებში ჩვენ შევიმეცნებთ იმას, რაც მათში აპრიორი შეგვიტანია. აქედან ცხადია, რომ, თუ სუბიექტს საგნებში შეაქვს კატეგორიათა გარკვეული სისტემა, სადაც თვითეულ მათგანს თავისი ადგილი უკავია და, თუ მთელი შემეცნება ამოიწურება იმით, რომ სუბიექტი შეიმეცნებს აღნიშნულ სისტემას, მაშინ მთელი შემეცნებაც სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ გამონახული იქნეს თვითეული კატეგორიისათვის მისი გარკვეული ადგილი საგანთა (როგორც სუბექტის წარმოდგენათა) კავშირებში.

და უკანასკნელად, შემეცნების ბუნების აღნიშნული გაგება შეიძლება დადასტურებული იქნეს მარქსამდელი მეტაფიზიკური მატერიალიზმის წარმომადგენელთა შეხედულებებშიც. ასე, მაგალითად, მე-18 საუკუნის ფრანგი მატერიალისტი დენი დიდრო იმ აზრის მომხრეა, რომ ობიექტური ქვეყანა მოვლენათა გარკვეულ კავშირებს წარმოადგენს და რომ შემეცნების მიზანია ამ კავშირებში მოვლენათა შეცნობა.

აქ წარმოდგენილი ზოგადი ექსკურსის მიზანია მხოლოდ გვეჩვენებინა: მარქსამდელი ფილოსოფია მართლაც იმ აზრს იზიარებს, რომ შემეცნება არის მოვლენისათვის იმ ადგილის მიჩენა, რომელიც მას უკავია სხვა მოვლენათა კავშირებში.

მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითონ შემეცნების ბუნებას ასეთ გაგებაში მარქსიზმ-ლენინიზმს არ ეჭიროს თავისი სრულიად განსხვავებული და პრინციპულად სხვა პოზიცია. მარქსიზმ-ლენინიზმს შემეცნების ბუნების გაგებაშიც სრულიად ახალი და პრინციპულად განსხვავებული პოზიცია უჭირავს.

ჯერ-ერთი, მართალია, სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენლები იმ აზრს იზიარებენ, რომ შემეცნება არის მოვლენისათვის თავისი ადგილის მიჩენა სხვა მოვლენათა კავშირში, მაგრამ თვით მოვლენები და მათი კავშირები აქ გაგებულია, როგორც სუბიექტის წარმოდგენა, „შეგრძნებათა კომპლექსი" (მახი, ავენარიუსი), ანდა „იდეათა კავშირი" (ბერკლი), ან კიდევ: „ისეთი სისტემა, რომელიც მხოლოდ სუბიექტის „ობიექტივაციას" წარმოადგენს" (კანტი). სწორედ ეს ამოსავალი ხერტილია ყალბი და რეაქციური.

ვ. ლენინმა თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და ი. სტალინმა თავის შრომაში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ბუნება არსებობდა ადამიანის გაჩენამდე და, მაშასადამე, იგი, ე. ი. ბუნება, მთელი თავისი კანონზომიერებით არის არა ადამიანის ცნობიერების წარმოდგენა, არამედ მატერიის მარადი მოძრაობისა და განვითარების შედეგი. ამიტომ ცხადია, რომ სუბიექტური იდეალიზმის ამოსავალი წერტილი ყალბი და მიუღებელია. ასევე მიუღებელია სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენელთა აზრი იმის შესახებ, რომ შემეცნება არის მოვლენათა ადგილის მიჩენა სხვა მოვლენათა კავშირში. საქმე ისაა, რომ სუბიექტური იდეალიზმი, როგორც წესი, მეტაფიზიკური თვალსაზრისის შემცველია; მათი აზრით, საგნები და მათი კავშირები, როგორც სუბიექტის წარმოდგენა, ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული და უცვლელნი არიან, ამიტომ, შემეცნების განვითარება და ამ გზით შესამეცნებელი საგნის განვითარების ასახვა სუბიექტურ იდეალიზმთან მოხსნილია. ყოველივე ეს კი ეწინააღმდეგება თვით მეცნიერული შემეცნების განვითარების ფაქტს და ამიტომ ცხადია,

რომ სუბიექტურ-იდეალისტური გაგება შემეცნებისა მიუღებელი და დასაგმობია.

ასევე მიუღებელია ობიექტური იდეალიზმის პოზიცია შემეცნების ბუნების გაგების საქმეში. ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენელთა, მაგალითად ჰეგელის, შეხედულება, როგორც ვ. ლენინი აღნიშნავს თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" (რუსული გამოცემა, 1950 წ., გვ. 57), მართალია, კარგად ეგუება ბუნების არსებობას ადამიანთა გაჩენამდე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბუნება მათ წარმოუდგენიათ, როგორც აბსოლუტური სულის, ე. ი. საბოლოოდ—ღმერთის „სხვაგვარად" ყოფნად. აი სწორედ ეს ამოსავალი პუნქტია ყალბი და მიუღებელი. მარქსიზმ-ლენინიზმმა დაამტკიცა, რომ ბუნება არ არის აბსოლუტური სულის ან მსოფლიო სულის „სხვაგვარად" ყოფნა. იგი არის მატერიის მარადიული განვითარების შედეგი და რომ ყოველგვარი ლაყბობა აბსოლუტური სულის ან ღმერთის არსებობის შესახებ არის ყალბი და რეაქციული. მართალია, ობიექტური იდეალიზმის ისეთი წარმომადგენელის ფილოსოფია, როგორიცაა ჰეგელის ფილოსოფია, შემცველია დიალექტიკის რაციონალური მარცვალისა, მაგრამ მასთანაც შემეცნების ბუნება, ყალბად არის გაგებული. ჰეგელის აზრით, ადამიანი კი არ შეიმეცნებს შემეცნების საგანს და მის კავშირებს, არამედ ღმერთი იმეცნებს ადამიანში თავის თავს და, მაშასადამე, შემეცნება სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ ღმერთი ადამიანში (ფილოსოფიის ისტორიაში პრუსიის მონარქისტული წესწყობილებები) შეიმეცნებს, ან, უკეთ, მოუნახავს თვითეულ კატეგორიას თავის ადგილს სხვა კატეგორიათა კავშირში, რომლის მთლიანობა და სისტემა თვით, ე. ი. ღმერთი, არის. ამრიგად, შემეცნების ბუნების რაობა აქაც ყალბ იდეალისტურ საფუძველზეა წარმოდგენილი.

მიუღებელია აგრეთვე მეტაფიზიკური მატერიალიზმის შეხედულება შემეცნებაზე. ძველი მეტაფიზიკური მატერიალიზმის უპირატესობა იდეალიზმის ყოველგვარი სახეობის მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ იგი კატეგორიულად უარყოფდა აზრის პირველადობას და იმ აზრს ავითარებდა, რომ პირველადია ბუნება, მატერია და შეორეული აზრი, ცნობიერება, „სული"! მაგრამ ძველი მარქსამდელი მატერიალიზმი იყო მეტაფიზიკური. ამიტომ, მისთვისაც შემეცნების განვითარება, როგორც ასახვა საგნის განვითარებისა, მოხსნილია. ამიტომ ვერც ძველი მარქსამდელი მატერიალიზმი იძლევა შემეცნების ბუნების ჭეშმარიტ გაგებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ მარქსამდელი ფილოსოფია, როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური, იმ აზრს იზიარებს, რომ შემეცნება არის მოვლენისათვის თავისი ადგილის მიჩენა საგანთა კავშირებსა და სისტემაში, მაინც ვერ იძლევა ამ საკითხის ჭეშმარიტ გაშუქებას იმიტომ, რომ შემეცნების აღნიშნული გაგება მათ ნააზრევში დაფუძნებულია მეტად ყალბ საფუძველზე და ამიტომ იგი მიუღებელი და დასაგმობია.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა შემეცნების ბუნების ჭეშმარიტ გაგებას. მარქსიზმ-ლენინიზმმა დაამტკიცა, რომ ობიექტური სამყარო მატერიის მარადიული განვითარების შედეგია და რომ ადამიანის აზრი არის ამ განვითარების პროდუქტი. იგი, ე. ი. აზრი, არის უმაღლესად ორგანიზებული მატერიის — თავის ტვინის თვისება. ობიექტური სამყაროს მატერიალური საგნები ურთიერთის მიმართ ორგანულ კავშირში იმყოფებიან და რომ სამყარო მარად განვითარებაშია.

მარქსიზმ-ლენინიზმი გამოდის იმ დებულებიდან, რომ განვითარებაშია არა მარტო ობიექტური სამყარო, არამედ მისი შემეცნებაც. ეს არის ფაქტი, რომელსაც ადასტურებს მეცნიერული შემეცნების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. და აი სწორედ ამ ასპექტში ესმის მარქსიზმ-ლენინიზმს შემეცნების ბუნებაც.

ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის თანახმად, კაცობრიობამ განვლო გარკვეული საზოგადოებრივი ფორმაციები. ჯერ იყო პირველყოფილი თემური საზოგადოება, შემდეგ — მონათმფლობელური, შემდეგ—ფეოდალური, ამის შემდეგ — კაპიტალისტური. ამჟამად ჩვენში არსებობს სოციალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელიც

თანდათანობით გადადის კომუნისტურ წყობილებაში.

ცხადია, რომ ყოველივე ეს არის შედეგი შემეცნებისა, ე. ი. იმისა, რომ ჩვენ შევიმეცნეთ აღნიშნულ საზოგადოებრივ ფორმაციათა ისტორიული განვითარების გზა. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეული საზოგადოების ფორმაციას ჩვენ მოვუნახეთ თავისი გარკვეული ადგილი საზოგადოების ფორმაციათა განვითარების ჯაჭვში, მართლაც, საზოგადოების ფორმაციათა განვითარების ისტორიის შესწავლამ ან მისმა შემეცნებამ გვიჩვენა, რომ, მაგალითად, ფეოდალური წესწყობილება წარმოიშვა მონათმფლობელური საზოგადოების შემდეგ და არა პირიქით. მაშასადამე, თვითეულ საზოგადოებრივ ფორმაციას თავისი ადგილი უჭირავს საზოგადოების განვითარების ისტორიაში. ასევე შეიძლება ითქვას ყველა მოვლენის შემეცნების შესახებ.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მარქსიზმ-ლენინიზმის თანახმად, შემეცნება ანუ ასახვა არის რაიმე მოვლენისათვის ადგილის მიჩენა საგანთა განვითარების ჯაჭვში.

ასეთია საბოლოდ ის ახალი სიტყვა და პრინციპულად განსხვავებული პოზიცია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმს უკავია შემეცნების, როგორც ასახვის, გაგებაში.

*
* *

შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა გავაშუქოთ, ასეთია: რა არის საერთო — შემმეცნებელი სუბიექტსა და ობიექტს შორის? თუ სუბიექტსა და ობიექტს შორის უფსკრული არსებობს, მაშინ შემეცნებაც შეუძლებელი გახდება. მაგრამ შემეცნება არსებობს, როგორც ფაქტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს საგნის შემეცნება. ეს ფაქტი იმ გარემოებაზე მიგვითითებს, რომ შემმეცნებელ სუბიექტსა და შესამეცნებელ ობიექტს შორის არ არის ხიდი ჩატეხილი და რომ მათ შორის არის რაღაც საერთო შეხვედრის წერტილი. და აი, შემეცნების თეორია, დღიდან მისი ჩასახვისა, ეძებს იმ საერთოს, რომელიც სუბიექტსა და ობიექტს შორის არსებობს და რომელიც უზრუნველყოფს შემეცნების შესაძლებლობას.

მარქსიზმ-ლენინიზმმა ამ საკითხშიც თავისი ახალი სიტყვა თქვა და ამით დასძლია ყველა სხვა „თეორია", რომელიც კი წამოყენებული იყო ფილოსოფიის ისტორიაში აღნიშნული პრობლემის გასარკვევად.

ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ემპედოკლემ და ანაქსაგორმა შემეცნების შესაძლებლობის შესახებ წამოაყენეს ორი სხვადასხვა თვალსაზრისი. ემპედოკლეს თანახმად, შემეცნება შესაძლებელია იმიტომ, რომ მსგავსი შეიმეცნებს მსგავსს, ხოლო ანაქსაგორის მიხედვით — არა მსგავსი შეიმეცნებს არა მსგავსს. ემპედოკლე ფიქრობდა, რომ ობიექტური სამყარო ოთხი ელემენტის (ჰაერის, მიწის, ცეცხლის და წყლის) ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს. ასევე, შემმეცნებელი • სუბიექტი, ემპედოკლეს აზრით, აღნიშნული ელემენტებისაგან შედგება. მაშ, შემმეცნებელ სუბიექტსა და შესაცნობ ობიექტს შორის, ემპედოკლეს აზრით, საერთო ის არის, რომ ორივე ერთი და იმავე მსგავსი ელემენტებისაგან შედგება. ემპედოკლეს მიხედვით, ჩვენ შეგვეძლო ასე გვემსჯელა: იმიტომ შევიმეცნებთ წყალს, მაგალითად, რომ წყალი ჩვენში შეიმეცნებს მის მსგავს მოვლენას ჩვენს გარეთ, ე. ი. ობიექტურად არსებულ წყალს. სხვაგვარად მსჯელობდა ანაქსაგორე. მისი აზრით, მაგალითად, სითბოს ჩვენ შევიმეცნებთ მისი არამსგავსი მოვლენით, როგორიცაა სიცივე.

ცხადია, ყველა ეს მოსაზრება პრიმიტიულია და იგი დაძლეული იქნა ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში, მაგრამ პრობლემა მაინც პრობლემად დარჩა. ამიერიდან ფილოსოფიური აზრის ენერგია მიმართული იყო იქითკენ, რომ აღნიშნული ორი გაგება შემეცნების რაობის გარკვევისას (ე. ი. დებულება იმის შესახებ, რომ

„მსგავსი შეიმეცნებს მსგავსს“ და „არამსგავსი შეიმეცნებს არამსგავსს), ყოფილიყო სხვაგვარად დასაბუთებული. ამიტომ აქ ჩვენ მიზნად დავისახეთ კრიტიკულად განვიხილოთ მარქსამდელი ფილოსოფიის აზრი აღნიშნული საკითხის შესახებ.

ჯერ ერთი, იდეალიზმის ყოველგვარი სახეობისათვის საკითხი იმის ძესახებ, თუ რა არის საერთო შემმეცნებელ სუბიექტსა და ობიექტს შორის და, ამის ნიადაგზე, როგორ არის შესაძლებელი შემეცნების ფაქტის ახსნა, ზოგადად ასეა მოაზრებული: ობიექტური იდეალიზმისათვის (მაგ. ჰეგელის ფილოსოფიის მიხედვით) ობიექტური სამყარო, როგორც შემეცნების საგანი არის აბსოლუტური სულის, ე. ი. ღმერთის „სხვაგვარად“ ყოფნა. აბსოლუტური სული „განასხვისებს“ თავის თავს და „შექმნის“ ბუნებას, რომ ამით ადამიანის შემწეობით შეიმეცნოს იგი. მაშ, ობიექტური იდეალიზმი ჰეგელის ფილოსოფიაში დაადგენს, რომ არსი იგივე აზრია, მხოლოდ „სხვაგვარად“ მოვლენილი. ამისდამიხედვით, არსსა და აზრს შორის სრული იგივეობა მყარდება და, მაშასადამე, აზრისათვის არ არის დაუძლეველი არსის შემეცნებაც (რადგან ორივე ისინი თურმე „მსგავსი“ მოვლენებია). ასეთივე გარემოებას დაადგენს სუბიექტური იდეალიზმიც. დებულება იმის შესახებ, რომ საგნები და მოვლენები სხვა არაფერია, თუ არა „შეგრძნებათა კონა“ (დ. იუმი), ან „იდეათა შეერთება“ (ბერკლი), ან არადა „შეგრძნებათა კომპლექსი“ (მახი და სხვა), იმ გარემოების აღმნიშვნელია, რომ არსი არის აზრისეული. განსაკუთრებით ეს თვალსაზრისი მკაფიოდ გამოთქვა ი. კანტმა. მისი აზრით, საგნებში ჩვენ შევიმეცნებთ იმას, რაც მათში აპრიორი ჩვენ შეგვიტანია. თუ ეს ასეა, ე. ი. თუ საგნებში შეტანილია ჩვენ მიერ ის, რასაც მათში ჩვენ შევიცნობთ, მაშინ ცხადია, რომ შემეცნების საგანი ყოფილა სუბიექტის აზრისდაგვარი და მისი მსგავსი. არ არის საჭირო დიდი ჭკუამახვილობა იმის გასაგებად, რომ ი. კანტის ზემოთ მოყვანილი დებულება იმის შესახებ, რომ საგნებში ჩვენ შევიმეცნებთ იმას, რაც ჩვენ მათში აპრიორი შეგვიტანია, ჰეგელმა თავისი ობიექტური იდეალიზმის საფუძველზე ასე გადააკეთა: ღმერთი თითქოს შეიმეცნებს ჩვენი, ადამიანების, შემწეობით იმას, რაც მას, ე. ი. ღმერთს, შესამეცნებელ ობიექტში „შეუტანია“, ან „განუსხვისებია“. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ი. კანტი თავისი მსოფლმხედველობის სუბიექტურ-იდეალისტურ ასპექტში შემდეგ აზრს ატარებს: აზრს იმიტომ შეუძლია შეიმეცნოს არსი, რომ ეს უკანასკნელი მისი მსგავსია, მისი „სხვად ყოფნაა“. ფაქტია, რომ აზრსა და არსს შორის რაღაც მსგავსი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც შემეცნებაა შესაძლებელი და არც შემეცნების ფაქტია გასაგები და ახსნილი. მაგრამ იდეალისტური აბდაუბდა იმის შესახებ, რომ აზრი და არსი ერთი და იგივეა, და რომ მათ შორის არის აბსოლუტური იგივეობა, თავიდან ბოლომდე მცდარია. იდეალიზმს სხვა გზა არ დარჩენია, რომ არსი აზრისეულად გამოაცხადოს და ამით შეეცადოს შემეცნების ფაქტის ახსნას. მაგრამ სწორედ ეს არის მცდარი და მიუღებელი დებულება. თუ არსი აზრისეულია და მისი იგივეობრივია, მაშინ, ცხადია, ყველა ის არგუმენტი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ იდეალიზმის წინააღმდეგ, ძალაში რჩება და, ამგვარად შემეცნების შესაძლებლობის საკითხის იდეალისტური გაგება მცდარად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ასევე მცდარია მარქსამდელი მატერიალიზმის პოზიცია აღნიშნული საკითხის გარკვევის დროს. მატერიალიზმი და, განსაკუთრებით, მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა იდეალიზმის ყოველ სახეობას. ცნობილია, რომ ფრანგი მატერიალისტები სასტიკად ებრძოდნენ ფეოდალურ იდეოლოგიას, ე. ი. რელიგიას და იდეალიზმს. განსაკუთრებით ისინი ებრძოდნენ დეკარტეს, მალბრანშის, ლაიბნიცის, ბერკლის და სხვათა შეხედულებებს სულის სუბსტანციად გამოცხადების წინააღმდეგ. ყოველივე ეს არის მათი წარუვალი დამსახურება კაცობრიობის პროგრესული აზრის განვითარების ისტორიის წინაშე. მაგრამ, როგორც ფ. ენგელსი გვასწავლის თავის „ლუდვიგ ფეიერბახში“, მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ მატერიალიზმს სამი ძირითადი ნაკლი გააჩნია“. 1) ისინი იყვნენ მეტაფიზიკოსები, 2) ისინი იყვნენ მექანისტები და 3) ისინი იდეა-

ლისტურად ხსნიდნენ საზოგადოების განვითარების ისტორიას. ყველა ეს ძირითადი ნაკლი თავს იჩენს სწორედ ჩვენთვის ამჯერად საინტერესო საკითხის გადაჭრის დროსაც. ფრანგი მატერიალისტების თვალსაზრისით, აზრი არსისეულია ე. ი. წინააღმდეგ იდეალისტებისა, რომლებიც ატარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ არსი აზრისეულია, მათ დაუპირისპირეს დებულება იმის შესახებ, რომ აზრი მატერიალურია ისე, როგორც მატერიალურია თვით შემეცნების საგანი, ე. ი. ობიექტური სამყარო. ასე, მაგალითად, ლამეტრი, ჰოლბახი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ სული არ არის დამოკიდებული სუბსტანცია და რომ იგი არის ჩვენი თავის ტვინის მატერიალური პროცესი. მაგრამ ეს მატერიალისტები ცდილობდნენ მექანისტურად, უნაშთოდ დაეყვანათ ჩვენი აზროვნება და ცნობიერება საზოგადოდ იმ მატერიალურ პროცესებამდე, რასაც ადგილი აქვს ჩვენს თავის ტვინში. ამით ისინი მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ, რადგან წაშალეს ყოველგვარი თვისობრივი სხვაობა აზრსა და არსს შორის, აზროვნებასა და მატერიას შორის. ამრიგად, ფრანგი მატერიალისტების შეხედულება შემეცნების შესაძლებლობის შესახებ გაუმართლებელია. მართალია, ამ ფაქტის ასახსნელად მათ წამოაყენეს დებულება იმის შესახებ, რომ თვითონ აზრი არსისეულია და ამიტომ აზრსა და არსს შორის მონახულია საერთო რამ, მაგრამ ის გარემოება, რომ ისინიც აბსოლუტურ იგივეობას ამყარებდნენ აზრსა და არსს შორის, მოწმობს იმას, რომ ამ საკითხში ისინი დარჩნენ მცდარ, მეტაფიზიკურ პოზიციებზე. ყველა ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარქსამდელი ფილოსოფია, როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური, ხედავდა იმას, რომ შემეცნების ფაქტის ახსნა შეუძლებელია, თუ აზრსა და არსს შორის არ არის რაიმე საერთო და თუ არ გამართლდა დებულება იმის შესახებ, რომ „მსგავსი შეიმეცნებს მსგავსს“, მაგრამ ეს საერთო ანუ მსგავსი რამ აიყვანა აბსოლუტურ იგივეობამდე: იდეალიზმისათვის არსი სავსებით აზრისეულია, ხოლო ძველი მეტაფიზიკური მატერიალიზმისათვის აზრია სავსებით არსისეული.

ორივე ეს თვალსაზრისი, როგორც აღვნიშნეთ, მიუღებელია.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა ამ საკითხის ჭეშმარიტ მეცნიერულ გაშუქებასა და გაგებას, მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, აზრი და არსი „არამსგავსი“ მოვლენებია. აზრი თვისებრივად განსხვავდება არსისაგან, ფ. ენგელსი თავის „ბუნების დიალექტიკაში“ ამის შესახებ წერდა: „ჩვენ, უსათუოდ, ოდესმე ექსპერიმენტული გზით აზროვნებას „დავიყვანთ“ მოლეკულურ და ქიმიურ მოძრაობებზე ტვინში; მაგრამ განა ამით ამოიწურება აზროვნების არსი“ (ქართული გამოცემა, 1950 წ., გვ. 255). მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აზრი მოწყვეტილი იყოს არსისაგან. მიუხედავად იმისა, რომ აზრი თვისებრივად სხვავდება აზრისაგან, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ აზრი არის უმაღლესად ორგანიზებული მატერიის, თავის ტვინის თვისება და რომ იგი არის შედეგი მატერიის მარადიული განვითარებისა. გარდა ამისა, აზრი და არსი ერთსა და იმავე დიალექტიკურ კანონებს ექვემდებარებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ არსისა და აზრის განვითარება ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარება. ეს, რა თქმა უნდა, არ ჰქმნის მათ შორის სრულ იგივეობას. მაგალითად, სკამი და მაგიდა — ორივე მიმზიდველობის კანონებს ექვემდებარება. მაგრამ ამის გამო, ისინი, ე. ი. სკამი და მაგიდა, ერთი და იგივე არაა. ასეა ამ შემთხვევაშიც. აზრი და არსი ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარებიან, მაგრამ ისინი მაინც თვისებრივად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან. მიუხედავად ამისა, სწორედ ის გარემოება, რომ აზრი და არსი სხვადასხვაა, და, ამავე დროს, ემორჩილებიან ერთსა და იმავე დიალექტიკურ კანონებს, მიუთითებს, რომ ეს კანონებია ის საერთო, რომლის შემწეობითაც აზრს შეუძლია შეიმეცნოს არსი. ამ გარემოებას ხაზს უსვამს ფ. ენგელსი და წერს: „მთელს ჩვენს თეორიულ აზროვნებაზე აბსოლუტურად ბატონობს ის ფაქტი, რომ ჩვენი სუბიექტური აზროვნება და ობიექტური სამყარო ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარებიან და ამიტომ არ შეიძლება, რომ ისინი თავიანთი შედეგებით ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ; ისინი ერთმანეთს უნდა ეთანხმებოდნენ. ეს ფაქტი ჩვენი

თეორიული აზროვნების არაცნობიერი და უდავო წინამძღვარია". („ბუნების დიალექტიკა" 1951 წ., გვ. 275).

ამგვარად, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ აზრი და არსი „არამსგავსებია", მაგრამ აზრს შეუძლია შეიმეცნოს არსი, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ აზრი არის არსის განვითარების პროდუქტი და ამიტომ მასთანაა დაკავშირებული, და, მეორეც, აზრი ერთ მომენტში ემსგავსება არსს, სახელდობრ იმაში, რომ ორივე ემორჩილება ერთსა და იმავე დიალექტიკურ კანონებს. ასეთია ის ახალი სიტყვა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმმა თქვა აღნიშნული საკითხის შესახებ.

* *

მაგრამ ისმება საკითხი: როგორია თვითონ შემეცნების საგანი, შემეცნების ხასიათი? შემეცნების საგანი, მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით, არის გარეშე, ობიექტური მატერიალური სამყარო და ადამიანთა საზოგადოება. მაგრამ ეს ცოტაა. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ შემეცნების საგანია აგრეთვე აზროვნებაც. მართლაც, ჩვენს შემეცნებითს აპარატს აქვს უნარი იმისა, რომ თვითონ აზროვნება და საზოგადოდ ცნობიერება გახადოს თავისი შემეცნების ობიექტად. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანთა აზროვნების ზოგადი კანონების შესახებ. თვითონ ფაქტი იმისა, რომ არსებობენ ისეთი მეცნიერებანი, როგორიცაა ლოგიკა, ფსიქოლოგია, შემეცნების თეორია და სხვა, ნათლად გვიჩვენებს იმ გარემოებას, რომ შემეცნების საგანი შეიძლება იყოს თვითონ აზროვნება, შემეცნების ფაქტი და ა. შ. ცხადია, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ აზროვნება საზოგადოდ შეიძლება თვითონ გახდეს შემეცნების ობიექტი, ვგულისხმობთ იმას, რომ აზროვნება რაღაც თავისთავადი მოვლენა კი არაა, არამედ იგი არის მეორეული, მატერიის მარადიული განვითარების შედეგი.

მაშ ცხადია, რომ შემეცნების საგანი, მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, არის გარეშე მატერიალური ბუნება, ადამიანთა საზოგადოება და აზროვნება. აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე ეს სფერო არა მარტო განსხვავებული მოვლენებია, არამედ ისინი ერთიმეორესთან გარკვეულ კავშირშიცაა და წარმოადგენენ მრავალგვარობის ერთიანობას (კ. მარქსი).

საგნის შესახებ რაიმე აზრი თვითონ საგანი არ არის. ვთქვათ, ჩვენ გვაქვს წარმოდგენა ან აზრი (ცნება) სკამის შესახებ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ წარმოდგენა ან აზრი სკამის შესახებ თვითონ იყოს სკამი! ეს მომენტი კარგად გახაზავს იმ ადვილად გასაგებ ამბავს, რომ აზრის და საერთოდ შემეცნების საგანი, თუ ის ობიექტური მატერიალური მოვლენაა, არ უდრის თვითონ აზრს მის შესახებ.

ეს გარემოება ამავე დროს ბევრი მომენტის აღმნიშვნელია. აზრი საგანზე არ არის თვითონ ეს საგანი, მაგრამ მეტიც შეიძლება ითქვას. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ შემეცნების საგანი: ბუნება, საზოგადოება, აზროვნება, — დაუსრულებელ განვითარებაშია და ასე დაუსრულებელია აღნიშნული შემეცნების საგნის შემეცნების განვითარებაც. ორივე აქ აღნიშნული მომენტი გასაგებად ხდის მრავალ გარემოებას. ფილოსოფიის ისტორიაში იყო ცდები მიმართული იქითკენ, რომ გაეცათ პასუხი შემდეგ საკითხზე: როდესაც ჩვენ გვაქვს წარმოდგენა მაგალითად, იალბუზზე, როგორია ეს წარმოდგენა—იალბუზის ოდენაა, თუ თვითონ იალბუზის წარმოდგენა იმოდენაა, რომ იგი შეიძლება ჩვენი ცნობიერების ობიექტად იქცეს. ცხადია, ასე დასმული საკითხი ყალბად დასმული საკითხია. იგი ეყრდნობა ერთ იდუმალად მიღებულ აზრს იმის შესახებ, რომ შემეცნების საგანი და აზრი ამ საგანზე ერთი და იგივეა. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს ასე არაა. საგანი და აზრი ამ საგანზე ერთი და იგივე არაა და ამიტომ ზემოთ დასმული საკითხი სავსებით ყალბად დასმული საკითხია. მართალია, აზრი საგანზე და თვით საგანი ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ, მარქსიზმ-ლენინიზმის თანახმად, აზრს შეუძლია შეიმეცნოს არსი იმიტომ, რომ პირველი არის შედეგი მეორის მარადიული განვითარებისა და აგრეთვე იმისა, რომ მათ შორის არის საერთო მომენტი — დიალექტიკის კანონები.

მაგრამ ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ აზრის მიერ არსის შემეცნება დაუსრულებელია, ისე, როგორც დაუსრულებელია თვითონ არსის განვითარება. ეს დებულება სხვა არაფერია, თუ არა იმ გარემოების დადასტურება, რომ ფაქტიურად მეცნიერული შემეცნება განვითარებაშია, და ეს განვითარება იმასაც ასახავს, რომ არსი მარადიულ განვითარებაშია. საკმარისია ითქვას, რომ მეცნიერული შემეცნება, მაგალითად, არისტოტელეს დროს და იგივე შემეცნება ჩვენს დროს ისე განსხვავდება ერთი მეორისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან და ამით ჩვენ იმ უბრალო და ყველასათვის ცნობილ ამბავს აღვნიშნავთ, რომ მეცნიერული შემეცნების თანამედროვე დონე გაცილებით მაღლა დგას და წინ წასულია, ვიდრე იგი იყო, ვთქვათ, არისტოტელეს დროს. მეცნიერული შემეცნების ეს განვითარება — დაუსრულებელია: თანამედროვე მეცნიერული შემეცნება წინ მიდის და მას, ცხადია, ბოლო არა აქვს და არც ექნება ბოლო. ამ ფაქტიური მდგომარეობის დადასტურებას წარმოადგენს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება იმის შესახებ, რომ არსი და მისი ამსახველი აზრი მარადიულ განვითარებაშია. მაგრამ აქვე იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი არა მარტო აღნიშნული მდგომარეობის დადასტურებას იძლევა, არამედ მისი მიზანია აღნიშნული გარემოების ახსნაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ გვსურს მხოლოდ ერთ გარემოებაზე შევჩერდეთ. მხედველობაში გვაქვს ის ამბავი, რომ შემეცნების მარადიული განვითარება და ამ გზით არსის მარადიული განვითარების ასახვა — შეფარდებითი ჭეშმარიტების მომცემია, რისი ჯამი აბსოლუტურ ჭეშმარიტებას იძლევა. საკითხი, რომელიც გვსურს აქ სპეციალურად გამოვყოთ და მას ხაზი გავუსვათ, შემდეგია: როგორ ახსნის ხოლმე მარქსიზმ-ლენინიზმი შემეცნების შეფარდებითობას? რატომ არის, რომ ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა — არსის კანონზომიერება ერთი ხელის დაკვრით შევიცნოთ და ვთქვათ, რომ ამიერიდან არაფერია შესაცნობი, რადგან ყველაფერი საბოლოოდ შეცნობილია და საქმეც გათავებულია? ცხადია, პირველი პასუხი ამ კითხვაზე ის იქნება, რომ არსი მარადიულ განვითარებაშია და საგანთა დიალექტიკა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მისი ამსახველი სუბიექტური დიალექტიკა ერთვალად ამოწურულად. პირიქით, სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენს შემეცნებას საქმე აქვს საგანთა დიალექტიკასთან, ობიექტურ დიალექტიკასთან, მოწმობს იმ გარემოებას, რომ მისი შემეცნებაც დიალექტიკურია და, მაშასადამე, არასდროს არ შეიძლება ითქვას, რომ არსის შემეცნება დასრულებულია და მეტი არაფერია შესამეცნებელი.

მაგრამ, ამავე დროს, ამ საქმეს მეორე მხარე აქვს, სახელდობრ ის, რომ შემეცნება არ არის მხოლოდ პასიური და სარკისებური. მარქსამდელი მატერიალიზმისათვის სწორედ ის იყო აგრეთვე დამახასიათებელი, რომ იგი სუბიექტურ შემეცნებითს უნარს თუ აპარატს წარმოიდგენდა რაღაც პასიურ ძალად, რომელიც არსის ასახვაში არავითარ აქტივობას არ იჩენს და მას, ე. ი. არსს სარკისებურად ასახავს. ასეთი გაგება უარყოფილი უნდა იქნეს. ნამდვილად, მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, ასახვის პროცესი არც პასიური და არც სარკისებურია: შემეცნების პროცესი რთული პროცესია. აზრი პასიურად არ მიჰყვება არსს და მას ზედ არ აკრია. ჩვენი აზრი, ან უფრო ზოგადად, შემეცნება — ყველაფერს არ უშვებს თავის სფეროში. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი შემეცნება თითქოს ნებისმიერად მოქმედებს. არა! მას აქვს თავისი განსაზღვრული ობიექტური პირობები. რაში მდგომარეობს იგი? ფ. ენგელსი თავის შესანიშნავ შრომებში: „ბუნების დიალექტიკა "(ქართ. გამოცემა, გვ. 180), და „ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" აღნიშნავს ერთ ფრიად საყურადღებო გარემოებას, სახელდობრ, იმას, რომ ობიექტურ სამყაროში ამა თუ იმ მოვლენის შემეცნება საზოგადოების მოთხოვნილებაზეა დამყარებული და ეს უკანასკნელი კი გაპირობებულია ობიექტური ვითარებით. რატომ არ გაჩნდა, მაგალითად, ჰუტენბერგი პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში? იმიტომ, რომ ამ საზოგადოებაში არ იყო წიგნის ბეჭდვის მოთხოვნილება. მაგრამ, შემდეგ, საზოგადოების სხვა ფორმაციის დამყარების პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი,

ობიექტური პირობები უფრო განვითარდა, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი ვთქვათ პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში, მაშინ წიგნის ბეჭდვის მოთხოვნილებაც გაჩნდა და ჰუტენბერგის აღმოჩენასაც დაურჩა ადგილი. ცხადია, ჰუტენბერგი რომ არ ყოფილიყო, სულ ერთია, ვინმე სხვა იქნებოდა, რომელიც მაშინდელი საზოგადოების აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილების გამომხატველი იქნებოდა. ან კიდევ, ჩვენ შეგვეძლო შემდეგი მაგალითი მოგვეყვანა. საქმე ისაა, რომ მაგალითად, ჰომეროსის დროინდელ საზოგადოებაში, როგორც ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ „ილიადას“ და „ოდისეის“ შემწეობით, ვერ არჩევდნენ ყველა იმ ფერს, რომლის სახელწოდება და მისი გამომხატველი ცნება დღეს ჩვენ გვაქვს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მაშინ, ე. ი. ჰომეროსის დროს, არ იყო ყველა ის ფერი, რომელიც დღეს ჩვენთვის ცნობილია. მაგრამ მაშინდელ საზოგადოებაში არ იყო ისეთი ობიექტური პირობები, რომლებსაც უნდა წარმოეშვა ფერთა განსხვავების მოთხოვნილება და გარკვეულ სიტყვებში მათი „დამაგრება“ და გარკვეულ ცნებებში „ჩამოყალიბება“. მაგრამ, როდესაც საზოგადოება განვითარდა, როდესაც მრეწველობა გიგანტური ნაბიჯებით წინ წავიდა, მაშინ სხვათაშორის ფერთა განსხვავების მოთხოვნილებაც წარმოიშვა და ამიერიდან ცალკეული ფერთა ცნებაც დადგინდა და გარკვეულ სიტყვებში მათი „დამაგრებაც“ შესაძლებელი გახდა.

ახლა უკვე ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენს შემეცნებაში ობიექტური ქვეყნიდან „შედის“ არა ყველაფერი, ე. ი. მასში აისახება ობიექტური საგნები და მათი კანონზომიერება არა სარკისებურად, არამედ ობიექტური პირობების მიხედვით და მასზე დაყრდნობით. ჩვენი აზრი და შემეცნება საზოგადოდ იჩენს ერთგვარ შედარებითს აქტივობას და ამიტომ იგი ასახავს იმას, რაც ამ ობიექტური ვითარებითაა გაპირობებული, ყველაფერი ამითაც აიხსნება, ჩვენი აზრით, შემეცნების შეფარდებითობა.

ასე, ამგვარად, მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, შემეცნების საგანია ერთიანობა მრავალგვარობაში, რომელიც „ვლინდება“ ბუნების, საზოგადოების და აზროვნების განვითარებაში. ხოლო ყველაფერი ამის შემეცნება და მისი ხასიათი იმგვარია, რომ იგი ისეთივე მარადიულ განვითარებაშია, როგორც მასში ასახული არსი და რომ იგი არ არის სარკისებური ასახვა ამ უკანასკნელისა.

* *

შემდეგი საკითხი, რომლის შესახებაც საჭიროა შევჩერდეთ, ასეთია: ჩვენს აზროვნებას გარკვეული ხასიათის „აქტები“ ან კიდევ „ფუნქციები“ გააჩნია და გასარკვევია, როგორია ეს აქტები და რა როლს ასრულებენ ისინი შემეცნების პროცესში.

ამთავითვე უნდა შევთანხმდეთ იმაში, რომ სადავო ის კი არ არის, აქვს თუ არა აზროვნებას რაიმე გარკვეული აქტები. ამის შესახებ დავა უვიკობის მაჩვენებელი იქნებოდა. დავის საგანს წარმოადგენს ამ აქტების როლის გაგება შემეცნების პროცესში. ამიტომ ჩვენი უახლოესი მიზანი ამჟამად იქნება გარკვევა საკითხისა, იმის შესახებ, როგორ ინტერპრეტაციას აძლევს მარქსიზმ-ლენინიზმი ამჯერად ჩვენთვის საინტერესო პრობლემას.

დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ძირითადად აზროვნების აქტებად მიჩნეულია: შედარება, განსხვავება და შეკავშირება.

ცნობილია დებულება იმის შესახებ, რომ შედარება არ არის მტკიცება. და როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ აზროვნების ერთ-ერთი აქტი შედარებაა, მაშინ ჩვენ ვგულისხმობთ არა აღნიშნულ დებულებას, არამედ იმ უბრალო და ცხად გარეშეობას, რომ რაიმე მოვლენის შესაცნობად ჩვენი აზროვნება მიმართავს მის შედარებას მეორე მოვლენასთან. ამის გარეშე არ არსებობს შემეცნების პროცესი.

რაც შეეხება განსხვავება-შეკავშირების აქტებს, უნდა ითქვას, რომ ესენი სხვა არაფერია თუ არა ყველასათვის ცნობილი ანალიზი და სინთეზი.

შედარება, ანალიზი და სინთეზი როგორც აზროვნებს ძირითადი აქტები, თავისთავად აღებულნი, არ არიან არც როგორც ჭეშმარიტნი და არც როგორც მცდარნი.

მიუხედავად ამისა, ამ აქტების როლი შემეცნების პროცესში, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს გაგებული.

ასე, მაგალითად, არსებობს აზროვნების აქტების სუბიექტურ-იდეალისტური და ობიექტურ-იდეალისტური გაგება. აქ საჭიროა ვაჩვენოთ ორივე ამ გაგების მცდარობა და მიუღებლობა. აზროვნების აქტები, ე. ი. შედარება, ანალიზი და სინთეზი გარკვეულ დროსა და სივრცეში სრულდება. „აქ" და „ახლა" შეიძლება მოხდეს შედარება, ანალიზი და სინთეზი იმ საგნებისა, რომლებიც ჩვენი აღქმის ამჟამადი ობიექტებია. მაგრამ ეს საგნები, რომლებიც ამჟამად ჩვენს წინაშეა მოცემული და რომლებიც შედარების, ანალიზისა და სინთეზის ობიექტად ქცეულა, არსებობს სწორედ ამჟამად, ე. ი. ამ აქტების მოქმედების დროს და მათი არსებობა ამ აქტების მოქმედებაზეა დამოკიდებული. როგორც კი აზროვნების აქტები ახლა სხვა ობიექტებზე გადავა, მაშინ იმ საგნების არსებობა, რომლებიც წინათაც აზროვნების აქტების ობიექტები იყვნენ, დაუმტკიცებელია. ასე მსჯელობდა, მაგალითად, დ. იუმი (იხ. მისი „ტრაქტატი", წიგნი I, რუსული გამოც. გვ. 177). ეს წმინდა სუბიექტი იდეალისტური გაგებაა აზროვნების აქტების მოქმედებისა შემეცნების პროცესში. ამავე დროს, იგი აგნოსტიციზმსაც გზას უხსნის. ძირითადი შეცდომა ამ თვალსაზრისისა იმაში მდგომარეობს, რომ მასთან „გაიგივებულია" აზროვნების აქტები და აზროვნების შინაარსი. ეს გარემოება კი თავის მხრივ გამოწვეულია იმით, რომ დ. იუმისათვის თვით საგნები სუბიექტური წარმოდგენებია და მეტი არაფერი. ცნობილია, რომ ბერკლისათვის, მაგალითად, საგნები „იდეათა კავშირებია" და რომ ისინი არ არიან მატერიის ნაირსახეობანი. დ. იუმი ერთ ნაბიჯს კიდევ „წინ" გადადგამს და იტყვის: არ ვიცი, არსებობს თუ არა მატერია, როგორც საგანთა სუბსტანცია. ამით დ. იუმი აგნოსტიციზმამდე მიდის. მიუხედავად ამისა იგი, ე. ი. დ. იუმი, მაინც ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის საფუძველზე დგება და აღნიშნავს, რომ საგნები „იდეათა კავშირებია" და ამდენადვე ჩვენი სუბიექტური წარმოდგენებია. საგნები, როგორც სუბიექტური წარმოდგენები და აზროვნების აქტები როგორც აგრეთვე სუბიექტური აქტები, დ. იუმთან ერთგვარ „იგივეობაშია". ეს იმას ნიშნავს, რომ დ. იუმს გადააქვს აქტის სუბიექტურობა და მის გარკვეულ დროში მიმდინარეობა თვით ამ აქტების ობიექტზე ანუ საგნებზე, რომლებიც მისთვის (დ. იუმისათვის) სუბიექტის წარმოდგენებია. ამიტომ, ცხადია, რომ დ. იუმთან საგნების აქტების გარეშე არსებობა დაუმტკიცებელია და სწორედ ეს არის მისი იდეალისტური მოძღვრების აქილევსის ქუსლი. როგორც აღვნიშნეთ, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა დაამტკიცეს, რომ ბუნება არსებობდა ადამიანის გაჩენამდე და მაშასადამე, იგი. ე. ი. ბუნება არ შეიძლება იყოს ადამიანის სუბიექტური წარმოდგენა.

„განსხვავებულ" პოზიციებზე დგანან ობიექტური იდეალიზმის წარმომადგენლები: ლაიბნიცი, ჰეგელი, ჰუსერლი და სხვები. მაგალითად, ჰეგელისათვის აბსოლუტურ სულს იმთავითვე გააჩნია თავის თავში თავისთავისაგან განსხვავებულის დადგენა და სხვა. ჰუსერლისათვის და მისი მიმდევრებისათვის აზროვნების აქტები სუბიექტურია, „აქ" და „ამ დროს" სრულდება, ხოლო შინაარსი — არასუბიექტურია, ე. ი. ობიექტურია და ა. შ. მაგრამ ობიექტური იდეალიზმისათვის აზროვნების შინაარსი ობიექტური მატერიალური ქვეყნის ასახვა კი არაა, არამედ იგი საბოლოო ანგარიშში ობიექტურ იდეათა სამყაროა. აქ არის სწორედ ის პუნქტი, რომელიც გასაგებად ხდის ობიექტური იდეალიზმის მცდარობას და მის რეაქციულობას. ამასთანავე, სავსებით მიუღებელია მათი აზრი აქტების სუბიექტურობაზე. აზროვნების აქტები, როგორც ჩვენი აზროვნების აქტები, სუბიექტურია, მაგრამ მათი შემწეობით „აისახება" ერთიანობა და სხვა. ასეთი თვალ-

საზრისი ძირფესვიანად ეწინააღმდეგება აღნიშნულ „მოძღვრებას“ და საბოლოოდ სძლევს მას.

რაც შეხება მარქსამდელ მატერიალიზმს, უნდა ითქვას, რომ აქ საქმე ცოტა სხვაგვარადაა წარმოდგენილი, ვიდრე იგი მოცემულია იდეალისტურ სისტემებში. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გვასწავლის, რომ ლოკის ფილოსოფიიდან ერთიმეორის საწინააღმდეგო ფილოსოფიური სკოლა წარმოიშვა: ერთი მხრივ, ბერკლისა და სხვათა სუბიექტური იდეალიზმი, და მეორეს მხრივ, მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული მატერიალიზმი; ლამეტრი, დიდრო და სხვ. მარქსამდელი მატერიალიზმის უპირატესობა ყველა ჯურის იდეალიზმის წინაშე ცნობილია, და ეს ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ: ისინი გამოდიან სწორი დებულებიდან იმის შესახებ, რომ პირველადია ბუნება, მატერია და მეორეული სული, აზროვნება და ა. შ., მაგრამ ძველი მარქსამდელი მატერიალიზმის ნაკლი მის მექანიციზმსა და მეტაფიზიკურობაში გამოიხატება. ეს გარემოება გარკვეულ გავლენას ახდენს შეხედულებაზე აზროვნების აქტების გაგების საქმეში. ასე მაგალითად, ჰობსის აზრით, აზროვნება არის გამოკლება (ანალიზი) და მიმატება (სინთეზი). აზროვნების აქტების ასეთი გაგება დამახასიათებელია ძველი მატერიალიზმისათვის. ასევე დამახასიათებელია იგი, მაგალითად, ისეთი ფრანგი მატერიალისტისათვის, როგორიცაა ჰოლბახი. მისი აზრით, ატმის აღქმა, მაგალითად, გულისხმობს იმას, რომ ჩვენი აზროვნება ატამში ჯერ გაარჩევს მის ცალკეულ ელემენტებს (მაგ. ფერს, სუნს, გემოს და სხვა), და შემდეგ, ამ ელემენტების შეერთებისაგან გვაძლევს თვითონ ატმის იდეას ან წარმოდგენას. ცხადია, რომ აზროვნების ანალიტური და სინთეტური აქტები ძველ მარქსამდელ მატერიალისტებთან მექანისტურად არის გაგებული და ამიტომ მათი მოძღვრების ნაკლიც სწორედ აღნიშნულ გარემოებაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ის გარემოება, რომ, მათი აზრით, ობიექტური ქვეყანა, როგორც მატერიალური სამყარო, სრულიად დამოუკიდებელია აზროვნების აქტებისაგან, შეიცავს სწორ და ჭეშმარიტ აზრს.

აღნიშნული დებულებებით ჩვენ მხოლოდ ძველი მარქსამდელი ფილოსოფიის საფუძვლები გავაკრიტიკეთ. ახლა საჭიროა გავაკრიტიკოთ თვით აქტების ძველი გაგება.

ჯერ-ერთი, მარქსამდელი ფილოსოფია, როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური, გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ანალიზი არის საგნის, როგორც მთლიანის, ელემენტებად დაშლა, ხოლო სინთეზი სხვა არაფერია თუ არა ამ ელემენტებისაგან კვლავ ამ მთლიანის მიღება. ანალიზისა და სინთეზის, როგორც ჩვენი აზროვნების აქტების, ან ფუნქციების ამნაირი გაგება არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად. ანალიზი მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ საგანი, როგორც მთლიანი, რაღაც ელემენტებად დავშალოთ, არამედ იგი არის საგანში დაპირისპირებული მომენტების აღმნიშვნელი და დამდგენი აქტი. ხოლო სინთეზი, პირიქით, არის არა მარტო ელემენტებისაგან საგნის მთლიანობის დამდგენი, არამედ საგანში გარჩეული დაპირისპირებული მომენტების ერთიანობის დადგენის, ან აღნიშვნის ანდა შეცნობის აქტი. მაგალითად, კ. მარქსმა „კაპიტალში“ გაარკვია ანალიზის შემწეობით, რომ საქონელს ორნაირი ღირებულება გააჩნია: საცვლელი და სახმარი, და რომ ღირებულების ეს ორნაირი სახეობა ერთიმეორის საპირისპიროა. მაგრამ სინთეზის შემწეობით დადგენილ იქნა, რომ საქონლის ეს დაპირისპირებული მხარეები ობიექტურად გარკვეულ ერთიანობაშია და საქონელი აღნიშნულ დაპირისპირებულ ღირებულებათა ერთიანობას წარმოადგენს. ასეთია სინამდვილეში ანალიზისა და სინთეზის როლი შემეცნების პროცესში.

მარქსამდელი ფილოსოფია, როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური, აზროვნების აქტებს განიხილავს, როგორც სუბიექტურ აქტებს. ამაზე ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. ამჯერად იგი სპეციალურად უნდა გამოვყოთ და კრიტიკის ობიექტად ვაქციოთ. საქმე ისაა, რომ მარქსამდელი ფილოსოფია — როგორც მატერიალისტური,

ისე იდეალისტური—ძირითადად ანტი-დიალექტიკურია, ე. ი. მეტაფიზიკურია, თუმცა უნდა ითქვას, რომ დიალექტიკის რაციონალური მარცვალი მხოლოდ ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიაშია მოცემული და ამ მხრივ იგი ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს. ჩვენთვის ამჯერად კრიტიკის ობიექტად სწორედ მეტაფიზიკური თვალსაზრისი გვაქვს აღებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მარქსამდელი მატერიალიზმი და იდეალიზმი იმ აზრს იცავდა, რომ აზროვნების აქტები სუბიექტურია. ცხადია, რომ აზროვნების აქტები, როგორც ჩვენი აზროვნების აქტები, მართლაც სუბიექტურია. მაგრამ საქმე მარტო ამაში არ არის. როდესაც მარქსამდელი ფილოსოფია ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ აზროვნების აქტები სუბიექტური არიანო, მას ამ დებულებაში გარკვეული მოსაზრება აქვს ნაგულისხმევი. მარქსამდელი ფილოსოფიისათვის აზროვნების აქტები, როგორც სუბიექტური აქტები, ფსიქოლოგიური აქტებია და მეტი არაფერი. ასე მაგალითად, ინგლისელი ფილოსოფოსი ვილიამ ჰამილტონი აღნიშნავს, რომ ცნება, მსჯელობა, დასკვნა არის ლოგიკის შესწავლის ობიექტი, ხოლო აზროვნების აქტები, რომლითაც დადგინდება აზროვნების აღნიშნული ფორმები, არის ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტი (ჯ. ს. მილი, „სერ ვილიამ ჰამილტონის ფილოსოფიის მიმოხილვა“, რუსული თარგმანი. 1869 წ., გვ. 366). ჰამილტონის ეს აზრი შეითვისეს ისეთმა რეაქციონურმა იდეალისტებმა, როგორიც იყვნენ ჰუსერლი, და სხვები. აღნიშნული თვალსაზრისი მთელი თავისი მახვილით მიმართულია სწორედ დიალექტიკის წინააღმდეგ. მართლაც, თუ აზროვნების აქტები სუბიექტურია და ამიტომ ფსიქოლოგიური, მაშინ ყოველ მსჯელობაში უარყოფა და მტკიცება სუბიექტურ-ფსიქოლოგიური აქტია და მეტი არაფერი. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ მსჯელობაში დიალექტიკის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. ასეთია აღნიშნული რეაქციონული, მეტაფიზიკური თვალსაზრისის საბოლოო მრწამსი. ეს „თვალსაზრისი“ თავიდან ბოლომდე მცდარია, როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი თავის გენიალურ შრომაში „ფილოსოფიური რვეულები“ გვასწავლის, რომ ყოველი მსჯელობა თავისი ფორმით და შინაარსით დიალექტიკურია, რადგან მასში აისახება საგანთა გარკვეული დიალექტიკა. მაგალითად, მსჯელობაში: „ცუგა არის ძაღლი“ მოცემულია, ან უკეთ, ამ მსჯელობაში ჩვენ გვაქვს დიალექტიკა. აღნიშნულ მსჯელობაში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ერთეული (ცუგა) დაპირისპირებულია ზოგადისადმი (ძაღლი), მაგრამ ამავე დროს, იგი, ე. ი. ერთეული (ცუგა), არის ზოგადი (ძაღლი). ან კიდევ: აღნიშნულ მსჯელობაში ერთეული (ცუგა) არის სწორედ ეს ერთეული (ეს ცუგა) და არც არის ერთეული, რადგან არის ზოგადი (ძაღლი) და პირიქით. აქედან ცხადია, რომ აღნიშნულ მსჯელობაში მოცემული მტკიცება — უარყოფის დიალექტიკა ასახავს ობიექტური საგნის დიალექტიკას და მაშასადამე, მტკიცება — უარყოფა, როგორც სუბიექტური აქტი, ფსიქოლოგიური აქტი კი არაა, არამედ ისეთი სუბიექტური აქტებია, რომლებშიც აისახება საგნის დიალექტიკა და ამიტომაც თვით ეს აქტებიც დიალექტიკური არიან. ამ აზრით ლაპარაკობს ენგელსი თავის „ანტი-დიურინგში“, რომ „ჯერ ერთი, აზროვნება იმდენადვე წარმოადგენს ცნობიერების საგანთა მათ ელემენტებად დაშლას, რამდენადაც ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების გაერთიანებას. უანალიზოდ სინთეზი არ არსებობს“. მეორე, აზროვნებას შეუძლია რად მხოლოდ ცნობიერების იმ ელემენტების გაერთიანება შეუძლია, რომელშიც ან რომელთა რეალურ პირველ სახეებში უკვე აქამდე არსებობდა ეს ერთიანობა. მე რომ ფეხსაცმლის ჯაგრისი ძუძუმწოვართა ერთიან კატეგორიაში მოვაქცი, ამის გამო მას რძის ჯირკვლები როდი გაუჩნდება“, (ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი).

აქედან ცხადია, რომ, ფ. ენგელსის აზრით, ანალიზი და სინთეზი ჩვენი აზროვნების აქტებია. ანალიზი და სინთეზი ერთიმეორესთანაა დაკავშირებული. ობიექტურ სამყაროში უნდა არსებობდეს ერთიანობა (განსხვავებული) მოვლენებისა და ჩვენი აზროვნება ანალიზითა და სინთეზით (მაგალითად, მსჯელობაში) ასახავს ამ (განსხვავებულთა) ერთიანობას.

ამ დებულების საილუსტრაციოდ ჩვენ გამოგვადგება ზემოთ მოყვანილი მაგალითიც. მართლაც, ობიექტურად, ჩვენს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს „ცუგა როგორც ძაღლი“, ე. ი. გარკვეული ერთიანობა ობიექტური საგნისა. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ობიექტურ ქვეყანაში არსებობს გარკვეული ერთიანობა, ამით ჩვენ იმ გარემოებას ვადასტურებთ, რომ ეს ერთიანობა არის დაპირისპირებულთა კავშირი. მართლაც, ერთიანობა, როგორც ასეთი, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმათ შორის, რაც განსხვავებულია და ერთიმეორისადმია დაპირისპირებული. ჩვენს მაგალითში ასეთი დაპირისპირებულთა კავშირი გამოიხატება იმაში, რომ ობიექტური მოვლენა, ამ შემთხვევაში ცუგა, როგორც ერთეული, „შეიცავს“ თავისში მის დაპირისპირებულ ზოგადს (ერთეული და ზოგადი ერთიმეორეს უპირისპირდება, მაგრამ ერთიმეორის გარეშე არ არიან, ე. ი. ერთიმეორესთან დაკავშირებული არიან) ე. ი. ძაღლის (ანუ საზოგადოდ ძაღლის) ნიშნებს. ჩვენი შემეცნება ამ ობიექტურ ერთიანობას ანალიზის შემწეობით დაშლის მის დაპირისპირებულ მომენტებად და ასახავს ამ დაპირისპირებას გარკვეულ ცნებებში (ერთეულ და ზოგად ცნებებში) და, ამავე დროს, იგივე შემეცნება სინთეზური აქტით ასახავს აღნიშნულ დაპირისპირებულთა ობიექტურ კავშირს და მთლიანად ამ პროცესს წარმოადგენს გარკვეულ მსჯელობაში: „ცუგა არის ძაღლი“ ანუ „ერთეული არის ზოგადი“.

მაშასადამე, სუბიექტურში აისახება ობიექტური: ობიექტური დიალექტიკა, ე. ი.. დაპირისპირებულთა ერთიანობა ანუ კავშირი აისახება სუბიექტურ დიალექტიკაში (ფ. ენგელსი), მაშასადამე, აზროვნების გარკვეულ ფორმებში: ცნებებში, მსჯელობებში და დასკვნებში.

ამრიგად, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ აზროვნების აქტებია: შედარება და, განსაკუთრებით, ანალიზი და სინთეზი. შემეცნების პროცესში მათ დიალექტიკაში აისახება საგანთა ობიექტური დიალექტიკა და ამით თითოეულ მოვლენას მოენახება ის ადგილი, რომელიც მას უკავია მოვლენათა განვითარების ჯაჭვში.

* * *

ამრიგად, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ შემეცნება, როგორც ასახვა, სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ მოენახოს გარკვეულ მოვლენას თავისი ადგილი საგანთა და მოვლენათა განვითარების ჯაჭვში და რომ შემეცნების შესაძლებლობა გაპირობებულია იმ საერთო ელემენტით (დიალექტიკის კანონები), რომელიც აზრსა და არსს „შუა“ არის მოთავსებული და; აგრეთვე ამით, რომ თვითონ აზრი არის არსის მარადიული განვითარების შედეგი და აქვს უნარი ობიექტური ქვეყნის ასახვისა. ამავე დროს, მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ აზროვნების ძირითადი აქტები — შედარება, და განსაკუთრებით ანალიზი და სინთეზი, და მათი ერთიანობა გაპირობებულია ობიექტური სამყაროს საგანთა ერთიანობით.

ასეთია ის ზოგიერთი საკითხი, რომლებიც ახასიათებს მარქსისტულ-ლენინური შემეცნების ანუ ასახვის თეორიას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო ბაბაჯაძე

მოძმე ტაჯიკი ხალხის ლიტერატურა

★

ტაჯიკები შუა აზიის უძველესი ხალხია, რომელმაც თავისი ისტორიული განვითარების პროცესში შექმნა მეტად მდიდარი და თავისი დროისათვის მოწინავე კულტურა. ტაჯიკური კლასიკური ლიტერატურა, რომლის ფუძემდებელი იყო აბულჰასან რუდაქი, ათასწლეულს ითვლის, მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა და დიდი ინტერესით იკითხება. ტაჯიკმა ხალხმა თავისი წიაღიდან წარმოშვა ბევრი სახელოვანი პოეტი და მეცნიერი—აბულჰასან რუდაქმა, აბულყასემ ფირდოუსიმ და აბუალი იბნ-სინამ (ავიცენამ) დაამშვენეს შუა საუკუნეების ისტორია, გაამდიდრეს მსოფლიო ლიტერატურა და მეცნიერება თავიანთი შემოქმედებით. ტაჯიკმა ხალხმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მსოფლიოს კულტურის საგანძურში.

ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირმშოა. იგი ჩაისახა და გამოიწრთო ოქტომბრის მრისხანე დღეებში, როდესაც შუა აზიის ხალხები რუსეთის რევოლუციის გამოძახილზე იარაღით ხელში აღდგნენ თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. 1918 წელს, როდესაც რევოლუციური მოძრაობის ქარიშხალმა ბუღი დააყენა მთელს შუა აზიაში, სწორედ მაშინ მედიდურად იქუხეს ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის — სადრიდინ აინის მგზნებარე სიტყვებმა:

> აღსდექთ მონათა გუნდი და გუნდი,
> გაშალეთ დროშა ცეცხლის ფრთიანი;
> ძრწოლვის, მზაკვრობის დალეწეთ ხუნდი,
> თავისუფლების ჩანს განთიადი!

შუა აზიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის დღეებში სადრიდინ აინის მიერ მარსელიოზას მოტივებზე დაწერილი ლექსი, რომელსაც ეწოდებოდა „თავისუფლების მარში“, პირველი საბჭოთა ტაჯიკური ლექსი იყო. 1918 წლიდან მოკიდებული, დღემდე ტაჯიკურმა ლიტერატურამ გაიარა განვითარების ქრონოლოგიურად მოკლე, მაგრამ ძირეული ცვლილებებით აღსავსე გზა, იგი გახდა მრავალეროვანი საბჭოური ერთიანი ლიტერატურის ორგანული ნაწილი, გამდიდრდა და შეივსო ახალი თემატიკით, ახალი ნაწარმოებებით, გადაიღო მოწინავე რუსული კლასიკური ლიტერატურის მდიდარი გამოცდილება.

საბჭოური ტაჯიკური ლიტერატურის განვითარებაში, ისე როგორც ტაჯიკი ხალხის კულტურული და სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესში, აღსანიშნავია ოთხი ძირითადი ეტაპი.

ტაჯიკური საბჭოური ლიტერატურის განვითარების პირველი ეტაპი ქრონოლოგიურად თავსდება 1917 — 1924 — 1929 წლებში. ეს არის წლები ბრძოლისა შუა აზიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სამოქალაქო ომისა ბასმაჩობისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ უკუღმა დაეტრიალებინათ ისტორიის ჩარხი და სისხლში ჩაეღრჩოთ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო. ეს არის წლები, ამავე დროს, ბრძოლისა ბასმაჩობისა და უცხოელი ინტერვენტების აგენტურის — ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური შავბნელი ძალების წინააღმდეგ.

1917 წელს 14 ნოემბერს ტაშკენტში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. უკვე 1918 წლის აპრილიდან რსფსრ-ში შევიდა თურქესტანის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა და, ამრიგად, ტაჯიკი ხალხის ერთი ნაწილი, რომელიც თურქესტანის მხარეში ცხოვრობდა, რევოლუციას შეუერთდა. მაგრამ ტაჯიკი ხალხის მეორე ნაწილი, რომელიც ბუხარას საემიროში ცხოვრობდა, კლვავ იტანჯებოდა საემიროში დესპოტიზმისა და ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგად. 1920 წელს წითელი არმიის დახმარებითა და ბუხარას საემიროში სახალხო რევოლუციის შედეგად დამხობილი იქნა ემირის ძალა-უფლება, შეიქმნა ბუხარას სახალხო რესპუბლიკა. 1924 წლის 15 ოქტომბერს საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკა. სამოქალაქო ომის დასრულების, ინტერვენტთა განდევნის, ბასმაჩობის განადგურებისა და სოციალისტური მშენებლობის პირველი მიღწევე-

ბის შედეგად 1929 წელს შეიქმნა ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც რიგით მე-6 რესპუბლიკა იყო. სწორედ ამ პერიოდში ისახება და ვითარდება საბჭოთა ტაჯიკური ლიტერატურა, რომლის თემა იყო აესახა ბრძოლა შუა აზიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ბრძოლა ბასმაჩობისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ, ტაჯიკისტანში გაშლილი სოციალისტური მშენებლობის პირველი ნაბიჯები, საბჭოთა ადამიანების შესანიშნავი თვისებები, რაც გამოიხატება თავდადებულ შრომაში, მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულსა და ვერაგი მტრისადმი სიძულვილში.

ტაჯიკური ლიტერატურის განვითარების პირველ ეტაპს განეკუთვნება გამოჩენილი ტაჯიკი პოეტების სადრიდინ აინის, მუჰამედჯან რაჰიმის, აბულყასიმ ლაჰუთისა და სხვათა ნაყოფიერი მოღვაწეობა. ბუნებრივია, რომ როგორც ახლადწარმოშობილ, ჯერ კიდევ სუსტსა და მოუმწიფებელ საბჭოთა ტაჯიკურ ლიტერატურას გააჩნდა მრავალი ნაკლი, მაგრამ მოწინავე ტაჯიკი პოეტები მაინც აღწევდნენ ტაჯიკი ხალხის ცხოვრების ამსახველი თანამედროვეობის შესაფერი მაღალიდეური ნაწარმოებების შექმნას.

თავისი განვითარების პირველ ეტაპზე ტაჯიკური ლიტერატურის ფართო პროპაგანდისა და ზრდისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პერიოდულ გამოცემებს. 1919 წელს გამოვიდა ტაჯიკურ ენაზე პირველი ჟურნალი, რომელსაც „რევოლუციის ალი" ეწოდებოდა. ამ ჟურნალში ტაჯიკმა პოეტებმა დაიწყეს თავიანთი ნაწარმოებების გამოქვეყნება. 1924 წლის 25 აგვისტოს გამოვიდა პირველი ტაჯიკური გაზეთი, რომელსაც „ოვოზი თოჯიქ" (ტაჯიკის ხმა) ეწოდებოდა. შემდეგ დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „ბედარი თოჯიქ" (ტაჯიკის გამოფხიზლება) და ჟურნალმა „რაჰბარი დონიშ" (ცოდნის მეგზური). ეს გაზეთები და ჟურნალები ეწეოდნენ ტაჯიკი პოეტების შემოქმედების ფართო პროპაგანდას. ამ პერიოდულ გამოცემებში აქტიურად მონაწილეობდნენ ტაჯიკური ლიტერატურის უფროსი თაობის წარმომადგენლები — სადრიდინ აინი, მუჰამადჯან რაჰიმი, ფაირავ სულაიმანი და სხვები. ამას გარდა, პერიოდულ გამოცემებში ფართოდ იბეჭდებოდა რუსული ლიტერატურის კლასიკოსების — პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, გერცენის, ჩეხოვის, გორკის, მაიაკოვსკის და სხვათა ნაწარმოებები.

ტაჯიკური ლიტერატურის განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია რუსულმა კლასიკურმა ლიტერატურამ. რუსული კულტურისა და ლიტერატურის გაცნობა ნამდვილი სკოლა იყო ტაჯიკი მწერლებისათვის. იგი გზას უჩვენებდა და ასაზრდოებდა არა მარტო ახალგაზრდა დამწყებ პოეტებს, არამედ უკვე მომწიფებულსა და ხალხში აღიარებულ პოეტებსაც. ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი სადრიდინ აინი უკვე ორმოცი წლის ასაკში შეხვდა ოქტომბრის რევოლუციას, მაგრამ მისი შემოქმედების ნამდვილი გაფურჩქვნა და მისი ტალანტის სისრულით გამოვლენა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომს პერიოდში იწყება. იგი თვითონ აღიარებს, რომ „ოქტომბრის რევოლუციამდე მე ვერ შევძელი შემექმნა რაიმე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებიო". ოქტომბრის რევოლუციამ და რუსული ლიტერატურის გავლენამ სადრიდინ აინის შემოქმედებას უდიდესი პერსპექტივები გადაუშალა წინ. აინიზე განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია მაქსიმ გორკის შემოქმედებამ, რომლის შესახებაც აინი წერდა: „1930 წლამდე მე არ ვიცნობდი მის (მ. გორკის.—კ. ტ.) შემოქმედებას, რადგანაც ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი ტაჯიკურ ენაზე. მისი პირველი ნაწარმოებები, რომლებიც მე წავიკითხე, იყო „ბავშვობა" და „ხალხში", ამ ნაწარმოებებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს, რადგან მათში ბევრი რამაა ისეთი, რაც ჩემს წარსულ ცხოვრებას მაგონებს. ამ პირველმა ნაწარმოებებმა გავლენა იქონიეს მთელს ჩემს შემდგომს შემოქმედებითს მოღვაწეობაზე. გორკის ნაწარმოებებში მე ვიპოვე ახალი ტიპები, მათ მაგალითზე ვისწავლე გმირების დახასიათება. გორკისგანვე ვისწავლე ჩემს ნაწარმოებებში ხალხური თქმულებებისა და არაკების გამოყენება". ასეთივე დიდი ღვაწლი მიუძღვით ტაჯიკური ლიტერატურის განვითარებაში რუს კრიტიკოსებს, რომელთა შესახებ აინი ამბობდა, რომ: „პირველად რუსმა კრიტიკოსებმა აღმზარდეს მე და, მიმითითეს რა ჩემს მიღწევებსა და ნაკლოვან მხარეებზე, შესაძლებლობა მომცეს ავმაღლებულიყავ ჩემს შემოქმედებაში".

გარდა მაქსიმ გორკისა, ტაჯიკური ლიტერატურის განვითარებაზე უდიდესი გავლენა ჰქონდა რუსული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლებსა და რუს საბჭოთა პოეტებს, რომელთაგან განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მაიაკოვსკის შემოქმედების გავლენას ტაჯიკურ ლიტერატურაზე.

გარდა გორკისა და მაიაკოვსკისა, ტაჯიკურ ენაზე ითარგმნა ფურმანოვის, ოსტროვსკის, სერაფიმოვიჩის, შოლოხოვის და სხვათა ნაწარმოებები. ტაჯიკი მწერლების ნაწარმოებებში გაჩდნენ ახალი გმირები, საბჭოთა ადამიანები, გლეხები, მოსამსახურეები, წითელარმიელები. ტაჯიკი პოეტები წარმატებით ეუფლებოდნენ სოციალისტურ რეალიზმს და ქმნიდნენ საბჭოთა ადამიანების დამაჯერებელ მხატვრულ სახეებს.

ტაჯიკური ლიტერატურის განვითარების ამ ეტაპზე ტაჯიკურ ლიტერატურაში მოვიდა ირანში რევოლუციური საქმიანობისათვის სიკვდილმისჯილი გამოჩენილი პოეტი აბულყასიმ ლაჰუთი. მან თავი დააღწია შაჰის საპყრობილეს და თავშესაფარი ჰპოვა საბჭოთა კავშირში. ლაჰუთიმ ტაჯიკისტანში ნახა ახალი მკითხველი, რომელსაც ორიგინალში ესმოდა მისი ნაწარმოებები. ლაჰუთიმ თავისი ომახიანი ხმა შეუერთა ტაჯიკი პოეტების ხმას და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ტაჯიკური პოეზიის განვითარებაში. მისი ლექსი „კრემლი", რომელიც პოეტმა დაწერა 1923 წელს, კრემლის დათვალიერების შემდეგ, XII საუკუნის აზერბაიჯანელი პოეტის ხაგანის „მედაინის" — ძველი ირანის ხელმწიფეთა დედაქალაქის — კტეზიფონის ნანგრევებისადმი მიძღვნილი ლექსის პასუხად, დღესაც რჩება, როგორც ტაჯიკური პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ტაჯიკურ ლიტერატურაში ახალი ჟანრის მხატვრული პროზის ჩასახვა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტაჯიკური ლიტერატურისათვის, ისევე როგორც საერთოდ აღმოსავლური ლიტერატურისათვის, დამახასიათებელი იყო პოეზიის მეტი ხვედრითი წონა. აღმოსავლური ლიტერატურის კლასიკოსები უმეტესად თავიანთი რობაიებით, ლექსებით და პოემებით არიან ცნობილნი. ეს ტრადიცია მემკვიდრეობით მოსდგამდა ტაჯიკურ ლიტერატურას.

1927 — 1928 წლებამდე ტაჯიკურ ლიტერატურას არ გააჩნდა პროზაული ნაწარმოებები. პირველი ტაჯიკური პროზაული ნაწარმოების ავტორი, ისე როგორც პირველი ტაჯიკური საბჭოური ლექსის ავტორი, არის სადრიდინ აინი, მისი პირველი მოთხრობა „ოდინა" (ანუ ერთი ღარიბი ტაჯიკის თავგადასავალი) მოგვითხრობს მთიელი ტაჯიკის უუფლებო მდგომარეობის შესახებ, ტაჯიკისა, რომელიც განიცდის ემირის მოხელეთა, ბეგთა, ჩინოვნიკთა, პოლიციელთა, მოლათა და მევახშეთა მხრიდან უწყალო ექსპლოატაციას, აბუჩად აგდებას და დამცირებას. ამ ნაწარმოებში აინიმ ძირფესვიანად გვიჩვენა ბუხარას საემიროს ექსპლოატატორული საფუძველი. „ოდინა" ითარგმნა საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე და, აგრეთვე, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა ენებზე.

ტაჯიკური ლიტერატურის სიმწიფისა და სრულყოფის მკაფიო გამოხატულება იყო ტაჯიკურ ენაზე პირველი რომანის „დოხუნდას" შექმნა. იგი აინის კალამს ეკუთვნის. მოთხრობის გმირები — იოდგორი და გულნორი ტაჯიკი ხალხის წიაღიდან გამოსული უბრალო ადამიანებია, რომლებიც უსამართლობას, ჩაგვრასა და შევიწროებას ითმენენ ემირის დესპოტური მმართველობის პირობებში. მაგრამ, აი, ბუხარაში ხდება სახალხო რევოლუცია, რომელიც არყევს საემიროს საფუძველს, ანგრევს ძველ შენობა და იწყება ახალი — ბედნიერი ცხოვრების მშენებლობა, რომელშიაც აქტიურად მონაწილეობენ იოდგორი და გულნორი. მაგრამ უცხოელი ინტერვენტები ადგილობრივ რეაქციულ ძალებზე დაყრდნობით ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს, ბასმაჩური ბანდების დახმარებით ისინი ცდილობენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება შუა აზიაში. მშრომელი ხალხის მრისხანებას საზღვარი არა აქვს, ბასმაჩების წინააღმდეგ საბრძოლველად იქმნება მოხალისეთა რაზმები, რომლებშიაც ეწერებიან რომანის გმირები იოდგორი და გულნორი. ბასმაჩობის განადგურების შემდეგ აინის გმირები სოციალისტური ტაჯიკისტანის მშენებლობის მოწინავეთა რიგებში არიან. ეს რომანი გულთბილად მიიღო ტაჯიკმა მკითხველმა, რადგან მასში იოდგორისა და გულნორის სახით ძალიან ბევრმა იცნო თავისი თავი. ხალხმა იოდგორი და გულნორი რეალურ ცხოვრებაში არსებულ ნამდვილ ადამიანებად მიიჩნია. ავტორს არაერთი მკითხველისაგან მიუღია წერილი შეკითხვით, თუ სად ცხოვრობენ ახლა მისი გმირები იოდგორი და გულნორი.

საბჭოთა ტაჯიკური ლიტერატურის განვითარების მეორე პერიოდი მოიცავს ხანას 1930 წლიდან 1941 წლამდე, ე. ი. დიადი გარდატეხის წლიდან მოკიდებული — საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დაწყებამდე. ამ პერიოდში ბასმაჩობა საბოლოოდაა დაძლეული და განადგურებული, სოფლის მეურნეობაში ხდება მნიშვნელოვანი ძვრები, განადგურებულია კულაკობა, მისი, როგორც კლასის, მოსპობის შემდეგ ტაჯიკისტანის დეჰყანები (გლეხები) კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებენ კოლმეურნეობებს. ამავე წლებში საბოლოოდაა განადგურებული ბურჟუაზიული ნაციონალისტები; გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება მრეწველობა, რომელიც ათი წლის (1929 — 1939) განმავლობაში ერთი ათად და მეტად იზრდება. ტაჯიკისტანში ინდუსტრიული მშენებლობის, კოლექტივიზაციის გამარჯვებასა და საბჭოთა ხუთწლედების მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობს ბრძოლა კულტურული რევოლუციის განსახორციელებლად; რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებასა და ზრდასთან ერთად ვითარდება და იზრდება ტაჯიკი ხალხის კულტურა, ხელოვნება და ლიტერატურა.

ამ პერიოდში ტაჯიკურ ლიტერატურაში მოდიან ასპარეზზე ახლადგამოსული ახალგაზრდა პოეტები, რომლებიც 1931 წელს ერთიანდებიან გაზეთ „ტაჯიკისტანის კომკავშირელის" გარშე-

მო ჩამოყალიბებულ წრეში. ესენი არიან: ობიდი, მირზო ტურსუნ-ზადე, ულუღ-ზადე, მირშაქარი, ა. მირზოევი და სხვ. ყველა მათგანი მშრომელი მასების დაბალი წრეებიდან გამოსული ერთი თაობის პოეტები არიან, ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელებაში; მუშაობენ დიდ სახალხო მშენებლობებზე, მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეობათა მშენებლობაში, სასწავლო-კულტურული დაწესებულებების მოწყობა-მოწესრიგებაში. ახალგაზრდა პოეტთა ამ ჯგუფს მიემხრნენ უფროსი თაობის პოეტები — მ. რაჰიმი, სუხაილი და სხვები.

ტაჯიკ პოეტთა მეორე გაერთიანება შეიქმნა ლენინაბადში. ამ გაერთიანებაში შედიოდნენ: რაჰიმ ჯალილი, აშირმათ ნაზაროვი, ზ. რაჯაბიევი და სხვები.

ტაჯიკ პოეტთა ორივე გაერთიანების ბირთვს წარმოადგენდნენ ახალგაზრდა დამწყები პოეტები, რომლებიც დიდი რუსი ხალხის ლიტერატურული მიღწევების გაცნობისა და შესწავლის შედეგად იმაღლებდნენ პოეტურ ოსტატობასა და ხელოვნებას. ახალი თაობის პოეტები გამოდიოდნენ იმ პრინციპებიდან, რომ კრიტიკულად აეთვისებინათ მდიდარი კლასიკური მემკვიდრეობა, ტაჯიკური ფოლკლორი და შეექმნათ თანამედროვეობის შესაფერისი ნაწარმოებები, ეწარმოებინათ კომუნიზმის იდეების მხატვრული პროპაგანდა.

ზემოთდასახელებულ წრეებში გაერთიანებული ახალი თაობის პოეტები ულმობელ ბრძოლას ეწეოდნენ თავიანთი ხალხის რევოლუციური პრაქტიკისაგან მოწყვეტილი, დახავსებული და გადაგვარებული ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომლებიც მონურად იხრიდნენ მუხლს კლასიკური ლიტერატურის წინაშე, უარყოფდნენ ყოველივე ახალს და თავიანთ მასწავლებლებს ღრმა ფეოდალურ წარსულში ეძიებდნენ. ამ რეაქციონერ ლიტერატორთა ერთი ნაწილი გაერთიანდა ცალკე ჯგუფად და დაიწყო ბრძოლა ახალი თაობის პოეტების წინააღმდეგ.

ტაჯიკური ლიტერატურის შემდგომი ზრდისა და განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის დადგენილებას ლიტერატურული ორგანიზაციების შესახებ. ტაჯიკისტანში პოეტთა გაერთიანების ცალკეული ჯგუფებისა და წრეების ნაცვლად ამიერიდან იქმნება მწერალთა რესპუბლიკური კავშირი. ამის შემდეგ ტაჯიკი პოეტები მონაწილეობას იღებენ მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე, ეცნობიან ჩვენი ერმრავალი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის ლიტერატურის მიღწევებს, ახდენენ მათთან გამოცდილების გაზიარებას, იმაღლებენ თავიანთ ოსტატობას და იდეურ დონეს.

ტაჯიკური ლიტერატურის განვითარების ამ ეტაპზე გამოვლინდა და გაიშალა ნიჭიერი ტაჯიკი პოეტების — მირზო ტურსუნ-ზადეს, მასუმის, ულუღ-ზადეს და სხვათა ნაყოფიერი პოეტური შემოქმედება. სამწერლო ასპარეზზე მირზო ტურსუნ-ზადე გამოვიდა როგორც პროზაიკოსი, მალე მან თავი ისახელა, როგორც ნიჭიერმა პოეტმა და დრამატურგმა. 1932 წელს გამოდის მისი ლექსების პირველი კრებული, ხოლო 1933 წელს პიესა „განაჩენი", რომელიც მიეძღვნა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ გადმონაშთებთან ბრძოლას. მირზო ტურსუნ-ზადეს ნაწარმოებები იმთავითვე გამოირჩეოდნენ ღრმა იდეურობით, სისადავითა და დამაჯერებლობით. მის ნაწარმოებებში რეალისტურად იყო ასახული ტაჯიკი ხალხის ბედნიერი ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

1936 წელს მირზო ტურსუნ-ზადე პოეტ ა. დეჰოთისთან ერთად ჰქმნის ნიზამი განჯელის პოემის „ხოსროვისა და შირინის" მოტივებზე ამავე სახელწოდების დრამას ლექსად. 1937 წელს იგი აქვეყნებს თავის პირველ პოემას — „გაზაფხული და შემოდგომა", რომელშიაც პოეტი გულმხურვალედ უმღერის საუკუნეობრივი ტყვეობიდან განთავისუფლებულ სრულუფლებიან საბჭოთა მოქალაქე-კოლმეურნე ტაჯიკ ქალს. მირზო ტურსუნ-ზადეს პოეტური ოსტატობას ზრდისა და იდეური სიღრმის მკაფიო დამადასტურებელი იყო მისი ლექსთა მეორე კრებული, რომელიც გამოვიდა 1939 წელს. ამ წიგნში თავმოყრილი ნაწარმოებების ძირითადი თემა არის საბჭოთა პატრიოტიზმი, სამშობლოსა და მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების გრძნობა, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომის ასახვა. საბჭოთა ტაჯიკეთის რესპუბლიკის 10 წლისთავზე მირზო ტურსუნ-ზადე პოეტ დეჰოთისთან ერთად წერს პირველი ტაჯიკური ოპერის — „ვოსეს აჯანყების" ლიბრეტოს, ხოლო 1940 წელს მონაწილეობას იღებს კოლექტიური ნაწარმოებების შექმნაში: „ტაჯიკი ხალხის წერილი ამხანაგ სტალინს" და „ცოცხალი წყალი".

ამ პერიოდში ნაყოფიერი იყო აბულყასიმ ლაჰუთის პოეტური შემოქმედებაც. იგი წერს ახალ ლექსებსა და პოემებს, რომლებშიაც უმღერის საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს მშვიდობიან შრომას, საბჭოთა ადამიანების საუკეთესო მორალურ თვისებებს. ლაჰუთი თავის თავს საბჭოთა მოქალაქედ, საბჭოთა ადამიანად თვლის და დიდად ამაყობს ამით ბურჟუაზიულ ევროპაში მოგზაურობის დროს. პოემაში — „მოგზაურობა ევროპაში" ავტორი ნიღაბს ხდის კაპიტალის-

ტურ სამყაროს, რომელიც წარდგება მკითხველის წინაშე მისთვის დამახასიათებელი მანკიერებით. დამყაყებულ კაპიტალისტურ რეჟიმს პოეტი უპირისპირებს საბჭოთა საზოგადოებრივ წყობილებას, რომლისთვისაც უცხოა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მრეწველობის კრიზისები, უმუშევრობა, სიღარიბე, პოლიტიკური უუფლებობა და ეროვნული ჩაგვრა. პოეტი სწორად გადმოსცემს ევროპის ხალხების საოსწარკვეთილ მდგომარეობას, როდესაც ამბობს:

ერის დღიური სიცოცხლისთვის წეწვა და ბრძოლა,
და არის ხვალის დღეისათვის შიში და ძრწოლა [1].

პოეტი შეძრწუნებულია ბურჟუაზიული საზოგადოების მორალური გახრწნილებით, იქ ადამიანის სინდისი და პატიოსნება საცვლელ ღირებულებადაა გადაქცეული და ჩითის ფასად ხურდავდება. ფული და კაპიტალი კი ბურჟუაზიული საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა, აი ეს არის ბურჟუაზიული ფორმაციის საფუძველი და მრწამსი. პოეტი ზიზღით შენიშნავს:

და ამ მხარეში ფულის ფასი ისე დიდია,
რომ მის გულისთვის ცოლებსა და შვილებს ჰყიდიან,
ფულის შოვნისთვის არ არსებობს რიდი და კრძალვა,
რადგან მასშია ერთადერთი ღონე და ძალა.
იქ სახიჩრდება კაცის არსი, კაცის ბუნება,
მხოლოდ ფულს ძალუძს კაცის სულის შენარჩუნება.

მაგრამ პოეტს მიაჩნია, რომ დასაბამი ექნება ევროპის ხალხთა ავბედობას, რომ მშრომელი ხალხი დაამხობს რეაქციულ შთავრობებს და საკუთარ თავს თვითონვე უპატრონებს:

მაგრამ სულ ასე არ იბრუნებს სამყაროს ჩარხი.
მე ვხედავ, ფეხზე როგორ დგება ევროპის ხალხი.

ლაჰუთი ერთიმეორის მიყოლებით წერს პოემებს: „კორესპონდენცია", „რკინის ფეხები", „გვირგვინი და დროშა", „ორი ორდენი" და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „გვირგვინი და დროშა", რომელიც აგებულია სოციალისტური შეჯიბრების მეტად აქტუალურ თემაზე. პოემაში მოცემულია სოციალისტური სოფლის რეალური სურათი და მკაფიო დამაჯერებელი დახასიათება. პოემა მიუთითებს პოეტის შემოქმედებითი ზრდისაკენ, იგი ყურადღებას იპყრობს თავისი მხატვრული ღირსებებით.

[1] ა. ლაჰუთის ნაწარმოებებიდან მოტანილი ნიმუშების თარგმანი ეკუთვნის მ. თოდუას.

საბჭოთა ხალხის თავდადებულ შრომას უმღერის ლაჰუთის ლექსები: „ორი ქალაქის საუბარი", „თხუთმეტიწლისთავი", „უზბეკისტანი", „ხიდი მდინარე ვახშზე", „ბადახშანი" და სხვ. ლაჰუთი უდიდესი სიამაყის გრძნობით მოგვითხრობს ამ ლექსებში, რომ შრომა საბჭოთა კავშირში საპატიო საქმედ, სიმამაცისა და გმირობის საქმედ გადაიქცა. ლაჰუთი არც თავის თანამემამულე ირანელ ხალხს ივიწყებს, იგი მიმართავს მათ მგზნებარე სიტყვებით, მოუწოდებს რევოლუციური ბრძოლისაკენ. ლექსში „ხიზანის სიმღერა" ლაჰუთი გულისტკივილით იგონებს უცხოელი იმპერიალისტების მიერ კოლონიად ქცეულ თავის სამშობლოს, სადაც ხალხი მოკლებულია ყოველგვარ დემოკრატიულ უფლებებს და დესპოტური რეჟიმის კირთებქვეშ გმინავს:

მომაგონდება სამშობლო ჩემი,
გადანისლული მისი დღეები.
ირანი გახდა ქვეყნად ცნობილი
სახრჩობელებით და ციხეებით.

ასეთივე გულისტკივილით იგონებს ლაჰუთი თავის მშობლიურ ხალხს ლექსში „ირანი". იგი მოუწოდებს ხალხს როგორც შინაური, ისე გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. პოეტი ირანელებს მოაგონებს ტაჯიკთა მაგალითს, ტაჯიკებისა, რომლებიც რევოლუციამდე ისეთსავე უუფლებო მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ირანელები, მაგრამ იარაღით ხელში დაამხეს ემირის მბრძანებლობა და ახლა ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ:

აბა ტაჯიკებს შეხედე ერთი,
მათაც ხომ ისე მოუხდათ ბრძოლა.
შენც მას მიჰბაძე, აღსდექი მკვდრეთით
და ციხის ნაცვლად ააგე სკოლა.

აბულყასიმ ლაჰუთიმ თავი გამოიჩინა, აგრეთვე, როგორც დიდმა ნოვატორმა ვერსიფიკაციის დარგში. პოეტმა მისთვის დამახასიათებელი მეღერი ყასიდების გვერდით შექმნა ტაჯიკურ პოეზიაში ჯერ კიდევ უცნობი ლიტერატურული ფორმები, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ფირდოუსის პოემის — „შაჰ-ნამეს" მოტივებზე დაწერილი „მჭედელი ქოვა" (ოპერის ლიბრეტო). საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მეტად მხატვრული, მიმზიდველი და შინაარსიანია ლაჰუთის პოეტური ლექსიკონი, მწერალს ახასიათებს თხრობის სისადავე და სილაღე. ლაჰუთის მიერ შექმნილ მხატვრულ გმირთა ვრცელ გალერეაში მკითხველი იხილავს როგორც დადებით, ისე უარყოფით პერსონაჟებს. ლაჰუთი არ იშურვებს თავისი ლექსიკის მდიდარი სალაროდან მსუყე, ხატოვან სიტყვა-თქმებს თავისი გმირების შესამკობად, მათი მორალური თვისებების, უმწიკვლოების, გონივრულობის, მშრომელი

ხალხის საქმისათვის თავდადების, ბოროტებასთან უშიშარი ბრძოლის და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გამო. დადებითი გმირების გვერდით ლაჰუთი გვიხატავს უარყოფით გმირებსაც, ესენი არიან ხალხის უბოროტესი მტრები, მოღალატეები, მხდალი და სულმდაბალი ადამიანები.

პირველივე საბჭოური ხუთწლედების დროს ტაჯიკი პოეტები მხურვალედ გამოეხმაურნენ რესპუბლიკაში გაშლილ სოციალისტურ მშენებლობას. ტაჯიკისტანში პირველი დიდი მშენებლობა იყო ვახშის ნახევრად უდაბურ ველზე დიდი სარწყავი არხის მშენებლობა, რომელსაც უნდა გაეცოცხლებინა საუკუნეთა განმავლობაში მკვდრად მიჩნეული და გამოუსადეგარი მიწის ფართობები. ბევრი ტაჯიკი პოეტი პირადად მონაწილეობდა სარწყავი არხის მშენებლობაზე და თავისი წვლილი შეჰქონდა ამ დიად საქმეში. პოეტი მირსაიდ ბირშაქარი დიდხანს იყო მშენებლობაზე გაზეთის „ვახშმშენის დამკვრელის" რედაქტორი და კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანი. მირშაქარმა ვახშის ველზე საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობის თემას მიუძღვნა ციკლი ლექსებისა და, აგრეთვე, პოემა „გამარჯვების დროშა". აქ ავტორმა შესანიშნავად უჩვენა საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ხალხთა მეგობრობა, მწერალმა დაგვიხატა რუსი მუშის — ვახშმშენის მექანიკოსი ივანოვის ნათელი სახე. ამ პოემაში მირსაიდ მირშაქარმა ტაჯიკურ ლიტერატურაში პირველად დაამუშავა რუსი და ტაჯიკი მუშების დიადი თანამეგობრობის აქტუალური თემა.

ტაჯიკისტანის გაფურჩქვნასა და საბჭოთა ხალხის გმირულ შრომას მიუძღვნა, აგრეთვე, თავისი ლექსები ნიჭიერმა პოეტმა და დრამატურგმა აბდუსალომ დეჰოთიმ. ლექსთა კრებული, რომელსაც ეწოდება „შრომის სიმღერები", დეჰოთის პოეტური ზრდისა და სრულყოფის უტყუარი დამამტკიცებელი იყო.

მშენებელთა გვერდით ტაჯიკი პოეტების ნაწარმოებებში გამოჩნდნენ საკოლმეურნეო მინდვრების მუშაკებიც, მოწინავე მებამბეები, რომლებიც თავიანთი თავდადებული შრომით ნამდვილ სასწაულებს ახდენენ. სწორედ საკოლმეურნეო მინდვრებზე საბჭოთა ადამიანების დაუღალავი შრომისა და ნოვატორული მეთოდების გამოყენების თემას მიუძღვნა თავისი პოემა „ახალგაზრდა მებამბე" ახალგაზრდა პოეტმა ნასირჯონ მასუმიმ. ავტორმა პოემის მთავარ გმირად აირჩია მთელს საბჭოთა კავშირში ფართოდ ცნობილი ბამბის მკრეფელი ქალი მამლაქათ ნაჰანგი.

მოწინავე მებამბეებს მიუძღვნა თავისი პიესა „შოდმონ" გამოჩენილმა ტაჯიკმა დრამატურგმა და პროზაიკოსმა სათიმ ულუღ-ზადემ. ამ პიესას დიდი წარმატება ხვდა, რადგან ტაჯიკურ დრამატურგიაში პირველად ამ პიესაში იქნა გადმოშლილი ტაჯიკი კოლმეურნე გლეხების შრომისა და ცხოვრების სურათები.

ასევე ნაყოფიერი და შინაარსიანი იყო სხვა ტაჯიკი პოეტების შემოქმედებაც. სოციალისტური რეალიზმის ნიშნის ქვეშ გაიშალა მუჰიდინ ამინ-ზადეს, რაჰიმ ჯალილის, დიერის, ჯალოლ იქრამის, ვასილ კირილოვის, ნიკოლოზ კლადოს, ლუთფის, აშირმათ ნაზაროვის, მუჰამედჯან რაჰიმის, საიდსულთან საიდმურადოვის. ჯავჰარი სუხაილის, უხუცესი სახალხო პოეტის საიდ-ალი ვალი-ზადეს და სხვა ტაჯიკი პოეტების შემოქმედება.

ტაჯიკური ლიტერატურის განვითარების მეორე ეტაპი იყო სადრიდინ აინის ნამდვილი შემოქმედებითი გაშლისა და აყვავების პერიოდი. 1934 წელს აინიმ გამოსცა ვრცელი რომანი „ღულომონ" (მონები) რომელშიაც გადმოცემულია ტაჯიკი ხალხის თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების ისტორია, მოკიდებული XIX ს. პირველი ნახევრიდან ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე, ე. ი. ტაჯიკისტანში საკოლმეურნეო მშენებლობის დასრულებამდე. რომანში მკვეთრადაა გახაზული რევოლუციამდელი შუა აზიის ცხოვრება თავისი კლასობრივი ბრძოლით, მკაფიოდაა გამოკვეთილი თვითეული კლასისა და ფენის წარმომადგენელთა რეალური სახე. XIX საუკუნის ჩამორჩენილი და ფეოდალური ურთიერთობის ქვეყნიდან რომანს გადავყავართ XX საუკუნის 30-იანი წლების მოწინავე სოციალისტურ ქვეყანაში, სადაც ახალი ადამიანები ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ.

ამ რომანით აინიმ დაასრულა თავისი პროზაული ნაწარმოებების პირველი ციკლი, სადაც შევიდა „ოდინა", „დოხუნდა" და „ღულომონ". ამ სამ ნაწარმოებს შეიძლება ეწოდოს ტრილოგია, სადაც მოცემულია ერთი და იმავე მთავარი მოქმედი გმირის—ხალხის მხატვრული, რეალური სახე. ამ ტრილოგიაში მოცემულია ხალხის აღსარება, მაგრამ აღსარება არა მომაკვდავისა, არამედ აღსარება გამარჯვებულისა, აღსარება ძველი ცხოვრების კვდომისა, წარმოთქმული ახალი ცხოვრების დასაწყისთან დაკავშირებით.

ამ პერიოდის აინის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოთხრობას—„მევახშის სიკვდილს", რომელშიაც ავტორმა ბუხარას მევახშეებზე თავისი მრავალწლოვანი დაკვირვების შედეგად მოგვცა ძუნწის ისეთი დამაჯერებელი სახე, რომელიც ღირსეულად იჭერს საპატიო ადგილს მსოფლიო ლიტერატურის მიერ შექმნილ ძუნწთა გალერეაში. მოთხრობაში საერთოდ ფართოდაა წარმოდგენილი მევახშეობა, იგი დახასიათებულია როგორც დი-

დი სოციალური ბოროტება. ქორი-იშქამბოს, ამ ბუხარას გობსეკის, მხატვრული სახე, რომელიც დაგვიხატა აინიმ „მევახშის სიკვდილში“, გადაიქცა დამცინავ და დამამცირებელ სახელად მთელს ტაჯიკისტანში, მსგავსად სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილისა.

1941 წელს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში მოეწყო ტაჯიკური ხელოვნების დეკადა, საბჭოთა ტაჯიკისტანის ხელოვნების მუშაკებმა უპატაკეს დედასამშობლოს თავიანთი მიღწევების შესახებ. დიდი მოწონება, რომელიც დაიმსახურა ტაჯიკურმა ხელოვნებამ ამ დეკადის დროს, იმის უტყუარი მოწმობა იყო, რომ ტაჯიკი ხალხის ხელოვნება, მისი ლიტერატურა უკვე თავისი სიმწიფისა და სრულყოფის საფეხურზე იდგა.

ტაჯიკური ლიტერატურის განვითარების მე-3 ეტაპი — ეს არის ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლები (1941 — 1945), როდესაც ტაჯიკი პოეტებისა და მწერლების მთელი ყურადღება, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხისა, მიმართული იყო ვერაგი მტრის განდევნისაკენ საბჭოთა მიწა-წყლიდან, მისი განადგურებისა და მოსპობისათვის ბრძოლისაკენ. ბევრი ტაჯიკი პოეტი პირადად მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, ზოგმა მათგანმა კი გმირულად დასდო თავი ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დიდი სამამულო ომის ძლეკამოსილად დასრულების შემდეგ საბჭოთა ხალხი კვლავ დაუბრუნდა მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, რაც სათანადოდ უნდა ასახულიყო ლიტერატურაში. დიდი სამამულო ომის დასასრულიდან ტაჯიკური ლიტერატურა შევიდა თავისი განვითარების მე-4 ეტაპში.

დიდი სამამულო ომის დროს ტაჯიკმა პოეტებმა და მწერლებმა მგზნებარე მოწოდებით მიმართეს თავიანთ მკითხველებს, მოუწოდეს მათ ვერაგი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად და თავდადებული შრომისაკენ. უდიდესი პატრიოტული გრძნობით იყო გაჟღენთილი დიდი სამამულო ომის დროს პოეტების — ჰაფიზ იუსუფის, რაჰიმის, ლაჰუთის, მირშაქარის, ბოქი რაჰიმ-ზადეს, აგრეთვე სახალხო მთქმელების — ყურბან ჯალილის, ვალი-ზადეს, ბობო იუსუფის და დავლიათშო პამირის, ძარღვიანი ლექსები. ამავე თემას მიუძღვნეს პროზაული ნაწარმოებები და პიესები ულუღ-ზადემ, იქრამმ, რაჰიმ ჯალილმ და სხვებმა.

ბევრი ტაჯიკი პოეტი იარაღით ხელში იბრძოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ და პირადი გმირობითა და მამაცობით აღაფრთოვანებდნენ საბჭოთა მეომრებს.

მტრისადმი უდიდესი ზიზღით გაჟღენთილი მრისხანე პუბლიცისტური სტატიებით გამოეხმაურა სადრიდინ აინი ჩვენს სამშობლოზე ფაშისტი ურდოების თავდასხმას. აინი ოსტატურად ახერხებდა თავის ნაწარმოებებში — ესახა თანამედროვეობის აქტუალური თემა. მაშინაც კი, როდესაც იგი თავისი ხალხის ისტორიული წარსულის შესახებ წერდა. მწერალი მოხდენილად უკავშირებდა წარსულსა და აწმყოს, ჩინგისხანის მძარცველური ურდოების წინააღმდეგ ტაჯიკი ხალხის გმირული ბრძოლისა და ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის ცალკეულ მომენტებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა დიდი სამამულო ომის დროს აინის მიერ დაწერილი მოთხრობა „თიმურ მალიქი“.

დიდ სამამულო ომს მხურვალედ გამოეხმაურნენ აბულყასიმ ლაჰუთი და მირზო ტურსუნ-ზადე. ლაჰუთიმ სამამულო ომის პერიოდში დაწერილ ლექსებსა და პოემებში ასახა მთელი საბჭოთა ხალხის მისწრაფება და ერთსულოვნება ვერაგი მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. იგი თავის მგზნებარე ხმით მოუწოდებდა ტაჯიკ მეომრებს, შური ეძიათ მტრის მიერ რუსი დების შეურაცხყოფისათვის, მათ ნამუსზე ბილწი ხელის შემართვისათვის, აყვავებული ქალაქებისა და სოფლების ნგრევა-გაჩანაგებისათვის. საბჭოთა კავშირის გმირის ზოია კოსმოდემიანსკაიას საარაკო გმირობით აღფრთოვანებულმა პოეტმა დაწერა პოემა „ტანია“, რომელიც სამამულო ომის დღეების ტაჯიკური ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. ნიჭიერმა ტაჯიკმა პოეტმა მირზო ტურსუნ-ზადემ სამამულო ომის თემაზე შექმნა მრავალი ნაწარმოები, რომელთაგან აღსანიშნავია ლექსები კაპიტან გასტელოს შესახებ და პოემა „სამშობლოს ვაჟიშვილი“. ლენინგრადის გმირულ დაცვას მიუძღვნეს თავიანთი ლექსები პოეტებმა დეჰოთიმ და რაჰიმიმ. უნდა აღინიშნოს, რომ ტაჯიკურ ლიტერატურას დიდი სამამულო ომის დროს შემატა ახალი პოეტები და მწერლები. ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ სამამულო ომის დღეებში დაიწყო ლექსების წერა უხუცესმა ტაჯიკმა პოეტმა ჯავჰარი-ზადემ, რომელიც მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში დუმდა. ომის მრისხანე დღეებშივე გამოვლინდა მთელი ძალით მხცოვანი პოეტი ქალის როზია აზადის პოეტური ტალანტიც.

ტაჯიკი მწერლების შემოქმედებაში სათანადოდ იქნა ასახული, აგრეთვე, საბჭოთა ზურგი, საბჭოთა ადამიანების გმირული შრომა ქარხანა-ფაბრიკებსა თუ საკოლმეურნეო მინდვრებზე.

დიდი სამამულო ომის შემდეგ ტაჯიკური ლიტერატურის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ჟურნალების „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“, აგრეთვე, დრა-

მატული თეატრების რეპერტუარის შესახებ. პარტიის ბრძნულმა მითითებებმა ნამდვილი გარდატეხა გამოიწვია ტაჯიკური ლიტერატურის განვითარებაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ 1946 წლის შემდეგ იწყება ტაჯიკური საბჭოთა ლიტერატურის ნამდვილი აყვავება.

ტაჯიკური ლიტერატურის განვითარების ომისშემდგომ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საგრძნობლად დაწინაურდა პროზა, რომელიც წარსულში ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა.

ამ პერიოდში სადრიდინ აინიმ გამოაქვეყნა თავის მოგონებათა („იოდდოშთჰო") ორი ნაწილი, რომელიც რუსულ ენაზე გამოვიდა სახელწოდებით: „ბუხარა". აინიმ ამ ნაწარმოებში მისთვის ჩვეული ოსტატობით აღწერა რევოლუციამდელი ბუხარის ცხოვრების თითქმის ყველა მხარე. ეს მოგონებანი თვალწინ გადაგვიშლიან XIX საუკუნის ბოლო ხანების ბუხარის საზოგადოებრივი ფენების ცხოვრებას, მათ მისწრაფებებს, მწვავე სოციალური ბრძოლის მომენტებს. ამ ნაწარმოებს თამამად შეიძლება ეწოდოს რევოლუციამდელი ტაჯიკისტანის ცხოვრების ვრცელი ენციკლოპედია. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ერთ გარემოებას. მართალია, ნაწარმოებში მკაცრი სიზუსტით დაცულია ისტორიული სინამდვილე და იგი შედგენილია მემუარების სახით, მაგრამ წარმოადგენს ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს. ერთ-ერთი გმირის — თურაბის სახით აინიმ დაგვიხატა ტაჯიკი ახალგაზრდა, რომელიც დაინტერესებულია რუსული კულტურისა და რუსული ენის შესწავლით. იგი შრომასა და გარჯას არ იშურებს მიზნის მისაღწევად. ესაა ტიპიური მოწინავე ახალგაზრდა. მაგრამ თურაბის ხვედრი მიუთითებს იმაზე, თუ რა მოელოდა რუსული კულტურით დაინტერესებულ ტაჯიკ ახალგაზრდას: როდესაც მედრესეში შეიტყვეს თურაბის მისწრაფება, აითვალწუნეს, დაუწყეს დევნა და სიცოცხლესაც გამოასალმეს. აი, ხვედრი ყველა იმ ტაჯიკისა, რომელიც, აინის მოგონებათა მიხედვით, დაინტერესდებოდა ყოველივე რუსულით ბუხარის საემიროს დესპოტიზმის პირობებში. მიუხედავად ამისა, ბუხარის ახალგაზრდობა მაინც უდიდეს მიდრეკილებას იჩენდა რუსული კულტურისა და ენის შესწავლისადმი. აინის „მოგონებანი" საყურადღებოა ენობრივადაც. ავტორმა, როგორც ახალი სალიტერატურო ტაჯიკური ენის ნოვატორმა, შესანიშნავად შეახამა ერთმანეთთან ტაჯიკური კლასიკური ენის მდიდარი ხატოვანი სიტყვა-თქმანი და თანამედროვე ცოცხალი სასაუბრო ენის სისხარტე და ცხოველმყოფელობა. აინის ამ ნაწარმოების შექმნისათვის ღირსეულად მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის სპატიო წოდება.

ტაჯიკური პროზის განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, აგრეთვე, ნიჭიერი ტაჯიკი მწერლის რაჰიმ ჯალილის რომანი „ფულადი და გულრუ". რომანში აღწერილია ტაჯიკი ხალხის ბრძოლა ბასმაჩობის წინააღმდეგ და მოთხრობილია მიწისა და წყლის რეფორმის განხორციელების შესახებ, რაც წინ უძღოდა კოლექტივიზაციას.

რომანის გმირები — ფულადი და გულრუ — ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული პატიოსანი ადამიანებია, რომლებიც იბრძვიან ბასმაჩობის წინააღმდეგ. ფულადი ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, როდესაც მოხვდა ხარკოვში, სადაც იგი გაეცნო ბოლშევიკებს და შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. ტაჯიკისტანში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად მონაწილეობს პარტიის ბრძოლაში როგორც ბასმაჩობის, ისე კულაკობისა და რეაქციული სამღვდელოების წინააღმდეგ. რომანში შესანიშნავადაა დახასიათებული ბასმაჩთა უარყოფითი ტიპები — ისლამ-ბეგისა და აჰმედ-ხოჯას სახით; მთელი სისრულითაა ნაჩვენები ბასმაჩობის სოციალური არსი. ბასმაჩები როდი ყოფილან თავიანთი ხალხის ეროვნული ტრადიციების მატარებელნი, როგორც ისინი გაჰკიოდნენ, ისინი ხალხისათვის უცხონი იყვნენ, მათ წიაღში მიმდინარეობდა ულმობელი ბრძოლა საკომანდო სიმაღლეებისათვის, მათ ამოძრავებდათ იმპერიალისტების მზაკვრული ხელები. რომანში ნაჩვენებია ხალხის ფართო მასების ბრძოლა ბასმაჩობის წინააღმდეგ და წითელი არმიის კეთილშობილური განმათავისუფლებელი როლი.

რომანის მეორე გმირი გულრუ რუსთამოვა, რომელიც ერთ დროს უღარიბესი, ნახევრად ხელგაწვდილი გოგონა იყო, მხურვალედ გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას, იგი აქტიურად იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, შედის პარტიის რიგებში და მალე ცნობილი პარტიული მუშაკი ხდება.

ტაჯიკური პროზის განვითარებაში აღსანიშნავია, აგრეთვე, რომანი „შოდი", რომელიც ეკუთვნის სადრიდინ აინის ნიჭიერი მოწაფის ჯალოლ იქრამის კალამს. ამ რომანმა დიდი მოწონება დაიმსახურა მკითხველთა შორის, რომანში ნაჩვენებია კოლექტივიზაციისათვის პარტიისა და ხელისუფლების ბრძოლის ეპიზოდები, რასაც წინ ეღობებოდნენ ბეგები, მოლები, ბასმაჩები და ხალხის სხვა მტრები. რომანის მთავარი გმირი შოდი (სიხარული) მგზნებარე კომუნისტია, რომელიც აღზარდა წითელმა არმიამ. იგი, როგორც სოფლის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მთელ თავის ძალას, ენერგიასა

და გამოცდილებას ახმარს პარტიის ინტერესების დაცვასა და ხალხისადმი უანგარო სამსახურს. რომანის მეორე ნაწილში ნაჩვენებია ომისშემდგომი ცხოვრების სურათები, კოლმეურნეობების მიღწევები სოფლის მეურნეობის ყველა დარგში და განსაკუთრებით მებამბეობის განვითარებაში. ჯალოლ იქრამი ნათლად გვიხატავს, რომ ყველაზე მოწინავე ადამიანები ხალხის წიაღიდან გამოსული კომუნისტებია, რომელთა შემოქმედებითი შესაძლებლობანი, ორგანიზაციული უნარი და მმართველობის ნიჭი მთელი სისრულით იშლება საბჭოთა ტაჯიკისტანის სინამდვილეში. რომანი მოწმობს ავტორის შემოქმედებითს ზრდასაც.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა მეომრების პატრიოტული სულისკვეთებისა და თანამეგობრობის თემაზე მწერალმა ფათეჰ ნიაზიმ დაწერა მოთხრობა „ერთგულება". მოთხრობის მთავარი გმირი არის ტაჯიკი მეომარი საფარი, რომელიც ჯერ რიგითი სალდათი იყო, შემდეგ სერჟანტი გახდა და ბოლოს უმცროსი ლეიტენანტის ჩინს მიაღწია. ფათეჰ ნიაზი პირადად მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში და თავისი მდიდარი საბრძოლო გამოცდილება და დაკვირვებანი ნაწარმოებში შესანიშნავად გამოიყენა. მართებული და დამაჯერებელია ბრძოლის ცალკეული ეპიზოდები. ავტორი განსაკუთრებით კარგად გვიხატავს ხელჩართული ბრძოლის სცენებს. ტაჯიკი მეომრების გვერდით ავტორს წარმოდგენილი ჰყავს რუსი, უკრაინელი, უზბეკი და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამაღელვებელია სცენა, რომელიც ეხება სტალინგრადის გმირულ დაცვას. ტაჯიკი მეომრის საფარის გვერდზე იბრძვის თავისი ქალაქის დასაცავად წარმოშობით სტალინგრადელი რუსი მეომარი; ბრძოლის მძიმე წუთებში, სულიერი და მორალური დაძაბულობის უმაღლეს საფეხურზე, ტაჯიკი მეომარი საფარი ამაღელვებელი სიტყვებით მიმართავს თავის რუს ამხანაგს: „მოდი, გადავეხვიოთ ერთმანეთს! ...შენ სტალინგრადელი ხარ, მე — სტალინაბადელი ...ორივე ჩვენი ქალაქი ხომ სტალინის სახელს ატარებს!". ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტაჯიკურ ლიტერატურაში საბჭოთა პატრიოტიზმის ჩვენების მხრივ ფათეჰ ნიაზის მოთხრობა „ერთგულება" უთუოდ გამოირჩევა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილების შემდეგ მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ტაჯიკური პოეზიის განვითარებაშიც. დაიწერა ახალი ლექსები და პოემები, სადაც ასახულია შემოქმედი ადამიანის, საბჭოთა ადამიანის ცხოვრება. მათი ავტორებია: მირსაიდ მირშაქარი, აშირმათ ლაზაროვი, მირზო ტურსუნ-ზადე, ბოჟი რაჰიმ-ზადე, რაჰიმი, ამინ-ზადე და სხვ. ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა პოეტებიც, რომლებიც ტაჯიკურ ლიტერატურაში სულ ამ ბოლო ხანებში მოვიდნენ. ესენია: შუქუჰი, ფარჰადი, ბაჰორი, თულქუნი და სხვები.

პოეტი აშირმათ ნაზაროვი დაიბადა და გაიზარდა ტაჯიკისტანში, თუმცა იგი უზბეკურ ენაზე წერს. მის კალამს ეკუთვნის ვრცელი პოემა, რომელსაც ეწოდება „ქაფირნიგანის ნაპირას". იგი მიეძღვნა სოციალისტური შრომის გმირ ქალს, რომელიც საკოლმეურნეო მინდვრებზე თავდადებული შრომის მეშვეობით ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანი ხდება. ნაწარმოებს დიდი წარმატება ხვდა, გამოიცა როგორც უზბეკურ, ისე რუსულ და ტაჯიკურ ენებზე. პოემაში „ჩემო მხარე" რომელიც დაწერილია საერთაშორისო თემაზე, ნაჩვენებია ტაჯიკი მეომარი — განმათავისუფლებელი, რომელსაც ევროპის ხალხებისათვის მიაქვს ახალი იდეები. პოეტის მთავარი ყურადღება მიმართულია საბჭოთა მეომრების განმათავისუფლებელი მისიისაკენ, მეომრებისა, რომლებმაც ევროპის ხალხები იხსნეს ფაშისტი ბარბაროსების ტყვეობისაგან. განსაკუთრებით ძლიერია სცენები საკონცენტრაციო ბანაკებიდან იუგოსლაველი, ფრანგი, ბერძენი და სხვა ეროვნების ქალთა განთავისუფლების შესახებ.

ტაჯიკური პოეზიის ოქროს ფონდში შეიტანა ნიჭიერი პოეტის მირსაიდ მირშაქარის პოემა „ოქროს ყიშლაღი", რომელსაც ავტორმა საფუძვლად დაუდო პამირში კარგად ცნობილი ხალხური თქმულება ოქროს ყიშლაღის შესახებ. პოემაში მოთხრობილია, თუ როგორ შეისხა ფრთები პამირელთა საუკუნოვანმა ოცნებამ „ოქროს ყიშლაღის", ე. ი. ბედნიერების შესახებ საბჭოთა სინამდვილეში. მეორე მხრივ, პოემის სიუჟეტი, მისი სიღრმე და სიდიადე ნათლად მეტყველებს, რომ მირსაიდ მირშაქარი დაუღალავად სწავლობს მოწინავე რუსი პოეტებისაგან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ტაჯიკმა პოეტებმა თავის სისხლხორციელ თემად მიიჩნიეს მსოფლიოს ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის. ისინი თამამად ააშკარავებენ ომის გამჩაღებლების აგრესიულ ბუნებას და უდიდესი სიმპათიით უმღერიან თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მებრძოლებს მთელს მსოფლიოში. ამ თემაზე დაწერილ ლექსებსა და პოემებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მირზო ტურსუნ-ზადეს, მირშაქარის, დეჰოთის, ნაზაროვის, ქაჰორის და სხვათა ნაწარმოებები.

საერთაშორისო თემაზე დაწერა მირსაიდ მირშაქარმა პოემა „დაუმორჩილებელი ფანჯი", რომელშიც გვიჩვენა ტაჯიკისტანის მთიან რაიონებში ბედნიერი ცხოვრების მშენებლობა და ჩვენი მიღწევების უდიდესი გავლენა

აღმოსავლეთის კოლონიურ და ნახევრად კოლონიურ ხალხებზე. პოეტმა სამართლიანად აირჩია ტაჯიკისტანი პოემის სიუჟეტის გასაშლელ არედ, რადგან ტაჯიკისტანი აღმოსავლეთის დამონებული ხალხებისათვის გზის მანათობელ შუქურას წარმოადგენს — სამი სახელმწიფოს საზღვრების თავშესაყართან მდებარეობს. პოემაში ნაჩვენებია, თუ როგორი დაძაბული შრომით აღწევენ საბჭოთა ადამიანები მაღალი მოსავლის მიღებას, როგორ იღებენ და ამუშავებენ მთების ბულიდან წყაღისეულს, როგორ აშენებენ მთიან ყიშლაღებში სკოლებს, კლუბებს, კინოებს, საავადმყოფოებს და სხვ. პოემის მიხედვით, საზღვრის გადაღმიდან, ავღანისტანის ტერიტორიიდან, დაბეჩავებული მასები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომასა და საქმიანობას, და ამით ავტორი ხაზს უსვამს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის საერთაშორისო მნიშვნელობას.

მაგრამ საბჭოთა ტაჯიკისტანის საზღვრებისაკენ მარტო დაბეჩავებული მასების თვალები როდია მიპყრობილი. ამ თემას მიუძღვნა მირშაქარმა ლექსი „ამერიკელი ტურისტი". ამერიკის სამხედრო უწყების—პენტაგონის აგენტი, რომელიც თავის თავს „ტურისტს" უწოდებს, დურბინდით გასცქერის საბჭოთა ტაჯიკისტანს და... ბრაზმორეული და გაცოფებული ქვებზე შეამსხვრევს თავის დურბინდს.

ტაჯიკური პოეზიის უდიდესი მონაპოვარია მირზო ტურსუნ-ზადეს ლექსების ციკლი ინდოეთის შესახებ. სახელოვანმა ტაჯიკმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ მირზო ტურსუნ-ზადემ 1947 წელს საბჭოთა მეცნიერებთან ერთად (რომელთა შორის საქართველოდან იყვნენ პროფ. გიორგი ახვლედიანი და პროფ. ვიქტორ კუპრაძე) იმოგზაურა ინდოეთში და მონაწილეობა მიიღო დელის საერთაშორისო კონფერენციაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ტურსუნ-ზადემ გამოაქვეყნა ინდოეთის შესახებ ლექსების ჯერ პირველი, ხოლო შემდეგ მეორე ციკლი. ლექსებისათვის — „ინდური ბალადა", „განგი", „მოდიოდა ხალხი ბურუსმოცული დასავლეთიდან", „ტარა-ჩანდრი", „დაკიდებული ბაღი ბომბეიში" და „ადამიანურს მეხსიერებაში" მირზო ტურსუნ-ზადეს 1948 წელს მიენიჭა სტალინური პრემია. 1949 წელს ტურსუნ-ზადემ გამოაქვეყნა ინდოეთის შესახებ ლექსთა მეორე ციკლი — „დაბრუნება", „მოგზაური ინდოეთში", „ჩემი სადღეგრძელო", „პროფესორ გიორგი ახვლედიანის ქუდი", „თაჯმაყალი" და „ორი გზა". (ლექსები — „ინდური ბალადა" და „პროფესორ გიორგი ახვლედიანის ქუდი" თარგმნილია ქართულ ენაზე მაგალი თოდუას მიერ და მოთავსებულია წიგნში: „ტაჯიკური პოეზია", თბილისი 1952). ყველა ეს ლექსი თარგმნილი იქნა რუსულ ენაზე და გულთბილად მიღო ჩვენმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

ტაჯიკური პროზისა და პოეზიის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა და მდიდრდებოდა ტაჯიკური დრამატურგიაც. ტაჯიკმა დრამატურგებმა შექმნეს ახალი პიესები, რომლებიც, მართალია, ჯერ კიდევ არ არიან სრულფასოვანი ნაწარმოებები (დრამატურგია ტაჯიკური ლიტერატურის ყველაზე ჩამორჩენილი უბანია), მაგრამ მაინც ასახავენ ჩვენს თანამედროვეობას. ასეთია, მაგალითად, ახალგაზრდა დრამატურგის ჰაქორის პიესა, რომელიც აგებულია საბჭოთა პატრიოტიზმის თემაზე. პიესას საფუძვლად აქვს დადებული საბჭოთა კავშირის გმირის თუიჩი ერჯიგითოვის გმირული საქციელი, ამ გმირმა გაიმეორა ალექსანდრე მატროსოვის მოქმედება. ქაჰორისავე პიესაში — „საოდათი" ნაჩვენებია, თუ როგორ ბოჭავს თანამედროვე ქალის ნოვატორულ მისწრაფებებს ფეოდალური სამყაროს ადათ-წესების გადმონაშთები და როგორ ეხმარება ჩვენი საზოგადოებრიობა მას წარსულის გადმონაშთების არტახებიდან თავის დაღწევაში.

ახალაზრდა დრამატურგის გ. ზაქიროვის კომედია „სევიჩი" მიეძღვნა საბჭოთა მოწინავე ქალს, ერთ-ერთი მსხვილი კომბინატის დირექტორს, რომელიც თავისი საუკეთესო მუშაობით იმის მკაფიო ნიმუშს იძლევა, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს ჩვენს საზოგადოებაში თავისუფალი ქალი.

ტაჯიკი მწერლები ეწევიან ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც. ამის შედეგად ტაჯიკი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ხდება რუსი, ქართველი, უზბეკი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მწერალთა ნაწარმოებები.

თარგმანში ტაჯიკ მკითხველს ხელი მიუწვდება კლასიკურ რუსულ ლიტერატურაზეც. თარგმნილია პუშკინის, ტოლსტოის, ჩეხოვის, ოსტროვსკის, გორკის, მაიაკოვსკის და სხვათა ნაწარმოებები. ამის გარდა, ტაჯიკურ ენაზე ითარგმნა რუსთაველის, შევჩენკოს, ნავოის, ჯამბულის და სხვათა ნაწარმოებები. ტაჯიკურ ენაზე თარგმნილია, აგრეთვე, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების — შექსპირის, ბაირონის, ბალზაკის, მარკ ტვენის, ბარბიუსის, როლანის და სხვათა ნაწარმოებები. თარგმნილმა ლიტერატურამ დიდი გავლენა იქონია ტაჯიკური ლიტერატურის განვითარებაზე.

ტაჯიკურმა საბჭოთა ლიტერატურამ სამართლიანად დაიკავა საპატიო ადგილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურებს შორის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ფევრალსკი

ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგია

★

ყველა ქვეყნის მშრომელთა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა შესანიშნავმა თურქმა პოეტმა, მშვიდობის საქმისათვის მტკიცე, შეუდრეკელმა მებრძოლმა ნაზიმ ჰიქმეთმა. მისი ლექსები და პოემები თარგმნილი და გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის და კაპიტალისტური ქვეყნების ბევრ ენაზე.

მაგრამ ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედება მარტო პოეზიით და პუბლიცისტიკით როდი შემოიფარგლება, იგი ნაყოფიერი და საინტერესო დრამატურგიცაა. ჯერჯერობით საბჭოთა მკითხველისათვის ცნობილია მისი მხოლოდ ოთხი პიესა: „თავისქალა", „ლეგენდა სიყვარულისა", „ამბავი თურქეთზე" და „დღესასწაულის პირველი დღე". პოეტი კი ოცამდე დრამატული ნაწარმოების ავტორია. ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგია გამოირჩევა თემების, ჟანრების, სახეების, წარმოსახვის საშუალებათა მრავალფეროვანებით, მას ახასიათებს ნამდვილი ნოვატორი მხატვრის გამბედაობა. ამასთან, ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თურქეთის თეატრალური ხელოვნების განვითარებაში ოცდაათიანი წლების პერიოდში, მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა თეატრთანაც. ეს კავშირი წარმოიშვა არა უკანასკნელ წლებში, როცა თურქი პოეტის პიესები იდგმება საბჭოთა კავშირის თეატრების სცენაზე, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ამ კავშირმა ბევრით განსაზღვრა ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიის განვითარების გზები მისი ლიტერატურული მოღვაწეობის უკვე ადრინდელ ეტაპზე.

ყოველივე ამით შეპირობებულია ის დიდი პრინციპული ინტერესი, რომელსაც შეიცავს ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგია, კერძოდ, მისი ფორმირების პერიოდი.

თავისი პირველი ერთმოქმედებიანი პიესა ლექსად „კერიასთან" ნაზიმ ჰიქმეთმა დაწერა ჩვიდმეტი წლის ასაკში. ჭაბუკმა პოეტმა მასში დააყენა მოხუცებულობისა და სიახალგაზრდავის პრობლემა. პიესაში სამი მოქმედი პირია. ერთი მათგანი ახალგაზრდა, ფიზიკურად განვითარებული, მაგრამ ინტელექტუალურად პრიმიტიული ადამიანია. მეორე პერსონაჟი ხნიერი მამაკაცია. მას არ გააჩნია პირველი გმირის გარეგნული ღირსებები, მაგრამ სულიერი ძალების აყვავებას განიცდის, აღსავსეა შემოქმედებითი ჩანაფიქრით. მესამე მოქმედი პირი ქალიშვილია. თავდაპირველად ქალიშვილს ხიბლავს ახალგაზრდა ვაჟის ფიზიკური სილამაზე, მაგრამ შემდეგში იგი უპირატესობას აძლევს ხნიერ მამაკაცს, როცა შეიგნებს, რომ მთავარი არის ის სულიერი სიჭაბუკე, რომელიც ხნიერ მამაკაცს გააჩნია.

ეს პიესა მაშინ გამოქვეყნდა, როცა თურქეთი მძიმე პირობებში მოექცა პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ. მასში არ იქნა ასახული ის ამბები, რომლებიც იმ პერიოდში დატრიალდა თურქეთის სინამდვილეში. ჰიქმეთის აღნიშნული დრამატული ნაწარმოები განყენებული ხასიათისა იყო.

სამაგიეროდ, მისი მეორე პიესა „ქვის გული“, რომელიც 1921 წლის დამდეგს დაამთავრა ავტორმა, აგებულია კონკრეტულ სინამდვილეზე, მაგრამ ნაწარმოებში ფართოდ არის გამოყენებული სოციალურ-ყოფითი მომენტები.

პიესა „ქვის გული“ ანატოლიის ერთ-ერთი ვილაიეთის ცხოვრებას ეხება. მთავარი მოქმედი პირები არიან მემამულის მიერ გაძევებული ღარიბი გლეხი, ფსიქიკურად არანორმალური, და ადგილობრივი კულაკი, რომელსაც, თანასოფლელთა აზრით, გულის ნაცვლად ქვა უდევს მკერდში. ღარიბი გლეხი ჰკლავს კულაკს იმ მიზნით, რათა გაანთავისუფლოს იგი ამ ქვისაგან. როცა ღარიბი დააპატიმრეს, მან განაცხადა, რომ თურმე კულაკს გული სრულიად არ ჰქონიაო. სასამართლოს ერთ-ერთ პროცესზე თურქეთის ხელისუფლებამ ნაზიმ ჰიქმეთს ამ პიესის დაწერა, სხვა მის ნაწარმოებებთან ერთად, ბრალდებად წაუყენეს.

*
* *

1921 წელს ნაზიმ ჰიქმეთი ბათუმში ჩამოვიდა. აქედან რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისს ესტუმრა, ხოლო 1922 წელს შევიდა ი. ბ. სტალინის სახელობის აღმოსავლეთის მშრომელთა მოსკოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში. ამ პერიოდში იგი გატაცებით ეცნობოდა მოსკოვის თეატრალურ ცხოვრებას, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საბჭოთა თეატრალურ ახალგაზრდობასთან.

ამ სტრიქონების ავტორი, იმ დროს თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი, ხშირად ხვდებოდა ნაზიმ ჰიქმეთს. ჩვენ მაშინ მას „ამხანაგ ნაზიმს“ ვეძახდით. იგი იყო თვალტანადი, თმახუჭუჭა, ცისფერთვალება ყმაწვილი. უკვე მაშინ ნაზიმის ტოლ-ამხანაგები ვგრძნობდით, რომ საქმე გვქონდა განსაკუთრებული ბუნების ადამიანთან. იგი მთელი მგზნებარებით, გატაცებით ეუფლებოდა ცოდნას, იჩენდა მსჯელობის დროს პრინციპულობას, და შეურიგებლობას. მას ახასიათებდა სიახლისადმი დაუცხრომელი ლტოლვა. ყველა ჩვენგანი, რა თქმა უნდა, გატაცებული იყო მაიაკოვსკის პოეზიით, მისი ადამიანური თვისებებით. ნაზიმ ჰიქმეთი თავისი ლექსებით და ქცევითაც ახლოს იდგა მაიაკოვსკისთან. აქ ჩანდა რევოლუციის ორი პოეტის — მაიაკოვსკისა და ნაზიმ ჰიქმეთის იდეური ნათესაობა.

1923 წლის 15 იანვარს თეატრალური ახალგაზრდობის ერთმა ჯგუფმა მოვაწყეთ „საერთაშორისო მხატვრული მიტინგი“ „ხელოვნებათა ინტერნაციონალის“ სახელწოდებით. ჩვენ ვცდილობდით მოგვეხდინა რევოლუციური ხელოვნების საერთაშორისო ფრონტის ერთიანობის დემონსტრაცია. საღამოში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლებმა და კომუნისტური ინტერნაციონალის იმ დღეებში დამთავრებული IV კონგრესის დელეგატებმა. თავიანთი ლექსები წაიკითხეს ნაზიმ ჰიქმეთმა და პროგრესულმა პოეტმა, ამერიკელმა ზანგმა კლოდ მაკ-კეიმ.

დიდი წარმატება ხვდა ნაზიმ ჰიქმეთის მიერ წაკითხულ ლექსებს. თუმცა მსმენელთა დიდ უმრავლესობას არ ესმოდა თურქული ენა, აუდიტორია მაინც გაიმსჭვალა რევოლუციური პათეტიკის ძალით, რომლითაც აღსავსე იყო ჰიქმეთის ლექსები.

„საერთაშორისო მხატვრული მიტინგის“ მაგალითისამებრ მალე მოეწყო ინტერნაციონალური მიტინგი თემაზე — „რევოლუცია და ლიტერატურა“. ეს მიტინგი შედგა 1923 წლის 8 მარტს პოლიტიკური მუზეუმის დიდ

აუდიტორიაში. მიტინგის ყველაზე საინტერესო მომენტებს წარმოადგენდა ვლ. მაიაკოვსკისა და ნაზიმ ჰიქმეთის გამოსვლები. იმასთან დაკავშირებით, რომ მიტინგი შედგა ქალთა საერთაშორისო დღეს, ნაზიმ ჰიქმეთმა წაიკითხა თავისი ლექსი „შარვლები და კაბები". ლექსის შინაარსი მან იქვე ფრანგულად უამბო დამსწრეთ. ქალი, — ნათქვამია ლექსში, — იბრძვის რევოლუციისათვის ისეთივე ძალით, როგორც მამაკაცი. თურქეთში ქალს მამაკაცის თანაბრად შესწევს უნარი აითვისოს მარქსიზმის მოძღვრება. ქალსაც შეუძლია მაუზერის გასროლა. მამაკაცსა და დედაკაცს შორის შეგნების მხრივ არავითარი განსხვავება არ არის.

მსმენელებმა ოვაციით დააჯილდოვეს ახალგაზრდა თურქი რევოლუციონერი პოეტის გამოსვლა. ასეთივე მხურვალე შეხვედრა მოუწყეს მაიაკოვსკის, რომელმაც წაიკითხა ლექსები „მესამე ინტერნაციონალი", „მარცხენა მარში" და „პარიზი".

ნაზიმ ჰიქმეთი გატაცებული იყო ახალი გზების ძიებით ხელოვნებაში, კერძოდ, სასცენო ხელოვნებაში. მოსკოვში ცხოვრების პერიოდში იგი აქტიურად მუშაობს დრამატურგიაში. ნაზიმ ჰიქმეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და შემოქმედებითს ზრდაზე ძლიერი გავლენა მოახდინა მწერლის ყოფნამ საბჭოთა კავშირში. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი მის დრამატურგიაში მკვეთრი პუბლიცისტური მიმართულების გამომუშავებას, ამ დრამატურგიის მებრძოლი პოლიტიკური ხელოვნების იდეით აღჭურვას.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ფართოდ განვითარდა თეატრალური თვითმოქმედება. მისი საშუალებით საბჭოთა თემატიკა განსაკუთრებული ძალით შეიჭრა სასცენო ხელოვნებაში. ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებების, სასწავლებლების მაგალითისამებრ აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის კლუბთანაც შეიქმნა მთელი რიგი თეატრალური წრეები. თვითეული მათგანი აერთიანებდა თეატრალური ხელოვნების მოყვარულთ, რომლებიც ამა თუ იმ ეროვნებას ეკუთვნოდნენ. 1922-24 წლებში სტუდენტი ნაზიმ ჰიქმეთი იყო თურქული დრამატული წრის აქტიური წევრი. იგი ქმნიდა ამ წრისათვის ორიგინალურ რეპერტუარს. პოეტი მჭიდრო შემოქმედებითს თანამშრომლობას ეწეოდა ამ წრის ხელმძღვანელთან, ახალგაზრდა რეჟისორ ნიკოლოზ ეკთან. ნიკოლოზ ეკმა შემდეგში დადგა პირველი საბჭოთა სრულმეტრაჟიანი ხმოვანი ფილმი „ცხოვრების საგზური" (1930 წ.) და პირველი საბჭოთა ფერადი ფილმი „გრუნია კორნაკოვა" (1936 წელს). „ნიკოლოზ ეკთან შეხვედრამ, — იგონებს იმ წლებს ნაზიმ ჰიქმეთი, — დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში".

იმ პერიოდში ნაზიმ ჰიქმეთის მიერ დაწერილი მცირე ფორმის დრამატული ნაწარმოებნი ასახავდნენ არალეგალურად მომუშავე თურქი კომუნისტების გმირულ ბრძოლას. იგი ამხილებდა რელიგიის ექსპლოატატორულ არსს. წერდა აგრეთვე ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის წლისთავისადმი, პირველი მაისისადმი მიძღვნილ დრამატულ ნაწარმოებებს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სახალხო სანახაობათა მსგავსად შექმნილი პანტომიმების სცენარები. მათში სიტყვები მხოლოდ კულმინაციურ მომენტებში გაისმოდა.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთმა მრავალფეროვანმა დრამატურგიულმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო პოეტს პიესების შექმნაში, პიესებისა, რომლებიც ეხებოდნენ თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს. მათში გამოყენებული იყო მხატვრული წარმოსახვის სხვადასხვანაირი საშუალებები. ამ პიესებს შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა

„ოცდარვა იანვარი“. მასში ნაჩვენებია თურქეთში მომხდარი 1921 წლის 28 იანვრის ტრაგედია, რაც გამოიხატა თხუთმეტი თურქი კომუნისტის ვერაგულად მოკვლაში.

ამ სტრიქონების ავტორს საშუალება მიეცა დასწრებოდა აღნიშნული პიესის წარმოდგენას. სპექტაკლი დადგა ნ. ეკმა. იგი უჩვენა თურქულმა დრამატულმა წრემ 1924 წლის 12 თებერვალს.

მიუხედავად იმისა, რომ პიესის დასაწყისი და ბევრი მისი შემდგომი ადგილი აღსავსეა დრამატიზმით, ახალგაზრდა დრამატურგი საინტერესო სიუჟეტის აგების მიზნით გაუტაცნია გარეგნულ ეფექტიან მომენტებს. ამ გარემოებამ დაუკარგა ნაწარმოებს ის მთლიანობა, რომლითაც გამოირჩევა ნაზიმ ჰიქმეთის ლექსები, შექმნილნი ამავე თემაზე — თხუთმეტი კომუნისტის ვერაგული მკვლელობის თემაზე. მაგრამ პიესამ თავისი რევოლუციური მგზნებარებით მაინც გაიმარჯვა და მიიჩქმალა მისი კომპოზიციური ნაკლოვანებანი. სპექტაკლმა მაყურებელზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა მაყურებელთა დიდმა ნაწილმა თურქული ენა არ იცოდა.

თავისი სტუდენტობის პერიოდში ნაზიმ ჰიქმეთმა კიდევ დაწერა ორი თითომოქმედებიანი პიესა, რომლებიც არ დადგმულა. ერთ მათგანში, ლექსად დაწერილ პიესაში — „პირამიდა“, პოეტის მიზანი იყო სცენა გამოეყენებინა მარქსიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის — ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის პრობლემის პროპაგანდისათვის.

მეორე პიესაში „სავსე მთვარე“, რომელიც აგრეთვე ლექსად იყო დაწერილი, საზოგადოება ალეგორიულად წარმოდგენილი იყო ტრანსატლანტიკური გემის სახით, რომელზეც ხდება აჯანყება.

1924 წლის დამლევიდან 1925 წლის მიწურულამდე ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთში იმყოფებოდა. ეს იყო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თურქეთის მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდი. იმ დროს სტამბულში ჩამოყალიბდა მუშათა კლუბი თვითმოქმედი წრეებით საბჭოთა კლუბების მაგალითისამებრ. ამ კლუბში თურქეთში პირველად დაიდგა სპექტაკლი მუშათა ძალებით. დრამატული წრის მონაწილეებმა მაყურებელს უჩვენეს ერთმოქმედებიანი პიესა თურქეთის პროლეტარიატის ცხოვრებიდან. პიესა ნაზიმ ჰიქმეთის კალამს ეკუთვნოდა. იგი თვით ავტორმა დადგა. ეს იყო ნაზიმ ჰიქმეთის ერთადერთი რეჟისორული ნამუშევარი.

*
* *

ახალი ხანა ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიაში იწყება იმ პერიოდიდან, როცა მწერალი მეორედ ესტუმრა საბჭოთა კავშირს.

ახლა უკვე პოეტი რუსული სცენისათვის იწყებს პიესების შექმნას. მან განაახლა შემოქმედებითი მეგობრობა ნიკოლოზ ეკთან. მათ გააერთიანეს ახალგაზრდა მსახიობთა ერთი ნაწილი და შექმნეს „პირველი თეატრალური არტელი“ „ცოცხი“.

მე შემომრჩა ამ თეატრის პირველი დადგმის გასინჯვაზე მოსაწვევი ბარათი 1926 წლის 19 სექტემბრის თარიღით. ბარათს ასეთი ხელმოწერა აქვს: „პოლიტხელი ნაზიმი“. დადგმას ერქვა „პირველი საესტრადო კომპლექსი“. სცენარის ტექსტზე ნაზიმ ჰიქმეთმა ნ. ეკთან და „ცოცხის“ ზოგიერთ მონაწილესთან ერთად იმუშავა.

მიუხედავად აღნიშნული სახელწოდებისა, სპექტაკლი აგებული იყო მთლიან სიუჟეტზე. ეს წარმოადგენდა თავისებურ ინსცენირებას იმ ხანებში პოპულარული სიმღერისა „კირპიჩიკი“. მასში მოთხრობილი იყო რუსი მუშა ქალის ბედის შესახებ მისი მშობ-

ლიური ქარხნის ისტორიის ფონზე ომისა და რევოლუციის წლებში.

„კომპლექსის“ პირველი ნაწილის მოქმედება წარმოებს პირველი მსოფლიო ომის პირველ წლებში. მეორე ნაწილში ნაჩვენები იყო ომის სურათები. მესამე ნაწილი იწყებოდა სცენებით ზურგში და ფრონტზე თვითმპყრობელობის დამხობისა და ოქტომბრის რევოლუციის შუა პერიოდში. ამას მოჰყვებოდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ამბები. მესამე ნაწილის ფინალში მოქმედება გადატანილი იყო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში. ნაზიმ ჰიქმეთი ცდილობდა აეღო ცხოვრებიდან და სცენაზე გადაეტანა სინამდვილის საყურადღებო მოვლენები. ყოფითი სცენები გადაკვანძული იყო ისტორიული ამბების ამსახველ სურათებთან. ნაწილობრივ გამოყენებული იყო კინოქრონიკა, სპექტაკლში ჩართული. სპექტაკლში კინემატოგრაფიული ელემენტების გამოყენება არ შემოიფარგლებოდა მასში მხოლოდ კინოქრონიკის ჩართვით. იმ მიზნით, რათა ხაზი გაესვათ და გამოეყოთ მთავარი მოქმედი პირების განცდები, სიუჟეტის განვითარების საკვანძო მომენტებში ხდებოდა ეკრანიდან აფსკზე დიდი ზომით გადაღებულ შემსრულებელ პერსონაჟთა დემონსტრაცია. ამით შეივსებოდა ხოლმე მოქმედება, რომელიც სცენაზე იყო გაშლილი.

„პირველი საესტრადო კომპლექსი“ დაახლოებით ოცჯერ იქნა წარმოდგენილი.

„ცოცხის“ სარეპერტუარო გეგმაში „საესტრადო კომპლექსებთან“ ერთად გათვალისწინებული იყო ხუთი „სასცენო კომპლექსი“. დაიწერა მხოლოდ პირველი მათგანის სცენარი და ნაწილობრივ — ტექსტი.

საინტერესოა ნაზიმ ჰიქმეთის მუშაობა ამ მიმართულებით. მან შემოგვმ განაგრძო პიესა „პირამიდას“ ხაზი — მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა სასცენო ხელოვნების საშუალებით.

„პირველი სასცენო კომპლექსი“ უნდა ყოფილიყო პუბლიცისტური, პოლიტიკურად მახვილი პიესა, რომელსაც საფუძვლად დაედებოდა ვ. ი. ლენინის შრომა „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. პიესის სახელწოდებაა „იმპერიალიზმი“. იგი შეიცავდა მრავალ სურათს.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც აგებული იყო პიესა „იმპერიალიზმი“, — ამბობს ნაზიმ ჰიქმეთი, — არ შეიძლება სწორედ ჩაითვალოს. იგი წარმოადგენდა წიგნის ილუსტრაციების სერიას მაშინ, როდესაც უნდა შექმნილიყო თეატრალური ჩანახატები ლენინის შრომის თემებზე. სცენურად წარმოსახული იყო წიგნის გვერდები, საჭირო კი იყო გადმომეცა წიგნის იდეები მხატვრულ სახეებში. პიესის ავტორი დაინტერესდა შედეგით და არა ადამიანთა ხასიათებით, — და ამაში მდგომარეობდა მისი შეცდომა.

„მეორე სასცენო კომპლექსს“ ეწოდებოდა „ადამიანი და ბუნება“, რომლის თემას წარმოადგენდა კაცობრიობის განვითარება პირველყოფილი კომუნიზმიდან კომუნისტურ საზოგადოებამდე.

1926 წელსვე შექმნა ნაზიმ ჰიქმეთმა „მესამე სასცენო კომპლექსი“. მას უწოდა „აღმოსავლეთი, როგორც ფიქრობენ მასზე და როგორია ის ნამდვილად“. აქ ორი აღმოსავლეთი იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული — ნამდვილი აღმოსავლეთი, სადაც მონები დასაღუპავად არიან განწირული... აჯანყებისათვის გამზადებული აღმოსავლეთი“ და „ევროპული პოემებისა და რომანების აღმოსავლეთი“.

„მეოთხე სასცენო კომპლექსი“ მიზნად ისახავდა მოეხდინა პოპულარიზაცია ვ. ი. ლენინის შრომისა „სახელმწიფო და რევოლუცია“.

„მეხუთე სასცენო კომპლექსში“, რომელსაც ეწოდებოდა „კარლ მარქსი (ცოცხალი ბიოგრაფია)“, ნაზიმ ჰიქმეთს განზრახული ჰქონდა შეექმნა ბიოგრაფიული პიესა, მიძღვნილი მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლისადმი. ეს იდეა მას ჩააგონა 1921 წელს ბათუმში პოეტის ყოფნის დროს მის მიერ წაკითხულმა პიესამ ბეთჰოვენის ცხოვრების შესახებ.

თეატრ „ცოცხის“ მიერ კიდევ ერთ განუხორციელებელ განზრახვას წარმოადგენს „ლანდების კომპლექსის“ — „პოლიტ-ყარაგიოზების“ შექმნა. გათვალისწინებული იყო საჭირბოროტო პოლიტიკური თემები თურქული ლანდების თეატრ „ყარაგიოზის“ ფორმით გადმოეცათ.

1927 წლის დამდეგს „ცოცხმა“ დადგა ნაზიმ ჰიქმეთის ერთმოქმედებიანი პიესა „ვინ არის დამნაშავე?“. იგი სავსებით განსხვავდებოდა „კომპლექსებისაგან“, რადგან იყო სოციალურ თემაზე შექმნილი კამერული დრამა. ამ პიესის მოქმედება წარმოებს ერთ-ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, პროკურორის ოჯახში. აღნიშნული ნაწარმოები ამხილებს ბურჟუაზიული საზოგადოების თვალთმაქცობას და უხამსობას.

შემდეგში, როცა ჰიქმეთი უკვე თურქეთში ცხოვრობდა, მან შექმნა ამ პიესის მეორე ვარიანტი, რომელიც დაიბეჭდა ერთ-ერთ თურქულ ლიტერატურულ გაზეთში.

თეატრი „ცოცხი“ შეუდგა ნაზიმ ჰიქმეთის კიდევ ერთი პიესის („ყველაფერი საქონელია“) რეპეტიციებს. პიესას ასეთი ქვესათაური ჰქონდა — „მარქსიზმის პირველი სასცენო გაკვეთილი“, მაგრამ „ცოცხი“ ფინანსურად გაკოტრდა და 1927 წლის გაზაფხულზე შეწყვიტა არსებობა. ასე რომ, ნაზიმ ჰიქმეთის პიესაზე მუშაობა ვეღარ დაამთავრა.

როგორც ნაწარმოების სათაურიდანაც ჩანს, კაპიტალისტურ სამყაროში ყველაფერი საქონელს წარმოადგენს. იგი მგზნებარე პროტესტია კაპიტალისტური ბარბაროსობის, „ყვითელი ეშმაკის“ ძალა-უფლების წინააღმდეგ.

ხუთი წლის შემდეგ, 1932 წელს ნაზიმ ჰიქმეთმა სტამბოლში შექმნა აღნიშნული პიესის მეორე ვარიანტი „თავისქალა“.

* * *

საბჭოთა თეატრის განვითარების დიდმნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავის ზეიმი. 1927 წლის საოქტომბრო ზეიმის დღეებში მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრების სცენაზე დაიდგა საბჭოთა დრამატურგიის გამოჩენილი ნაწარმოებნი — ვს. ივანოვის „ჯავშნოსანი 14, 69“, ბ. ლავრენევის „რღვევა“ და სხვა მოწინავე საბჭოთა დრამატურგების პიესები.

ლენინგრადში დაიდგა ვლ. მაიაკოვსკის პოემის „კარგია!“ შვიდი თავის ინსცენირება (სპექტაკლი „ოცდახუთი“). ნაზიმ ჰიქმეთმაც, როგორც დრამატურგმა, აგრეთვე მიიღო მონაწილეობა ოქტომბრის საზეიმო დღეების აღნიშვნაში. ამასთან, პოლიტიკური თემატიკა მან გადაიტანა იმ დროს პოლიტიკურად ჩამორჩენილ ხელოვნების ისეთ სახეობაში, როგორიც არის ცირკი.

1927 წლის 21 ნოემბერს მოსკოვის პირველ სახელმწიფო ცირკში ნაჩვენები იქნა საცირკო სანახაობა „ჩვენი მიძღვნა ოქტომბერს“. სცენარი დაწერა ნაზიმ ჰიქმეთმა დრამატურგ და მსახიობ ქალ რეგინა იანუშკევიჩთან ერთად. ეს სანახაობა გათვალისწინებული იყო ბავშვებისათვის. სცენარი ოთხი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილის მოქმედება 1917 წლის ამბებს შეეხებოდა. მეორე ნაწილისა — სამოქალაქო ომის წლებს. მესამე ნაწილში ავტორები მოგვითხრობენ აღდგენითი პერიოდის შესახებ. მეოთხე მოქმედება

გაშლილია 1927 წლის ფონზე. ამ პერიოდისათვის „ჩვენი ქვეყანა გახდა მტკიცე და მძლავრი. ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს“.

ამ სანახაობას საფუძვლად ედო პანტომიმა. სცენარში გამოყენებული იყო სალოზუნგო ხასიათის ტექსტი რეპროდუქტორებისათვის, აგრეთვე დიალოგები კლოუნთათვის. სცენარის ავტორებმა გაითვალისწინეს სხვადასხვა საცირკო ჟანრი: კლოუნადა, პარადი, ცხენჯირითი, ჭიდაობა, აკრობატიკა, მოტოციკლით სვლა, ოჩაფეხა, ნადირთა მომთვინიერებლის გამოსვლა. ამ ჟანრებზე აგებული ეპიზოდები ოსტატურად იყო ჩართული მოქმედების ქსოვილში.

პირველი სახელმწიფო ცირკის ასპარეზზე ამ სანახაობის ჩვენებაში მონაწილეობდნენ: თვით ცირკის მსახიობები, სახელმწიფო პედაგოგიური თეატრი, რუსეთის სფსრ განსახკომის საცდელ-საჩვენებელი სკოლების წრეები, ხამოვნიკის პიონერთა სახლის წრეები, აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სხვადასხვა ეროვნებათა და სუნ იატსენის სახელობის ჩინეთის მშრომელთა უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფები. წარმოდგენაში გამოყენებული იყო კინოქრონიკა. სპექტაკლი დადგა რეჟისორმა ნიკოლოზ ეკმა. მაყურებელი ბავშვები, როგორც ეს გათვალისწინებული ჰქონდათ სცენარის ავტორებს, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მოქმედებაში, კერძოდ, სიმღერასა და ხმაურა ორკესტრში.

„ჩვენი მიძღვნა ოქტომბერს“ საბჭოთა ცირკის ისტორიაში წარმოადგენს მთლიან სიუჟეტზე აგებულ პირველ ნაწარმოებს, რომელშიც თანამედროვე პოლიტიკური თემა გახსნილია საცირკო ხელოვნების მრავალფეროვანი საშუალებებით.

ნაზიმ ჰიქმეთი, რიტა იანუშკეიევიჩი და ნიკოლოზ ეკი აპირებდნენ ერთობლივი მუშაობის განგრძობას კინოს დარგშიც. 1928 წლის დამდეგს მათ დაწერეს საბავშვო კინოსცენარის შოკლე ლიბრეტო „რობინზონ კრუზოს სიკვდილი“. მოქმედება წარმოებს სოფლად, მოსკოვში და კავკასიის მთებში. სცენარის მთავარი გმირია მოსკოვის ერთ-ერთი ქარხნის მუშის შვილი. ეს ბიჭუნა გატაცებულია მარტოხელა გმირის სათავგადასავლო რომანტიკით, მაგრამ ამბების განვითარების ლოგიკით და მოზრდილთა დახმარებით ის შეიგნებს, რომ ადამიანს, რაგინდ უნარიანი არ უნდა იყოს იგი, კოლექტივის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.

მაგრამ საქმე მხოლოდ ამ ლიბრეტოს შექმნით დამთავრდა. იმავე წელს ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთს დაბრუნდა. ამით დამთავრდა მისი დრამატურგიული მოღვაწეობის პირველი პერიოდი.

* * *

აი რას წერს ნაზიმ ჰიქმეთი ს. უსტიუნგელის წიგნისადმი („სატუსაღოში და „თავისუფლად“ ყოფნის დროს. თურქი კომუნისტის წერილები“) წამძღვარებულ წინასიტყვაობაში:

„პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქმა ხალხმა იმპერიალისტთა წინააღმდეგ ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მორალური და მატერიალური დახმარების მეოხებით... თურქეთის დამოუკიდებლობას საგარეო პოლიტიკის ასპარეზზე მხოლოდ საბჭოთა კავშირი იცავდა. განა ცხადი არ არის ამის შემდეგ, რომ თურქი ხალხისათვის მარადიული მეგობრობა საბჭოთა ქვეყანასთან წარმოადგენს სასიცოცხლო აუცილებლობას? როგორც სუნთქვა სჭირდება ადამიანს, რომ იცოცხლოს, ისე თურქეთის თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საჭიროა მარადიული მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. თურქმა

ხალხმა იცის ეს. თურქეთის ხალხი ელოდა ამას. თურქეთის კომუნისტური პარტია არის ერთადერთი პარტია, რომელიც გამოხატავს ხალხის ამ მისწრაფებას".

პირადად ნაზიმ ჰიქმეთმა გამოსცადა კეთილმყოფელი მეგობრული დახმარება არა მარტო როგორც თურქი ხალხის ერთ-ერთმა შვილმა, არამედ როგორც სიტყვის მხატვარმაც, კერძოდ, როგორც დრამატურგმა.

ჩამოვიდა რა მოსკოვს ჭაბუკი ჰიქმეთი, როგორც რევოლუციური მოძრაობის მონაწილე დამწყები, მაგრამ უკვე თავისთავადი პოეტი და ავტორი ორი ერთმოქმედებიანი პიესისა, მან აქ ჰპოვა მეორე სამშობლო. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში მეცადინეობამ ხელი შეუწყო ნაზიმ ჰიქმეთს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის გამომუშავებაში, დაეხმარა მას გამხდარიყო მტკიცე მებრძოლი კომუნისტი. ეს მსოფლმხედველობა გახდა მთელი მისი შემოქმედების საფუძველი. მრავალფეროვანი შთაბეჭდილებანი, რაც მან საბჭოთა კავშირში მიიღო, დაეხმარნენ პოეტს მისი პოეზიისა და დრამატურგიის ფორმირებაში.

სწორედ მოსკოვში აღიჭურვა ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგია მკაფიო პოლიტიკური მიზანსწრაფვით, პუბლიცისტური სიმახვილით. ამასთან პოეტის შემოქმედებითმა ტემპერამენტმა შესძინა მის დრამატულ ნაწარმოებებს მგზნებარება, რაც საერთოდ ახასიათებს მთელ მის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობას. ისეთ პიესებში, როგორიცაა „ოცდარვა იანვარი", „ყველაფერი საქონელია", „ჩვენი მიძღვნა ოქტომბერს", დრამატურგი მიმართავდა მაყურებელს, როგორც პოლიტიკური მებრძოლი.

ნაზიმ ჰიქმეთის 1922—27 წლების დრამატურგიის მიმართულებაში აშკარად ჩანს ახლო ნათესაობა საბჭოთა თეატრის ზოგიერთ ტენდენციასთან. ასე, მაგალითად, ნაზიმ ჰიქმეთის მთელი მოღვაწეობა აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის კლუბთან არსებულ თურქულ დრამატულ წრეში მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ წლების საბჭოთა აგიტდრამატურგიასთან, საბჭოთა თვითმოქმედი თეატრის მუშაობასთან, თეატრისა, რომელიც აშუქებდა პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

ყოველ ეჭვს გარეშეა ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიის ნათესაობა მაიაკოვსკის დრამატურგიასთან. ეს გარემოება ჩანს ორივე შემოქმედის დრამატულ ნაწარმოებთა როგორც გარეგნული მომენტების მსგავსებით, ისე შინაგანი კავშირის სიღრმით. ამ კავშირის ფესვები შეპირობებულა ვლ. მაიაკოვსკისა და ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედების მებრძოლი პოლიტიკური ხასიათით. კომუნისტური იდეურობა ბიძგს იძლეოდა დიდი განზოგადოებისაკენ, ცხოვრების მრავალფეროვანების ჩვენებისაკენ, ეპოქის მამოძრავებელ ძალთა გახსნისაკენ. ამის შედეგია ის დიდი მასშტაბი, რომლითაც ხასიათდება მათი პიესები. ორივე დრამატურგი ეძებდა მახვილ და მკაფიო გამომსახველ საშუალებებს. ისინი განუწყვეტლივ აფართოებდნენ ამ საშუალებათა მოცულობას, რაც იწვევდა თეატრის შესაძლებლობათა გაფართოებასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ვლ. მაიაკოვსკი და არც ნაზიმ ჰიქმეთი არ ბორკავენ თავიანთ შემოქმედებითს ფანტაზიას დრამატურგიის ე. წ. „კანონებით". და როცა 1953 წელს, ნაზიმ ჰიქმეთის პიესების შესახებ მსჯელობის დროს, მოვისმინე ჰიქმეთისაგან ასეთი სიტყვები: „მე არ ვაღიარებ არავითარ მუდმივ კანონებს", — გამახსენდა ვლ. მაიაკოვსკის მიერ 25 წლის წინათ თქმული: „მომითხრეთ, დრამატურგიული წესებისათვის... ნაწარმოები მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა იგი წესების საწინააღმდეგოდ კეთდება".

როგორც ვლ. მაიაკოვსკი, ნაზიმ ჰიქმეთიც ნოვატორია დრამატურგიაში. ამის დამადასტურებელია მისი პიესების თვით ჩახაფიქრის გაბედული და არაჩვეულებრივი ხასიათი. ეს არაჩვეულებრივობა ემჩნევა მისი შემოქმედების შემდგომ ეტაპებსაც, მაგალითად, პიესა „იოსები, რომელმაც გაჰყიდა თავისი ძმები", აგებულია ბიბლიურ იგავზე. ნაზიმ ჰიქმეთმა ამ იგავს შეუცვალა აზრი და სრულიად მოულოდნელად მშვენიერი იოსების სახით დაგვიხატა თავისი ხალხის გამცემის ტიპი. აქ შეიძლება ვიპოვოთ ანალოგია ვლ. მაიაკოვსკის პიესასთან „მისტერია — ბუფ." ამ უკანასკნელშიც მსოფლიო წარღვნის შესახებ ბიბლიური ლეგენდაა გამოყენებული. აქაც ავტორმა თავის პიესას მისცა ანტირელიგიური მიმართულება.

მახვილი აზრი, პოეტის წყურვილი შეეცნო და აეთვისებინა ცხოვრების ფართო მდინარება, წარმოშობდა მის დრამატურგიაში თემატიკურ მრავალფეროვანებას. ეს გარემოება კი თავის მხრივ იწვევდა ჟანრულ მრავალფეროვნებას, ფორმისა და გამომსახველ საშუალებათა მრავალფეროვნებას. ამიტომ არის, რომ ნაზიმ ჰიქმეთი წერს პანტომიმურ სცენებსა და კამერულ დრამას, ფსიქოლოგიურ ესკიზს და „საესტრადო კომპლექსს", სოციალურ დრამას და სცენარს საცირკო სანახაობისათვის.

ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგიაში თანდათან ხდება ძვრა: სოციალური სიმბოლიკიდან, რაც გამოიხატებოდა „პირამიდასა" და „სავსე მთვარეში", იგი გადადის სინამდვილის უფრო რეალისტურ და კონკრეტულ განხილვაზე. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ „პირველი საესტრადო კომპლექსი" და „ჩვენი მიძღვნა ოქტომბერს". მათში ჩანს პოეტის მისწრაფება — შექმნას დიდი სოციალისტური მოვლენების სასცენო სურათები, საზოგადოებრივი ცხოვრების პანორამები. ეს მისწრაფება კიდევ უფრო ძლიერად ჩანს ისეთ ტიტანიან მხატვრულ ნაწარმოებებში, როგორიცაა „თავისქალა" და „ამბავი თურქეთის შესახებ".

მაგრამ პოეტის ყურადღების ცენტრში დგას ადამიანი, მოქმედ პირთა ფსიქოლოგია, მისი გრძნობები და სურვილები.ეხება რა ამა თუ იმ პერსონაჟის განცდებსა და ქცევას, დრამატურგი გვიჩვენებს მათ სოციალურ შეპირობებას, მათ კავშირს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენასთან. ამ მომენტს დრამატურგის შემოქმედებაში ყველაზე უფრო ძლიერ ვგრძნობთ მის პიესაში: „მივიწყებული ადამიანი" (1935), „ლეგენდა სიყვარულზე" (1948), „ამბავი თურქეთის შესახებ" (1951) და „დღესასწაულის პირველი დღე" (1953).

ნაზიმ ჰიქმეთის დრამატურგია ძლიერია თავისი ხალხურობით, მჭიდრო კავშირით თურქეთის უბრალო ადამიანთა ცხოვრებასთან და მისწრაფებებთან. მაგალითად, ისეთი ჟანრის პიესაშიც კი, როგორიცაა „ლეგენდა სიყვარულზე", ნაზიმ ჰიქმეთმა წინა პლანზე წამოსწია თემა — ადამიანი და ხალხი.

ნაზიმ ჰიქმეთის პიესების ენა ლაკონური და მრავლის მეტყველია. იგი თავისი ნაწარმოების ფრაზას აგებს იმნაირად, რომ მასში ათავსებს დიდ შინაარსს, ეს ფრაზა იწვევს მკითხველსა და მაყურებელში ფართო ასოციაციებს. ასე, მაგალითად, მოგვითხრობს რა „ლეგენდაში სიყვარულზე" ფერჰადისა და შირინის თავგადასავალს, დრამატურგი არა მარტო სიყვარულზე გვესაუბრება, არამედ ასახავს შრომასაც, ხელოვნების საკითხებსაც, ბუნებასაც.

ჯერ ისევ შემოქმედიბითს ზრდასა და წინსვლას განიცდის ნაზიმ ჰიქმეთი როგორც პოეტი და როგორც დრამატურგი. ჩვენი მკითხველი და მაყურებელი მისგან მოელის კიდევ ახალ, ფართო, მხატვრულად სრულყოფილ ტილოებს.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მასალები აკაკი წერეთლის შესახებ

★

„საისტორიო მოამბის“ მე-7 ნომერში მოთავსებულია მდიდარი მასალა. ს. მაღლაკელიძე მოგვითხრობს ინგლის-ამერიკელ ინტერვენტთა ბატონობაზე საქართველოში 1918-1920 წლებში. ამ საკითხზე ავტორის მცირე, მაგრამ საფუძვლიან გამოკვლევას დართული აქვს 142 დოკუმენტი, რომლებშიც რელიეფურად ნაჩვენებია იმპერიალისტების მტაცებლური ბუნება. საქართველოს ტერიტორიაზე ფეხის დადგმისთანავე მათ აშკარად განუცხადეს მენშევიკური მთავრობის ბათუმის წარმომადგენელს თავიანთი იმპერიალისტური ზრახვები. ინგლისის მისიის მეთაურის უბსტერის განაცხადი ასე აქვს მას ჩაწერილი: „უბსტერი თანდათანობით მიხსნიდა ჩემ ინგლისელთა ამოცანებს და პროგრამას. იგი ამბობდა: მიუხედავად ინგლის-ამერიკის და საფრანგეთის სამოკავშირო და მეგობრული დამოკიდებულებისა, ჩვენ და ყველა მათგანს აქვს თავის საკუთარი ინტერესები, ინგლისი კი განუერელად განახორციელებს თავის ინტერესებს“. ამის შემდეგ უბსტერი აცხადებს, რომ „სამხრეთ აზიაში ინგლისს აქვს თავისი მიზანი, რიათვისაც იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფომ იქონიოს გავლენა კავკასიაზე... ინგლისელების ანგარიშში არც ის შედის, — აცხადებდა უბსტერი, — რომ რუსეთმა რაიმე როლი შეასრულოს კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში“. იმპერიალისტების სამსახურში მყოფი ქართველი მენშევიკები უბსტერის ამ განცხადებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ და თავიანთი მოღვაწეობით უქმნიდნენ შესაფერ პირობებს მათი მიზნების განსახორციელებლად.

წიგნში გამოქვეყნებული მდიდარი დოკუმენტები ნიღაბს ხდის არა მარტო ინგლის-ამერიკელ ინტერვენტებს, არამედ ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკებსაც. ეს მეტად საინტერესო დოკუმენტები ეხება ინგლისის ჯარების მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა და ქალაქების ოკუპაციას, ინგლისელი ოკუპანტებისათვის საქართველოს სამი გამანადგურებლის გადაცემას, შორაპნის მაზრაში ინგლისელ ოკუპანტთა მხეცობას, ზესტაფონის სადგურში ძალადობას, ფოთში მუშათა პროფკავშირის დარბევას, დარიალის ხეობაში საოკუპაციო ჯარებას ჩაყენებას და ყოველად თავგასული თარეშის სხვა მრავალ შემთხვევას.

პროფესორ შ. ჩხეტიას ისტორიულ ნარკვევს — „გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს“ დართული აქვს ისტორიული შინაარსის 36 დოკუმენტი. ასევე ი. ანთელავას და გ. ძიძარიას პუბლიკაციას თან ახლავს სათანადო მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ახალი მასალები აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მასალების ერთი ნაწილი შეიცავს ბიოგრაფიულ ცნობებს. შემდეგ მოთავსებულია პოეტის საჟურნალო-სალიტერატურო მოღვაწეობის, ცენზორთან მისი დამოკიდებულების დოკუმენტები. გამოქვეყნებულია ცენზორის მიერ თავის დროზე აკრძალული აკაკის მთელი რიგი ლექსები, პუბლიცისტური წერილები, ნაკვესები, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მის მიერ წაკითხული ლექციის აკრძალული ადგილები და სხვ. აქვე მოთავსებულია აკაკის მოგონების ავტოგრაფი — „ჭიათურის შავი ქვის თავგადასავალი“. ავტოგრაფს საარქივო მასალებით 1912 წლის თარიღი უზის, თუმცა, როგორც ცნობილია, დაწერილია 1893 წელს და ამავე წელს ზოგიერთი ცვლილებით დაბეჭდილი გაზეთ „ივერიაში“. ბოლოს წარმოდგენილია აკაკი წერეთლის, 50 წლის მოღვაწეობის, გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ პოლიციისა და ჟანდარმერიის საბუთები.

დოკუმენტების პუბლიკაცია იწყება 1874 წლიდან და გრძელდება პოეტის გარდაცვალებადასაფლავებამდე. ამ წლიდან, როგორც საბუთებიდან ჩანს, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს აკაკი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა აყვანილი. პოეტის უბრალო ხუმრობასაც კი სერიოზულ ხასიათს აძლევდნენ და კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ.

ერთ-ერთი ხუმრობის შესახებ გამოქვეყნებულია კარლ მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული წერილი „ტყიბულის საქმე“ ნ. ნიკოლაძისა. ჟანდარმერიის სამმართველო ყურადღებას აქცევს აკაკის ცნობილ ლექსს „გაზაფხულს“, რომელიც თავის დროზე ცენზორს გაეპარა და რომელიც დაწერილია რუსეთის მეფის ალექსანდრე მეორის მკვლელობის გამო. დიდი ინტერესით იკითხება მასალები „ვეფხისტყაოსანზე“ აკაკის ლექციის აკრძალული ადგილების შესახებ“. გამოქვეყნებულია

აკაკი წერეთლის მიერ საჯაროდ წაკითხული ლექსების — „ეხლანდელი ქალი", „ხვაგვარი სიყვარული" და „მამაო ჩვენოს" — ავტოგრაფები და მათი რუსული თარგმანები.

ყანდარმერია და მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის სხვა ორგანოები თვალყურს ადევნებდნენ და აღრიცხავდნენ აკაკის ყოველ მოქმედებას. გამოქვეყნებულია არქივში დაცული მეტად საინტერესო წერილი აკაკისა მოსე ჯანაშვილისადმი, გ. წერეთლისა და ანასტასია წერეთლის წერილები აკაკისადმი, აკაკის სამი აკრძალული ნაკვეთი, მისივე განცხადება „კრებულის" გამოცემის შესახებ.

პუბლიკაციის ავტორს მართებდა ზოგიერთი ინიციალის გახსნა, განსაკუთრებით პირველ და 27-ე დოკუმენტში. ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ პუბლიკაცია გადატვირთულია ზედმეტი და უმნიშვნელო ამბით. კრილოვის იგავ-არაკების სათაურები ახალი აბზაცით ცალკე სტრიქონებშია მოცემული, უმჯობესი კი იყო ერთმანეთის მიყოლებით დაბეჭდილიყო. საჭირო იყო, აგრეთვე, პუბლიკაციას დართოდა ცნობები საბუთებში ნახსენები ზოგიერთი პირისა და საგნის შესახებ.

გ. მეგუკე.

შალვა დადიანის წერილები

★

შალვა დადიანზე წერის დროს ძნელია მისი მოღვაწეობის განსაზღვრელი ერთი სიტყვის მოძებნა. ქართული კულტურის ვერც ერთი დარგის მკვლევარი ვერ ასცდება მის სახელს. შ. დადიანი ავტორია პირველი ქართული საბჭოთა ფილმის სცენარისა („არსენა ჯორჯიაშვილი"), მანვე თავის პიესაში პირველად დაგვიხატა დიდი ბელადების ვ. ლენინისა და ი. სტალინის სახეები („ნაპერწკლიდან"). შალვა დადიანი სამოც წელზე მეტია ერთგულად დგას მშობლიური ლიტერატურისა და ხელოვნების საკრაჯოზე და დღესაც ჭაბუკური ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს. რამდენი საინტერესო მოვლენის მოწმე იყო იგი, რამდენი გამოჩენილი ადამიანი უნახავს თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. სწორედ ამიტომაა შ. დადიანის მოგონებები და მემუარული წერილები საგულისხმო და ძვირფასი დღევანდელი მკითხველისა და მკვლევარისათვის. გარდა მრავალი პროზაული ნაწარმოებისა და პიესებისა, შ. დადიანს კალამს ეკუთვნის დიდი რაოდენობა პუბლიცისტური წერილებისა, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში.

შალვა დადიანის „წერილების" მეორე წიგნი შედგება ოთხი დამოუკიდებელი განყოფილებისაგან: „კულტურის მოღვაწენი", „სიტყვები და დახასიათებანი", „მოხსენებები" და „სათეატრო". ეს მასალები ქრონოლოგიურად შეიცავს საკმაოდ მოზრდილ პერიოდს, სახელდობრ 1910 წლიდან 1953 წლამდე.

სარეცენზიო წიგნში განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი განყოფილება „კულტურის მოღვაწენი". აქ წარმოდგენილია წერილები და მოხსენებები გრიბოედოვის, ოსტროვსკის, აბოვიანის, ელეონორა დუზეს, ნიკო შიუკაშვილის, სანდრო შანშიაშვილის, ნიკო დადიანის, შაქრო გომელაურის და დავით გურამიშვილის შესახებ. ამ წერილებსა და მოხსენებებში ფართოდ და საქმის ღრმა ცოდნითაა გაშუქებული თითოეული მოღვაწის ცხოვრება და შემოქმედება. შედარებით ვრცლადაა განხილული დიდი რუსი დრამატურგების ალ. გრიბოედოვისა და ალ. ოსტროვსკის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა. გულთბილი სტრიქონებია მიძღვნილი სომხეთის გამოჩენილ მწერალ-განმანათლებელ ხ. აბოვიანისა და სახელგანთქმულ იტალიელ მსახიობ ქალ ელეონორა დუზესადმი. საინტერესოა წერილი ნიკო შიუკაშვილზე, რომელშიც ავტორი საფუძვლიანად გვაცნობს დრამატურგის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ ეტაპებს. შ. დადიანი სამართლიანად ასკვნის, რომ ნ. შიუკაშვილმა თავის დროზე დიდი ამაგი დასდო ორიგინალური რეპერტუარით ღარიბ ქართულ თეატრს. „სილუეტი ნიკო დადიანისა" საკმაოდ ცნობილი ნაწარმოებია, რომელშიაც ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის და ლიტერატორის საქმიანობას.

მეორე განყოფილებაში — „სიტყვები და დახასიათებანი" თავმოყრილია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული პატარა წერილები და სიტყვები. ვის არ შეხვდებით ამ ფურცლებზე: უზბეკეთის დიდი პოეტი და მოაზროვნე ალიშერ ნავოი, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი, რუსული კრიტიკის დიდება ბესარიონ ბელინსკი, საბჭოთა კულტურის გამოჩენილი მოამაგე ანატოლ ლუნაჩარსკი, მამაცი სტალინური შევარდენი ვალერი ჩკალოვი, დიდი ქართველი კომპოზიტორი იაქარია ფალიაშვილი, ქართული ეკრანის მშვენება ნატო ვაჩნაძე, ქართული თეატრის მოღვაწეები დესპინე ივანიძე და ეველინა წუწუნავა, მშობლიური ლიტერატურის მოამაგე ია ეკალაძე. შ. დადიანის მიერ ყოველი მათგანის საქმიანობა ზუსტად, სულ რამდენიმე სიტყვით, მკაფიოდაა დახასიათებული.

„მოხსენებების" განყოფილებაში შედის წერილები: „1950 წ. ქართული პროზის შესახებ" და „მარტის 8". პირველში მოკლედაა გადმოცემული აღნიშნული წლის პროზაული ნაწარმოებების ჩამორჩენილობა, მისი მიზეზები და ამ ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად დასახული ამო-

---

* შალვა დადიანი. წერილები. II. „ხელოვნება", 1954.

ცანები. მეორე მოხსენებაში ავტორი ასევე მოკლედ აშუქებს ქალის სახეს ქართულ ლიტერატურაში.

უკანასკნელ განყოფილებაში — „სათეატრო" შესულია 1910 — 1917 წლებში დაწერილი სტატიები: „ჩემი შენიშვნები", „თეატრი და ცხოვრება", „თამაში", „ამპლუა", „მაყურებელი" და „შებოჭილი არტისტი". ამ წერილებში გადმოცემულია იმდროინდელი ქართული თეატრის საჭირბოროტო ამბები. თეატრალური ხელოვნების თეორიული საკითხები და სხვა. ბევრ მათგანს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალური მნიშვნელობა, ასეთია, მაგ. „თამაში", „ამპლუა", „მაყურებელი".

ორი უკანასკნელი წერილიდან ერთია „ოპერა „დიადი მეგობრობის" შესახებ" და მეორე „ხარობს გული", რომელიც თავისებური ეპილოგია მთელი კრებულისა.

შალვა დადიანის „წერილები" ყურადღებას იქცევს თავისი მრავალფეროვნებით, მასალის ფართო დიაპაზონით, სადა და სხარტი ქართული ენით. მისი ყოველი წერილი თუ მოხსენება თავისებურია, იგრძნობა მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის ხელი.

შ. დადიანის წიგნს სიამოვნებით წაიკითხავს ქართული კულტურით დაინტერესებული მკითხველი.

ალ. სანადირაძე.

წიგნი სოციალისტური რეალიზმის შესახებ [1])

★

საბჭოთა ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის, სოციალისტური რეალიზმის საკითხების, მხატვრული ოსტატობისა და ტიპიურობის პრობლემების შესწავლის საქმე საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის გადაუდებელი, პირველი რიგის ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა დიდსა და სერიოზულ შრომას, პასუხისმგებლობას მოითხოვს. მკითხველს უნდა მივაწოდოთ ყოველმხრივ გამართული და სრულფასოვანი შრომები საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის აქტუალურ პრობლემებზე სამწუხაროდ, ასეთი შრომები ჩვენს სინამდვილეში, ჯერ კიდევ ნაკლებად მოგვეპოვება. ამდენად ყოველი ახალი წიგნი, რომელიც ეხება სოციალისტური რეალიზმის თეორიისა და საბჭოთა ლიტერატურის არსებით საკითხებს, ყურადღების ღირსია, შეუძლებელია მას გვერდი ავუაროთ. ამჟამად ჩვენი მიზანია განვიხილოთ გ. მერკვილაძის წიგნი „სოციალისტური რეალიზმის შესახებ", რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა. შესაძლებელია ეს წიგნი ყოველმხრივ გაძართული არ იყოს, მასში ბევრი რამ მხოლოდ დებულებების სახით არის მოცემული და საკამათოცაა, მაგრამ ერთი კი უდავოა: იგი მკითხველს დაეხმარება სოციალისტური რეალიზმის თეორიისა და 30-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის განვითარების ზოგიერთი საკითხის გაცნობაში. ამ წიგნში გაბედულად არის წამოჭრილი ქართული საბჭოთა მწერლობის მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები და, რაც მთავარია, ეს საკითხები ძირითადად გადაჭრილია სწორად.

წიგნის პირველ ნაწილში მკვლევარი საფუძვლიანად არკვევს სოციალისტური რეალიზმის წარმოშობისა და მისი ჩვენს ლიტერატურაში დამკვიდრების საკითხს. ავტორის აზრით სოციალისტური რეალიზმი ჩაისახა და მკაფიოდ გამოვლინდა ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე მ. გორკის შემოქმედებაში ამ მოსაზრებას იგი კონკრეტული მაგალითებით ასაბუთებს. გ. მერკვილაძეს მ. გორკის ადრინდელი ნაწარმოებების, იდეურ-მხატვრული ანალიზი უფლებას აძლევს განაცხადოს: თქმა, იმისა, თითქოს სოციალისტური რეალიზმი წარმოიშვა მხოლოდ და მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, სიმართლეს მოკლებულია და სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა მუშათა კლასის დიდი მხატვრის როლის, მისი რევოლუციური შემოქმედების მნიშვნელობის შეძცირებას, შეუფასებლობას. ავტორის ეს განცხადება უდავოდ სწორია. საკმარისია დავასახელოთ მ. გორკის „დედა", რომ დავინახოთ: რამდენად ყალბი წარმოდგენა ჰქონდა ზოგიერთ მკვლევარს სოციალისტური რეალიზმისა და მისი საწყისების შესახებ და რამდენად სწორია სარეცენზიო წიგნის ავტორის მოსაზრება სოციალისტური რეალიზმის წარმოშობის საკითხში. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ერთია სოციალისტური რეალიზმის მეთოდის წარმოშობის, მისი ჩასახვის საკითხი, ხოლო მეორეა მისი გაბატონებულ მეთოდად აღიარება ჩვენს ლიტერატურაში, რაც მართლაც მას შემდეგ მოხდა, როცა სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში (იხ. გვ. 61). ამრიგად, ავტორი კარგად მოიქცა, როცა ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება და მკითხველს ნათელი და სწორი წარმოდგენა მისცა სოციალისტური რეალიზმის გენეზისის საკითხზე. ავტორი დაკვირვებითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აშუქებს მ. გორკის როლს საბჭოთა ლიტერატურაში, სავსებით სამართლიანად უკავშირებს მის სახელს ჩვენი ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვან პროცესებს. მართლაც, ჩვენს ლიტერატურაზე დიდია მ. გორკის გავლენა. საკმარისია დავასახელოთ ი. ევდოშვილის, შ. დადიანის, გ. ქუჩიშვილის, ლ. ქიაჩელის ადრინდელი ნაწარმოებები, რომ ნათელი გახდეს რამდენად ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მ. გორკიმ ქართულ ლიტერატურაზე, რამდენად შეუწყო მან ხელი ჩვენი ლიტერატურის რევოლუციური გზით განვითარების საქმეს. წიგნის მეორე თავი სწორედ ამ საკითხს ეხება. ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სოციალისტური რეალიზმი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში იმავე გზებით ვითარდებოდა, როგორითაც რუსულ და სხვა საბჭოთა ლიტერატურაში, სავსებით სწორია. „ამ მომძე ლიტერატურათა განვითარების გზების ერთობა, — წერს

---

[1] გ. მერკვილაძე — „სოციალისტური რეალიზმის შესახებ", „საბჭოთა მწერალი", 1954.

გ. მერკვილაძე,—სოციალიზმის მშენებლობის საერთო ამოცანებმა განსაზღვრეს“ (გვ. 80). ამავე დროს, ამ ერთობას თავისი ისტორიული ფესვები აქვს. მართლაც, „ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ქართულმა ლიტერატურამ განიცადა რუსული რეალისტური კლასიკური ლიტერატურის კეთილ ნაყოფიერი გავლენა“ (იხ. გვ. 80). თუ რაოდენ დიდი და არსებითი იყო პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტოლსტოის, გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, ჩეხოვის გავლენა ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ეგნატე ნინოშვილზე, დავით კლდიაშვილზე და სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებზე, ეს კარგად ჩანს სარეცენზიო წიგნში. მაგრამ ეს გავლენა ავტორს მიბაძვად როდი მიაჩნია. მიბაძვით არ შექმნილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ქართულ ლიტერატურას განვითარების საკუთარი გზა ჰქონდა. „როცა გავლენაზე ვლაპარაკობთ, — წერს გ. მერკვილაძე, — მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ლიტერატურის განვითარების მთელ პროცესში ძირითადი არის არა გავლენა, არამედ ის ორიგინალური საფუძვლები, რომელთაც ეს განვითარება ეყრდნობა. პროგრესული იდეების გავლენა მექანიკურად როდი გადაეცემა ამა თუ იმ ლიტერატურას. ლიტერატურის თვითმყოფადობა აუცილებელი პირობაა კეთილისმყოფელი გავლენის მიღებისა და შესისხლხორცებისათვის“. ამ საკითხებით სწორი დებულების კონკრეტული დასაბუთება მოცემულია სარეცენზიო წიგნის მეორე თავში. წიგნის პირველ და მეორე თავში, აღნიშნული საკითხების გარდა, სხვა მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხებია აღძრული. დღემდე ღრმად და საფუძვლიანად არ არის შესწავლილი ლიტერატურული მემკვიდრეობის პრობლემა, კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთობის საკითხი და სხვ. ავტორი სწორედ ამ საკითხებს ეხება და საყურადღებო აზრსაც გამოთქვამს. დებულებების სახით ჩამოყალიბებული მისი შეხედულებები კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთობის საკითხის ირგვლივ სწორია. ავტორი წერს: „... უნდა ვაჩვენოთ არა მარტო და არა იმდენად ის, რაც ერთმანეთისაგან განასხვავებს კრიტიკულ რეალიზმს და სოციალისტურ რეალიზმს, არამედ უმთავრესად სწორედ ის, რაც საერთოა მათთვის“ ამის შემდეგ უნდა გვეთქვა, რომ ავტორი კონკრეტულად ილაპარაკებდა იმ საერთო ნიშნებზე, რაც კრიტიკულ და სოციალისტურ რეალიზმს აკავშირებს. მაგრამ რატომღაც მკვლევარი საკითხის კონკრეტულად გაშუქებას მოერიდა. იმის გამო, რომ გ. მერკვილაძე მოერიდა ასეთ კონკრეტულობას, მის მიერ დ. ბენაშვილისადმი გამოთქმული საყვედური — ამხ. დ. ბენაშვილი მეტად გაუტაცია საერთო, ხელოვნებით მსჯელობას და დასკვნების გამოტანისას, იგი არ ეყრდნობა კონკრეტულ მაგალითებს... (გვ. 51)—დამაჯერებლობას კარგავს. თუ დ. ბენაშვილი თავის წერილში „კრიტიკული და სოციალისტური რეალიზმის ურთიერთობის საკითხისათვის“, გ. მერკვილაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, მოსწყვიტოს ერთმანეთს კრიტიკული რეალიზმი და სოციალისტური რეალიზმი, ნათელყოს თუ რა განასხვავებს. სთიშავს ამ ორ მეთოდს ერთმანეთისაგან, სამაგიეროდ, გ. მერკვილაძე ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, აღმოაჩინოს უმთავრესად ის, რაც საერთოა მათთვის. ეს, რასაკვირველია, საჭირო და სასარგებლო საქმეა, მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში საჭიროა კონკრეტულობა. ამ კონკრეტულობას კი სარეცენზიო წიგნში ვერ ეხედავთ, რის გამოც მკითხველისათვის ამ შრომის ძიებედვით გაურკვეველი რჩება, თუ რა განსხვავება და რა საერთო არის ამ ორ შემოქმედებითს მეთოდს შორის. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორს, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც მოჰყავს ზოგიერთი იმ ნიშანთვისება, რაც საერთოა ამ ორ მეთოდს შორის. სათანადოდ განზოგადებული არაა აგრეთვე ამ ორ მეთოდს შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნებიც. ერთი კი უდავოა, რომ წიგნში ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც კლასიკური ლიტერატურის მდიდარი მემკვიდრეობის ნამდვილი და კანონიერი მემკვიდრეა, ამ მემკვიდრეობას კრიტიკულად უდგება და ითვისებს.

წიგნში ყველაზე დიდი ნაწილი დათმობილი აქვს თავს — „სოციალისტური რეალიზმის განვითარება 30-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“. ავტორი ამ თავის შესავალ ნაწილში საერთო წარმოდგენას იძლევა საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის პერიოდში არსებული ლიტერატურის ხასიათსა და მის ბუნებაზე, რაც არსებითად გამოიხატებოდა ნაციონალიზმსა და უკიდურეს ინდივიდუალიზმში. მენშევიკების ბატონობის წლებში დაკნინებული და თითქმის არარაობამდე დასული ქართული ლიტერატურა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღიდანვე იწყებს განვითარებას. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით ქართული ლიტერატურა აგრძელებს და აღორძინებს კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს და იწყებს სწრაფ ზრდას, მაგრამ ეს სწრაფი ზრდა უმტკივნეულოდ როდი მიმდინარეობდა. როგორც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, ეს ზრდა-განვითარება მიმდინარეობდა ბურჟუაზიულ ლიტერატურულ გადმონამთებთან ბრძოლის პროცესში. აქვე ავტორი ახასიათებს ყველა იმ ლიტერატურულ ჯგუფებს, რომელთანაც უხდებოდა ბრძოლა ახალ ლიტერატურას. პროლეტარული მწერლობა აგრძელებდა და აღორძინებდა კლასიკური ლიტერატურის რევოლუციურ ტრადიციებს და გამოხატავდა პარტიის პოლიტიკას ლიტერატურაში. მკვლევარი განსაკუთრებული დაკვირვებით ლაპარაკობს პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებებზე, რომელთაც უზრუნველყვეს პროლეტარიატის სრული ჰეგემონიის მოპოვება მხატვრულ ლიტერატურაში. პარტიის ბრძნულმა პოლიტიკამ და სოციალისტურმა სინამდვილემ, ფართო შემოქმედებითმა მუშაობამ ბოლო მოუღო ჯგუფობრიობას და ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მწერლები აქტიურად ჩაებნენ ახალი ქვეყნის მშენებლობაში. ამ საქმეში განსაკუთრებულად დიდი როლი ითამაშა 1932 წლის აპრილში გამოქვეყნებულმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებამ სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ. ამ დადგენილებამ ფართო ბაზა შექმნა საბჭოთა მწერლების წარმატებით კოლექტიური მუშაობისათვის ჩვენი ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისათვის. ყველა ამ საკითხებს ავტორი თანმიმდევრულად ეხება და მკითხველს ზოგად წარმოდგენას აძლევს ლიტერატუ-

რული პროცესის თვალსაჩინო მოვლენაზე. ამ ზოგადი მიმოხილვის დასასრულს ავტორი ამბობს:

„... 30-იანი წლების ლიტერატურული პროცესის მოცემული ანალიზი ცალმხრივი იქნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ამ პროცესში ძირითადი მოვლენა იყო არა ბრძოლა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რომლებიც მცდარ პოზიციაზე იდგნენ, არამედ სოციალისტური რეალიზმის განვითარება ქართული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის საუკეთესო წარმომადგენელთა ნაწარმოებებში". ამ სავსებით სწორ დებულებას თან მოსდევს გამოჩენილი ქართველი მწერლების ცალკეული ნაწარმოებების იდეურ-მხატვრული ანალიზი. მაგრამ სანამ აღვნიშნავდეთ, თუ რამდენად სწორად არის ჩატარებული ეს ანალიზი, საჭიროა შეეხოთ ერთ საკითხს.

ხშირად ჩვენ 30-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურის შესწავლას ვიწყებთ ისეთი მწერლებით, რომლებმაც შემდეგ წლებში თვალსაჩინო როლი ითამაშეს ჩვენს ლიტერატურაში. ლიტერატურის ისტორია არ მოითხოვს არც შელამაზებას და არც დამახინჯებას. საჭიროა კვლევის დროს მეტი სიზუსტე. ისტორიის ასეთ შელამაზებასთან გაქვს საქმე, როცა გალაქტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებას ვეხებით. უდავოა, რომ გ. ტაბიძე 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, განსაკუთრებით 1910 წლიდან 1917 წლამდე, ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დიდად განიცდიდა სიმბოლისტური მსოფლმხედველობის გავლენას. რატომღაც უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი კრიტიკოსი ცდილობს მიჩქმალოს ეს სინამდვილე და თითქოს გ. ტაბიძის პიროვნების ამაღლების მიზნით, ან სრულიად, ან კიდევ ნაწილობრივ უარყოფს მის რევოლუციამდელ ლექსებში სიმბოლისტურ ტენდენციის არსებობას. რასაკვირველია გ. ტაბიძის შემოქმედებას სრულიად არ ესაჭიროება ასეთი შელამაზება და რაც მთავარია, ეს მაინცდამაინც არც პოეტისადმი სიყვარულს გამოხატავს, რაზედაც ესოდენ თავს დებენ ეს კრიტიკოსები. მაგალითად, ვის მოუვა აზრად თქვას ა. ტოლსტოი იმის გამო, რომ ერთდროს სიმბოლიზმის გავლენას განიცდიდა, დიდი საბჭოთა მწერალი არ არის. რასაკვირველია, არავის! საქმე იმაში კი არ არის, თუ ერთდროს ვინ რომელი სკოლის გავლენას განიცდიდა, არამედ იმაში მდგომარეობს, თუ იგი შემდეგ როგორ ამაღლდა ჩვენს სინამდვილეში. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და საბჭოთა სინამდვილემ გ. ტაბიძეზე უდიდესი გავლენა მოახდინა, და დღეს თუ იგი ჩვენი ეპოქის თვალსაჩინო პოეტია, ეს აიხსნება არა იმით, რომ მის რევოლუციამდელ პოეზიაში წამყვანი მოტივები რევოლუციური იყო, როგორც ამას გ. მერკვილაძე ფიქრობს, არამედ სოციალისტური სინამდვილით, მისი კეთილმყოფელი გავლენით. მაგრამ გ. მერკვილაძემ მთლიანად მაინც ვერ შეძლო გ. ტაბიძის პოეზიაში სიმბოლისტური ტენდენციების უარყოფა. იგი წერს: „დიახ, ასეთი პესიმისტური განმარტოების მოტივები იყო ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში" (გვ. 157) და იქვე, თითქოს ბოდიშის მოხდის მიზნით, ამბობს: „ეს გამოწვეული იყო საშინელი ჩაგვრით, რასაც მაშინ განიცდიდა მისი საყვარელი სამშობლო, განიცდიდა ხალხი". გ. ტაბიძის შემოქმედებაში სიმბოლისტური ტენდენციების, პესიმისტური განმარტოების მოტივების გამომწვევ მიზეზად სამშობლოს ჩაგვრის დასახელება ვერაფერი საბუთია. განა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის დროს ჩვენი სამშობლო ნაკლებ ჩაგვრას განიცდიდა? ჩაგრამ ვის შეუძლია თქვას, რომ ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ლექსები მებრძოლი და ოპტიმისტური არ იყო. ჩვენის აზრით, ავტორის არც შემდეგი მოსაზრებაა სწორი: „ზემოთ აღნიშნულ სქემების ავტორებს (ლაპარაკია იმ სქემაზე, რომლის მიხედვით გ. ტაბიძე ბრძოლის პოეტად გვევლინება დაწყებული 1905 წლის რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის წლებში, ხოლო მეორე, დაახლოებით 1910 — 1917 წლებში, როცა მის პოეზიაში ბატონობდა სიმბოლიზმი, სევდა, მისტიციზმი, უპერსპექტივობა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გ. მერკვილაძე ხელაღებით როდი უარყოფს ამ სქემას (გვ. 146 — 147), აქ ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. ვ. ჯ.). შესაძლებელია ეს უცნაურად ეჩვენოთ (ე. ი. მისი წამყვანი ტენდენციის სიჯანსაღე. ვ. ჯ.). ვინაიდან პოეტის შემოქმედების შეფასებას ისინი უდგებიან წმინდა არითმეტიკული პოზიციით. იმ ფაქტიდან, რომ რევოლუციამდე პოეტმა გაცილებით მეტი ლექსი შექმნა სიმბოლისტურ და სხვა ამგვარ თემაზე, ვიდრე რევოლუციურ თემებზე, მათ გამოაქვთ დასკვნა, რომ იმ პერიოდის მის შემოქმედებაში წამყვანია სიმბოლისტური ტენდენცია" (გვ. 159). როგორც ხედავთ ავტორი ასეთისე მაინც ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ გ. ტაბიძემ რევოლუციამდე გაცილებით მეტი ლექსი შექმნა სიმბოლისტური, მაგრამ გ. მერკვილაძე იქვე წერს, რომ აქ საქმე არაა რაოდენობაში, არამედ თვისობრივ მეტობაში (გვ. 160). მაგრამ თვისობრივადაც „ლურჯა ცხენები", „მე და ღამე", „გოტიეს", „ჩემი ქნარი", „როცა ხალხში ვარ, მეკარგება რწმენა, ხალისი. როცა მარტო ვარ, მაქვს სამგოსნო წმინდა ტაძარი" არ ჩამოუვარდება არც ერთ მის სხვა ლექსს. გ. ტაბიძე რევოლუციამდე გატაცებული იყო სიმბოლიზმის პრინციპებით, რაც აიხსნება მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით და, თუკი ის განთავისუფლდა ამ პრინციპებისაგან, ეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წყალობით მოხდა. ამაში ჩვენ პირველ რიგში საბჭოთა ცხოვრებას და სინამდვილეს უნდა ვუმადლოდეთ, ამრიგად, სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია გ. ტაბიძის რევოლუციამდელი პოეზიის შელამაზება რა სახითაც არ უნდა იყოს იგი. არც ის არის სწორი, როცა ჩვენ სანდრო შანშიაშვილის საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების პერიოდში დაწერილ ლექსებს რეალისტურს ვუწოდებთ და განსაკუთრებულ იდეურ სიმახვილეს ვანიჭებთ. „სასოწარკვეთილობის, პესიმიზმის, მამულისადმი რწმენის უქონლობის მოტივებს, გახრწნისა და დაცემულობის მოტივებს უპირისპირდებოდა რეალიზმი მთელი რიგი მწერლების შემოქმედებაში, რომელიც ასახავდა მასების რევოლუციურ განწყობილებას, უგალობდა დიდი ოქტომბრის რევოლუციურ განწყობილებას, უგალობდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში. გ. ტაბიძე, გ ქუჩიშვილი, ს. შანშიაშვილი და სხვა, მიუხედავად ერთგვარი არათანმიმდევრობისა, ქმნიდნენ ლექსებს, რომელნიც ბრძოლისა და წინსვლისაკენ მოუწოდებდნენ. ბრძოლა და მომავლის გამარჯვება წარმოადგენდა მათთვის სილამაზის იდეალს, ქმედითსა და რეალურ იდეას" (გვ. 112 — 113). მენშევიკურ ხელისუფლე-

ბის ბატონობის პერიოდში შექმნილი ს. შანშიაშვილის ნაწარმოებები ასეთი განცხადების საფუძველს არც „არითმეტიკულად“ და არც „თვისობრივად“ არ იძლევა. პირიქით, ს. შანშიაშვილის მაშინდელ ნაწარმოებებში სრულიად საწინააღმდეგო განწყობილება იყო მოცემული.

ამავე თავში ავტორი ეხება ნოვატორობისა და ტრადიციების საკითხს. ეს უაღრესად აქტუალური და საყურადღებო საკითხებია. ზოგჯერ ნოვატორობის არასწორ გაგებასთან გვაქვს საქმე. ზოგიერთი საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორობას ეძებს მხოლოდ და მხოლოდ ახალ მხატვრულ ფორმაში, ზოგიერთს კი საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორობა რეალიზმისა და რომანტიზმის „სინთეზში“ წარმოუდგენია, რაც აშკარა სქოლასტიკური მსჯელობის ნაყოფია და სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. საბჭოთა ლიტერატურამ ახალი, სოციალისტური ტიპის გმირი შექმნა. საბჭოთა ლიტერატურა ახალ ფორმასთან ერთად ახალი იდეური შინაარსისაა, სწორედ ამაშია ძირითადად და უპირატესად საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორობა და არა იმდენად ახალ ფორმაში. ამ საკითხებს ავტორი კონკრეტული მაგალითებით აშუქებს. რის შემდეგაც ფართოდ იხილავს ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, გ. ლეონიძის და სხვების ნაწარმოებებს. ეს ანალიზი საყურადღებოა იმით, რომ ლიტერატურის თეორიული პრობლემები ტიპიურობის, ოსტატობის, დადებითი გმირის, კონფლიქტის საკითხები გაშუქებულია კონკრეტული მასალის საფუძველზე. აქ სოციალისტური რეალიზმის თეორიული საკითხები მოწყვეტილი რომია ლიტერატურულ პროცესების თვალსაჩინო მოვლენებს, ფაქტებს მაგრამ არ შეიძლება აქვე ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას, როცა ავტორი 30-იან წლებში შექმნილ ნაწარმოებებს იხილავს, ერთგვარად თავს იზღუდავს. იგი კმაყოფილდება მხოლოდ და მხოლოდ ლეო ქიაჩელის, გ. ლეონიძისა, კ. ლორთქიფანიძის და ნაწილობრივ პანტელეიმონ ჩხიკვაძის ნაწარმოებთა ანალიზით. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს 30-იან წლებში ლიტერატურაში წამყვან ძალებს მხოლოდ ზემოთ დასახელებული მწერლები წარმოადგენდნენ. ფაქტია, რომ ლ. ქიაჩელის და გ. ლეონიძის შემოქმედება 30-იან წლებში ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო განთავისუფლებული ძველი ლიტერატურული სკოლების გავლენებისაგან. ვფიქრობ, ავტორი 30-იანი წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საკითხის დაყენებაში არსებითად ცდება. ჩვენის აზრით ამ პერიოდის ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის შესწავლა უნდა იწყებოდეს იმთავითვე სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე მდგარი მწერლების ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზით, პირველ რიგში მათი შემოქმედება უნდა იყოს განხილული, პირველ-პირველი წამყვანი, რადგან ამ მწერლების ნაწარმოებებმა არა მარტო დიდი როლი ითამაშეს ჩვენს ცხოვრებაში, მწერალთა ახალგაზრდა კადრების იდეურ-მხატვრული აღზრდის საქმეში, არამედ დიდად დაეხმარენ იმ მწერლებსაც, რომლებიც შემდეგში ჩვენი ლიტერატურის წამყვანი ძალები გახდნენ.

დაკვირვებით არის დაწერილი მე-4 თავი „სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის ეროვნული ფორმისა და სოციალისტური შინაარსის ზოგიერთი საკითხი“, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ერთ გარემოებას არ მივაქციოთ ყურადღება. ავტორის ტონი ზოგჯერ ამაღლებულია, კერძოდ, ეს მაშინ არის შესამჩნევი, როცა იგი ეკამათება მისსავე კოლეგას, რომელსაც არც თუ ისე დიდად დაუმსახურებია ასეთი მკაცრი მიდგომა. დ. ბენაშვილი ერთ-ერთ თავის წერილში წერს: წინააღმდეგობა გმირის სუბიექტურ განზრახვასა და ისტორიულ აუცილებლობას შორის კრიტიკული რეალიზმის დროს იხსნება გმირის დაღუპვასთან ერთად. ამის გამო გ. მერკვილაძე წერს: „ნუთუ ეს სქემა შეიძლება მივუყენოთ ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ“-ის გმირებს? რა უფლების ძალით ართმევს დ. ბენაშვილი კრიტიკული რეალიზმის მწერალთა მიერ შექმნილ ყველა გმირს ხვალინდელი დღის რწმენას?.. როგორ შეიძლება ასე ილაპარაკო პუშკინზე, ლერმონტოვზე, ბელინსკიზე, ჩერნიშევსკიზე, ტოლსტოიზე, გოგოლზე, ჭავჭავაძეზე, წერეთელზე, ტურგენევზე, ჩეხოვზე, სალტიკოვ-შჩედრინსა და მე-19 საუკუნის სხვა გამოჩენილ კლასიკოსებზე, რომლებსაც ჰქონდათ დიდი პროგრესული იდეალი და მომავლისადმი რწმენა“ (გვ. 52). რასაკვირველია, თუ დ. ბენაშვილი აიგივებს გმირს და ავტორს, პუშკინსა და ონეგინს, ლერმონტოვსა და პეჩორინს, მაშინ სულ სხვაგვარად ისმება საკითხი. მაგრამ გ. მერკვილაძის წიგნში, კერძოდ ამ ამონაწერში, უფრო იგრძნობა გმირისა და ავტორის გაიგივება, ვიდრე დ. ბენაშვილის ზემოთ დასახელებულ წერილში. არავის არ აქვს უფლება გააიგივეოს პუშკინი ონეგინთან, ლერმონტოვი პეჩორინთან. პუშკინს და ლერმონტოვს ჰქონდათ დიდი პროგრესული იდეალი და მომავლისადმი რწმენა, მათში ეს რწმენა და იდეალი ბოლომდე წმინდად დარჩა. ასე, რომ მათი გაიგივება მერყევი გმირების რწმენასა და იდეალებთან შეუძლებელია. საჭირო იყო ამ საკითხებს გ. მერკვილაძე უფრო ფართოდ შეხებოდა და ნათლად განემარტა, კონკრეტულ მაგალითებზე გაეშალა გმირისა და ავტორის ურთიერთობის საკითხი, ამით წიგნი უდავოდ უფრო მეტს მოიგებდა.

ვლადიმერ ჯიბუტი

მიხეილ მრევლიშვილის მოთხრობები

★

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელ თემასაც არ უნდა ეხებოდეს საბჭოთა მწერალი, იგი მოწოდებულია იდეური თვალსაზრისით გააშუქოს ესა თუ ის მოვლენა. მიხეილ მრევლიშვილის ღირსება ისაა, რომ ყოველ მის მოთხრობაში მკითხველი ხედავს მწერალს, რომელსაც ამოძრავებს კეთილშობილური მიზანი — მიიღოს ქმედითი, აქტიური მონაწილეობა ჩვენი ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

მოთხრობაში „წერილი ბელადს" ვერ ნახავთ მძაფრ სიტუაციებს, მოულოდნელ სიუჟეტურ სვლებს. ესაა თუშ მეცხვარეთა ცხოვრების სურათი. ავტორმა გვიჩვენა თუშ მეცხვარეთა პატრიოტიზმი, მათი უსაზღვრო სიყვარული ი. სტალინისადმი. მწყემსებს თავი მოუყრიათ, ღელავენ, წერილს სწერენ ბელადს, კისრულობენ ვალდებულებებს. რამდენიმე შტრიხით, ცოცხლად დახატულია პატარა მწყემსი ზეზვა. ჩინებულია მოთხრობის ის ადგილი, სადაც რაინაული კოცნის ზეზვას. ეს ისე ბუნებრივია და მართალი, რომ არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო. საინტერესოა მოხუცი ბეროს სახე. ერთი შეხედვით, ბერო სკეპტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არა, ბერო ჭკვიანი ბერიკაცია, მას გულწრფელად უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, მაგრამ წარსული მძიმედ დასწოლია მის მხრებს და ამიტომაც ვერ წარმოუდგენია, რომ ქალმა მწყემსობა გასწიოს.

ავტორი ვრცელ ადგილს უთმობს პეიზაჟს. პეიზაჟი აქ ორგანული ნაწილია მოთხრობისა. პეიზაჟი რომ ჩამოვაცილოთ მოთხრობას, მოთხრობა უთუოდ გაღარიბდებოდა. მკვეთრადაა გადმოცემული ცადატყორცნილი მთების სიდიადე და რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ არსებობს უშუალო კავშირი იმ ბუმბერაზ მთებსა და იქ მობინადრე ადამიანთა შორის, რომ მწყემსების სული ისევე მაღალია, მტკიცე, ძლიერი, როგორც მთანი მაღალნი. კითხულობთ ამ მოთხრობას და გჯერათ, რომ ასეთი ადამიანები ფიცს არ გატეხენ, არ შერცხვებიან ხალხის, პარტიის წინაშე. არის რაღაც ნამდვილად რაინდული, ნამდვილად ვაჟკაცური მწყემსების სიტყვასა და საქმეში.

მოთხრობა „იონა ოსტატი" ხასიათდება წრფელი ლირიზმით, კომპოზიციური მთლიანობით. დეტალები ზუსტად შერჩეულია, მოქმედი ადამიანები რელიეფურად გამოკვეთილი. მიუხედავად მოთხრობის სიმცირისა, იგი ღრმად ემოციურია. იონა ოსტატს ვაჟი დაეღუპა სამამულო ომში. იონა დარდობს, მის დარდს აღრმავებს ისიც, რომ ეონას შვილი ილია საუკეთესო შეგირდი იყო მამისა. მაგრამ ცხოვრება არ შეჩერებულა, იგი ძლევამოსილად მიიწევს წინ და ამიტომ იონამ არ უნდა იდარდოს შვილზე. იონა ცოცხალი ადამიანია თავისი ვნებებით, მიზნებით, აზრებით, ყოველი შვილდაკარგული მამა მასში დაინახავს თავის გულისტკივილს. მაგრამ იონა მაინც არ არის განზოგადებული სახე საბჭოთა ადამიანისა, რომელსაც შვილი დაეღუპა სამამულო ომში. იონა ვერ ამაღლებულა იმას შეგნებამდე, რომ შვილის სიკვდილის გამო კაცმა ხელი არ უნდა აიღოს საზოგადოებრივ შრომაზე, საზოგადოებისათვის ზრუნვაზე. იონამ გული აიყარა საქმეზე, „ხელი შეუშვა ხელობას, ავადმყოფობა მოიმიზეზა და სახლში ჩაიკეტა".

იონა სასოებით შეჰყურებდა შვილიშვილს — უჩას. მაგრამ მოხდა ისე, რომ უჩა ქალაქად გაგზავნეს ცოდნის შესაძენად. ამან გული დასწყვიტა მოხუცს. აივნის კუთხეში „ჩამომჯდარი, ოთაჯირზე ნიდაყვდაყრდნობილი იონა საათობით გაჰყურებდა ხოლმე ჩამოთოვლილი კავკასიონის მთის წვერებს, შემოდგომის ნაირფერებით შეჭკულ ტყესა და სახლის წინ გაწოლილ მიყუჩებულ შარას, სადაც ათასში ერთხელ ავყია მამალი თუ გადაბაჯბაჯდებოდა, ან მურა ძაღლი თუ გადაირბენდა კუდის ქნევითა და უხალისო ყეფით".

იონა ოსტატი კვლავ უბრუნდება შრომას, საზოგადოებრივ საქმეს. ასეთია მოთხრობის ფინალი. იონა სტოვებს მშობლიურ სოფელს და მიემგზავრება ქალაქად, რათა თავისი ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს ახალგაზრდებს. ამ გადაწყვეტილებას იგი დაადგა უჩასა და ყოფილი შეგირდის თხოვნისა და რჩევის შედეგად. თუმცა მწერალი არაფერს გვეუბნება ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომელმაც იონას გაუადვილა სოფლის მიტოვება, მაგრამ მკითხველი გრძნობს: ოსტატისათვის ძნელია, მეტად ძნელია იმ სახლ-კარის მიტოვება, სადაც აღიზარდა ილია, სადაც ყველაფერი დაკავშირებულია დაღუპულ შვილთან, მაგრამ ამჟამად მისათვის უფრო ძნელია შვილიშვილისაგან შორს ყოფნა. უჩაში იგი ხედავს ილიას, მას სურს უჩასთან ახლოს ყოფნა და ამიტომ მიემგზავრება ქალაქად.

იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს მოთხრობას — „მისი სურათის გმირი" აქტუალურია. მწერალი გვეუბნება: ხელოვანს თუ სურს სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოების შექმნა, მან ღრმად უნდა შეისწავლოს ცხოვრება. მაგდა ცხოვრობს ქალაქად, მისი მიზანია დახატოს სტალინგრადის ბრძოლების მონაწილე გმირი: „სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათში უნდა ასახული იყოს სტალინური შევარდნის უტეხი ნებისყოფა, ძლიერება სტალინგრადთან მებრძოლი ვაჟკაცისა, ბერლინში რომ დროშა ააფრიალა და დღეს, მშვიდობიანი შრომით აღგზნებული, მდინარეებს რომ უცვლის გეზს. სურათი კი, რომელსაც მაგდა სადიპლომო შრომისათვის ხატავდა, უსიცოცხლო თვალებით დაჰყურებდა შემოქმედს და მთელ მის არსებას სასოწარკვეთილებაში აგდებდა". მაგდას უჩიეს სოფლად გაემგზავრეო, ცხოვრებას გაეცანიო. მართლაც მაგდა სოფლად გაეცნობა ფარნას, რომელსაც მონაწილეობა მიუღია სტალინგრადის დაცვაში. მაგდა აღფრთოვანებულია. ძნ თურმე იპოვნა ის, ვისაც ეძებდა: „ნამდვილი გმირი, მღელვარე შავი თვალებით, მოღიმარი, ახოვანი, შეუპოვარი, ამ დილასავით ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე". მაგდას არ ჩაუხედავს ფარნას სულში, იგი მოიხიბლა ფარნას გარეგნობით, ე. ი. მისი შავი, მოელვარე თვალებით, ღიმილი., აღნაგობით. ყოველივე ეს არ ნიშნავს ცხოვრების შესწავლას, საკითხი ერთობ ზერელედ არის გადაჭრილი მაგდას ქალაქად არ გაუპირდებოდა ნახვა მოელვარე შავი თვალების, ახოვანი, მოღიმარი ვაჟკაცისა, რომელიც წინათ სტალინგრადთან იბრძოდა, ხოლო ახლა აქტიურად ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში. იმისათვის, რომ ნახო შავი მოელვარე თვალები, სრულიადაც არ არის საჭირო სოფლად გამგზავრება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაგდას უნდა შეესწავლა ფარნა. გაცნობოდა მის სულს, უნდა ენახა იგი როგორც შინ, ისე შრომის პროცესში, და მხოლოდ მაშინ შეეძლო ეთქვა: მე ვიპოვე ის, ვისაც ვეძებდი. „მისი სურათის გმირი" მოკლებული არ არის საყურადღებო მხატვრულ დეტალებს, ბუნებრივ ლამაზ სურათებს, მაგრამ მაინც სუსტია, რადგან ცხოვრების შესწავლის პრობლემა გულუბრყვილოდ არის გადაჭრილი.

მოთხრობაში „შიში" დახატულია იმ კაცის სულიერი დრამა, რომელიც იძულებულია დამალოს თავისი არასახარბიელო წარსული. არტანელი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, კულწრფელად ახარებს კოლმეურნეობის ყოველი წარმატება. არტანელი არ ზოგავს თავის ფიზიკურ და გონებრივ ძალას, რათა საერთო საქმე წინ წაწიოს, იგი არ ხელმძღვანელობს კარიერისტული, ეგოისტური მიზნებით. მისი მიზანია ხალხის კეთილდღეობა, მაგრამ წარსული გველივით კბენს მის სულს: „ვიღაც ულმობელი ხატავდა — ნ ნ პაგონებიან თავად დავითს და ხან კნეინა ვარვარას არტანელისათვის გაშლილი მკერდით. მაგრამ ეს არაფერია, ოღონდ მხატვარი უფრო შორს მიდიოდა... ის კოხტა რაშზე წამომჯდარ. წელწერწეტა ჩოხოსან არტანელსა ხატავდა. ხოლო უცნობი მესაიდუმლე ნიავის პირით გულსაკლავად ჩურჩულებდა: — ჰეი, მოურავო, ყოჩაღ შენს ბიჭობასა, ყოჩაღ შენს ვაჟკაცობასა! ქართლში ზავადებს მოურავად ედექი, ახლა კახეთში კოლექტივს ელოლიავები, თავმჯდომარეობ ხალხსა და აშენებ მას შენი მზაკვრული ხმიდ"

რამ აიძულა არტანელი, რომ თავადების შსახური ყოფილიყო? იქნებ არტანელი ტერორა ხალხისა და ინიციბება? არა, არტანელი ტერორ არ არის. როგორც არტანელი აღიარებს, გაკირვება, ობლობა შეიქმნა არტანელის სამარცხვინო, მტანჯველი წარსულის მიზეზი. არტანელი არასოდეს ყოფილა მშრომელი გლეხობის შეგნებული ტერორი, მაგრამ, როგორც მოურავი, მოქმედებდა გლეხობის წინააღმდეგ. ეს სტანჯავს და სულს უფორიაქებს არტანელს. არტანელი ეძებს გამოსავალს და ბოლოს იგი ხალხს გაუმჟღავნებს თავის წარსულს. მართალია, იგი ისჯება წარსულის დაფარვისათვის, მას ხსნიან კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტიდან, მაგრამ არტანელი მაინც ბედნიერია, რადგან ხალხს ეთრა ის, რასაც ძალმა, შხამიან ტვირთად ატარებდა გულში.

მკითხველის მოწონებას იმსახურებს ახალი კახეთის ბუნების კოლორიტული, პლასტიკური სურათები, ავტორი ამჩნევს ისეთ დეტალებს, რომლებსაც მკითხველი ადვილად ვერ ძისცემს დავიწყებას. აი, რამდენიმე სურათი: „პირგადაწმენდილ ცაზე ცისარტყელა გადაიშალა. ჰაერს მოედო სუნი დამწვარი მიწისა. ნელა ამოძვრა ლურჯქუდა ხვლიკი ბარდნალებიდან და ნაგოხარზე მზის სხივებში გაწვა და ანებივრდა. შაშვმა შინდიანში ჩაიგალობა და ფოთლის წვერზე აალმასებულ ცვარს დაეტანა — გული გაიგრილა, ნექტარი შესრუტა მაცოცხლებელი და კვლავ ჩაუმღერა, ჩაუჭიკჭიკა"; „ირეცხებოდა ყველა ჯურისა და ზომის ქვევრი. მარანში ისმოდა კრაზანას ხახუნი ქვევრის კედლებზე". ამ კარგად მონახული დეტალების გვერდით მკითხველი წააწყდება არაკონკრეტულ, ზოგჯერ კი არაესთეტიურ მეტაფორებს, სურათებს. მაგ. ამავე მოთხრობაში არის ასეთი ადგილი: „პირველი რიგები ზვრისა უკვე ჩამოეკრიფნა მარდ ახალგაზრდობას და ვაზები ახლა ისე ობლად და სევდიანად გამოიყურებოდნენ, როგორც ნამუსაღილი ქალები".

მოთხრობა „სემიდა" ეხება თურქეთის იმპერიალიზმის უღელქვეშ მგმინავ ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრებას. მოთხრობის სიუჟეტი დინამიკურად ვითარდება. რაც შეეხება მხატვრულ ხერხებს, მწერალი ამ შემთხვევაში ნაკლები წინააღმდეგობის გზით წასულა და არ ცდილა ახალი ხერხები თუ სიტუაციები გამოეძებნა.

კარგი მოთხრობაა „ოქროს ზარნიშნიანი ხანჯალი". რაც შეეხება „ხარატაანთ კერას", ამ საინტერესო სიუჟეტურად დაძაბული ნაწარმოების შესახებ ჩვენს პრესაში ბევრი დაიწერა და ამიტომაც ჩვენ თავს ვიკავებთ მისი განხილვისაგან.

ანდრო ლომაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატვიური ზღაპრები ქართულად

★

ლატვიური ხალხური შემოქმედების ცნობილი მკვლევარი ი. ნიედრე სამართლიანად აღნიშნავს, რომ ლატვიური ხალხური შემოქმედების შეკრება, დამუშავება და გამოცემა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ლატვიაში სოციალისტური წყობილების დამყარების შემდეგ.

სარეცენზიო წიგნში თავმოყრილია 58 ლატვიური ზღაპარი, სადაც ნათლად არის გამოხატული ლატვიელი ხალხის მონობისაგან განთავისუფლების სულისკვეთება და უსამართლობასთან ბრძოლა. ამ ბრძოლაში მშრომელი ხალხი მხოლოდ თავის ძალას ემყარება. მას არა სწამს ღმერთის დახმარება, ღმერთი უსამართლოა, „მდიდრებს ბევრს აძლევს, ღარიბებს ცოტას". ვერც ეშმაკს ენდობა ხალხი, რადგან ეშმაკი „ადამიანს ატყუებს". მხოლოდ სიკვდილი იქცევა „სწორად და სამართლიანად, ყველას — ხელმწიფეს სასახლიდან თუ ღატაკს ქოხიდან" განურჩევლად ეძახის. ლატვიელ გლეხს სჯერა: თუ ხალხი ძლიერი იქნება, სიკვდილსაც კი დასძლევს.

ლატვიური ზღაპრების დიდი ნაწილი ცხოველთა ეპოსისა და ჯადოსნური ზღაპრებისაგან შედგება.

ზღაპრები ცხოველებზე გვიჩვენებს ცხოველთა ურთიერთდამოკიდებულებას, მათს ზნეს და ხასიათს. ასეთია ზღაპრები: „ხუთი კატა", „როგორ იკეთებდა მტრედი ბუდეს", „მხეცები კატას ეშალებიან" და სხვ.

კარგია ზღაპარი „ყარყატისა და წეროს ქორწილი". წერო და ყარყატი ერთმანეთს ხან იწუნებენ, ხან დაქორწინებას გადაწყვეტენ, გაუთავებლივ მიდი-მოდიან ერთმანეთთან და დღემდე ვერ დაქორწინებულან.

ძაღლებისა და კატების მტრობას, კატის თაგვებზე გადაკიდებას თავისი მიზეზები ჰქონია. ძაღლებს ნებადართული ჰქონდათ მხოლოდ დავარდნილი ნადირი ეჭამათ. მათ ამის საბუთი წერილობით მოუთხოვიათ. სიგელი თავიანთ მეგობარ კატისათვის მიუბარებიათ. როდესაც სიგელი დაჭირდათ და მიაკითხეს კატას, აღმოჩნდა, რომ თაგვებს სიგელი ნამცეცებად ექციათ. ამ დღიდან კატა თაგვების მტერი გახდა, ხოლო ძაღლებისა და კატების მეგობრობასაც ბოლო მოეღო (ზღაპარი „ძაღლი და კატა").

ასეთი შემეცნებითი ხასიათის ზღაპრების გვერდით წიგნში შეტანილია უსამართლობასა და ბოროტებასთან შებრძოლების ამსახველი ზღაპრებიც.

ლატვიელ ხალხს სძულს მდიდარი, მებატონე. ისინი ზღაპრებში წარმოდგენილი არიან, როგორც თვალხარბნი, კაციჭამიები, გაუმაძღარნი, მუქთახორები, ავყიები, სასტიკნი, უჭკუონი. მშრომელი ხალხი მათ დასცინის, ებრძვის, აბრიყვებს. ხალხს მათთან ერთად სძულს გზირებიც, მამასახლისებიც. ამ მუქთახორებს და გაიძვერებს სასტიკად დასცინიან და სჯიან. ამ აზრს გამოხატავს ზღაპრები: „ზღარბი", „მიხდვრის თაგვი სტუმრად ეწვია სახლის თაგვს", „გმირი მამალი", „სხვას ნუ გაუთხრი სამარეს, თორემ შიგ თვითონ ჩავარდები", „მამასახლისი და ეშმაკი", „როგორ იქცა ბატონი ცხენად" და სხვ.

მიუხედავად ლატვიური ზღაპრების თავისებურებისა, მათი ადეკვატი მაინც არსებობს ჩვენს ქართულ ზღაპრებში. ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს როგორც ზღაპრების მოარულობას, ისე სოციალურად და ნაციონალურად ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი ხალხების ბრძოლას თავისუფლებისათვის, ბრძოლას დამჩაგვრელებისა და ბოროტების წინააღმდეგ.

ქართული ზღაპრის მსგავსია ლატვიური ზღაპარი „ცხვარი და მგელი". ცხვარი და მგელი წყლის დასალევად მდინარესთან მივიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მგელი ზევით იდგა, ცხვარს წყლის ამღვრევა დააბრალა, ცხვარმა ენა შეუბრუნა, მგელმა შეჭმა დაუპირა, ცხვარმა კი გააბრიყვა: ბექობზე ავალ, გამოვექანები და პირდაპირ ხახაში ჩაგივარდებიო. ასეც მოიქცა. ცხვარი გამოექანა, დაეტაკა მგელს და უგონოდ დასცა მიწაზე.

ზღაპარი „როგორ შეეჯიბრნენ სირბილში ერთმანეთს კურდღელი და ზღარბი" ჩვენში კარგად ცნობილი ზღაპრის — „კურდღელი და კუს" მსგავსია. ეს ზღაპარი ძალიან უყვართ ჩვენი „დედა ენის" მკითხველ ბავშვებს. ოღონდ ამ ორი ზღაპრის იდეა სხვადასხვაა.

ლატვიური ზღაპრის ზღარბი მოხერხებული და დამცინავია. იგი კურდღელს თხრილის ერთი თავიდან მეორემდე გარბენაში გაეჯიბრება. მიუხედავად იმისა, რომ ზღარბი ნელმოძრაობაში კუს მიაგავს, მაინც დაენაძლევება მას: თუ გაგისწარი სირბილში, ათი ღერი ულვაში მომეცი, ეტყვის ზღარბი კურდღელს.

ზღარბი თხრილის ერთ თავში თავის ძმას დასვამს, მეორე თავში თვითონ დადგება. კურდღელი თხრილის ერთი თავიდან მეორემდე მიირბენს, მაგრამ ზღარბი იქ დახვდება, კურდღელს ჰგონია, რომ ეს ის ზღარბია, რომელსაც დაენაძლევა. ზღარბმა სამჯერ მოატყუა კურდღელი.

* „ლატვიური ზღაპრები", თარგმანი ნინო სამუკაშვილისა. საბლიტგამი, 1954.

ის ადგილიდან არც დაძრულა და კურდღელმა კი ათი ღერი ულვაში წააგო. ზღარბმა ხუთი ღერი ძმას ჩაურჩო საულვაშეზე, ხუთი თვითონ გაიკეთა. აი საიდანა აქვთ თურმე ზღარბებს კურდღლის ულვაშები!

სულ სხვაა იდეურად ჩვენი ზღაპარი. კურდღელმა სასაცილოდ აიგდო კუ ნელი სიარულისათვის. დანაძლევდნენ. კურდღელი თავისი მარდი ფეხების იმედით მინდორში გაერთო, გამოიძინა კიდევაც. რა მეჩქარება, კუს მაინც გავუსწრებო! კუს კი ერთი წამით არ დაუყოვნებია. როცა კურდღელი დანიშნულ ადგილზე კმაყოფილი მივიდა, კუ იქ დახვდა. გამარჯვებულმა კუ კურდღელს ნიშნის მოგებით უთხრა: შენ შენი მარდი ფეხების იმედი გქონდა, ის კი დაგავიწყდა, რომ სიზარმაცესა და უდარდელობას ყოველთვის აჯობებს გარჯა და შრომაო.

ასევე ენათესავება ზღაპარი „ჯადოქარი და ბიჭუნა" ქართულ ზღაპარს — „ოსტატსა და შაგირდს". ოღონდ ამ ზღაპრების იდეური გააზრებაც სხვადასხვაა.

ქართული ზღაპრების მსგავსად ლატვიურ ზღაპრებშიც ბევრ ახალგაზრდებს გაჭირვების დროს ეხმარებიან არწივები და სხვა ფრინველები.

სხვა ხალხების ჩვენთვის ცნობილ ხალხურ ზღაპრებში თითქმის არსად შეგვხვედრია ქართული „ნაცარქექიას" მსგავსი ზღაპარი.

ლატვიურ ზღაპარს — „ნაცარქექია" სათაური არ შეესაბამება არა მარტო იმიტომ, რომ აქ მთავარი მოქმედი პირი გოგონაა (ძალიან გამრჯე და ლამაზი), არამედ იმიტომაც, რომ ის ნაცარს კი არა ჰქექავდა (სად ეცალა ამისათვის?!), არამედ დედინაცვალი ნაცარში აძინებდა. ამიტომ სასურველი იყო ამ ზღაპრის სათაური სხვა გამოძებნილიყო.

ლატვიური ზღაპრები თარგმნა ნინო სამუკაშვილმა. თარგმანი შესრულებულია კარგი ქართული ენით, გემოვნებითა და სისადავით განსაკუთრებით ეს ითქმის ზღაპრებზე: „ხუთი კატა". „ძლიერი ადამიანი", „როგორ ასწავლა მოჯამაგირემ ჭკუა მდიდარ გლეხს", „სიკეთილი ნათლია", „კურბადი", „უმცროსი უფლისწული".

წიგნს წამძღვარებული აქვს ი ა ნ ვ ი ე დ რ ე ს მოკლე წინასიტყვაობა. წინასიტყვაობაში მკითხველი ეცნობა ლატვიური ზღაპრების წარმოშობისა და შეგროვება-გამოქვეყნების ისტორიას.

ზღაპრებიდან კარგი ადგილები აქვს შერჩეული თავსამკაულებისათვის ახალგაზრდა მხატვარს დ. ხახუტაშვილს.

ანა ღვინიაშვილი

კრებული ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა გამოსცა მასწავლებელთა დასახმარებლად წიგნი „ზნეობრივი აღზრდის საკითხები სკოლაში".

კრებული იხსნება ნ. ბოლდირევის წერილით „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მორალის შესახებ — ზნეობრივი აღზრდის იდეური საფუძველია". ნ. ბოლდირევის წერილში გადმოცემულია ზნეობრივი აღზრდის მარქსისტულ-მატერიალისტური თვალსაზრისი. ავტორი არკვევს მორალის წარმოშობასა და მის განვითარებას და ამბობს, რომ მორალი როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა, დაკავშირებულია საზოგადოების ეკონომიური პირობების განვითარებასთან.

ავტორს მოჰყავს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების აზრი ბურჟუაზიული მორალის რეაქციული ხასიათის შესახებ და დაასკვნის, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მორალი დამყარებულია კერძო საკუთრების პრინციპზე, ექსპლოატაციაზე, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრაზე.

ამიტომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიული სკოლა ცდილობს ჩაუნერგოს ბავშვებს სიცრუის, მოტყუების, მლიქვნელობის, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის და ერთმანეთისადმი სიძულვილის თვისებები.

რაც შეეხება კომუნისტურ მორალს და კომუნისტურ ზნეობას, ის მოწინავე მუშათა კლასის შეგნებაში ჩაისახა და ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ფართო მუშაობას ეწევა ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში.

საბჭოთა ადამიანის მორალისათვის დამახასიათებელია: საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური ჰუმანიზმი, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სიყვარული, ერთგულება საერთო სახალხო საქმისადმი, დისციპლინიანობა, სამართლიანობა, პატიოსნება და სხვა კეთილშობილური თვისებები.

შემდეგ კრებულში მოცემულია პ. ჯანელიძის წერილი „აღზრდის წამყვანი როლი პიროვნების კომუნისტურად ჩამოყალიბების საქმეში".

წერილში მოტანილია, ერთი მხრივ, მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის, აგრეთვე, პავლოვისა და მიჩურინის მატერიალისტური შეხედულებანი იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ბავშვზე აღზრდა, გარემო და მემკვიდრეობა, ხოლო მეორეს მხრივ ბურჟუაზიული მეცნიერების (ვეისმანი, მორგანი და სხვ.) იდეა-

ლისტურ-რეაქციული შეხედულებანი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხზე და მარქსიზმის პოზიციებიდან მათი გამანადგურებელი კრიტიკა.

პ. ჯანელიძის წერილის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, აქ უხვადაა გამოყენებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებები მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე, მაგრამ, წერილი მაინც ზოგად შთაბეჭდილებას ტოვებს.

კრებულში მოთავსებული დანარჩენი წერილები მიზნად ისახავს მასწავლებელთა შორის დაგროვილი გამოცდილების გაზიარებას. მაგრამ აღნიშნული წერილები მაინცდამაინც ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას, რადგან ყველა წერილის ავტორი ტრაფარეტულად თითქმის ერთსა და იმავეს იმეორებს და არაფერს ახალს თავიანთი გამოცდილებიდან არ მოგვითხრობს. ასე მაგალითად: გამოვიძახე მშობლები, ვიყავი მოსწავლეთა ოჯახში, წავიყვანე მოსწავლეები ექსკურსიაზე, შემოღებული მაქვს მოსწავლის ყოფაქცევის აღრიცხვის რვეული, ვესწრები მასწავლებელთა მეთოდური ხასიათის თათბირებს და სხვ. ამას იმეორებს კრებულში მოთავსებული წერილების თითქმის ყველა ავტორი.

მაგალითისათვის განვიხილოთ კრებულში მოთავსებული სიღნაღის ვაჟთა საშუალო სკოლის მე-8 კლასის ხელმძღვანელის ბასინჯაღოვის წერილი „კლასის ხელმძღვანელის გამოცდილებიდან". ბასინჯაღოვს 14 სხვადასხვა რვეული შემოუღია კლასში მოსწავლეთა შორის ჩატარებული მუშაობის აღრიცხვისათვის. მართალია, ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა კარგი საქმეა, მაგრამ, თუ ყველა 14 რვეულს ზუსტად აღრიცხავს ბასინჯაღოვი, საკითხავია, რამდენი დრო დარჩება სკოლის სხვა საკითხებზე საზრუნავად? ამას გარდა, წერილში იმდენი ცხრილები, გრაფები და ნახაზებია მოტანილი, რომ კლასის ხელმძღვანელი ამავე დროს კარგი მხაზველი უნდა იყოს, მაგრამ მაშინაც ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ყველაფერი ეს კლასის ხელმძღვანელმა შეასრულოს. ბასინჯაღოვი უზიარებს თავის „შესანიშნავ" გამოცდილებას ამხანაგებს, რომ რამდენჯერ მოსწავლე ფეხს წამოკრავს ან ცხვირს დააცემინებს, მზად უნდა იყოს კლასის ხელმძღვანელი თავისი თოთხმეტი რვეულით, რომ ჩაწეროს, აღრიცხოს. ამას გარდა, იმდენი გადაწერა-გადმოწერა და ქაღალდობანა გამოდის, რომ ეს ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას უფრო ჰგავს, ვიდრე ნამდვილ საქმიან დამოკიდებულებას მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში. რა გამოცდილებას და ჭკუას შემატებს მასწავლებლებს ასეთი არაფრისმთქმელი წერილი? რომელ პედაგოგიკურ მეცნიერებაში ამოიკითხა ავტორმა ასეთი „სიბრძნე", რომ კლასის ხელმძღვანელმა 14 რვეული შემოიღოს და წეროს შიგ მოსწავლეთა ყოველი მოძრაობა, ყოველი ფეხის გადადგმა?

უნდა აღინიშნოს აგრეთვე კრებულში მოთავსებული ზოგიერთი წერილის მყვირალა სათაურის შესახებ. ტყიბულის რაიონის სოფელ საწირის საშუალო სკოლის მე-4 კლ. მასწავლებლის მ. ცქიფურიშვილის წერილს ასეთი სათაური აქვს: „როგორ ვმუშაობ სკოლაში „ქცევის წესების" დანერგვისათვის". სათაურის მიხედვით გგონიათ, რომ წერილში რაღაც ახალი საკითხებია დაყენებული მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში, მაგრამ წაკითხვის შემდეგ ნახავთ, რომ არავითარი ახალი საკითხი არ არის დაყენებული და არც ქცევაზეა ლაპარაკი. ლაპარაკია ძოაწავლეთა ოჯახებთან მჭიდრო კავშირურთიერთობის დამყარებაზე, ექსკურსიების მოწყობაზე, ბრძოლა აკადემიური წარმატებისათვის და სხვ.

კრებულში გვხვდება აგრეთვე ზოგიერთი არასწორი გამოთქმები, პედაგოგიურად გაუმართლებელი, რედაქციული ხასიათის შეცდომები და პოლიტიკურად მცდარი ადგილები. მაგალითად: „სკოლაში ჩამოყალიბდა კლასის ხელმძღვანელთა მეთოდური თათბირი" (გვ.102). „სკოლის დირექცია ხელმძღვანელობს სკოლაში კომკავშირულ და პიონერულ მუშაობას". (გვ. 102).

„ჩამორჩენილი მოსწავლის საკითხს ხშირად ვიხილავთ კლასის მოსწავლეთა საერთო კრებაზე, პიონერთა შეკრებებზე, აგრეთვე კომკავშირის კრებებზე, ზოგს ვკიცხავთ, ზოგს კი მოფერებისა და დარიგების გზით ვარწმუნებთ მის დანაშაულებრივ მოქმედებაში" (გვ. 115), წერს გ. გაბიტაშვილი. მას გამორჩენია ის გარემოება, რომ ჩამორჩენილი მოსწავლის ოჯახური პირობები უნდა შევისწავლოთ, დავამყაროთ მშობლებთან მჭიდრო კავშირი და მშობლების დახმარებით მივაღწიოთ ჩამორჩენილი მოსწავლის გამოსწორებას.

„მე ამ მოსწავლის მიმართ ვიხმარე რჩევა-დარიგება და წახალისება, რის შედეგადაც ბავშვი გამოსწორდა" (გვ. 121). ასეთი გამოთქმა ტრაფარეტული და არაფრის მთქმელია. რა ხასიათის რჩევა-დარიგების შედეგად გამოსწორდა ბავშვი?

კიდევ მრავლად შეიძლება მცდარი და არასწორი ადგილების მოტანა, მაგრამ იმის საილუსტრაციოდ, რომ კრებულში მოთავსებული მასწავლებელთა წერილები არ დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე და ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, ესეც საკმარისია.

ი. გავაშელაშვილი.

3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

☆

სახელმწიფო გამომცემლობა

კარლ მარქსი — კაპიტალი. ტომი I, გვ. 992, ფასი 16 მ. 20 კ.
ვ. ი. ლენინი — ამოცანები რუს სოციალდემოკრატებს. გვ. 52, ფასი 50 კაპ.
ა. პანკრატოვა — დიდი რუსი ხალხი. გვ. 322, ფასი 5 მან. 30 კაპ.
კ. ოსტროუხოვა — რსდმპ სრულიად რუსეთის მეექვსე (პრაღის) კონფერენცია. რედ. გ. შახსეევანიძე, გვ. 152, ფასი 1 მან. 45 კ.
აკაკი წერეთელი — ტომი III ლექსები. რედ. გ. აბზიანიძე. გვ. 586, ფასი 18 მან.
ვაჟა-ფშაველა — რჩეული. ალ. აბაშელის და ა. შანიძის რედაქციით. გვ. 400, ფასი 26 მ. 70 კ.
ნინო ნაკაშიძე — ლევ ტოლსტოის ახლოს (მოგონება). რედ. მ. ბაკურაძე, გვ. 126, ფასი 3 მან. 40 კაპ.
რევაზ მარგიანი — ლექსები და ბალადები. რედ. შ. სულაბერიძე. გვ. 282, ფასი 6 მან. 15 კაპ.
ო. დგებუაძე — მეორედ დაბადება. რედ. გ. ხუხაშვილი. გვ. 410, ფასი 7 მან. 65 კაპ.
ელ. უბილავა — გამარჯვების დროშა. რედ. ირ. არაბული. გვ. 234, ფასი 3 მან.
დავით მაისურაძე — ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება. რედ. დ. ენუქიძე. გვ. 206, ფასი 4 მან. 10 კ.

საბჭოთა მწერალი

უილიამ შექსპირი — ტრაგედიები. წიგნი II (თარგ. ივანე მაჩაბლისა). რედ. გ. ლეონიძე, გვ. 806, ფასი 15 მან. 50 კაპ.
უილიამ შექსპირი — ტრაგედიები. წიგნი III (თარგ. ივანე მაჩაბლისა). რედ. გ. ლეონიძე. გვ. 638, ფასი 12 მან. 50 კაპ.
აკაკი ბელიაშვილი — ერთტომეული. რედ. თ. შავიშვილი. გვ. 730, ფასი 13 მან. 60 კაპ.
პ. რატიანი — ილია ჭავჭავაძე (ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი) რედ. დ. ბენაშვილი, გვ. 400, ფასი 10 მან. 65 კაპ.
იოსებ ნონეშვილი — სიმღერა მეგობრობისა, რედაქტ. ა. თევზაძე. გვ. 108, ფ. 3 მ. 40 კ.
ლ. ავალიანი — ახალი ჰორიზონტი. წიგნი II. რედ. ს. ჩიქოვანი. გვ. 336, ფასი 4 მან. 60 კაპ.
ხუტა ბერულავა — ორი პოემა. რედ. ს. ჩიქოვანი. გვ. 100, ფასი 3 მან. 40 კაპ.
ოთარ ჭელიძე — მინდვრის მბრძანებელი: რედ. შ. აფხაიძე. გვ. 116, ფასი 3 მან. 70 კაპ.
ანდრია სინაური — ლექსები. რედ. რ. მარგიანი. გვ. 80, ფასი 2 მან. 20 კაპ.
ნაზი კილასონია — ლექსები. რედ. გ. ლეონიძე. გვ. 88, ფასი 2 მან. 10 კაპ.
ძმობის ხიდი — (სალიტერატურო კრებული) რედ. თ. შავიშვილი. გვ. 330, ფასი 8 მან. 10 კაპ.
არსენას ლექსი — პ/მგ. გამოშვებისათვის ა. თევზაძე. გვ. 32, ფასი 1 მან.

საბლიტგამი

ვაჟა-ფშაველა — საბავშვო მოთხრობები. რედ. გ. ლეონიძე. გვ. 136, ფასი 6 მან.
ჩარლზ დიკენსი — ნიკოლას ნიკლბი — (თარგ. ვახტანგ ჭელიძისა). რედ. გ. გაჩეჩილაძე, გვ. 478, ფასი 10 მან. 80 კაპ.
ი. ვალენტინოვი — მოთხრობები აფრიკაზე. თარგ. ქ. ნადირაძის და რ. ფუთურიძისა. რედ ქ. ქუჩუკაშვილი. გვ. 180, ფასი 5 მან. 35 კაპ.
კარლო კალაძე — უკრაინელ მეგობრებს. რედ. ირ. აბაშიძე. გვ. 94, ფასი 3 მან. 70 კაპ.
გ. ხეჩუაშვილი — ოცი ძმა. რედ. ქ. ქუჩუკაშვილი. გვ. 78, ფასი 2 მან. 30 კაპ.
გ. პარკაძე — სოსანას ნაამბობი. რედ. დ. შენგელაია. გვ. 52, ფას. 1 მან. 75 კაპ.
ედიშერ ყიფიანი — ბურთი და მოედანი. რედ. მ. კაკაბაძე. გვ. 78, ფასი 1 მან. 70 კაპ.
გიორგი სამხარაძე — სიხარულის ბარათები. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 80 ფასი 2 მან. 20 კაპ.
ვლ. ჯიბუტი — ქართველი საბავშვო მწერლები. რედ. გ. ნატროშვილი, გვ. 130, ფასი 2 მან. 90 კაპ.

ГСОПУБЛИЧ В .КА
ЭЛ 8 Э.
Б 14/348

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ